

ს მ ზ ე ნ ს მ ლ ე ნ ი

ქან - კრისტოფო

მონ
უმბელ



ს მ გ ე წ ს მ ლ ე წ ი

ქან-კრისტოფი



ს მ გ ი

მ მ რ ე

ფიზნი მემონა, მესუთა



„ წ ე მ ე ლ ყ ლ ი „
თ გ ი ლ ი ს ი

1975

И. (Фран)
84—31
6—78

© „ნაკადულო“, 1975

70304 — 31
P ————— 112—75
M—603 (08)—75

ᐃᐅᐅᐅᐅ
ᐃᐅᐅᐅᐅ



ᐃᐅᐅᐅᐅ

პირველი განცხადების წინასიტყვაობა

„უან კრისტოფის“ ახალი ეტაპის წინ მკაცრი კრიტიკის ხმა გაისმის. იგი შეიძლება ნებისმიერი მიმართულების მკითხველს შეეხოს. ამიტომ ეთხოვ ჩემ ძვირფას მეგობრებს და უან კრისტოფის მეგობრებსაც, ჩვენი მსჯელობანი არ მიიჩნიონ საბოლოო ნათქვამად. ყოველი ჩვენი აზრი მხოლოდ განსაზღვრული მომენტია ჩვენი ცხოვრებისა. განა იმისათვის არა ეცხოვრობთ, რომ გამოვასწოროთ შეცდომები, დაძლიოთ ცრურწმენები, მივადწიოთ გონებისა და გულის სიფართოვეს? იქონიეთ მოთმინება! გვენდეთ, თუნდაც ვცდებოდეთ რამეში. შევიგნებთ ჩვენს შეცდომებს და თქვენზე უფრო მკაცრად მივეუდგებით მათ. ჩვენ ყოველდღიურად ვცდილობთ ცოტათი მაინც მივეუახლოვდეთ ქეშმარიტებას. გზის ბოლოში რომ გავალთ, აი მაშინ განსაჯეთ ჩვენი ნაღვაწი. როგორც ერთ სურს ანდაზაშია ნათქვამი, აღსასრული ისევე აგვირგვინებს ცხოვრებას, როგორც საღამო დღეს.

რ. რ.

1906 წ. ნოემბერი

მეჩუხევი ქვიზა

თავისუფალია! გრძნობს, რომ თავისუფალია! თავისუფალია სხვებისგანაც და საკუთარი თავისგანაც! გატაცებების ქსელი, რომელშიც უკვე ერთი წელია გაბმული იყო, მოულოდნელად იშლებოდა. როგორ? თვითონ არაფერი იცოდა. ბადის თვლები ველარ უძლებდნენ მისი არსების მიწოლას. ეს ზრდის კრიზისი იყო. ჯანსაღი ბუნება დაუნდობლად ფლეთდა წარსულის უსიცოცხლო გარსს და იმ მოძველებულ სულიერ სამყაროს, რომელშიც აქამდე იხუთებოდა.

კრისტოფი სავსე მკერდით სუნთქავდა. კარგად ვერც კი მიმხვდარიყო, რა მოხდა, გოტფრიდი გააცილა და უკან ბრუნდებოდა. ქალაქის კარიბჭეში ქარბუქის ცივი კორიანტელი იდგა. ხალხი მხრებში თავჩარგული მიაბიჯებდა. სამუშაოდ მიმავალი შეწუხებული ქალიშვილები ქარს ებრძოდნენ, წათკბებებს რომ ეპოტინებოდა. წუთით ჩერდებოდნენ, სულს ითქვამდნენ. ცხვირები და ლოყები დასწითლებოდათ. გაბრაზებულები იყვნენ. ყველას ეტირებოდა... კრისტოფი სიხარულისაგან იციწოდა. ქარბუქს არაფრად დაგიდევდათ. მას სხვა ქარიშხალი აფიქრებდა... ის, ახლახან რომ დააღწია თავი. იგი შესცქეროდა ზამთრის ცას, თოვლში გახვეულ ქალაქს, ხალხს, ბრძოლით რომ მიიკვლევდნენ გზას. იცქირებოდა ირგვლივ. საკუთარ თავსაც ჩაჰკვირვებოდა. ის უკვე აღარაფერთან არ იყო დაკავშირებული. მარტო იყო... მარტო! რა ბედნიერებაა; როცა მარტო ხარ, შენთვის! რა ბედნიერებაა, ბორკილებს რომ მოიშორებ, თავს დააღწევ მოგონებათა ტკივილს, საყვარელ თუ საზარელ ხატებათა ჩვენებებს! რა დიდი ბედნიერებაა ცხოვრება, როცა მისი მსხვერპლი კი არა, ბატონ-პატრონი ხარ!..

შინ მთლად დათოვლილი დაბრუნდა. ტანი ძალივით დაიბერტყა. დედა დერეფანს ჰგვიდა. გვერდით რომ ჩაუარა, ხელში აიტაცა. აღტაცებულმა ბავშვივით მოუჩლიქა ენა. მოხუცი ლუიზა თოვლისაგან დასველებული შვილის მკლავებში ფართხალებდა, — გიჟო, გიჟო, — გაიძახოდა და ბავშვივით გულიანად იცინოდა.

კრისტოფმა დიდი ნაბიჯებით აიარა კიბე და თავის ოთახში შევიდა. ბნელოდა. ბატარა სარკეში ძლივს დაინახა თავისი თავი. სამაგიეროდ გული ჰქონდა განათებული. ამ ვიწრო, დაბალჭერიან ოთახში მობრუნებაც ჭირდა, მაგრამ კრისტოფს ის მთელ სამეფოდ ეჩვენებოდა. კარი ჩაკეტა და კმაყოფილებით გაიციანა. ბოლოს და ბოლოს იპოვის საკუთარ თავს. რა ხანია დაკარგული აქვს. საკუთარ ფიქრებში შეტოპვას ისე ჩქარობდა, როგორც მობანავე წყალში. ეს ფიქრები

სადღაც შორს ოქროსფერ ბურთსში გახვეულ დიდ ტბად ეჩვენებოდა. მოუსვენრობასა და სულის შემხუთველ ციებ-ციხლებში გატარებული ღამის შემდეგ იგი ნაპირზე იდგა, ფეხებზე წყლის მაცოცხლებელი სიგრილე ეალერსებოდა, ტანზე კი ზაფხულის გრილი ნიაფი. შეცურა. საით მიცურავს, არ იცის. ამას არცა აქვს მნიშვნელობა. იგი თავდავიწყებული ცურვის სიხარულითაა შეპყრობილი. გატრუნულია. ხარობს და სულის ათასგვარ ხმაურს უგდებს ყურს: ესმის არსებობის ფუსფუსი, ესმის, მაგრამ ვერაფერი გაურჩევია. თავბრუ ესხმის. მხოლოდ თვალისმომკრულ ბედნიერებას გრძნობს. გახარებულია ამ გამოუცნობი ძალების შეგრძნებით. თავისი უნარის გამოვლინება სიზარმაცით მომავლისათვის გადადო. დიდი ხნის ძილის შემდეგ უეცარი გაზაფხულივით იფეთქა თვეობით დახშულმა სულიერმა ყვავილობამ და გააბრუა. კრისტოფიც ამაყად დუქდა.

დედამ სასაუზნოდ დაუძახა. ჩამოვიდა გაბრუებული, თითქოს სუფთა ჰაერი ეცლასო ზედმეტად.

— რა დაგემართა? — ჰკითხა ლუიზამ სიხარულისგან გაბადრულს. კრისტოფმა არაფერი უპასუხა, წელზე ხელი შემოხვია და ცეკვით შემოატარა მაგიდის გარშემო. მაგიდაზე ჯამი იდგა კრისტოფის ულუფითა და ორთქლი ასდიოდა. ლუიზამ ძლივს მოითქვა სული, — გიყი ხარო, — შესძახა, ტაში შემოჰკრა:

— ღმერთო ჩემო! — წარმოთქვა შეწუხებულმა ქალმა, — სანაძლეოს დავდებ, თუ ისევ შეყვარებული არ იყოს!

კრისტოფმა გადაიხარხარა და ხელსახოცი ჰაერში შეათამაშა:

— შეყვარებული! — შესძახა მან. — ო, ღმერთო ჩემო!.. არა, არა! მეყოფა შეგიძლია მშვიდად იყო! მორჩა, მორჩა, სამუდამოდ მორჩა!.. — კრისტოფმა დიდი ჰიქით მოიყუდა წყალი.

ლუიზა შესცქეროდა, მშვიდდებოდა, თავს იქნედა და იღიმებოდა:

— ლოთის ფიცი დღემოკლეა, — მიუგო დედამ.

— სულ არაობას, ეგევ კარგია, — უპასუხა კრისტოფმა მხიარულად.

— რასაკვირველია! მამ რაღა გიხარია ასე ძალიან?

— მიხარია და ევ არის!

იგი წინ დაუჯდა დედას, იდაყვები მაგიდაზე ჩამოლო და მომავლის გეგმების საამბობლად მოეშადა. ლუიზა სიყვარულითა და ეჭვით უსმენდა და თან ფრთხილად ანიშნებდა — სუბი ცივდებო. დედას რომ მისი ნაამბობი არ ესმოდა, კრისტოფმა კარგად იცოდა, მაგრამ არ ენადღელებოდა. ის ხომ თავისთვის ლაპარაკობდა.

დედა-შვილი ღიმილით შესცქეროდა ერთმანეთს. შვილი ლაპარაკობდა, დედა არ უსმენდა. ის მართალია ამაყობდა თავისი ვაჟით, მაგრამ დიდად არ დაგიღევდათ შვილის არტიტულ გეგმებს. — ბედნიერია, — ფიქრობდა დედა, — სხვა რაღა მინდა. საკუთარი სიტყვებით გაბრუებული კრისტოფი შესცქეროდა დედის ძვირფას სახეს, თავზე შემოჭვეულ შავ თავსაფარს, თეთრ თმას, სიყვა-

რულით გამთბარ ცოცხალ თვალებს. მთელ სახეს სიკეთე და სიმშვიდე ეტყობოდა.

— შენთვის ხომ სულ ერთია, რასაც ვლაპარაკობ? — ღიმილით თქვა კრისტოფმა.

— არა, არა! — რიღით უპასუხა ლუიზამ.

კრისტოფმა გადააკოცნა.

— როგორ არა, როგორ არა. კარგი, თავს ნულარ იმართლებ. მართალი ხარ. ოღონდ შენ გიყვარდე და გამგები არავინ მჭირდება. არც შენ, არც სხვა. ახლა არც არაფერი მესაჭიროება, არც არავინ მჭირდება. თავად მაქვს ყველაფერი...

— აი, ესეც ახალი სიგიჟე. — წამოიძახა ლუიზამ, — მაგრამ, თუ ეს სიგიჟე აუცილებელია, ჩემდათვად მე ასეთი მიჩივნი.

რა ბედნიერებაა, როცა ფიქრებს ეძლევა კაცი... მზის სხივებში გახვეული კრისტოფი ნაეში წევს, სახეზე გრილი ნიაგი ეაღერსება, ცაში გამოკიდებულს რული ერევა. მისი სხეული კარგად გრძნობს მოქანავე ნაეის კედლებზე მოწოლილ ტალღებს. კრისტოფი ზანტად ყოფს წყალში ხელს და ნაეის კიდეზე ბავშვივით ნიკაპჩამოდებული ყურადღებით გასცქერის მოლივლივე წყალს. ბრჭყვილა არსებები ელვის სისწრაფით მოძრაობენ... ისინი სრულებით არა ჰგვიანან ერთმანეთს. კრისტოფის არსებაში ზღაბრული სანახაობა იშლება. კრისტოფი იღიმება. თავის ფიქრებს უღიმის. რომელიმე მათგანზე უნდა შეჩერება. იქნებ სიო დაეხმაროს და ამ ათას ოცნებაში ერთი ამოარჩევინოს. დრო ბევრი აქვს!.. შემდეგაც შეიძლება!.. როცა კი მოისურვებს, ისე დასჭირდება. ბადე ისროლოს და ამოიყვანოს წყალში მოლივლივე ეს უცნაური არსებანი. ინავარდონ!.. მერეც შეიძლება!.

ნაეს თბილი ქარი და ოდნავ შესამჩნევი დინება ერეკება. ირველივ სიმშვიდება. მზე ანათებს. სიწყნარება.

კრისტოფმა ზანტად ისროლა ბადე. წყალმა ტლაშენი გაიღო. ნაეზე გადაკიდებულმა თვალიც კი გააყოლა. ცოტა ხნის შემდეგ ნელა მოსწია. ბადე თანდათან მძიმდებოდა. კრისტოფმა სული მოითქვა. იცის, ნადავლი ხელთა აქვს. მაგრამ არ კი იცის როგორი. ის განგებ იგრძელებს მოლოდინის სიამოვნებას.

ბოლოს მოსწია ბადე. წყლის ზედაპირზე ცისარტყელის ფერებად აკაფდნენ თევზები. გველებივით იკლანებიან. კრისტოფი გულმოდგინედ დასცქერის, თითოთ არჩევს. საუკეთესოები უნდა ამოარჩიოს. ცოტა ხანს მაინც დაიჭიროს ხელში. მაგრამ წყლიდან ამოიყვანს თუ არა, ისინი ბრწყინვალეებას კარგავენ. კრისტოფი იძულებულია გაუშვას და სხვა ეძებოს. ერთის აკვიტებას ჯობს სათითაოდ დაათვალიერო შენს არსებაში მფეთქავი ყველა ოცნება. ანკარა წყალში მონავარდენი უფრო ლამაზები ჩანან.

რანაირი არ დაიჭირა. სულ ერთიმეორეზე უკეთესები. აზრებო თვეობით

იყრიდნენ თავს. სულ უსარგებლოდ იკრებოდნენ და კრისტოფიც ვეღარ იტევდა გამოუყენებელ სიმდიდრეს. ყველაფერი არეული ჰქონდა. მისი აზრები ახლა სხვენსა თუ ებრაელის დუქანსა ჰგავდა, სადაც ერთ ოთახში ზედახორად ეყარა იშვიათი ნივთები, ძვირფასი ქსოვილები, რკინეულობა და ძონძები. მას ვერ გამოერჩია, რომელი უფრო ძვირფასი იყო. ყველაფერი ერთნაირად იტაცებდა. ეს იყო მშვიდობიანი აკორდები, ექვნებივით აღღრებული ფერები, ფუტურების ზუზუნით შეწყობილი ჰანგები და შეყვარებულთა ბაგებივით მომღიმარი მელოდიები. ეს იყო ჰერეტა ბუნების სურათებისა და სახეებისა, ვნებათა და სულთა, ჰერეტა ხასიათებისა, ლიტერატურული და მეტაფიზიკური იდეებისა. ეს იყო დიდებული და განუხორციელებელი პროექტები, ტეტრალოგიები და დეკალოგიები, რომელთაც ყველაფერი მუსიკით უნდა გადმოეცათ და მთელი სამყაროები მოეცვათ. უფრო ხშირად კი ეს იყო გაურკვეველი, მაგრამ ელვარე შეგრძნებანი, წარმოქმნილი მოულოდნელად და არაფრისაგან: ვინმეს ხმაზე, ქუჩაში მიმავალი ადამიანის დანახვაზე, წვიმის წვეთის წკაპუნზე, შინაგან რიტმზე. ბევრი მათგანი მხოლოდ სახელწოდების სახით არსებობდა. უმრავლესობა ერთი-ორი შტრიხით იყო დახატული. და ეს კმაროდა. კრისტოფსაც, ისევე როგორც ყველა ძალიან ახალგაზრდას, სწამდა, რომ ჩაფიქრება და ხორცშესხმა ერთი იყო.

მაგრამ კრისტოფი ხომ სიცოცხლით საფეე პიროვნებაა და ბუნდოვან ზმანებებს დიდხანს ვერ იკმარებს. ილუზიებმა მოქანცეს. გადაწყვიტა, თვითონვე წარმოართოს თავისი ოცნებები. რით დაიწყოს? ყველა ერთიმეორეზე ფასეულად ეჩვენება. ხან იქით გადაატრიალებს, ხან აქეთ. ხან გადაადგებს, ხან კი ისევ დაიბრუნებს... არა, უკან აღარ იბრუნებდა. ისინი უკვე სხვანი იყვნენ. მათი დამორჩილება აღარ შეიძლებოდა. ერთთავად იცვლებოდნენ. იცვლებოდნენ თვალსა და ხელს შუა. კრისტოფი თითქოს ხედავდა კიდეც ამ ცვლას. უფრო ცოცხლად უნდა გარჯილიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა. რცხენოდა კიდეც საკუთარი მოუქნელობისა. ერთ დღეში აპირებდა ყველაფრის გაკეთებას, თუმცა უბრალო რამის გაკეთებაც კი ეძნელებოდა. უარესი კი ის იყო, რომ დასაწყისშივე გული ეყრებოდა საქმეზე. ოცნებები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და თვითონაც იცვლებოდა. რამეს რომ აკეთებდა, უკვე წუხდა, რატომ სხვას არ ვაკეთებო. საკმარისი იყო ერთ ჩანაფიქრზე შეჩერებულიყო, რომ ის უკვე აღარ აინტერესებდა. ბოლოს და ბოლოს მთელი მისი სიმდიდრე გამოუსადეგარი რჩებოდა. მისი ფიქრები მხოლოდ მანამ ცხოვრობდნენ, სანამ ხელს არ აყარებდა. რასაც ხელს მოჰკიდებდა, ის უკვე მკვდარი იყო. ეს ტანტალისეული¹ ტანჯვა გახლ-

¹ ტანტალი — ლიდის მეფე. რომელსაც ზევსმა შიმშილით და წყურვილით სამუდამო წამება მიუსჯა.

დათ — ხელის გაშვება და ნაყოფი ქველ იქცეოდა. ბაგეების მიტანა და ცივი წყალი ქრებოდა.

წყურვილის მოსაკლავად ადრე მოპოვებულ წყაროს, თავის ძველ ნაწარმოებებს დასწაფებოდა... გულისამრევი სასმელი კი არის. პირველივე ყლუპი გინებით გადმოაფურთხა. ნუთუ მისი ნახელავია ეს ნაყენი წყალი, ეს უღიმღამო მუსიკა. გადაიკითხა. შემადრწუნებელი იყო. აღარაფერი ესმოდა. ისიც კი ვერ გაეგო, რამ დააწერინა. წითლდებოდა. ერთხელ რომელიღაც სხვებზე უარესი ერთი გვერდის კითხვისას მიიხედ-მოიხედა კიდევ, ოთახში ხომ არავენ არისო, და შერცხვენილი ბავშვივით ბალიშში ჩარგო თავი. ზოგჯერ აღარც კი ახსოვდა, რომ ამ ნაწერების ავტორი თითონ იყო და სასაცილოდ ეჩვენებოდა...

— აი სულელი, — შესძახებდა ხოლმე და ხარხარებდა.

მაგრამ არაფერი ისე არ აცოფებდა, როგორც მღვლეზარე გრძნობების გადმოსაცემად დაწერილი ნაწარმოებები: სიყვარულის ნაღველი თუ სიხარული. სკამზე ბზიკნაკბენივით ცქმუტავდა, მაგიდას მუშტს ურტყამდა, თავში ხელს იციმდა და ცოფმორაეული ღმუროდა, ილანძვებოდა, ხან ღორს ეძახდა საკუთარ თავს, ხან უბადრუკობას, ხან კი ცხოველსა და მასხარას. ასე გრძელდებოდა ერთხანს, სანამ ყველა მარგალიტს არ გადმოაფრქვევდა. ბოლოს დადგებოდა სარკესთან, გაწითლებული ნიკაპზე ხელს წაივლებდა და გაიძახოდა: — ერთი შეხედე, შეხედე, შე გამოთავყანებულყო, რა ვინისთავიცა ხარი მე გასწაფდა, როგორ უნდა ტყუილების რომევა, შე არამზადავ, შენა! წყალი დაასხით მაგას, ბატონო, წყალი! — შემდეგ წყლიან თასში ჩაყოფდა თავს და, სანამ სული არ შეეხუთებოდა, არ ამოიღებდა. თვალბეზადმოკარკლული და გაწითლებული სელაპივით მოჰყვებოდა ხენშას და პირდაპირ თავის მაგიდას მიაშურებდა. წურწურით ჩამონადენი წყალი გუბედ დგებოდა მის ირგვლივ, მაგრამ მოსაწმენდად თავს არ შეიწუხებდა. პირდაპირ იმ არგასახარელ ქალღმერთებს სტაცებდა ხელს, გულმოსული ხეცდა, გლეჯდა და ბუზლუნებდა: — ესეც შენ, ესეც შენ, ესეც შენ, ესეც შენაო, — და მხოლოდ ამის შემდეგ დამშვიდდებოდა.

თავის ნაწერებში კრისტოფს განსაკუთრებით სიყალბე აღაშფოთებდა ხოლმე. არავითარი გრძნობა, გაზეპირებული ფრაზები, მოწაფური მქვერმეტყველები: სიყვარულზე ისე ლაპარაკობდა, როგორც უსინათლო ფერებზე. ყურმოკრულსა ჰყვებოდა და მოარულ სისულელეებს იმეორებდა. აქ არ იყო მხოლოდ სიყვარული, აქ იყო ყოველგვარი ვნება, რომელიც მან დეკლამაციის თემად გამოიყენა. თუმცა თავს მუდამ ძალას ატანდა, რომ გულმართალი ყოფილიყო. მაგრამ მარტო სურვილი როდი კმაროდა. გულმართალი უნდა იყო. მაგრამ აბა საიდან? ის ხომ ჭერ სრულებით არ იცნობს ცხოვრებას. ექვსი უკანასკნელი თვის გამოცდილებამ თავისი ნაწარმოებების ამოება დაანახვა და უფსკრულად აქცია წარსულსა და მას შორის. კრისტოფი უკვე გამოვიდა ზმანებებიდან. ახლა რეალური საზომი ხელთ ჰქონდა და მთელ აზრებს მას აზომებდა, რომ მართალი და ყალბი გაერჩია. მშრალი და გრძნობას მოკლებული თავისი ძველი ნა-

წარმოებები მას უკვე ზიზღსა ჰკვრიდა, მაგრამ ახლაც ზედმეტი მოსდიოდა — არაფერი დაეწერა, სანამ გული არ უკარნახებდა. იღებინს აყოლ-დაყოლს მოეშვა და დაიფიცა — მუსიკას თავს ვანებებ, სანამ ჩემში თვითონ არ დაიგრავინებსო.

აქ ამბობდა კრისტოფი, რადგან კარგად იცოდა, რომ ქექა-ქუხილი ახლოვდებოდა.

ელვა, როცა უნდა და სადაც უნდა, იქ შეკრავს კამარას. ზოგი მაღლობი წას თავისკენ იზიდავს. ზოგიერთი ადგილი, ზოგიერთი სული ქექა-ქუხილის ბუდეა, აქ წარმოიშობიან და აქეთ ისწრაფვიან ისინი ჰორიზონტის ყოველი კუთხიდან. წელიწადის ზოგიერთი თვისა არ იყოს, ზოგი ასაკიც ისეა დამუხტული ელექტრობით, რომ თავის დროზე მაინც დასქექს შენდა უნებურად.

მთელი სულიერი ძალები დაძაბულია. ქექა-ქუხილი ხშირად მთელი დღეები ეპირება... თეთრ ცას ცხელი ბამბა ბურავს. უძრავი ჰაერი თითქოს თუნთუხება. დუმს შებოჭილი დედაპიწა. გონება დარტყინავს მღელვარებისაგან. ბუნება დაგროვილი ძალების აფეთქებას ელოდება, მძიმედ აღმართული უბროს დარტყმას ღრუბელთა გრდემლზე. მიდი-მოდიან მუქი და ცხელი ჩრდილები. ცეცხლოვანმა ქარმა დააბერა. ნერვები ფოთლებივით კრთიან. მერე ისევ სიჩუბე ჩამოწვება. ცა კრუხივით გადააფოფრებია ქექა-ქუხილს.

ამ მოლოდინში რაღაც მტკივნეული გატაცებაა. ნაღველი გულზე აწვება აღამიანს და ისიც გრძნობს, რომ ძარღვებში იგივე ცეცხლი დაუდის, მთელს სამყაროს რომ წვავს. გაოგნებული სული ისევე ბორგავს ამ ცეცხლის ბუდეში, როგორც ყურძენი ქვევრში. მას სიცოცხლისა და სიკვდილის ჩანასახთა მირიადები ამოძრავებენ. რა გამოვა, არ იცის. დუმს, როგორც ფეხმძიმე ქალი, მზერა საკუთარი თავისკენ მიუქცევია. შეცბუნებული აყურადებს საკუთარ საშოს და ფიქრობს: ნეტავ რა უნდა იშვას ჩემგან?

ზოგჯერ ეს მოლოდინი ფუჭია. ავდარი ისე მიწყნარდება, არც იელვებს, არც იქუხებს. ადგები ზიზღმორეული, თავი დამძიმებული გაქვს, გული გატეხილი, ძარღვები მოშლილი, მაგრამ ეს დროებითია. არ შეიძლება, არ იქუხოს. დღეს თუ არა, ხვალ მაინც დასქექს და რაც უფრო გვიან იქექებს, მით უფრო ძლიერ დააგუგუნებს.

აგერა ისიც!.. შენი არსებებს მთელი სიღრმიდან ღრუბლები გადმოეფრქვევენ. ეს შავმოლურჯო სქელი ღვარცოფი, დროდადრო ელვა რომ გააპობს ხოლმე, მძიმედ და თავბრუდამხვევად მოედინება, ფარავს სულის ჰორიზონტს, ჩამქრალ ცაზე ფრთებს ატლამუნებს და სინათლეს ახშობს. სიგიჟის ქაშია! დახშულ გონებას ახლა თავაწყვეტილი მძლავრი და უფორმო სტიქია დაუფლებია. კანონს გალიაში გამოუმწყვდევია და იქიდან მართავს სულისა და რეალური სამყაროს წონასწორობას. სასიკვდილო ციებ-ციხელებას გრძნობ. სიცოცხლის იმედი

ადარ არის. მხოლოდ აღსასრულისკენაა შიისწრაფი. ეს კი თავისუფლების მომგვრელი სიკვდილია.

და უცბად იელვებს.

კრისტოფს სიხარულის ხმები აღმოხდა.

სიხარული, თავშეუკავებელი სიხარული! მზე ყველაფერს სხივებს უგზავნის, ახლანდელსაც და სამერძნოსაც. სხვა სიხარული, თუ არა შემოქმედებისა, არც არსებობს. მხოლოდ ის ცხოვრობს, ვინც ქმნის. ყველა დანარჩენი ჩრდილებია, დედამიწაზე რომ დალასლასებენ, ცხოვრების გერები. სიცოცხლის ყველა სიხარული შემოქმედების სიხარულია: სიყვარული, გენია, მოქმედება — ეს ერთი კოცონის ალებია. ისინიც კი, ვინც ადგილს ვერა პოულობენ დიდი კერის გარშემო — პატივმოყვარეები, ეგოისტები და გახარწნილი უქნარები, — მის მკრთალ ანარეკლზე გათბობას ცდილობენ.

შემოქმედება, ხორციელ სფეროში იქნება ეს თუ გონებრივში, არის საკუთარი სხეულის გალიიდან თავის დაღწევა, ცხოვრების ქარიშხალში ჩაბმა, ყოფნა იმად, რაც ხარ. შემოქმედება — სიკვდილის მოკვდინებაა.

ვაი მას, ვინც შემოქმედების უნარს მოკლებულია. ამქვეყნად უგზო-უკვლოდ დაკარგული უმზერს თავის გამოფიტულ სხეულს და საკუთარ თავში დაბუღებულ ბნელეთს, საიდანაც არასოდეს აღარ გამოანათებს სიცოცხლის სხივი. ვაი იმ სულს უნაყოფოს. გაზაფხულზე მწვანედ აფეთქებულ ხესავით სიცოცხლით და სიყვარულით რომ ვერ დამძიმდება. ხალხს შეუძლია პატივითა და სიყვარულით შეამკოს; იგი ცხედარს ამკობს.

როცა კრისტოფს სინათლის სხივი ეცემოდა, თითქოს ელექტრობამ დაუარაო, მღელვარებისაგან კანკალებდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს შუა ზღვაში მყოფმა უკუნეთ ღამეში დედამიწას მოჰკრა თვალი; ან თითქოს ზღვა ხალხში იკაფავდა გზას და უცებ წააწყდა ვილაცის უძირო თვალებს. ეს ხშირად მოდუნების შემდეგ ემართებოდა, როდესაც გონება უქმად მუშაობდა. მაგრამ უფრო ხშირად მაშინ, როცა სხვა რამეზე ფიქრობდა და ვინმეს კი ესაუბრებოდა, ან ქუჩაში სეირნობდა. ქუჩაში ყოფნისას რაღაც ცრუ მორიდება ხელს უშლიდა სიხარულის ხმამალლა გამოხატვაში. შინ კი არაფერი აკავებდა. ფეხებს აბაკუნებდა, გაპარჩვეების ნალარასა სცემდა. დედა შეილს კარვად იცნობდა, იცოდა, რასაც ნიშნავდა ყველაფერი ეს და ეუბნებოდა. ხოლომე, დედალს ჰგავხარ, ეს-ესაა კვერცხი რომ დასდოო.

უცბად რაიმე მუსიკალური იღვა შეიპყრობდა. ზოგჯერ ეს დამოუკიდებელი და დასრულებული ფრაზა იყო. უფრო ხშირად კი რაღაც ბუნდოვანებით გარემოცული ნაწარმოები. მისი აგებულება და საერთო ხაზები კარვად ვამოს-

კვიოდა ამ საფარში. ზოგიერთი თვალისმომკრეელი ფრაზა ჩრდილს ქანდაკების სიციხადით სწყყდებოდა. ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა სინათლის ერთი აფეთქება. ხანდახან მას სხვებიც მიჰყვებოდნენ. ყოველი მათგანი ბნელეთის სხვადასხვა კუთხეებს ანათებდა. მაგრამ, ჩვეულებრივ, ეს თვითნება ძალა ერთხელ ამოფრქვევის შემდეგ რამდენიმე დღით გაუჩინარდებოდა ხოლმე თავის ზღაპრულ ადგილ-სამყოფელში და ნავალზე განათებულ კვალს ტოვებდა.

შთაგონების ეს სიხარული ისე ძლიერი იყო, რომ ყველა დანარჩენისადმი მას ინტერესი ეკარგებოდა. გამოცდილმა ხელოვანმა კარგად იცის, რა იშვიათობაცაა შთაგონება, რომ ალღოთი შექმნილ ნაწარმოებს მუდამ გონება ამაღლებს. იგი წნეხში დებს თავის იდეებს და უქანასკნელ წვეთამდე დაადენს ღვთიურ წვესს (ზოგჯერ უნებლიეთ სუფთა წყალსაც გაურევს ხოლმე).

კრისტოფი ძალიან ახალგაზრდა იყო. თავის თავშიც ერთობ იყო დარწმუნებული და ასეთ უზადრუკ საშუალებას არ მიმართავდა. შეუძლებელზე ოცნებობდა — ისეთი არაფერი შეექმნა მთლიანად თვითნაბადი, მისი სული ან მომავალი არ ყოფილიყო. თვალებს შეგნებულად ხუჭავდა, თორემ ადვილად მიხვდებოდა, რა ფუჭიც იყო მისი განზრახვა. უექველია ახლა თავისი არსებობის სისრულის პერიოდში იმყოფებოდა. მისთვის უცხო იყო ჩავარდნები და სიცარიელე. ნადველი და არარაობა ახლა მასში ფეხს ვერ მოიკიდებდა. ყველაფერი ეს მისი უშრეტო ნაყოფიერების წყარო იყო. ყველაფერი, რასაც მისი თვალები ზედავდნენ და ყურები ისმენდნენ, ყველაფერი, რაც კი მას ეხებოდა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ყოველი შემოხედვა, ყოველი სიტყვა მის სულში ახალ ოცნებებს აღვიძებდა. თავისი აზრის უსაზღვრო ცაზე იგი მილიონობით ვარსკვლავის რბოლას ხედავდა. და მაინც, ახლაც, იყო წუთები, როცა ყველაფერი ერთბაშად ქრებოდა. მართალია, ეს ბნელი დიდხანს არ გასტანდა, დიდხანს არ გაჰყვებოდა ტკივილი სულის ხანგრძლივი დუმილისაგან, მაგრამ ეს უცნობი ძალა აფიქრებდა. ის ხან ეწვეოდა, ხან წავიდოდა. მობრუნდებოდა, გაქრებოდა. ისევ მობრუნდებოდა... და კვლავ გაქრებოდა. ნეტავ რამდენი ხნით გაქრა ამჯერად? დაბრუნდება თუ არა ოდესმე? კრისტოფის თავმოყვარეობა ამ ფიქრს არ იკარებდა. — ეს ძალა მე ვარ — ამბობდა ის. იმ დღიდან, როცა ის აღარ იარსებებს, აღარც მე ვიქნები: მე ნოვკლავ ჩემს თავს; ტანში უეცარი ყრუანტელი დაუვლიდა. ეს ახალი სიხარული იყო.

მართალია, წყაროს ამომზრობა მოკლე ხანში არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ კრისტოფი გრძნობდა, რომ ნაწარმოებს მთლიანად მაინც ვერ შეეახებოდა. იდეები თითქმის მუდამ დაუწმენდელი და მღვრიე ებადებოდა. საჭირო ხდებოდა დაწმენდა. გარსის გაცლა. ისინი მუდამ არეულად მოედინებოდნენ, ზვირთებად და ზვაებად მოდიოდნენ. და რომ ერთმანეთთან დაგვეკავშირებინა, საჭირო იყო გონებისა და ცივი ნებისყოფის ურთიერთმოქმედება. მაშინ კი წარმოიქმნებოდა სულ სხვა, ახალი არსება. კრისტოფიც თავისთავად იმდენად ძლიერი ხელოვანი იყო, რომ ასეთ რამეზე უარს ვერ იტყოდა. თუმცა არ გა-

მოტყუებოდა, ცრუობდა საკუთარ თავთან და ირწმუნებოდა, მხოლოდ და მხოლოდ ჩემს შინაგან სამყაროს გადმოვეცემ უცვლელადო. თავს კი მუდამ ძალას ატანდა, ცდილობდა, გადაემუშაებინა და მეტნაკლებად გასაგები გაეხადა. უფრო მეტიც, ისეც ხდებოდა, რომ მთლად ამახინჯებდა დედაარსს. რა ძალითაც არ უნდა შეეპყრო მუსიკალურ იდეას, ხშირად ვერც იტყოდა, რას ნიშნავდა იგი. ეს იდეა მისი არსების სიღრმეიდან მოდიოდა, სიღრმეიდან, რომლის აქეთაც გონება იწყებოდა. ამ უმწიკვლო ძალას საერთო საზოგადოება არ გამოადგებოდა. გონებას არ ძალუქდა გამოეცნო არც ერთი მისი მამოძრავებელი აზრი, არც ერთი ადამიანური გრძნობა, რომელთაც იგი განსაზღვრავდა და ჭვრეტებდა ალაგებდა. სიხარული თუ ნაღველი. ყველაფერი ერთ, გონებისათვის მიუწვდომელ მისწრაფებაში იყო გაერთიანებული და გონებაზე მაღლა იდგა. და შეიცნობდა გონება ამ ძალას თუ არა, ის მაინც იძულებული იყო სახელი დაერქმია მისთვის და ჩაერთო იმ ერთ-ერთ ლოგიკურ კონსტრუქციასში, რომელსაც დაუღალავად წარმოქმნის ადამიანი თავისი ტვინის სკაში.

კრისტოფი თავს ირწმუნებდა და იჯერებდა, რომ შეუცნობელ ძალას, რომელიც მე მაღელვებს, გარკვეული აზრი აქვს და ჩემს ნებასთან არის შეთანხმებულიო. შეუცნობლობის სიღრმეებიდან ამოხეთქილი თავისუფალი ინსტინქტი ძალაუნებურად, გონებრივ წყალობით, ერთვოდა კრისტოფის უცხო აზრებს. ასე შექმნილი ნაწარმოები კრისტოფის გონების ნაშთო ფართო სიუჟეტის და სტიქიური ძალების ხელოვნურ ნაერთს წარმოადგენდა. ის სულ სხვა აზრით იყო გამსჭვალული და თვით კრისტოფსაც არ ესმოდა.

კრისტოფი ბრძოდ მიდიოდა. მის არსებაში ერთმანეთს შეჯახებულ მოპირდაპირე ძალებს თავდახრილი მიჰყვებოდა. ურყევი და უცნობი ძალით აღსავსე მისი ნაწერები მწყობრ სიტყვასა და აზრის სინათლეს იყო მოკლებული. პატრონს გამოუცდელიობა ეტყობოდა, მაგრამ კრისტოფს ის მაინც სიამაყის სასიხარულო გრძნობით ავსებდა.

საკუთარი ძალების შეგნებამ გააბედინა და პირველად ჭიქურ შეახედა ყველაფერს, რაც მის გარშემო იყო. რაც უყოყმანოდ იწამა. კრისტოფმაც უმაღლეს თავისუფლად და დაპოუჯიდებლად აწონ-დაწონა ყველაფერი. ნისლი გაიფანტა და მან გერმანულ მოჩვენებითობას სახეში შეხედა.

ყველა ერს, ყოველგვარ ხელოვნებას აქვს თავისი ფარისევლობა. ქვეყანა მცირეოდენი სიმაართლითა და დიდძალი სიცრუით იკვებება. ადამიანის გონება უძლურია. ის ცუდად ეგუება წმინდა ჭეშმარიტებას. უნდა, რომ რელიგია, მორალი, პოლიტიკა, პოეტები და ხელოვანნი სიცრუეში ამოვლებულ სინამდვილეს აწვდიდნენ. ეს სიცრუე ყოველი ერის გონებას ეთვისება. იგი ფერს იცვლის თითოეული მათგანის შესაბამისად. სწორედ ეს უძნელებს ხალხებს ურთიერთგაგებას და უადვილებს ერთმანეთის სიძულვილს. სიმაართლე ყველასათვის ერთია. მაგრამ ყოველ ხალხს აქვს თავისი სიცრუე და მას იგი თავის იდეალიზმს ეძახის.

ყოველივე არსებული ამ სიცრუით სუნთქავს დაბადებიდან ვიდრე სიკვდილამდე. იგი მისი ცხოვრების აუცილებლობაა. არსებობენ მხოლოდ ერთეული გენიოსები, რომელთაც მარტობაში, საკუთარი აზრების თავისუფალ სამყაროში გადატანული გმირული კრიზისის შემდეგ ძალა შესწევთ თავი დააღწიონ ამას.

ერთმა უმნიშვნელო შემთხვევამ ნათლად დაანახვა კრისტოფს გერმანული ხელოვნების სიცრუე. და აუ აქამდე არ შეუმჩნევია, არა იმიტომ, რომ მუდამ თვალწინ ედგა, არა, მხოლოდ იმიტომ, რომ კრისტოფი ძალიან ახლოს იდგა ნასთან. მანძილი იყო მცირე. ახლა კი მთა დაინახა, რადგან მოშორებამ იდგა მისგან.

კრისტოფი Städtische Tonhalle-ში კონცერტს ისმენდა. დარბაზი ვრცელი იყო. პატარა მაგიდები ათ-თორმეტ რიგად ჩაემწყობიერებიათ. სულ ალბათ ორასი-სამასი მაგიდა იქნებოდა. სიღრმეში, სცენაზე, ორკესტრი იყო განლაგებული. ირგვლივ გაგვიმულ, რუხ მუნდირებში გამოწყობილ, ხორცსავე, გაპარსულ და სახედალაყდაყებულ გაბღენძილ ოფიცრობას მოეყარა თავი. ქალები ხმამაღლა საუბრობდნენ, ხარხარებდნენ და ზედმეტად კეკლუცობდნენ. მშვენიერ ქალიშვილებს სიცილის დროს ლამაზი კბილები უჩანდათ. სათვალეებიანი წვეროსანი ჩასუქებული მამაკაცები გულკეთილ, მრგვალთვალეზაან ობობებს ჩამოჰკავდნენ. ყოველი სადღეგრძელოს სათქმელად ფეხზე დგებოდნენ. ყველაფერი ეს რელიგიური მოწიწებით სრულდებოდა. ეცვლებოდათ ხმაც და სახის გამომეტყველებაც. მლოცველებს ემსგავსებოდნენ. ღვინის შესმა კი შეწირულების ცერემონიალი გეგონებოდათ. სვამდნენ. როგორც საეკლესიო თასიდან. პატივითა და მანკვა-გრებით. ლაპარაკსა და ჭურჭლის ჩხარა-ჩხურში მუსიკა აღარც კი ისმოდა. ყველა კი ცდილობდა ხმადაბლა ელაპარაკა და უხმაუროდ ეჭამა. Herr Konzertmeister-ი ვეება, წელში მოხრილი მოხუცი იყო. ნიკაპზე კუდივით ეკიდა თეთრი წვერი. გრძელ მოკაუქებულ ცხვირზე სათვალე ეკოსა. ის ფილოლოგს უფრო ჰგავდა.

ყველა ეს ტიპი კრისტოფს დიდი ხანია შეემჩნია, მაგრამ იმ დღეს, რატომღაც ისე იყო განწყობილი, რომ კარიკატურებად ეჩვენებოდა. არის ხოლმე დღე, როცა სრულიად შეუგნებლად უეცრად თვალში გეცემა არსებებისა და ნივთების სასაცილო, სხვა დროს შეუშინველი მხარეები.

კონცერტის პროგრამაში იყო „ეგმონტის“ უვერტიურა, ვალდტოფელის „ვალსი“, „ტანპოიზერი რომში სალოცავად“, ნიკოლაის უვერტიურა „უინძორელი ცელქი ქალები“, რელიგიური მარში „ატალიდან“ და ფანტაზია „ჩრდილოეთის ვარსკვლავზე“. ორკესტრმა ზომიერი სიჩქარით დაუკრა ბეთჰოვენის უვერტიურა, ხოლო ვალსი კი შმაგ ტემპში შეასრულა. როცა „ტანპოიზერი რომში სალოცავად“ სრულდებოდა, დარბაზში ბოთლების გახსნის ხმა გაისმო.

1 ქალაქის საკონცერტო დარბაზი

კრისტოფის მეზობელ მაგიდასთან მჯდომი ერთი მსუქანი მამაკაცი ფალსტაფის მიბაძვით ტაქტში აპყვა „უინძორელ ცელქ ქალებს“. ერთი წითელხელება, დაკვლევით ცხვირზე ოქროს პენსნე დაკოსებული ხანში შესული ჩასუქებული ქალი, რომელსაც ცისფერ კაბაზე თეთრი ქაპარი ერტყა, ხმამაღლა მღეროდა შუმანისა და ბრამსის Lieder-ებს¹. იგი მაღლა სწევდა წარბებს, თვალებს ატრიალებდა და ახამხამებდა, თავს აქეთ-იქით ხრიდა, მთვარესავით გაბადრული სახე უღიმოდა და ხშირად ისე იმანჭებოდა, რომ მისი კეთილშობილი და დიდებული გარეგნობა რომ არა, თავი კაფე-შანტანში გეგონებოდათ. ეს ოჯახის დედა პატარა კეკლუც გოგონას, ახალგაზრდობას, გატაცებას განასახიერებდა. შუმანის პოეზიასაც შეუმჩნევლად nursery-ს² იაფი სურნელი ედებოდა. ხალხი აღზნებული იყო, მაგრამ მაინც ყურადღებად იქცა, როცა გამოჩნდა „სამხრეთ გერმანელ მამაკაცთა საჯუნდო საზოგადოება“ (Süddeutschen Männer Liedertafel). ორფეონის მიბაძვით ის ხან ხმადაბლა, ხან კი გუგუნით ასრულებდა გრძობიერებით გაუღენთილ კუპლეტებს. ისინი ორმოციანი კი არა, თითქოს ოთხინი იყვნენ. კაცი იფიქრებდა, გუნდური სიმღერის მთელი სტილის მოშლა განუზრახავთო. ეს იყო წვრილმანი მელოდიური ეფექტების, უბადრუკი, მოწუწუნე მელოდიების და სულთმობრძავე პიანისიმოს უეცარი შეცვლა დიდი დოლის ბაგა-ბუგის მსგავსი გრგვინით. არც სისაყსე, არც ზომიერება, მხოლოდ და მხოლოდ გულისამრევი ზედმეტობა. ადამიანს Bottom-ის სიტყვები აგონდებოდა³: „ნება მომეცით წარმოვადგინო ლომი. ისე ვიღირილო, რომ თავი ბულბულად მოგაჩვენოთ.“

კრისტოფი თავიდანვე უსაზღვრო განცვიფრებით უღებდა ყურს. აქ მისთვის არაფერი იყო ახალი. ამ კონცერტებსაც იცნობდა. ორკესტრსაც და ხალხსაც. ოღონდ მოულოდნელად ყველაფერი ყალბად მოეჩვენა. ისიც კი, რაც ყველაზე მეტად უყვარდა — „ეგმონტის“ უვერტიჟურა. მისმა ზედმეტმა გაფანტულობამ და ზოგიერთმა ამალეღვებელმა ძალამ ახლა გული მოუკლა არაგულწრფელობით. ის, რაც მოისმინა, არ იყო არც ბეთჰოვენი, არც შუმანი, ესენი სასაცილო ინტერპრეტატორები და გადამღეპები იყვნენ და სულთამხუთავი ბუღივით გარს ეხვივნენ მათ. ესეც არაფერი. მაგრამ თვით მუსიკაში, საუკეთესოშიც კი, იყო რაღაც შემაწუხებელი, რაც კრისტოფს წინათ არასოდეს უგრძნია. რა უნდა ყოფილიყო? ამის გაანალიზებას, თავის საყვარელ მასწავლებლებთან მკრეხელურ შეკამათებას ვერ ბედავდა. თუმცა მაინც ხედავდა იმას, რისი დანახვა სულაც არ უნდოდა. ხედავდა და ისიც პიზელი Vergognosa-სავით⁴ თითებს შორის იტყირებოდა. კრისტოფი სრულიად გაძარცულს ჰკრეტდა გერმანულ ხელოვნებას. ყველანი, დიდნიც და ბრიყვნიც, დანატრებული მოწიწებით

1 სიმღერები (გერმანული)
 2 საბავშვო ოთახი (ინგლისური)
 3 შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმრის“ პერსონაჟი.
 4 მორცხვი (იტალიურად).

აფრქვევდნენ თავიანთ სულის ნადებს. გრძნობები დუღდა და გადმოდუღდა. მო-
ჩუხჩუხებდა ზნეობრივი კეთილშობილება. გული უზომო აღიარებაში ილეოდა.
საშიში გერმანული მგრძნობიარობის ზღუდეები მოშლილი იყო. ძლიერებს ის
ენარჯიას უნელებდა, სუსტებს კი თავის რუხ ზვირთებში იქცევდა. ღვარცოფი
იღგა. გერმანული აზრი სიღრმეში თვლემდა. ან კი რა იყო იგი? ეს იყო მენდელ-
სონის, ბრამსის, შუმანის და მათი მიმდევარი, მოწუწუნე და მალაღფარდოვანი
Lieder-ების წვრილფეხა ავტორთა მთელი ჯოგის აზრი... ცარიელი ქვიშა. არც
ერთი სალი კლდე. თიხა ნედლი და უსახური. ყველაფერი ეს ძალიან გულუბრყ-
ვილო და ბავშვური იყო და ხშირად კრისტოფს არც კი სჯეროდა, რომ ხალხი ამას
ვერ მიმხვდარიყო. ის ირგვლივ იცქირებოდა, მაგრამ ხედავდა მხოლოდ მოსმე-
ნილის სიკეთეში და აღქმის სიამოვნებაში წინასწარ დარწმუნებულ ბრიყვულ
სახეებს. ეს ხალხი ნებას არ მისცემს თავს საკუთარი აზრი იქონიოს. ისინი
მუხლს იდრეკენ ამ წმინდა სახელების წინაშე, ან კი რის წინაშე არ იდრეკენ
ისინი მუხლს? თავყანასა სცემენ მათ პროგრამას, სასმელ ქიქას, საკუთარ თავს.
იგრძნობოდა, რომ გულში „თქვენი უდიდებულესობით“ იხსენიებდნენ ყველა-
ფერს, რასაც ოდნავ მაინც ჰქონდა მათთან დამოკიდებულება.

კრისტოფი ხან ხალხს უტყვერდა, ხან კი მუსიკას უსმენდა. ბალში დადგმული
შუშის ბურთისა არ იყოს, მუსიკაში ხალხი მოჩანდა, ხალხში კი მუსიკა. კრის-
ტოფი გრძნობდა, რომ სიცილი ახრჩობდა, მაგრამ თავს იკავებდა და უნებურად
იძანჭებოდა. მაგრამ როცა „სამხრეთგერმანელმა მამაკაცებმა“ თავმოწონედ
შეაპრულეს შეყვარებული გოგონას მორცხვი „აღსარება“, კრისტოფმა თავი
ვეღარ შეიკავა და გადაიხარჩნა. — ჩუ, ჩუო, — შემოუტიეს აქეთ-იქიდან. მე-
ზობლებმა განკვიფრებით შემოხედეს. ამ გულკეთილმა და აღშფოთებულმა
სახეებმა კიდევ უფრო გაამხიარულეს კრისტოფი. მან უფრო ხმამაღლა მორთო
ხარხარი და იმდენი იცინა, რომ ცრემლებიც კი გადმოსცვივდა. ხალხი აღშფოთ-
და. — გააგდეთ გარეთ! — გაისმა შეძახილები. კრისტოფი ადგა და სიცილისაგან
გაუღუღლი და მხრებში აწურული გარეთ გავიდა. დარბაზიდან მისი გასვლა სა-
ბედისწერო შეიქნა. ამით დაიწყო მტრობა კრისტოფსა და მის ქალაქს შორის.

ამ განცდის შემდეგ შინ დაბრუნებულმა კრისტოფმა გადაწყვიტა ხელახლა
გადაეკეთხა „აღიარებულ“ კომპოზიტორთა თხზულებანი. მაგრამ თავისდა სამარ-
ცხვინოდ შეამჩნია, რომ მისი ყველაზე მეტად საყვარელი მასწავლებლებიც კი
ტყუან. იგი შეეცადა დაეჭვებულებო, ეწამა, რომ ცდებოდა, მაგრამ არა, შეუძ-
ლებელი იყო. იგი განაცვიფრა უსუსურობისა და სიცრუის იმ ნაზავმა, რომე-
ლიც დიდი ადამიანების ხელოვნების განძი იყო. რა ცოტა ფურცლებმა გაუძლეს
გამოცდას.

ამას შემდეგ გულსფანქვალთ შეუდგა სხვა თხზულებების, მისთვის ძვირ-
ფასი სხვა მასწავლებლების, კითხვას... მაგრამ! თითქოს ჯაღო გაუკეთესო,

მარცხს მარცხი მოსდევდა. მისთვის ეს გულის ხეთქვა იყო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს საყვარელ მეგობარს კარგავდა, თითქოს ამჩნევდა, რომ ყველაზე სანდო მეგობარიც კი თურმე დიდი ხანია ატყუებს. კრისტოფი ტიროდა. ღამე აღარ ეძინა. იტანჯებოდა. საკუთარ თავს ბრალსა დებდა. ნუთუ ავისა და კარგის გარჩევის უნარი აღარ ჰქონდა? ნუთუ მთლად გამოჩერჩეტდა? — არა, არა, ახლა ისე კარგად ხედავს გაბრწყინებული დღის სიკეთეს, როგორც არასდროს. მეტი სიახლით და სიყვარულით გრძნობს სიცოცხლის გულუხვობას. გული არ ატყუებს...

კიდევ დიდხანს ვერ ეკარებოდა კრისტოფი ყველაზე ძვირფასს, ხალასსა და წმინდას. თრთოლვით ფიქრობდა მათში რწმენის დაკარგვაზე. კი მაგრამ, როგორ შეაკავოს მართალი სულის უღმობელი ინსტინქტი, ბოლომდე რომ ისწრაფვის მისვლას და თანახმაა ისე დაინახოს საგნები და მოვლენები, როგორც არიან, თუნდაც სატანჯველი მოელოდეს. და კრისტოფმაც გადაშალა საანუკვარი თხზულებანი. გაიმეტა უკანასკნელი რეზერვები, საიმპერატორო გვარდია... პირველსავე შეხედვაზე გამოჩნდა, რომ არც ისინი ყოფილან სხვაზე ნაკლებ ცოდვილნი, გასაგრძელებლად ძალა აღარ ეყო. ჩერდებოდა, წიგნს კეცავდა. ნოეს ვაჟისა არ იყოს, საფარველს აფარებდა საკუთარ შიშველ მამას...

სასოწარკვეთილი კრისტოფი ნანგრევებს შორის იდგა. ამ წმინდა ილუზიების ხელყოფას ერჩია ხელი გახმობოდა. გული სტკიოდა. მაგრამ იმდენი ძალა, სიცოცხლის განახლების იმდენი უნარი ჰქონდა, რომ ხელოვნებისადმი ნდობა არ შეერყევიდა. და ცარიელ ადგილზე ახალგაზრდის გულუბრყვილო შეუპოვრობით თითქოს ხელახლა იწყებდა ცხოვრებას. ძალების ახალ მოზღვავენას გრძნობდა და ალბათ არცა ცდებოდა, რომ ცოცხალ ვნებებსა და ხელოვნებაში მათ ასახვას, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, საერთო არაფერი აქვთ. თუმცა კი ცდებოდა, როცა ფიქრობდა, მე უფრო მართლად ავსახავ ამასო. ამიტომ უფრო ბედნიერიც იყო. იგი თვით იყო ვნებებით სავსე და თავის ნაწერებში მათი პოვნა აღარ უჭირდა. მაგრამ ყოველივე ეს ერთობ არასრულყოფილად იყო გამოხატული და კრისტოფის გარდა მას ვერავინ ამოიცნობდა. მისგან გაკიცხული მოკვალი შემოქმედი სწორედ ასეთსავდ დღეში იყო. მათ ასევე განიცადეს და გაღმოსცეს ღრმა გრძნობები. ოღონდ მათი ენის საიდუმლო მათთან ერთად ჩაკვდა.

კრისტოფი სრულებით არ იყო ფსიქოლოგი და არც თავს იწუხებდა ამ სიბრძნით. ის, რაც მისთვის მკვდარია, ყოველთვის მკვდარი იყო. ამ აზრს ახალგაზრდული შეუბრალებლობით და თვითდარწმუნებული უსამართლობით ამოწმებდა ხოლმე წარსულის მიმართ. ყველაზე უფრო კეთილშობილ სულესაც კი საფარს ხდიდა. მათ სასაცილო მდგომარეობას არ ერიდებოდა, ეს იყო მენდელსონის ზედმეტი მელანქოლია, დახვეწილი ფანტაზია და კეთილშობურნე სიკარილე. ეს იყო ვებერის ზიზილ-პიპილები, გამომშრალი გული, გონებრივი ემოციები, ეს იყო ლისტი. კეთილშობილი მამა, ცირკის ცნენოსანი, ნეოკლასიკოსი და ჭამბაზი. მასში თანაარსებობდნენ კემპარიტი და მოჩვენებითი კეთილშობი-

ლება, წმინდა იდეალებში და ზიზღისმომგვრელი ვირტუოზობა. ეს იყო შუბერტი, ყელაძედ მდგარი გულისამრევ მგრძნობელობაში, როგორც გამჟვირვალე და მტენარ წყალში. კრისტოფმა არ დაინდო არც გმირული წლების ძველი ადამიანები, ნახევრად ღმერთები, წინასწარმეტყველნი და ეკლესიათა მამანი. წარსულისა და მომავლის დიდებული სებასტიანი, უკვდავი ბახიცი კი არ იყო თავისუფალი სიყალბისაგან, მოდური სიბრძნისა და სკოლური ლაყბობისაგან. ზოგჯერ კრისტოფს ეჩვენებოდა, რომ ეს ღმერთთან ნამყოფი კაცი, ეს ღვთის განსახიერება, თითქოს რაღაც იეზუიტურ, როკოკოს სტილის უფერულ და დაშაქრულ სარწმუნოებას ზიარებოდა. მის კანტატებში კრისტოფისათვის გულისამრევი, სიყვარულით გატაცებული და ღვთისმოსავი ბნედა (იესოსთან მოკეკლუტე სულის დიალოგები) შეიმჩნეოდა. მას ლოყებჩასუტებული, ჩამრგვალებული, ჰაერში მიღვივლივ ეტრუვიმები ელანდებოდა. ჩანდა, რომ გენიალური Cantor-ითახში ჩაეკტილი წერდა. მის მუსიკას შმორის სუნი ასდიოდა. მასში არ იყო ფართო სამყაროს ის ძლიერი ჰანგი, რომელიც ქროდა სხვებთან, შესაძლოა უფრო ჰატარა მუსიკოსებთან, მაგრამ უფრო დიდ ადამიანებთან. უფრო დიდ ადამიანებთან, ვიდრე ის იყო ბეთჰოვენთან ან ჰენდელთან. კიდევ ერთი, რაც კლასიკოსებს ახასიათებდათ და კრისტოფს გულს უკლავდა, ნაკლები თავისუფლება იყო. მათ ნაწერებში თითქმის ყველაფერი გაკეთებული იყო. გრძნობის უქმარისობას ისინი ზოგჯერ გაცვეთილი მუსიკალური რიტორიკით ავსებდნენ. ზოგჯერ ეს იყო მართივი რიტმი, ორნამენტული ნახატი. გამეორებული, შებრუნებული და მექანაიურად შერწყმული ყველა სახის კომპონაციებში. ამ სიმეტრიულ კონსტრუქციებსა და განმეორებებს — სონატებსა და სიმფონიებს სასოწარკვეთილუბამდე მიჰყავდათ იმ დროს წესრიგისა და ფართო და მწყობრის სილამაზის ნაკლებ მოყვარული კრისტოფი. ეს ქვისმთლელის ნახელავს უფრო ჰგავდა, ვიდრე მუსიკოსისას.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს კრისტოფი რომანტიკოსების მიმართ ნაკლებ სიმპატირეს იჩენდა. გასაკვირია, რომ ის მუსიკოსები უფრო აღიზიანებდნენ, ვინაც ყველაზე მეტად მოჰქონდა თავი თავისუფლებით, მუდმივი ჟინთა და ყველაზე ნაკლები სიმწყობრით. ისეთები, როგორიც იყო შუმანი. ამათ წვეთწვეთად, აურაცხელ წვრილ-წვრილ ნაწარმოებებში ღვარეს მთელი თავიანთი ცხოვრება. კრისტოფი მით უფრო გამმაგებით იბრძოდა მათ წინააღმდეგ, რომ აქ ხელავდა თავის ახალგაზრდა სულს და მთელ უსუსურობას, რომლის აღმოსაფხვრელადაც ფიცი მისცა თავის თავს. მართლაც და უმწიკვლო შუმანს სიყალბეში ბრალი არ დაედებოდა: ის თითქმის არასოდეს ამბობდა იმას, რაც სინამდვილეში არ განეცადა. მაგრამ სწორედ მისმა მაგალითმა მიიყვანა კრისტოფი იმ შეგნებამდე, რომ გერმანული ხელოვნების სიყალბე იყო არა იქ, სადაც შემოქმედნი განუტყდელი გრძნობების გაღმოცემას ცდილობდნენ, არამედ იქ, სა-

1 მამლერა. აქ გუნდის ხელმძღვანელი (იტალ.).

დაც გადმოსცემდნენ სინამდვილეში განცდილს, გრძნობებს, რომლებიც თავის-თავად იყვნენ მცდარნი. მუსიკა სულის შეუწყალებელი სარკეა. რაც უფრო გულუბრყვილო და კეთილსინდისიერია გერმანელი კომპოზიტორი, მით უკეთესად ასახავს გერმანული სულის სუსტ მხარეებს, მის მერყევ საფუძვლებს, მყიფე მგრძნობელობას, სიყალბეს, ნაძალადევ იდეალიზმს, საკუთარი თავის დანახვის უცოდინარობას, საკუთარი თავისათვის შეხედვის შიშს. ეს ყალბი იდეალიზმი ახასიათებდათ თვით უდიდეს ოსტატებს, ვაგნერსაც კი. მისი ნაწარმოებების ხელახალი კითხვის დროს კრისტოფი კბილებს აკრაქუნებდა. „ლოენგრინი“ აუტანელ სიყალბედ ეჩვენებოდა. სძულდა ეს გასანდალოზებული რაინდობა, ეგოისტური და ცივი ქველმოქმედების განსახიერება, საკუთარი თავით აღტაცებული და საკუთარ თავზე ყველაზე მეტად დამყარებული უშიშარი და უგულლო გმირები. კრისტოფი კარგად იცნობდა, ცხოვრებაშიც კარგად უნახავს გერმანელი ფარისევლის ეს ტიპი, უცოდველი და უხეში კოხტპარუწა. საკუთარი თავის მადმერთებელი, რომელიც ყველა სხვას დაუფიქრებლად გაიღებს მის სამსხვერპლოზე. „მფრინავი ჰოლანდიელი“ გაუთავებელი სანტიმენტალობით და პირქუში მოწყენილობით ტანჯავდა კრისტოფს. „ტეტრალოგიის“ გადაკვარებული ბარბაროსების შემადრწუნებელი სიყვარული; ზიგმუნდი თავისი დის მოტაცებისას გულისამრევად კიციანებს სალონურ რამანსს; სანიმუშო გერმანულ ცოლ-ქმარს „ღმერთების მწუხრიდან“ — ზიგფრიდსა და ბრუნჰილდეს თავი მოაქვთ ბლენძია და სიტყვამარავლი ცოლქმრული სიყვარულით ერთმანეთისა და განსაკუთრებით კი სხვების წინაშე. ამ ნაწარმოებში ყველა სახის სიცრუე იყო თავმოყრილი. ცრუ იდეალიზმი, ცრუ ქრისტიანიზმი, ცრუ გოთიზმი, ცრუ ზეპირსიტყვიერება, ცრუ ლეთისმოსაობა, ცრუ კაცთმოყვარეობა. არასოდეს პირობითობა არ ყოფილა ასე გაბერილი და თვალში საცემი, როგორც ამ თეატრში, რომელიც ყოველგვარი პირობითობის მოშლას იჩემებდა. არც ერთი წამით არ ცდებოდნენ არც თვალები, არც გონება, არც გული. რომ შემცდარიყავი, ამის სურვილი უნდა გქონოდა. ხალხს კი ასე უნდოდა. გერმანია ტკბებოდა ამ მოქველებული და ბავშვური ხელოვნებით, აშვებული ბრახა-ბრუნხისა და მისტაკური, ჩამომდნარი ქალწულების ხელოვნებით.

მაგრამ კრისტოფი მაინც ვერაფერსა ხდებოდა. ამ მუსიკის მოსმენა მას სხვასავე და სხვაზე მეტად იტაცებდა. იტაცებდა მისი ბოზოქარი ნაკადი, შემოქმედის უჩვეულო ნებისყოფა. ის იცინოდა, თრთოდა, ლოყები ენთებოდა, ეჩვენებოდა, თითქოს სულში ცხენოსანმა ლაშქარმა გაუქროლა და ეგონა, ყველაფრის ნება აქვს ასეთი ბოზოქარი სულის პატრონსო. რა სიხარული აღმოხდებოდა ხოლმე, როცა თრთოლოვით გადაფურცლულ ნაწარმოებებში თავის ნაცნობ, ოდინდელ ემოციებს წააწყდებოდა და მისი საყვარელი ნაწარმოების სიწმინდეს არაფერი ბილწავდა. ეს იყო მისგან გადარჩენილი სავანძურის ძვირფასი ნაშთი. რა ბედნიერი იყო! ეჩვენებოდა, თითქოს საკუთარი თავის ერთი ნაწილი გადაერჩინოს. და განა ეს თვითონ არ იყო? განა ის დიდებული გერ-

მანელები, რომელთა წინააღმდეგაც კრისტოფი აღმდგარიყო, მის სისხლს სისხლთაგანს, ხორცს ხორცთაგანს და თვით უძვირფასეს საკუთარ არსებას არ წარმოადგენდნენ? კრისტოფი მათ მიმართ ესოდენ მკაცრი იმიტომ იყო, რომ საკუთარ თავსაც მკაცრად უდგებოდა. ვის უყვარდა ისინი კრისტოფზე მეტად? ვინ გრძნობდა მასზე მეტად შუბერტის სიკეთეს, ჰაინდის უმწიკვლობას, მოცარტის სინაზეს, ბეთჰოვენის დიდ და გმირ გულს? თავს ვინ აფარებდა მასზე მოწიწებით ვებერის მოშრიალე ტყეებს, იოჰან სებასტიანის დიდებულ მრუშე კათედრალებს, მთელი გერმანიის სივრცეზე, ჩრდილოეთის რუხი ცისკენ მიმართული ქვეით ნაგები ქედებით, ვეება, ნაყშებიან სამრეკლოებით? მაგრამ სიყალბე მანაც სტანჯავდა და ამის დავიწყება არ შეეძლო. ამას კრისტოფი ერს, ზოლო სიდიადეს კი შემოქმედთ მიაწერდა. მაგრამ ცდებოდა. სიდიადეც და ნაკლიც ერთნაირად იყო კუთვნილება ერისა, რომლის დაუდგრომელი აზრი მუსიკისა და პოეზიის წყალუხვ მდინარედ მოედინებოდა და მთელი ევროპა ეწაფებოდა. და განა რომელ სხვა ხალხთან ნახავდა იმ გულუბრყვილო სიწმინდეს, რომელიც ახლა უფლებას აძლევდა ასეთი მკაცრი მსჯავრი გამოეტანა.

კრისტოფს ეს შეგნებული არა ჰქონდა. უხამსი შვილის უმადურობით საკუთარი დედის წინააღმდეგ მიმართავდა მისგანვე მიღებულ იარაღს. უფრო გვიან მას უნდა შეეგნო, რა ვალშიც იყო მის წინაშე, რა ძვირფასიც იყო ეს მისთვის...

მაგრამ ახლა ბრძალ უტევდა ბავშვობის ყველა კერპს. ის აღშფოთებული იყო კერპებზეც და თავის თავზეც, რომ ასე უდრტვიწველად სწამდა მათი. კარგიც იყო, ასე რომ ხდებოდა. ცხოვრებაში დგება ისეთი დრო, როცა უნდა გაბედო და უსამართლო გახდეს, პირწმინდად მოულო ბოლო თავსმოხვეულ აღტაცებასა და თავყვანისცემას, უარყო ყოველივე მართალიცა და ყალბიც, ყველაფერი, რის ქვეშარტებაშიც შენდა თავად არ დარწმუნებულხარ. ყველაფერი, აღზრდა არის ეს თუ გარშემო ნახული და გაგონილი, ცხოვრებისეულ უმთავრეს ქვეშარტებასთან ნარევი სიცრუითა და სისულელით წამლავს ბავშვის სულს. და თუ გინდა ქვეშარტი ადამიანი გახდეს, ახალგაზრდამ, პირველ ოიგში, ეს უნდა ამოირეცხო გულიდან.

კრისტოფი ჯანსაღი ზიზღის სწორედ ასეთ კრიზისს განიცდიდა. ინსტინქტი უკარნახებდა თავი განეწმინდა ყველა მოუნელებელი საკვებისაგან.

პირველ რიგში ეს იყო გულის ამრევი სანტიმენტალობა, წვეთებად რომ მოუონავდა გერმანელის სულიდან, როგორც ნესტიანი და აშშორებული სარდაფიდან. სინათლე! სინათლე! სუსხიანი, ძლიერი ნიავე, რომ უღმობლად მოსპოს გერმანული Gemüt-ის მგრქვეველი, წვიმის წვეთებივით უთვალავი Lieder-ების, Liedchen-ების და Liedlein-ების ჭაობის ოზშივარი და მყრალი სუნი, ეს უთვალავი Sehnsucht „წადილი“, Heimweh „სამშობლოს ნატვრა“, Aufschwung „ლტოლვა“, Frage „კითხვა“, Warum „რატომ“, An den Mond „მთვა-

რეს“, An die Sterne „ვარსკვლავებს“, An die Nachtigall „ბულბულს“, An den Frühling „გაზაფხულს“, An den Sonnenschein „მზის შუქს“; ყველა ეს Frühlingslied „გაზაფხულის სიმღერა“, Frühlingslust „გაზაფხულის სიხარული“, Frühlingsgruss „გაზაფხულის მისალმება“, Frühlingslied „საგაზაფხულო მოგზაურობა“, Frühlingsnacht „გაზაფხულის ღამე“, Frühlingsbotschaft „გაზაფხულის ცნობა“; ყველა ეს Stimme der Liebe „სიყვარულის ხმა“, Sprache der Liebe „სიყვარულის ენა“, Trauer der Liebe „სიყვარულის სევდა“, Geist der Liebe „სიყვარულის სული“, Fülle der Liebe „სიყვარულის სიხარული“; ეს Blumenlied „ყვავილების სიმღერა“, Blumenbrief „ყვავილები წერილი“, Blumengruss „ყვავილების სალაშქრო“; Herzeleid „გულის ტანჯვა“, Mein Herz ist schwer „გული მტკივა“, Mein Herz ist betrübt „გული ნაღვლობს, Mein Aug ist trüb „თვალში ცრემლი მაქვს“; გულუბრყვილო და ბრყვეული დიალოგები Röslein-თან (პატარა ვარდთან), ნაკადულთან, მტრედთან და მერცხალთან; ეს თავნება კითხვები: „ასკილს რომ ეკლები არა ჰქონდა“, „ისევ ძველ სწორთან ბუდობს მერცხალი თუ ახალ ცხოვრებას იწყებს“; უხამსი გრძნობების მთელი ეს ნიაღვარი, უხამსი ვნებათაღელვანი, უხამსი ნაღველი, უხამსი პოეზია... რამდენი კარგი რამ, რამდენი იშვიათი რამ გაიცვითა წარა-მარა ხმარებით! მაგრამ ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ ეს არავის სჭირდებოდა. ეს იყო ხალხისათვის გულის გახსნის ჩვევა კეთილი გერმანელის სულელური, მხურვალე ლტოლვა გულის ხმაძალა განდობისაკენ. სათქმელი არაფერი გქონდეს დასულ კი ლაპარაკობდე! ნეტავ თუ ოდესმე დამთავრდება ეს ლაქლაქი? — ჰეი, სიჩუმე, ჭაობის ყიყინებო!

სიცრუეს კრიტიკი ყველაზე მეტად სიყვარულის გამოხატვაში ხედავდა. აქ ცხოვრებისეულ სინამდვილესთან მისი შედარება უფრო ადვილი იყო. ამ ცრემლიანი და ზომიერი სასიყვარულო სიმღერების პირობითობანი ვერაფერს პასუხობდნენ, ვერც მამაკაცის სურვილებს და ვერც ქალის გულს. ამასობაში კი მათი დამწერი მამაკაცი თითოჯერ მაინც იყენებ შეყვარებულნი თავისი ცხოვრების მანძილზე. განა ასეთი იქნებოდა მათი სიყვარული? არა, არა! ისინი ცრუობდნენ, ცრუობდნენ როგორც ყოველთვის, ცრუობდნენ საკუთარი თავის წინაშე. საკუთარი თავის გაიდებას ცდილობდნენ... იდეალიზაციას! სხვა-ნაირად ეს ნიშნავდა ცხოვრებისათვის თვალის გასწორების შიშს, საგნების ქეშ-მარტივი ქვერტის უძლურებას. ყველგან ერთი და იგივე შიში, ყველგან იმავე ვაჟკაცური პირდაპირობის უქონლობა. ყველგან ცივი ენთუზიაზმი, გაბერილი და ცრუ ზემოქრობა პატრიოტიზმში, სმაში, რელიგიაში ე. წ. Trinklieder (სუფრულეები) ღვინისა თუ სასმისის განსახიერება იყო: Du, herrlich Glas „შენ, ძვირფასო სასმისო“. სარწმუნოება, ერის ეს ყველაზე თავისთავადი თვისება, ნაკადულივით მჩქეფარე სულის სწრაფვა მათთვის იყო რაღაც ფაბრიკის ნაწარმი, საცალო საქონელი. პატრიოტული სიმღერები ხმამაღსი პეტელის მცოდნე ცხვრის ფარებისთვის ჰქონდათ შექმნილი... იღრიალეთ ბარემ! — რაო! გა-

ნაკრობთ ცრუობას? — „იდეალიზაცია“ ღვინის სმაში, სისხლის ღვრაში, სიგიჟეში!..

ამის შემდეგ კრისტოფი ზიზლმა შეიპყრო მთელი იდეალიზმის მიმართ. ამ სიყალბეს უხეშობა ერჩინა. სინამდვილეში თვითონ უფრო დიდი იდეალისტი იყო, არ ჰყავდა და არც უნდა ჰყოლოდა უარესი მტრები, ვიდრე უხეში რეალისტები, რომელთაც ის. თითქოს, უპირატესობასაც კი ანიჭებდა.

მისწრაფება თვალში სინათლეს უკარგავდა კრისტოფს. მას თითქოს სულს უყინავდა ეს ბურუსი, მომაკვდინებელი სიცრუე, „უმზეო მოჩვენებითი იდეები“. იგი მზისკენ ისწრაფოდა თავისი არსების მთელი სიძლიერით. გაბატონებული სიყალბისა თუ ფარისევლობისადმი ახალგაზრდული სიძულვილის გამო კრისტოფი ვერ ხედავდა გრანდიოზული იდეალიზმის თანდათანობით შემქმნელი ერის ღრმა პრაქტიკულ სიბრძნეს, რომ წინ აღდგომოდა ველურ ინსტიქტებს, ან არადა სარგებელი ენახა.

ერის სულის გარდაქმნისა და ბუნების განახლებისათვის საჭიროა არა კანონმდებელთა შეგონებანი, მორალური ან საეკლესიო წესები, სახელმწიფო მოღვაწეები, მღვდლები და ფილოსოფოსები, არამედ საუკუნეობრივი ტანჯვა და გაჭირვება, რომ სიცოცხლისადმი მისწრაფების მქონე ხალხმა თავად ისწავლოს საკუთარი ბედის გამოჭედევა.

ამასობაში კრისტოფი თხზავდა კიდევ. მისი ნაწარმოებები არ იყო თავისუფალი იმ შეცოდებებისაგან, რომელთაც თვითონ სხვას უთქვიებდა. შემოქმედება მისთვის დაუძლეველი აუცილებლობა იყო და გონებით ნაკარანახევ წესებში ვერ ეტეოდა. შემოქმედება გონებას არ ემორჩილება. შემოქმედება აუცილებლობით წარიმართება. იმისათვის, რომ თავად არ შესცოდო, გრძნობებისათვის დამახასიათებელი სიყალბის ამოცნობა არა კმარა: ამას ხანგრძლივი და მედგარი შრომა სჭირდება. არა არის რა უფრო ძნელი, ვიდრე უმწიკვლოება შთამომავლობით მიღებული სიზარმაცით დატვირთულ ამ ჩვენ საზოგადოებაში. ეს განსაკუთრებით ძნელია გულის გახსნის მანიით შეპყრობილი ადამიანისა ან ხალხისათვის. ისინი ალაპარაკებენ გულს. ალაპარაკებენ შეუსვენებლად, მაშინ, როცა დუმილი აჯობებდა.

კრისტოფს, ამ მხრივ, წმინდა გერმანული გული ჰქონდა. დუმილის სიკეთე ჯერაც ვერ შეეგნო, ასაკობრივად არ იყო მომწიფებული ამ სიკეთისათვის. მამისაგან შთამომავლობით ერგო ლაპარაკის, ხმამალა ლაპარაკის, მოთხოვნილება. ის გრძნობდა ამ ნაკლს და ებრძოდა კიდევ, მაგრამ დიდი ძალა ეხარჭებოდა. კრისტოფს მეორე, არანაკლებ უსიამოვნო, პაპისაგან დაყოლილი მანკიც ჰქონდა დააძლევი — აზრის ზუსტად გადმოცემის სიძნელე. კრისტოფი ვირტუოზოს ძე იყო. კარგად ესმოდა ვირტუოზობის საშიში მომხიბვლელობა — ფიზიკური სიამოვნება სიჩაუქით გამოწვეული, სისწრაფით, დაქიმული კუნთებით,

სიხარული, რომელსაც ადამიანს თითქოს განცვიფრება და საკუთარი პიროვნების სიძლიერე ჰგვრის. სიხარული სავსებით მისატყეველი, ახალგაზრდა კაცი-სათვის თითქმის ბუნებრივი, მაგრამ არა ნაკლებ დამლუპველი ხელოვნებისთვისაც და სულისთვისაც. კრისტოფისთვის ეს ნაცნობი იყო. სისხლში ჰქონდა. სძულდა კიდევ, მაგრამ მაინც თავს უღებდა.

და კრისტოფიც მიდიოდა წინ დამძიმებული ღრმად გამჭდარი წარსულის ტვირთით, ერის ინსტინქტებით და საკუთარი ტალანტით აბორგებული. მიდიოდა ბორძივით და შორს ვერ გასცდენოდა თავის ნაგმობსა და ნაძრახს. მთელი მისი იმღრონიღელი ნაწარმოებები ალალი გულისა და მალალფარღვნობის, სიცოცხლისა და უსუსური ტიტინის ნარევი იყო. კრისტოფის თავისთავადობა მხოლოდ დროდადრო თუ გამოარღვევდა მისი შემზღუდველი მკვდარი ინდივიდების რკალს.

კრისტოფი მარტოხელა იყო. გზის მაჩვენებელი არავინ ჰყავდა, რომ ჰაობიდან გამოსულიყო. და როცა ეგონა თავი დავაღწიეო, სწორედ მაშინ ეფლობოდა უფრო ღრმად. ის ბრმად მიაბიჯებდა და ტყუილად ხარჯავდა დროსა და ძალას. ყველა საფეხურის გავლა სცადა. ამ შემოქმედებით დომხალში საკუთარ ნაწარმოებებს შორის უკეთესის გამოჩვენებს ველარ ახერხებდა. უსუსურ ჩანაფიქრებში, ღრმა ფილოსოფიურობის და გრანდიოზულობის მოჩემე სიმფონიურ პოემებში იყო გახლართული. მაგრამ მისი ხალასი გონება ასე დიდხანს ვერ იმოქმედებდა. ისიც ზიზლით ტოვებდა, შუაზე წყვეტდა დაწყებულ საქმეს. უფრო მეტიც, პოეზიის ყველაზე ძნელად მისაწვდომ შედეგებს ჰკიდებდა ხელს და უვერტიურებს აკეთებდა. აქ კი სხვის ადგილ-მამულში უხდებოდა ხელების ფათური. ლიბრეტოს თუ თვითონ თხზავდა (ამას კრისტოფი მოურიდებლად აკეთებდა), რალაც უმსაგავსოება გამოსდიოდა. ხოლო როცა გოეთეს, კლასტის, ჰებელის ან შექსპირის დიდებულ თხზულებებს ეკვეთებოდა, ამახინჯებდა ხოლმე. ეს არ იყო წვდომის ნიჰის უქმარისობის ბრალი, მას კრიტიკული აღლო დლაატობდა. სხვისი გაგება ჯერ არ იცოდა. საკუთარი თავით იყო სავსე, ყველგან საკუთარ თავს, თავის გულბერყვილო და აქაფებულ სულს პოულობდა.

ამ დღემოკლე მაჭლაჭუნების გვერდით იგი წერდა გრძნობათა მოძრაობის სახელდახელოდ ამსახველ აურაცხელ მცირე და ყველაზე დღეგრძელ ნაწარმოებებს: მუსიკალურ ფიქრებსა და Lieder-ებს. აქ, ისევე როგორც ყველგან, კრისტოფი მხურვალედ ილაშქრებდა ჩვეების წინააღმდეგ. ხელს ჰკიდებდა პოეზიის ყველაზე ფართოდ ცნობილ და მუსიკალურ ჰანგებზე დიდი ხნის განწყობილ ნაწარმოებებს და გაბედულად ცდილობდა სხვანაირად, შემანზე და შებერტზე უფრო სწორად, გადმოეცა ისინი. ხან კი ისწრაფვოდა გოეთეს პოეტური სახეებისათვის — მინიონისათვის, „ვილჰელმ მაისტერის“ არფისტისათვის თავთავიანთი, ინდივიდუალური, ნათელი და მოუსვენარი ხასიათი დაებრუნებინა. ზოგჯერ სასიყვარულო Lieder-ებს ეკვეთებოდა რომლებიც უნებისყოფო შემთხვევებს და უმგვანო პუბლიკას გულისამრევი სანტიმენტალობის

სამოსში გავხვია. კრისტოფი სწორედ ამ სამოსს ამორებდა და ოდინდელ ველურ და მგრძნობიარე სიმწკარტეს უბრუნებდა. ერთი სიტყვით, მისწრაფებების გაცოცხლებას თვით მათივე გულისათვის ლამობდა და არა გერმანული ოჯახების გულაჩუყებული მხიარულებისათვის საღმე Biergarten-ში, კვირაღღეს, მაგიდასთან.

თუმცა, ჩვეულებრივ, კრისტოფს მიაჩნდა, რომ პოეტები, თვით დიდი პოეტებიც კი, ერთობ ლიტერატურულნი არიან. და ისიც უპირატესად მარტივ ტექსტებს ეძებდა — ძველი Lieder-ების და სასულიერო სიმღერების ტექსტებს, რომლებიც ერთ დამრიგებლობითი ხასიათის წიგნში ჰქონდა ამოკითხული. კრისტოფი ცდილობდა ქორალის ხასიათი შეეცვალა და თავისუფლებას და სიცოცხლეს ძალიან გაბედულად ანიჭებდა. ან არა და იყენებდა სახარების გამონათქვამებს ან ანდაზებს, გზაში ყურმოკრულ სიტყვებს, ხალხში მოსმენილი საუბრის ნაწყვეტებს, ბავშვების მსჯელობას: ერთი სიტყვით, მარტივ პროზაულ ტექსტებს, რომლებშიც პირწმინდა მგრძნობელობა მოჩანდა. აქ კრისტოფი ნებაზე გრძნობდა თავს და ისეთ სიღრმეებს აღწევდა, რომ თავადაც კი არ ჰქონდა შეგნებული.

მის ნაწარმოებებში, კარგებში თუ ცუდებში, უფრო ხშირად კი ცუდებში, სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა. აქ ყველაფერი ახალი როდი იყო. ხშირად სწორედ გულწრფელობის გამო ერთსა და იმავეს იმეორებდა. ისეც ხდებოდა, სხვების ნახმარ ფორმებს იყენებდა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ფორმები ნათლად გამოხატავდნენ მის ფიქრებს, იმიტომ, რომ თვითონაც სწორედ ასე გრძნობდა. ორიგინალობას არაფრის გულისთვის არ გამოუღებებოდა. მას ეგონა, მხოლოდ უსუსურს შეეძლო ასე ფიქრი. ცდილობდა ეთქვა ის, რასაც განიცდიდა და სულაც არ დაგიდევდათ იყო თუ არა ეს მანამდე ნათქვამი. მას სწამდა, რომ ეს არის ორიგინალობის საუკეთესო საშუალება, რომ ჟან-კრისტოფი მხოლოდ ერთია. იგი არასდროს არსებულა და აღარც არასოდეს იარსებებს. ახალგაზრდული სითამამის გამო სწამდა, რომ გაკეთებული არაფერია, ყველაფერი გასაკეთებელი ან გადასაკეთებელია. ეს შინაგანი სისავსის გრძნობა არსებული ცხოვრების განუხსნადვრელობა დაუოკებელ ბობოქარ ბედნიერებას ჰგვრიდა. აღფრთოვანებას დასაპრული არა ჰქონდა. მას სიხარული არა სჭირდებოდა, ის ნაღველსაც კარგად შეეწყობოდა: ამის სათავე იყო კრისტოფის სიცოცხლით სავსე ხასიათი, მისი ძალა—ყოველი ბედნიერებისა და სიკეთის დედა. სიცოცხლე! სავსე სიცოცხლე!.. ვინც თავის თავში სიწლიერის სარჩოს, ცხოვრების სიხარულს არა გრძნობს. — თუნდაც უბედურებაში, — ის შემოქმედი არ არის. სწორედ ეს არის უტყუარი საზომი. ნამდვილი სიღიადე ამოიცნობა იქ, სადაც სიხარულის უნარი ერთნაირად სდევს ჭირსა და ლხინს. ვინმე ბრამსსა და მენდელსონს, ოქტომბრის თავსხმისა და პატარა წვიმის ღმერთებს, არასოდეს არ განუცდიათ ეს ღვთიური ძალა.

კრისტოფი კი გრძნობდა ამ ძალას და გულუბრყვილობის გამო სიხარულ-

საც არ მალავდა. ამაში ცუდს არაფერს ხედავდა. მხოლოდ თავის სიხარულს უზიარებდა სხვებს. ის ვერ აჩინებდა, რაოდენ გულსაკლავი იყო ეს სიხარული მრავალთაგან მრავლისათვის; ვისაც ის არასოდეს ეღიროებდა და მას მუდამ შუ-რით შეხედავს. თვით კრისტოფს კი სრულებით არ აწუხებდა მოსწონდათ თუ არ მოსწონდათ; იგი დარწმუნებული იყო თავის თავში და სხვებისათვის ამ რწმენის შეტყობინება უადვილეს საქმედ მიაჩნდა. თავის სიმდიდრეს ის აღ-არებდა მუსიკის მკეთებელთა სიღარიბეს და ფიქრობდა, რომ საკუთარი უპირა-ტესობის აღიარების მოპოვება ძნელი არ უნდა ყოფილიყო. სრულებითაც არა. საპირო იყო მხოლოდ თავის გააოჩენა.

და მანაც გამოიჩინა თავი.

ამას ელოდნენ.

კრისტოფი თავის გრძნობებს არ მალავდა. რაც გერმანული ფარისევლობა შეიცნო, ფარისევლობა, რომელსაც არ სურდა არსებული სახით საგნების და-ნახვა, მან წესად დაისახა სრული, სამართლისო და შეურაცხველი გულანდილო-ბა ყველას მიმართ, ენც უნდა ყოფილიყო, რაგინდ საპატიოც, თხზულება იქნე-ბოდა ის თუ პიროვნება. და რადგანაც ზომიერებას ვერ იცავდა ხოლმე, ახლაც უკიდურესობამდე მიდიოდა; რაღაც სასწაულებს ამბობდა და განცვიფრებაში მოჰყავდა ხალხი. თვითონ ხომ გულუბრყვილობის განსახიერება იყო. ყველა ვაშელელ-გამომვლელს ისეთი გულმოდგინებით უამბობდა თავის შეხედულებას გერმანული ხელოვნების შესახებ, გეგონება რაღაც ძვირფასი აღმოჩენა აქვს და გულში აღარ უნდა შეინახოსო. მას წარმოდგენაც კი არა ჰქონდა, რომ ეს შეიძლება ვინმეს შეურაცხყოფა ყოფილიყო. რომელიმე ცნობილი ნაწარმოების უსუსურობაში დარწმუნებული კრისტოფი სავსე იყო თავისი აზრით და მოთ-მინება აღარ ჰყოფნიდა, სანამ ვინმეს არ უამბობდა. სულ ერთია, ვინ იქნებოდა ის, ორკესტრის მუსიკოსი თუ მოყვარული. ყოველგვარ აბლაუბდას სახეგაბრწ-ყინებელი ლაპარაკობდა. თავდაპირველად ამას სერიოზულად არავინ იღებდა, ეცინებოდათ, ხუმრობაში ართმევდნენ. მაგრამ შეამჩნიეს, რომ ძალიან ხშირად იპყრობდა და თანაც ნაკლებმოსაწონი სიჯიუტით. ამკარა გახდა კრისტოფს სწამდა თავისი პარადოქსები და უკვე სასაცილოსაც ნაკლებს ხედავდნენ. ის უხერხულობას იწვევდა ხოლმე. ხმაძალდა გამოაცხადებდა თავის ირონიულ შე-ნიშვნას კონცერტის მიმდინარეობის დროს და საერთოდაც. სადაც არ უნდა ყო-ფილიყო, ამკარად გამოხატავდა სიძულვილს უდიდესი ოსტატების მიმართაც კი.

ყველაფერი უმაღ ვრცელდებოდა პატარა ქალაქში, არცერთი სიტყვა არ იკარგებოდა. მას ჯერ კიდევ შარშანდლიდან უბღვერდნენ. მისი გამომწვევი საქ-ციელი და თავმომწონეობა ადასთან ერთად ყოფნის დროს ჯერაც არ დავიწყე-ბოდათ. თვითონ უკვე აღარაფერი ახსოვდა. ყოველი დღე მეორეს აფერმკრთა-ლებდა. ახლა კრისტოფი აღარ იყო ის, რაც ამ ცოტა ხნის წინ. სამაგიეროდ სხვებს ახსოვდათ. ყველა პატარა ქალაქში სოციალური ფუნქციაა მეზობლის

ყველა შეცდომის, ყველა მანკის, ყველა სამწუხარო და მახინჯი შემთხვევის გულმოდგინე აღრიცხვა. ბოლოს და ბოლოს ამქვეყნად ხომ არაფერი იკარგება. ბუნებრივია, კრისტოფის ძველი შეცოდებების სია ახლებით შეივსო. ისინი ერთი მეორის ახსნას იძლეოდნენ. მორალის შეურაცხყოფას ახლა წესიერების სამარცხვინო დარღვევაც შეემატა. ყველაზე მეტად გულმოწყალები ამბობდნენ:— თავის გამოჩენას ცდილობსო, მაგრამ უმრავლესობა ასკვნიდა: Total verrückt (სულ მთლად გიჟიაო).

დაირბა კიდევ ერთი, არანაკლებ საშიში და სასტიკი ხმა, რომელიც მალაღობი სფეროებიდან მოედინებოდა და წარმატებაც უზრუნველყოფილი ექნებოდა. ამბობდნენ, კრისტოფმა ციხე-კოშკში, სადაც თავის ოფიციალურ საქმიანობას ეწევა, ჰერცოგთან საუბრის დროს გაბედა და აუგად მოიხსენია საქვეყნოდ აღაარებული ოსტატებით. მენდელსონის „ილიას“ მლიქვნელი მღვდლის ბურტყუნი უწოდა, შემანის ზოგიერთ Lieder-ს „ქალწულების მუსიკა“ და ეს მაშინ, როცა უფლისწულების უდიდებულესობას ეს ნაწარმოებები საუკეთესოდ მიაჩნიათ. ჰერცოგმა ამ თავგასულობას მშრალი პასუხით მოუღო ბოლო.

— ხანდახან, როცა გისმენთ, ბატონო, კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ თქვენ გერმანელი არა ხართ.

ასეთი სიმაღლიდან წამოსული ეს გამანადგურებელი სიტყვები არ შეიძლება ძირაძღე არ ჩასულიყო. ყველას, ვისაც თვალში არ მოსდიოდა კრისტოფი, მისი წარმატების თუ პირადი მიზეზის გამო, მაშინვე გაახსენდა, რომ ის მართლაც არ იყო წმინდა გერმანელი. მამამისი, როგორც ვახსოვთ, წარმოშობით ფლანდრიელი იყო და რაღა გასაკვირია, თუ ვადმოხვეწილი კაცი ერის დიდების გაბიარებებს შეეცდებოდა. ეს ამბავი ყველაფრის ახსნას იძლეოდა. თავმოყვარე გერმანელებისათვის საკმარისი იყო, რომ კიდევ უფრო ამადლებულიყვნენ საკუთარ თვალში და ამავე დროს უფრო მეტად შესქულებოდათ მტერი.

ეს წმინდა პლატონური შურისგება კრისტოფმა უფრო მატერიალური საბუთებით გააძლიერა. სხვისი ვაკრიტიკება იმ დროს, როცა თვითონ აპირებ კრიტიკას წინაშე წარდგომას, ერთობ სახიფათოა. ვინმე სხვა, უფრო მოქნილი შემოქმედი, მეტ პატივისცემასა და თავმდაბლობას გამოიჩინდა თავისი წინაპრების მიმართ. მაგრამ კრისტოფი ვერავითარ გამართლებას ვერ ხედავდა დაემალა უსუსურობისაღმი ზიზღი და საკუთარი ძალის შეგნებით გამოწვეული სიხარული. ეს სიხარული მოზღვაებულ თავშეუკავებლობაში ჩნდებოდა ხოლმე. კრისტოფს ყველაფრის გამოთქმის მოთხოვნა გაუჩნდა. ამდენ სიხარულს ერთი კაცის გული ვერ დაიტევდა. და თუ არავის გაუზიარებდა, შეიძლება გაგულდულიყო კიდევ. მეგობრები არ ჰყავდა. ამიტომ მესაიდუმლედ ორკესტრის კოლეგა გაიხადა, მეორე კაპელმამისტერი, გულკეთილი და ეშმაკი ახალგაზრდა, ვიურტემბერგელი ზიგმუნდ ოქსი, რომელიც გადაჭარბებულ პატივისცემას იჩინდა კრისტოფის მიმართ. კრისტოფს სჯეროდა მისი, მაგრამ რომც ეჭვი შეჰპარგოდა მასში, რა უშავდა, თუ თავის სიხარულს გულგრილ მსმენელს ან მტერს გაუ-

ზიარებდა? განა ისინი მადლობელნი არ უნდა დარჩენილიყვნენ? მას ხომ სიხარული მოაქვს ყველასათვის, მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც. მას აზრადაც არ მოსვლია, რომ ადამიანები ყველაზე ძნელად ახალ საკეთეს ეგუებიან და ლამის ისევ ძველი ჭირი ურჩევნიათ, საუკუნეობით ნაღუკ საკმელს ამჯობინებენ. მათთვის აუტანელი უფრო ის არის, რომ ამ ბედნიერებას სხვას უნდა უმადლოდენ. ამ წყენას არასოდეს აპატიებენ, თუ არა მაშინ, როცა მეტი გამოსავალი არა აქვთ. ყველა შემთხვევაში ეს სიკეთე მის მომტანს ძვირად უჯდება.

კრისტოფის გულახდილობას არავენ თანაუგრძნობდა. ამას ათასი მიზეზი ჰქონდა. მაგრამ ზიგმუნდ ოქსთანაც რომ ასე იყო, ამას ათას ერთი მიზეზი მოეძებნებოდა. სულ მალე უნდა გადამდგარიყო პირველი კაპელმაისტერი ტობიას პფაფერი. კრისტოფს, ახალგაზრდობის მიუხედავად, ყველა შანსი ჰქონდა მიაღვილინ დასაკავებლად. ოქსს, ღირსეულ გერმანელს, არ შეეძლო კრისტოფი სათანადოდ არ ელიარებინა ამ ადვილის შესაფერისად. მითუმეტეს, რომ სასახლის კარი მის მხარეზე იყო. მაგრამ ოქსი საკუთარ თავსაც ძალიან მალა აყენებდა. და უფრო ღირსეულადაც კი მიაჩნდა. საჭირო იყო ოქსი უკეთ გაეცნოთ სასახლის კარზე. სწორედ ამიტომ უცნაური ღიმილით ისმენდა ხოლმე დილაობით თეატრში მოსული კრისტოფის საუბარს და თუმცა სერიოზული სახის მიღებას ცდილობდა, თვალები მაინც სიხარულისაგან უციმციმებდა.

— როგორ არის საქმე? — ეშმაკურად ჰკითხავდა ოქსი გვერდზე ჩაელინას, — კიდევ გაქვს რაიმე შედეგები?

კრისტოფი მკლავში მკლავს გაუყრიდა:

— ეჰ, ჩემო მეგობარო, აი ეს ყველას სჯობია... ნეტავ მოგაძენინა... დალახვროს ეშმაკმა, ძალიან კარგია! ღმერთო, შეინდე ის საწყალი ხალხი, ვინც მას მოისმენს. ამის შემდეგ ისინი მშვიდად დალევენ სულს.

ეს სიტყვები ტყუილად არ იკარგებოდა. ოქსს რომ გასცინებოდა ან მეგობრულად გაეკიცხა ეს ბავშვური აღფრთოვანება, პირველ რიგში თვითონ კრისტოფი გადაიხარხარებდა. მაგრამ ოქსი ხედებოდა, რომ ყველაფერი ეს სასაცილო იყო და განგებ მეტ ცეცხლს უკიდებდა, ახალი სისულელეებისაკენ უბიძგებდა, რომ შემდეგ მთელი ქვეყნისათვის მოედო უფრო გროტესკულ ფორმებში. მუსიკოსთა ვიწრო წრეში კრისტოფს ყბად იღებდნენ, ყველა მოუთმენლად ელოდა შემთხვევას, განესაჯათ მისი უბედრული თხზულებანი. ისინი უკვე წინასწარ განკიცხულნი იყვნენ. ბოლოს გამოჩნდა კიდევ ეს ნაწარმოებები.

თავისი ნაწერების გროვიდან კრისტოფმა ამოარჩია ჰებელის „იგნაის“ უვერტიურა. იგი დაუდგარი ენერგიულობით იზიდავდა კაცს და ამი... განსხვავდებოდა გერმანული მოდუნებულობისაგან. თუმცა სიზნანტისა და ვენიალურობისაკენ სწრაფვის გამო ჰებელიც კი თანდათან ზიზღს იწვევდა შასში. აქვე იყო სიმფონია. მისი მაღალფარდოვანი, ბუნდოვანი სახელწოდება „სიცოცხლის სიზმარი“ კრისტოფმა ბაზელულ ბეკლინისაგან ისესხა და ეპიგრაფად ლათინური ანდაზა: *Vita somnium breve* (სიცოცხლე ხანმოკლე სიზმარია) დაურთო.

ზემდეგ მოდიოდა Lieder-ები, რამდენიმე კლასიკური ნაწარმოები და ოქსის Festmarsch-ის, კონცერტში მეგობრობის ხათრით ჩართული, თორემ მისი ნაძვლი ფასი კრისტოფმა კარგად იცოდა.

რეპეტიციების შესახებ ქალაქში თითქმის არაფერი იცოდნენ. ორკესტრს სრულიად ვერაფერი გაეგო ამ ნაწარმოებებისა. ყველა შემსრულებელი გამოუვალ მდგომარეობაში იყო ახალი, უჩვეულო მუსიკისაგან. მათ არც დრო ჰქონდათ და, რაც მთავარია, არც უნარი, რომ ამ მუსიკაზე რაიმე თვალსაზრისი შეექმნათ. ამიტომ ხალხს ელოდნენ. ამასთან ერთად კრისტოფის სიმტკიცე პატივისცემას იწვევდა ამ გამოცდილ და დამჭერე ორკესტრში. ასეთი იყო ყველა კარგი გერმანული ორკესტრი. ერთადერთი სიძნელე მომღერალ ქალთან იყო დაკავშირებული. ეს იყო ცახფერებში გამოწყობილი ქალი, Tonhalle-ში რომ მღეროდა. იგი ცნობილ მომღერალად ითვლებოდა გერმანიაში. ეს ოჯახის ღედა ბრუნვილდასა და კუნდრის ასრულებდა დრეზდენსა და ბაიროიტში და უდავოდ დაამტკიცა თავისი ფილტვების ძალა. მართალია, მან ვაგნერის სკოლაში შეითვისა საამაყო მძინეული ხელოვნება — ნათელი დიქცია, თანხმოვანი ბგერების ძლიერი ქდერადობა, ხმოვნების გრდემლისებური ზარი, მაგრამ ბუნებრიობა მაინც არა ჰქონდა. ეს შემთხვევითი არ გახლდათ. ის ყოველ სიტყვას ახეაფერებდა. ყველაფერი ხაზგასპული იყო, ყოველი მარცვალი ტყვიანახსმული. ყოველი ფრაზა ტრაგედით სავსე. კრისტოფმა სთხოვა, ცოტა გაანელებთ დრამატული გამოხატულობაო. თავდაპირველად ის კეთილგანწყობილი შეხვდა ამ თხოვნას. მაგრამ თანდაყოლილი მოუხეშაობა და ხმის გამოჩენის სურვილი მინც ძლევდნენ ხოლმე. კრისტოფი ნერვიულობდა. მან შენიშვნაც მისცა ამ საპატიო ქალბატონს — თუ შეიძლება ადამიანის ხმა გამაგონეთ და არა გველიშაბ ფაფუნისაო. როგორც მოსალოდნელი იყო, ქალმა ეს შეურაცხყოფად მიიღო. მაღლობა ღმერთს, — თქვა მან, — კარგად ვიცი, რა არის სიმღერა და პატივიც მქონდა თვით დიდი ბრამსის წინაშე შემესრულებინა მისი Lieder-ებით. ბრამსი კი მზად იყო მუდამ ესმინა ჩემთვისო.

— მით უარესი, მით უარესი, — შეპყვირა კრისტოფმა.

ქალმა ამაყად გაიცინა და სთხოვა—კეთილი ინებეთ და ამისხენით ამ გაუგებარი შეძახილის მნიშვნელობაო. კრისტოფმა უპასუხა — ბრამსი არასოდეს არ ყოფილა ბუნებრივი და ამიტომ მისი ქება ყოველგვარ საყვედურზე უარესია. და თუმცა, როგორც ქალბატონმაც შენიშნა სავსებით სამართლიანად. კრისტოფი ზოგჯერ თვითონაც ნაკლებ ზრდილობიანი იყო ხოლმე, მაგრამ თავის თავს მაინც არ მისცემდა ქალის ესოდენ შეურაცხყოფის უფლებას.

ღვა გრძელდებოდა. ქალი ისევე აუტანელი მელოდრამატული პათოსით მღეროდა. კრისტოფმა ცივად განაცხადა — ეს ქალი ბუნებით ასეთია და არაფრის შეცვლა არ შეიძლებაო. რადგანაც არ ხერხდება Lieder-ების შესრულება

1 საუღესასწაულო მარში (გერმან.)

ისე, როგორც საჭიროა, სულაც ნუ შესრულდება, პროგრამიდან ამოვიღოთო. კონცერტამდე ბევრი დრო აღარ რჩებოდა, Lieder-ებს იმედით შესცქეროდნენ. თვითონ მომღერალი ლაპარაკობდა მათ შესახებ. იგი საკმაოდ მუსიკალური ქალი იყო და შეეძლო მათი ზოგიერთი ღირსების შეფასება. ქალი, მართალია, შეურაცხყოფილი იყო კრისტოფისაგან, მაგრამ დაწმუნებული არ იყო, რომ ხვალინდელი კონცერტი კიდევ უფრო არ გაუთქვამდა სახელს ან ახალგაზრდა მუსიკოსის და აღარ მოინდომა ურთიერთობის გაწყვეტა ამომავალ ვარსკვლავთან. ის უცბად მოღბა. უკანასკნელ რეპეტიციაზე ყველა თხოვნას უსრულებდა კრისტოფს, თუმცა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, კონცერტზე მაინც თავისი გაეტანა.

ეს დღეც დადგა. კრისტოფს არაფერი აშფოთებდა. იგი სავსე იყო საკუთარი მუსიკით და ამის განსჯა მის ძალას აღემატებოდა. იცოდა, რომ ნაწარმოებების ზოგიერთი ადგილის გამო იქნებ დაეცინათ კიდევ. მაგრამ მთავარი ეს როდი იყო. დიადი ნაწარმოების დაწერა ისე, რომ არავინ დაეცინოს, შეუძლებელია. თუ გინდა ღრმად ჩაწედე რამეს, უნდა უკუაგდო ადამიანური პატივი, ზრდილობის წესები, თავმდაბლობა, დაგმო საზოგადოებრივი თვალთმაქცობა, ასე მიმიღე რომ აწევეს ადამიანის გულს. ხოლო ვისაც უნდა არავის არ შეეხოს და წარმატებას დაელოდოს, ის განწირულია მთელი თავისი სიცოცხლე ადვილად მოსაწელებელი უსუსურობა უზიდოს უსუსურთ. ცხოვრებას გარედან უნდა უცქირო. დიადი მაშინა ხარ, როცა ასეთი რამ არ გაწუხებს. კრისტოფმაც გვერდი აუარა ყოველივე ამას. მისთვის იქნებ დაესტვინათ კიდევ, მაგრამ დაწმუნებული იყო, გულგრილი არავინ დარჩებოდა. გახარებულს ახლავე წარმოდგენილი ჰქონდა, როგორ დაიმანქებოდა ზოგ-ზოგი ნაცნობი გაბედული ადგილების მოსმენაზე. მის მკაცრ კრიტიკას ელოდა და წინასწარ იღიმებოდა. ყოველ შემთხვევაში, ბრმა ან ყრუ უნდა ყოფილიყავ, რომ მის მუსიკაში ძალა არ გეგრძნო. ხოლო სასიამოვნო იყო ის თუ არა, ამას მნიშვნელობა არა ჰქონდა. სასიამოვნო! სასიამოვნო!.. ძალა! აი, რა არის მთავარი ძალა, თვითონ გაეკაფავა გზას, რაინის ტალღასავით წალეკს ყველაფერს.

პირველი უსიამოვნებაც მოხდა. ჰერცოგი არ ჩამოვიდა. მისი ლოჯა სტატისტებმა დაიკავეს: სასახლის კარის ქალბატონებმა. კრისტოფი გაბრაზდა. — იბერება ეს ბრიყვი, — ფიქრობდა ის, — არ იცის, რა იფიქროს ჩემს ნაწარმოებებზე და თავის შერცხვენისა ეშინია. — კრისტოფმა მხრები აიჩეჩა, აქაო და ასეთი უბრალო რამე ვერაფერს დამაკლებსო. სხვებმა ყური ცქვიტეს. ეს იყო პირველი გაფრთხილება და მუქარა მომავლისათვის.

არც ხალხს გამოუჩენია პატრონზე მეტი ყურადღება. დარბაზის კარგა მესამედი ცარიელი იყო. კრისტოფმა გულისტკვილით გაიხსენა ბავშვობის კონცერტები, როცა დარბაზი გაჭედილი იყო ხოლმე. მეტი გამოცდილება რომ ჰქონო-
3. რ. როლანი

და, ეს არ გაუევირდებოდა. ბუნებრივად მიიჩნევდა, რომ ახლა, როცა ას კარგ მუსიკას წერს, ნაკლები ხალხი ეტანება, ვიდრე მაშინ, როცა ცუდად წერდა. ხალხს ხომ მუსიკოსი უფრო აინტერესებს, ვიდრე მუსიკა. როგორც ჩანს, გარეგნულად სხვა ადამიანის მსგავსი მუსიკოსი ნაკლებ საინტერესოა, ვიდრე მოკლემარჯლიანი, ან ბავშვურ კაბაში გამოწყობილი მუსიკოსი, რომელიც მგრძობელთას უღიზიანებს ან ცნობისმოყვარეობას უღვიძებს მათ.

ტყუილად უცადა კონსტოფმა დარბაზის გაცესებას და დაწეება გადაწყვიტა. ის თავს ირწმუნებდა, ასე ჯობიაო. „მეგობრები ცოტანი არიან, სამაგიეროდ, კარგები არიან“. მაგრამ იმედმაც მალე უმტყუნა.

ნაწარმოების შესრულების დროს სიჩუმე იდგა. არსებობს დუმილი, რომელშიც გადმოსაფრქვევად გამზადებული სიყვარული იგრძნობა. ამ დუმილში კი არაფერი იყო. არაფერი. სრული თვლენა. არარაობა. ყოველი მუსიკალური ფრაზა გულგრილობის უფსკრულში იკარგებოდა. კრისტოფი ზურგით იდგა ხალხისაკენ და გულისყური ორკესტრისაკენ ჰქონდა, მაგრამ ჰეშმარიტი ხელოვანისათვის დამახასიათებელი რაღაც შინაგანი მანქანებით გრძნობდა, რა ხდებოდა დარბაზში, ესმოდა თავისი მუსიკის გამოძახილი ირგვლივ მსხდომი მსმენელების გულში. პარტერსა და ლოჟაში გამეფებული ცივი უხალისობის მიუხედავად, კრისტოფი მაინც განაგრძობდა ტაქტის თვლას.

ბოლოს, დამთავრდა უვერტიურა. დარბაზმა ტაში დაუკრა. ეს იყო მორიდებული, ცივი ტაში და მეტი არაფერი. ჯობდა ეყვირა ვინმეს.. ან დაესტვინა. ერთხელ მაინც დაესტვინა! სიცოცხლის ნიშან-წყალი გამოეჩინა, წინააღმდეგობა გამოეხატა. არა და არა. კრისტოფმა ხალხს შეხედა. ხალხი ერთმანეთს უცქერდა. ისინი ერთმანეთის თვალებში ეძებდნენ აზრს, მაგრამ ვერა პოულობდნენ და ისევ საკუთარ გულგრილობაში ეფლობოდნენ.

მუსიკა ისევ აყდერდა. ახლა სიმფონიის რიგი დადგა. კრისტოფს დიდი ძალა დასჭირდა, რომ ბოლომდე გასულიყო. რამდენიმეჯერ კინაღამ დაავდო ჯონი და თავს უშველა. საერთო უგუნებობა მასაც გადაედო. აღარ იცოდა, რას დარიჟორობდა. ვედარაფერი ხედებოდა. ეჩვენებოდა, თითქოს უსიცოცხლობის უფსკრულში ეშვებოდა. დამცინავი ჩურჩულიც კი არ ისმოდა ალაგ-ალაგ მაინც. ლახის პროგრამის კითხვით იყო გართული. ისმოდა პროგრამის ფურცლების უმოწყალო შრიალი. შემდეგ ისევ დუმილი, ვიდრე უკანასკნელ აკორდამდე. მერე კვლავინდებურად მორიდებული ტაში გაისმა. აქაოდა გავიგებო. რომ ნაწარმოები დამთავრდაო. მართალია, ამას სამი-ოთხი ობოლი ტაშიც მოჰყვა, მაგრამ მხარი არავინ აუბა და ისინიც მორცხვად დადუმდნენ. ამან კიდევ უფრო გამოაჩინა სიცარიელე და ხალხსაც აგრძობინა რა მოწყენილები იყვნენ.

კრისტოფი შუა ორკესტრში ჩამჯდარიყო და გახედვას ვერ ბედავდა. ცრემლი ახრჩობდა, ბოღმისაგან თრთოდა. ლამის წამომხტარიყო და ეყვირა:

— ჰა. რა გული გამიწყალეთ, რა გული გამიწყალეთ. აღარ შემიძლია ნეტა!.. ვაშეცალეთ აქედან, გამეცალეთ აქედან ყველანი...

ხალხი ცოტა გამოცოცხლდა. მომღერალს ელოდნენ. ისინი შეჩვეულნი იყვნენ მისთვის ტაშის დაკვრას. ამ ახალი ნაწარმოებების უცნობ ზღვაში ეს ქალი იქნებოდა ნაცნობი და საიმედო ხმელეთი და დაკარგვის საშიშროება აღარ ექნებოდათ. კრისტოფი მიხვდა მათ ფიქრებს და ერთი მწარედ გაეცინა. მომღერალიც ხედებოდა ხალხის მოლოდინს. კრისტოფი შევიდა, რომ სცენაზე გამოსვლის დრო ეცნაებინა. ქალს ამაყად ეჭირა თავი. მათ მტრულად გადახედეს ერთმანეთს. იმის ნაცვლად, რომ ქალისათვის გაეწოდებინა, კრისტოფმა ჭიბეში ჩაიწყო ხელები. ქალი მარტო გავიდა სცენაზე დაბნეული და ბრაზისაგან ათრთოლებული. დაღვრემილი კრისტოფი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. დარბაზი ივაცეიებით შეეგება მომღერალს. ყველას გულზე მოეშვა. სახეები გაუბრწყინდათ. გამოცოცხლდნენ. ლორწებებიც ამოძრავდნენ.

საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული მომღერალი ძველ, კარგად ცნობილ ყაიდაზე ასრულებდა Lieder-ებს და არავითარი ანგარიში არ ვაუწყებია კრისტოფის შენიშვნებისათვის. კრისტოფი გაფითრდა. ის წინასწარ გრძობდა ამ ბუნტს. ქალის პირველსავე თვითნებობაზე მან ფორტეპიანოზე დააკაუნა და გაბრაზებულმა მიაძახა:

— არა!

ქალმა განაგრძო.

— არა, არა, ასე არა — ისევ მიაძახა კრისტოფმა ყრუ და ბრაზიანი ხმით. ეს ბრაზიანი შენიშვნა ხალხს არ გაუგონია, მაგრამ ორკესტრს კარგად ესმოდა. განრევილებული მომღერალი თავისას არ იშლიდა, ჩერდებოდა და ბგერებს აგრძელებდა. კრისტოფმა ყურადღება არ მიაქცია და ერთი ტაქტით წინ წავიდა. ხალხმა ვერაფერი შეატყო, რადგან კარგა ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ კრისტოფის მუსიკა არც სწორი იქნება და არც სასიამოვნო მოსასმენიო. მაგრამ კრისტოფი არ იყო ამ აზრისა და ძალაუფლებურად იმანქებოდა. ბოლოს იფეთქა და შუა ფრაზაზე შეწყვიტა მუსიკა.

— კმარა! — იყვირა მან.

სიმღერათ გატაცებული ქალი უცბად ვერ შეჩერდა. ცოტა კიდევ წაუშლერა და გაჩერდა.

— კმარა! — გაიმეორა კრისტოფმა.

დარბაზი ერთხანს გაიტრუნა. რამდენიმე წამის შემდეგ კრისტოფმა წარმოთქვა:

— დავიწყეთ თავიდან.

ქალი დაბნეული შესცქეროდა კრისტოფს და ხელები უთრთოდა. ნოტები კინალამ ცხვირ-პირში მიაფერთხა. გონს რომ მოვიდა, თავადაც ვერ გაეგო, რატომ არ მოიქცა ასე. მაგრამ მაშინ კრისტოფის ავტორიტეტმა და უღმრთებლმა ტონმა შებოროტა. და მანაც ხელახლა იმღერა. იმღერა Lieder-ების მთელი ციკლი ყოველგვარი ნიუანსისა და სიჩქარის შეუცვლელად. მღეროდა, რადგან არავითარი შეწყალება არ მოელოდა, თან კი ცეცხლი ეღებოდა ახალი სირცხვილის მოლოდინში.

სიმღერა რომ გაათავა, ხალხმა აღფრთოვანებული ტაში დასცხო. იგი Lieder-ებს როდი უკრავდა ტაშს (სხვა რამეც რომ ემღერა, ტაშს მაინც დაუკრავდნენ), არამედ სცენის ფიციარნაგზე დაბერებულ, ცნობილ მომღერალს. ხალხმა იცოდა, რომ აქ მშვიდად შეიძლებოდა აღფრთოვანების გამოხატვა. გარდა ამისა, მტრული გამოხდომის შერბილებაც სურდათ. ხალხი ბუნდოვნად ხედებოდა მომღერლის შეცდომას. მაგრამ კრისტოფის საქციელი მიუტევებლად მიაჩნდათ. იგი სიმღერის გამეორებას ითხოვდა, მაგრამ კრისტოფმა ჯახუნით დახუტა როიალი.

მომღერალს ეს ახალი უხეშობა არ შეუმჩნევია. ძალიან ღელავდა და სიმღერის გამეორება არც უფიქრია. თავქუდმოვლევადი გავარდა სცენიდან, ჩაიკეტა თავის საპირფარეოში და მთელი თხუთმეტი წუთი გულში დაგროვილ ზიზღსა და ბრახს ანთხევდა: ისტერიულად ყვიროდა, ცრემლებად იღვრებოდა და კრისტოფის ლანძღვასა და წყევლა-კრულვაში იყო. ეს ველური შეძახილები კარგად ისმოდა ჩაკეტილი კარიდან. ქალთან ოთახში შესული მეგობრები შემდეგ ყველას უყვებოდნენ, რა უხეშად მოიქცა კრისტოფი. ეს ამბავი მალე მთელ დარბაზს მოედო. როცა კრისტოფი ხელახლა ავიდა თავის პულტზე ბოლო ნაწარმოების შესასრულებლად, ხალხი უკვე აღელვებული იყო. მაგრამ ეს ნაწარმოები კრისტოფისა არ იყო. ეს ოქსის Festmarsch-ი გახლდათ. ამ ერთფეროვანი მუსიკის დაწყებისთანავე კრისტოფისადმი უკმაყოფილების გამოსანატრავად ხალხმა მარტივ ხერხს მიმართა. სტვენა არ აუტეხიათ, მაგრამ განგებ იძახებდნენ ოქსს, განმეორებით ითხოვდნენ ავტორის გამოსვლას. ისიც გამოდიოდა. ასე დამთავრდა კონცერტი.

ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ჰერცოგმა, მთელმა კარის საზოგადოებამ და ამ პატარა პროვინციული ქალაქის მოსახლეობამ, ჭოროიანამ და უსაქმურმა, დაწვრილებით შეიტყო მომხდარი ამბავი. მომღერალი ქალის მიმართ მეგობრულად განწყობილ გაზეთებს კრინტიც არ დასცდენიათ მომხდარი შემთხვევის თაობაზე. სამაგიეროდ, ერთხმად და აღფრთოვანებით წერდნენ მის ხელოვნებაზე და სხვათა შორის შეენნენ მის მიერ შესრულებულ სიმღერებს. კრისტოფის სხვა ნაწარმოებებისათვის რამდენიმე სტრიქონი ძლივს გაიმეტეს. ყველა გაზეთი დაახლოებით ერთსა და იმავეს წერდა: კარგად ფლობს კონტრაბასუნქს. წერს რთულად. აკლავ შთაგონებას. მელოდია არა აქვს. წერს თავით და არა გულით. გულწრფელობა არა აქვს. ცდილობს იყოს ორიგინალური. ამას მოსდევდა მთელი პარაგრაფი, სადაც მსჯელობა იყო დიდი ხნის გარდაცვლილი ოსტატების ქეშმარიტ ორიგინალობაზე, მოცარტზე, ბეთჰოვენზე, ლიოვეზე, შუბერტზე და ბრამსზე. იმათზე. ვინც არ ცდილობდა ორიგინალური ყოფილიყო, მაგრამ იყო. ამის შემდეგ ბუნებრივად ვადადიოდნენ კონრადინ კროიციერის ოპერის „Nachtlager von Granada“-ს ახალ დადგმაზე ჰერცოგის თეატრში და მის

1. „ლამის ბანაჟი გრანადასთან“ (გერმ).

„შესანიშნავ მუსიკაზე, ისეთსავე ახალსა და ბრწყინვალეზე, როგორც თავდაპირველად იყო“.

ერთი სიტყვით, კრისტოფის ნაწარმოებებს კეთილად განწყობილმა კრიტიკოსებმაც ვერაფერი გაუგეს, მოძულენი უღმობელი მტრობით შეხედნენ, ფართო საზოგადოებრიობამ კი, რომელსაც არავითარი კრიტიკა არ წარმართავდა, დუმილით მიიღო. ფართო საზოგადოება, დამოუკიდებელი აზროვნების საშუალება თუ მიეცი, სრულებით ვეღარ აზროვნებს.

კრისტოფი მიწასთან იყო გასწორებული.

ამ მარცხში მოულოდნელი არაფერი იყო. მისი ნაწარმოებების დასაწუნებლად სამი მიზეზი არსებობდა: ეს იყო მათი მოუმწიფებლობა, მეტისმეტი სიახლე და, ბოლოს, ხალხი, რომელიც ბედნიერად თვლიდა თავს, რომ საშუალება მიეცათ ჰკუთნებინათ თავზედი ახალგაზრდისათვის. მაგრამ კრისტოფს თვითონ არა ჰქონდა გონება ისე დახვეწილი, რომ საკუთარი ნაკლის განონზომიერებას ჩახედომოდა. მას აკლდა ის სიმშვიდე და მოთმინება, რომელიც საშუალებას აძლევს ნამდვილ ხელოვანს შეიგნოს და შეეგუოს ხალხის განუკურნებელ სიბრძოლეს. დაიმსხვრა კრისტოფის გულუბრყვილო რწმენა ხალხისა და იმ წარმატებისადმი, რომლის ღირსადაც თავის თავს თვლიდა. მან ბუნებრივად მიიჩნია მტრების არსებობა. მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ერთი მეგობარიც არ აღმოაჩნდა. იმათაც კი ვინც მეგობრად ეგულებოდა და ყურადღებას იჩენდა მისი ნაწერების მიმართ, კონცერტის შემდეგ ერთი ტკბილი სიტყვაც არ გაუმეტებიათ. კრისტოფმა ყველას მოუსინჯა კბილი. მაგრამ ყველა ცარიელი, არაფრისმთქმელი სიტყვებით კმაყოფილდებოდა. კრისტოფი არ ისვენებდა, ჰეშმარიტი აზრის გაგება ეწადა. ყველაზე ალალი მის ადრინდელ, სულელურ ნაწარმოებებს აქებდა. მომავალში ცხოვრების გზაზე კრისტოფი კიდევ ბევრჯერ მოისმენდა თავისი ახალი ნაწარმოებების გაციცხვას და იგელის ქებას. და ვისგან? ისევ იმათგან, ვინც ერთ დროს ასევე უწუნებდნენ ძველ ნაწერებს, როცა ისინი ჯერ ახლები იყვნენ. ეს ჩვეულებრივი ამბავია. კრისტოფი არ აპირებდა ამასთან შერიგებას. იგი ხმამაღლა ყვიროდა: — არ ვუყვარვართ? კარგი, შეიძლება. ეს სიამოვნებასაც კი მგვრის. მთელ ქვეყანას არც ვუპირებ დამეგობრებას. მაგრამ როცა სიყვარულზე თავსა დებენ, ზრდის საშუალებას კი არ იძლევიან და მთელი სიცოცხლე ბავშვად დარჩენას ითხოვენ, ეს უკვე მეტისმეტია. ის, რაც კარგია თორმეტი წლის ასაკში, არ ვარგა ოცისაში. და კრისტოფსაც არ სურდა ერთი ადგილის ტკეპნა. ხომ უნდა შეცვლილიყო. სიცოცხლის შეჩერებას მხოლოდ ბრძოლი ფიქრობს. ის, რაც მისი ბავშვობის ნაწერებში საინტერესო იყო, ბავშვური ტიტინი კი არა, ძალა გაქვდათ, მომავლისთვის რომ მწიფდებოდა. ესენი კი ამ მომავლის მოკვლას აპირებდნენ... არა, მათ არასოდეს სცოდნიათ, ვინ იყო კრისტოფი, არასოდეს ჰყვარე-

ბიათ იგი, არც გუშინ, არც დღეს. მათ უყვარდათ მხოლოდ ის, რითაც კრისტოფი სხვას ჰგავდა, და არა ნამდვილი კრისტოფი. მათი სიყვარული გაუგებრობა იყო.

კრისტოფს იქნებ მეტიც მოსდიოდა. სწორად ხდება ხოლმე კეთილმოსურნე აღამიანებს არ ძალუძთ ახალი ნაწარმოების შეყვარება. ამისათვის ოცი წელი სჭირდებათ. ახალ ცხოვრებას ცხარე სურნელი უდის ამ ჩერჩეტებისათვის. დროების ნიავემ ცოტა უნდა გაანელოს. ხელოვნების ნაწარმოები მხოლოდ მაშინ ხდება მათთვის მისაწვდომი, როცა დროის მტკრით დაიფარება.

მაგრამ ის ვერ მოითმენდა, რომ ახლანდელი კრისტოფი გაუგებარი ყოფილიყო, ძველი კი გასაგები. ერჩივნა და ასე უფრო ეჯერებოდა, რომ მუდამ გაუგებარი ყოფილიყო. სინამდვილეში არასოდეს ესმოდათ მისი და სწორედ ეს ეცოფებდა. ცდილობდა გასაგები გამხდარიყო, დაობდა, განუმარტავდა, მაგრამ ამაოდ. გემოვნება დროს უნდა შეეცვალა. კრისტოფიც არაფერს ერიდებოდა. გადაწყვიტა, ძალით თუ ნებით გაეწმინდა გერმანული გემოვნება. საძნელო საქმე კი იყო, აბა ვის დააჯერებდა თითო-ოროლა გასაუბრებით, როცა საჭირო სიტყვებს ძლივს პოულობდა ან მოურიდებლად თავს ესხმოდა დიდი მუსიკის თავკაცებს და თანამოსაუბრეებს. ამით ის მტრებს თუ იმრავლებდა, თორემ მეტი არაფერი. სჯობდა მშვიდად აეწონ-დაეწონა ყველაფერი. მერე კი როგორმე ხალხი დაეყოლიებინა მოსასმენად.

სწორედ ამ დროს, მისმა ბედის ვარსკვლავმა, მისმა უბედურმა ბედმა ამის საშუალებაც მისცა.

კრისტოფი მაგიდასთან იჯდა თეატრის რესტორანში, ხელოვნებაზე მსჯელობდა და განცვიფრებაში მოჰყავდა ირგვლივ მხსნომი ორკესტრის მუსიკოსები. ესენი ყველანი ერთი შეხედულებისა როდი იყვნენ, მაგრამ კრისტოფის მოურიდებელი ლაპარაკი ყველას გულზე ხვდებოდა. მოხუცი კრაუზე, ალტი, გულითადი აღამიანი და საუკეთესო მუსიკოსი, კრისტოფი რომ ალალი-გულით უყვარდა, ცდილობდა სიტყვა სხვა რამეზე გადაეტანა, ახველებდა, შემთხვევას ეძებდა კლამბურისთვის, მაგრამ კრისტოფი არ უსმენდა; უფრო მეტი გულმოდგინებით განაგრძობდა თავისას. კრაუზე ცხარობდა და თავისთვის ფიქრობდა— ნეტავ რად უნდა ასეთ რამეებს რომ ლაპარაკობს? დემირი იყოს მისი მფარველი! ასეთი რამ კაცმა შეიძლება იფიქროს, მაგრამ თქმით არ ითქმის, ეს ოხერი.

სერი კი ის იყო, რომ „ასეთი რამეები“ კრაუზეს, თურმე, თითონაც მოაღიოდა თავში. ყოველ შემთხვევაში, გუმანითა ხვდებოდა. კრისტოფის სიტყვები ეჭვებს უღვივებდა, თვითონ კი გამბედაობა არა ჰქონდა, რომ ეღიარებინა და, მითუმეტეს, ხმამაღლა დასთანხმებოდა. ეშინოდა, სხვის თვალში არ დაცემულიყო. ეს თავმდაბალი კაცი დარწმუნებულიც კი არ იყო საკუთარ თავში.

კორნეტისტ ვაიგელს კრისტოფის მოსმენაც არ უნდოდა. იგი მუდამ აღფრთოვანებული იყო, ვინც არ უნდა ყოფილიყო თუ რაც არ უნდა ყოფილიყო, ცუდი თუ კარგი, ვარსკვლავი თუ გაზის ნათურა. მისთვის ყველაფერი ერთი იყო. უარესი და უკეთესი არ იცოდა. მის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონ-

და. სხვანაირად სიცოცხლე არ შეეძლო. და როცა აღფრთოვანების განუღებებს უპირებდნენ ხოლმე, იტანჯებოდა.

ვილონჩელისტი კუპი კიდევ უფრო მეტ წამებაში იყო. მას მთელი გულით უყვარდა ცუდი მუსიკა. ყველაფერი, რასაც კრისტოფი ასე სასტიკად დასცინოდა და ლანძღავდა, უსაზღვროდ ძვირფასი იყო მისთვის. ბუნებით მას ზელოვნური მუსიკა ერჩია. მისი სული წუწუნისა და აღფრთოვანების ბუდე იყო. ის, რასაკვირველია, არ ტყუოდა, როცა ცრუ გენიოსების წინაშე ქედს იხრია. მაგრამ, როცა საკუთარ თავს ირწმუნებდა, ჭეშმარიტ ხელოვნებას ვცემ თავყვანსო, მაშინ კი ცრუობდა. თუმცა ეს ხდებოდა სრულიად გულუბრყვილოდ. არსებობენ „ბრამინები“, რომელთაც თავიანთ ღვთაებაში გარდასულთა სუნთქვა ესმით. ბრამსში მათ ბეთჰოვენი უყვართ. კუპს უკეთ ჰქონდა საქმე — ბეთჰოვენში მას ბრამსი უყვარდა.

მაგრამ კრისტოფის პარადოქსებით ყველაზე მეტად აღელვებულა იყო ფაგოტი შპიცი, აქ საქმე ეხება არა იმდენად მუსიკალურ გემოვნებას, რამდენადაც თანდაყოლილ მონა-მორჩილებას. რომის ერთ-ერთმა იმპერატორმა გადაწყვიტა, ფეხზე მდგარი მომკვდარიყო. შპიცს კი მუცელზე ხოხვაში უნდოდა სულის განტყევა. სწორედ ისე როგორც ცხოვრობდა. ეს მისთვის ბუნებრივი მდგომარეობა იყო. იგი სიხარულით გაუგორდებოდა ყველაფერს. რააც კი ოფიციალური ხასიათი ჰქონდა, აღიარებული იყო, ზემოდან მოდიოდა. და აღარ იცოდა, რა ექნა, როცა უშლიდნენ ხოლმე თავის გემოზე ლაქიობას.

მამ ასე, კუპი ოხრავდა, ვაიგელი განწირული კაცივით იქნედა ხელებს, კრაუზე სისულელეებს ლაპარაკობდა, შპიცი კი გამკივანი ხმით ყვიროდა. მაგრამ კრისტოფზე, ეს არ მოქმედებდა. ის ყველაზე ხმაძალა გაიძახოდა გაუგონარ სენტენციებს გერმანიასა და გერმანელებზე.

მეზობელ მადიანსთან მჯდომი ერთი ახალგაზრდა ყურს უგდებდა მათ საუბარს და სიცოლით იგუდებოდა. ჰაბუქს შავი ხუჭუჭა თმა და ლამაზი, ჰკვიანი თვალები ჰქონდა. მის გრძელ ცხვირს როგორც ჩანს, ვეღარ გადაეწყვიტა საით წასულიყო და ისევ ორად გაყოფილიყო. ამ კაცს სქელი ტუჩები და ჰკვიანი ცოცხალი სახე ჰქონდა. იგი კრისტოფის ყოველ სიტყვას ისმენდა და სახეზე თანაგრძნობა და ირონიული ყურადღება ეხატებოდა. შუბლზე, საფეთქლებზე, თვალის კუთხეებში და ლოყების და ნესტოების გასწვრივ წვრილ-წვრილი ნაოჭები ასხდებოდა, სიცილის დროს მთელი ტანით თრთოდა და იმანჯებოდა. დავში არ ერეოდა, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვია. თავს სიხარულს ეს ახალგაზრდა განსაკუთრებით მაშინ გამოხატავდა ხოლმე, როცა საკუთარ მტკიცებებში განსართული და შპიცზე გაბრაზებული კრისტოფი უაზროდ ლაყობდა, ბრაზისაგან სუნთქვა ეკვროდა სიტყვების ძებნაში, და მზად იყო, ქვეშ ამოედო და გაეთელა მოწინააღმდეგე. და მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა გრძნობებს აყოლილი კრისტოფი რამე სასწაულებრივ უაზრობას გამოაცხადებდა და მსმენელებში ოხერის შეძახილებს იწვევდა.

ოავ-თავიანთი სიმართლის მტკიცებით დაღლილ-დაქანცულნი ბოლოს დაიშალნენ. კრისტოფი მარტო დარჩა დარბაზში. ის იყო წამოდგა და კართან მივიდა გასასვლელად, რომ წინ ის ახალგაზრდა შეეფეთა, წელან რომ ასე ტკბებოდა მისი სმენით. კრისტოფს თვალიც არ მოუკრავს მისთვის. ახალგაზრდამ ზრდილობიანად მოიხადა ქული, გაუღიმა და სთხოვა — ნება მიბოძეთ თავი წარმოგიდგინოთო:

— ფრანც მანჰაიმი.

მან ბოლში მოიხადა, თქვენს დავას ყურს ვუგდებდიო და კრისტოფს მოწინააღმდეგეთა ოსტატური განადგურება მიულოცა. მათი საუბრის გახსენებაზე ახლაც კი ეცილებოდა. კრისტოფი გახარებული იყო, მაგრამ ცოტა არ იყოს, მაინც უნდობლად შესცქეროდა.

— ამას სერიოზულად ამბობთ, თუ დამცინით?

ახალგაზრდამ ყველა ღმერთი დაიფიცა. კრისტოფს სახე გაებდრა.

— მაშ, თქვენ მიგაჩნიათ, რომ მართალი ვარ, არა? მეთანხმებით?

— მომისმინეთ, — უთხრა მანჰაიმმა, — მართალი მოგახსენოთ, მე მუსიკოსი არა ვარ და მუსიკაშიც არაფერი გამეგება. ერთადერთი მუსიკა, რომელიც მომწონს, ეს თქვენთვის იქნებ არცთუ სასიამოვნო იყოს, ეს თქვენი ზუსიკაა. ბოლოს და ბოლოს, როგორც ხედავთ, არც ისე ცუდი გემოვნება მქონია...

— ეე, — წარმოთქვა კრისტოფმა ეჭვიანად, თუმცა მაინც კმაყოფილმა, — კი მაგრამ. ეს კიდეც არ არის საბუთი.

— თქვენ გულს ვერ მოგიგებთ კაცი... კარგი! მეც ასე მგონია: ეს კიდეც არ არის საბუთი. ჩემს თავზე არც ვიღებ იმის განსჯას, რასაც თქვენ გერძანელი მუსიკოსების შესახებ ამბობთ. მაგრამ ყველა შემთხვევაში მართალს ბრძანებთ, საერთოდ, გერმანელების შესახებ, ბებერ გერმანელებზე, აზრებისა და ცრემლიანი ემოციების იმ იდიოტ რომანტიკოსებზე, ტუჩებს ბებრულად რომ აწკლაბუნებენ. ჩვენ კი რატომღაც აღფრთოვანებულნი უნდა ვიყოთ. აღფრთოვანებულნი უნდა ვიყოთ „ამ მუდმივი წარსულით, ყოველთვის რომ არსებულა და იარსებებს, რომელიც ხვალაც კანონად დარჩება მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს ის კანონია“.

და მან რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა შილერის ცნობილი ლექსიდან:

...Das ewig Gestrige

Das immer war und immer wiederkehrt..!

„მარად გუშინდელი, მუდამ ნამყო, მუდამ მყოფადი...“

— თვითონ კი პირველ რიგში! — დააყოლა მანჰაიმმა და შუაზე შეწყვიტა ლექსის კითხვა.

— ვან? — იკიანა კრისტოფმა.

— ამის დამწერი მეჭლანე!

კრისტოფი ვერაფერს მიხვდა, მაგრამ მანჰაიმმა განაგრძობდა:

— მე ჩემდა თავად ვისურვებდი ყოველ ორმოცდაათ წელიწადში ერთხელ

მოახდინონ ხელოვნებისა და აზრის გენერალური წმენდა, ისე რომ აღრინდელისაგან არაფერი დარჩეს.

— ეს, ცოტა არ იყოს, მეტისმეტია, — წარმოთქვა გაღიმებულმა კრისტოფმა.

— არა, არა, დამიჯერეთ, ორმოცდაათი ბევრიც კია. ოცდაათი უნდა მეთვა... ისიც... ეს ჰიგიენური საშუალებაა. ხომ არ ინახავენ შინ მამა-პაპების კოლექციას. როცა იხოებიან, პატიოსნად აგზავნიან საიქიოს, დაე, გაიხრწნან თავისთვის. ზედ ქვასაც ადებენ, უკან არ მობრუნდნენო. კეთილი სულები ყვავილებსაც უწყობენ საფლავზე — იყოს რა, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვსო. ერთადერთი, იმას ვითხოვ — მომეშვან, თავი დამანებონ. ხომ არაფერს ვერჩა. ყველა თავისთვის იყოს: მკვდრები ცალკე, ცოცხლები ცალკე.

— არსებობენ მიცვალებულნი, რომლებიც ცოცხლებზე უფრო ცოცხლები არიან.

— არა, არა, თქვენ რომ გეთქვათ — არიან ცოცხლები, რომლებიც მიცვალებულებზე უფრო მკვდრები არიანო, — ეს უფრო სწორი იქნებოდა.

— იქნებ ასეც არის. ყოველ შემთხვევაში არსებობენ მოხუცები, რომლებიც ახლაც ახალგაზრდები არიან.

— კარგით, თუ ვინმე ახლაც ახალგაზრდაა, თვითონ მივავნებთ. მაგრამ არა მჯერა. ის, რაც კარგი იყო ერთხელ, ხელმეორედ აღარ იქნება ისეთი. ცვალებადობაზე უკეთესი არა არის რა. მთავარია ძველს გავემიჯნოთ. ეს ძველი გერმანიაში ძალიან ბევრია. სიკვდილი ბებრებს!

კრისტოფი ყურადღებით ისმენდა ამ სასწაულებს და ბევრი რამ სადლოდაც მიაჩნდა. ზოგ რამეს იზიარებდა, თავის აზრებსაც ცნობდა მათში. ოღონდ წუხდა, რომ ყველაფერი ეს კარიკატურის ფორმაში იყო მოქცეული. მაგრამ კრისტოფი თავის სერიოზულობას ყოველთვის სხვას აწერდა ხოლმე. ამიტომ ეგონა, რომ თანამოსაუბრე უფრო განათლებული, უფრო გამართლად მეტყველი და ლოგიკურადაც უფრო თანმიმდევრული იყო. ამაყი კრისტოფი, რომლისთვისაც ძალიან ბევრს ვერ ეპატიებინა საკუთარი თავისადმი რწმენა, პირიქით, ძალიან გულუბრყვილო იყო. ის, ხშირად მოტყუებულიც კი რჩებოდა იმათ წინაშე, ვისაც უკეთესი აღზრდა ჰქონდა, თუ, რასაკვირველია, ისინი არ ტრაბახობდნენ, რომ არასასურველ დისკუსიისათვის დაედწიათ თავი. მანჰაიმი, რომელიც საკუთარი პარადოქსებით ირთობდა თავს, თანდათან სასაცილო მდგომარეობაში ვარდებოდა. გულში თვითონვე დასცილნოდა თავის ნათქვამს, რადგან მიჩვეული არ იყო მათ სერიოზულად აღქმას. სასაცილოდ ეჩვენებოდა კრისტოფის გულმოდგინება, ჩაწვდომოდა ან სამსჯელობოდ გაეხადა მისი აბლაუბდა, აუშმცა ამასთან ერთად მაღლობელიც იყო იმ პატერისათვის, რომ კრისტოფი ასეთი ყურადღებით ისმენდა მის ნათქვამს. თან კიდევ ეს კრისტოფი სასაცილო და ამავე დროს მომხიბველ კაცად მიაჩნდა.

ისინი მეგობრებად დასცილდნენ ერთმანეთს. სამი საათის შემდეგ თუბ-

რში, რეპეტიციანზე, ორკესტრისაკენ მიმავალ პატარა კარებში განცვიფრებულმა კრისტოფმა თვალი მოჰკრა მანჰაიმის თავს. მას სახე უბრწყინავდა, იმანჭებოდა და საიღუმლოდ რადაცეხს ანიშნებდა. როცა რეპეტიცია გათავდა, კრისტოფი მისკენ წავიდა. მანჰაიმმა მეგობრულად გამოსდო მკლავი.

— თუ გცალიათ, ერთი წუთით მომისმინეთ. ერთი იდეა მომივიდა თავში. თქვენ ის შეიძლება არაფრად მოგეჩვენოთ... ნუთუ არ გინდათ ერთხელ ადგეთ და დაწეროთ ყველაფერი, რასაც მუსიკასა და მუსიკოსებზე ფიქრობთ? ძალღონის აქ ხარჯვას, აქაური ოთხი კრეტინის წერთნას, რომელთაც მხოლოდ ის იციან, რომ ხელში ერთი ხის ნაჭერი აქვთ და იმას უნდა ჩაჰბერონ ან აწრიბინონ, არა ჯობს, ხალხის უფრო ფართო წრეს მიმართოთ?

— განა არ ჯობს, განა არ გინდათ?.. დალაზეროს ეშმაკმა! მაგრამ სად გნებავთ, რომ დაგებულა? თქვენ ძალიან გულკეთილი ხართ.

— როგორ სად? მე მაქვს ერთი წინადადება... ჩვენ, მე და ჩემმა რამდენიმე მეგობარმა — ადალბერტ ფონ ვალდჰაუზმა, რაფაელ გოლდენრინგმა, ადოლფ მაიმ და ლუციან ერენფელდმა დაეაარსეთ ჟურნალი, ერთადერთი თავისუფლად მოაზროვნე ჟურნალი მთელს ქალაქში, „დიონისე“. ალბათ თქვენც იცით? ჩვენ ყველანი თქვენი თაყვანისმცემლები ვართ და ბედნიერი ვიქნებით, თუ შემოგვიერთდებით. გინდათ თქვენს თავზე აიღოთ მუსიკალური კრიტიკა?

კრისტოფი დაიბნა. ასეთი წინადადება დიდი პატივი იყო მისთვის. ერთი სული ჰქონდა, ისე უნდოდა დათანხმება. მაგრამ შიშობდა. ვაი თუ ამათ იმედები ვერ გავუმართლო. მან წერა არ იცოდა.

— რაღას ყოყმანობთ, — უთხრა მანჰაიმმა, — მე ვიცი, რომ მშვენივრად შესძლებთ. მერე კიდევ, კრიტიკოსი რომ იქნებით, ყოველგვარი უფლებაც გექნებათ. ხალხისა ნუ მოგერილებათ. იგი ისეთი ბრიყვია, რომ რა გათხრათ. ვინ არის ხელოვანი? ის ადვილი ასაგდება სასაცილოდ. კრიტიკოსი კი! ეს ის კაცია, რომელსაც უფლება აქვს თქვას: აბა, ერთი ეს კაცი ამიგდეთ სასაცილოდ. — ფიქრის მთელი სიმძიმე მის კისერზე გადადის. თქვენ კი რაც გნებავთ, ის იფიქრეთ. ყოველ შემთხვევაში, თავი ისე გეჭიროთ, თითქოს ფიქრობთ. მთავარია იმ ბატებს რაზე საკვები მივაწოდოთ. რა იქნება სულ ერთია, ყველაფერს მიირთმევენ.

კრისტოფმა ბოლოს თანხმობა განაცხადა. სულ მადლობად დაიდგარა, ოღონდ პირობა ჩამოართვა, ყველაფრის თქმის უფლება მექნებათ.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, — უთხრა მანჰაიმმა, — აბსოლუტური თავისუფლება! ყოველი ჩვენგანი თავისუფალია.

მესამედ მანჰაიმი თეატრში შეხვდა კრისტოფს, რომ საღამოს, სპექტაკლის შენდეგ იგი ადალბერტ ვალდჰაუზისა და მისი მეგობრებისათვის წარედგინა. ისინი გულთბილად შეხვდნენ კრისტოფს.

გარდა ვალდჰაუზისა, რომელიც ამ მხარის ერთ-ერთ და ყველაზე ძველ და დიდებულ ოჯახს ეკუთვნოდა, ყველანი მდიდარი ებრაელები იყვნენ. მანჰა-

რმი ბანკირის ვაჟი იყო, გოლდენრინგი ცნობილი ლენინსმწარმოებლისა, მაი— მეტალურგიული წარმოების დირექტორისა, ერენფელდი—მანვილი იუველირისა. მათი მამები ძველი თაობის ებრაელები იყვნენ, შრომისმოყვარენი, გულმოდგინენი და ებრაული სულის ერთგულნი. თავიანთი ქონების ზრდას შეუპოვარ ენერჯიას ახმარდნენ და ეს უფრო ეხალისებოდათ, ვიდრე თვით ქონება. მათი ვაჟები, ასე გასინჯეთ, თითქოს იმისათვის იყვნენ მოვლენილნი, რომ მამების მონაგარი გაენიავენინათ: დასციროდნენ ოჯახურ ადამ-ჩვევებს, ჭიანჭველსებურ შრომისმოყვარეობას და მომჭირნეობას. მათ ხელოვნების მსახურებად მოჰქონდათ თავი და ისე ირჯებოდნენ, თითქოს სიმდიდრე სძულდათ და მზად იყვნენ ფანჯარაში მოესროლათ იგი. სინამდვილეში კი მაგრად ჩასჭიდებოდნენ და რა სისულელეც არ უნდა ჩაედინათ, არასოდეს კარგავდნენ საღად განსჯის უნარსა და პრაქტიკულ აღღოს. მამებიც ფხიზლად იყვნენ ხოლმე და დროზე ამოსდებდნენ ლაგამს. ყველაზე ქარაფშუტა მანჭაიმი სრულიად ალალი გულით გასცემდა, თუ რამ გააჩნდა, მაგრამ არასოდეს არაფერი ებადა. და თუმცა მამის წუწურაქობაზე ხმამაღლა ცხარობდა, გულში მაინც ეკინებოდა და ამართლებდა. ბოლოს და ბოლოს, რჩებოდა ვალდჰაუზი, თავისი ავლა-დიდების ბატონ-მატრონი, პირდაპირი და ალაღ-მართალი კაცი, რომელიც თავისი სახსრებით ინახავდა ჟურნალს. იგი პოეტი იყო. არნო ჰოლცისა და უოლტ უიტმენის ყაიდაზე წერდა „პოლიმეტრებს“. მის პოეზიაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გრძელი და მოკლე სტრიქონები: წერტილები, ორწერტილები, სამწერტილები, ტირეები, პაუზები, კურსივები, ასომთავრულები და ხაზგასმული სიტყვები ძალიან დიდ როლს თამაშობდნენ. არანაკლებ ვიდრე სიტყვებისა და ფრაზების აღიტერაციები და განმეორებანი. შიგ სხვადასხვა ენებიდან ურთავდა სიტყვებს და (არავინ იცის რატომ, მაგრამ) ლექსად აპირებდა სეზანის გაწყობას. სიმართლე რომ ითქვას, საკმაოდ პოეტური ბუნებისა იყო, კარგად ხედავდა უსუსურობას. ერთსადაიმთავე დროს მგრძნობიარეც იყო და მშრალიც, უბრალოც და დახვეწილიც. ოფლით ნაწერ მის ლექსებს დაუდევრობის იერი დაჰკარავდა. იგი საუკეთესო პოეტი იქნებოდა მაღალი საზოგადოებისათვის, მაგრამ ამ მოღვაწის ხალხი უკვე ძალიან იყო მომრავლებული ჟურნალებსა და სალონებში. მას კი უნდოდა ერთადერთი ყოფილიყო. რატომღაც აკვიტებულნი ჰქონდა— თავისი კასტის ცრურწმენებზე მაღლა მდგომი არისტოკრატის როლი ეთამაშა. თუმცა თვითონ სხვაზე მეტი ცრურწმენა ჰქონდა და თავის თავთან გამოტყდომა კი არ სურდა. კმაყოფილი იყო, რომ მის ჟურნალში მხოლოდ ებრაელები იყვნენ, ამით იგი ჯიბრში ედგა თავის უაღრესად ანტისემიტ ნათესავეებს და თავს ირწმუნებდა მეც თავისუფლად მოაზროვნე ვარო. კოლეგებთან თანატოლივით ეჭირა თავი, თუმცა გულში უდრტვინველ და უსაზღვრო ზიზლსა გრძნობდა მათ მიმართ. იგი კარგად ხედავდა, რომ მისი სახელითა და ფულით სინაჟულით სარგებლობენ, მაგრამ ნებაზე ჰყავდა მიშვებულნი მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მიმართ ზიზლით დამტკბარიყო.

იმათ კი ვალდპაუზი სწორედ ასეთი დამოკიდებულებისათვის სძულდათ. ძალიან კარგადაც იცოდნენ, რომ არაფერს აგებდა. მიეცი და მოგეცესო. ვალდპაუზი უთმობდა თავის სახელსა და სახსრებს. ისინი კი მას ახმარდნენ თავიანთ ნიჭს, საქმის ცოდნასა და კლიენტურას. ისინი ბევრად მასზე ჭკვიანები იყვნენ, თუმცა ცალ-ცალკე როდი ჯობნიდნენ, იქნებ ნაკლებიც იყვნენ, მაგრამ ამ პატარა ქალაქშიც, ისევე როგორც ყველგან და ყოველთვის, არსებობდა ნაციონალური განკერძოებულობა. ეს საუკუნეების მანძილზე მიჯნავდა მათ დანაბრებულ საზოგადოებისაგან და უმძაფრებდა გაკივივისა და დაკვირვების უნარს. ისინი მოწინავე გონების აღამიანები იყვნენ და ყველაზე მეტად გრძნობდნენ დრომოკმეული ინსტიტუტებისა და ძველთაძველი იდეების სასაცილო მხარეებს. მაგრამ რაჟი ხასიათი ნაკლებ დამოუკიდებელი ჰქონდათ, ვიდრე ჭკუა, დაცინვაში საბრებლობას უფრო ეძებდნენ, ვიდრე ამ დაწესებულებებშია და იდეების გარდაქმნაში. მოჩვენებითი დამოუკიდებლობის მიუხედავად, ისინი აზნაურ ადალბერტზე არანაკლები პროვინციელი სნობები და მდიდარი მშობლების უქნარა შვილები იყვნენ. ლიტერატურას სპორტული ინტერესითა და ფლირტით ემნიდნენ. თავი ისე ევირათ, თითქოს ყველაფერს ყირამალა აყენებდნენ. სინამდვილეში კი უწყინარა ხალხი იყო და მხოლოდ იმათ ერჩოდნენ, ვისაც დამცველი არავინ ჰყავდა და სამაგიეროსაც ვერასოდეს გადაუხდიდა. მათ არასოდეს უფიქრიათ საზოგადოებასთან შებრძოლება. კარგად იცოდნენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს თვითონაც დაუბრუნდებოდნენ მას, რომ ეცხოვრათ მშვიდად, როგორც ყველას და შეეთვისებინათ ყველა ის ცრურწმენა რომელთაც მანამდე ებრძოდნენ. თუ ისინი მინც გაბედავდნენ რამის გაკეთებას და რეკლამისათვის დაფაზურნით შეუტევდნენ უკვე მორყეულ რომელიმე სადღეისო კერძს, მაინც წინდახედულად იქცოდნენ. თავიანთ გემებს ცეცხლს არ უნთებდნენ, რომ გაჭირვებისას დაბრუნება შესძლებოდათ. როგორიც არ უნდა ყოფილიყო ლაშქრობის ბოლო, ახალს დიდხანს ადარ წამოიწყებდნენ. ვილისტრეებს მშვილად შეეძლოთ ძილი. ახლადმოვლენილ Davidsbündler-ებს, შეეძლოთ ხალხი უარესის შესაძლებლობაში დაეჭვებინათ, თუკი ამას მოინდომებდნენ. მაგრამ არ უნდოდათ. ერჩიათ მეგობრულად ყოფილიყვნენ არტისტებთან, აქტრისებთან ევანშმათ ხოლმე.

კრისტოფი მათთან კარგად ვერ გრძნობდა თავს. აქ უმთავრესად ქალებზე და ცხენებზე იყო ლაპარაკი, თან ყოველგვარი მორიდების გარეშე. ეს ძალიან ფრთხილი და ზომიერი ხალხი იყო. ადალბერტი ლაპარაკობდა ერთფეროვანი, გაქიანურებული ხმით, დახვეწილი ზრდილობიანობით, უდიდამოდ და მოსაწყენად. ადოლფ მათ, რედაქციის მდივანი, ტანშიმე და ტანდაბალი, მხრებში თავჩარგული და უხეში კაცი, მუდამ ჭკუას არიგებდა სხვას. ლაპარაკობდა გადაპრით, ყურს არ უგდებდა სხვის პასუხს, უგულუბელყოფდა მოსაუბრის თვალ-

! თავისუფლად მოაზროვნე გერმანელ სტუდენტთა ორგანიზაცია.

საზრისს და უფრო მეტად თვით მოსაუბრეს. გოლდენრინგი — კრიტიკოსი მხატვრობის დარგში, ნერვიული ტიპით იყო შეპყრობილი, დიდრონი სათვალეები ეკეთა და მუდამ თვალებს ახამხამებდა. მხატვრების მიბაძვით გრძელ თმას ატარებდა, ჩუმად აბოლებდა თამბაქოს, დაუმთავრებელ ფრაზებს ცირდა გბილენიდან და ცერით გაურკვეველ რაღაცეებს ხაზავდა ჰაერში. ერენფელდს, პატარა, თმათხელ და მოლიმარ კაცს, ქერა წვერი, ხმელი, დაღლილი სახე და მოკაუჭებულ ცხვირი ჰქონდა. ყურნალში მოდებისა და საერთო ქრონიკის შესახებ წერდა წერილებს. ხმა სასიამოვნო ჰქონდა. ერთობ საჩოთარო ამბებს ჰყვებოდა ხოლმე. ძალიან გონიერი კაცი იყო, მაგრამ ავი და ზოგჯერ საზიზლარიც კი. ეს ახალგაზრდა მილიონერები, როგორც წესი, ანარქისტები იყვნენ. როცა ყველაფერი გაქვს, საზოგადოების უაზროფა უმადლესი ფუფუნებაა, რადგან თავიდან იხსნი ვალდებულებას. იმ ქურდისა არ იყოს, მგზავრი რომ გაძარცვა და ძერე კი ეუბნება — აქ რაღას დგახარ, გასწი, აღარ მკირდებიო.

მთელი ამ ჯგუფიდან კრისტოფს, მანჰაიმის გარდა, არავინ ესიმპათიურებოდა. ამ ხუთეულში ის ყველაზე ცოცხალი კაცი იყო, თავის ნათქვამზეც ცინიკოსა და სხვისაზეც. ბლუკუნებდა, ენას ძლივს აბრუნებდა, ხითხითებდა. რაღაცას მიედ-მოედებოდა, სხვის აზრს ვერ სწვდებოდა და არც თავისი ჰქონდა. მაგრამ, სამაგიეროდ, კარგი ბიჭი იყო. კბილებს არავინ იღესავდა და არც თავი მოჰქონდა. სიმართლე რომ ითქვას, იგი არასოდეს არ წარმოადგენდა საკუთარ თავს, მუდამ რაღაც როლს თამაშობდა. მაგრამ ამას უწყინრად აკეთებდა და არავის ერჩოდა. მუდამ უცნაური და კეთილშობილი უტოპიები ჰქონდა აკვიატებული, მაგრამ ძალიან ეშმაკი და დამცინავი კაცი იყო, რომ ყოველივე ეს დაეჭვებინა. ის საკუთარ გატაცებებშიც კი ერთობ თავდაპირილი იყო და თავისი თეორიების პრაქტიკული გამოყენებით სახელს არ გაიტეხდა. მიუხედავად ამისა, ერთი რამ მაინც ჰქონდა აჩემებული. ეს მისთვის თამაში იყო და ხან ერთით თამაშობდა და ხან მეორით. ამჟამად მისი გატაცების საგანი სიკეთე იყო. ბუნებრივია, მას ხელს არ აძლევდა ნამდვილი სიკეთე. ის მოჩვენებითად უნდა ყოფილიყო კეთილი. მას მხოლოდ სწამდა სიკეთე. სიკეთეს თამაშობდა. მას არ მოსწონდა თავისიანების ფხიზელი და უსულო საქმიანობა, როგორიზმი, მილიტარიზმი და გერმანული ფილისტერინიზმი... ამიტომ იყო ტოლსტოველი, ნარკანი-სტი, ევანგელისტი, ბუდისტი და თვითონაც არ იცოდა კიდევ ვინ, ქადაგებდა უსუსურ, უხერხემლო შემწყვალე მორალს, რომელიც გულუხვად აპატიებს შეცოდებებს, განსაკუთრებით კი ავანტურას. მორალს, რომელიც არ მალავს ასეთი ცოდვებისადმი კეთილგანწყობას და ბევრად უფრო ნაკლებს წყალობს სათნობას. მორალს, რომელიც ურთიერთხელშეწყობისა და გარყვნილების საზოგადოების გართობის წესდებას უფრო ჰგავდა და გასართობად წმინდანობის ნათელსაც კი იდგამდა თავზე. ამაში, რასაკვირველია, ცოტათივენი ზარმონებობაც ერია და ვისაც მგრძნობიარე ყნოსვა ჰქონდა, ცოტა არ იყოს ცუდი სუნაც სცემდა. ეს რომ ვინმეს სიმართლედ მიეღო, ადამიანს გულისწუხილს მოჰკვ-

რ-და. მაგრამ სეროიზულად არავინ იღებდა. ამ ანკ ქრისტიანიზმს ისინი პირველი შეფთვებისთანავე გაცვლიდნენ რომელიმე სხვა აჩემებულ გასართობზე. ეს შეიძლება ყოფილიყო უხეში ძალა, იმპერიალიზმი, „მცირე ლომები“. მანჭაიმი საკუთარ თავთან თამაშობდა კომედიას. თამაშობდა მთელი გულისყურით, რიგრიგობით განასახიერებდა ყველა იმ გრძნობას, რომელთაც თავად მოკლებული იყო. განასახიერებდა, ვიდრე სხეებივით თვითონაც იქცეოდა მოხუც და კეთილ ებრაელად. ისეთად, რომელსაც თავისი ერის დამახასიათებელი ყველა თავისებურება აქვს. იგი უაღრესად სიმპათიური და უსაზღვროდ მოსაბეზრებელი კაცი იყო.

ერთხანს მანჭაიმისათვის ასეთი აჩემების საგნად კრისტოფი იქცა. სულ კრისტოფი ეყერა პირზე, ყველგან მის სახელს გაიძახოდა. მისი ქებით მთლად ყურები გამოუჭედა ნათესავებს. მისთვის რომ გეკითხათ, კრისტოფი იყო გენიოსი, არაჩვეულებრივი ადამიანი. თხზავდა უცნაურ მუსიკას და განსაკუთრებით აღფრთოვანებული ლაპარაკობდა მუსიკის შესახებ. სავსე იყო ჭკუით. ამასთან ლამაზიც იყო. ლამაზი ტუჩები და მშვენიერი კბილები ჰქონდა. მე მას ძალიან ვუყვარვარო — დააყოლებდა ბოლოს მანჭაიმი. ბოლოს და ბოლოს ეს ლაპარაკი დამთავრდა იმით, რომ ერთ საღამოს სადილად მიიყვანა შივ კრისტოფი. აქ კრისტოფი პირისპირ შეხვდა თავისი ახალი მეგობრის მამას ლოთარ მანჭაიმს და ფრანცის დას ივდიოს.

ებრაელების ოჯახში კრისტოფი პირველად იყო. ამ პატარა ქალაქში საკმაოდ ბევრი ებრაელი ცხოვრობდა. თავიანთი სიმდიდრის, ერთმანეთის მხარდაჭერისა და ჭკუის წყალობით საკმაო გავლენაც ჰქონდათ. ამის მიუხედავად, მაინც განცალკევებით ცხოვრობდნენ. მათ მიმართ ხალხს მუდამ რაღაც აკვირებულნი რჩებოდა და ფარული მტრობა ედო გულში. მართალია, გულკეთილი, ნაჯრამ მაინც დამამცილებელი. ეს გრძნობა არც კრისტოფის ოჯახისათვის იყო უცხო. პაპამის არ უყვარდა ებრაელები, მაგრამ ზედის ირონიამ ისე ქნა, რომ ორი მისი საუკეთესო მოწაფე (ერთი შემდგომი კომპოზიტორი, მეორე კი ცნობილი ვირტუოზი შემსრულებელი) ებრაელი იყო. საწყალი კაცი ძალიან დარდობდა ამას. დგებოდა წუთი, როცა ეს შესანიშნავი მუსიკოსები უნდა გადაეკონა. და სწორედ მაშინ გაახსენდებოდა, რომ მათ ჯვარს აცვეს ქრისტე და აღარ იცოდა, როგორ შეეთავსებინა ეს ორი შეურიგებელი გრძნობა. ბოლოს მაინც გადაკონცინდა და თავს ირწმუნებდა, ღმერთი მიუტყვევებ, რადგან ძალიან უყვართ მუსიკაო. კრისტოფის მამას მეღჭიროს თავისუფალი აზროვნების კაცად მოჰქონდა თავი, მოურიდებლად იღებდა ფულებს ებრაელებისაგან და ასე ეგონა კარგად ვიქცევით. (თუმცა დასცინოდა და სძულდა ისინი). დედანისი კი, მზარეულად რომ დგებოდა ებრაელებთან, დარწმუნებული არ იყო, თუ ცოდოს არ სჩადიოდა. ებრაელები, ვისთანაც მას საქმე ჰქონია, ყოველთვის

მედიდურად ექცეოდნენ, მაგრამ არ ჯავრობდა. საერთოდ, ის არავისზე არ ბრაზობდა ხოლმე. ებრალებოდა ეს საცოდავი, ღეთისაგან დაწყველილი სალხი. ხანდახან, როცა ებრაელ ქალიშვილს დაინახავდა, ან ბავშვების მხიარულ სიცილს გაიგონებდა, სინანულით გაიფიქრებდა ხოლმე — რა მშვენიერი ქალია, რა ღამაში ბავშვებია... რა უბედურებაა.

როცა კრისტოფმა გამოაცხადა საღამოს მანჰაიმებთან ვსადილობო, ლუიზას სმა არ ამოულია, მაგრამ გულში მინც არ ესიამოვნა. ის ფიქრობდა, რასაც ებრაელებზე ცუდს ამბობენ, ყველაფერი როდია დასაჯერებელი (განა ვისზე არ ამბობენ ცუდს), პატროსანი ხალხი ყველგან არის, მაგრამ ჯობდა და უფრო წესიერიც იყო, თუ ყველა თავთავისთვის იქნებოდა. ებრაელები თავცთვის, ქრისტიანები — თავისთვისო.

კრისტოფს ასეთი ცრურწმენები არ გააჩნდა, რაკი თავის წრესთან მუდმივი წინააღმდეგობა ჰქონდა, ილტვოდა კიდევ ამ თავისებური ერისაკენ. თუმცა ებრაელებს არ იცნობდა. მას ებრაელთა მხოლოდ დაბალი ფენის წარმომადგენლებთან ჰქონია საქმე: წერილ ვაჭრებთან, ქუჩაში რაინსა და კათედრალა შორის მოფუსფუსე ბრბოსთან, ყველა ხალხისთვის დამახასიათებელი ჯოგური ინსტინქტის გამო, რაღაც პატარა გეტოს მაგვარს რომ ქმნიდა. მას ხშირად უხდებოდა ამ უბანში გავლა-გამოვლა. კრისტოფი გულისყურით და გულთბილად ათვალეირებდა ქალების ტიპიურ სახეებს — ჩავარდნილ ლოყებს, სქელ ტუჩებს, ამოზნექილ ყვრიმალებს, და ვინჩის სურათებისათვის დამახასიათებელ ღიმილს. მათი სახეების მშვიდ ჰარმონიას, სამწუხაროდ, არღვევდა ხოლმე უხეში მეტყველება და მოწყვეტილი სიცილ-ხარხარი. ამ ხალხის უმდაბლეს ფენებში, ფსკერზეც კი, თავიდა, შუშისთვლებიან და ზოგჯერ ცხოველური გამოხედვის ჯუჯა მოკლეფეხებიან არსებებში, ამ უკეთილშობილესი რასის გადაგვარებულ შთამომავლებში, დამყაყებულ და აყროლებულ ჰანჰუცობშიც კი ხშირად ჭაობზე მოელვარე ცეცხლივით ციმციმებდნენ ფოსფორული ნაპერწკლები: მომხიბვლელი მზერა, გონიერი სახეები: — ბლანტედან მომავალი უჩინარი ელექტრობა, რომელიც ხიბლავდა და მოსვენებას არ აძლევდა კრისტოფს. ისიც ფიქრობდა, რომ აქ, შიგნით, ცხოვრობენ შესანიშნავი სულები, რომლებიც სულსა დაფავენ; დიდებული გულები გამოსავალს რომ ეძიებენ ამ ჰანჰუცობიდან. კრისტოფი ლამობდა მათ ნახვას, მათთვის დახმარების გაწევას. მას უყვარდა ეს უცნობი ადამიანები, თუმცა ცოტა შიშიც ჰქონდა მათი. მაგრამ ახლო დამოკიდებულება არასოდეს ჰქონია. მითუმეტეს არასოდეს მისულა ახლოს ებრაელთა საზოგადოების მაღალ ფენასთან.

სადილი მანჰაიმებთან მისთვის სიახლესავით და, ცოტა არ იყოს, აკრძალული ხილივით იყო. ხოლო ევა, რომლის ხელიდანაც მას ხილი უნდა მიეღო, განსაკუთრებულ ლაზათს ჰმატებდა მას. მოსვლის წუთიდან კრისტოფს ოვალი აღარ მოუშორებია ივდით მანჰაიმისთვის. ნაცნობ ქალებს შორის ასეთს არავის შეხვედრია. ქალი მაღალი იყო, ტანწერწეტა, ხმელი, მაგრამ მკვრივი აგებუ-

ლებსა. მოიქროსფრო-შავგვრემან შუბლზე და ყვრიმალებზე ჩამოშლილი შავი, სქელი თმა, ოდნავ წამომჯდარი ახლომხედველი თვალები, შეშუპებული ქუთუ-ოლები, მოზრდილი ცხვირი, მოძრავი ნესტოები კეთილშობილური იერის მომ-გვრელი, ოდნავ ჩეარდნილი ლოყები, მსხვილი საკმაოდ ფეროვანი სახე და ენე-რგიული პროფილი ჰქონდა. ანფასში მისი სახე ნაკლებ გამოკვეთილი, ცვალებადი და ძნელად აღსაქმელი, თვალები კი ასიმეტრიულად ჩანდა. მასში ძლიერი ჯიშის და ამ ჯიშის შექმნაში მონაწილე სხვადასხვა ელემენტი იგრძნობოდა, სრუ-ლიად შეუსაბამო, მიმობნეული და არათანაბარი, საუკეთესო და უარესი. მის სილამაზეს უმთავრესად თვალები და მღუმარე ბაგეები წარმოადგენდა. ახლომხედველი იყო, უბეებიც ჩალურჯებოდა. კაცი იფიქრებდა ღრმად ჩამჯდა-რი შავი თვალები აქვსო.

ამ მზერაში ეროვნული უფრო მეტი იყო, ვიდრე პიროვნული. მის წყლიან და ცეცხლოვან თვალებში რომ ქალის ნამდვილი სული დაენახა ადამიანს, ასეთი თვალები უცხო არ უნდა ყოფილიყო მისთვის. ეს იყო ისრაელთა სული, კრის-ტოფისაგან მათი პატრონის უჩუმრად გამოჩინებული ამ ანთებულ და ნაღ-ვლიან თვალებში, მათ შთანთქმეს კრისტოფი. კარგა ხანს და ბევრჯერ იყვინთა მათ სიღრმეში კრისტოფმა და თანდათან ისწავლა გზის გაგნება ამ აღმოსავლურ ზღვაში.

ქალიც უტყერდა კრისტოფს და მის გამკრიახ მზერას ვერაფერი აკრთობდა. იმ ქრისტიანის სულში მისთვის არაფერი იყო დაფარული. კრისტოფი თვითონ-აც გრძნობდა ამას. ქალის თავბრუსდამხვევ მზერაში იგი ხედავდა ვაჟაკურ, ნათელ და ცივ ნებისყოფას, დაუბრუნებლად რომ შემოიჭრა მის არსებებაში. ამ მოუბრუნებლობაში საწყენი არაფერი იყო. ივლითი თანდათან ეუფლებოდა კრისტოფს, ოღონდ არა როგორც ხელში ვინმეს ჩადების სურვილით შეპყრო-ბილი კეკლუცი. კეკლუცობა მას იმდენი ჰქონდა, რამდენიც არავის, მაგრამ საკუთარი ძალაც იცოდა და მთლიანად ბუნებრივ ინსტინქტს იყო მიხედობილი. მითუმეტეს, რომ საქმე ჰქონდა კრისტოფივით ადვილად ხელში ჩასაგდება ნა-დავლთან. ივლითს, უბირველეს ყოვლისა, აინტერესებდა მოწინააღმდეგის გაც-ნობა (ყოველი მამაკაცი, ყოველი უცნობი მისთვის იყო მოწინააღმდეგე, რომე-ლთანაც შემდეგში, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა კავში-რის შეკვრა). ცხოვრების თამაშში გამარჯვება უფრო ჰკვიანის მხარეზეა. მოწი-ნააღმდეგის ქალაღმდეგში ისე უნდა ჩაიხედო, რომ არ დაგინახოს. წარმატების შემთხვევაში ივლითი ტყებოდა თავისი გამარჯვებით. მისთვის სულერთი იყო, წიქლებდა თუ არა მოწინააღმდეგისაგან სარგებლის ნახვას. იგი საკუთარი სი-ამოვნებისათვის თამაშობდა, გონებისაკენ ჰქონდა მისწრაფება. ოღონდ არა განყენებული გონებისაკენ. მის ტვინს, თუკი ამას მოინდომებდა, თავისუფლად შეეძლო დაუფლებოდა რომელსაც გნებავთ მეცნიერებას და ბევრად უფრო წარმატებით, ვიდრე მის ძმას, შეეძლო გამხდარიყო ბანკირ ლოთარ მანჰაიმის ნამდვილი მემკვიდრე. მაგრამ მას ცოცხალი გონება ერჩია, რომელიც ადა-

მიანებთან ურთიერთობაში მკლავნდებოდა. ადამიანების სულში ჩახედვა, მისი ღირსებების აწონ-დაწონა უფრო სიამოვნებდა და ამას ისეთი გულმოდგინებით და ყურადღებით აკეთებდა, როგორც მასების „ებრაელი ქალი“ ფულსა წონდა. არაჩვეულებრივი გამჭირაობის წყალობით უცბად პოულობდა სუსტ ადგილს, ნაკლს და უარყოფით მხარეს — სულის გასაღებს, ამოიცივებდა მის საიდუმლოებას. ასეთი გზით ხდებოდა სულების მეუფე, მაგრამ დიდხანს არ ტკბებოდა თავისი გამარჯვებით. ნადავლსაც არაფერში იყენებდა. საკუთარი ცნობისმოყვარეობის და პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების შემდეგ ნადავლი აღარ აინტერესებდა და ახალ ობიექტზე გადადიოდა. მთელი ეს ძალა უნაყოფო რჩებოდა. მის სიცოცხლით ესოდენ სავსე სულში სიკვდილი ისადგურებდა. ცნობისმოყვარეობა და მოწყენილობა ეუფლებოდა.

ივლითი ათვლიერება კრისტოფს, რომელსაც მისთვის თვალი ვერ მოეწყვიტა და ხმას არ იღებდა. შეუძინეველი ღიმილი — ტუჩის კუთხეების ოდნავი შერხევა კმაროდა, რომ კრისტოფი მოკადრებულყოფო. მაგრამ ეს ღიმილი დრო-დადრო ქრებოდა. ქალს სახის გამომეტყველება უცივდებოდა, თვალები გულ-გრილად იციქრებოდნენ. ივლითი დიასახლისობდა. ცივი ხმით ელაპარაკებოდა მოსამსახურეს და თავი ისე ეჭირა, თითქოს საუბარს ყურს არ უვდებდო. მაგრამ მალე ისევე ცეცხლივით ენთებოდა თვალები და მისი ნათქვამი ორიოდე სიტყვი-დან ირკვეოდა, რომ ყველაფერი გაეგონა და ყველაფერს მიმხვდარიყო.

ივლითი გულგრილად ამოწმებდა თავისი ძმის ნათქვამს კრისტოფის შესახებ. კარგად იცოდა, რომ ფრანცს ცოტა ტყუილიც ეხერხებოდა. მის ირონიას დარი მაშინ დაუდგა, როცა კრისტოფი დანახა, მისი ძმა ასე გულმოდგინედ რომ უქებდა გარეგნობასა და ზრდილობას. კაცი იფიქრებდა ფრანცს არარსებულის დანახვის ან თავისივე შეთხზულის დაჭერების საგანგებო ნიჭი აქვსო. მაგრამ, რაც უკეთ სწავლობდა კრისტოფს, ხედავდა, რომ ფრანცის ნათქვამი მთლად მცდარი როდი იყო. იგი კრისტოფში თანდათან ამჩნევდა ჭერ ჩამოუყალიბებელ და დაუდღღებელ, მაგრამ უდრეკ ვაჟაკურ ძალას. ეს ძალიან სიამოვნებდა ივლითს, რადგან სხვაზე უკეთ გრძნობდა რა იშვიათი ხილიც იყო. რაზეც სურდა, ყველაფერზე ალაპარაკა კრისტოფი, გადმოაშლევინა ნააზრევნაფიქრალი, დაანახვა მისივე გონების შესაძლებლობანი და ნაკლიც, ფორტეპიანოზეც დააკრევიანა. ივლითს მუსიკა არ უყვარდა, მაგრამ ესმოდა და კრისტოფის ორიგინალობა შესანიშნავად დინახა. ეს მუსიკა არავითარ ემოციას არ იწვევდა მასში. ივლითმა ჩვეული გულგრილობითა და ზრდილობით რამდენიმე მოკლე, ზუსტი, და არასასიამოვნო შენიშვნა მისცა, მაგრამ ჩანდა, რომ თანდათან მეტ და მეტ ინტერესს იჩენდა კრისტოფისადმი. კრისტოფმაც შენიშვნა ეს. ამყობდა კიდევ, რადგან მიხვდა მისი შენიშვნის ფასს. კრისტოფი არ ფარავდა სწრაფვას ივლითის გულის მოსანადირებლად და ისე გულუბრყვი-

ლოდ ირგებოდა, რომ მასპინძლებს ეცინებოდათ კიდეც. კრისტოფი მხოლოდ ივდიტს ესაუბრებოდა, მხოლოდ მისთვის ლაპარაკობდა. სხვები თითქოს არც კი არსებობდნენ, ყურადღებას არავის აქცევდა.

ფრანცი ჩუმად მისჩერებოდა კრისტოფს. იჭერდა მის ყოველ სიტყვას და ხან აღფრთოვანებოდა და ხან კი დაცინვით აგულღიანებდა ხოლმე. ზოგჯერ ხარხარებდა კიდეც, ან ეშმაკურად ჩაუყრავდა თვალს ხან კრისტოფს, ხან კი თავის დას. ივდიტი ნირმუჟცველულად იჭდა და თავი ისე ეკირა, თითქოს ვერაფერს ხედავდა.

ლოთარ მანჰაიმი ზორბა მოხუცი იყო, მხრებში ოდნავ მოხრილი და სახე-წითელი. მოკლედ შეკრეპილი ჭალარა თმა და ყორანივით შავი უღვაშები და წარბები ჰქონდა. ენერგიულ. დამცინავ სახეზე უდრეკი სასიცოცხლო ძალა ეხატა. იგი კეთილი, ეშმაკური გამოხედვით ათვალეირებდა კრისტოფს და მალე, ჭერ კიდეც სადილობის დასაწყისშივე მიხვდა, რომ ამ ბიჭში „რალაც იყო“. მაგრამ მას არც მუსიკა აინტერესებდა და არც მუსიკოსები. ეს არ იყო მისი საქმე. ამ საქმინა არაფერი გაეგებოდა და ამას არც მალავდა. პირიქით, თავიც კი მოსწონდა, (როცა ამ ყაიდის ხალხი აღიარებს ხოლმე თავის უვიცობას, ამას თავისმოსაწონებლად სჩადის). კრისტოფიც, თავისი მხრივ, სრულიად მოურიდებლად აგრძნობინებდა, რომ მშვენიერად გაძლებდა ბატონი ბანკირის საზოგადოების გარეშე და მთელი საღამო არ მოსწყინდებოდა ივდიტ მანჰაიმთან საუბარი. მოხუც ლოთარს, რომლისთვისაც ყოველივე ეს გართობას წარმოადგენდა, ისლა დარჩენიდა, ბუხრის კუთხეში მოკალათებულყო, გაზეთი ეკითხა და დიმილმორეულს ცალი ყურით კრისტოფის აბლაბუდისა და მისი უცნაური მუსიკისათვის ესმინა. იჭდა და გულში ეცინებოდა — ვინძლო არსებობს ხალხი, ვისთვისაც ეს გასაგები და სასიამოვნოც არისო. იგი თავსაც კი არ იწუხებდა, რომ საუბრისათვის ყური მიეგდო. ამ ახალმოსული კაცის სწორად შეფასებაში თავისი ქალიშვილის გონიერებას ენდობოდა. ივდიტმა წარმატებით შეასრულა თავისი ვალი.

— კარგი. ხომ ყველაფერი ათქმევინე, ახლა რას მეტყვი ამ ხელოვანზე? — უთხრა ლოთარმა ივდიტს, როცა კრისტოფი წავიდა.

მან გაიციან, ცოტა დაფიქრდა, დასკვნა ჩამოაყალიბა და უპასუხა:

-- ცოტა უცნაური კაცია, მაგრამ სულელი არ არის.

-- მართალია, — უთხრა ლოთარმა, — მეც ასე მომეჩვენა. ოღონდ, მიადწევს კი წარმატებას?

— კი, მე მგონი, ძლიერია.

— ძალიან კარგი, — უპასუხა ლოთარმა, — მაშინ უნდა დავეხმაროთ.

ეს ძლიერთა ლოგიკა იყო. მათ მხოლოდ ძლიერები აინტერესებდათ.

კრისტოფი მოხიბლული წავიდა ივდიტ მანჰაიმით. ოღონდ შეყვარებული არა ყოფილა, როგორც ეს ივდიტს ეგონა. ორივე — ივდიტი თავისი ხერხიანო-

ბით, კრისტოფი თავისი ინსტინქტით, ჰკუთის მაგივრობას რომ უწყევდა, — ორივე ერთნაირად ცდებოდა ერთმანეთის მიმართ. კრისტოფი მოხიბლა ივდი-
ისის პირი-სახის იღუმალებამ და გონებრივი ცხოვრების ინტენსიობამ, მაგრამ
შეყვარებული მანაც არ ყოფილა. დატყვევებული იყო მისი თვალები მისი გო-
ნება, გული კი არა, რატომ? — ამის თქმა ძალიან ძნელი იყო. იქნებ იმიტომ, რომ
კრისტოფი ამაში ხელდავდა რაღაც საეჭვოსა და სამწუხაროს? — სხვა შემთხვე-
ვაში ეს შეიძლება უფრო მეტად შეყვარების მიზეზი ყოფილიყო: სიყვარული
მაშინ არის ძლიერი, თუ თავისი მტანჯველისკენ მიემართება. და თუ კრისტოფს
არ უყვარდა ივდითი, ეს არ იყო არც ერთისა და არც მეორის ბრალი. ნამდვილი
მიზეზი, ორივესათვის ერთობ არასახარბიელო, ის გახლდათ, რომ კრისტოფს
ჯერაც ვერ მოეწონებინა თავისი უკანასკნელი სიყვარული. გამოვლილმა განც-
დამ ის მანაც ვერ ჩააგდო ჰკუაში. ადა ისე უყვარდა, ამ ვნებაში იმდენი რწმენა.
ძალა და ოცნება შთაინთქა, რომ ამქამად ხელის შესაყვარებლად აღარათფერი
ჩაჩებოდა. კოცონის ხელახლა ასაბრიალებლად გულში ახალი ცეცხლის დანთება
იყო საჭირო. ამიტომ, ჯერჯერობით, ეს იქნებოდა შემთხვევითი ცეცხლი,
ხანძრის ნარჩენი, შემთხვევით გაღვივებული. გაჭირვებით მოლაპლაპე, უსუსუ-
რობისაგან ჩაქრობის პირზე მიმდგარი. ექვსი თვით უფრო გვიან იქნებ ბრმად
შეჰყვარებოდა ივდითი. დღეს კი მასში მეგობრის გარდა ვერათფერი ხელდავდა.
თუმცა ამ გრძნობას ცოტა ნაღველიც ახლდა. კრისტოფი ცდილობდა ამ ნაღვე-
ლის განდევნას, რადგან ადას აგონებდა. ეს არ იყო სასიამოვნო მოგონება და
ერჩია სრულებით არ ეფიქრა. ივდითი მას საკუთარი, სხვა ქალებისაგან ვანსხვა-
ვებული თვისებებით იზიდავდა. ის იყო პირველი გონიერი ქალი, რომელიც
კრისტოფმა გაიცნო. გონიერი იყო თავიდან ფეხებამდე. მისი სილამაზეც კი,
მისი ექსტეზი, მიხრა-მოხრა, სახის მოხაზულობა, ბაგეების მოყვანილობა, თვა-
ლები, ხელები, მისი კოხტა სიგამხდრე — ყველაფერი გონიერების ანარეკლი
იყო. ტანიც თითქოს გონიერულად ჰქონდა მოყვანილი. ეს გონიერულობა რომ
არა, ამ ქალს ვერავინ შეამჩნევდა, შეუხედავიც კი მოეჩვენებოდა ადამიანს.
სწორედ ამ გონებით იყო კრისტოფი აღფრთოვანებული. ივდითის ეს თვისება
უფრო ღრმაც და უფრო შეუზღუდველიც კი ეგონა, ვიდრე სინამდვილეში იყო.
კრისტოფი ჯერ არ იცნობდა ამ გონების მაცოფნებელ ძალას და გარდაუვალი
სურვილი ჰქონდა ამ ქალს მინდობოდა, თავისი ფიქრები გაეზიარებია. კრისტო-
ფის მიმართ ჯერ არავის გამოუჩენია ინტერესი. ასეთი ადამიანი კრისტოფს არ
შეხვედრია. იგი საკუთარ თავში იყო ჩაკეტილი. რა ბედნიერებაა მეგობრის
პოვნა. მას მეგობარი არ ჰყავდა და ბავშვობაში ყველაზე მეტად ეს აწუხებდა.
დარწმუნებული იყო, რომ ძმაზე უფრო გაუგებდა. ივდითის ნახვის შემდეგ
ხელახლა გაუჩნდა და-ძმური მეგობრობის ოდინდელი მაცდუნებელი გრძნობა.
სიყვარულზე სრულებით არ უფიქრია. არ იყო შეყვარებული. მეგობრობა
უფრო ამაღლებულ გრძნობად ეჩვენებოდა.

ივდითი მალე მიხვდა ამას და თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. კრისტო-

ფი მას არ უყვარდა. ქალაქის უფრო მდიდარ, უფრო მაღალი საზოგადოების ახალგაზრდა კაცებს ივლითი ძალიან მოსწონდათ და ამიტომ კრისტოფის სიყვარულისაგან უკეთეს სიამოვნებას არც ელოდა. თუმცა წუხდა და ერთობ მომაკვდინებლად განიცდიდა, რომ მხოლოდ მის გონებაზე შეეძლო ზემოქმედება ქალის სულისათვის უფრო მეტი ფასი აქვს ზემოქმედების მოხდენას სწორედ გონების წინააღმდეგ). მაგრამ ივლითი ამასაც ვერ ახერხებდა. კრისტოფი მაინც თავის ჭკუაზე იქცეოდა. ივლითს მბრძანებლობა უყვარდა, მიჩვეული იყო ნაცნობი ახალგაზრდა კაცების უსუსური აზრების თავისეულ კვერში გამოყვანას, მაგრამ ეს ხალხი ძალიან წყალღვინო იყო და მათზე ბატონობა მაინცადამაინც დიდ სიამოვნებას ვერ ჰგვრიდა. კრისტოფი უფრო საინტერესო იყო, აქ მეტი სიძნელეები ხვდებოდა. მისი გეგმებისადმი ივლითი სრულიად გულგრილი იყო, მაგრამ სურვილი ჰქონდა წარემართა და წარმატების გზაზე დაეყენებინა ეს ახალი აზრები, ხელუხლებელი ძალა. ეს უნდა ყოფილიყო მისებური და არა კრისტოფისათვის სასურველი წარმატება. სხვანაირი წარმატება მისთვის არ არსებობდა. ამის გასაგებად თავსაც კი არ იწუხებდა. აქი უმალ მიხვდა, რომ უბრძოლველად არაფერი გამოუვიდოდა. კრისტოფში ის ხელდავდა წინასწარ აღებული ურყევ აზრებს და იღებებს. ივლითისათვის ეს გულუბრყვილობა იყო და ბოღება უფრო ჰგავდა, სარეველა ბალახად მიაჩნდა და მოთხრას ცდილობდა. მაგრამ ერთიც ვერ მოთხარა. ქალმა ოდნავ დათმობასაც ვერ მიაღწია, რომ საკუთარი თავმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა. კრისტოფი ურყევი იყო. ის არ იყო შეყვარებული და არავითარი საბაბი არა ჰქონდა თავისი შეხედულებების დასათმობად.

დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ივლითი ერთ ხანს მაინც არ იშლიდა თავისას და ცდილობდა, როგორმე ხელთ ეგდო კრისტოფი. მართლაც ცოტა გაწყდა და ეს ნათელი გონების კაცი, კრისტოფი, კინალამ ისევე ხელში ჩაუვარდა ქალს. მამაკაცები ადვილად ეგებიან იმათ ანკესზე, ვინც მათ თავმოყვარეობაზე და სურვილებზე თამაშობს. მითუმეტეს ხელოვანნი. მათ ორჯერ მეტი ფანტაზია აქვთ და ორჯერ უფრო ადვილი გასაცურებლები არიან. საბედისწერო და ამჭერად კიდევ უფრო გამანადგურებელ ფლირტში კრისტოფის ჩათრევა ივლითისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მაგრამ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ქალი მალე მოიქანცა და გადაწყვიტა, ჩიტი ბღღვნად არ ღირსო: კრისტოფი უკვე მოსწყინდა და მისი აღარაფერი გაეგებოდა.

გარკვეული წერტილის შემდეგ აღარაფერი გაეგებოდა. იქამდე ყველაფერი გასაგები იყო. უფრო შორს წასასვლელად მისი შესანიშნავი გონება აღარ კმაროდა. საჭირო იყო გული ან რამე ისეთი, დროებით მაინც მოჩვენებითად რომ გაუწევდა გულის მაგივრობას: სიყვარული. მას კარგად ესმოდა კრისტოფის კრიტიკა, მიმართული აღამიანების და საგნების წინააღმდეგ. ივლითი ერთობოდა ამით და მიაჩნდა, რომ ეს საკმარისად მართებული იყო. ხშირად თვითონაც ასე ფიქრობდა. მაგრამ ვერ გაეგო, როგორ უნდა დაქვემდებარებოდა ამ

მძიმე და საშიშ შეხედულებას მისი რეალური ცხოვრება. კრისტოფის ამბოხებულ განწყობილებას ყოველივესა და ყველაფრის წინააღმდეგ, არაფერი მოჰქონდა. მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ ხალხის გარდაქმნას აპირებდა... მერე?.. მერე ეს წყლის ნაყვა და დროის ტყუილუბრალო კარგვა იყო. ჰკვირვანი კაცი მუდამ კიცხავს ადამიანებს, ჩუმად დასცინის, ცოტა ეზიზღება კიდეც, მაგრამ თვითონ უკეთესად მაინც არ იქცევა. ეს ერთადერთი საშუალებაა ბატონობისათვის. აზრები ერთი სამყაროა, მოქმედება — მეორე. რა აუცილებელია თავი შესწირო იმას, რასაც ფიქრობ? სწორად, მართებულად ფიქრი — სწორია ასე უნდა. მაგრამ რა ფასი აქვს მართლის თქმას? ადამიანები თუ იმდენად ბრწყინვები არიან, რომ სიმართლეს ვერ იტანენ, რა საჭიროა მისი ძალით თავზე მოხვევა? განა უფრო მეტ ილუზიულ სიამოვნებას არ გრძნობ, როცა ურავლები ადამიანების სუსტ მხარეებს, მოჩვენებითად ქედს იხრი მათ წინაშე, გულში კი თავისუფალი ხარ და ზიზღით იმსკვალები? ჰკვირვანი მონის სიხარული არა სჯობია? დე, ასე იყოს. თუ მონობაა, მონობა იყოს და თუ ეს გარდუვალა და წინააღმდეგობას აზრი არა აქვს, სჯობს საკუთარი ნებით დაჰყვე და თავი აარილო უაზრო ბრძოლას. ბოლოს და ბოლოს ტყვეობაში ყველაზე უარესი ის არის, რომ საკუთარი აზრის ტყვე ხარ და ყველაფერი მას ეწირება. თავი არ უნდა მოიტყუო. ივდითი კი ხედავდა, რომ თუ კრისტოფი გაჯიუტდა, ეს კი, როგორც ჩანს, ასე იქნება და წინ აღუდგა გერმანული ხელოვნებისა და გონების ცრუ რწმენას, აიხმედრებდა მთელ ხალხს და თვით მფარველებსაც. ეს კი გარდუვალ მარცხს უქმდის. ივდითს არ ესმოდა რატომ აღმდგარიყო კრისტოფი საკუთარი თავის წინააღმდეგ, რად სიამოვნება საკუთარი თავის განადგურება?

ეს რომ გაეგო, უნდა მიმხედარიყო, რომ კრისტოფის მიზანი წარმატება კი არა, რწმენა იყო. კრისტოფს ხელოვნებისა სწამდა. სწამდა თავისი ხელოვნებისა, საკუთარი თავისა. ყოველივე ეს არა მარტო ინტერესებზე, არამედ თვით სიცოცხლეზე უფრო მაღლა მდგომ რეალობად მიაჩნდა. და როდესაც შენიშვნებისაგან ძალაგამოცილილმა კრისტოფმა გულუბრყვილოდ დაუწყო ივდითს ამის მტკიცება, ქალმა მხრები აიჩეჩა. იგი სერიოზულად არ იღებდა ამ ნალაპარაკებს. ამაში ისეთსავე მყვირალა ფრაზებს ხედავდა როგორსაც თავისი ძმისაგან იყო ჩვეული. ისიც აცხადებდა ხოლმე აბსურდულ და კეთილშობილურ გადაწყვეტილებებს, მაგრამ განხორციელებას ერიდებოდა. ბოლოს ივდითი მიხვდა, რომ კრისტოფი თავისი სიტყვების მონაა. გადაწყვიტა, გეიჰაო და აღარ დაინტერესებულა ამ კაცით. ამის შემდეგ თავის გამოჩენა აღარ უცდიდა. რაც იყო, ის იყო. ერთი ჩვეულებრივი გერმანელი ქალი. ებრაელებს ტყუილ-უბრალოდ უყიფინებენ, არც ერთ ეროვნებას არ ეკუთვნიანო. არც ის არის მართალი, თითქოს ერთადერთი მჭიდროდ შეკრული ხალხი ევროპაში ებრაელობა იყოს და არ განიცდიდეს სხვა ხალხის გავლენას. სინამდვილეში არ არსებობს ერი, ისე ადვილად რომ იღებდეს იმ ქვეყნის ანაბეჭდს. სადაც გაივლის. და თუ ფრანგი და გერმანელი ებრაელის ხასიათში არის რაღაც საერთო,

ასევე და უფრო მეტადაც მოიძებნება სწორედ განმასხვავებელი ნიშნებიც. ეს ნიშნები შათი ახალი სამშობლოდან მოდის. აქ ისინი საოცარი სისწრაფით ითვისებენ სულიერ ჩვევებს, უფრო კი ჩვევებს, ვიდრე სულს. მაგრამ ჩვეულება ადამიანისათვის მეორე ბუნებაა, ხოლო უმრავლესობისათვის — ერთადერთიც კი. ეს კი უფლებას არ აძლევს თავისთავადი ქვეყნების მოქალაქეთა უმრავლესობას, ებრაელებს უსაყვედურონ ღრმა და შეცნობილი ნაციონალური სულის უქონლობა მაშინ, როცა თვითონაც არ გააჩნიათ ამის ნატყალი.

ქალები უფრო ადვილად ექვემდებარებიან გარეშე ზემოქმედებას. უფრო იოლად ეგუებიან ცხოვრების პირობებს და ეთვისებიან მის ცვალებადობას. ევროპაში ებრაელი ქალები ძალიან ხშირად უკიდურესობაში ვარდებიან, მაგრამ ითვისებენ იმ ქვეყნის ფიზიკურ და მორალურ ჩვევებს, სადაც ცხოვრობენ. ინარჩუნებენ თავიანთი ეროვნებისათვის დამახასიათებელ სახეს და გაურკვეველ, მძიმე და ძნელად დასათმობ ბუნებას. კრისტოფი განცვიფრებული იყო. მანწაიმებთან კრისტოფი ხედებოდა ივლითის დეიდებს, ბიძაშვილებს და მეგობრებს. რა ცოტა რამ იყო გერმანული მათ სახეებში. ახლო-მახლო ჩამჯდარი თვალები, ტუჩებთან ახლოს მისული ცხვირი, სახის მსხვილი ნაკვთები, წითელი სისხლი, სქელ, შავგვრემან კანქვეშ რომ მოჩანდა. რა ცოტათი ჰგავდნენ გერმანელ ქალებს, მაგრამ ყველა მაინც ნამდვილი გერმანელი იყო, მეტი რომ აღარ იქნებოდა: ლაპარაკითა და ჩაცმის ყაიდით, ზოგჯერ მეტისმეტად თვალშისაცემი კი. ივლითი ბევრად მალა იდგა ყველა მათთან შედარებით. რომ დაკვირვებოდი, მშვენივრად გამოჩნდებოდა, რა საოცრად ჭკვიანიც იყო. და ეს განლად მთავარი ამ ქალში. მაგრამ ამასთან ერთად სხვაზე ნაკლები უცნაურობანი როდი ახასიათებდა. მისი შეხედულებანი სრულიად თავისუფალი, თითქმის წუწულდევლი იყო მორალის საკითხებში, მაგრამ სოციალურ სფეროში ივლითი სხვებს როდი ჩამოუვარდებოდა თავისი შეზღუდულობით. აქ იგი პრაქტიკული მოსაზრებებით უფრო მოქმედებდა, ვიდრე თავისუფალი გონებით. მას სწამდა მალალი საზოგადოება, კლასების არსებობა, შეპყრობილი იყო ცრურწმენებით, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ეს უფრო ხელსაყრელი ეჩვენებოდა. იგი სასაცილოდ ივლებდა გერმანულ სულს, მაგრამ თვითონვე იყო მას აბლაუჭებული. იგი კარგად ხედავდა ზოგი აღიარებული ხელოვნების უსუსურობას, მაგრამ მაინც პატივისცემით ეპყრობოდა, რადგან ისინი საქვეყნოდ იყვნენ ცნობილნი. ხოლო თუ პირადი ურთიერთობაც ჰქონდა, მაშინ ხომ აღფრთოვანებასაც გამოთქვამდა თავისივე თავმოყვარეობის საამებლად. ივლითს მაინცადამაინც არ უყვარდა ბრამსის ნაწარმოებები, გულში ეს კომპოზიტორი მეორეხარისხოვან ხელოვნად მიაჩნდა, მაგრამ მისი სახელი ხელ-ფეხს უბოჭავდა. ხოლო როცა მისგან ხუთი თუ ექვსი წერილი მიიღო. ივლითისთვის ნათელი გახდა, რომ ბრამსი თანამედროვეობის უდიდესი კომპოზიტორია. ივლითს კარგად ესმოდა კრისტოფის ნამდვილი ფასი. იცოდა, რომ ობერლიეტენანტი დეტლევ ფონ ფლაიშერი რეგვენი იყო. მაგრამ კრისტოფის მეგობრობაზე უფრო მის მილიონებთან

ობერლეიტენანტის თამაში უფრო ეამებოდა. საქმე იმაში გახლდათ, რომ ეს ბრიყვი ოფიცერი მინც სხვა კასტის წარმომადგენელი იყო და ამ კასტაში შესვლა გერმანელი ებრაელისათვის ბევრად უფრო ძნელი საქმე გახლდათ, ვიდრე რომელიმე სხვა ქალისათვის. ივდითი არა სცნობდა ფეოდალურ ცრურწმენებს, და კარგად ესმოდა, რომ ობერლეიტენანტ დეტლევ ფონ ფლაიშერს ცოლად თუ გაჰყვებოდა, ძალიან გააბედნიერებდა მას. და მინც, რაც შეეძლო ცდილობდა მისი გულის მონადირებას: თავს იმცირებდა, თვალებს უნაბავდა ამ კრეტინს და ეფარისევლებოდა. ეს ამაყი ებრაელი ქალი, ბანკირ მანჰაიმის ქვიანი და ქედმაღალი ქალიშვილი, ცდილობდა დაბლა დაშვებულყო და ისე მოქცეულიყო, როგორც რომელიმე მდაბიო გერმანელი ქალი, ასე რომ საუღლდა თავად ივდითს. მაგრამ ასე თუ იქცეოდა, იმიტომ, რომ ათასი მიზეზი ჰქონდა ამისათვის.

ლოდინი ხანმოკლე გამოდგა. კრისტოფს ისევე მალე გაუქრა ილუზიები ივდითის მიმართ, როგორც მალე შეიძინა. სიმართლე უნდა ითქვას, ივდითი არც ცდილა, რომ კრისტოფს ეს ილუზიები შერჩენოდა. თუ ასეთი ხასიათის ქალმა მსჯავრი გამოგიტანათ და ზურგი შემოგაქციათ, თქვენ მისთვის უკვე აღარ არსებობთ. ის უკვე ვეღარ გამჩნევთ და არც ერიდება თქვენ წინაშე თავისი სულის გადაშლას. ამას ისევე მშვიდად და მოურიდებლად აკეთებს, თითქოს ტანთ იხდიდეს ძალის ან კატის წინ. კრისტოფმა თვალნათლივ ეხილა ივდითის ეგოიზმი. გულცივობა და წვრილმანობა. კრისტოფს არ ეცალა, ღრმად ვერ ჩაჰყვა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო. მან გულისტკივილი იგრძნო და ერთგვარად მინც განიცადა სულიერი მლეღვარება. კრისტოფი არ იყო შეყვარებული ივდითში, მაგრამ უყვარდა ის, რაც უნდა ყოფილიყო და რაც შეიძლება ყოფილიყო ივდითი. მისმა ლამაზმა თვალებმა მოხიბლეს და მოაჯადოვეს. მათი დაეწყება არ შეეძლო. მათ სიღრმეში მთვლემარე უქმური სული, მართალია, შეცნობილი ჰქონდა, მაგრამ თვალები მინც თვალწინ ედგა. ამ თვალებს ისეთად ჰკრეტდა, როგორის ხილვაც სურდა. სწორედ ისეთად, პირველად რომ იხილა. ეს იყო უსიყვარულოდ დარჩენილი ერთი იმ სასიყვარულო ილუზია-თაგანი, რომელთაც დიდი ადგილი უკავიათ შემოქმედის გულში, თუკი ის შთლიანად შემოქმედებით არ არის ამოვსებული. ის შეიძლება გამოეწვია გავლელის უცნობ სახესაც. ამ სახეში შემოქმედი ზედაეს მთელ მის მშვენიერებას. თვით პატრონს კი ვერ შეუშინებია და არც უფროთხილდება. ეს მშვენიერება მით უფრო საყვარელია, რაც ნაკლებ უფროთხილდება. იგი უყვართ, ვითარცა ძვირფასი რამ ნივთი, რომელიც ისე გაქრება, მის ფასს ვერაფერს გაიგებს.

მაგრამ ვინ იცის, იქნებ ცდება კრისტოფი და ივდით მანჰაიმი არაფერი იქნება იმაზე მეტი, რაც უკვე არის. მაგრამ კრისტოფმა რალაც ერთი ხნით, იწამა იგი და ჯერაც მოხიბლული იყო. მიუეკრძოებელი მსჯელობა მას არ შეეძ-

ლო. ყველაფერი, რაც კარგი ჰქონდა ივლითს, კრისტოფის აზრით, მხოლოდ მისი კუთვნილება იყო, მის არსებობას წარმოადგენდა. ყოველივე უხეში კი ივლითის ნარევი ეროვნების ბრალი იყო: ებრაულისა და გერმანულის. ამ მეორეს ალბათ, მეტი ბრალდებოდა, რადგან მისგან თვით კრისტოფეს მეტი ჰქონდა განცდილი. არც ერთ სხვა ეროვნებას კრისტოფი არ იცნობდა. გერმანული სული მისთვის განტყეების ვაცი იყო და მთელი ქვეყნის ცოდვებს მას ჰდებდა ბრალად. ივლითის გამო დაკარგული რწმენა ჰკარნახობდა, უფრო მეტად ებრძოლა მის წინააღმდეგ და თავისთვის ვერ ეპატიებინა, რომ ასეთი სულისთვის ფრთები ნოყვეცა. ასეთი იყო პირველი შეხვედრა ებრაელებთან. კრისტოფს ზევრის იმედი ჰქონდა. იმედოვნებდა, რომ თანამებრძოლს იპოვიდა ამ ძლიერ და სხვებზეაგან გარიყულ ერში, მაგრამ ეს იმედიც დაიკარგა. დაუოკებელი ინტუიციით შეპყრობილი კრისტოფი ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდა და მალე დარწმუნდა, რომ ეს ერი ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე ამბობდნენ და ბევრად უფრო თვინიერი, მეტისმეტად თვინიერი, გარეგანი ზეწოქმედების მიმართ. ეს ერი სუსტი იყო საკუთარი სუსტი მხარეების თვალსაზრისითაც. ჰქონდა ყველა ამქვეყნიური სისუსტე, თავის გზაზე შექმნილი. ეს ჭერ კიდევ არ იყო წერტილი კრისტოფის ხელოვნების ბერკეტის დასაყრდნობად. პირობით, არსებობდა საშიშროება, რომ კრისტოფი მასთან ერთად შთაინთქმებოდა უდაბნოს სილაში.

კრისტოფმა დაინახა საშიშროება, მიხვდა, რომ ძალა არ ეყოფოდა მის დასაძლევად და უმალ შეწყვიტა მანძაიმებთან სიარული. იგი რამდენიმეჯერ მიიწვიეს, მაგრამ ბოდიში მოიხადა, მიზეზი კი არ უთქვამს. რაკი მანამდე ხშირად დადიოდა ამ ოჯახში, მოულოდნელი ცვლილება არავის გამოჰპარვია. ეს გარემოება მის „ორიგინალობას“ დააბრალებს. სამი მანძაინიდან არც ერთს ეკვოც არ შეჰპარვია, რომ ცოტაოდენი ბრალი ამაში ივლითის ლამაზ თვალებს მიუძღოდათ. ერთხელ ლოთარმა და ფრანცმა სუფრაზე სიტყვა გადაუკრეს ერთმანეთს ამის თაობაზე. ივლითმა მხრები აიჩეჩა. თვითონაც გადაუკრა თავისი ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ და ცივად სთხოვა ძმას „თავი დამანებეთო“. ივლითმა რა აღარ იღონა კრისტოფის დასაბრუნებლად, წერილიც ნისწერა, რალაც მაქვს გასარკვევი მუსიკაში და შენ გარდა ვერავინ მომეხმარებო. წერილით ბოლოში კი მეგობრულად საყვედურობდა, ჩვენთან იშვიათადღა ღაღიზარ და შენი ნახვა ყველას ძალიან გვესიამოვნებო. კრისტოფმა უპასუხა, გასარკვევი გაურკვია, მიზეზად მოუცლელობა მოიტანა და მიანიც არ წავიდა. ისინი ხანდაჰან თუ ხვდებოდნენ თეატრში. კრისტოფი ჯიუტად თვალს არიდებდა მანძაიმების ლოყას, თავს იკატუნებდა, თითქოს ვერ ხედავდა ივლითს, რომელსაც მისთვის თავისი მომაჯადოებელი ღიმილი ჰქონდა გამზადებული. ივლითი აღარ ჩასცივებია. კრისტოფი აღარ ენაღვლებოდა. არ დაუშვებდა, რომ მთელი გარჯა ამ საცოდავი მუსიკოსის მაგივრად თვითონ ეცდრა და

ისიც ტყუილებრალოდ. კრისტოფს თუ დაბრუნება უნდოდა, თვითონაც დაბრუნდებოდა, თუ არა და, რას იზამ, როგორმე უმისოდაც გაძლებდნენ.

გაძლეს კიდევ. მისი არყოფნა, მართლაცდა, დიდად არ დასტყობია მანქანების ოჯახურ საღამოებს. მაგრამ ღვარძლი კრისტოფის მიმართ ივდითს მაინც ჩარჩა გულში. ჩვეულებისამებრ, იგი ყურადღებას არ აქცევდა მათთან სტუმრად მყოფ კრისტოფს და არ ბრაზობდა, როცა კრისტოფი ნაწყენი რჩებოდა ხოლმე. მაგრამ წყენის გამო ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა, ივდითის აზრით, უშინო თავმოყვარეობა და უფრო კი ეგოიზმი იყო, ვიდრე სიყვარული. ივდითი ვერ იტანდა, როცა მისი ნაკლი სხვასაც ჰქონდა.

კრისტოფის საქმიანობას ივდითი სულ მეტი ყურადღებით ადევნებდა თვალს. თავის ძმას შეუმჩნევლად ითრევდა ამ თემაზე საუბარში. ალაპარაკებდა ხოლმე, თუ რაზე საუბრობდნენ ისა და კრისტოფი და გზადგზა ირონიულ, მახვილგონიერ შენიშვნებს ურთავდა. მხედველობიდან არაფერი ეპარებოდა და ფრანცის შეუმჩნევლად ნელ-ნელა ძირს უთხრიდა მის ენთუზიაზმს.

თავდაპირველად უჩრნალში ყველაფერი კარგად მიდიოდა. კრისტოფი ვერ მიმხვდარიყო, რა უბადრუქნიც იყვნენ მისი თანამომენი, იმათ კი კრისტოფი გენიოსად მიიჩნეის, რაკი მათი იყო. მანჰაიმი, კრისტოფის აღმომჩენი, რომელსაც მისი არც ერთი სტრიქონი არ წაუკითხა, ყველგან ამბობდა, კრისტოფი ბრწყინვალე კრიტიკოსია და მე რომ მისთვის თვალები არ ამეხილა, თავის მოწოდებას ჭერაც ვერ მიაგნებდაო. წინასწარი აზრი კრისტოფის სტარტიების შესახებ ცნობისმოყვარეობის გამაღიზიანებელ, ერთობ იღუმალ სიტყვიერ მასალაში იყო გახკეული. მისმა პირველმა წერილმა ამ ჩამკვდარ, პატარა ჟალაქში ისეთივე აურზაური გამოიწვია, როგორც იხვებით სავსე ტბაში ჩაგდებულმა ქვამ. „მეტისმეტი მუსიკა“, — ასე ერქვა წერილს.

— მეტისმეტი მუსიკა, ზედმეტი სმა და ზედმეტი ჰამა, — წერდა კრისტოფი, — ჰამენ, სვამენ. ისმენენ, თუმცა არცა შით, არც სწყურიათ და არც არაფერი სჭირდებათ. მაგრამ ლორმუცელები არიან. სწორედ ასეთი გახლავთ სტრასბურგის ბატების რეჟიმი. ეს ხალხი გაუმადლობით არის დაავადებული. მისთვის სულ ერთია რას მიართმევ, „ტრისტანს“ თუ „ზეკინგენელ მეტუკეს“, ბეთჰოვენს თუ მასკანის, ფუგას თუ გალოპს, ადანს, ბახს, პუჩინის, მოცარტს თუ მარშნერს. არც კი იციან, რასა ჰამენ. მთავარია ჰამა. ამაში ისინი სიამოვნებასაც კი ვეღარ ხედავენ. შეხედეთ ერთი, კონცერტებზე გერმანული მხიარულების შესახებ ლაპარაკობენი ამ ხალხმა არც კი იცის, რა არის მხიარულება; ისინი ხომ მუდამ მხიარულები არიან! მათი მხიარულება, ისევე როგორც მწუხარება, წვიმასავით მოდის. მათი მხიარულება წვრილმანია. უსიცოცხლოა და უძლური. ისინი საათობით სხედან ლიმილისაგან სახეგაბადრულნი და ისმენენ და ისმენენ. ფიქრით არაფერს ფიქრობენ და გრძნობით არაფერს გრძნო-

ბენ — ღრუბელივით არიან. ჭეშმარიტი სიხარული და ჭეშმარიტი ნაღველი, ეს ძალა ლუდი კი არ არის, საათობით ისხმებოდეს კასრებიდან. იგი ყელში სწვდებოდა ადამიანს და იპყრობს მას. კიდევ რამის შეთვისება საჭირო აღარ არის, მან უკვე მიიღო თავისი წილი.

მეტისმეტი მუსიკა! თქვენ თავსაც იკლავთ და მასაც კლავთ. თქვენ რომ თავს იკლავთ, ეს თქვენი საქმეა და მე არაფერი შემიძლია. მაგრამ მუსიკა! ხელები შორს! მე უფლებას ვერ მოგცემთ, დაამციროთ ყველაფერი, რაც საუკეთესოა ქვეყნად, ერთ ტაფაზე მოაქციოთ უწმინდესი ნაწარმოებები და უბადრუკობანი, ან კიდევ, როგორც ეს თქვენთანაა მიღებული, „პარტიფალის“ პრელუდია გაუროთ „ბოლკის ქალიშვილსა“ და საქსოფონისტების კვარტეტს შორის, ბეთჰოვენის ადავიო დაამშვენოთ რალაც კეკ-უოკით ან ლეონკავალოს ნაგვიო. თქვენ დიდ მუსიკალურ ხალხად მოგაქვთ თავი, მუსიკის სიყვარულს იჩემებთ. რომელი მუსიკა გიყვართ, ცუდი თუ კარგი? თქვენ ორივეს ტანს უკრავთ. ბოლოს და ბოლოს, რომელიმე ხომ უნდა აირჩიოთ? მართლაც და რა გსურთ: თავადაც არ იცით ეს. იცოდეთ, თქვენ არ იცით, რომელს მიემხროთ, გეშინიათ ვაითუ შევეცდეთ ეშმაკსაც წაუღია თქვენი წინდახედულება! თქვენ ამბობთ, მიკერძოებაზე მალლა ვდგავართო! უფრო მალლა—ეს ნიშნავს უფრო დაბლა...

აქ კრიტიკაშია მოიტანა მოხუცი გოტფრიდ კელერის ლექსი, სასტიკი ციურისხელი ბურჟუეზია და იმ ერთი გერმანელი მწერალთაგანისა, რომელიც ძვირფასი იყო მისთვის თავისი მუსიკალური პატიოსნებით და მშობელი მიწის მძაფრი სურნელით.

Wer über den Parteien sich wähnt mit stolzen Mienen.

Der steht zumeist vielmehr beträchtlich unter ihnen,

პარტიებზე მალლა ვდგევარო — ვისაც ჰგონია,

სინამდვილეში მათზე უფრო დაბლა მდგომია.

— იქონიეთ ვაჟკაცობა და იყავით მართალნი, — განაგრძობდა იგი, — იქონიეთ ვაჟკაცობა და იყავით მახინჯნი. ცუდი მუსიკა თუ გიყვართ, თქვეთ გაბედულად. გამოჩნდით, დაგვენახეთ იმ სახით, რაცა ხართ. ჩამოაცილეთ თქვენს სულს შემრიგებლობის და ორანზროვნების საზიზღარი საღებავი. ჩამოირეცხეთ სამუდამოდ. რამდენი ხანია სარკეში არ ჩაგინებდეთ? მე მინდა დაგანახოთ თქვენი თავი. კომპოზიტორებო, ვირტუოზებო, დირიჟორებო, მომღერლებო და შენ. ძვირფასო საზოგადოებავ, თქვენ ერთხელ და სამუდამოდ გაიგებთ ვინა ხართ. რაც გინდათ, ის იყავით, ოღონდ. დალაზვროს ეშმაკმა და, იყავით გულახდილნი! გულახდილნი. თუნდაც არტისტებისა და ხელოვნების საზიანოდ. თუ ხელოვნება და სინამდვილე ერთად ვერა ცხოვრობენ, დე, დაიღუპოს ხელოვნება. სინამდვილე სიცოცხლეა. სიკვდილი სიცრუეა!

ამ გადაშეტებულმა და საქმაოდ უგემოვნო ახალგაზრდულმა დეკლამაციამ,

რასაკვირველია, აურზაური გამოიწვია. მაგრამ რაკი მთელი ხალხი იყო მიზანში ამოდებული და გარკვევით არაჲინ იყო გამოყოფილი, საკუთარი თავის დანახვა არაჲის უნდოდა. ყველას სწამს და ყველა ამბობს, რომ სიმართლის საუკეთესო მეგობარია. ეკვი არ იყო, სტატიაში გამოთქმული აზრების წინააღმდეგ არაჲინ გაილაშქრებდა. ისინი მხოლოდ საერთო ჭონმა აღაშფოთა. ყველას ერთსულოვნად მიაჩნდა, რომ ეს გამოსვლა უადგილო იყო და მითუმეტეს, თითქმის, ოფიციალური მდგომარეობის ხელოვანისაგან. ზოგიერთი მუსიკოსი აფუსფუსდა და მტკიცე პროტესტი განაცხადა. ისინი გრძნობდნენ, რომ კრისტოფი მხოლოდ ამას არ დასჯერდებოდა. სხვებმა ამკობინეს მიელოცათ ეს გაბედული ნაბიჯი, თუმცა მათაც არანაკლებ აწუხებდათ მომავალი წერილები.

ორივე ტაქტიკამ ერთი და იგივე შედეგი გამოიღო. კრისტოფი უკვე დაიძრა ადგილიდან და ველარაფერი შეაჩერებდა. მან თავისი მუქარა ყველას შეუსრულა — ავტორებსაც და შემსრულებლებსაც.

პირველად კაპელმაისტრებს მოხვდათ. კრისტოფმა მხოლოდ ზოგადი მსჯელობანი როდი იკაარა ორკესტრის დირიჟორის ხელოვნების შესახებ. მან სათითაოდ ჩამოთვალა თანამომძეგები მეზობელი ქალაქებიდან. და მაშინაც კი, როცა პირადად არ ასახელებდა, ყველაფერი ისე ჩათლად იყო თქმული, რომ მათი გამოცნობა არაჲის არ გასკირვებია. ყველა ცნობდა კარის ორკესტრის ზანტ და უსიციცხლო დირიჟორს ალოიზ ფონ ვერნერს, თვინიერ და პატივით აღსკრკილ მოხუცს, ყველაფრის მოშიშარს, კაცს მორიდებულს, უთქმულსა და თავისი მუსიკოსების დამყოლს. ეს კაცი პროგრამაში ისეთს არაფერს შეიღანდა, თუ ოცი წლის წარმატებით არ იყო შემოწმებული ან, ყოველ შემთხვევაში, ვინმე ოფიციალური აკადემიური პიროვნების მიერ დადებითად შეფასებული. კრისტოფი დაციწვით ესალმებოდა მის ასეთ გაბედულებას, ულოცავდა გადეს, დგორუკის და ჩაიკოვსკის აღმოჩენას, აღფრთოვანებას გამოოქვამდა მისი ორკესტრის უტყუარ სიზუსტეზე, თანაზომიერ მეტრონომიულობაზე და სიფაქიზეზე. შემდეგი კონცერტისათვის ჩერნის l'Ecole de la Vélodité ორკესტრზე გაწყობას სთავაზობდა და სთხოვდა არ გადაღლილიყო, ძალიან არ გართულიყო და გაფრთხილებოდა თავის ძვირფას ჯანმრთელობას. აქვე კრისტოფი აღშფოთებას გამოთქვამდა ბეთჰოვენის „გმირულის“ ვერნერისეული შესრულების თაობაზე.

— ზარბაზანი, ზარბაზანი მოიტათ! ესროლეთ, ესროლეთ! მაგრამ თქვენ ხომ არაფერი გაგეგებათ, რა არის ომი, რა არის ბრძოლა ადამიანის სიბრყვისა და გულქვაობის წინააღმდეგ, რა არის ძალა, რომელიც სიხარულის ყიყინით მიწაზე ანარცხებს მათ. ან საიდან უნდა იცოდეთ? ის ხომ სწორედ თქვენ გებრძვით! მთელი თქვენი გმირობა კი ის არის, ტანჯვა და მქნარება დასწლიით ბეთჰოვენის „გმირულის“ სმენის დროს (გამოტყდით როცა ისმენთ, ხომ აღარ იცით რა ჰქნათ), ან კიდევ, გაუძლოთ ორპირ ქარს. როცა თავშიშველი და

ზურგში მოხრილი დგახართ ხოლმე ვინმე უბრწყინვალესობის გამოსვლის წილოდინში.

კრისტოფი მწარე სიტყვებს არ ზოგავდა კონსერვატორიის მესვეურთათვის, რომლებიც წარსულის დიდ ადამიანებს „კლასიკოსებს“ უწოდებდნენ.

კლასიკოსი! ამ სიტყვაში ყველაფერი იყო ნათქვამი. თავისუფალ მისწრაფებას გასაქანს არ აძლევენ და წყალს ურევენ მოწაფეებისათვის. ცხოვრება ქარისთვის გაშლილი თვალუწვდენელი სივრცეებით გიმნაზიის ეზოს ოთხ კედელშია მომწყვდეული. დაუდგრომელი გულის მჩქეფარე, ამაყი რიტმი ტიკტიკა საათის ოთხტაქტიან მექანიზმში იხუთება, მიდის თავის მოკლე ბილიკზე, ფხვს მიითრევს და დროის მძლავრ ბერკეტს ეყრდნობა. თქვენ ოკეანეს მაშინ შეჰხარით, როცა ის ქილაშია მოქცეული და შიგ წითელი თევზები დაცურავენ. თქვენ მხოლოდ მაშინ გესმით ცხოვრება, როცა ის უკვე მკვდარია.

კრისტოფი თუ „მეფიტულებს“ (ასე ეძახდა მათ კრისტოფი) არა ზოგავდა, მით უფრო არ ერიდებოდა ორკესტრის ე. წ. ცირკის მხედრებს, საუკეთესო დირიჟორებს, რომლებიც მკლავების წრიული მოძრაობებით და შეფეთქილი ხელებით აღფრთოვანებას იწვევენ ხალხში, დიდი ოსტატების ხარჯზე თავის ვირტუოზობას აჩვენებენ, თავს არ იზოგავენ, რომ ჩნელად საცნობი გახადონ უპართოდ ცნობილი ნაწარმოებები. მაღლა-მაღლა ხტებიან, რათა, როგორც ბორბალში ძვრებიან ხოლმე, გაძვრნენ სიმფონია დო-მინორში. კრისტოფი მათ ბებერ კვირტუცანებს, ორკესტრის პრიმადონებს, ბოშებსა და ჯამბაზებს უწოდებდა.

ვირტუოზები ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, მდიდარ საზრდოს წარმოადგენდნენ კრისტოფისათვის. მათი ილუზიონისტური სეანსების შესახებ მსჯელობის დროს ბოდიშს იხდიდა, ამ საქმეში კომპეტენტური არა ვარო. ეს მექანიკური ვარჯიშობანი ხელოვნებათა და ხელობათა კონსერვატორიის საქმეა და ეს არის კრიტიკა არა მუსიკისა, არამედ ბგერების სიგარძისა, რაოდენობისა და შესრულებულ სამუშაოზე დახარჯული ენერჯის აღმრიცხველი გრაფიკებისა. დროდადრო კრისტოფი წინადადებას იძლეოდა, რომ ვინმე ცნობილ, თიაგაწეწილ ვირტუოზ პიანისტს სახეზე ტანჯვის ღიმლით მოცარტის უბრალო ანდანტე შეესრულებია ორსაათიან კონცერტში. კრისტოფი, რასაკვირველია, არ უარყოფდა სიმინელეთა გადალაზვით გამოწვეულ სიამოვნებას. ასეთი რამ თავადაც უგემნია. ეს მისთვის სიცოცხლის ერთი სიამოვნებათაგანი იყო. მაგრამ მხოლოდ ტექნიკური მხარის დანახვა და ხელოვნების მთელი გმირობის ამით ამოწურვა უხეშობად და სიმდაბლედ ეჩვენებოდა. ის არაფერს აპატიებდა ღორტეპიანოს „ლომებსა“ და „პანტერებს“, მაგრამ არ სწყალობდა არც პატიოსან პედანტებს, რომლებითაც ასე ცნობილია გერმანია. ეს ხალხი შიშობდა, არაფერი დაემახინჯებიათ ავტორის ტექსტში და სრულიად ახშობდა აზრის ყოველგვარ აღმფრენას. ასე ემართებოდა ჰანს ფონ ბიულოვს, რის გამოც მისი შესრულებული მჩქეფარე სონატები მუდამ დიქტიის გაკვეთილს უფრო წააგავდა.

მომღერლების ჯერიც დადგა. კრისტოფი უკვე დიდი ხანია ეპირებოდა თავის გულისნადების თქმას მათი ბარბაროსობის, უვიცობისა და პროვინციული მანერულობის შესახებ. აქ მას ცისფერებში მორთულ იმ ქალბატონთან გადამხდარი უსიამოვნება როდი ამოძრავებდა. ეს იყო შურისგება მისთვის სატანჯველი უამრავი სპექტაკლისათვის. არავინ იცოდა, რისთვის უფრო მეტი წამება იყო ეს — ყურებისა თუ თვალებისათვის. გარდა ამისა, კრისტოფს საკმარისი მასალა არა ჰქონდა, რომ რამე ეთქვა სცენების უმსგავსოების, ყოვლად მოუხეშავი ტანსაცმლისა და მყვირალა ფერების თაობაზე. იგი განსაკუთრებით თავზარდაცემული იყო ტიპების ვულგარულობით, მათი ექსტემითა და მიხრა-მოხრით, არაბუნებრივი თამაშით, გარდასახვის უნარის უქონლობით და იმ ძნელად წარმოსადგენი გულცივობით, რომლითაც ერთი როლიდან მეორეზე ინაცვლებდნენ. ოღონდაც ეს როლები ხმის დაახლოებით ერთსა და იმავე რეგისტრში ყოფილიყო დაწერილი. ჩასუქებული, მხიარული და ფაშფაშა მატრონები რიგ-რიგობით თამაშობდნენ „იზოლდაში“ და „კარმენში“. ხმფორტასი¹ ფიგაროს თამაშობდა. მაგრამ, რასაკვირველია, კრისტოფისათვის ყველაზე მეტად აღმაშფოთებელი იყო უგემოვნო სიმღერა, განსაკუთრებით კლასიკურ ნაწარმოებებში, სადაც მელოდიის სილამაზე გადამწყვეტი ელემენტი იყო. გერმანიაში უკვე ველარ მღეროდნენ მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის შესანიშნავ სიმღერებს და ამისათვის თავსაც აღარ იწუხებდნენ. გლუკისა და მოცარტის ანკარა და სხივოსანი სტილი. გოეთეს სტილის მსგავსად იტალიურ ნათელში ამოვლებული, ვებერის დროს უკვე დაქუცმაცებას იწყებს, მოუსვენარი და ჭრელი ხდება. Crociato-ს² ავტორის ხელში მძიმე კარიკატურის სახეს იღებს და საბოლოოდ იმსხვრევა ვაგნერის ტრიუმფის უამს. მედგრად ფრთაგაშლილმა ვალკირიებმა³ გამაყრუებელი ყიყინით გადაიქროლეს საბერძნეთის ცაზე. ოდინის⁴ ქურუხმა ღრუბლებმა დღე დააბნელეს. მუსიკის სიმღერა აზრად აღარავის მოსდიოდა. მღეროდნენ პოემებს. ველარავინ ამჩნევდა დეტალების უხეშობას, შეუწყობელ სიმღერას, ყალბ ჰანგებს, აქაოდა, მთავარი ნაწარმოები და აზრი არისო.

— აზრი! ვილაპარაკოთ აზრის შესახებ. თითქოსდა რამე გაგეგებოდეთ. მაგრამ გაგეგებათ თუ არ გაგეგებათ, კეთილი ინებეთ და პატივი ეცით ფორმას, რომელიც მან თავისთვის აირჩია. მუსიკა პირველ რიგში მუსიკაა და მუსიკად უნდა დარჩეს!

ერთი სიტყვით, ის დიდი ზრუნვა, რასაც გერმანელი არტისტები იჩემებენ გამომსახველობისა და აზრის მიმართ, კრისტოფის ფიქრით გემრიელი ხუმრო-

1 ვაგნერის მუსიკალური დრამის „პარციფალის“ პერსონაჟი.

2 იტალ. მეიერბერის ოპერა „ჯვაროსანი ეგვიპტეში“.

3 მეომარი ქალღმერთები ძველ სკანდინავურ მითოლოგიაში.

4 ოდინსა და გამარჯების, ჭარისა და ზღვაოსნობის ღმერთი ძველ-სკანდინავურ მითოლოგიაში.

ბაა და მეტი არაფერი. გამოშახველობა? აზრი? დიახ, ყველგან ამას ჩრიდნენ, ყველგან განუჩრჩევლად. მათ შეეძლოთ აზრი დაენახათ შალის წინდაშიც კი და სწორედ იმდენი, რამდენიც მიქელ-ანჯელოს ქანდაკებაში. იხინი ერთნაირი ენერგიით თამაშობდნენ ვისაც გინდათ და რასაც გინდათ. არსებობდა, უმრავლესობისათვის, ირწმუნებოდა კრისტოფი, მუსიკაში მთავარია ბგერის მოცულობა და მუსიკალური რახარუხი. გერმანიაში ასეთი დიდი სიყვარული სიმღერისდაძმი ერთგვარად ვოკალური გიმნასტიკისაღმი სიყვარულს წარმოადგენდა. მთავარია, ბლომად დაავროვო ჰაერი, მეჩე კი ძლიერად, ენერგიულად, დიდხანს და ზომიერად ამოუშვა. და კრისტოფიც ზოგიერთ მომღერალს, ქათინაურს სახით, სთავებობდა უტარას მათი შესანიშნავი ჯანმრთელობის შენარჩუნების თაობაზე.

კრისტოფი მხოლოდ არტისტებს როდი აძრობდა ტყავს. მან რამბასაც გადააბიძგა და მოსდგა მსმენელს, პირდაღებული რომ შესცქერის ამ საშინელებას. თავზარდაცემულმა ხალხმა აღარ იცოდა, რა ექნა. ეცინა თუ გული მოეყვანა. მას სრული უფლება ჰქონდა, აურზაური აეტეხა უსამართლობისათვის. ის ხომ არ ერეოდა ხელოვნების ირგვლივ გამართულ არც ერთ დავაში, ყველა მწვავე საკითხს თავს არიდებდა და რომ არ შემცდარიყო, ყველას ტაშს უკრავდა. და აი, კრისტოფი სწორედ ტაშისცემაში დებს მათ ბრალს... უფარგისი ნაწარმოებებისათვის ტაშის დაკვრა? ამას კიდევ რა უშავდა. კრისტოფი უფრო შორს მიდიოდა. უფრო იმის გამო საყვედურობდა, რომ დიდებულ ნაწარმოებებს უკრავდნენ ტაშს. — თავს რად იკატუნებთ, — მიმართავდა მათ კრისტოფი, — გინდათ დაგვარწმუნოთ, რომ ასე ძალიანა ხარბ ალფრთოვანებულნი?.. მოეშვით, თავს ნუ მეცნებებთ ანუ ძალიან! ამით სწორედ თქვენი სურვილის საწინააღმდეგოს ანტიცემთ. დაუკარით ტაში, თუ გნებავთ, პიესებს და იმ ფურცლებს, რომელნიც თვითონ მოგიწოდებენ აპლოდისმენტებისაკენ. დაუკარით ტაში, მოცარტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გრძელი ყურებისთვის“ შექმნილ ხმაურიან ფინალებს. შეგიძლიათ გული გაიხაროთ: ყროყინი აქ წინასწარ არის გათვალისწინებული, იგი კონცერტის ნაწილია, მაგრამ ბეთპოვენის „Missa Solemnis“¹-ის ნეშეღეგა?!. საცოდავებო!.. ეს ხომ განკითხვის დღეა! თქვენ იხილეთ, რა თავბრუდამხვევად გადაიქროლა Gloria-მ?, ვით ქარიშხალმა ოკეანეზე, იხილეთ მისი გოლაათური ძალა და მისწრაფება, ნახეთ, როგორ შედგა იგი, ჩამოინთქა, ღრუბლებს დაეცია და უფსკრულს ჩაებლაუქა გაღმა-გამოდმა, ხელახლა შეჰკრა კამარა და სივრცეში განივარდა. ქარიშხალი გრგვინავს და ირაოს უვლის, ამ დროს ის-მის უეცარი მოღულატია, იელვებს ბგერა, გააპობს ცის უკუნეთს და სინათლის სტივად დაეცემა ტყვიისფერ ზღვაზე. ეს არის დასასრული: ელვისაგან ფრთებდაცჭრილული გამანადგურებელი ანგელოზის ველური ფრენა ერთბაშად. წყდე-

1 საღღესასწაულო მესა (ლათ.)

2 ღედება (ლათ)

ბა, თქვენ გარშემო ჭერ ისევ თრთის ყველაფერი. ყინმორეული თვალებისათვის მთელი ქვეყანა ირყევა, როგორც ძლიერი თავბრუს დროს გულს ბაგაბუგი გააქვს, სუნთქვა გეკვრით, სხეული შეშდება. მაგრამ შეწყდა თუ არა უკანასკნელი ბგერა, თქვენც გამწიარულდით, წმაურობთ, იცინით, აკრიტიკებთ, ტაშს უკრავთ!.. თქვენ არაფერი გინახავთ, არაფერი მოგისმენიათ, არაფერი გიგრძენიათ, არაფერი გაგიგონიათ, არაფერი, სრულებით არაფერი! ხელოვანის განცდები თქვენთვის მხოლოდ სპექტაკლია. თქვენ მიგაჩნიათ, რომ ოსტატურადაა ვაღმოცემული ვინმე ბეთპოვენის ცრემლები სიკვდილის წინ. გოლგოთაზე! „bis“-ს გაიძახით. დიადი სული იტანჯება და მთელი თავისი სიცოცხლე იბრძვის, რომ ერთი საათით მაინც გაგართოთ, თქვე დოყლაპიებო!“

ასე განმარტავდა კრისტოფი თავისდა უნებურად გოეთეს დიად სიტყვებს, თუმცა მისი ნათქვამი გოეთესულად მედიდურად ნათელი როდი იყო: „დიდებულში ხალხი გასართობს ხედავს, რომც ჩასწვდეს კიდეც მის არსებას, განჰკერეტის უნარი მაინც არ შესწევს“.

აქ მაინც შეჩერებულყო! მაგრამ გართულმა და გატაცებულმა გადალახა ხალხი და ზარბაზნის ჭურვად დაატყდა თავს უბადრუკობის საკურთხეველს და წმიდათაწმიდას — კრიტიკას. იგი საკუთარ თანამომძიებს დააცხრა თავს. ერთმა მათგანმა უფლება მისცა თავის თავს და შეუტია იმ დროს ყველაზე ნიჰიერ კომპოზიტორს, ახალი სკოლის მოწინავე წარმომადგენელს ჰასლერს, საპროგრამო სიმფონიების ავტორს, რომლის ნაწარმოებებში, მართალია, უცნაურობანი საკმაოდ იყო, მაგრამ ტალანტიც უხვად იგრძნობოდა. კრისტოფი ბავშვობაში წარუდგენიათ ჰასლერისათვის. ამ კომპოზიტორისადმი სინაზის იღუმალი გრძნობა ახლაც ცოცხლობდა მასში, ნიშნად ოდესღაც განცდილი სინარულისა. რომ ჯაიგო, ვიდაც ბრიყვი და, რამდენადაც მისთვის ცნობილი იყო, უვიცი კრიტიკოსი ჰკუჟას არიგებს ასეთი გაქანების კაცს და წესების დაცვას ურჩევსო, კრისტოფმა მოთმინება დაკარგა:

— წესები! წესები! — შესძახა მან. — თქვენ, გარდა პოლიციურისა, სხვა წესები არ იცით. გენიოსს გათელილ გზაზე ვერ გაიყოლებთ. ის თვითონ ქმნის წესებს და თავის ნებას კანონად აქცევს.

ასეთი ამაყი განცხადების შემდეგ იგი სწვდა ყბადაღებულ კრიტიკოსს, გადაქექა ბოლო ხანებში მის მიერ დაწერილი მთელი აბდაუბდა და ქვა ქვაზე აღარ დატოვა მისგან.

ყველა კრიტიკოსმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. აქამდე ისინი განზე იდგნენ ბრძოლისაგან, ვერ ბედავდნენ მისი ხელის ხლებას. კარგად იცნობდნენ კრისტოფს, იცოდნენ, რომ კომპეტენტური იყო და მისი ფიცხი ხასიათის ამბავიც გაეგოთ. ვიდაცამ თვინიერად შენიშნა, ნიჰიერი კომპოზიტორია და ისეთ რამეზე იხარება, რაც იმისი საქმე არ არისო. ეს იყო და ეს. როგორი თვალსაზ-

1 გოლგოთა — ადგილი იერუსალიმის მახლობლად, სადაც იესო ქრისტე აცვეს ჭვარს.

რისიც არ უნდა ჰქონდათ (თუკი ჰქონდათ საერთოდ), კრისტოფში ისინი აფასებდნენ საკუთარ პრივილეგიას — ვინც გინდა აკრიტიკე, შენ თვითონ კი არავინ არაფერი არ უნდა გაგიბედოს. მაგრამ როცა ნახეს, კრისტოფმა უხეშად და არღვია მათი უსიტყვო კავშირი, მასში საზოგადოებრივი ხასიათის მტერი დაინახეს. ერთხმად მიიჩნიეს, რომ ერის საამაყო პიროვნებებზე ახალგაზრდა კაცის ასეთი გამოლაშქრება ყოვლად დაუშვებელი იყო და გააფთრებულნი აღდგნენ მის წინააღმდეგ. გრძელი წერილებისა და გაჰიანურებული დისკუსიებისათვის არ მოუმართავთ (ამ ხერხებით მტრის წინააღმდეგ ბრძოლა სიკეთეს არ უქადდა მათ, რადგან იცოდნენ რომ მოწინააღმდეგე უკეთ იყო შეიარაღებული. თუმცა ჟურნალისტებს კამათის ერთი განსაკუთრებული ხერხი აქვთ — ისინი არავითარ ანგარიშს არ უწევენ მოწინააღმდეგის საბუთებს და, საერთოდ, არც კი ეცნობიან მათ). ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაანახვა, რომ მკითხველი ყოველთვის თავისი გაზეთის თვალსაზრისზე დგას და დისკუსიის გამართვა უსათუოდ შეასუსტებს მათ პოზიციას. ამიტომ საჭირო იყო პირდაპირ მტკიცება, ან, კიდევ უფრო უკეთესი. უარყოფა (უარყოფას, მტკიცებასთან შედარებით, ორჯერ მეტი ძალა აქვს. იგი მიზიდულობის კანონის უშუალო შედეგს წარმოადგენს. ქვის ჩამოგდება უფრო ადვილია, ვიდრე მისი მძლავრ აგდება). ამიტომ არჩიეს გუბუქლათ მოკლე-მოკლე, ენაწარე და შეურაცხმყოფელი წერილები, ებეჭდათ ეულმოდგინედ, ყოველდღე და თვალსაჩინო ადგილზე. ისინი, მართალია, პირადად არ ასახელებდნენ კრისტოფს, მაგრამ სასაცილოდ იგდებდნენ მის თავხედობას და ეს ყველაფერი ისე ხდებოდა, რომ მიხვედრა ძნელი საქმე არ იყო. კრიტიკოსები ამაზინებდნენ მის სიტყვას, ისე რომ, ყველაფერი ბოღვას ემსგავსებოდა, ანგელოტებს ყვებოდნენ მის შესახებ; ნამდვილად მომხდარ ამბავს ზოგჯერ განზრახ ისეთ რამეს წაუმატებდნენ, რომ უკმაყოფილება ჩამოეგდოთ კრისტოფსა და მთელ ქალაქს შორის, განსაკუთრებით კი კრისტოფსა და სასახლის კარს შორის. აღარც მის გარეგნობას ინდობდნენ, უკრიტიკებდნენ სახის ნაკეთებს, ჩაცმულობას. ასეთ კარიკატურულ სურათებს ხალხმა ისე შეაჩვია თვალი, ზოგმა მსგავსებაც კი დაინახა კრისტოფსა და მათ შორის.

კრისტოფის მეგობრებისათვის ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, ამ შეხლა-შემოხლაში მათ ჟურნალსაც რომ არ მოხვედროდა. სიმართლე რომ ითქვას, ჭერჯერობით ეს მხოლოდ გაფრთხილება იყო. კრისტოფის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში ჟურნალის ჩათრევას არავინ ცდილობდა. უფრო მეტად იმას მეცადინეობდნენ, რომ განხეთქილება ჩამოეგდოთ მათ შორის. ყველას უკვირდა, ჟურნალი თავის სახელს არ უფრთხილდებოდა და ურჩევდა, თუ არ გაგვიკონებთ, საშუალოდ კი არის, მაგრამ რედაქციის სხვა წევრებსაც მოკვიდებთ ხელსაო. აღოლვ მათსა და მანჰაიმის წინააღმდეგ მიმართულმა პირველმა უწყინარმა შეტევამ კრაზანების ბუდე ააჩოქოლა. მანჰაიმს მხოლოდ

ეცინებოდა, როცა გაახსენდებოდა, რომ ეს გარემოება გაცოფებდა მამამისს, მის ბიძებს, ბიძაშვილებს და, საერთოდ, მის მრავალრიცხოვან ოჯახს. ყველა ამათ მიიჩნდათ, რომ უფლება აქვთ თვალყური ადევნონ მის საქმიანობას და აურზაური ატეხონ. აღოფრთხილებდი მაი ამ საქმეს უფრო სერიოზულად მოეკიდა და საყვედურიც უთხრა კრისტოფს, სახელს უტეხ ყურნალსო. კრისტოფმა არაფერი შეარჩინა. სხვებს არაფერი შეხებია და ეცინებოდათ — ჩვენ ყველანი ერთნაირად ვწირავთ და ყველაფერი კი მათს კისერზე გადადისო. ვალდჰაუზი გულში ხარობდა, საცა ჩხუბია, თავგატეხილებიც იქ იქნებო. და, რასაკვირველია, დარწმუნებული იყო, ჩემი თავი არ გატყდებო. სწამდა, რომ ოჯახისა და გავლენიანი ნაცნობობის წყალობით ვერაფერს დააკლებდნენ. თუკი ებრაელებს, მის მოკავშირეებს, ცოტას მოსცხებდნენ, არაფერი მოხდებოდა. ერენფელდი და გოლდენ-რინგი აქამდე ხელუხლებლად დარჩნენ და მაინცადამაინც არც კი ეშინოდათ შემოტევისა. იმდენი კი შეეძლოთ, რომ პასუხი გაეცათ. ყველაზე მეტად ის აღიზიანებდათ, რატომ უნდა კრისტოფს ასე გულმოდგინედ, ყველა მეგობარს, და განსაკუთრებით მეგობარ ქალებს, წაგვაკიდოსო. პირველ სტატიაზე ბევრი იცინეს — ოინი მართლაც სასიერო გამოვიდაო, აღფრთოვანებულნი უქქებოდნენ კრისტოფს, გაშმაგებული ფანჯრებს რომ ამსხვრევდა. დარწმუნებულნი იყვნენ, საქმარისია ერთი სიტყვა ვუთხრათ, თავს შეიკავებს და ვისაც არ გვინდა, ხმას არ გასცემსო. კრისტოფს არაფრის გაგონება არ სურდა, არავის რჩევას ყურს არ უგდებდა, თავისას განაგრძობდა. ასე ნებაზე თუ მიუშვებდნენ, მალე აღარც კი დაედგომებოდათ ქალაქში. გაცოფებული, ნერვებაშლილი მათი მეგობარი ქალები უკვე ბევრჯერ მოცვივდნენ რედაქციაში და ერთი აურზაური ატეხეს. მთელი დიპლომატია დასკირდათ, რომ კრისტოფი დაეყოლიებინათ, ცოტა უფრო რბილად გამოდიო. მაგრამ კრისტოფმა არაფერი შეცვალა. ამან ძალიან გააპრაზა მისი მეგობრები. კრისტოფიც გაპრაზდა. მაინც არაფერი შეცვლილა. ვალდჰაუზს სასაცილოდ არა ყოფნიდა მეგობრების ჩოჩქოლი, თვითონ ამას არაფრად აგდებდა. მათ გასაბრაზებლად კრისტოფს დაუჭირა მხარი. ალბათ, სხვებზე უკეთ შეაფასებდა დიდსულოვან და ახირებულ საქციელს კრისტოფისა, რომელიც ყველას უტევდა განურჩევლად და მომავლისათვის არ იტოვებდა უკან დასახევ არც ერთ გზას თუ თავშესაფარს. მანჰაიმი ამ გაწამაწიით ერთობოდა. ფიქრობდა, გიჟი ჰკვიანებს მიგუსიეო და იცინოდა მათი შეხლა-შემოხლის შემყურედის ზეგავლენით თანდათან იჯერებდა, რომ კრისტოფი ნამდვილად ცოტა შექანებული იყო და მით უფრო იყო მასზე შეყვარებული. (თავის საყვარელ ადამიანებში მანჰაიმი მუდამ სასაცილო მხარეებს ხედავდა). ამიტომ ვალდჰაუზთან ერთად ისიც მხარს უჭერდა კრისტოფს დანარჩენების წინააღმდეგ. მანჰაიმი ცდილობდა საკუთარი თავის გადარწმუნებას, მაგრამ პრაქტიკული ალღო სამართლიანად აფიქრებინებდა, რომ მისი მეგობრისათვის უფრო ხელსაყრელი იყო ქვეყნის ყველაზე მოწინავე მუსიკალურ მიმართულებასთან დაკავშირება.

მათ ქალაქში, ისევე, როგორც გერმანიის მრავალ ქალაქში, არსებობდა

Wagner-Verein¹. ეს ორგანიზაცია, კონსერვატორებისაგან განსხვავებით, მოწინავე იღებებს ქადაგებდა. იმ დროისათვის ვაგნერის სახელი ყველგან იყო ცნობილი. მისი ნაწარმოებები გერმანიის ყველა ოპერის რეპერტუარში ირიცხებოდა. ასეთ ვითარებაში ვაგნერის დაცვა, რასაკვირველია, დიდ რისკს არ წარმოადგენდა. თუმცა ეს გამარჯვება ძალით უფრო იყო მოპოვებული, ვიდრე თავისთავად და გულის სიდრპეში მსპენელთა უმრავლესობა კონსერვატიულობას მაინც არ იშლიდა. ეს მით უმეტეს იგრძნობოდა პატარა ქალაქებში. ისინი განზე იდგნენ დიდი თანამედროვე დინებებისაგან და ძველი დიდებით მოჰქონდათ თავი. აქ უფრო ძლიერ, ვიდრე სხვაგან, იგრძნობოდა გერმანელთა თანდაყოლილი უნდობლობა ყოველგვარი სიახლისადმი, მართლისა და ძლიერის შეცნობის სიზანტე, ძნელად ათვისება იმისა, რაც გადაღუქილი არ იყო რამდენიმე თაობის მიერ. ეს იქიდანაც კარგად ჩანდა რა გულცივად ეკიდებოდნენ ვაგნერის თხზულებებს თუ არა. (მათ შესახებ დავას ვეღარ ბედავდნენ), ვაგნერის სულით გაქლენთილ ყველა ახალ ნაწარმოებს მაინც. ამასთანავე Wagner-Verein-ები ახალგაზრდა ძალების და ნიჭიერ ხელოვანთა დაცვით მართლაც საპატიო საქმეს გააკეთებდნენ. ზოგჯერ მართლაც ასე ხდებოდა. ბრუკნერმა თუ ჰუგო ვოლფმა მათი სახით საუკეთესო თანამოაზრეები შეიძინეს. მაგრამ ძალიან ხშირად მასწავლებლის ეგოიზმი მოწაფეებსაც შეეყრებოდათ ხოლმე. და თუ ბაიროიტი მხოლოდ ერთი ტალანტის უზომო ქება-დიდებას ემსახურებოდა, მისი ფილიალები პატარ-პატარა საყდრებს წარმოადგენდნენ. აქ მუდამ ერთი ღმერთის დიდება იყო. საუკეთესო შემთხვევებში, გვერდით მინამწენებში შეიძლებოდა ერთგული მოწაფეების შესვება. ისინი წმინდა დოქტრინების ანბანს მიჰყვებოდნენ და მიწას გართხმულნი თაყვანს სცემდნენ ერთსა და მრავალსახა ღმერთს მუსიკის, პოეზიის, დრამისა და მეტაფიზიკის სახით.

ასეთი იყო ზუსტად Wagner-Verein-ის დანიშნულებაც ამ ქალაქში. თუმცა აქ მოქმედებდნენ უფრო ფრთხილად და ეძებდნენ მათთვის გამოსადეგ მოხალისე და ნიჭიერ ახალგაზრდებს. კრისტოფს ხომ დიდი ხანია ეზომებოდნენ. ამის შესახებ ფრთხილად გადაუკრავდნენ ხოლმე სიტყვას, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევდა. ვინმესთან კავშირში შესვლა სრულებით არ ესაჭიროებოდა. ვერ გაეგო, რა აიძულებდა მის თანამემამულეებს ასე ჯოგად შეეყარათ ხოლმე თავი, თითქოს-და მართა არაფრის გაკეთება შესძლებოდათ: ვერ იმღერებდნენ, ვერ გაისეირნებდნენ, ვერ დაღვედნენ. მას ძაგდა ყოველგვარი Vereinswesen-ი. მაგრამ თუ მაინცდამაინც რომელიმესთან შეიძლებოდა ყოფნა, ყველა Verein-ებს მაინც Wagner-Verein-ი სჯობდა. აქ, სულ არაობას, კარგი კონცერტები მაინც იმართებოდა. და თუმცა კრისტოფი არ იზიარებდა ვაგნერიანელთა ყველა შეხედულებას ხელოვნების შესახებ, მაინც ანათათ უფრო ახლოს იდგა, ვიდრე მუსიკოსთა სხვა დაჯგუფებასთან. კრისტოფს შეეძლო საერთო ენა გამოენა-

¹ ვაგნერის საზოგადოება (გერმ.)

ხა ბრამსისა და „ბრამინების“ მიმართ მასავით უსამართლოდ განწყობილ აღაპი-
ანთა ჩვეუთან და აკი დათანხმდა კიდეც მათ გაეცნობას. შუამავლად მანჰაიმი გა-
მოდგათ: ის მთელ ქვეყანას იცნობდა. თვითონ, მართალია, მუსიკოსი არ იყო,
მაგრამ Wagner-Verein-ის ჩვეუში შედიოდა და ხელმძღვანელი კომიტეტი
თვალყურსაც ადევნებდა კრისტოფის მიერ ყურნალში დაწყებულ კამპანიას.
მოწინააღმდეგე ბანაკთან გამართულმა ბრძოლამ დაარწმუნა კომიტეტი, რომ
კრისტოფს ძლიერი მჭილი აქვს და ურიგო არ იქნებოდა, თუკი სამსახურში ჩა-
ყენებდნენ. კრისტოფს რამდენიმეჯერ მათი წმინდა კერპიც კი მოუხსენებია
აუგად. ამჯერად თვალის დახუჭვა ამჯობინეს. ამ პირველი, ერთობ უწყინარი შე-
ტყეების ბრალი უნდა ყოფილიყო, რომ სიტყვიერი შეთანხმების გარეშე იჩქა-
რეს კრისტოფის ხელში ჩაგდება და ბოლომდე არც კი აცალეს აზრის გამოთქმა.
მოწინააღმდეგე ნებართვაც კი სთხოვეს, რამდენიმე მისი მელოდია დაეკრათ საზო-
გადოების ერთ-ერთ უახლოეს კონკერტზე. კრისტოფი კმაყოფილებით დათანხ-
მდა. იგი მივიდა Wagner-Verein-ში და მანჰაიმის ბეჯითობის წყალობით ჩაეწე-
რა კიდეც.

იმ დროს Wagner-Verein-ის სათავეში ორი კაცი იდგა. ერთი მათგანი ცნო-
ბილი იყო როგორც მწერალი, მეორე კი ვითარცა ღირსჯორი. ორივე მუსიკო-
მწერი ფანატიზმით იყო ვაგნერზე შეყვარებული. პირველმა, იოზიან კლინგმა,
ვაგნერის ლექსიკონი შეადგინა — Wagner-Lexikon. აქ ნახავდით ცნობას
de omnire scibili-ის¹ მოძღვრების შესახებ. ეს კლინგის ცნოვრების უდიდესი
ქმნილება იყო. ფრანგი პროვინციელი ბურჟუეზებისა არ იყოს, თავებს რომ კი-
თხულობდნენ la Pucelle-დან², კლინგიც ზეპირად მოგითხრობდათ მთელ თავებს
ამ წიგნიდან. გარდა ამისა Bayreuther Blätter-ში იგი აქვეყნებდა წერილებს
ვაგნერისა და არიული სულის შესახებ. ვაგნერი მისთვის, რასაკვირველია, იყო
განსახიერება წმინდა არიული ტიპისა რომელიც შემოინახა გერმანელმა ერმა,
ლათინური და, განსაკუთრებით, კი ფრანგული სემიტისმის გამხრწნელი ზემოქ-
მედებისათვის ამ მიუღდგომელმა თავშესაფარმა. კლინგი მდამიური გალური სუ-
ლის საბოლოო დამარცხების მქადაგებელი იყო. თუმცა სხვას არას იქმოდა, თუ
არ განაგრძობდა ბრძოლას მის წინააღმდეგ, თითქოს ეს მუღმივი მტერი ჯერაც
საშიში ყოფილიყო. მთელს საფრანგეთში ის ერთადერთ დიდ აღაპიანს სცნობ-
და: გრადე დე გობინოს. თვით კლინგი ჩია ტანის, თითქმის ჯუჯა მოხუცი იყო, ერ-
ობ მორიდებული და ქალწულებით მორცხვი. Wagner-Verein-ის მეორე დე-
დაბოძი ერპ ლაუბერი, ორმოციოდე წლის კაცი, ერთ დროს ქიმიური ნაწარმია
ქარხნის დირექტორი იყო; შემდეგ ყველაფერი მიატოვა და ორკესტრის დირი-
ჟორი გახდა. ნებისყოფისა და სიმდიდრის წყალობით წარმატებასაც მიაღწია.
იგი ბაიროიტის ფანატიკური მიმდევარი იყო. ამბობენ, პილიგრამის ქალამნებით

¹ ყოველგვარი შეცნობადი საგნების შესახებ (ლათ.)

² ეოლტერის პოემა „ორღვანელი ქალწული“

მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩაასრულა ბაიროიტს. ერთი უცნაური ამბავი კი იყო — ეს დიდად ნაკითხი, ბევრ ქვეყანაში ნამყოფი და მრავალ საქმეებში გამოცდილი და ჩახედული კაცი, ყველგან ენერგიულობით რომ გამოირჩეოდა, მუსიკაში პანორამის ცხვარი აღმოჩნდა. მთელი თავისი ორიგინალობა აქ იმაში დახარჯა, რომ სხვებზე მეტად ბრიყვი ყოფილიყო. მუსიკაში ის ნაკლებად ენდობოდა საკუთარ თავსა და ალღოს, ბრმად მისდევდა ვაგნერის იმ ინტერპრეტაციებს, კაპელმანატრებსა და არტისტებს, რომელთაც პატენტი ბაიროიტში მიიღეს. იგი ცდილობდა სულ წერილმანებშიც კი, ზუსტად აღედგინა ის დადგმები და ქრეტილები კოსტუმები, რომელთაც ვანფრიდის¹ პატარა სამეფო კარის უმწიფარი და ბარბაროსული გემოვნება აღფრთოვანებდა მოჰყავდათ. ეს კაცი იმავე ჭურისა იყო, როგორც მიქელანჯელოს ფანტიკოსი მოსწავლე, თავის ასლებზე მოძღვრის უწმინდეს ქმნილებებზე მოკიდებული ობიექტი რომ გადააქონდა და მით ამ ობსაღ უწმინდესად აქცევდა.

ამ ორ პიროვნებას კრისტოფი მინცელამინცი არაფრად აგდებდა. მაგრამ ისინი მინც მალალი წრის აღამიანები იყვნენ, კეთილი ნებისა და საკმაოდ განათლებულნიც. ლაუბერთან. მუსიკის გარდა, სხვა თემაზე საუბარი სულაც არ იყო ინტერესს მოკლებული; ერთობ ახირებული გუნებისა გახლდათ. კრისტოფი კი ასეთებს არ გაუბრბოდა. ისინი გონებადამჯდარი ხალხის უხალისობის მაგივრობას უწევდნენ. კრისტოფმა ჯერ არ იცოდა, რა მოსაწყენი იყო ულოგიკო კაცი. ხოლო ორიგინალობა იმათ ნაკლებ ახასიათებთ, ვისაც ასე ნათლავენ, ვიდრე დანარჩენებს. რამეთუ ეს „ორიგინალები“ უბრალოდ მანიაკები არიან და მათი აზროვნება ისეა გაღარიბებული, როგორც საათის მექანიზმისა.

იოზიას კლინგი და ლაუბერი კრისტოფის გულის მოგებას ცდილობდნენ. თავდაპირველად ყურადღებას და პატივს არ აკლებდნენ. კლინგმა საქმეები სტატუს უქმნა. ლაუბერმა კი შეასრულა კრისტოფის ყველა მითითება, როცა საზოგადოების ერთ-ერთ კონცერტზე მისი ერთი ნაწარმოების შესრულებას დირიჟორობდა. კრისტოფი კმაყოფილი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პატივი მალე გაქრა თვით მისი შემქმნელების უგუნურების გამო. ქება-დიდება კრისტოფზე ვერც ამჟამად ვერ მოქმედებდა. თვითონ მკაცრი იყო და ითხოვდა ქება-დიდება არ შეესახათ იმისათვის, რაც მას არ ჰქონდა. იგი ლამის მტრად უცქერდა შემთხვევით დამეგობრებულ ადამიანებს. ამიტომაც იოტასოდენადაც არ უნდოდა კლინგს, რომელიც მასში ვაგნერის მიმდევარს ხედავდა და შეხების წერტილებს ეძებდა მისი Lieder-ების ფრაზებსა და Tétralogie-ის პასაჟებში; თუმცა მათ შორის გამის რამდენიმე ნოტი თუ იყო საერთო. კრისტოფს სრულებითაც არ სიამოვნებდა, როცა ვაგნერისეულ ერთ უნიჭო მიბაძვასთან ერთად უყვდავი რიპარდის ორ კლდესავით ქმნილებას შორის ჩაჩხერილ თავის რამდენიმე ნაწარმოებს ისმენდა.

¹ ვანფრიდ — ვილა ბაიროიტში, სადაც ვაგნერი ცხოვრობდა თავისი ოჯახით.

გამოხდა მცირედი ხანი. ეს პატარა სენაკი სულის შემზუთველი შეიქმნა. იგი ისეთივე კონსერვატორი იყო, ისევე შეზღუდული, როგორც ძველი, მაგრამ უფრო აუტანელი, ვითარცა ხელოვნების ახალბედა. კრისტოფი თანდათან კარგავდა მოჩვენებით რწმენას ფორმის აბსოლუტური უპირატესობის შესახებ ხელოვნებასა და აზროვნებაში. აქამდე მას სჯეროდა, რომ ღიღებულ იდეებს მუდამ თან ახლდათ თავიანთი სხივი. ახლა კი რწმუნდებოდა, რომ იდეები შეიძლება ძალიანაც შეცვლილიყვნენ, მაგრამ ადამიანები ადამიანებად რჩებოდნენ. და, ბოლოს, მხოლოდ ისინი არიან სათვალავში ჩასაგლებნი. იდეებიც ისეთებია, როგორც ადამიანები. თუ ადამიანები უბადრუტებად და ბეჩავებად შობილან, მათ ღელში გენიალური იდეებიც კი უძლური ხდება და თავისუფლებისათვის ბორკილაწყვეტილი გმირის ყვირილი მომავალი თაობების დამონების აქტად გადაიქცევა. კრისტოფმა თავი ვერ შეიკავა გრძნობების გამოთქმისაგან და ხელოვნებაში არსებულ ფეტიშიზმს შეუტია. მან განაცხადა, რომ საქირო არ არის კერპები, არავითარი ჯუჯის კლასიკოსები, რომ ვაგნერის გენიის მემკვიდრედ შეიძლება იწოდებოდეს მხოლოდ ის, ვისაც ძალა შესწევს ძირს დასცეს ვაგნერი, გასწიოს წინ და იაროს უკან მოუხედავად; მხოლოდ ის, ვისაც უნარი აქვს მოაკვდინოს ის, რაც სასიკვდილოა და უქრობი კავშირი იქონიოს ცხოვრებასთან. კლინგის სიბრძნევამ მეტი გამბედაობა შესძინა კრისტოფს. მან სააშკარაოზე გამოიტანა ვაგნერისეული შეცდომები და ლიმილის მომგვრელი შეცოდებანი. ვაგნერიანელებმაც არ დაიხარეს და მოშურნეობა მიაწერეს თავიანთი ღვთაების მიმართ. კრისტოფს თავის მხრივ ეგვი არ ეპარებოდა, რომ ის, ვინც ვაგნერს აღმერთებდა სიკვდილის შემდეგ, სიცოცხლეში პირველი დაახრჩობდა მას, მაგრამ ცდებოდა. კლინგებსაც და ლაუბერებსაც ჰქონდათ თავიანთი ნათელი დღეები. ამ ოციოდე წლის წინათ ისინიც მოწინავენი იყვნენ, შემდეგ კი, როგორც უმრავლესობა, იქვე ჩარჩნენ. ადამიანი იმდენად სუსტია, რომ პირველივე აღზევების შემდეგ ეცლება ქანცი. ძალიან ცოტას აქვს წინსვლის ძალა.

კრისტოფს თავისმა საქციელმა მალე ჩამოაშორა მეგობრები. მათი კეთილგანწყობილება ანგარიშით იყო. მის მხარეზე მაშინ იქნებოდნენ, თუკი კრისტოფიც მხარს დაუჭერდა. თუმცა ერთობ ცხადი იყო, რომ კრისტოფი არაფერს დათმობდა და არავის ნებას დაჰყვებოდა. მას ცივად ხვდებოდნენ. რაკილა გუნდარუკს აღარ უკმევდა ამ კლანის სათაყვანებელ მცირე თუ დიდ კერპებს, უარი უთხრეს ქება-ღიღებაზე; კრისტოფის ნაწარმოებებით აღფრთოვანებამაც იკლო. ზოგი უკმაყოფილებასაც კი გამოთქვამდა — მისი სახელი ზმირად მოიჩანა პროგრაამებში. ზურგს უკან დასცინოდნენ, კრიტიკოსები თავის საქმეს განავრცობდნენ. კლინგი და ლაუბერი ღუმდნენ და ამით თითქოს ეთანხმებოდნენ კიდევ მის კრიტიკას. თუმცა კრისტოფთან კავშირის საბოლოოდ გაწყვეტას მაინც ძალიან ერიდებოდნენ: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ რაინისპირა მკვიდრის ტერნი ნახევრად გაურკვეველ ვითარებას ამჯობინებს, რადგან გადაწყვეტილი არაფერია და საშუალებას აძლევს უსასრულობამდე გაწელოს ეს გაურკვეველობა; მეო-

რეც. იპედს არ კარგავდნენ, ბოლოსა და ბოლოს, მაინც თავიანთ ჭკუაზე მოეყვანათ შთავონებით თუ არა, ქანცის გაწყვეტით მაინც.

მაგრამ კრისტოფმა არ დააცალა. თუ ვინმეს გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ არ აჰქედებოდა, თავს იტყუებდა ილუზიებით და კეთილ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა. კრისტოფი ყოველთვის დაუმტკიცებდა, ჩემი მტრები ხართო. Wagner-Verein-ის ერთ-ერთ საღამოზე კრისტოფი ფარული მტრობის კედელს წააწყდა. მას აღარ დაუყოვნებია და ლაუბერს ურყევი გადაწყვეტილება გაუგზავნა საზოგადოებიდან გამოსვლის თაობაზე. ლაუბერი ვერაფერს მიხვდა, მანჰაიმში კი მაშინვე მოიბრინა საქმის მოსაგვარებლად. კრისტოფმა პირველსავე სიტყვაზე იფეთქა:

— არა, არა, არა და არა! ნუღარ მელაპარაკები იმ სულიერებზე. დანახვაც კი აღარ მინდა... აღარ შემიძლია, მეტი აღარ შემიძლია... საშინლად შემძულდა ხალხი. პირდაპირ, ვედარავის ეუყურებ.

მანჰაიმი გულიანად იციინდა. ის თავის გართობას უფრო დაგიდევდათ, ვიდრე აღგზნებული კრისტოფის დაშოშმინებას:

— კარგად ვიცი, ისინი ბევრად არაფრად ვარგან, მაგრამ ეს ხომ ახალი ამბავი არ არის შენთვის. მაშ, რა მოხდა?

— სრულად არაფერი. მაგრამ შეყოფა... დიახ... დამცინე, დამცინე. ყველამ იცის. რომ გიყი ვარ. ჭკვიანი ხალხი გონების კარნახს ემორჩილება, მე კი ასეთი არა ვარ. მე ვარ ადამიანი, რომელიც მოწოლილ გრძნობას მისდევს. როდესაც ჩემში ელექტრობის გარკვეული რაოდენობა დაგროვდება, უნდა განიმუხტოს, რადაც არ უნდა დაჯდეს, და მით უარესი იმისათვის. თუ ვინმე ხელს მოიწვეავს ზედ. მით უარესი ჩემთვისაც. მე არა ვარ გაჩენილი საზოგადოებაში ცხოვრებისათვის. ამას იქით მხოლოდ ჩემს თავს მინდა ვეკუთვნოდე.

— ხომ არა გგონია, რომ უდავამიანებოდ გაძლებ? — უთხრა მანჰაიმმა, — შენს მუსიკას მხოლოდ შენთვის და მხოლოდ შენ ვერ დაუკრავ. მომღერლები გპირდება, ორკესტრი, ორკესტრის დირიჟორი, ხალხი დაგპირდება, მოტაშუნე კლავი.

— არა, არა, არა! — იყვირა კრისტოფმა, მანჰაიმის ბოლო სიტყვებზე კი წამოხტა:

— კლავი! არც კი გრცხვენია?

— დაქირავებულ მოტაშუნეებზე ნუ ვილაპარაკებთ (თუმცა, გულახდილად გიუთხრა, ნაწარმოების ლირსებებში ხალხის დასარწმუნებლად ჭერ არავის მიუგნია სხვა საშუალებებისათვის). კლავი კი, სათანადოდ გაწვრთნილი მომხრეების პატარა ჯგუფი, აუცილებელია. ასეთი ყოველ ავტორსა ჰყავს. ამიტომ არის კარგი მეგობრები.

— მე არ მჭირდება მეგობრები!

— მაშინ სტვენით აგვკლებენ!

-- მეც სწორედ ეგ მინდა!

მანჰაიმი ცას ეწია.

— ეგ სიამოვნება დიდხანს არ გასტანს, აღარავინ დაუკრავს შენს ნაწარმოებებს.

— ეგრე იყოს! შენა გგონია, სახელის მოხვეჭის სურვილით ვარ შეპყრობილი? დიახ, მთელის ძალით მივისწრაფოდი ამისაკენ... უაზრობაა! სისულელეა! სიგიჟეა! თითქოსდა უხამსი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება ანაზღაურებდეს ყველა იმ მსხვერპლს, უსიამოვნებას, წვალებას, სიმდაბლეს, დამცირებას და უღირს დათმობებს, რომლის ფასადაც ეს ღირება მოდის! ეშმაკებაც წაეუღივარ, თუ ასეთი საზრუნავი გავიგლო გულში. დალაზვროს ეშმაკმა, დალაზვროს! არც ხალხთან მესაქმება რამე, არც პოპულარობასთან. რეკლამა მზაკვარია. მე მინდა ვიყო ერთი კერძო პიროვნება და ვიცხოვრო ჩემთვის და იმათთვის, ვინც მიყვარს...

— აი, თურმე რა ყოფილა?! — ირონიულად წამოსძახა მანჰაიმმა, — მაშინ რამე ხელობას მოჰკიდებ ხელი, რატომ ფეხსაცმელების კერვას არ დაიწყებ?

— ახ, ნეტავ ერთი მეჭლანე ვყოფილიყავ, როგორც უბაღლო საქსი იყო! — შესძახა კრისტოფმა. — რა მზიარული ცხოვრება მექნებოდა. დღესადაღს — მეჭლანე, კვირადღეს — მუსიკოსი, და ისიც მხოლოდ ვიწრო წრეში, ჩემსა და ჩემი ერთი-ორი მეგობრის სასიხარულოდ. აი, ცხოვრებაც ეს იქნებოდა! გიჟი უნდა იყო კაცი, დრო და ძალა დახარჯო და წილად გხვდეს ბრიყვების სამსჯავროზე მოხვედრის სიამოვნება. განა ბევრად უკეთესი და უმჯობესი არ არის უყვარდე და გასაგები იყო რამდენიმე მართალი კაცისათვის, ვიდრე გისმენდეს, გაკრიტიკებდეს და გეპირფერებოდეს ათასი ბრიყვი?.. თავმომწონებისა და პატივმოყვარეობის ავი სულელები მე ვეღარ მომერევიან. შეგიძლია მერწმუნო!

— რასაკვირველია, — უბასუხა მანჰაიმმა და თან გაიფიქრა, ერთი საათის შემდეგ სულ სხვა რამეს იტყვისო.

— მაშასადამე, — მშვიდად დაასკვნა მან, — Wagner-Verëin-თან მე ვაგვარებ საქმეებს, არა?

კრისტოფმა ხელები მაღლა აღაპყრო:

— ეს ერთი საათია წლებზე ფეხს ვიდგამ და სულ საწინააღმდეგოს გავიძახი! ხომ ვითხარი, იქ ჩემს ფეხს ვეღარ ნახავ. მე ცოფებსა მგვრის ეგ ყოველგვარი Wagner-Verëin-ები, Verëin-ები და, საერთოდ ეგ ცხვრების ფარეხი. სადაც ერთიმეორეს ეკვირიან და ერთად ბღავიან. იმ ცხვრებს გადაეცი, რომ მე მგელი ვარ, ბასრი კბილები მაქვს და ბალახის საკმელად არა ვარ გაჩენილი!

— კარგი, კარგი, ყველაფერი მოხსენდებათ. — წარმოთქვა მანჰაიმმა და გაეცალა იქაურობას. დღევანდელი დღით ძალიან კმაყოფილი იყო.

„გიჟია, — ფიქრობდა ის, — გიჟია, დასაბმელი...“

ივლითმა, რომელსაც მანჰაიმმა ყველაფერი უამბო, მხრები აიჩეჩა:

— ვიცი? ძალიანაც უნდა, რომ დავიჯერო! რეგვენია და ამაყი.

ამასობაში კრისტოფი განაგრძობდა ვალდჰაუზის ჟურნალში წამოწყებულ გააფთვებულ შეტევას. არ ითქმის, რომ ძალიან სიამოვნებდა: კრიტიკა მოსწყინდა და მზად იყო ყველაფერი ჯანდაბას გაეგზავნა, მაგრამ ჭიუტობდა, რადგან მის ჯანუკებას ცდილობდნენ. კრისტოფს კი უკანდახევა არ უნდოდა.

ვალდჰაუზს მღელვარება იპყრობდა. სანამ თვითონ უვნებელი რჩებოდა ამ შვეალ-შემოხლაში, ოლიმპიური ღვთაების სიმშვიდით გასცქეროდა ბრძოლის ველს. მაგრამ ეს რამდენიმე კვირა სხვა ჟურნალები აღარ ცნობდნენ მისი პიროვნების ხელშეუხებლობას: დაიწყო შეტევა მისი, როგორც ავტორის თავმოყვარეობაზე; შეტევა დაუნდობელი იყო. ვალდჰაუზი, უკეთესი დაგეშილი რომ ყოფილიყო, თავისი შეგობრის ბრჭყალების ამოცნობა არ გაუჭირდებოდა. ეს შეტევები ერენფელდისა და გოლდენრიხის ფარული ხელშეწყობით ხდებოდა. ისინი სხვა საშუალებას ვერ ხედავდნენ მასზე ზემოქმედების მოსახდენად. ცდილობდნენ, ამ გზით ბოლო მოეღოთ კრისტოფის პოლემიკისათვის. სწორადაც ჯანჭერიტეს. ვალდჰაუზმა იქვე განაცხადა, კრისტოფი ძალიან მაღიზიანებსო და თავი დაანება მის მხარდაჭერას. მაშინ მთელი ჟურნალი აღდგა კრისტოფის დასადუმებლად; მაგრამ, აბა, სცადეთ და დააკეთებთ პირი ძალღს, როცა მსხვერპლი პირში აქვს და დაფლეთას უპირებს! ცეცხლზე ნავთი ისხმებოდა. კრისტოფი ყველას მხალეებს ეძახდა და იმუქრებოდა, რომ ყველაფერს ვიტყვი, ყველაფერს, რისი თქმაც კი განზრახული მაქვსო. თუ გაძეება უნდათ ჩემი, ეს მითი ნებაა. მთელი ქალაქი გაიგებს, რომ ისინი სხვებივით მხალეები არიან. ჩემი ნებით კი არ წავალო.

ყველანი დაბნეულები შესცქეროდნენ ერთიმეორეს და მწარედ უსაყვედურებდნენ მანჰაიმს საჩუქრისათვის — ამ გიჟის მოყვანისათვის. მანჰაიმი ილიმებოდა მხოლოდ. მან მარტო გადაწყვიტა კრისტოფის მორჩულება. სანაძლეოც კი დადო, ნახეთ, თუ კრისტოფმა მომავალ წერილში ღვინოში წყალი არ გაურთოსო. არ დაუჯერეს; მაგრამ საქმემ უჩვენა, რომ მანჰაიმს ტყუილად არ დაუტრახნია. კრისტოფის მომდევნო წერილი, მართალია, კეთილგანწყობილების ნიშნულს არ წარმოადგენდა. მაგრამ შიგ არც ერთი თავხედური გამონდომა აღარ იყო. მანჰაიმმა ერთობ მარტივ ხერხს მიმართა: ყველას უკვირდა, აქამდე რატომ არავის მოგვსვლია აზრად. კრისტოფი არასოდეს გადაიკითხავდა ხოლმე ჟურნალისთვის დაწერილ წერილს. კორექტურასაც იშვიათად თუ წაიკითხავდა და ისიც სახელდახლოდ. ადოლფ მაის ამის თაობაზე ბევრჯერ შეუნიშნავს მწარედ: სიტყვილია. კორექტურული შეცდომები რომ გვეპარება ჟურნალშიო, მაგრამ კრისტოფს კრიტიკა ხელოვნებად არ მიაჩნდა და პასუხობდა, — აუგად მოხსენიებული მაინც კარგად გაიგებს ყველაფერსო. მანჰაიმმა სწორედ ეს ამბავი გაბოიყენა: — კრისტოფი მართლს ამბობს, ანაბეჭდის კითხვა კორექტორის საქმეაო და გადაწყვიტა ამ საქმისაგან მისი გათავისუფლება. კრისტოფი დიდი მადლობის თქმას აპირებდა, მაგრამ დაარწმუნეს — ეს დიდი სამსახური იქნება ჩვენ-

თვის და ჟურნალიც ნაკლებ დროს დაკარგავსო. კრისტოფმა თავისი კორექტურები მანჭაიმს გადააბარა და სთხოვა, კარგად ჩაასწორეო. მანჭაიმს ცდა არ დაუკლია: მისთვის ეს გასართობი იყო. თავდაპირველად მხოლოდ ზოგიერთი სიტყვა შეარბილა და ზოგი მოუხრიდებელი ეპითეტი ამოავდო. წარმატებით აღფრთოვანებულმა კიდევ უფრო გააღრმავა თავისი ცდები: მალე მთელი წინადადებების გადაკეთება და აზრის შეცვლა დაიწყო; ამ საქმიანობაში ნამდვილი ვირტუოზობა გამოიჩინა. მთელი ხელოვნება იმაში მდგომარეობდა, რომ შეენარჩუნებინა წინადადების ხერხემალი, მისთვის დამახასიათებელი წყობა და არსებითად კი ეთქვა იმის საპირისპირო, რისი თქმაც კრისტოფს სურდა. მანჭაიმ კრისტოფის ნაწერების გადაკეთებაზე უფრო მეტ ძალ-ღონეს ხარჯავდა, ვიდრე საკუთარს დაწერაზე; ამდენი არასოდეს უმუშავებია; შედეგითაც კმაყოფილი იყო. დაცინვისაგან შეწუხებული მუსიკოსები განცვიფრებულნი ხედავდნენ, რომ კრისტოფი თანდათან ცხრებოდა და ქებასაც აღარ იშურებდა. ჟურნალი გახარებული იყო. მანჭაიმ მათ თავისი ხელოვნების ნიმუშებს უკითხავდა. სიცილ-ხარხარი იდგა. ერენფელდი და გოლდენრინგი დროდადრო ეტყოდნენ ხოლმე მანჭაიმს:

— ფრთხილად იყავი! ძალიან შეტოპე!

— საშიში არაფერია! — პასუხობდა მანჭაიმი.

და მეტი წარმატებით განაგრძობდა საქმიანობას.

კრისტოფი ვერაფერს ხვდებოდა. მოვიდოდა რედაქციაში, წერილს ჩააბარებდა და მეტი აღარაფერი აწუხებდა. ზოგჯერ მანჭაიმს გაიხმობდა ხოლმე და ეტყოდა:

— ასლა კი ყველაფერი მოვახსენე იმ მამაძაღლებს. აბა, ერთი წაიკითხე... მანჭაიმი კითხულობდა...

— რას იტყვი, როგორია?

— მაგარია, ჩემო კარგო, ქვა ქვაზე აღარ დაგიტოვებია!

— როგორა გგონია, რას იტყვიან?

— ოჰო, ატყდება ერთი აურზაური.

მაგრამ არავითარი აურზაური არ ამტყდარა. პირიქით, კრისტოფის გარშემო სულ მომღიმარი სახეები ჩანდა: ხალხი, რომელიც მას ეზიზღებოდა, ქუჩაში შეხვედრისას ესალმებოდა. ერთხელ კრისტოფი შეწუხებული და ნაღვლიან-მივიდა რედაქციაში, მაგიდაზე მოსაწვევი ბარათი დაავდო და იკითხა:

— რას ნიშნავს ეს?

ეს იყო ერთი იმ მუსიკოსის ბარათი, რომელსაც მან ეს-ეს არის ტყავი გაძრო.

„უღრმესი მადლობით“.

მანჭაიმმა სიცილით გასცა პასუხი:

— ეს ისე, ირონიულად წერს.

კრისტოფმა ამოისუნთქა:

— უპ! — წარმოთქვა მან. — მე კი ვიფიქრე, ჩემმა წერილმა სიამოვნება მოპყვარა-მეთქი.

— ცოფებსა ყრის, — ჩაება ლაპარაკში ერენფელდი; — მაგრამ იხტიბარს არ იტებს, თავს იწონებს, მასხარად გიგდებს.

— მასხარად?... ის ღორი, ისა, — ხელახლა აღშფოთდა კრისტოფი. — მე-ორე სტატიასაც დაუწერ. იცინებს ის, ვინც ბოლოს იცინებს!

— არა, არა, — უთხრა შეწუხებულმა ვალდჰაუზმა, — არა მგონია, რომ დაგცნოდეს. ეს მორჩილება უფროა. კეთილი ქრისტიანია: ცალ ლოყაში რომ გაარტყამენ, მეორეს მიუშვერს.

— კიდევ უკეთესი, — წამოსძახა კრისტოფმა. — მხდალი! თუ უნდა, მი-იღებს კიდევ!

ვალდჰაუზს ჩარევა უნდოდა, მაგრამ სხვებმა გაიციინეს.

— დაანებე თავი... — უთხრა მანჰაიმმა.

— ბოლოს და ბოლოს... — წარმოთქვა დამშვიდებულმა ვალდჰაუზმა. — ერთით გინდ მეტი ყოფილა, გინდ ნაკლები...

კრისტოფი წავიდა. მისი მეგობრების მხიარულებასა და სიცილ-ხარხარს საზღვარი არ ჰქონდა. ცოტა რომ დაწყნარდნენ, ვალდჰაუზი მანჰაიმს მიუბრუნდა:

— ისე კი, ბევრიც აღარ იყო საკირო... ძალიან გთხოვ, ფრთხილად იყავი, ეს იამოვნებას არ გადაეყარო.

— არა, — უპასუხა მანჰაიმმა. — წინ კიდევ გველის მხიარული დღეები. თანაც მე ხომ მეგობრებს ვშოულობ მისთვის.

ჰვიზანი ითრევეს

იმ დროს, როცა კრისტოფი გერმანული ხელოვნების გადახალისებაზე ფიქრობდა, ქალაქში ფრანგი მსახიობების დასი ჩამოვიდა. უფრო სწორედ, რალაუ ზრბო, როგორც ჩვეულებრივ იყო ხოლმე, გროვა საცოდავი ხალხისა და სრულიად უცნობი ახალგაზრდა მსახიობებისა. არაეინ იცოდა, სად მოიყარეს ერთად თავი. ოღონდ კი თამაშის საშუალება მისცემოდათ და ყოველგვარ სიძნელეს გაუძლებდნენ. მთელი ეს ანსამბლი ერთი ცნობილი და ძველი მსახიობი ქალის ეტლში იყო შებმული. ანსამბლი საგასტროლო ტურნეს აწყობდა გერმანიაში, გავლით იყო ამ პატარა სატახტო ქალაქში და სამი წარმოდგენის გამართვას აპირებდა.

ვალდჰაუზის ჟურნალმა ამის თაობაზე დიდი ხმაური ატეხა. მანჰაიმი და მისი მეგობრები პარიზის ლიტერატურული და მაღალი საზოგადოების ცხოვრებაში ჩახედულ ხალხად ითვლებოდა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე მიაჩნდათ. ისინი ბულგარული გაზეთებიდან ამოკრებილ ყოველგვარ ქორს იმეორებდნენ. თუმცა მათი შინაარსი ხეირიანად არც კი ესმოდათ. ერთი სიტყვით, ისინი წარმოდგენდნენ ფრანგულ სულს გერმანიაში. ამან სრულიად დაუკარგა კრისტოფს ამ დასის გაცნობის სურვილი. მანჰაიმმა თავი მოაბეზრა პარიზის ქება-დიდებათ. პარიზში იგი რამდენიმეჯერ იყო; ნათესავები ჰყავდა იქ. მისი ნათესავები ევროპის ყველა ქვეყანაში ცხოვრობდნენ და ყველგან ადგილობრივ ეროვნულ თვისებებსა და ტიტულებს იძენდნენ. აბრაამის ამ მოდგმაში იყო ინგლისელი ბარონეტი, ბელგიელი სენატორი, ფრანგი მინისტრი, რაიხსტაგის დეპუტატი და პაპის გრაფი. მიუხედავად მტკიცე ერთობისა და საერთო წარმომავლობის ფესვის პატივისცემისა, ყველანი მაინც თავგადადებული ინგლისელები, ბელგიელები, ფრანგები, გერმანელები ან პაპისტები იყვნენ: სიამაყის გამო დაუშვებლად მიაჩნდათ, თუ მათი არჩეული ქვეყანა უპირველესი არ იქნებოდა სხვებს შორის. მხოლოდ მანჰაიმს, პარადოქსია, მაგრამ მაინც, თავისას ყველა სხვა ქვეყანა ერჩია. პარიზს ხშირად ახსენებდა და აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ამ ქალაქზე.

ზარბეღების ქებისას კი ლამის გარყვნილ ტრაბანა გიყებად გამოჰყავდა ის, ვისაც თავისი დრო ღრეობებსა და რევოლუციებში გაჰყავს და საკუთარ თავსაც კი არასოდეს სერიოზულად არ უტყუარს. ამიტომ კრისტოფს ნაკლებად იზიდავდა „მოზიზანტიურა და დაქვეითებული ვოგეზებგაღმა რესპუბლიკა“. სრულიად გულმართლად მას პარიზი ისეთივე წარმოდგინა, როგორც ხელოვნებისადმი მიძღვნილ ერთ გერმანულ გამოცემაში უნახავს გრაფურაზე: წინა პლანზე ქალაქის სახლების სახურავებს მოხრილი დასცქერის პარიზის ღვთისმშობლის ავი სული. იქვე წერია:

„გაუმადარი ვამპირი, მუღმივი ავხორცი,
თავის მსხვერპლს დარაჯობს ქალაქის თავზე“.

ვითარცა ქემშარიტ გერმანელს, სძულდა გარყვნილი ფრანგები და მათი ლიტერატურა, თუმცა იცნობდა მხოლოდ რამდენიმე მხიარულ მასხარაობას — „პაროფის“, „მადამ სან-ჟენს“ და კაფე-შანტანის სიმღერებს. პატარა ქალაქის სწობიზმმა, რომლის მკვიდრნიც სრულიად მოკლებულნი იყვნენ ხელოვნების სიყვარულის უნარს, მაგრამ ახლა გაფაციცებით ემუხრებოდნენ ბილეების სალაროებისაჟენ, კრისტოფს სავსებით გაუნელა ინტერესი მსახიობი ქალის გამოსვლებისადმი. მან განაცხადა, ბიჯსაც კი არ გადავდგავ იქ წასასვლელად და მის მოსასმენადო. ეს მით უფრო იოლი შესასრულებელი პირობა იყო, რომ ბილეები ცეცხლის ფასი ღირდა, მას კი ამდენი ფული არა ჰქონდა.

ფრანგული დასის რეპერტუარში ორი თუ სამი კლასიკური პიესა იყო, უმთავრესად კი პარიზისათვის ჩვეულებრივი საექსპორტო ნაკვით იყო სავსე, რამეთუ სხვა არაფერია უბადრუკობაზე უფრო ინტერნაციონალური. კრისტოფი უკვე იცნობდა „ტოსკას“ — საგასტროლოდ ჩამოსული მსახიობების პირველ სპექტაკლს. ეს ფრანგული თხზულება კრისტოფმა გერმანულად მოისმინა. ყველა იმ უგეჰოვნო ეფექტებიანად, რისი უნარიც კი რაინისპირა ქალაქის პატარა თეატრის დასს ჰქონდა. თეატრში მიმავალ მეგობრებს კრისტოფი მხიარულად და დამცინავი ღიმილით შესცქეროდა და ეუბნებოდა, ძალითაც კი ვერ წამიძუნათ იმის ხელახლა მოსასმენადო. მეორე ღღეს კი მაინც ყურადღებით ისმენდა აღფრთოვანებულ საუბარს საღამოს შესახებ; თან გული მოსდიოდა, რომ არ ნახა ის. რანეტ მთელი ხალხი ლაპარაკობდა და საკუთარ თავს კამათში მონაწილეობის უფლება წაართვა.

მეორე სპექტაკლი უნდა ყოფილიყო „ჰამლეტი“ ფრანგულ ენაზე. კრისტოფს არაბოფეს გაუშვია შექსპირის ნახვის შემთხვევა. შექსპირი მისთვის, ისევე, როგორც ბეთპოვენი. სიცოცხლის უშრეტი წყარო იყო. „ჰამლეტი“ კი განსაკუთრებით ძვირფასი გახდა მისთვის მერყეობისა და ძიების ახლახან გამოვლილ პერიოდში. და თუმცა მაგიურ სარკეში ხელახლა ჩახედვისა ეშინოდა, მაინც მოჯადოებელი იყო; თეატრის აფრშებს გარს უვლიდა, ბილეების ყიდვის სურვილით იწოვდა, მაგრამ გამოტყდომა არ უნდოდა. ჭიუტი იყო და უკან დახევას არ აპი-

რებდა. იმ საღამოსაც არ გამოვიდა სახლიდან, რომ შინ მიმავალი შემთხვევით მანჰაიმს არ გადაჰყოფდა.

მანჰაიმი მკლავში სწვდა. გაბრაზებულმა ხუმრობით უამბო სად იყო, სად არა, ერთი გამოყრუებული ბებერი მაშიდა მოულოდნელად დაგვატყდა თავს მთელი თავისი ჯალაბობითო. ამის გამო იძულებული ვარ შინ დაერჩე და სტუმრებს ვუშასპინძლო. თავის დაძვრენა ვცადე, მაგრამ მამაჩემს არ უყვარს ხუმრობა ოჯახური ეტიკეტისა და წინაპართა პატივისცემის საკითხში; და რაკი გარკვეული თანხის ამოქაჩვას ვაპირებ მამაჩემისაგან, არ მინდა გავანაწყენო, მის ნებას უნდა დავყვე და თეატრში წასვლაზე უარი უნდა ვთქვაო.

— თქვენ უკვე გაქვთ ბილეთები? — ჰკითხა კრისტოფმა.

— მაშ არა და! შესანიშნავი ლოჟა. თან ბილეთები მაქვს წასადები, აკი მივდივარ კიდეც იმ კრეტინ გრიუნბაუშთან. მამაჩემის კომპანიონია, თავი უნდა მოიწონოს თავისი ცოლითა და ინდაური ქალიშვილით. მხიარულად არ ვიქნები?! ერთი-ორი ტკბილი სიტყვა მათქმევინა იმათთვის... თუმცა მათთვის სულერთია. მთავარია, ბილეთები მივუტანო,— ისე კი ერჩივნათ, ეს ბილეთები საბანკო ყოფილიყო.

იგი უცბად დადუმდა და პირდაღებული კრისტოფს მიატყერდა:

— უჰ! აი, რა... სწორედ ეს მჭირდებოდა ახლა!.. — მანჰაიმმა ჩაიხითხითა. — კრისტოფ, თეატრში მიდიხარ?

— არა.

— კარგი, მიდიხარ, გთხოვ გამიწიო სამსახური. უარს ვერ მეტყვი.

კრისტოფს ვერაფერი გაეგო.

— კი, მაგრამ მე ბილეთი არა მაქვს.

— აი, ბილეთი! — წამოიძახა გახარებულმა მანჰაიმმა და ბილეთი ხელში მიიჩეჩა.

— გიჟი ხარ, — უთხრა კრისტოფმა. — მამაშენის დავალებას რაღას უზამ? მანჰაიმმა გადაიხარხარა:

— როგორ გაბრაზდება!

თვალეები მოისრისა და დაატანა:

— ფულს ხვალ დილას გამოვართმევ, როგორც კი ადგება, სანამ რაშეს შეიტყობდეს.

— არა, ვერ გამოვართმევ, — უთხრა კრისტოფმა, — მითუმეტეს, ვიცი, რომ არ ესიაშენებო.

— შენ არაფერი გაქვს საცოდნელი და არც არაფერი იცი; ეს შენ არ გეხება. კრისტოფმა ბილეთები გაშალა.

— ერთი მითხარი, რა გინდა ვუყო ამ ოთხდღიანი ლოჟას?

— რაც გენებოს. გინდ დაჯიქი და გამოიძინე, გინდ იცეკვე, წაიყვანე ქალები, ხომ გყავს ნაცნობები? გაცნობაც შეიძლება.

კრისტოფმა ბილეთები მანჰაიმს გაუწოდა:

— არა ნამდვილად არა. წაიღე უკან.

— არაფრის გულისათვის, — უთხრა მანჰაიმმა და უკან დაიხია რამდენიმე ნაბიჯით. — თუ არ მოგწონს, ძალას ვერ დაგატან — წადი-მეთქი, გამოართმევით კი ვერ გამოგართმევ. შეგიძლია ცეცხლში ჩაყარო, ან თუნდაც, კეთილთ, კაცო, მიუტანო გრიუნბაუმებს. ეს უკვე ჩემი საქმე აღარ არის. კარგად იყავი!

მანჰაიმმა თავს უშველა და შუა ქუჩასე დატოვა კრისტოფი ბილეტებით ხელში.

კრისტოფი დაბნეული იდგა. თავს ირწმუნებდა, გრიუნბაუმს უნდა წავუღოო. თუმცა მაინცდამაინც არ სიამოვნებდა. შინ გაოგნებული დაბრუნდა. როცა საათზე დახედვა მოიფიქრა მიხვდა, რომ ტანსაცმლის გამოცვლასა და თეატრში მისვლასა თუ მოასწრებდა. ბილეტების დაკარგვა სისულელე იქნებოდა. მან დედას შესთავაზა, წამოდიო. ლუიზამ შინ დარჩინა. კრისტოფი წავიდა, გულში ბავშვივით იყრ გახარებული. ერთი რამ აწუხებდა მხოლოდ: სინარულის მოზიარე არა ჰყავდა. სინდისის არავითარ ქენჯნას არ გრძნობდა. მამა მანჰაიმის ან გრიუნბაუმების წინაშე, ვისაც ლოჟა წაართვა. სამაგიეროდ, იმათი ერიღებოდა. ვინც შეიძლებოდა ამ ლოჟის თანამოზიარე გამხდარიყო. რამდენი ახალგაზრდა ისიამოვნებდაო, — ფიქრობდა ის და ნანობდა, რომ ვერაუვის მიანიჭებდა ამ სიამოვნებას. ბევრი არჩია გონებაში, მაგრამ ვერაუგინ იპოვნა, რომ ბილეტები შეეთავაზებინა. თანაც უკვე აგვიანდებოდა და უნდა ეჩქარა.

თეატრში შესვლისას დაკეტილ სალაროს ჩაუარა და თვალი მოჰკრა წარწერას. — ყველა ბილეთი გაყიდულიაო. გულდაწყვეტილ, უკან გამობრუნებულ-ხალსში ახალგაზრდა ქალი დაინახა, რომელსაც უკან წასვლა ვერ გადაეწყვიტა და შურის თვალთ შესცქეროდა თეატრში შემსვლელებს. ეს შეაკაბიანი ქალი ძალიან უბრალოდ ჩაცმული, საშუალო ტანისა იყო; ხმელ-ხმელი, სანდომიანი სახე ჰქონდა. კრისტოფს არც კი შეუმჩნევია, ლამაზი იყო, თუ არა. წინ ჩაუარა, წუთით შეჩერდა, მიუბრუნდა და უცბად გამოელაპარაკა:

— ქალიშვილო, ბილეთი ვერ იშოვეთ?

ქალი გაწითლდა და უცხო აქცენტით უპასუხა:

— ვერა ბატონო.

— შე ლოჟა მაქვს და არ ვიცი, რა ვუყო ბილეთებს. ხომ არ წამობრძანდებით ჩემთან ერთად?

ქალს კიდევ უფრო მოედო სიწითლე. მადლობა გადაუხადა და მოუბოდიშა, ვერ წამოვალაო. უარით შეწუხებულმა კრისტოფმაც მოუბოდიშა და მაინც შეეცადა მის დაყოლებას; მაგრამ თანხმობა ვერ მიიღო, ისე კი ატყობდა, რომ ქალი ძალიან უნდოდა თეატრში შესვლა. კრისტოფი დაბნეული იყო.

— მომისმინეთ, — მიმართა მან ქალს, — მოდი. უბრალოდ გადავწყვიტოთ ყველაფერი; წაიღეთ ბილეთები. მე არაფერი მიშავს, უკვე ნანახი მაქვს (იგი ცრუობდა). — თქვენ უფრო მეტ სიამოვნებას მიიღებთ. გამომართვით, ალ-ალო გულით მოგახსენებთ.

ახალგაზრდა ქალზე ძალიან იმოქმედა ამ გულითადობამ. ცრემლები მოადგა და მადლიერების გრძნობით ჩაილაპარაკა: — არა, ასეთ სიამოვნებას ვერ წაგართმევთო.

— კარგით, მაშინ წამობრძანდით, ერთად შევიდეთ, — უთხრა კრისტოფმა ღიმილით.

კრისტოფი ისეთი კეთილი და ალალი იყო, რომ ქალს უარის თქმისა მოერიდა და მორცხვად დაეთანხმა:

— მოვდივარ... გმადლობთ.

შვიდნენ. მანჰაიმების ვრცელი ლოჯა პირდაპირ სცენას უტყუროდა: თავის შეფარება შეუძლებელი იყო. მათი შესვლა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. კრისტოფმა ახალგაზრდა ქალი პირველ რიგში დასვა, თვითონ კი უკან დაჯდა რომ არ შეეწუხებინა. ქალი გამართული იჯდა, არ ინძროდა და შემცბარი უკან მოხედვას ვერ ბედავდა. რას არ მისცემდა ახლა, ოღონდ აქედან წასვლა შესძლებოდა. კრისტოფი სხვა მხარეს იტყირებოდა, რომ ქალისათვის საშუალება მიეცა გამოერკვეულიყო. თან არ იცოდა, რაზე ელაპარაკნა. საითაც არ უნდა გაეხედა, ადგილი მისახვედრი იყო, რომ ამ უცნობ ქალთან მისი ყოფნა ლოჯების ბრწყინვალე საზოგადოებაში ცნობისმოყვარეობასა და მითქმა-მოთქმას იწვევდა. კრისტოფი გაბრაზებული იტყირებოდა. გული მოსდიოდა, თვითონ კი არაფერ აინტერესებდა. აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს ერთობ შეურაცხყოფელი ცნობისმოყვარეობა მის თანმხლებ ქალს უფრო ეკუთვნოდა. კრისტოფისათვის სულერთი იყო ვინ რას იტყოდა, ან იფიქრებდა, ამის დასამტკიცებლად თავისი მეზობლისავენ გადაიხარა და საუბარი გაუბა. ქალი ისეთი შემკრთალი იყო, ისე საცოდავად პასუხობდა, ისე უპირდა „ჰოს“ ან „არას“ თქმა და თავის აწევა, რომ კრისტოფს შეებრალა ეს უკარება და ისევ თავის კუთხეში მიუყრდა. საბედნიეროდ, სპექტაკლი დაიწყო.

აფიშა კრისტოფს არ წაუყითხავს. მაინცდამაინც არც აინტერესებდა, რა როლს ასრულებდა დიდი მსახიობი: კრისტოფი იმ გულუბრყვილო მყურებელთაგანი იყო, რომელიც თეატრში პიესის საყურებლად დადის და არა მსახიობების სანახავად. არც დაინტერესებულა, ვინ იქნებოდა სახელგანთქმული მსახიობი, ოფელია თუ დედოფალი. რომც დაინტერესებულიყო, დედოფალი ეგონებოდა, თუკი ორივე დედაკაცის ასაკს გაითვალისწინებდა. მაგრამ ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ეს მსახიობი ქალი ჰამლეტს ითამაშებდა. და როცა თვალნათლივ დაინახა ეს და თოჯინასებრი ხმა მოისმინა, კარგა ხანს ვერ დაიჯერა...

— კი, მაგრამ, ეს ვინ არის, ვინ? — იძახდა იგი ხმადაბლა. — შეუძლებელია...

როცა დარწმუნდა, რომ ეს „ნამდვილად ჰამლეტი“ იყო, ლანძღვა აღმოხდა. საბედნიეროდ, მის თანმხლებ ქალს არ გაუგია, რადგან უცხოელი იყო. სამაგიერ-

ლოდ, მეზობელ ლოყაში მშვენივრად გაიგონეს, მაშინვე შენიშვნა მისცეს და წესრიგისაკენ მოუწოდეს. კრისტოფი გულის მოსაზრებლად ისევ თავის კუთხეში მიიყუტა, ვერ მშვიდდებოდა. სამართლიანი რომ ყოფილიყო, უნდა დაეფასებინა ამ მასკარადის ელევანტურობა და ხელოვნების სასწაულები. ადვილი ხომ არ იყო სამოცი წლის ქალს ჭაბუკის ტანსაცმელი ჩაეცვა და ლამაზიც კი მოსჩვენებოდა მაყურებელს, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებ მომთხვრე მაყურებელს. მაგრამ კრისტოფს სძულდა ხელოვნებაში ოინბაზობა და ყველაფერი, რაც სინაპლვეილეს ამახინჯებდა. ქალი ქალი უნდა ყოფილიყო, კაცი კი — კაცი (რაც ღლეს ერთობ იშვიათია). მას უყვე ეუცხოებოდა ბეთპოვენის ლეონორას გულუბრყვილო და, ცოტა არ იყოს, სიცოლის მომგვრელი საქციელი; ეს ქალის კაცად გადაცმა. მაგრამ ეს, ჰამლეტის ამბავი, ყოველგვარი აბსურდულობის საზღვარს სცდებოდა. ფერმკრთალი და ახმახი, ეშმაკი, გონიერი და იჭვიანი დანიელის ქალად გადაქცევა... ქალადაც კი არა... ქალი, რომელიც მამაკაცს თამაშობს, შეიძლება იყოს მხოლოდ უჩრჩხული; ჰამლეტის გადაქცევა რაღაც ევენუხად თუ საეჭვო ჰერმოფროდიტად... მხოლოდ ასეთი დაცემულობის ეპოქაში და ბრიყუელი კრიტიკის დროს თუ აიტანდა ამ უგემოვნო საზოგადოებას კაცი, ისიც ერთი დღით, თორემ მასხარად იყო ასაგდები!.. მსახიობი ქალის ხმას მოთმინებიდან გამოჰყავდა კრისტოფი. მას ისეთი გაჭიანურებული და გამოკვეთილი დიქცია, ისეთი მონოტონური შეძახილი ჰქონდა, რომელიც შანმელეს¹ შემდეგ, ალბათ, მუდამ ნაკლებად პოეტურ ხალხს თუ მოეწონებოდა... კრისტოფი გაშმაგებული იყო. ლამის ოთხზე დაეწყო ფოფხვა. მან ზურგი შეაქცია სცენას და გაბრაზებული კუთხეში დაყენებული ბავშვივით იმანკებოდა. საბედნიეროდ, მისი თანმხლები ქალი უკან მოხედვას ვერ ბედავდა, თორემ — გიჟიყო, იფიქრებდა.

უეცრად კრისტოფმა მანკვეას თავი დაანება. გაშეშდა და გაისუსა. გაისმა შესანიშნავი მუსიკალური ხმა, ქალის ახალგაზრდული ხმა, ნაზი და ტკბილი. კრისტოფმა ყურები ცქვითა. ამ ქალის ამეტყველებასთან ერთად კრისტოფიც თანდათან მისკენ იქცევდა სახეს და ინტერესით შეჰყურებდა ამ აჭიკჭიკებულ ჩიტს. და კრისტოფმა იხილა ოფელია. არსებითად, მას შექსპირის ოფელიასი არაფერი ჰქონდა. ეს იყო ლამაზი ახალგაზრდა ქალი, ტანადი, როგორც ახალგაზრდის ბერძნული ქანდაკება: ელექტრა თუ კასანდრა. ეს იყო სიცოცხლის განსახიერება. იგი ცდილობდა თავისი როლიდან არ გამოსულიყო, მაგრამ მისი მოკლძმარი თავლისფერი თვალებიდან ახალგაზრდული ძალა და მზიარულება მანაც იფრქვეოდა მის მიხრა-მოხრაში. მაგრამ დიდია ძალა ლამაზი სხეულისა. კრისტოფი ცოტა ხნის წინ საეჭვოდ ხდიდა ჰამლეტის ინტერპრეტაციას, ახლა კი არც განხეხებია, რომ სრულიად სხვაგვარად წარმოედგინა ოფელია. როგორც ყველა ვნებიანმა ადამიანმა, ის ოფელია მან უყოყმანოდ შესწირა ამ ოფელიას. შეუცნობელი ცბიერების წყალობით მანაც ჰემმარტი ცეცხლი დაინახა ამ

1 შანმელე — XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი მსახიობი ქალი.

უმანკო სულის ახალგაზრდულ ცეცხლში. მის ეშხს რაკრაკა თბილი, ხავერდოვანი ხმის მომაჯადოებელი ძალა აღიერებდა, ყოველი სიტყვა შესანიშნავი აკორდით ჟღერდა, ყოველ მარცვალს პიტნისა და კვლიავის სურნელით გაყდნითილი სამხრეთული სიყისკასე ახლდა. რალაც უცხო იყო ეს არლელი ოფელია! მას თან მოეტანა ცოტაოდენი მშობლიური ოქროსფერი მზე და გიჟმჟი ნიაიე.

კრისტოფს დაეიწყებოდა თავისი თანმზლები ქალი და მის გვერდით მიმჯდარიყო ლოჟის წინა რიგში! ის თვალს ვერ ამორებდა ამ მშვენიერ მსახიობს, რომლის სახელი არც კი იცოდა. ხალხი ამ ვილაც უცნობის მოსასმენად არ იყო მოსული. არც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ტაშს მაშინ უკრავდნენ, როცა მდღერობითი სქესის ჰამლეტი ალაპარაკდებოდა. კრისტოფი ცხარობდა, „ვირებს“ ეძახდა ჩუმად, მაგრამ მისი ხმა ახლო-მახლო მაინც ისმოდა.

ლოჟის მეზობელი კრისტოფს მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როდესაც ფარდა დაუშვეს. ისეე დამფრთხალი რომ დაინახა, გაუღიმა და იფიქრა, ალბათ შეეგაშინე ჩემი საქციელითაო. არც შემცდარა. რამდენიმე საათის წინ შემთხვევით გაცნობილი ახალგაზრდა ქალი თითქმის ავადმყოფურად გულჩათხრობილი იჯდა. ალბათ, უჩვეულო აღფრთოვანებით იყო შეპყრობილი, კრისტოფის მიპატივებას რომ დაეთანხმა; ის იყო, თანხმობა განაცხადა, რომ უმა გუჩნდა თავის დღე-წევის სურვილი, ხლო როდესაც საყოველთაო ცნობისმოყვარეობის საგნად იქცა, კიდევ უფრო შეცბუნდა; ამ უხერხულობას ისიც ემატებოდა, რომ უკან (საითაც ის მიხედვას ვერ ბედავდა) ისმოდა კრისტოფის ყრუ ბუზღუნი და წყევლა. ვინ იცის, რა მოხდებოდა. და, როცა კრისტოფი გვერდით მიუჭდა, ქალს შიშისაგან შეაყრეოლა. იცის, კიდევ რა სიბრყვეს ჩაიდნეს ეს კაცი. ახლა ერჩია, მიწა გასკდომოდა და თან ჩაეტანა. ქალი ინსტინქტურად იქით იწეოდა, კრისტოფის მიკარებისა ეშინოდა.

ანტრაქტზე ქალმა კრისტოფის მშვიდი ხმა რომ გაიგონა, ყოველგვარი შიში გაუქრა.

— ცოტა არ იყოს, უსიამოვნო მეზობელი გამოგადექით, არა? გთხოვთ, მომიტევეთ.

ახლა კი შეხედა ქალმა და დაინახა გულკეთილი ღიმილი, ის, წედან აქ შემოსვლა რომ გადააწყვეტინა.

კრისტოფმა განაგრძო:

— რასაც ვფიქრობ, ვერ დავმაღავ... მაგრამ ეს მეტისმეტი იყო!.. ეს ქალი, ეს ბებერი ქალი!..

კრისტოფი ისეე უსიამოვნოდ დაიმანჭა.

ქალს გაეღიმა.

— მიუხედავად ამისა, მაინც კარგი იყო, — უბასუხა მან ხმადაბლა.

კრისტოფს მისი კილო მოხვდა ყურში.

— თქვენ უცხოელი ბრძანდებით?

— დიახ.

ქალს უბრალო კაბა ეცვა.

— მასწავლებელი ხართ?

ქალი გაწითლდა:

— დიახ.

— საიდან ბრძანდებით?

— ფრანგი ვარ.

კრისტოფმა გაიკვირვა:

— ფრანგი? არასოდეს არ ვიფიქრებდი.

— რატომ? — იკითხა ქალმა მორიდებულად.

— თქვენ ისეთი... სერიოზული ხართ! — უპასუხა კრისტოფმა.

(ეს სიტყვები, ქალის ფიქრით, სრულიადაც არ იყო ნათქვამი ქების ნიშნად).

— ასეთებიც არიან საფრანგეთში, — უპასუხა მთლად შეცბუნებულმა

ქალმა.

კრისტოფი უცქეროდა წაბლისფერი თმით შემორკალულ ნათელ პატარა პირისახეს, მრგვალ შუბლს, პატარა სწორ ცხვირს, კოხტა ნიკაპს, გამხდარ ლოყებს, უცქეროდა და ვერა ხედავდა: იგი ლამაზ მსახიობ ქალზე ფიქრობდა.

— უცნაურია, რომ თქვენ ფრანგი ხართ, — გაიმეორა კრისტოფმა. — მაშ, თქვენ მართლაც ოფელიას თანამემამულე ხართ? არავინ არ დაიჯერებს.

— რა მშვენიერია! — დაამატა მან ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

და არც კი შეუმჩნევია, რომ ერთობ არასასიამოვნო შედარება მოახდინა.

ქალი ამას მშვენიერად მოხვდა, მაგრამ კრისტოფზე არ განაწყენებულა. თვითონაც ასე ფიქრობდა. კრისტოფი შეეცადა ზოგიერთი წვრილმანი გაეგო მსახიობის შესახებ, მაგრამ მისმა მეზობელმა არაფერი იცოდა: ეტყობოდა, დიდად არ ლაგიდევდათ თეატრის ამბებს.

— თქვენ, ალბათ, გაამოვნებთ, ფრანგული რომ გესმით? — ჰკითხა კრისტოფმა.

ეს ისე, ქალის გასახარებლად იყო ნათქვამი და მიზანსაც მოხვდა.

— ოჰ! — შესძახა ქალმა, — სწორედ რომ ძალიან გავიხარე! თორემ ლამის სული შემეხუთოს!

კრისტოფი ახლა უფრო დააშტერდა — ქალმა მუჭები შეიკრა, მაგრამ უმაღლესკრთა, ვაითუ გული ვატყინე ამ სიტყვებითო.

— ოი! შპატიეთ, — წარმოთქვა მან. — თავადაც არ ვიცი, რას ვამბობ.

კრისტოფმა გულიანად გაიცინა:

— ბოდიშს ნუ იხდით. სრულიადაც არ არის საჭირო იყო ფრანგი, რომ აქ სული შეგეხუთოს.

კრისტოფმა მხრები გაშალა და ღრმად ამოისუნთქა.

ქალს შერცხვა უცხო კაცთან ასეთი გულახდილობისა და ისევე ჩაითხრო გული. შეამჩნია კი, რომ მეზობელი ლოყებიდან თვალყურს ადევნებდნენ. ეს კრისტოფმაც დაინახა და ბრაზი მოერია. საუბარი შეწყვიტეს. ანტრაქტის დამ-

თავრების მოლოდინში კრისტოფი თეატრის ფოიეში გავიდა. ყურში უცნობი ქალის სიტყვები ჩაესმოდა, მაგრამ ვერ აღიქვამდა. ოფელიას სახეს შეეპყრო მთელი მისი ფიქრები. მომდევნო მოქმედებაში ოფელიამ მოაჯადოვა კრისტოფი. როდესაც მშვენიერმა აქტრისამ სიგიჟის სცენა ჩაატარა და სიყვარულსა და სიკვდილის სიმღერა შეასრულა, მისი ხმა ისეთი გრძნობიერებით ჟღერდა, კრისტოფი მღელვარებამ შეიპყრო; იგრძნო, საცაა ხბოსავით აბლავლდებოდა. ამ სისუსტემ ძალიან გააბრაზა საკუთარ თავზე. ვერ წარმოედგინა, თუ ნამდვილ ხელოვანს ტირილი შეეძლო. არ უნდოდა, სასერიო გამხდარიყო და ჩქარი ნაბიჯით გავიდა ლოჯიდან. დერეფნები და ტალანი ცარიელი იყო. აღევებულმა თეატრის კიბეები ჩაიარა და თავისდაუნებურად ქუჩაში აღმოჩნდა. ახლა დამის გრილი ჰაერით სუნთქვა და ნახევრად ცარიელ, ბნელ ქუჩაში სიარული ეამებოდა. როცა გამოერკვა, არხის პირას იყო, მოაჯირს დაეყრდნო და დადუმებულ წყალს დააქვრდა. წყალში ფარნის სხივი ლიცილიცებდა. კრისტოფის სულიერი მდგომარეობაც რაღაც ამდაგვარი იყო — ჩაბნელებული და ათრთოლებული. იგი მხოლოდ ზედაპირზე აცეკვებულ დიდ სიხარულს ხედავდა. გაისმა ზარების რეკვა. მას ძალა აღარ შესწევდა თეატრში დაბრუნებულყო და პიესისათვის ბოლომდე ეყურებინა. ფორტინბრასის ტრიუმფისათვის ექცირა? არა, ეს მას არ იზიდავდა... კარგია გამარჯვება! ვისა შურს გამარჯვებულისა? ვინ უნდა იყოს მის ადგილზე მკაცრი და უზადრუკი ცხოვრების სისასტიკისაგან გატანჯული? მთელი თხზულება მრისხანე საბრალოდებლო აქტია ცხოვრების წინააღმდეგ. მაგრამ შიგ იმდენი ცხოვრებისეული ძალაა, რომ ნაღველი სიხარულად იქცევა, სიმწარე დამათრობლად მოქმედებს...

კრისტოფი შინ დაბრუნდა და ლოჯაში მიტოვებულ უცნობ ქალიშვილზე აღარც უნაღვლია.

მეორე დღით კრისტოფი მსახიობი ქალის სანახავად წავიდა. იმპრესარიოს ისა და მისი ამხანაგები მესამეხარისხოვან სასტუმროში დაებინავენინა. დიდი მსახიობი ქალი კი ქალაქის საუკეთესო სასტუმროში იყო ჩამომხდარი. კრისტოფი ერთ პატარა, ცუდად მორთულ ოთახში შეიყვანეს. ღია როიალზე საუზმის ნარჩენებთან ერთად თმის სარკები და დახეული, ჭუჭყიანი სანოტო ფურცლები ეყარა. გვერდით ოთახში, გახარებული პატარა ბავშვივით, რომელსაც ხელს არავინ უშლის, მთელის ხმით მღეროდა ოფელია. სტუმრის მოსვლა რომ შეატყობინეს, ცოტა ხანს გაჩუმდა და მხიარულად და უდარდელად, აქაო და, მერე რა, თუ კედელს იქით ისმის ჩემი ხმაო, იკითხა:

— ვინ არის ის ბატონი, რომ მობრძანებულა? რა ჰქვია? კრისტოფი. კრისტოფ... ვინ? კრისტოფ კრაფტი?.. ეს რა გვარია!

(ეს მან ორ-სამჯერ გაიმეორა; განსაკუთრებით „რ“-ს აგრძელებდა).

— გინებას ჰგავს...

(ქალმა რაღაც გინება წარმოთქვა).

— ახალგაზრდა თუ მოზუცი?... ლამაზია?... კარგი, მოედივარ.
და ისევ განავრძო სიმღერა.

„რა უნდა იყოს უტკბესი თვით ჩემი სიყვარულისა,“

მღეროდა ქალი, დაბორიალეზდა ოთახში და წყევლა-კრულვით დაეძებდა ამ არეულობაში საღდაც ვადაკარგულ კუს ჩაეშნის თმის საპაგრს. თანდათან მოთმინებას კარგავდა, ილანძღებოდა, ბღღვინავდა. კრისტოფი მას ვერ ხედავდა, მაგრამ წარმოდგენაში ეხატებოდა მისი ყესტები და ეცილებოდა. ბოლოს ნაბიჯების ხმა მოესმა. კარი ხმაურით გაიღო და გამოჩნდა ოფელია.

იგი ნახევრად ჩაქმული იყო და ხალათს წარამარა იხვევდა ტანზე. ფართო სახელოებიდან შიშველი მკლავები მოუჩანდა. დაუფარცხელი თმა შუბლზე და ლოყებზე კულულებად ეყარა. უცინოდნენ ლამაზი თაფლისფერი თვალები, უღიპოდნენ ბაგეები და ლოყები, ნიკაბზე მომხიბლავი ფოსოც უღიპოდა. ქალმა ტკბილი, ბოხი ხმით ცალყბად ბოდიში მოიხანდა, ასე შინაურულად რომ შეგხვდითო. მისთვის რომ გეკითხათ, არაფერი იყო ბოდიშის მოსახდელი. ის კი არა და, სტუმარი მადლობელიც უნდა ყოფილიყო. ეგონა, სტუმარი ყურნალისტია და ინტერეფუსათვის არისო მოსული. როცა გამოირკვა, რომ მისი თამაშით აღფრთოვანებული კრისტოფი თავისი ნებით მოსულა, ქალი არამცთუ არ შეწუხდა, აღფრთოვანდა კიდევ. მართლაც, მომხიბლავი, ცოცხალი ქალი იყო. უხაროდა როცა ვინმეს მოსწონდა და ამის დამალვას არ ცდილობდა. კრისტოფის მოსვლამ და მისმა აღფრთოვანებამ ბედნიერება მოჰგვარა მას. (ის ჯერ არ იყო ჭათინაურებისაგან განებივრებული). ყოველი მოძრაობა, მიხრა-მოხრა, სიამაყე და თავის მოწონების გულუბრყვილო ცდა იმდენად ბუნებრივი ჰქონდა, რომ კრისტოფს სულაც არ უგრძენია უხერხულობა. მაშინვე დამეგობრდნენ. კრისტოფი ფრანგულს ამტკრედა, ორიოდღე ღერი გერმანული ქალმაც იცოდა. ერთი საათის შემდეგ უკვე საიდუმლოებებს უყვებოდნენ ერთმანეთს. ქალს არც კი უფუქრია კრისტოფის უკან გასტუმრება. ეს ჩანმრთელი და მხიარული, გონიერი და ტემპერამენტიანი სამხრეთელი ქალი გახარებული იყო, რომ ხმის გამცემი გამოუჩნდა, თორემ ამ უცხო მხარეში, ენის უცოდინრად მისი მხიარული ხასიათის პატრონს სული გასძვრებოდა გონებაჩლუნგი ამხანაგების ამარა. ხალხის ძლიერებით გაელენთილი სამხრეთის ამ შვილთან შეხვედრა აუწერელი სიკეთე იყო კრისტოფისათვის ამ ბრიყვი და პირფერი მეშინების ქალაქში. მან ჯერაც არ იცოდა რამდენი მოჩვენებითობაა ამ ადამიანების ხასიათში. გერმანელებისაგან განსხვავებით გულის გადაშლა იციან, ზოგჯერ კი იმასაც გიჩვენებენ, რაც საერთოდ არ უდევთ გულში. ყოველ შემთხვევაში, ეს ქალი ახალგაზრდა იყო, სიცოცხლით სავსე, გულახდილად და პირდაპირ ლაპარაკობდა. ყველაფერზე მსჯელობდა თავისუფლად, ახლებურად და გულუბრყვილოდ. მასში ნისლების გამჟანტველი მშობლიური ნიავის ქროლვა იგრძნობოდა. იგი საქმოდ ნიჭიერი იყო; თუმცა არც კულტურა გააჩნდა, არც დიდი ფიქრის თავი ჰქონდა; ყნოსვით

გრძნობდა, გულით ხვდებოდა, განიცდიდა და მაშინვე ითვისებდა ყოველივე კარგსა და კეთილს. შემდეგ კი, წუთიც და გულიანად კისკისებდა. ჩასაკვირველია, თავმომწონეც იყო და თვალების ნაბვაც უყვარდა. ჩახსნილი ხალათიდან შიშველი მკერდის გამოჩენაზეც არ ამბობდა უარს; იგი სიამოვნებით დაახვევდა კრისტოფს თავბრუს. მაგრამ ეს ინსტინქტი იყო და არაეთიარი ანგარება შიგ არ ერია. ამ ქალს არანაკლებ უყვარდა სიცილი, მზიარული საუბარი, კარგი მეგობრობა სირცხვილისა და პრანკვა-გრეხის გარეშე. ქალმა კრისტოფს უამბო თეატრის შინაური ამბები, თავისი პატარა გაკვირვებანი, ამხანაგების ტუტუტური წყენინებანი, იზაბელის შემოტევები (ასე ეძახდა ის დიდ მსახიობ ქალს), რომელიც მას გასაქანს არ აძლევდა. კრისტოფმა თავისი საყვედურები გაუშინლა გერმანელების მიმართ. ქალი ტაშს შემოჰკრავდა და კრისტოფთან ერთად გამოთქვამდა აღშფოთებას. ერთი სიტყვით, უპირველეს ყოვლისა, იგი გულკეთილი იყო და არავისზე ავს არ იტყოდა, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს აუგად ეხსენებინა ვინმე; როცა ვინმეს დასცინოდა, თავისთავსაც კიცხვდა ეშმაკობაში და როგორც ეს სამხრეთელებს სჩვევიათ, მისი დაკვირვება ყოველთვის ჰეშმარიტი და სასაცილო იყო: იგი თავს ვერ იკავებდა, ბაძვდა, წარმოადგენდა ვინმეს, ციინოდა; ფერპკრთალ ბავებებს შორის ლეკვის კბილებივით საღი კბილები მოუჩანდა, გრიმის ხმარებისაგან გატყევილ სახეზე ცეცხლივით ენთებოდნენ მისი დაჩრდილული თვლები.

ამ მასალათში ერთ საათზე მეტი გასულიყო. კრისტოფმა კორინას (ქალის თეატრალური სახელი გახლდათ) — შესთავაზა ნაშუადღევს შემოვივლით და ქალაქის დასათვალიერებლად წავიდეთო. ქალს ეს იდეა ძალიან მოეწონა: შეთანხმდნენ, რომ ნასადილევს შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

დანიშნულ დროს კრისტოფი უკვე ადგილზე იყო. კორინა პატარა დარბაზში იჯდა. ხელში რვეული ეპყრა და ხმამალა კითხულობდა. მან გაღიმებული თვლებით გადახედა კრისტოფს, მაგრამ ვიდრე წინადადება არ ჩაათავა, კითხვა არ შეუწყვეტია. შემდეგ კი ხელით ანიშნა, გვერდზე მომიჯექითო.

— დაბრძანდით და არ ილაპარაკოთ, — დააყოლა ქალმა. — მე როლს ვათვალიერებ. თხუთმეტოდე წუთს მოვუნდები.

კორინა ფრჩხილის წვერს აყოლებდა ხელნაწერს და წასასვლელად აჩქარებული პატარა გოგოსავით სწრაფად, დაუდევრად კითხულობდა.

კრისტოფმა შემოწმება შესთავაზა. კორინამ რვეული გაუწოდა და ფეხზე წამოდგა საპასუხოდ. ახალ ფრანზე გადასვლამდე სამ-ოთხჯერ იმეორებდა წინა სიტყვას. როლის თხრობისას თავს იქნევდა. მთელი ოთახი თმის სამაგრებით იყო მოფენილი. თუ რომელიმე სიტყვას ვერ მოიგონებდა, უზრდელი ბავშვივით ფეხების ბაკუნს იწყებდა. რაიმე სასაცილოს წამოიძახებდა, უხეში სიტყვებიც კი წამოსცდებოდა. ერთხელ ერთი მოკლე, მაგრამ უხეში სიტყვითაც კი შეიმკო თავი. კრისტოფი განცვიფრებული იყო ტალანტისა და ბავშვურობის ამ ნარევით. კორინა სწორ და ამადლელებელ ინტონაციებს აგნებდა, მაგრამ ტირაღის ზედ

შუა ნაწილში, სადაც მთელი თავისი სული და გული უნდა ჩაედო, რაღაც უაზრო სიტყვების ლაპარაკი მოუნდებოდა და პატარა თუთიყუშით ჰყვებოდა თავის გაკვეთილს და აზრს ატანდა თუ არა, ამას სრულებითაც არ დაგიდევდათ. ყველაფერი ეს მასხარას უკბილო ხუმრობასა ჰგავდა. კორინა მშვიდად იყო. თუ რამეს შეამჩნევდა, თვითონვე იწყებდა ხარხარს. ბოლოს შესძახა: „დასწყევლოს ღმერთმაო“, გამოსტაცა კრისტოფს რვეული, კუთხეში მოისროლა და გამოაცხადა:

— შესვენება! ზარი დაირეკა!.. წავიდეთ სასეირნოდ!

როლის ბედით შეწუხებულმა კრისტოფმა ეკვით ჰკითხა:

— თქვენ გგონიათ, რომ იცით?

კორინამ დაჭრებული პასუხი გასცა:

— დარწმუნებული ვარ. მაშ სუფლიორები რიღას მაქნისები არიან?

ქალი თავის ოთახში გავიდა ქუდის დასახურად. მის მოლოდინში კრისტოფი როილის მიუჭდა და რამდენიმე აკორდი აიღო.

— ო! რა არის ეს! — გაისმა კორინას ხმა მეორე ოთახიდან. — კიდევ დაუკარით! რა კარგია!

ოთახიდან კორინა სირბილით გამოვიდა. გზადაგზა თავზე ქუდს იმაგრებდა. კრისტოფი უკრავდა. დაკვრას რომ მორჩა, კორინამ სთხოვა, გააგრძელებოთ. ქალი აღფრთოვანებას მოკლე და გაპრანჭული შეძახილებით გამოხატავდა, ასე ძალიან რომ უყვართ ფრანგ ქალებს და ერთნაირად იმეტებენ როგორც „ტრისტინის“. ისე ერთი ფინჯანი შოკოლადისათვის. კრისტოფი იცინოდა: ეს შეძახილები გერმანელების დაუსრულებელი და გაზვიადებული აღფრთოვანების სანაცვლო იყო, ორი უკიდურესობა: — ერთი არარაობას მთად აქცევდა, მეორე კი მთას არარაობად მოაქცევდა — ერთი მეორეზე ნაკლებ სასაცილო როდი იყო. მაგრამ ამჯერად კრისტოფს ეს უფრო მოსწონდა, მოსწონდა იმიტომ, რომ ეტრფოდა იმ ბაგეებს, საიდანაც ეს შეძახილები მოდიოდნენ. კორინა დაინტერესდა — ვისი მუსიკა იყო. როცა შეიტყო, კრისტოფისააო, ერთი ხმაური ატეხა. კრისტოფმა, მართალია, ჯერ კიდევ დილით საუბრის დროს, უთხრა — კომპოზიტორი ვარო, მაგრამ ქალს ყურადღება არ მიუქცევია. კორინა მიუჭდა და ყველა თხულების დაკვრა მოსთხოვა. სასეირნოდ წასვლა აღარავის განსენებია. კორინას მხრივ ეს უბრალო თავაზიანობა არ იყო. მას გატაცებით უყვარდა მუსიკა, შესანიშნავი ალლო ჰქონდა და ამით ცოდნის უკმარისობას იცვებდა. თავდაპირველად კრისტოფი იოლად მოეკიდა ამ მოთხოვნას და ყველაზე მარტივი მელოდეები დაუკრა. მაგრამ გაერთო და შემთხვევით ერთი ისეთი ნაწარმოები დაუკრა რომელსაც თვითონაც დიდად აფასებდა. კორინასაც ეს უფრო მოეწონა. წინასწარ კრისტოფს კრინტი არ დაუძრავს, რას დაუკრავდა და ძალიან გაეხარდა, რომ კორინას კარგი მუსიკალური გემოვნება აღმოაჩნდა. გერმანელების ჩვევია არ იყოს, ფრანგებს შორის კარგი მუსიკოსის შეხვედრას რომ გაიკვირებენ ხოლმე, კრისტოფმაც გულუბრყვილოდ შესძახა:

— უცნაურია! კარგი გემოვნება გქონიათ! არასოდეს ვიფიქრებდი...
კორინამ სახეში შესვინა.

მაშინ კრისტოფმა გადაწყვიტა, კორინა გამოეცადა. ერთიმეორეზე ძნელ ნაწარმოებები დაუკრა, რომ ენახა, სანამ გაკვეებოდა კორინა. მაგრამ გამოხატვის საშუალებათა გამბედაობამ კორინას ვზა-კვალი ვერ აუბნია; ერთი, განსაკუთრებით ახლებური მელოდიის შემდეგ კორინამ ხელახლა დაკვრა სთხოვა. ამ მელოდიისა კრისტოფსაც კი აღარ სწამდა, რადგან გერმანიაში ვერ მიაღწია მის აღიარებას. კრისტოფის განსაცვიფრებლად, კორინამ თითქმის უშეცდომოდ იმღერა ეს მელოდია. კრისტოფი მობრუნდა, ხელში სწვდა და აღელვებულმა შესძახა:

— თქვენ თურმე მუსიკოსი ყოფილხართ!

ქალმა გაიცინა და უთხრა, წინათ პროვინციულ ოპერაში ვმღეროდი, მაგრამ ერთმა იმპრესარიომ ჩემში დრამატული მსახიობის ნიჭი აღმოაჩინა და გადამიბირაო.

— ძალიან სამწუხაროა! — წარმოთქვა კრისტოფმა.

— რატომ? — იკითხა ქალმა. — პოეზიაც ხომ მუსიკაა.

მან კრისტოფს სთხოვა განემარტა მისი Lieder-ების აზრი. კრისტოფი გერმანულ სიტყვებს ამბობდა, კორინა კი ადვილად იმეორებდა და ბაძავდა მისი ბავებისა და თვალების მოძრაობას. ზეპირად სიმღერის დროს სასაცილო შეცდომები მოსდიოდა. სიტყვები რომ შემოეღეოდა, თვითონ იგონებდა უხეში ხორხისმიერი თანხმოვნების შემცველ სიტყვებს. ორივენი გულიანად იცინოდნენ. კორინა არ ეშვებოდა, დაკვრასა სთხოვდა. არც კრისტოფი იყო უარზე დაეკრა და მოესმინა ხელოვნურ ხრიკებს მოკლებული მისი ტკბილი ხმა. ქალი პატარა ბავშვივით ყელში მღეროდა თითქოს, ნაგრამ გრძნობა არ აკლდა. კორინა გულახდილად ამბობდა ყველაფერს. ის ვერ აგიხსნიდათ, რატომ მოსწონდა ან არ მოსწონდა რაიმე, მაგრამ მის განსჯაში ყოველთვის იყო ფარული ჭეშმარიტება. კლასიკურ ნიმუშებთან ყველაზე მეტად აზლოს მდგომი გერმანიაში მრღებელი ნაწარმოებები მას ნაკლებად იზიდავდა. იგი მხოლოდ ზრდილობის ნიშნად იტყოდა ორიოდ საქებარ სიტყვას, მაგრამ. ეტყობოდა, ეს მისთვის არაფერს ნიშნავდა. მუსიკალური კულტურა წას არ ჰქონდა და ერთხელ მოსმენილი ნაწარმოები აღარ ანიჭებდა სიამოვნებას. მუსიკის მოყვარულნი და ხელოვანნიც კი ამ სიამოვნებას ქვეცნობიერად გრძნობდნენ. ის აიძულებდათ ახალ ნაწარმოებში დაენახათ თუ შეეყვარებინათ ერთ დროს რომელიღაც ძველ მუსიკაში გაგონილი ფორმები და ფორმულები, კორინას არც გერმანული გემოვნება ჰქონდა, სანტიმენტალური მელოდიებისადმი სიყვარულში გამოხატული (უკიდურეს შემთხვევაში, მისი სანტიმენტალობა სხვაგვარი იყო: კრისტოფი ჯერ არ იცნობდა მის ნაკლოვან მხარეებს). კორინას სრულებითაც არ აღაფრთოვანებდა გერმანიაში ესოდენ მოწონებული უგემოვნო და უსიცოცხლო ჰანგები. მას არ მოეწონა ყველაზე დაბალი ლირების Lieder-ებიც კი. ამ მელოდიებს

კრისტოფი მოსპობას უპირებდა. მეგობრები ხომ მარტო ამაზე ელაპარაკებოდნენ და ბედნიერად რაცხდნენ თავს, რომ შესაძლებლობა აქვთ ამისთვის მაინც შეას-
ხან ქება. არტიტული ინსტინქტი კორინას ქეშმარიტად განცდილი გრძნობე-
ბის ამსახველი მელოდები მოსწონდა, თვითონ კრისტოფიც ყველაზე მეტად
ამ მელოდებს აფასებდა. კორინას არც ჰარმონიაში შემჩნეული ზოგიერთი
შეუსაბამობა მოსწონდა, სწორედ ის, კრისტოფს რომ ჩვეულებრივად ეჩვენე-
ბოდა. ქალი შეკრთებოდა ხოლმე, წინ დაუდგებოდა კრისტოფს და ჰკითხავდა:
„მართლა ასეა თუ არა?“ როცა კრისტოფი ეტყოდა, ასეაო. ცდილობდა, ძალით
ეღო ძნელი ადგილები; მაგრამ მაშინვე დაიმაწყებოდა. კრისტოფს ეს, რასაკ-
ვირველია, არ გამოეპარებოდა. ხშირად კორინას ტაქტის გამოტოვება ერჩია. მა-
შინ კრისტოფი როცაღზე დაუკრავდა ამ ნაწყევტს:

— არ მოგწონთ? — ჰკითხავდა კრისტოფი.

— მანდ სიყალბეა, — ცხვირის კმუხვნით უპასუხებდა ქალი.

— სრულიადაც არა, — სიცილით გაეპასუხებოდა კრისტოფი, — ყველა-
ფერი სწორადაა. აბა, ჩაუფიქრლით, რისი თქმა უნდა. განა ეს სწორი არ არის?
(კრისტოფი თავის გულზე უჩვენებდა).

მაგრამ კორინა თავს იქნევდა უარის ნიშნად:

— შესაძლებელია, მაგრამ მაინც სიყალბეა.

(კორინა ყურებზე წაივლებდა ხელს).

გერმანულ დეკლამაციაში ყველაზე მეტად ხმის მკვეთრი მონაცვლეობა
ეხამეშებოდა:

— რატომ ლაპარაკობს ასე ხმამალა? — კითხულობდა კორინა. — ის
ხომ სულ მარტოა. ხომ შეიძლება მეზობლებმა გაიგონონ? კაცს ეგონება...
(უკაცრავად, თქვენ ხომ არ გეწყინებათ?)... კაცს ეგონება, მენავეს უხმობსო.

კრისტოფს არა სწყინდა. გულიანად იცინოდა და ეუბნებოდა, სადღაც მარ-
თალი ხარო. მას მოსწონდა კორინას შენიშვნები. ასეთი შენიშვნა ჯერ არავის-
გან მთულია. ორივეს მიაჩნდა, რომ მელოდეკლამაცია ზოგჯერ ისე ამახინჯებს
ბუნებრივ მეტყველებას, როგორც გამაღიღებელი შუშა საგნებს. კორინამ
სთხოვა, დაეწერა მუსიკა პიესისათვის, სადაც ორკესტრის აკომპანემენტის
თანხლებით ლაპარაკი და შიგადაშიგ სიმღერა იქნებოდა. სცენიური რეალიზა-
ციის სიძნელის მიუხედავად, კრისტოფს მოეწონა ეს იდეა. კორინას მუსიკალუ-
რი ხმა ამის დაძლევის პირობად ეჩვენებოდა. დაიწყეს მომავლის გეგმების
შედგენა.

ხუთი საათი იქნებოდა. როცა გარეთ გასვლა მოიფიქრეს. წელიწადის ამ
დროს აღრე ღამდება. სეირნობაზე ლაპარაკი აღარ შეიძლებოდა. საღამოს კორი-
ნას რეპეტიცია ჰქონდა. უცხოის დასწრება არ შეიძლებოდა. მან სიტყვა ჩა-
მთართვა კრისტოფს, ხვალ ნაშუადღევს მოდი და სასეირნოდ წავიდეთო.

მეორე დღეს თოქმის იგივე სცენა განმეორდა. კრისტოფი რომ მივიდა,

სარკის წინ მაღალ ტაბურეტზე შესკუპებულ კორინას მოჰკრა თვალი. ფეხებზე გადმოეკიდებინა და პარიკს იზომებდა. იქვე იყვნენ მისი კოსტიუმერი და პარიკმახერი. კორინა მათ მითითებებს აძლევდა და სთხოვდა, კულულები მალა ამიწიეთო. სარკეში ქალმა თვალი მოჰკრა მის უკან მდგომ მომლიმარ კრისტოფს და ენა გამოუყო. პარიკმახერი წავიდა.

— გამარჯობა, მეგობარო! — გახარებული მიუბრუნდა კორინა კრისტოფს და ლოყა მიუშვირა საკოცნელად. კრისტოფი არ მოელოდა ასეთ გულთბილობას, მაგრამ უარი არ უთქვამს. კორინა ასეთ ქცევას არად დაგიღვედათ. ეს მისთვის ჩვეულებრივი გამარჯობა იყო.

— ოო! ახლა კმაყოფილი ვარ! — წამოიძახა მან. — სადამოს ყველაფერი კარგად იქნება (ამას თავის პარიკზე ამბობდა). — ძალიან შეწუხებული ვიყავი! ჩემი უბედურება დილას უნდა გენახათ.

კრისტოფმა მიზეზი იკითხა.

თურმე პარიკმახერი ბარგის ჩაწყობის დროს შემცდარა და როლისათვის სრულიად შეუფერებელი პარიკი ჩაუდგია.

— მთლად სწორი, ჩამოგარძელებული, — ამბობდა კორინა, — ეს რომ ვნახე, მოვკვდი ტირილით. ასე არ იყო, მაღამ დეზირე?

— მე რომ შემოვედი, — თქვა მაღამ დეზირემ, — და ქალბატონს შეგხედე, გული გამისკდა, მთლად გაფითრებული მიცვალებულსა ჰგავდა.

კრისტოფს გაეცინა. კორინამ ეს სარკეში დაინახა:

— გეცინებათ, არა? გულქვა ხართ! — უთხრა მან გაბრაზებით.

და თვითონაც გაიცინა.

კრისტოფმა გუშინდელი რეპეტიციის ამბავი გამოჰკითხა. — ყველაფერი კარგად იყო, ოღონდ კორინა მოითხოვდა, სხვის როლებში მეტი კუბიურები მოეხდინათ, მისთვის კი ხელი არ ეხლოთ... საუბარში ნაშუაღლევს გადასცდა. კორინა საკმაოდ დიდხანს იცვამდა. იგი სიამოვნებით ეკითხებოდა კრისტოფს აზრს თავისი ტანსაცმლის შესახებ. კრისტოფმა ელეგანტურობა შეუქო და ფრანგულ-გერმანულ ჟარგონზე გულუბრყვილოდ უთხრა, არასოდეს მინახავს ასეთი „გაფარფაშებული“ ქალიო. კორინა ჭერ მიატყერდა კრისტოფს, მერე კი გადაიხარხარა.

— განა რა ვთქვი ისეთი? — ჰკითხა კრისტოფმა. — მგონი, ის არა ვთქვი, რაც მინდოდა?

— ის არის, ის! — შესძახა კორინამ და ისევ გაიცინა. — სწორედ ის არის.

როგორც იქნა, გამოვიდნენ. კორინას გამომწვევ კაბას და ჩქარ ლაპარაკს ყველა ყურადღებას აქცევდა. იგი ყველაფერს ფრანგი ქალის დამკინავი თვალით უცქერდა და თავისი შთაბეჭდილებების დაშლვა არც უცდია. მან ფრუტუნით ჩაუარა მოდების ვიტრინებს, ილუსტრირებული საფოსტო ბარათების მაღაზიას. ამ ბარათებზე ერთმანეთში იყო არეული სანტიმენტალური და სასაცილო სცენები, ქალაქელი კოკეტები და იმპერატორის ოჯახის წევრები; იქვე

იყო თვით იმპერატორი წითელ ტანსაცმელში გამოწყობილი, იმპერატორი მწვანედ გამოწყობილი, იმპერატორი ზღვის მგელი — გემ „გერმანიას“ საჭესთან ცისკენ მიჰქერალო. კორინას სიცილს ჰკვრიდა ვაგნერის პორტრეტით მოხატული სასაღილო სერვიზი და ვარცხნილობათა ვიტრინა, სადაც სანთლისაგან ჩამოსხმული მამაკაცის თავი მოჩანდა. მას ერთობ მოუტირდებლად გაეცინა პატრიოტული ძეგლის დანახვაზე, ეს იყო ბებერი იმპერატორი მაზარასა და წვეტიან ჩაჩქანში პრუსიის, გერმანული სახელმწიფოებისა და ომის შიშველი გენის თანხლებით. კორინას თვალს არ გამოეპარებოდა ხოლმე, თუკი რამე სასაცილო იყო ადამიანის ფიზიონომიაში, სიარულისა და ლაპარაკის მანერაში. მისი გამჭირაზი და დაუნდობელი თვალი არც სხვას გამოჰპარვია. მიბაძვის ინსტიქტით ზოგჯერ ძალაუნებურად ემანქებოდა ცხვირ-პირი; იგი ლოყებს ბერავდა და იპეორებდა მისთვის უცნაური ელერადობის ყურმოკრულ სიტყვებსა და ფრაზებს. კრისტოფი გულიანად იცინოდა და სრულიადაც არ ეხამუშებოდა კორინას მოურიდებლობა. თვითონაც ხომ არ იცოდა თავრიდის გამოდება. საბედნიეროდ, მის რეპუტაციას აღარაფერი დააკლდებოდა, თორემ ასეთი გასეირნება სამუდამოდ დალუქავდა.

ისინი ტაძარში შევიდნენ. კორინამ შილაძედე მოინდომა ასვლა, თუმცა გრძელი კაბა და მალაქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. გზადაგზა კაბა საფეხურებს მიიხვეტდა. ბოლოს გამოედო კიდევ კუთხეს, მაგრამ, ვითომც არაფერიყო, ქალმა მოსწია კაბას და ფხრიწინი გააღებინა; მერე კალთები აიკეცა და ზემოთ გააწია. ზარიც რომ შემოეკრა გასაკვირი არ იქნებოდა. კოშკზე მან ვიქტორ ჰიუგოს ლექსები წაიკითხა (კრისტოფმა ერთი სიტყვაც ვერ გაიგო) და ფრანგული ზალხური საძღვრაც შემოსძახა. მერე კორინა მუეზინად იქცა. ჩამობინდდა. ქვემოთ დაეშენენ. ეკლესიაში ფერადი ვიტრაჟების ჭადოსნური თვალებით. მომზირალ ვეება კედლებზე მუქი ჩრდილები გაწოლილიყო. ერთ-ერთ მინაშენში კრისტოფმა თვალი შეავლო მუხლმოდრეკილ ახალგაზრდა ქალს, რომელიც „ჰალეტის“ წარმოდგენის დროს მასთან იჯდა ლოყაში. ქალი ისე იყო გართული ლოცვა-ვედრებით, კრისტოფი არ დაუნახავს. სახეტანჭული ქალის დანახვაზე კრისტოფი შეწუხდა. უნდოდა რამდენიმე სიტყვა ეთქვა, მისალმებოდა მაინც, მაგრამ კორინამ ტრიალ-ტრიალით წარიტაცა თან.

ცოტა ხნის შემდეგ ერთმანეთს დაემშვიდობნენ. კორინა რეპეტიციისათვის უნდა მომზადებულიყო. ის, გერმანული წესისამებრ, ადრე იწყებოდა. ის იყო, კრისტოფი შინ დაბრუნდა, რომ კარზე დარეკეს და კორინას წერილი მიაწოდეს:

„ბედი მეწვია! იეზაველი ავად გახდა! წარმოდგენა გადაიღო! ვაშა!.. ჩემო მეგობარო! მოდი! ერთად ვისადილოთ!“

„თქვენნი მეგობარი

კორინეტა“

„P. S. — წამოიღეთ ბევრი მუსიკა!“

კრისტოფი ძლივს მიხვდა, რაც მომხდარიყო. მიხვდა და კორინასავით გაიხარა; მაშინვე სასტუმროს მიაშურა. წუხდა, რომ მთელი დღის სადილზე იქნებოდა, მაგრამ არავინ უნახავს. კორინაც კი არსად ჩანდა. ბოლოს, სადღაც შორიდან მოესმა მისი ხმა და სიცილი; კრისტოფი საძებრად წავიდა და სამზარეულოში მიაგნო. კორინას რაღაც სამხრეთული საჭმლის გაცეთება მოენდომებინა. მისი სურნელი მთელ უბანს სწვდებოდა და ქვებსაც კი აცოცხლებდა. კორინა უკვე გაშინაურებოდა სასტუმროს ჩასუქებულ დიასახლისს და ერთმანეთს საშინელ ჟარგონზე ელაპარაკებოდნენ — ფრანგულის, გერმანულის და ზანგურის ნარევი, რაღაც უსახელო ენაზე. ხარხარებდნენ და ერთმანეთს ასინჯებდნენ თავიანთ ნახელავს. კრისტოფის გამოჩენამ კიდეც უფრო აახმაურა ისინი. მას უკან გასტუმრებაც კი დაუპირეს. მაგრამ თავი დაიჩინა. ბედმა მასაც აგემეზინა ეს შესანიშნავი საჭმელი. კრისტოფი ცოტათი დაიმანჯა. ამაზე კორინამ ბარბაროსი-ტევტონი უწოდა და დააყვედრა კიდეც, ამდენი წვალების ღირსი არ იყავიო.

ყველანი პატარა დარბაზში ავიდნენ; აქ მაგიდა უკვე მზად იყო კრისტოფისა და კორინასათვის. კრისტოფმა ვერ მოითმინა და კორინას ამხანაგები მოიკითხა. კორინამ ხელები გაშალა:

— არ ვიცი სად არიან.

— განა თქვენ ერთად არ სადილობთ?

— არასოდეს! ისიც კმარა, რომ თეატრში ვუყურებთ ერთმანეთს!.. ისლა გვაკლა, მაგიდასთანაც ერთად ვიყოთ!..

ეს ისე არ ჰგავდა გერმანულ ჩვევებს, რომ კრისტოფი განცვიფრებული და მოხიბლული დარჩა:

— მე თქვენ საზოგადოების მოყვარული ხალხი მეგონეთ!

— კი მაგრამ, — წამოიძახა კორინამ, — განა მე ადამიანებთან ურთიერთობა არ მიყვარს!?

— გიყვარდეს ადამიანებთან ურთიერთობა, ეს ნიშნავს, ცხოვრობდე საზოგადოებაში. აბა, ჩვენ გიყურეთ! ჩვენ სხვანაირები ვართ! კაცი, ქალი, ბავშვი, ყველა საზოგადოების წევრია გაჩენის დღიდან ვიდრე სიკვდილამდე. ყველაფერი საზოგადოებაში კეთდება: ჰამენ, მღერიან, ფიქრობენ — საზოგადოებასთან ერთად. საზოგადოებამ რომ ცხვირი დააცემინოს, ესენიც დააცემინებენ. ჰიქა ლუდიც კი არ შეისმევა საზოგადოების გარეშე.

— ასე უფრო მხიარულადაც ხართ, ალბათ, — თქვა კორინამ, — რატომ ერთი ჰიქიდანაც არა სევამთ?

— განა ეს უფრო ძმური არ იქნებოდა?

— დაიღუპოს ასეთი ძმობა! მე მინდა ვიყო იმისი „ძმა“, ვინც მომწონს; სხვებისა კი არა... ფუჰ! ეს საზოგადოება კი არა, ჰიანჰველების ბუდეა!

— აბა, განსაჩეთ, რა ყოფაში უნდა ვიყო აქ, როცა მეც თქვენსავით ვფიქრობ!

— მაშინ წამოდით ჩვენთან!

ამაზე უკეთეს რამეს თვითონ კრისტოფიც ვერ ინატრებდა. მან დაუწყაო გამოკითხვა ქალს პარიზის და ფრანგების შესახებ. კორინას ცნობები არ იყო მთლად ზუსტი. სამხრეთელი ქალი თან ტრახანობდა, თან მოსაუბრის გაბრუნებაც უნდოდა. თუ მას დავუჭერებდით, პარიზში ყველა თავისუფალია, ყველა ჰკვიანია, ყველა ტყემა თავისუფლებით და ბოროტად არ იყენებს მას; ყველა აკეთებს იმას, რაც მოსწონს; ფიქრობს, სწამს, უყვარს ან სძულს — რაც უნდა; არაფერს ხმის გამცემი არ არის. იქ არაფერს ერევა სხვის რწმენაში, ხელებს არაფერს აფათურებს სხვის სულში, არაფერს გაძალბებს თავის აზრს. იქ პოლიტიკური მოღვაწეები არ ერევიან ლიტერატურისა და ხელოვნების საქმეებში, არ უნაწილებენ ჭილაობებს, თანამდებობებს და ფულს თავიანთ მეგობრებს და კლიენტებს. იქ წარმატება და რეპუტაცია დამოკიდებული არ არის ვილაყების ხროზე; ჟურნალისტები არ იყიდებიან, ლიტერატურის მსახურნი ერთმანეთს თავზე როდი ამტრევენ საცეცხლურს, როცა თავის გატეხვა არ შეუძლიათ ზოლმე. იქ კრიტიკა არ ახშობს უცნობ ტალანტებს და აღიარებული ტალანტების წინაშე მლიქვნელობას არ უნდება. იქ წარმატება არ არის მიზანი, რომელიც ამართლებს ყოველგვარ საშუალებას და ხალხის აღფრთოვანებას იწვევს. მშვიდი ბუნება, გულთბილობა და სიკეთე, გულახდილი დამოკიდებულება, არაფრთარი ენაპირტალობა. ყოველი კაცი სხვის დასახმარებლად ეშურება. ყოველი ახლადჩამოსული თუკი ის რამეს წარმოადგენს, დარწმუნებულია, რომ მისკენა გაშვებული დახმარების ხელი და სავალი გზა გაწმენდილი აქვს. ფრანგების უანგარო და რაინდული სული სავსეა მშვენიერებისადმი წმინდა სიყვარულით. ერთადერთი მათი ნაკლი იდეალიზმია. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი ჰკვიანი ხალხია, ხშირად მოუტყუებია სხვა ხალხს.

კრისტოფი პირდაღებული უსმენდა, მართლაც გასაკვირი იყო. კორინას თვითონ უკვირდა, თავის ლაპარაკს რომ ისმენდა. აღარც კი ახსოვდა, რა უთხრა გუშინ კრისტოფს თავის წარსულ ცხოვრებაზე. კრისტოფსაც არაფერი გახსენებია.

მაგრამ კორინა მხოლოდ გერმანელებისათვის თავისი სამშობლოს შეყვარებით როდი იყო დაინტერესებული. მას არანაკლებ სურდა, თავისი თავიც შეეყვარებინა. უფლირტოდ ერთი საღამოს გატარებაც კი, ცოტა არ იყოს, უსიამოვნო და სასაცილო ეჩვენებოდა. თავგამოდებით ეკეკლუცებოდა კრისტოფს, მაგრამ ეს ტყუილად დაკარგული შრომა იყო. კრისტოფი არაფერს ამჩნევდა. მისთვის ფლირტი არ არსებობდა. თუ უყვარდა, უყვარდა, თუ არა და არა. როცა არ უყვარდა, სიყვარულზე არც ფიქრობდა. კორინას მიმართ ის უაღრესად მეგობრულად იყო განწყობილი. შეპყრობილი იყო ამ სამხრეთელი ნატურის მისთვის ანუ უცხო მომხიბვლელით, კეთილი ხასიათით, გრაციოზულობით, ცოცხალი და თავისუფალი გონებით. ეს უსათუოდ საკმარისი იყო მის შესაყვა-

რებლად, მაგრამ „გონება სადღაც დაქროდა“, აქ კი არა. სიყვარულის თამაში იქ, სადაც სიყვარული არ იყო, აზრადაც არასოდეს მოუვიდოდა.

კრისტოფის უკარებლობა ახალისებდა კორინას. იგი როიალთან კრისტოფს გვერდით უჭდა, უკრავდა, შიშველი მარცხენა ხელი მისთვის კისერზე გადაეჭდო, ნოტებისათვის თვალუხრის სადგენებლად კლავიშისაკენ დახრილიყო და ლოყით კრისტოფის ლოყას ეხებოდა. კრისტოფი გრძნობდა, როგორ ერხეოდა წამწამები ქალს, ხედავდა მისი თვალის კუთხეს, ეშმაკურ გამოხედვას, მომხიბლავ სახეს, ქინქლდაყრილ ბაგეებს, მოლოდინში რომ ილიმებოდნენ. კორინა მოლოდინში იყო, მაგრამ კრისტოფი ამას ვერ ხედავდა; კორინა ხელს უშლიდა დაკერაში, მხოლოდ ამას გრძნობდა კრისტოფი. მან უნებლიეთ გაითავისუფლა თავი და სკამი უკან გასწია. ერთი წუთის შემდეგ მობრუნდა, რომ კორინას დალაპარაკებოდა, ქალი სიცილისაგან იგულებოდა, ლოყებზე ფოთლებიც უტყინოდა. იგი ტუჩებზე კბილებს იჭერდა და თავს ძალას ატანდა, რომ არ გადაეხარხარა.

— რა დაგეშართათ? — ჰკითხა განცვიფრებულმა კრისტოფმა.

კორინამ გადმოხედა და გადაიხარხარა.

კრისტოფს ვერაფერი გაეგო:

— რად იცინით? — იკითხა მან. — განა რამე ვთქვი სასაცილო?

რაც უფრო არ ეშვებოდა კრისტოფი, კორინა მით უფრო მეტს იცინოდა. ის-ის იყო, მორჩებოდა სიცილს, გადახედავდა კრისტოფის შეწუხებულ სახეს, რომ კვლავ სიცილი აუტყდებოდა. მერე კორინა ადგა, ოთახის ბოლოში მდგარ საეარძელთან მიიბრინა და ბალიშებში ჩაეფლო, რომ სიცილით გული ეჭკერებინა. იგი მთელი ტანით იცინოდა. სიცილი კრისტოფსაც გადაედო. კორინასთან მივიდა და ზურგზე ხელი მოუთათუნა. როცა კორინამ სიცილით გული იჭერა, თავი ასწია, თვალზე მომდგარი ცრემლები მოიწმინდა და ორივე ხელი კრისტოფს გაუწოდა.

— რა კარგი ბიჭი ხართ! — უთხრა ქალმა.

— სხვას არ ჩამოუვყვარდები.

კორინას კვლავ ეცინებოდა და კრისტოფს ხელს არ უშვებდა.

— თავქარიანებია, არა, ფ რ ა ნ გ ი ქ ა ლ ე ბ ი? — უთხრა მან კრისტოფს.

— დამცინით ხომ? — მხიარულად გაეპასუხა კრისტოფი.

კორინა გრძნობამორეული მიაცქერდა, მაგრად მოსწია ხელებში და ჰკითხა:

— მეგობრები ვართ თუ არა მე და თქვენ?

— ვართ. — უპასუხა მან და ხელი მოუჭირა.

— იფიქრებთ თუ არა კორინეტაზე, როცა ის აქ აღარ იქნება? გაკიცხავთ თუ არა ფ რ ა ნ გ ქ ა ლ ს თავქარიანობის გამო?

— განა კორინა კი არ გაკიცხავს ბარბაროს-ტეეტონს იმის გამო, რომ ასეთი ბრიყვი იყო?

— ის ხომ სწორედ ამიტომ უყვართ. ჩამოვა პარიზში მის სანახავად?

- რა თქმა უნდა. ის კი განა მომწერს წერილს?
- ფიცავს. თქვენცა თქვით: ვფიცავ.
- ვფიცავ.
- არა. ეგრე არა, ხელი უნდა გამოიშვიროთ.

და კორინამ ჰორაციუსების ფიცი განასახიერა. ქალწაპირობა ჩამოართვა, დაეწერა მინათვის პიესა, მელოდრამა, რომელიც ითარგმნებოდა ფრანგულად და კორინა პარიზში შეასრულებდა. მეორე დღეს ის მიდიოდა თავის დასთან ერთად. მოილაპარაკეს, კრისტოფი ზეგ შეხვდებოდა მას ფრანკფურტში, სადაც წარმოდგენა უნდა გამართულიყო. მათ კიდევ ისაუბრეს ერთხანს. კორინამ ფოტოსურათი აჩუქა, სადაც წელამდე შიშველი იყო გადაღებული. მხიარულად დაშორდნენ, დაძმურად გადაკოცნეს ერთმანეთი. კორინა მიხვდა, რომ კრისტოფს ის ძალიან უყვარდა, მაგრამ სრულებითაც არ იყო შეყვარებული, ამიტომ თვითონაც მეგობრულად შეიყვარა.

ძილი არც ერთს არ გაფრთხილბოდა. მეორე დღეს კრისტოფი ვერ გამოემშვიდობა ქალს, რადგან რეპეტიცია ჰქონდა, მაგრამ მომდევნო დღეს, პირობისამებრ. ფრანკფურტს გაემგზავრა. რკინიგზით სულ ორი-სამი საათის გზა იყო. კორინას მისი პირობისა არა სჯეროდა, მაგრამ კრისტოფს არ უხუმრია, სპექტაკლის დროს უკვე იქ იყო. შესვენებაზე კორინას საპირფარეოში ოთახს მიუყაკუნა. ქალმა სიხარულით შეჰყვირა და გადაეხვია. გულით უხაროდა მისი მოსვლა. კრისტოფმა საუბედუროდ, ამ მდიდარი ებრაელებისა და ინტელიგენციის ქალაქში კორინას უფრო მეტად ეხვეოდნენ გარს, ისიც შეემჩნიათ, რომ ლამაზი იყო და კარგი მომავალი ჰქონდა, ამასაც ატყობდნენ. ოთახის კარზე წარამარა აკაკუნებდნენ. შემოდიოდნენ ცოცხალთვალებიანი ჩასუქებული მამაკაცები და გამყივანი ჯმით აფრქვევდნენ ყოვლად უნდილ ტუბილსიტყვაობას. კორინასაც, რასაკვირველია, თავი მოსწონდა. იმავე ნაქალაქევი და გამაღიზიანებელი კილოთი ელაპარაკებოდა იგი კრისტოფსაც. ეს ძალიან აწუხებდა კრისტოფს. გარდა ამისა, სრულებითაც არ სიამოვნებდა, კორინა რომ მოუჩრდიებლად, მშვიდად ირთვებოდა მის თვალწინ. იგი ზიზღით უცქერდა ნელსაცხებელსა და ფერუმარისს, კორინა რომ ისევამდა მკლავებზე, მკერდზე და სახეზე. წარმოდგენის შემდეგ კრისტოფი მას უნაბავად აპირებდა წასვლას, მაგრამ დამშვიდობებისას, ბოდისს რომ უნდიდა, ვერ დავესწრები შენ პატივსაცემად გამართულ ვახშამსო, კორინამ ისეთი მომხიბლავი სინაზით გამოთქვა სინანული, წინ აღარაფერი დაუდგებოდა. კორინამ მატარებლების განრიგი მოატანიდა იმის დასამტკიცებლად, რომ დრო ჰქონდა და კიდევ უნდა დაჩენილიყო მასთან მთელი ერთი საათი. კრისტოფიც დათანხმდა და მივიდა ვახშამზე. თავს კი იკავებდა, მინცადამაინც არ გამოუმეღავენება სიძულვილი წარმოთქმული სისულელებისა და ყოველი სიმახინჯისადმი კორინას მანკვა-გრების გამო. მაგრამ საყვედურის თქმა შეუძლებელიც იყო. კორინა კარგი იყო, მორალურ პრინციპებს არას დაგიდევდათ, უღარდელი. მგრძნობიარე. სიამოვნების მოყვარული, ბავშვურად თავმომწონე,

მაგრამ იმავე დროს პატიოსანი და კეთილი ქალი. მისთვის ყველა ეს ნაკლი უნებლიე და უწყინარი იყო. კრისტოფი პირდაპირ იჯდა და შესცქეროდა მის ცოცხალ სახეს, ლამაზ და ანთებულ თვალებს, ფუნჩულა ნიკაას, მის იტალიურ ღიმილს, რომელშიც სიკეთე, ეშმაკობა და მიშხიდველი სინაზე გამოსჭვიოდა. ის ახლა უფრო ნათლად ხედავდა კორინას, ვიდრე აქამდე. ზოგიერთი თვისებით ეს ქალი ადას აგონებდა: ექსტებით, გამოხედვით, მგრძობიერების ოდნავ უხეში განონატებით — ქალურობით. კრისტოფს მისი სამხრეთული ნატურა უფრო მოსწონდა, იტაცებდა მისი დაუღებელი ბუნება, რომელიც სალონის მზეთუნახავებს და მეწიგნია ინტელიგენტებს კი არ ასაზრდოებდა, არამედ სულითა და ხორციით ჰარმონიულ პიროვნებებს, მზეზე რომ იფურჩქნებოდნენ. კრისტოფმა წასვლა რომ დააპირა, კორინა მაგიდიდან ადგა და გამოვიდა, რათა სხვების თვალწინ არ დამშვიდობებოდა. მათ ისევე გადაკოცნეს ერთმანეთი და ხელახლა დადეს პირობა, რომ მიწერ-მოწერა ექნებოდათ და კიდევ შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

კრისტოფი უკანასკნელ მატარებელს გაჰყვა. ერთ რომელიღაც სადგურში შემხვედრი მატარებელი იდგა. მის წინ მდგომ, მესამე კლასის ვაგონში კრისტოფმა თვალი მოჰკრა ახალგაზრდა ფრანგ ქალს, მასთან ერთად რომ იყო „ჰამლეტი“. ქალმაც დაინახა და იცნო კრისტოფი. გაკვირვებულები ჩუმად მიესალმნენ ერთმანეთს და თვალი აარიდეს. ადგილიდან არ დაძრულან. კრისტოფმა თვალი შეავლო მის პატარა სამოგზაურო ქუდს და გვერდით მდგარ ძველ ჩემოდანს, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს ქალი გერმანიას ტოვებდა, იფიქრა, ალბათ, რამდენიმე დღით მიდისო. აღარ იცოდა, გამოლაპარაკებოდა, თუ არა. გულში სათქმელს ამზადებდა, ვაგონის ფანჯრის დაწვეას აპირებდა, მაგრამ ამსაობაში წასვლის ნიშანი მისცეს. მაშინ კი გადაწყვიტა, რომ აღარ ღირდა გამოლაპარაკება. მატარებლის დაძვრამდე კიდევ გავიდა რამდენიმე წამი. ისინი ერთმანეთს უყურებდნენ. კუბეში მათ გარდა არავინ იყო. ვაგონის ფანჯარაზე სახემიდებულნი ღამის ბინდბუნდში ერთიმეორეს თვალებში ჩასცქეროდნენ. მათ ორი მინა აშორებდა. ხელების გაწოდებაც კი საკმარისი იყო და თითქმის ერთმანეთს შეეხებოდნენ. რა ახლოს იყვნენ და თანაც რა შორს! ვაგონები მძიმედ დაიძრა. ქალი თვალს აღარ აშორებდა, მიმავალს აღარაფრისა ერიდებოდა. ორივე ისე გაიტაცა ერთმანეთის ცქერამ, რომ არც კი დამშვიდობებიან ერთმანეთს. ქალი ნელ-ნელა შორდებოდა იქაურობას. მალე გაუჩინარდა კიდევ. მატარებელი სიბნელემ შთანთქა. მათ ორი მნათობივით გვერდი აუქციეს ერთმანეთს და უსასრულო სივრცეში გაუჩინარდნენ, ალბათ, სამუდამოდაც.

ქალი რომ მიიმალა, კრისტოფმა მისი მზერისაგან დარჩენილი სიცარიელე იგრძნო. ვერ მიმხვდარიყო, რატომ მოხდა ასე, ასე კი იყო. კრისტოფი ვაგონის ერთ კუთხეში მიიყუთა ნახევრად მთვლემარე და ქალის მზერა იგრძნო. ყველა სხვა ფიქრმა უკან დაიხია და მის მზერას დაუთმო გზა. კორინას ხატება სადღაც

დახურულ ფანჯარას გარედან მოხეტეებული ფარვანასავით კრისტოფის გულის გარეთ დაფარფატებდა.

მაგრამ ვაგონიდან ჩამოვიდა თუ არა, ისევ გამოჩნდა ეს ხატება. ღამის გრილმა ჰაერმა. მძინარე ქალაქის მოძრაობამ ბურანი გაუფანტა. კრისტოფი ხან დღიმებოდა მშვენიერი მსახიობი ქალის გახსენებაზე, ხან მოიღუშებოდა და ისევ ხარობდა, ალბათ, მისი დაუღვევარი ხასიათი ან ვულგარული პრანკვა-გრეხა აგონდებოდა.

— ეშმაკებია ეს ფრანგები, — ბურტყუნებდა იგი და ხმადაბლა იციწოდა, ჩუმად იხდიდა ტანზე, რომ დედა არ გაეღვიძებინა.

ერთი ნათქვამი გაახსენდა, იმ საღამოს ლოქაში რომ გაიგონა:

— სხვანაირებიც არსებობენ.

საფრანგეთთან პირველსავე შეხვედრისას კრისტოფი მისი ორბუნებოვნების გამოცანის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ სხვა გერმანელებივით არ ცდილა მის გაოცნობას. აგონდებოდა ვაგონიდან დანახული ახალგაზრდა ქალი და ხმადაბლა იმეორებდა:

— იგი ფრანგს არა ჰგავს.

თითქონდა გერმანელების გადასაწყვეტი ყოფილიყო, რას წარმოადგენდა საფრანგეთი.

ფრანგი იყო თუ არა, კრისტოფი კი ზოჯადოვა. შუღლამისას გულის ხეთვისაგან გამოღვიძა: თვალწინ დაუდგა ახალგაზრდა ქალის მახლობლად სკამზე შემოდგმული ჩემოდანი. უეცრად თავში გაუელვა აზრმა, რომ ეს ქალი, ალბათ, სამუდამოდ წავიდა აქედან. საცა წესია, ეს აზრი პირველსავე წუთებში უნდა მოსვლოდა, მაგრამ მანინ ვეღარ მოისაზრა, ახლა კი ჩუმი ნაღველი ერეოდა. კრისტოფმა მხრები აიჩჩია:

„კი, მაგრამ, რა უნდა ვქნა? — გაიფიქრა მან. — მე რა მესაქმება“. და ისევ დაიძინა.

მეორე დილას, პირველი, ვინც შეხვდა, მანჰაიმი იყო. მან კრისტოფს „ბლიუპერი“ უწოდა და ჰკითხა, მთელი საფრანგეთის დაპყრობას ხომ არ აპირებო. ამ ცოცხალი გაზეთისაგან კრისტოფმა შეიტყო, რომ ლოქის ისტორიას იმოდენა წარმატება ჰქონდა, თურქე, როგორსაც მანჰაიმი არც კი ელოდა:

— შენ დიდი აღამიანი ხარ, — გაიძახოდა მანჰაიმი. — შენთან შედარებით არაფერს არ წარმოვადგენ.

— განა რა გვაკეთე ისეთი? — იკითხა კრისტოფმა.

— შესანიშნავი ვინმე ხარ! — უპასუხა მანჰაიმი, — მშურს. კაცმა გრიუნბაუმებს ცხვირწინ ლოქა ააცალოს და მათ აღვიღებ მათივე ფრანგულის ძას-წაუღლებელი მიიწვიოს! არა, ასეთ რამეს მოფიქრება უნდა, მე ეს აზრადაც არ მომივიადოდა.

— გრიუზნაუმების მასწავლებელი? — იკითხა გაბრუებულმა კრისტოფმა.

— დიას, თავს ნუ იკატუნებ, ვითომ არ იცოდი. გირჩევ, უცოდველად მოაჩვენო თავი!.. მამაჩემი ახლაც არ დამცხრალა. გრიუზნაუმები ცოფვებსა ყრიან... მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა: მათ გარეთ უკრეს თავი ქალზატონს.

— როგორ! — შესძახა კრისტოფმა, — შინ გაისტუმრეს!.. ჩემი გელისათვის დაიბნოვებს?

— არ იცოდი განა? — უპასუხა მანჰაიმმა. — არაფერი უთქვამს შენტვის? კრისტოფი სასოწარკვეთილი იყო.

— ჩემო კარგო, ასეთ უბრალო რამეზე ნუ ლელავ.

— მოულოდნელი არაფერი იყო. ხომ დადგებოდა დრო, როცა გრიუზნაუმები შეიტყობდნენ...

— რას? — იყვირა კრისტოფმა, — რას შეიტყობდნენ?

— რომ ის შენი საყვარელია, დალანგროს ეშმაკმა!

— მე მას არც კი ვიცნობ, არც კი ვიცი, ვინ არის.

მანჰაიმს გაეღიმა, — აქაოდა სულელი მნახაო.

კრისტოფი გაბრაზდა და სთხოვა, პატივი დამდე და დამიჯერე, რასაც ვამბობო.

— მაშინ, ეს კიდევ უფრო სასაცილოა, — უპასუხა მანჰაიმმა.

კრისტოფი აღარ ცხრებოდა, გრიუზნაუმებთან მივალ. სიმართლეს ვეტყვი და ახალგაზრდა ქალს გავამართლებო.

მანჰაიმმა არ ურჩია:

— ჩემო კარგო, — უთხრა მან, — რაც არ უნდა უთხრა, ყველაფერი ჰი-რიქით შედეგს გამოიღებს, მერედა, გვიანდაა. ქალი უკვე შორსაა.

შეწუხებულმა კრისტოფმა ახალგაზრდა ფრანგი ქალის გზა-კვალის პოვნა გადაწყვიტა. წერილის მიწერა და ბოდიშის მოხდაც კი უნდოდა. მაგრამ არავინ არაფერი იცოდა მის შესახებ. გრიუზნაუმებმა, რომელთაც მან მიმართა, უკან გამოსიტუმრეს, მათ არ იცოდნენ, საით წავიდა იგი და არც აინტერესებდათ. ჩადენილ საქმეებზე ფიქრი ძალიან აწვავლებდა კრისტოფს; დიდხანს ქენჯნიდა სინდისი. აქამდეც კი გრძნობდა ფარულ მიმზიდველ ძალას, რომელსაც უჩუმრად აფრქვევდნენ გაუჩინარებული თვალები. მაგრამ დრომ და ახალ-ახალმა ფიქრებმა ეს მიმზიდველობა და სინდისის ქენჯნა თანდათან გადათელეს. ისინო მხოლოდ გულის სიღრმეში განაგრძობდნენ უჩინარ არსებობას. კრისტოფს არ ავიწყლებოდა თავისი მსხვერპლი. მან დაიფიცა, იმ ქალს უეჭველად მოვებნითო. იცოდა, რა მცირეც იყო ზელახლა მისი ნახვის შესაძლებლობა. მაგრამ იმედს არ კარგავდა.

კორინას რაც შეეხება, ამ ქალს პასუხი არ გაუცია კრისტოფის წერილებზე. სამი თვის შემდეგ, როცა კრისტოფი აღაზაფერს ელოდა, ორმოცსიტყვიანი ტელეგრამა მიიღო, კორინა რაღაც მხიარულ სისულელეებს იწერებოდა, საა-

ლერსო სახელებს ეძახდა და ეკითხებოდა: ერთმანეთი ხომ მუდამ გვეყვარებაო. თითქმის ერთი წლის ღუმილის შემდეგ ისევ მოვიდა პატარა ბარათი — ნაჭ-ლაზნი მსხვილი ბავშვური ხელით და გაყვანილი მაღალი საზოგადოების თავ-მოწმონებით. სულ რამდენიმე გულთბილი და სახუშარო სიტყვა. ამის შემდეგ მას აღარაფერი მოუწერია. კრისტოფი არ დავიწყებია, მაგრამ მასზე ფიქრის დრო აღარ ჰქონდა.

ჯერ ისევ კორინას ეშხით შეპყრობილი და მასთან საუბარში მიღებული შთაბეჭდილებებით აღსავსე კრისტოფი ოცნებობდა, მუსიკა დაეწერა რაიმე პიესისათვის, სადაც კორინა ითამაშებდა და იმღერებდა. ეს ერთგვარი პოეტური მელოდრამა იქნებოდა, ხელოვნების ამ ჟანრს გერმანიაში ერთ დროს ძალიან აფასებდნენ. ამ ჟანრით ვატაცებელი იყო მოცარტი. მას მისდევდნენ ბეთოვენი, ვებერი, მენდელსონი, შუმანი, ყველა დიდი კლასიკოსი. მაგრამ ვაგნერიზმის გამარჯვების შემდეგ იგი აითვალწუნეს. ვაგნერიზმს მიაჩნდა, რომ მუსიკისა და თეატრის განმსაზღვრელი საბოლოო ფორმულის შემქმნელი თვითონ იყო. ვაგნერიანული დაუდევარი პედანტები არ კმაყოფილდებოდნენ ახალი მელოდრამების განდევნით და ძეგლების კრეკასაც შეუდგნენ. ოპერებიდან გულდასმით იღებდნენ მთელ დიალოგებს და მოცარტის, ბეთოვენისა და ვებერისაოვის თავიანთ ყაიდაზე წარდნენ რეჩიტატივებს. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამიღებდნენ დიდი ოსტატების ნააზრევს, როცა მათ შედეგებს აღტყინებულნი გარს ატყებდნენ თავიანთ უბადრუკობას.

კორინას კრიტიკულმა შენიშვნებმა ვაგნერიანული დეკლამაციის მოუხეშაობა და უგემოვნობა უფრო ხელშესახები გახადა. კრისტოფი ახლა ხშირად ეკითხებოდა თავის თავს, უაზრობა ხომ არ არის, უაზრობა ბუნებრიობის წინააღმდეგ, მეტყველებისა და სიმღერის შერწყმა რეჩიტატივში? ხომ არ არის ეს ცხენისა და ჩიტის შებმა ერთ ეტლში? მეტყველებასა და სიმღერას თავ-თავის რიტმი აქვს. შეიძლება ვაუგო ხელოვანს, რომელიც ამ ორი ხელოვნებიდან ერთ-ერთს გაწირავს მეორის, მისთვის უფრო საყვარელი, ხელოვნების წარმატებისათვის. მაგრამ მათ შორის კომპრომისის ძებნა ორივეს გაწირვა იქნებოდა. გამოვიდოდა, რომ მეტყველება აღარ იქნებოდა მეტყველება და სიმღერა აღარ იქნებოდა სიმღერა. ერთის თავისუფალი, მდორე დინება მოქეტყვოდა ერთფეროვან არხში, ხოლო მეორის მშვენიერ, შიშველ სხეულს მოძრაობის საშუალებას მოუსპობდა ძვირფასი და მძიმე ქსოვილი. რატომ თავის ნებაზე არ მიუშვას ორივეს დინება? აი, ლამაზი, ფიქრებში წასული ქალიშვილი მსუბუქი ნაბიჯით მიჰყვება ნაკადულს, წყლის რაკრაკი მის ოცნებებს ელაძენება. თავისდაუნებურად იგი ფეხს უწყობს ნაკადულის ჩუხჩუხს. ანუ გვერდიგვერდ ივლიან თავისუფალი მუსიკა და პოეზია და ერთმანეთს შეუწყობენ თავიანთ ოცნებებს. რასაკვირველია, ასეთი კავშირისათვის არც ყოველგვარი მუსიკა ივარგებდა და

არც ყოველგვარი პოეზია. მელოდრამის მოწინააღმდეგეებს ერთი უპირატესობა ჰქონდათ — ძველი ნაწარმოებებისა და ყველა მათი შემსრულებლის დაბალი ღირსება. კრისტოფი დიდხანს იზიარებდა მათ უარყოფით შეხედულებას. ბრიყვი მსახიობები, რომელთა თხრობაც ინსტრუმენტის თანხლებით მიმდინარეობდა, არაერთად ანგარიშს არ უწევდნენ აკომპანიმენტს, ხმის შეწყობას არა ცდილობდნენ; ამით კი მუსიკალურ ყურს აღიზიანებდნენ. მაგრამ რაც კორინთს ჰარმონიული ხმა მოისმინა, ხმა ანაკრა და გამჭვირვალე, ჰანგის ტალღებზე მოლივლივე წყალში მუსიკალური ფრაზისადმი მზის შუქებზე ამყოლ-დამყოლი, თვითონ სიმღერა უმოქნილესი და ულაღესი, თავადაც იგრძნო ამ ახალი ხელოვნების სილამაზე.

ვიო იცის, იქნებ, მართალიც იყო კრისტოფი. მაგრამ ჯერ გამოცდილება არ ჰყოფნიდა, მარცხის უგემებლად ჩასწვდომოდა ხელოვნების ისეთ დარგს, რომელიც, თუკი მართლაც კემპარიტი ხელოვნება იქნებოდა, სხვებზე ძნელი ჩანდა. განსაკუთრებით იმიტომაც, რომ ხელოვნების ეს დარგი შემდეგ პირობას აცხადებდა — პოეტის, მუსიკოსის და შემსრულებლის ერთობლივი ძალების სრულ ჰარმონიას. კრისტოფს ეს სრულიადაც არ ანაღვლებდა: იგი წინდაუხედავად გადაეშვა უცნობ მორევში, რადგან თვით იყო შემოქმედი ჩისი კანონებისა.

პირველი აზრი, რომელიც მას მოუვიდა, იყო შექსპირის ერთ-ერთი ფეერაის ან „ფაუსტის“ მეორე ნაწილის რომელიმე მოქმედების მუსიკაზე გაწყობა. მაგრამ თეატრებს ნაკლებ იზიდავდა ასეთი ცდა; იგი ძვირი ჩანდა და უაზრობად ეჩვენებოდათ. კრისტოფის კომპეტენტურობა მუსიკაში დასაშვებად მიაჩნდათ, მაგრამ თეატრის თაობაზე მისი შეხედულებები ღიმილსა ჰკვირიდა მათ, სერიოზულად ამას არავინ ეკიდებოდა. მუსიკალური სამყარო და პოეზიის სამყარო ჰგავდა ორი სხვადასხვა, ფარულად ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოს. პოეზიის სამყაროში ფეხის შესადგმელად საჭირო იყო პოეტთან თანამშრომლობაზე დათანხმება. ამ პოეტის არჩევანის უფლება კი მას არ მისცეს. ამის უფლებას თვითონაც არ მისცემდა თავის თავს. თავის ლიტერატურულ გემოვნებას არ ენდობოდა. მას შთააგონეს, რომ პოეზიაში არაფერი გაეგებოდა; და, მართლაც, არაფერი ესმოდა იმ პოეზიისა, რომლითაც მის ირგვლივ ასე აღფრთოვანებულნი იყვნენ. მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებით და დაყინებით იგი ბევრს ცდილობდა, გაეგო ამა თუ იმ ლექსის სილამაზე, მაგრამ მუდამ დამარცხებულნი და დარცხვენილი გამოდიოდა. არა, ის ნამდვილად არ იყო პოეტი. სიმართლე ითქვას, გატაცებით უყვარდა წარსულის ზოგიერთი პოეტიოა, ეს ცოტა არ იყოს, ამშვიდებდა კიდევ. მაგრამ, ცხადია, ისე არ უყვარდა, როგორც უნდა ჰყვარებოდა. განა მან არ გამოთქვა ერთხელ ყოველად მიუღებელი აზრი, რომ დიდია მხოლოდ ის პოეტი, რომელიც დიდად რჩება. პროზადაც რომ გადაწერო, თუნდაც სხვა ენაზეც კი პროზად თარგმნო; სიტყვების ფასი არის ის სული, რომელიც მათში პოეტმა ჩადო. მეგობრებმა დაცინვა დაუწყეს. მან-პაიმმა მელექსე უწოდა. კრისტოფს არ უცდია თავის დაცვა. ლიტერატორების

მაგალითზე ის ყოველდღიურად ხედავდა, რა სასაცილო იყო მათი გამონათქვამები ხელოვნების უცნობი დარგის შესახებ. კრისტოფი შეურიგდა აზრს (თუმცა გულის სიღრმეში მთლად დაჯერებული არ იყო), რომ პოეტისა არაფერი გაეგებოდა და თვალდახუჭული უჯერებდა ამ საქმეში უფრო ჩახედულ ადამიანებს. ამიტომ დაჰყვა თავის ქურნალის მეგობრებს. მათ კი თავს მოახვიეს დიდებული დეკადენტი პოეტი შტეფან ფონ ჰელმუტი; ამ პოეტმა თავის ყაიდაზე გადაკეთებული „იფიგენია“ მოუტანა. ეს იყო დრო, როდესაც გერმანელმა პოეტებმა — (ისევე, როგორც მათმა ფრანგმა თანამოქმედებმა) — ხელი მიჰყვეს ზერძნული ტრაგედიების გადაკეთებას. შტეფან ფონ ჰელმუტის თხზულება გახლდათ ერთი იმ საკვირველი ბერძნულ-გერმანულ პიესათაგანი, რომელშიც ერთნაწილად არეული იყო იბსენი, ჰომეროსი და ოსკარ უაილდი და, აუცილებლად, რამდენიმე კარგად ცნობილი არქეოლოგიური სახელმძღვანელო. აგამემნონი ნევრატენით იყო შეპყრობილი, აქილეესი კი — უძლურებით. ისინი დიდ ხნობით წუწუნებდნენ თავიანთ მდგომარეობაზე და, რასაკვირველია, მათი ჩივილი არაფერი ცვლიდა. დრამის მთელი პათოსი იფიგენიას როლში იყო თავმოყრილი. — ნევრატენით და ისტერიით შეპყრობილი პედანტი ჰკუთხას ასწავლიდა გმირებს, გაკვირდა ყურის წამლები ხმით, ხალხს ამცნობდა თავის ნიცშეანურ პესნიჰიმსს და სიკვდილის წყურვილით მთვრალი ხარხარით იჭრიდა ყელს.

კრისტოფის სულისა და გულისათვის არაფერი იყო უფრო მიუღებელი, ვიდრე ბერძნულ კოსტუმებში გადაცმული გადაგვარებული ბარბაროსების პრეტენციოზული ლიტერატურა. მის ირგვლივ ყველა შედევრზე ლაპარაკობდა. ისიც სულმოკლე აღმოჩნდა და დაჰყვა. სიმართლე რომ ითქვას, კრისტოფი მუსიკით იყო საცხე და ტექსტზე მეტად მუსიკაზე ფიქრობდა. ტექსტი მისთვის კალაპოტი იყო, თავისი ვნებათა ღელვით ამოსავსები. კრისტოფი ერთობ შორს იყო თავისი თავისა და საკუთარი შემოქმედებითი სახის უარყოფისაგან. ეს კი აუცილებელი იყო პოეტური ქმნილების მუსიკაზე გასაწყობად. იგი ფიქრობდა ჩხოლოდ საკუთარ თავზე და არა ტექსტზე. ამაში კრისტოფი არ გამოტყდებოდა. უპირველეს ყოვლისა, ის ილუზიას იქმნიდა: პოემაში ხედავდა არა იმას, რაც მასში იყო. როგორც ეს ბავშვობაში მოსვლია, გონებაში შექმნა პიესა, სრულებით განსხვავებული იმისაგან, რაც წინ ედო.

რეპეტიციის დროს მთელი თავისი რეალურობით იხილა პიესა. ერთ-ერთი სცენა მოსმენის დროს სისულელედ მოეჩვენა და მსახიობებს დააბრალა — თქვენ დაამახინჯეთო. მან არა მარტო მსახიობებს დაუწყაო ახსნა-განმარტება პოეტის თანდასწრებით, არამედ თვით პოეტსაც კი. პოეტი მსახიობების მხარეზე იყო. ავტორი ყალბზე დადგა და გაბრაზებულმა შესძახა, კარგად ვიცი, რაცა მაქვს დაწერილიო. კრისტოფი არ ცხრებოდა, ამტკიცებდა, ჰელმუტს არა გაეგება რაო. საერთო ხარხარმა აგრძნობინა, რომ სასაცილო მდგომარეობაში იმყოფებოდა. კრისტოფი გაჩუმდა და დაეთანხმა, ლექსი, მართლაც, მე არ დამიწერიაო. მაშინ კი დაინახა პიესის საშინელი არარაობა და სულთ დაეცა; ესე რო-

გორ შეეცდი? — კითხულობდა იგი, თავის თავს ბრწყინ ეძახდა და თმებს იგლეჯდა. თან ძალიან ცდილობდა, დამშვიდებულიყო და იმეორებდა: „შენ არაფერი გესმის; ეგ შენი საქმე არ არის. დაეტიე შენს მუსიკაშიო!“ — კრისტოფს ისე რცხვენოდა ამ უბადრუკობისა, პრეტენციოზული პათოსისა, თავისმოპყრელი მყვირალა სიტყვებისა, ეესტებისა და მანერებისა, რომ ზოგჯერ, ორკესტრის დირიჟორობის დროს, ჯონის აქნევის თავიც არა ჰქონდა. ლამის გაქცეულიყო და სუფლიორის ნიჟარაში შემძვრალიყო. კრისტოფი ძალიან პირდაპირი კაცი და ცული პოლიტიკოსი იყო, თავის შეხედულებებს ვერ მალავდა. მის აზრებს ყველა კითხულობდა: მისი მეგობრები, მსახიობები, ავტორი. ჰელმუტი ეშმაკური ღიმილით ეუბნებოდა:

— განა არ დაუდგა ჩემს პიესას ბედნიერი ქამი თქვენი მოწონებისა?

კრისტოფი რიხიანად პასუხობდა:

— მართალი გითხრათ, არა. მე ის არ მესმის.

— მაშასადამე, არც წაგიკითხავთ.

— როგორ არა, — გულუბრყვილოდ პასუხობდა კრისტოფი, — მაგრამ ვცდებოდი, სხვანაირად მესმოდა.

— მაშინ სამწუხაროა, რომ თქვენ თვითონ არ დაწერეთ ის, რაც გესმოდათ.

— ეჰ! — ეტყოდა კრისტოფი. — რომ შემძლებოდა!

პოეტი სამაგიეროს უხდიდა და განაწყენებული მუსიკას უკრიტიკებდა. ჩიოდა, ძალიან ხმაურიანი მუსიკაა და ტექსტის მოსმენა ჭირსო.

თუ პოეტს მუსიკა არ ესმოდა, ხოლო მუსიკოსს პოეტისა, მსახიობებს. მიუ უმეტეს, არც ერთისა ესმოდათ და არც მეორისა გაეგებოდათ; ეს მათ სრულიადაც არ აწუხებდათ. თავიანთ როლებში ისინი მხოლოდ ეფექტიან ფრაზებს ეძებდნენ. ტექსტის ტონალობასთან და მუსიკის რიტმთან დეკლამაციის შეთანხმების საკითხი, საერთოდ, არ დასმულა. ისინი სხვა მხარეს მიდიოდნენ, მუსიკა სხვა მხარეს და ვერაფრით ვერა ხვდებოდნენ ერთ ტონში. კრისტოფი კბილებს აკრაქუნებდა, ქანცგამოლეული გაჰყვიროდა სწორ ნოტებს: მსახიობები ხმას არ იღებდნენ, მშვიდად განაგრძობდნენ თავისას და ვერც კი მიმხვდარიყვნენ, რას მოითხოვდნენ მათგან.

კრისტოფი სულ მოეშვებოდა ყველაფერს, მაგრამ რეპეტიციაზე უკვე დიდი შრომა დაიხარჯა და რომ შეეწყვიტა, საქმე შეიძლება სასამართლომდე მისულიყო. ამაზე მანჰაიმი დასცინოდა:

— რა ამბავია, — ამბობდა ის, — ყველაფერი კარგად მიდის. თქვენ არაფერი გესმით ერთმანეთისა, მერე რა მოხდა? სხვაგან, თვით ავტორის გარდა, ახა, ვინ ჩასწვდომია თავის ნაწარმოებს? კიდევ კარგი, თვითონ მაინც თუ ესმის!

კრისტოფს ის აწუხებდა, რომ ეს უბადრუკი პოემა მუსიკასაც ჩაუვდებდა. მანჰაიმისათვის ძნელი არ იყო იმის აღიარება, რომ პოემას არა აქვს მთლიანი

გაზრება და ჰელმუტი კი „კომბლეა“; მაგრამ საეცებით დარწმუნებული იყო მის კეთილგანწყობილებასში. ჰელმუტი კარგ სადილებს მართავდა და ლამაზი ცოლი ჰყავდა. კრიტიკოსებს მეტიც არაფერი უნდოდათ. კრისტოფი მხრებს იჩეხდა და ეუბნებოდა, ამდენი ბოდვის მოსასმენად არა მცალიაო.

— კი მაგრამ, ეს არ არის ბოდვა! — სიცილით პასუხობდა მანჰაიმი. — ერთი ამ ჭკუის კოლოფებს დამიხედეთ! წარმოდგენაც არა აქვთ, რა ფასობს ამ ცხოვრებაში.

იგი კრისტოფს ურჩევდა, მიინცა და მიინც ნუ ნაღვლობ ჰელმუტის საქმიანობას, საკუთარ საქმეებს მიხედო. ცოტა თავის შეწუხება და რეკლამის გაკეთება იყო საქმე. აღშფოთებული კრისტოფი ცივ უარზე იდგა. ერთ რეპორტიორს, რომელსაც მისი ცხოვრების ამბავი აინტერესებდა, მან ბრაზით უპასუხა:

— ეს თქვენი საქმე არ არის!

და როდესაც ფოტოაურათი სთხოვეს ერთი ჟურნალისათვის, შეხტა და იყვირა: — მადლობა ღმერთს, კაიზერი არა ვარ, რომ გამგელ-გამომგელს თავი ვუჩვენო. გავლენიან სალონებში მისი შეყვანა შეუძლებელი იყო. მიწვევაზე ყურსაც არ აპარტყუნებდა. და თუ შემთხვევით მიიღებდა მიწვევას, წასვლა ზვიწყდებოდა, ან ისეთ ცუდ ხასიათზე მივიდოდა, რომ სხვასაც ხასიათს უფუჭებდა.

წარმოდგენამდე ორი დღით ადრე მან თავის ჟურნალთანაც გაწყვიტა კავშირი.

მონდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. მანჰაიმი ისევ განაგრძობდა კრისტოფის წერილების სწორებას. იგი აღარ ერიდებოდა კრიტიკული ფრაზების ამოღებას და მათ ქება-დიდებათ ცვლიდა.

ერთ დღეს, ერთ სალონში კრისტოფი შეხვდა პიანისტს, რომელიც სასტიკად ჰყავდა გაკრიტიკებული. პიანისტი მადლობის სათქმელად მოსულიყო, იღიშებოდა და თეთრ კბილებს აჩენდა. კრისტოფმა უკმეხად უპასუხა — სამადლობელი არაფერი გაქვთო. ის კი თავისას არ იშლიდა და მადლობას აფრქვევდა, მაშინ კრისტოფმა მოკლედ მოუჭრა — თუ რამე გესიამოვნათ, ეს თქვენი საქმეა, ოლონდ სტატია თქვენი გულის მოსაგებად სრულიადაც არ დამიწერიათ და ზურგი შეაქცია. პიანისტმა იგი ბუზღუნა, გულკეთილ კაცად მიიჩნია და სიცილით გაშორდა. მაგრამ კრისტოფს გაახსენდა, რომ ამას წინათ მადლობის ბარათი მიიღო კიდევ ერთი თავისი მსხვერპლისაგან და უცბად დაეჭვდა. გარეთ გავიდა. გაზეთების კიოსკში ჟურნალის უკანასკნელი ნომერი იყიდა, მოძებნა თავისი სტატია და წაიკითხა... ჭერ იყო და კრისტოფი დაეჭვდა, ხომ არ გავგიჟდიო. მერე კი ყველაფერს მიხვდა და გაცოფებული გაიქცა „დიონისის“ რედაქციაში.

ვალდჰაუზი და მანჰაიმი იქ იყვნენ და ერთ თავიანთ მეგობარ მსახიობ ქალს

ეზაასებოდნენ. კრისტოფისათვის მოსვლის მიზეზის კითხვა საკირო არ იყო. მან ურნალი მაგიდას დაანარცხა და სულმოუთქმელად დააცხრა მათ. უყვიროდა, მატყუარებს, ცრუებსა და ფალსიფიკატორებს ეძახდა და სკამს, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, იატაკზე ურტყამდა. მანძაიმი შეეცადა, საქმე ზემოთაში გაეტარებინა. კრისტოფმა ფეხი მოუქნია პანდურის ამოხარტყმელად. მანძაიმი მაგიდას ამოეფარა სიცილ-ხარხარით. ვალდპაუზს სერიოზულად მოუვიდა გუ-ლი. ეს კულაბიკა და გაბლენძილი კაცი აყვირდა — ჩემთან ასეთი ტონით ლაპარაკის უფლებას არავის მოგცემთო; კრისტოფს დამუქრა, ჩემს სათქმელს მაინც ეიტყვიო და თავისი სადარბაზო ბარათიც კი გაუწოდა. კრისტოფმა შიგ-ცხვირში მიახალა ბარათი:

— ტარაკუჭავ!.. თქვენი სადარბაზო ბარათი მე არა მკერდება, ისედაც გოც-ნობთ, ვინცა ბრძანდებით... უსაქმურებო და ფალსიფიკატორებო! თქვენ გგონიათ. დუელში გამოგყვებით? ერთი კარგი მიზეზი გინდათ და მეტი არაფერი! მისი ხმა ქუჩაში ისმოდა. ხალხი ჩერდებოდა და ყურს უგდებდა. მანძაიმმა ფანჯრები ჩაიკეტა. შეშინებული სტუმარი ქალი გასაქცევს ეძებდა, მაგრამ კარ-ში კრისტოფი იდგა. ვალდპაუზს ფერი დაეკარგა, ხეწმოდა. მანძაიმი რალაცან ბურტყუნებდა და ეცინებოდა. ორივე პასუხის გაცემას ცდილობდა, მაგრამ კრისტოფი ლაპარაკს არ აცდიდა. თუკი რაჟე სალანდოვი სიტყვა მოაგონდა, ყველა ერთად დაახალა და მანამ არ წასულა, სანამ ხმა არ წაუვიდა და სალანდ-ოვი სიტყვებიც არ შემოეღია. ვალდპაუზი და მანძაიმი მხოლოდ მაშინ მოვიდ-ნენ გონს, როცა კრისტოფი უკვე წასული იყო. მანძაიმმა მალე დაიბრუნა რი-ხი: ლანძღვა-გინება ისევე არ ეკარებოდა მას, როგორც იხვის ბუმბულს წყალი. მაგრამ ვალდპაუზი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. მისი თავმოყვარეობა შელახული იყო. ეს მით უფრო საპარცხვინოა, რომ მოწმეც ჰყავდა. ამას არა-სოდეს აპატიებდა კრისტოფს. კოლეგები კვერს უკრავდნენ. მთელი ურნალი-დან მხოლოდ მანძაიმი არა ბრაზობდა. მან გული იჭერა სიამოვნებით; რამდენი-მე უხეში სიტყვა ჩრდილს სრულიადაც არ აყენებდა მის მიერ განცდილ ასეთ სიამოვნებას. შესანიშნავი ფარსი გამოვიდა, თვითონაც რომ ყოფილიყო ლანძღვა-გინების ობიექტი, მაინც პირველი გაიცილებდა. ის მზად იყო ხელი ჩამოერთმია კრისტოფისათვის, ვითომც აქ არაფერიაო. კრისტოფი უფრო გულღვარძლიანი იყო; ახლოსაც არ გაიკარა. მანძაიმს ამისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია: კრისტოფი მისთვის სათამაშო იყო და თუ რამ იყო მასში თავშე-საქცევი, ყველაფერი ამოიწურა. ახლა ერთი სული ჰქონდა, სანამ ახალს მიაგნებ-და. ის დღე იყო და ის, მათ შორის ყველაფერი გათავდა, მაგრამ ეს ხელს როღა უშლიდა მანძაიმს, კრისტოფის თანდასწრებით ეთქვა, ზე და კრისტოფი განუ-რელი მეგობრები ვართო. იქნებ სჯეროდა კიდევაც ამისა.

ამ აყალმაყალიდან ორი დღის შემდეგ „ფიგენიას“ პრემიერა შედგა. უფ-რო დიდნი მარცხი შეუძლებელი იყო. ვალდპაუზის ურნალმა პოემა ქებით მოიხსენია, მუსიკაზე არაფერი უთქვამს. სხვებმა კი, იცოცხლეთ, გული იჭერეს.

სიცილიც დააყარეს და სტვენითაც აიკლეს. მესამე წარმოდგენის შემდეგ პიესა როზნეს, მაგრამ დაცნვა არც ისე მალე შეწყდა. თავს ბედნიერად გრძნობდნენ, რომ კრისტოფის გაკიღვის საშუალება მიეცათ; „იფიგენია“ რამდენიმე კვირის განმავლობაში კიდევ იყო გაუთავებელი დაცინვის საგნად. ყველამ იცოდა, კრისტოფის თავის დასაცავი იარაღი აღარ ჰქონდა და სარგებლობდნენ ამით. ერთადერთი, რაც ჯერ კიდევ აკავებდათ ეს იყო კრისტოფის მდგომარეობა სასახლის კარზე. თემცა ჰერცოგთან დამოკიდებულება მას შემდეგ, რაც ყური არ ათხოვა მისი უდიდებულესობის შენიშვნებს, ერთობ ცივი იყო. მაგრამ ის დროდადრო მაინც დადიოდა სასახლეში და ხალხის თვალში მაინც სარგებლობდა ოფიციალური მხარდაჭერით. უფრო მოჩვენებითად, ვიდრე სინამდვილეში.

თემცა ამ უკანასკნელი ბურჯის დანგრევასაც თვითონვე შეეცადა.

კრისტოფი ძალიან განიცდიდა კრიტიკას. მხოლოდ მის მუსიკას როდი შეუტეხს. ხელოვნების ახალი ფორმის იდეაც არ დაინდეს, თუ შტა მის გასაგებად თავიც არ შეუწყუხებიათ (დამახინჯება და მასხარად აგდება უფრო ადვილი იყო). კრისტოფი ჯერ იმდენად ბრძენი არ იყო, ხმა არ გაეცა ავგული კრიტიკოსებისათვის და განუგზავნა შემოქმედება. ეს უკანასკნელი რამდენიმე თვეა, ერთი უხეირო თვისებაც დაჰჩემდა — უპასუხოდ არა ტოვებდა უსამართლო შემოტევებს. ერთი სტატია დაწერა და დაუნდობლად გაანადგურა თავისი მოწინააღმდეგეები. ორმა კეთილგონიერმა გაზეთმა უკან დაუბრუნა ეს სტატია და ირონიულად ბოდიშიც მოუხადა — ვერ გამოვაქვეყნებთო. კრისტოფი გაჯიუტდა. ქალაქის სოციალისტური განეთი გაახსენდა, მას თავისთან რომ იწვევდა. ერთ იქაურ რედაქტორთაგანსაც იცნობდა; ხშირად უსაუბრიათ. კრისტოფი სიამოვნებით ხვდებოდა ხოლმე ხელისუფლებაზე, არმიაზე, მოძველებული ცრურწმენების მძიმე უღელზე თავისუფლად მოლაპარაკე ადამიანს. მაგრამ ეს საუბრები შორს ვერ მიდიოდა. სოციალისტი აუცილებლად მიაღებოდა კარლ მარქსს, რომლის მიმართაც კრისტოფი სრულიად ინდიფერენტული იყო. მერე კიდევ, ამ თავისუფალი კაცის საუბარში. გარდა მატერიალიზმისა, რომელიც დიდად არ სწამდა, კრისტოფი ხედავდა პედანტურ სივიწროვეს და აზროვნების დესპოტიზმს, ძალიან ფარულ კულტს, უკუღმა მილიტარიზმს, ეს კი მაინცდამაინც არ განსხვავდებოდა იმისაგან. რაც ყოველდღიურად ესმოდა გერმანიაში.

და მაინც ეს კაცი და მისი ყურნალი მოაგონდა, რადგან სხვა რედაქციების კარი მისთვის დაშული იყო. ამ ნაბიჯს შეიძლება სკანდალი გამოეწვია: გაზეთი მთავრადგებელი და პირში მთქმელი იყო და საყოველთაო უკმაყოფილებას იწვევდა. კრისტოფი თვითონ არ კითხულობდა, მხოლოდ თავისთვის უშიშარი იდეების გამქლევებაზე ფიქრობდა და სრულიადაც არ დაგიდევდათ იმ მდაბალ ტონს, რომელიც თავდაც ეზიზღებოდა. და ბოლოს, კრისტოფი საქმეში უფრო ჩახედული რომ ყოფილიყო, იქნებ ყურადღებაც არ მიექცია ყოველივე ამისათვის.

უნდოდა ეჩვენებინა, რომ ასე ადვილად ვერ მოიშორებდნენ. ამიტომ სტატია სოციალისტურ გაზეთში მიიტანა. კრისტოფი გაშლილი ხელებით მიიღეს. მეორე დღეს წერილი უკვე გამოქვეყნდა. გაზეთი მაღალფარდოვნად იტყობინებოდა, ახალგაზრდა და ნიჭიერმა მუსიკოსმა, ამხანაგმა კრისტოფმა, რომელიც კარგად არის ცნობილი მუშათა კლასის მოთხოვნებისადმი მსურველ სემპათიებით, გაზეთს თანამშრომლობის პირობა მისცაო.

კრისტოფს არც ეს შენიშვნა წაუკითხავს და არც წერილი. იმ დილას, კვირა დღეს, უთენია ველზე გავიდა სასეირნოდ. შესანიშნავ გუნებაზე იყო. მზის ამოსვლას რომ უყურებდა, ყვიროდა, იცინოდა, ტრიალებდა, ხტუნავდა და ცეკვავდა. არავითარი ყურნალი, არავითარი კრიტიკა! ეს იყო გაზაფხული და ყველაზე შესანიშნავი მუსიკის, ცისა და დედამიწის ჰანგების დაბრუნება. სადღა იყო სულისშემძვლათა და აყროლებული, ჩაბნელებული საკონცერტო დარბაზები, სადღა იყო გულის გამაწყალებელი მეზობლები და ჰქუათბელი ვირტუოზები! ისმოდა აშრიალებული ტყეების ცისკენ ატყორცნილი შესანიშნავი სიმღერა. მინდვრებს მიწის გულიდან ამოხეთქილმა სიცოცხლის გამაბრუებელმა დინებამ გადაუარა.

ის იყო კრისტოფი შინ დაბრუნდა სინათლისაგან გაბრუებული, რომ დედამ მას არყოფნაში სასახლიდან მოსული წერილი გადამცა. ეს ბარათი, დაწერილი ჯიპრო ფორმით, ამცნობდა ბატონ კრისტოფს, რომ დღეს დილით სასახლეში უნდა გამოცხადებულიყო. უკვე შუადღე იდგა: დაახლოებით პირველი საათი იქნებოდა. ამაზე კრისტოფი სრულიადაც არ შეწუხებულა.

„ახლა ძალიან გვიან არის, გაიფიქრა მან. — ხვალ წავალ“.

მაგრამ დედა შეწუხდა:

— არა, არა, მისი უმაღლესობის დანიშნული შეხვედრის გადადება არ შეიძლება: ახალავე უნდა წახვიდე. იქნებ რამე სერიოზული საქმე აქვს.

კრისტოფმა მხრები აიჩეჩა:

— სერიოზული? რა სერიოზული საქმე უნდა ჰქონდეს იმ ვაჟბატონს!.. მუსიკის შესახებ თავისი აზრები არ მომახსენოს. რას ვიცინებ! იქნებ იმდენი გნას, რომ ზიგფრიდ მაიერს! შეეჭიბროს და მიჩვენოს „პიმინი ეგირს!“ არ მოვერიდები. პირდაპირ ვეტყვი: აკეთეთ პოლიტიკა. იქ თქვენ ბატონი ხართ: თქვენ ყოველთვის მართალი იქნებით, მაგრამ ხელოვნებაში ფრთხილად იყავით! ხელოვნებაში თქვენ არ გექნებათ ჩაჩქანი, არ გექნებათ ჭილა, მუნდირი, ფული, ტატულები. არ გეყოლებათ წინაპრები, ჟანდარმები!.. აბა, იფიქრეთ, ერთი, რაღა დარჩება თქვენგან?

გულუბრყვილო ლუიზამ, რომელიც ყველაფერს სერიოზულად იღებდა, ხელები ცისკენ აღაპყრო:

— არა, შენ ამას არ იტყვი!.. ხომ არ გაგიჟდი!

¹ მეტსახელია, რომლის ქვეშაც გერმანელი პამფლეტისტები კაიხერს გულისხმობდნენ (ავტორის შენიშვნა).

კრისტოფმა იცოდა დედის ხასიათი და აწვალებდა ხოლმე. ლუიზა კი მხოლოდ მაშინ მიუხვდებოდა, როცა კრისტოფს მეტისმეტი მოსდიოდა. ლუიზამ ზურგი შეაქცია შვილს:

— ძალიან სულელი ხარ, ჩემო საწყალო შვილო!

კრისტოფი სიცილით გადაეხვია დედას. ხუმრობის ხასიათზე იყო: სეირნობა ღროს ერთ კარგ თემას მიაგნო მუსიკისათვის. გრძნობდა კიდევ, რომ ეს თემა ისე ფართხალბდა მის სულში, როგორც წყალში თევზი. სანამ საკმელს არ ჭამდა, არ უნდოდა სასახლეში წასვლა; მგლის მადანზე იყო. ლუიზამ შვილის გამოწყობას მიჰყო ხელი: კრისტოფი ისევ ცდილობდა დედის გაბრაზებას, ეუბნებოდა, ასედაც კარგი ვარ, ამ ნახმარ ტანსაცმელსა და დამტვერილ ფეხსაცმელზემით. მიუხედავად ამისა, კრისტოფმა მაინც გამოიცვალა ტანსაცმელი, ფეხსაცმელიც გაიწმინდა. თან შაშვივით სტვენდა, ორკესტრის ყველა ინსტრუმენტს ბაძავდა. როცა ყველაფერს მორჩა, დედამ კარგად შეაპოწმა და დიდის ამბით გამოუსკენა ჰალსტუხი. კრისტოფი კმაყოფილი იყო თავისი თავისა და თვინიერად იღვა; ეს კი არაჩვეულებრივი მოვლენა იყო. კრისტოფი იშვიათად თუ იყო ხოლმე თავისი თავისი კმაყოფილი. წასვლისას გამოაცხადა, დიდი ჰერცოგის ქალიშვილი პრინცესა ადელაიდა უნდა მოვიტაცო... ეს ლამაზი ქალი, ერთი გალატაკებული გერმანელი პრინცის ცოლი, რამდენიმე კვირით ჩამოსულიყო თავის მშობლებთან. ბავშვობაში ადელაიდა სიმპათიით ეპყრობოდა კრისტოფს და არც თვითონ იყო მთლად გულგრილი ქალის მიმართ. ლუიზა ირწმუნებოდა, კრისტოფი შეყვარებულია და ისიც გასართობად თავს იკატუნებდა.

სასახლეში მისვლას კრისტოფი არ ჩქარობდა, დუქნების წინ ფეხს ითრევდა, მზეზე განცხრომით წამოწოლილ ძაღლებს ხელს უსვამდა და თვითონაც სიამოვნებით ამთქნარებდა. ბოლოს დაბალ ლობეს გადაახტა და სასახლის წინ გაშლილ მოედანზე ამოყო თავი: ეს იყო სახლებით გარშემორტყმული ვრცელი და უკაცრიელი ოთხკუთხედი, ორი უმოქმედო შადრევნითა და სიმეტრიულად განლაგებული უჩრდილო პარტერიით, რომელსაც შუაზე გაყოფილ თმასავით ჩაუდიოდა კონტად მოვლილი, ქვიშამოყრილი და კასრებში ჩარგული ფორთოხლებით ჩარჩვებულა ხეივანი; შუაში ოთხკუთხედი სათნოების აღუგორიებით შემკულ კვარცხლბეკზე ლუი-ფილიპესღრთინდელ ტანსაცმელში გამოწყობილი უცნობა ჰერცოგის ბრინჯაოს ქანდაკება იდგა. სკამზე მჯდარ მარტოხელა კაცს გაზეთზე ჩაძინებოდა. სასახლის ლობესთან უსაქმოდ მყოფი ჯარისკაცი თვლემდა. თხრილების იქით, მიწყარულზე, ორი ხმაჩავარდნილი ზარბაზანი მძინარე ქალაქს გადაჰყურებდა. ამ სურათის შემყურე კრისტოფმა სიცილით იჯერა გული.

იგი სასახლეში შევიდა. ოფიციალური იერი არ მიუღია. ერთი ის იყო, რომ სიმღერა შეწყვიტა. ფიქრები ჯერ კიდევ ირეოდნენ მის თავში. ქუდი ვესტიბიულში მდგარ მაგიდაზე დააგდო და შინაურულად გაეხმინა ძველ მსახურს, რომელსაც ბავშვობიდანვე იცნობდა (ჰამამ კრისტოფი პირველად რომ მიიყვანა სასახლეში ჰასლერთან შეხვედრის საღამოს, ეს მოხუცი უკვე აქ მსახურობდა).

მაგრამ მოხუცმა, კრისტოფის მოუხრდებელ ხუმრობას ყოველთვის თბილად რომ ხედებოდა ხოლმე, ამჯერად ამაყი გამომეტყველება მიიღო. კრისტოფს ყურადღება არ მიუქცევია, დერეფანში კანცელარიის ჩინოფიკს შეხვდა. ამ კაცს ძალიან უყვარდა ლაპარაკი. კრისტოფთან მეგობრულად იყო. მაგრამ აჩქარებული ნაბიჯით რომ ჩაუარა და გამოლაპარაკებას თავი აარიდა, კრისტოფს, ცოტა არ იყოს, ეუცხოვა. ყოველივე ეს მანაც არაფრად მიიჩნია, გზა განაგრძო და ჰერცოგთან მიღება ითხოვა.

შევიდა. ის იყო, სადილობა დაემთავრებინათ. მისი უმაღლესობა ერთ-ერთ დარბაზში იმყოფებოდა. ბუხარზე მიყრდნობილი აბოლებდა და სტუმრებს ესაუბრებოდა. მათ შორის კრისტოფმა თვალი მოჰკრა თავის პრინცესას; ისიც ეწეოდა, სავარძელში დაუდევრად ჩამჯდარი ხმამალა ელაპარაკებოდა მის გარშემო მოფუსფუსე ოფიცრებს. იქაურობა გამოცოცხლებული იყო. ყველა მხიარულობდა; შესვლისას კრისტოფს ჰერცოგის როხროხი მოესმა. კრისტოფის დანახვისთანავე სიცილი შეწედა. მისმა უმაღლესობამ რაღაც წაიბურტყუნა და პირდაპირ კრისტოფისაკენ გაემართა:

— ა! თქვენა ხართ! — შესძახა მან. — იკადრეთ, ბოლოს და ბოლოს, მობრძანება? ხომ არ გგონიათ, რომ კიდევ დიდხანს უნდა ვიყო თქვენი დასაცინი? თქვენ თავხედი ხართ!

კრისტოფი ისე გაქვავდა, თითქოს გულში სცეს რამეო. ერთხანს ხმა ვერ ამოიღო. მან მხოლოდ დააგვიანა და მეტი არაფერი, მაგრამ ეს ხომ არ გააშმაგებდა ჰერცოგს ასე ძალიან?

— თქვენო უმაღლესობავ, — წაიბურტყუნა მან, — რა დავაშავე?

მისი უმაღლესობა ყურს არ უგდებდა:

— გაჩუმდით! მე უფლებას არ მივცემ თავხედს შეურაცხყოფა მომაყენოს. გაფითრებული კრისტოფი თავს ძალას ატანდა, მაგრამ ყელში ხმა არ ამოსდიოდა. ბოლოს იძალა და შეჰყვირა:

— თქვენო უმაღლესობავ, უფლება არა გაქვთ... თქვენ თვითონ არა გაქვთ უფლება შეურაცხყოფა მომაყენოთ და არ მითხრათ რა დავაშავე.

ჰერცოგი თავისი მდივნისაკენ მიბრუნდა. ამ უკანასკნელმა ჩიბიდან გაზეით ამოიღო და გამოუწოდა. მისი უმაღლესობა ისე იყო გაბრაზებული, რომ ამის ახსნა მარტო უქმური ხასიათით არ შეიძლებოდა: ღვინომაც, როგორცა ჩანს, თავისი საქმე გააკეთა. იგი კრისტოფის წინ დადგა — ტორეადორის მოსასხამივით ცხვირწინ უფრიალებდა გამლილ გაზეთს და გაცოფებული უყვიროდა:

— აი, თქვენი ნაქლბანი, ბატონო!.. თქვენ იმის ღირსი ხართ, რომ ცხვირი გაკერვეინოთ შიგ!

კრისტოფმა იცნო სოციალისტური გაზეითი:

— მე ცუდს ვერაფერს ვხედავ მაგაში, — წარმოთქვა კრისტოფმა.

— რაო! რაო! — იბღავლა ჰერცოგმა. — თქვენ უსირცხვილო ხართ!.. ეს ვიღაც ოხრების გაზეითი ყოველდღე მლანძღავს და უშვერი სიტყვებით მაგინებს!..

— ბატონო ჩემო, — უთხრა კრისტოფმა. — მე ეგ გაზეთი არ წამიკითხავს.

— თქვენ ცრუობთ! — იყვირა ჰერცოგმა.

— მე არ მსურს მოვისმინო, რომ ვცრუობ, — უპასუხა კრისტოფმა. — შენ არ წამიკითხავს, მე მხოლოდ მუსიკა მაინტერესებს და, გარდა ამისა, უფლებად მაქვს, სადაც მინდა, იქ ვწერო.

— თქვენ არა გაქვთ არავითარი უფლება, გარდა იმისა, რომ ჩუმაღ იყოთ. მე თქვენ მიმართ ძალიან კეთილი ვიყავი. ბევრი სიყვითე მიმიძღვის თქვენს წინაშე, თქვენსა და თქვენიანების მიმართ, თუმცა თქვენი და მამათქვენის საქციელი მაძლევდა საბაბს თავიდან მომეშორებინეთ... გიკრძალავთ წეროთ ისეთ გაზეთში, რომელიც ჩემი მტერია. და ამის შემდეგ, საერთოდაც, გიკრძალავთ რაიმეს წერას ჩემი ნებართვის გარეშე. მეყო თქვენი მუსიკალური პოლემიკა. ნენა არ მივცემ ჩემი მფარველობის ქვეშ მყოფ კაცს, დრო ხარჯოს და თავს დაესხას ყველაფერს, რაც ძვირფასია გემოვნებიანი და კეთილი ნების ადამიანებისათვის, კემპარტი გერმანელებისათვის. უმჯობესია, წეროთ კარგი მუსიკა, ხოლო თუ ამის უნარი არ შეგწევთ, დაუკრათ თქვენი გამები და სავარჯიშოები. მე არა მჭირდება მუსიკალური ბებელი, რომელიც ბილწავს ყველაფერს, რაც ერის სიამაყეს წარმოადგენს, და ადამიანს გონებას ურევს. მულობა ღმერთს, ჩვენც ვცეთ რა არის კარგი! არა მგონია, ეს თქვენგან შეგვეტყოს. მაშ, მიაშურეთ აქვენს როიალს, ბატონო, და მოგვასვენეთ!

ეს ვეება კაცი პირისპირ ედგა კრისტოფს და ზიზღით შესცქეროდა. გაფითრებული კრისტოფი რაღაცის თქმას აპირებდა; ბაგეები უთრთოდა. მან წაიბუტბუტა:

— მე თქვენი მონა არა ვარ, რასაც მინდა, იმას ვიტყვი, რასაც მინდა, იმას დავწერ...

მან სული ეხუთებოდა, ეტირებოდა სირცხვილისა და ბრაზისაგან. მულები უქანკალუბდა. ხელის მკვეთრი მოძრაობით რაღაც გადმოაგდო იქვე მდგარი მაგიდიდან. კრისტოფი ხედავდა, რომ სასაცილო მდგომარეობაში იყო. და, თართლაც, გაისმა სიცილი: დარბაზის სიღრმეში ბურანში მყოფმა კრისტოფმა თვალი მოჰკრა ჰანცესას, რომელმაც, როგორც ჩანს, დაინახა ყოველივე ეს და ახლა თავის მეზობლებს უზიარებდა ირონიული თანაგრძნობის იერით. რა მოხდა ამის შემდეგ, აღარც ახსოვდა. ჰერცოგი ყვიროდა. კრისტოფი კიდევ უფრო ხმამაღლა გაჰყვიროდა, ოღონდ არ იცოდა, რას. ჰერცოგის მდივანი და კიდევ ერთი ჩინოვნიკი მისცვივდნენ და მის გაჩუმებას ლამობდნენ. მან ხელი ჰკრა. ლაპარაკის დროს კრისტოფი საფერფლეს იქნევდა, რომლისთვისაც უნებლიეთ წაეტანებინა ხელი. მან მდივნის სიტყვები ესმოდა:

— ხელი გაუშვით, ხელი გაუშვით!..

მის ყურს სწვდებოდა ყვირილით წარმოთქმული საკუთარი უაზრო სიტყვები და მაგიდაზე დარტყმული საფერფლის ხმა.

— გაბრძანდით აქედან! — შეპყვირა განრისხებულმა პერცოგმა. — გაბრძანდით! მე თქვენ გაგდებთ!

ოფიცრები პერცოგს მიუახლოვდნენ და დამშვიდებას შეეცადნენ. აღმურმოდებულ პერცოგს თვალები გადმოეკარკლა და ყვიროდა — გარეთ გაავლეთ ეგ უქნარაო. კრისტოფს თავში სისხლი მოაწვა. ცოტაც და, ერთს უთავაზებდა პერცოგს ცხვირ-პირში. მაგრამ წინააღმდეგობრივი გრძნობების ქაოსმა — სირცხვილმა, ბრაზმა, შემორჩენილმა რიღმა და გერმანულმა კანონმორჩილებამ, ტრადიციულმა პატივისცემამ და პერცოგის მიმართ მამებლობის ჩვევამ — შეაჩერა იგი. ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ ვერ ლაპარაკობდა; უნდოდა რამე გაეკეთებინა, მაგრამ ვერ აკეთებდა; ველარაფერს ხედავდა, აღარაფერი ესმოდა: ხელი ჰკრეს. ისიც წავიდა.

კრისტოფს გულცივ მსახურთა შორის მოუხდა გავლა. ისინი კარებთან შეგროვილიყვნენ და ყველაფერი ესმოდათ. ოცდაათი ნაბიჯი მთელ სიცოცხლედ მღეჩვენა. დერეფანს ბოლო აღარ უჩანდა. თითქოს ვერასოდეს ვალევედა!.. შორს, გარედან, კარების მინაში მას სინათლე ესალმებოდა... კრისტოფმა ბოძიკით ჩაიბარა კიბე; ქუდი აღარ გახსენებია: მოხუცმა მსახურმა შეახსენა. მთელი ძალღონის მოკრეფა იყო საჭირო, რომ სასახლიდან გასულიყო, ეზო გადაეჭრა და სახლამდე მიეღწია. კბილებს აჯაყაწებდა. სახლის კარები რომ შეაღო, ლუიზა შეკრთა ათრთოლებული შეილის დანახვაზე. კრისტოფმა დედა მოიშორა და შეკითხვებზე პასუხი არ გაუცია. თავის ოთახში ავიდა, ჩაიკეტა და დაწვა. ისე კანკალებდა, ტანსაცმლის გახდის თავიც აღარ ჰქონდა. სუნთქვა ეკვროდა; გალახული იყო... ოჰ! არც არაფრის დანახვა უნდოდა, არც არაფრის შეგრძნება. არც ამ უბადრუკი სხეულის არსებობა, არც ბრძოლა ამ საზიზღარი ცხოვრების წინააღმდეგ, ოღონდ თავქვე დამხობილიყო, დამხობილიყო უსუნთქველად, უგონოდ; არ არსებულებოდა, სრულებით არა!.. — მან დიდი გაკვირვებით გაიძრო ტანსაცმელი, იატაკზე მიფანტ-მოფანტა, ლოჯინში ჩაწვა და საბანი თავზე წაიხურა. ოთახში ყველაფერი მიყუჩდა. ქვის ფილებზე მხოლოდ რკინის საწოლის ზანზარი ისმოდა.

სმენადქცეული ლუიზა კარებთან იდგა. ტყუილად უკაკუნა, დაუძახა კიდევ ზნადაბლა. არაფერი უპასუხეს. მოიცადა, აღელვებულმა მიაყურა სიჩუმეს და წავიდა. იმ დღეს ერთი-ორჯერ კიდევ მოვიდა და ყური მიუგდო. საღამოს დაწოლის წინაც მიაკითხა. გავიდა ის დღე, გავიდა ღამეც: სახლი დუმდა. კრისტოფი სიბრაზისაგან ცახცახს აეტანა; დროდადრო ტიროდა, ღამით მუშტის ქნევით ემუქრებოდა კედლებს. ღამის ორი საათი იქნებოდა, რომ გაცოფებული წამოდგა ლოჯინიდან, ოფლიანი და ნახევრად შიშველი: იგი პერცოგის მოსაკლავად აპირებდა წასვლას. სირცხვილი და ზიზღი ცეცხლად ედებოდა. მინი სული და ხორცი ამ ცეცხლის ალზე იკლავებოდა. მაგრამ განცდები გარეგნულად სრულებით არ ეტყობოდა. სიტყვა არ უთქვამს, კრინტი არ დაუძრავს. პირი მოკუშმა და ყველაფერი თავის თავში ჩაახშო.

მეორე დილას კრისტოფი ჩვეულებისამებრ ჩამოვიდა დაბლა. ქანცი გამო-
ლული ჰქონდა. თვითონ არაფერი უთქვამს. დედამაც ვერაფრის კითხვა გაუბე-
და. მეზობლებისაგან უკვე ყველაფერი შეეტყო. კრისტოფი მთელი დღე სკამზე
იჯდა, ცეცხლის პირას, მდუმარე, თრთოლვით შეპყრობილი, ბებერივით წელში
ნოხრილი და თუ მარტო იყო, ჩუმად ტიროდა.

სალამოს მის სანახავად სოციალისტური გაზეთის რედაქტორი მოვიდა. მან,
რასაკვირველაა, ყველაფერი იცოდა და დეტალები აინტერესებდა. ვიზიტით
გულაჩუყებულმა კრისტოფმა გულუბრყვილობისაგან ეს ფაქტი სიმპათიის გა-
მოხატულებად და ბოდვის მოხდად შეაფასა იმათი მხრით, ვინც ასეთ მდგომა-
რეობაში ჩაადგო. თავმოყვარეობის გულისათვის სინანული არ გამოუთქვამს;
მაგრამ, რაც გულში ჰქონდა, ყველაფერი თქვა. ცოტა არ იყოს, სულზე მოეფო-
ნა, რადგან თავს უფლად ელაპარაკებოდა მასავით ძალადობის მოქულე კაცს.
სტენარი სალაპარაკოდ აქეზებდა, კარგი მასალა იშოვა თავისი გაზეთისათვის.
კარგი სასკანდალო წერილი განოვიდოდა. კრისტოფი წერილს თუ არ დაწერდა,
მასალას მაინც მიაწვდიდა; ეს კაცი ფიქრობდა, ასეთი აფეთქების შემდეგ კარის
მუსიკოსი „საქმის“ სამსახურში ჩააყენებდა თავის ერთობ ფასიულ პოლემის-
ტურ ტალანტს და პატარა-პატარა საიდუმლო დოკუმენტებს მიაწვდიდა კარის
შესახებ, რაც კიდევ უფრო ძვირფასი იყო. რედაქტორი მორიდებული კაცი არა
ჩანდა და ამიტომ ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბულობის გარეშე გააცნო თავისი
გეგმები. კრისტოფი წამოხტა: მან განაცხადა, არაფერს არ დაეწერ, რადგან ყო-
ველ გამოსვლას პერცოვის წინააღმდეგ შურისძიებად ჩამითვლიანო. ის კი ახლა
უფრო თავშეკავებული უნდა ყოფილიყო, ვიდრე მაშინ, როცა მოკლებული იყო
თავისუფლებას. საკუთარი აზრის გამოთქმა ახლა სარისკო საქმე იყო. ჟურნა-
ლისტმა ამ ღრმა აზრისა ვერაფერი გაიგო: მან იფიქრა, კრისტოფი ცოტა გო-
ნებაშეზღუდული კაცია, სულის სიღრმეში, ალბათ, კლერიკალიც არის, უფრო
კი ეშინიაო.

— კეთილი, — უთხრა ჟურნალისტმა, — მაშინ ჩვენ დაგვითმეთ. მე დაე-
წერ. თქვენ არაფერზე შეგაწუხებთ.

კრისტოფმა სთხოვა ხმა არაფერზე ამოეღოთ, მაგრამ ვერაფერს გახდა.
ჟურნალისტი ეუბნებოდა, საქმე მხოლოდ თქვენ როდი გეხებათ, ეს გაზეთის
შეურაცხყოფაც არის და მას პასუხის გაცემის უფლება აქვსო. ამაზე რაღა უნდა
ეთქვა კრისტოფს. ერთადერთი, რასაც ჟურნალისტი დაჰპირდა, ის იყო, რომ პი-
რობა მისცა, ბოროტად არ გამოვიყენებთ იმ ამბებს, რაც თქვენ მიაშვეთ რო-
გორც მეგობარს და არა როგორც ჟურნალისტსო. კრისტოფი მაინც არ იყო კმა-
ყოფილი. ძალიან გვიან მიხვდა, რა სისულელეც ჩაიდინა. მარტო რომ დარჩა,
კიდევ ერთხელ გაიხსენა თავისი ნათქვამი და შეკრთა. აღარ დაფიქრებულა, აღ-
გა, წერილი მისწერა ჟურნალისტს და სთხოვა, არსად გაემხილა მისი ნათქვამი
(საწყალმა ზოგიერთი ფაქტი წერილშიც გაიმეორა).

მეორე დილით, მოუთმენლად გაშალა გაზეთი. პირველი, რაც ამოიკითხა,

იყო მთელი მისი ამბავი, დაბეჭდილი პირველ გვერდზე. ყველაფერი არაჩვეულებრივად იყო გაბუქული. ნაწერს პროფესიონალის ხელი ეტყობოდა. ისე იყო დამახინჯებული, ეურნალისტის ტენიში გამოვლილ ამბავს რომ შეეფერება. სტატია ლანძღვა-გინებით იკლებდა ჰერცოგსა და მის კარს. ზოგიერთი დეტალი პირადად კრისტოფს ეხებოდა, ეს მხოლოდ მან იცოდა და წერილის ავტორადაც სხვას ვერავის ჩათვლიდნენ.

ამ ახალმა დარტყმამ მოსპო კრისტოფი. კითხულობდა და სახეზე ცივი ოფლი ასხამდა. კითხვას რომ მორჩა, გაოგნებული ერთხანს ადგილიდან ვერ დაიძრა. მერე რედაქციაში გაქცევა მოინდომა; მაგრამ დედამ არ დაანება, იცოდა მისი თავშეუკავებელი ხასიათის ამბავი. თვითონაც ესმოდა ესა; გრძნობდა, რომ თუ წავიღოდა, რამე სისულელეს ჩაიდენდა: აღარც წასულა, ადგა და ჟურნალისტს აღშფოთებული წერილი მისწერა, მის საქციელს ერთობ მწარე სიტყვებით ამკობდა, უარს ამბობდა სტატიასზე და ურთიერთობას წყვეტდა პარტიასთან. ეს პროტესტი არ გამოქვეყნდა. კრისტოფმა ერთხელ კიდევ მისწერა და მოითხოვა წერილის გამოქვეყნება. რედაქციიდან პირველი წერილის ასლი გამოუგზავნეს ეურნალისტთან საუბრის დროს დაწერილი და ამ საუბრის დამადასტურებელი; თან ეკითხებოდნენ, პროტესტთან ერთად ეს წერილიც ხომ არ გამოეაქვეყნათო. კრისტოფი მიხვდა, რომ მათ ხელთ იყო. ამას ისიც დაერთო, რომ, საუბედუროდ, ქუჩაში შეხვდა იმ თავხედ ჟურნალისტს. თავი ვეღარ შეიკავა და რაც გულში ჰქონდა, ყველაფერი მოახსენა. მეორე დღეს გაზეთში გამოქვეყნდა გესლოანი შენიშვნა, სადაც ლაპარაკი იყო სასახლის იმ ლაქიებზე, რომლებიც ლაქიებად რჩებიან მაშინაც კი, როცა პანდურის კვრით გარეთ ავლებენ. რამდენიმე გადაკრული სიტყვა ამასწინანდელი ამბების შესახებ სრულებით არ იწვევდა ექვს იმაში, რომ ეს კრისტოფს ეხებოდა.

ახლა ყველასათვის ნათელი გახდა, რომ კრისტოფს ყოველგვარი საყრდენი გამოეცალა. უამრავმა მტერმა წამოყო თავი. ვერც კი წარმოიდგენდით, რამდენი მტერი ჰყოლია. ვისაც კი ის პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეხებია პირადი კრიტიკის თუ მათი აზრების და გემოვნების შეფასებისას, აღდგა და ორმაგად უზლო სამაგიერო. ხალხი, რომლის გამოფხიზლებასაც კრისტოფი ცდილობდა, კმაყოფილებით შესცქეროდა, როგორ უსწორდებოდნენ ახალგაზრდა კაცს, რომელმაც საზოგადოებრივ აზრს გარდაქმნა მოუნდომა და ძილი დაუფრთხო პატიოსან ადამიანებს. კრისტოფი იხრჩობოდა, თავის ამოყოფის საშუალებას კი არავინ აძლევდა.

ყველა ერთად როდი დაესხა თავს. ჯერ ერთმა მოსინჯა ნიადაგი. კრისტოფმა რომ არაფერი უპასუხა, ისევ გამეორდა შემოტევა. მაშინ სხვებიც მიჰყვნენ; შემდეგ კი მთელი ხროვა დააცხრა თავს. ზოგიერთი უბრალოდ გასართობად ჩაება ამ ფერხულში, ლეკვების არ იყოს, უადვილო ადგილას ფეხს რომ აიშვებენ

თამაშით გართულნი: ეს იყო ბრიყვი ჟურნალისტების მფრინავი გუნდი, რომელიც თავის უფიცობას გამარჯვებულის ქება-დიდებათ და დამარცხებულის ლანძღვით ფარავდა. სწევს თავიანთი პრინციპების ტყვია-წაშალი გამოჰქონდათ, თავგამოდებით უშენდნენ და ქვას ქვაზე აღარ სტოვებდნენ, ეს დიდი, და მომაკვდინებელი კრიტიკა იყო.

კრისტოფი, თავისდა საბედნიეროდ, გაზეთებს არ კითხულობდა. მაგრამ ზოგმა ერთგულმა მეგობარმა ყურადღება გამოიჩინა და მინც გამოუგზავნა. გაზეთები მაგიდაზე გროვად ეწყო. კრისტოფს აზრადაც არ მოსვლია შიგ ჩახედვა. ბოლოს და ბოლოს მისი მზერა წითელმა ხაზებმა მიიბყრო, რომლითაც სტატია იყო შემოვლებული. აქ ეწერა, რომ კრისტოფის Lieder-ები ნადირის ბლავილსა ჰგავს, სიმფონიები — საეიეთის მუსიკას: რომ მისი ხელოვნება ისტერიულია, ხოლო ჰარმონიისათვის დამახასიათებელი კრუნჩხვები უგულობის და აზრის უქონლობის მაგვირობას უწევენო. ერთი ცნობილი კრიტიკოსი ასე ამთავრებდა:

„ბატონმა კრაფტმა, როგორც ჟურნალისტმა, გვიჩვენა თავისი სტილისა და გემოვნების რაჟდენიშე უცნაური მაგალითი. მათ დიდად გაამხიარულეს მუსიკოსთა წრე. ამის შემდეგ მას მეგობრულად ურჩიეს კომპოზიციისათვის მოეციდებინა ხელი. მისი მუზის უკანასკნელმა ქმნილებებმა დაგვანახეს, რომ ეს ერთობ გულითადი რჩევა ცუდი გამოდგა. ბატონი კრაფტი უქველად ჟურნალისტი უნდა ყოფილიყო.“

ამ სტატიის შემდეგ კრისტოფმა მთელი დილა ვეღარ მოჰკიდა საქმეს ხელი და სხვა, მტრულად განწყობილ გაზეთებსაც დაუპირა გადაკითხვა, რომ მთლიანად გამოსულიყო წონასწორობიდან. მაგრამ ლუიზა მაშინვე გააქრობდა, თუკი რამეს „ცუდად“ დაგდებულს ნახავდა. ამ საბაბით მას უკვე მოესწრო გაზეთების დაწვა. თავდაპირველად ძალიან გული დასწყდა კრისტოფს, მაგრამ შემდეგ დამშვიდდა; დარჩენილი გაზეთებიც დედას გაუწოდა და უთხრა, კარგი იქნებოდა დროზე ესეც დაგვევაო.

სხვა შეურაცხყოფა კიდევ უფრო მტკივნეული აღმოჩნდა. კვარტეტი, რომლის ხელნაწერიც მან ცნობილ მუსიკალურ საზოგადოებას გაუგზავნა ფრანკ-ფურტში, ერთმანდ და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უარყვეს. რამდენიმე თვის შემდეგ უკან დაუბრუნეს დაწუნებული უვერტოურა, რომლის შესრულებასაც კიოლნის ერთი ორკესტრი აპირებდა. კიდევ უარეს განსაცდელში ჩააგდო იგი ქალაქის საორკესტრო საზოგადოებამ. მისი ხელმძღვანელი კაპელმასტერი ჰ. ოთერატი საკმაოდ კარგი მუსიკოსი იყო, მაგრამ როგორც ორკესტრის მრავალ დირიჟორს, მასაც არ ჰქონდა აზროვნების თავი; იგი განიცდიდა (უფრო კი ტყებოდა) მისი პროფესიისათვის დამახასიათებელი სიზარმაცით, რომლის გამოც მუსიკოსი გაუთავებლად ღეჰავს უკვე ცნობილ ნაწარმოებებს, ხოლო ჰეშმარტად ახალ ქმნილებას ცეცხლივით გაუბრბის. ეს კაცა ბეთჰოვენის, მოცარტისა და შუმანის კონცერტების დაუღალავი ორგანიზატორი იყო; ისღა რჩებოდა, ნაცნობი რიტმების ფეთქვას აჰყოლოდა, სამაგიეროდ, თანა-

დროულ მუსიკას ვერ იტანდა, თუმცა ამის თქმას ვერ ბედავდა და ახალგაზრდა ტალანტებს არაფერს ერჩოდა. და მართლაც, როცა ძველი ყაიდის ნაწარმოებებს მიუტანდნენ, რომლის ავტორიც ნახევარი საუკუნის წინ იყო ახალი, გულთბილად მიიღებდა და დაჟინებით ითხოვდა, ხალხს წარუვლდინოთო. ასეთი ნაწარმოებები არ არღვევდნენ არც მის შემუშავებულ ეფექტებს და არც იმ წესს, რომლის მიხედვითაც ხალხი აღფრთოვანებული იყო ხოლმე. სამაგიეროდ, ეზიზღებოდა და სძულდა ყოველივე, რაც ამ წესსა და რიგს ემუქრებოდა და ახალი საზრუნავი მოჰქონდა. თუ ნოვატორს წინ წასვლის არავითარი შანსი არ ჰქონდა, მაშინ სიძულვილი იმარჯვებდა, ხოლო, თუ წარმატების პირობა არსებობდა, მაშინ თავს იჩენდა ზიზღი, — რასაკვირველია, მანამ, სანამ საბოლოოდ არ გაიმარჯვებდა წარმატება.

კრისტოფს ჯერ არ მიუღწევია აქამდე და მით უმეტეს განცვიფრებულ იყო, როცა აგრძნობინეს, ჰერ პ. ოიფრატი თანახმაა დაუკრას შენი რომელიმე ნაწარმოებითო. ეს მით უფრო ნაკლებ მოსალოდნელი ჩანდა, რომ კაპელმაისტერი კრისტოფის მიერ ქრონიკებში აუგად ნახსენები ბრამსისა და ზოგი სხვა კომპოზიტორის მეგობარი იყო. მაგრამ გულკეთილობის გამო მტრებსაც ასეთსავე დიდბუნებოვან თვისებებს მიაწერდა. ახლა, როცა მჩაგრავენ, წარმოიდგინა კრისტოფმა, უნდათ აჩვენონ, თითქოს წვრილმან შურიანობაზე მაღლა დგანან. ამან გული აუჩუყა. მან პ. ოიფრატს გულთბილი სიტყვები მისწერა და სიმფონიური პოემა გაუგზავნა. მდივანმა საკმაოდ ცივი, მაგრამ მორიდებით დაწერილი ბარათი მიუტანა. შიგ ეწერა, რომ მისი სიმფონია საზოგადოების წესისამებრ ორკესტრს დაურიგდება და ხალხის სამსჯავროზე გატანამდე მოსმენილი იქნება რეპეტიციაზეო. წესი წესია: კრისტოფიც უნდა დაჰყოლოდა. ამასთან ეს იყო წმინდა ფორმალობა შემოღებული ჩიუტი მოყვარულების თავიდან მოსაშორებლად.

ორი-სამი კვირის შემდეგ კრისტოფმა უწყება მიიღო. იწყებოდა მისი ნაწარმოებების რეპეტიცია. წესით ყველაფერი ხდებოდა ცხრაკლბულში. რეპეტიციას ავტორიც კი ვერ დაესწრებოდა. მაგრამ, საერთოდ აღიარებული წესის მიუხედავად, ავტორი მუდამ იქ იყო ხოლმე, ოღონდ არ უნდა გამოჩენილიყო. ეს ყველამ იცოდა და ყველა თავს იკატუნებდა, თითქოს არაფერი იცისო. დანიშნულ დღეს კრისტოფს ერთმა მეგობარმა გამოუბრა; შევიდნენ დარბაზში. კრისტოფი ლოყის სიღრმეში მოკალათდა. იგი ძალიან გაკვირვებული დარჩა, რადგან ამ დახურულ რეპეტიციაზე დარბაზი, ყოველ შემთხვევაში პარტერი, თითქმის სავსე იყო: ისმოდა მოსაუბრე დილეტანტების, უსაქმურებისა და კრიტიკოსების ხმაური. ორკესტრი მათ ყურადღებას არ აქცევდა.

დაიწყეს გაეთეს Harzreise im Winter-ის ნაწყვეტზე დაწერილი ბრამსისეული რაფსოდითი ალტის, მამაკაცთა გუნდისა და ორკესტრისათვის. ან ნაწარმოების სადღესასწაულო სანტიმენტალიზმის მოძულე კრისტოფმა იფიქრა, ბრამსელებმა შურისძიების მორიდებულ წესს მიმართეს და ჩემს მიერ ხელალებით გა-

კრიტიკებულ ნაწარმოებს მასმენინებენო. ამ მხიარულმა იდეამ სიცილი მოჰკვარა. რაფსოდისა მის მიერ გაკრიტიკებული სხვა ცნობილი მუსიკოსების ნაწარმოებებიც მოჰყვა. კრისტოფი კიდევ უფრო გამხიარულდა: კაპელმაისტერის განზრახვა ეჭვს აღარ იწვევდა. კრისტოფი უნებლიეთ დაიმანჯა. ასეთი ომი დასაშვებად მიიჩნია, მუსიკა თუ არა, ხუმრობა მაინც დაფასა. გასართობად თავისი დამცინავი ტაშიც კი გაურია ხალხის აღფრთოვანებულ აპლოდისმენტებს ბრამსისა და მისი მიმდევრების მისამართით.

ბოლოს კრისტოფის სიმფონიის ჯერიც დადგა. ორკესტრიდან და დარბაზიდან ლოჟისაკენ მიმართულმა რამდენიმე მზერამ აგრძნობინა, რომ ავტორის აქ ყოფნა საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. კრისტოფი მიიყუთა. ისიც ყველა მუსიკოსისათვის ნაცნობი მღელვარებით ელოდა ღირსიერის ჯოხის აქნევას. უჩუმრად აზვირთებული მუსიკის მდინარე გააზღვევდა კაშხალის კედლებს, მას რომ იჭერდა. კრისტოფს ჯერ არასოდეს მოუსმენია ორკესტრის შესრულებით თავისი ნაწარმოები. ნეტა ხორკის შეისხამდნენ მისი ოცნებები? როგორი ხმა ექნებოდათ? კრისტოფს, თითქოს, ესმოდა კიდევ მათი ყიყინა და მშფოთვარ უფსკრულთან მდგარი გულის ფანცქალით ელოდა სიღრმიდან მოსასვლელ ხმებს.

და გაისმა ის, რასაც სახელად არა ეთქმოდა რა. რალაც უთავბოლო დომბალი. აკორდები, ნაცვლად იმისა, რომ მძლავრ კოლონებად აღმართულიყვნენ და შენობის ფრონტი თავიანთ მხრებზე აეზიდათ, ერთიმეორის გვერდით ენარცხებოდნენ ჩამოქცეულ შენობასავით; ირგვლივ მხოლოდ ჩამოქცეული კედლების ბული და მტვერი იდგა. თავდაპირველად კრისტოფი ეჭვმა შეიპყრო, მართლა ჩემს ნაწარმოებს უკრავენ, თუ არაო. ეძებდა თავისი აზრების ძაფსა და რიტმს, მაგრამ ველარა გრძნობდა. კედელ-კედელ მიმავალს მთვრალივით ფეხი ერეოდა და ლულლულეზდა; სირცხვილისაგან აღარ იცოდა, სად წასულიყო, რადგან თავისი თავი წარმოიდგინა ამ ყოფნაში. ეს არ ჰგავდა მის დაწერილს. მაგრამ როდესაც ბრიყვი ინტერპრეტატორი ამახინჯებს თქვენს აზრებს, დგება იქვით აღსავსე წამი და შექრწუნებული კითხულობ — თვით ხომ არა ხარ პასუხისმგებელი ამ სიბრყვიანათვას? ხალხი კი თვითონ არასოდეს დაეკვდებოდა: მას სჯერა შემსრულებლისა, მომღერლისა, ორკესტრისა, მიჩვეულია მის მოსმენას. სჯერა თავისი გაზეთისა. არ შეიძლება, რომ ისინი ცდებოდნენ. თუ სისულელეს ამბობენ, ავტორის ბრალია. ამ შემთხვევაში ხალხი არამც თუ დაეკვდა, პირიქით, სიამოვნებით სჯეროდა ყველ-ფერი. კრისტოფი თავს იმშვიდებდა, კაპელმაისტერი მიხელება ამ დომბალს. გაჩერებს ორკესტრს და ყველაფერს ხელახლა დაუკრავსო. ინსტრუმენტები შეწყობილადაც კი აღარ უკრავდნენ. კორნეტმა ჯერი გამოტოვა და დაგვიანებით ჩაერთო. რამდენიმე წუთს უკრავდა, შემდეგ გაჩერდა და მშვიდად შეუდგა ნერწყვისაგან ინსტრუმენტის დაცლას. რამდენიმე ადგილი გობოცნის პარტიიდან მთლად გაჰქრალიყო. ყველაზე უფრო გაწაფულ ყურსაც გაუქირდებოდა არამც თუ მუსიკალური აზრის დაქერა, წარმოდგენაც კი. ინსტრუმენტების თავისებურება და მახვილი იუმორი უხეში შესრულების გამო.

სასაცილოდ ქდერდა. ყველაფერი ისე სულელურად იყო გაკეთებული, რომ უნდა დამჯდარიყავ და გეტყვია; კაცი იფიქრებდა, ამის დამწერი გონებაჩლუნგი და ყოყლოჩინაა და მუსიკისა არაფერი გაეგებაო. კრისტოფი თმას იგლეჯდა. ორკესტრის გაჩერება დააპირა: მეგობარმა დაუშალა — ჰერ კაპელმა ისტერი თვითონ მიხედება შემსრულებლის ნაკლს და ყველაფერს გაასწორებდა — თან კრისტოფის გამოჩენაც არ შეიძლებოდა. მისი ჩარევა ხომ უარეს შედეგს გამოაღებდა. კრისტოფი იძულებული გახდა ლოყის სიღრმეში გადაქდარიყო. მაგრამ თავში მუშტებს იცემდა, ორკესტრის ყოველ ახალ სიყალბეზე გმინავდა აღშფოთებისა და სიბრაზისაგან:

— უნამუსოები! უნამუსოები!.. — ოხრავდა იგი და თითებს იკნეტდა, რომ არ დაეყვირა.

ახლა ყალბ ნოტებთან ერთად ხალხის ხმაურიც ესმოდა. თავდაპირველად ეს მხოლოდ შარიშური იყო; მაგრამ მალე აშკარა გახდა, რომ იცინოდნენ. ნიშანი ორკესტრის მუსიკოსებმა მისცეს: ზოგიერთი მათგანი არც კი ფარავდა თავის მხიარულებას. ხალხმაც სიცილ-ხარხარი ატეხა, როცა დარწმუნდა, რომ სიმფონია სასაცილო იყო. ყველა გამხიარულდა. მხიარულება განსაკუთრებით მაშინ მატულობდა, როცა კონტრაბასების სამასხარო აკომპანიმენტით გამახვილებული ერთი ძალიან რიტმიული ჰანგი გაისმოდა. ამ აურზაურში გულგრილად მხოლოდ კაპელმა ისტერია მიჰყვებოდა ტაქტს.

ბოლოს, როგორც იქნა, დაამთავრეს (ყოველგვარ სიკეთეს აქვს დასასრული). სიტყვა ხალხს ეკუთვნოდა. ხალხმა იფეთქა. მხიარულმა შეძახილებმა რამდენიმე წუთს გასტანა. ზოგი უსტვენდა, ზოგიც დაიცინეთ ტაშს უკრავდა; უფრო გონებამახვილნი bis-ს გაიძახოდნენ. ავანსცენასთან ვილაციის ბანი რიტმულ სამასხარო ჰანგს აგუგუნებდა. მასხარა მიმბაძველები ბანის პატრონსაც გამოუჩნდნენ. ვილაცამ „ავტორიო“ დაიძახა. ამ ჰკუის კოლოფებს დიდი ხანია ასე არ უმხიარულიათ.

აურზაური მიწყნარდა. თითქმის ხალხისკენ მიბრუნებულმა აღელვებულმა კაპელმა ისტერმა (ის ხალხს ვერ ხედავდა. ხალხი, როგორც წესი, არ უნდა ყოფილიყო) ორკესტრს ანიშნა — სიტყვა მაქვს სათქმელი და გაჩუმდითო. ყველა გაჩუმდა. მან ერთ ხანს კიდევ შეიცადა და დაიწყო (იგი ლაპარაკობდა გარკვევით, ცივად და კატეგორიულად):

— ბატონებო, — თქვა მან, — თუ მე ბოლომდე დავუქარი ეს ნაწარმოები, მხოლოდ იმიტომ, რომ გაკვეთილი ყოფილიყო იმისათვის, ვინც გაბედა და ასეთი უხამსობა დაწერა ჩვენ მასწავლებელ ბრამსზე.

ესა თქვა, ესტრადიდან ჩამოხტა და გავიდა ოვაციებით აგუგუნებულ დარბაზიდან. ტაში კიდევ გრძელდებოდა ერთი-ორი წუთი. ხელახლა სურდათ მისი გამოწვევა. მაგრამ ის აღარ გამოვიდა, ორკესტრის წევრები წავილ-წამოვიდნენ. ხალხიც დაიშალა. კონცერტი დამთავრდა.

კარგი დილა კი გაუთენდა კრისტოფს.

კრისტოფი გასული იყო. თვალი მოჰკრა თუ არა — უბადრუკი ღირიყორი ძირს ჩამოსვლას აპირებსო, მაშინვე გაეარდა ლოყიდან. მან ხტუნვით ჩაიარა პირველი სართულის კიბეები, რომ ღირიყორს დასწეოდა და ერთი სილა გაეწუნა. მეგობარი უკან დაედევნა და მისი გაჩერება სცადა. კრისტოფმა ხელი ჰკრა და კინაღამ კიბეებზე დააგორა (უჭვობდა, რომ ეს კაციც მონაწილეობდა მისთვის მახის დაგებაში). ჰ. ოიფრატიისა და თვითონ მის საბედნიეროდ, სცენაზე გამავალი კარი ჩაეკეტილი იყო. გაბრაზებულმა სულ მუშტები ურტყა კარებს. მაგრამ არაეინ გაალო. ამასობაში დარბაზიდან ხალხმაც იწყო გამოსვლა. კრისტოფის იქ დარჩენა არ შეიძლებოდა და მან თავს უშველა.

კრისტოფი აუწერელ მდგომარეობაში იყო. თვითონ არ იცოდა, საით მიახივებდა, ხელებსა შლიდა, თვალებს ატრიალებდა, გიჟვით ხმამაღლა ლაპარაკობდა, ბრაზისა და აღშფოთების შეძახილებს გულში იკლავდა. ქუჩა თითქმის ცარიელი იყო. საკონცერტო დარბაზი შარშან ააშენეს, ახალ უბანში, და ქალაქიდან ცოტა მოშორებული იყო. კრისტოფმაც ინსტინქტურად გასწია გარეუბნისაკენ, მიაშურა უდაბურ ადგილებს. აქა-იქ ბარაკები და ღობეებით შემოვლებული ხე-ტყეში ჩასმული სახლები მოჩანდა. თავში საზარელი ფიქრები უტრიალებდა; მზად იყო მოეკლა მისთვის სამარცხვინოდ ლაფის დამსხმელი. კი მაგრამ! რომც მოკლას, შეტკლის კი ამით მტრულად განწყობილ ამ ხალხს, რომლის სიცილ-ხარხარი ახლაც ყურში ჩაესმის? ისინი ბევრნი არიან, მათ წინააღმდეგ ვერაფერს გახდება; ერთმანეთთან არაფერი აქვთ საერთო, მაგრამ პირს შეკრავენ, გაამასხარავენ, გასრესენ. არა მარტო არ ესმით მისი, ეზოზლებათ კიდევ. მაგრამ რა დაუშავა მათ კრისტოფმა? ის ხომ სიკეთის მომტანი საქმეებითა აღსავსე, კეთილი საქმეებით. მას სწორედ სიკეთის გამოთქმა და ამით სხვების განხარება უნდოდა. სწამდა, რომ ისევე გააბედნიერებდა მათ, როგორც თვითონ იყო. რომც არ მოსწონებოდათ, განზრახვისათვის მადლიერნი ხომ მაინც უნდა ყოფილიყვნენ; მეგობრულად მაინც უნდა მიეთითებინათ, რაში ცდებოდა; მათ კი გააყალებს კრისტოფის ფიქრები, ღვარძლიანი მხიარულებით დაამცირებს, გათელეს და გაანადგურებს. გაცეცხლებული კრისტოფი, ცოტა არ იყოს, აზვიადებდა იმათ ზიზოს; სერიოზულობას იქ ხედავდა, სადაც არაფრის მაქნისი უბადრუკობა იყო. „რა დავაშავე? —“ ქვითინებდა იგი. სული ეხუთებოდა, თავი განწირული ეჩვენებოდა, როგორც ბავშვობაში, პირველად რომ შეეჩეხა ადამიანურ სიავეს.

წინ დაიხედა, მდინარის პირას, წისქვილთან იმყოფებოდა. აქ რამდენიმე წლის წინ მამამისი დაიხრჩო. კრისტოფსაც უმაღლეს თავის დახრჩობის აზრმა გაუელვა. აღარ დაუყოვნებია და გადასახტომად მოემზადა.

ფლატზე გადაიხარა, მაგრამ ანკარა, მშვიდი მდინარის მზერით მოჯადოებულს მახლობელ ხეზე პატარა ჩიტის თავდავიწყებული ვალობა მოესმა. კრისტოფი გაიტრუნა და სმენად იქცა. წყალი ბუტბუტებდა. თავთავდასხმული ჭვავის ყანა შრიალებდა და თავს უხრიდა მოალერსე ნიავს; შრიალებდნენ ალვის ხე-

ები. გზის პირას ჩაყოლებული ღობის იქით, ბაღში, ჰაერს უხილავი ფუტკრების სურნელოვანი მუსიკა ეფინებოდა, მდინარის ვალმა ძროხა იდგა, დიდრონი ლამაზი თვალები ერთი წერტილისათვის მიეპყრო და ფიქრებში იყო წასული. ქერათმიან პატარა გოგონას, ანგელოზს რომ ჰგავდა, ზურგზე მსუბუქი კალათა მოეგდო და კედელზე ჩამომჯდარიყო. ოცნებაში გართული, შიშველ ფეხებს იქნევდა და რაღაც გაუგებარ სიმღერას ღიღინებდა. მოშორებით მღელღებ თეთრი ძაღლი ნებზივრობდა და სირბილით წრეებს უვლიდა.

ხეზე მიყუდებული, სმენად ქცეული კრისტოფი გაზაფხულის მიწას დასცქეროდა, მისი სიმშვიდითა და ხალისით აღსავსეს ნელ-ნელა ყველაფერი ავიწყდებოდა... უცბად ხეს შემოეხვია და ლოყა მიადო. მერე მიწაზე გაგორდა; თავი ბალახებში ჩარგო; ხარხარი აუეარდა; იცინოდა, იცინოდა ბედნიერებისაგან. სიცოცხლის მთელმა სილამაზემ, სიხარულმა და მომხიბლაობამ შეიპყრო და აღავსო კრისტოფი. იგი ფიქრობდა:

„რატომ ხარ შენ ასეთი მშვენიერი, ხალხი კი ასეთი მახინჯი?“

რას იზამ! უყვარდა, უყვარდა. გრძნობდა, რომ ეყვარებოდა მუდამ და ვერაფერი დააშორებდა. კრისტოფი ტკბილად ჩაეხუტა მიწას. იგი სიცოცხლეს ეხუტებოდა:

— მე შენში ვცოცხლობ! შენ ჩემში არსებობ. შენს თავს ვერ წამართმევენ. რაც უნდათ, მიყონ. თუნდაც მტანჯონ!.. ტანჯვაც ხომ სიცოცხლეა!

კრისტოფი გულდაჩერებული ჩაუჯდა სამუშაოს. აღარაფერი საქმე ჰქონდა „ლიტერატურის ხალხთან“, სახელოვნებთან, ფრაზიორებთან, უქნარა მოლაყებებთან, ყურნალისტებთან, კრიტიკოსებთან, ხელოვნებისეულ საქმოსნებთან და ვაჭრუკანებთან. რაც შეეხება მუსიკოსებს, დროს აღარ დახარჯავს მათი ცრურწმენისა და შურის წინააღმდეგ საბრძოლველად. აღარ ეუნდივართ? დე, ეგრე იყოს! არც მე მინდაან. თავისი საქმე აქვს გასაკეთებელი და გაიკეთებს. სასახლის კარმა თავისუფლება დაუბრუნა: მადლობელი იყო. ხალხის მადლობელიცაა მტრობის გამო: ამის შემდეგ მშვიდად იმუშავებს.

ლუიზა მთელი გულით იზიარებდა ყველაფერს. იგი სრულებით არ იყო პატივმოყვარე; არ იყო კრაფტების მოდგმისა; არა ჰგავდა კრისტოფის მამასა და ბაბუას. არ ოცნებობდა თავისი შვილის პატივსა და სახელზე. რასაკვირველია, ძალიან გაუხარდებოდა, შვილი რომ მდიდარი და სახელოვანი ჰყოლოდა, მაგრამ თუ ეს სიკეთე ასეთი დიდი მღელვარების ფასი დაჯდება, უმჯობესია, სულაც არ იყოს. მას კრისტოფის დარდი უფრო აღელვებდა სასახლის კართან მომხდარი განხეთქილების გამო, ვიდრე თვით ეს განხეთქილება: გულში კნაყოფილი იყო, რომ წაეჩხუბა ყურნალების ხალხსა და გაზეთებს. ნაწერი ქაღალდის მიმართ ლუიზას გლეხური შიში ჰქონდა: ეს ქაღალდები მხოლოდ იმისათვის არ-

სებობენ. რომ აღამიანს დრო დააკარგვიანონ, თავს უბედურება დაატეხონ. ლუიზა, მოსმენილია ჰქონდა ყურნალის მუშაების საუბარი კრისტოფთან და შეძრწუნებული იყო მათი სიახით; ისინი მზად იყვნენ ყველაფრის გასაგლეჯად, ყველაფერს აგინებდნენ: რაც უფრო მეტს ილანძღებოდნენ, მით უფრო კმაყოფილები იყვნენ. ლუიზას არ უყვარდა ისინი, ეს, რასაკვირველია, ჭკვიანი და განათლებული ხალხია, მაგრამ კეთილები კი არ არიან. ლუიზა ხარობდა, რომ მისი კრისტოფი მათ აღარ შეხვდებოდა. კრისტოფს ისინი არაფერში სჭირდებოდა, — ფიქრობდა დედა.

— მათ შეუძლიათ თქვან, წერონ და იფიქრონ ჩემზე, რაც უნდათ, — ამბობდა კრისტოფი: — მე ვარ ის, რაც ვარ და ამაში ხელს ვერ შემიშლიან. მათი ხელოვნება, მათი ფიქრები — არ არის ჩემი საქმე. მე ყოველივე ამას უარკვევად.

კარგია ხალხის უგულვებელყოფა. მაგრამ ხალხი ასე ადვილად როდის მიხეცენ ამის საშუალებას ახალგაზრდული ალტყინებით შეპყრობილ ყმაწვილ კაცს. კრისტოფი ალალი გულით მოქმედებდა, მაგრამ ილუზიას მოეცვა და საკუთარ თავს კარგად არ იცნობდა. არც თავისთავად იყო საამისოდ გაჩენილი და არც ბუნებით ისეთი, რომ ხალხს განდგომოდა; განსაკუთრებით კი, საამისოდ ასაკიც არ ჰქონდა. პირველ ხანებში დიდად არც გასჭირვებია: თავის შემოქმედებაში იყო ჩაფლული, სანამ მუშაობდა, არაფრის ნაკლებობას არ განიცდიდა. მაგრამ ნაწარმოებზე მუშაობა დამთავრა და ალტყინებამაც იკლო. ვიდრე ახლის შექმნა დაიპყრობდა მის გონებას, ირგვლივ მიიხედავდა და მარტოობის ყინულია დახვდა. რისთვის ვწერ? — ეკითხებოდა იგი თავის თავს. წერის დროს ეს კოტხვა არ იბადება ხოლმე: უნდა წერო და აქ სადაო არაფერი: და, აი, მზად არის შენი საკუთარი ნახელავი; ძლიერმა ინსტინქტმა ამოტყორცნა ის შენგან და მორჩა; ახლა კი გაუგებარია, რატომ იშვა; გაჭირვებით შეიცნობ მასში საკუთარ თავს, იგი თითქმის უცხოა შენთვის. სიამოვნებით დაივიწყებდი, მაგრამ შეუძლებელია; ის ჭერ გამოქვეყნებული არ არის, არავის დაუკრავს; ამ ქვეყნად ჭერ თავისი ცხოვრებით არ უცხოვრია. ამიტომ ჭერ ისევ დედასთან დაკავშირებულია ახალშობილია; ის არის სიცოცხლე, შეზრდილი ხორციელ სიცოცხლესთან: იგი უნდა მოიკვეთოს, რომ იცოცხლოს. რაც მეტს თხზავდა კრისტოფი. მია უფრო ნაღვლობდა ამ, დღემოკლე, მაგრამ ცოცხალ ქმნილებებზე. ვინ იყო მხსნელი? რაღაც უხილავი ძალა ამოძრავებდა მისი აზრის ქმნილებებს; ისინი ისწრაფოდნენ მისგან მოწყვეტას და ქარისაგან დედამიწაზე მიმოფანტული ცოცხალი თესლის მსგავსად სხვა სულებისაგან განაყოფიერებას. განა თვითონ კი უნდა დაჩენილიყო უნაყოფობის კედლებში? ხომ შეიშლებოდა!

ყველა საშუალება—თეატრი, კონცერტი—მოსისპო მისთვის. კრისტოფი კი აღარაფრის გულისათვის აღარ ეახლებოდა დირექტორებს, რომ ნაწერები გამოქვეყნებინა. მაგრამ არც ის უნდა ჰგონებოდა, თითქოს ეს უფრო ადვილი

ჩქნებოდა, ვიდრე ორკესტრის შოვნა. ისიც საკმარისი იყო, რომ ორ-სამჯერ მოსინჯა კიდეც ნიადაგი. არაფერი გამოვიდა. ახალი უარის მიღებას, რომელიმე ვაჟრის დარწმუნებას და მათი მფარველური იერის ატანას ერჩია თვითონ გაელო გამოცემის მთელი ხარჯები. ეს კი სიგიჟე იყო: კრისტოფს მხოლოდ მცირედი დანაზოგი ჰქონდა სასახლის კარიდან და ზოგიერთი კონცერტიდან. ამ შემოსავლის წყარო უკვე დამშრალი იყო, ხოლო ახალი ალბათ ასე მალე არ გაუჩნდებოდა. უფრო მეტი გონივრულობა იყო საჭირო. ეს მცირე სახსრები მომავალი მძიმე პერიოდის გადატანაში გამოადგებოდა. კრისტოფი კი ასე მოიქცა კი არა და, დანაზოგმა რომ არ იკმარა გამოცემის ხარჯების დასაფარავად, ვალის აღებასაც არ მოერიდა. ლუიზა ვერაფრის თქმას ვერ უბედავდა, ვერ გაეგო, როგორ შეიძლებოდა სახსრების ფანტვა მხოლოდ იმისათვის, რომ კაცმა თავისი გვარი დაინახოს წიგნზე; მაგრამ, რადგან ეს გულის გადაყოლების და შვილის თავისთან დანარჩუნების საშუალება იყო, დედა ბედნიერად გრძნობდა თავს.

ხალხისათვის ნაცნობი ჟანრის, უწყინარი მუსიკის შეთავაზების ნაცვლად კრისტოფმა ძალიან თავისებური, თავისთვის განსაკუთრებით ძვირფასი ნაწარმოებების მთელი სერია ამოარჩია. ეს იყო საფორტეპიანო პიესები. მათ ენაცვლებოდა Lieder-ები, ზოგჯერ მოკლე და ხალხური, ზოგჯერ ძალიან ვრცელი და თითქმის დრამატული. ყველაფერი ეს წარმოადგენდა მხიარული და ნაღვლიანი შთაბეჭდილებებისაგან შემდგარ სიუიტას. აქ ბუნებრივი თანმიმდევრობით ერთმანეთს უკავშირდებოდა ფორტეპიანოს სოლო პარტია და სიმღერები. ეს სიმღერები ხან სოლო იყო, ხან კიდეც აკომპანემენტით. — „ოცნების დროს, — ამბობდა კრისტოფი, — ყოველთვის როდი ვაძლევ ფორმას ჩემს განცდებს: უსიტყვოდ ვიტანჯები და უსიტყვოდ ვხარობ; მაგრამ დგება დრო, როცა უნდა ვთქვა ყველაფერი და მაშინ ვმღერი და აღარა ვფიქრობ: ზოგჯერ ეს არის ცალკეული სიტყვები, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები, ზოგჯერ კი მთელი პოემები; ამის შემდეგ ისევ ოცნებას ვეძლევ. მერე კი იღევა დღე. სწორედ ერთი ასეთი დღის წარმოდგენა მინდოდა, მაგრამ რატომ მაინცდამაინც მხოლოდ სიმღერებისაგან, პრელუდიებისაგან უნდა შედგებოდეს კრებული? ამაზე უფრო ხელოვნური და ნაკლებ პარმონიული არა არის რა. ვცადოთ სულის თავისუფალი თამაშის გადმოცემა!“. კრისტოფმა ხომ სახელიც შეურჩია სიუიტას: „ერთი დღე“. ამ ნაწარმოების ცალკეულ ნაწილებს ქვესათაურები ჰქონდათ და მოკლედ განმარტავდნენ ოცნებების მონაცვლეობას. კრისტოფმა მიაწერა საიდუმლო მიძღვნები, ინიციალები და თარიღები. მხოლოდ მისთვის იყო გასაგები და პოეტურ წუთებს თუ საყვარელ სახეებს მოაგონებდნენ: კისკისა კორინას, მინაზებულ საბინას და უცნობ ფრანგ ქალს.

გარდა ამ ნაწარმოებებისა, მან ამოარჩია ოცდაათიოდე Lieder-ი, მოსაწონი ყველაზე მეტად მისთვის და, მაშასადამე, ყველაზე ნაკლებ პუბლიკისათვის. კრისტოფს არ უნდოდა ყველაზე უფრო „მელოდიური“ ჰანგების არჩევა: უფრო დამახასიათებლები აირჩია (ცნობილია, რომ ხალხს ყოველთვის ემინია

იმისა, რაც „დამახასიათებელია“. მას ბევრად უკეთესი ეჩვენება ის, რასაც თავისი სახე არა აქვს).

Lieder-ები დაწერილი იყო მეჩვიდმეტე საუკუნის ძველი სილვზიელი პოეტების ლექსებზე. ეს ლექსები კრისტოფმა ერთ პოპულარულ კრებულში აღმოაჩინა და მათი უბრალოებით მოახიბლა. ანათგან განსაკუთრებით ძვირფასი იყო, ძმებზეთ ძვირფასი, ორი უაღრესად ნიჭიერი პოეტი, ოცდაათ-ოცდაათო წლის ასაკში გარდაცვლილი: მომხიბვლელი პოლ ფლემინგი, თავისუფალი მოგზაური კავკასიასა და ისპაჰანში. მან თავისი უმწიკვლო სული, შეყვარებული და უმანკო, ომის საშინელებაში, უსიხარულო ცხოვრებასა და თავისი დროის გაუტანლობაში გამოატარა; და უან-კრისტიან გიუნტერი, გზააბნეული გენიოსი, რომელიც ორგებიტა და სასოწარკვეთილებაში დაიფერფლა და ქარს გაატანა თავისი სიცოცხლე. გიუნტერისა მან მუსიკის ენაზე გადაიტანა შურისძიების ირონიის და გამოწვევის შეძახილი ღუშმანი ღმერთის წინააღმდეგ, ფეხქვეშ რომ თელავს მიწაზე დანარცხებულ, გააფთრებით მაწყევარ ტიტანს, მის წინააღმდეგ მომართული ელვა ზეცას რომ უკუუქცია. ფლემინგისაგან აიღო სიყვარულის სიმღერები, ყვავილებზეთ სასიამოვნო და ნაზი, მიძღვნილი ანემონასა და ბაზოლენასადმი, ვარსკვლავების ფერხული, Tanzlied (საცეკვაო სიმღერა) წმინდა და მხიარული გულებისათვის და გმირული და მშვიდი სონეტი: „საკუთარ თავს“ (An Sich), რომელსაც კრისტოფი დილის ლოცვასავით იმეორებდა ხოლმე.

კრისტოფი კეთილშობილი პაულ გერპარდტის მოძლიმარამ ოპტიმიზმმაც მოხიბლა. მისთვის ეს დასვენება და ნაღველისაგან თავის დაღწევა იყო. მას მოსწონდა ბუნების გულუბრყვილო ქერცა ღმერთის სახით, მწვანე ველები, ტრტებსა და თეთრ ნარგიზებს შორის ქვიშაზე მორაკრაკე ნაკადულის პირას ამაყად მოსეირნე ყანჩა; გამჭვირვალე ჰაერი, მერცხლების სრიალი და მტრედების ქროლვა, წვიმის ღრუბლებში გამოღწეული მზის მხიარული სხივი, განათებული და გაღიმებული ცა ღრუბელთა შორის, საღამოს დიდებული ნათელი, ტყე-თა მოსვენება, ნახირის, ქალაქებისა და ყანების ღუშმილი. კრისტოფმა გაბედა და მუსიკაზე გააწყო ზოგიერთი სასულიერო ჰიმნი, ჯერაც რომ მღეროდნენ ხოლმე პროტესტანტულ თემობებზე. ოლონდ ის წინდახედულად მოექცა ამ ჰიმნებს. არ შეუნარჩუნა ქორალური ხასიათი: კრისტოფს სძულდა ქორალი და თავისუფალი და ცოცხალი გამოხატულება მისცა სიმღერას. მოხუც გერპარდტს კანკალი აიტანდა სატანური რიხისაგან, რომლითაც ახლა სუნთქავდა ზოგიერთი სტროფი მისი „ქრისტიანი მოგზაურის სიმღერიდან“ ან წარმართული მხიარულებისაგან, ღვარცოფად რომ აქცევდა „ზაფხულის სიმღერის“ მღორე დინებას.

კრებული გამოვიდა, მაგრამ, რასაკვირველია, ყველაფერი საღი გონების საწინააღმდეგოდ მოხდა. გამომცემელს, რომელსაც კრისტოფმა თავისი Lieder-ების დაბეჭდვისა და საწყობში მათი შენახვის ფასი გადაუხადა, მხოლოდ ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მეზობელი იყო. თორემ ასეთი ძნელი სამუშაოსათვის მზად არ იყო. ბეჭდვას მთელი თვეები დასჭირდა; შეცდომების გამო საჭირო

გახდა ძვირადღირებული გასწორებები. კრისტოფს ამ საქმისა არაფერი გაეგებოდა და უღრტინველად იხდიდა უფრო ძვირს, ვიდრე ეს ყველაფერი ღირდა; ხარჯებმა ბევრად გადააჭარბა გათვალისწინებულს. ბოლოს, როცა ყველაფერი დასრულდა, კრისტოფს ხელში შერჩა ვეება გამოცემა. აღარც კი იცოდა, რა ექნა. გამომცემელს თავისი მუშტარი არა ჰყავდა და ხელიც არ გაუწმრევია კრებულის გასავრცელებლად. უმოქმედობა სწორედ კრისტოფის საქციელის შესაფერისი იყო. როდესაც გამომცემელმა საკუთარი სინდისის დასამშვიდებლად კრისტოფს მიმართა, რეკლამისათვის რამდენიმე სტრიქონი დამიწერეო, კრისტოფმა უპასუხა, „საკვიროდ არ მიმაჩნია რეკლამა: თუ მუსიკა კარგია, იგი თვითონ ილაპარაკებს თავის თავზეო“. გამომცემელმა მორჩილად შეასრულა მისი ნება-სურვილი. მთელი გამოცემა მალაზიის შორეულ კუთხეში ჩაექტა. ეს ადგილი საიმედო აღმოჩნდა. ექვს თვეში ერთი ცალიც კი არ გაყიდულა.

ხალხის მოსვლას კრისტოფი ვერ დაელოდებოდა. შეთხელებულ ბიუჯეტს შეესვება უნდოდა. წუნიობის დრო აღარ იყო. უნდა ეცხოვრა და ვალები ეხადა. მაგრამ არა მარტო ვალი გამოდგა მოსალოდნელზე მეტი, არამედ დანაზოგიც. ნავარაუდევზე ნაკლები აღმოჩნდა. ნეტავ, დაკარგა ეს ფული, თუ, — და ეს უფრო შესაძლებელი იყო, — ცუდად ჰქონდა დათვლილი (მას უბრალო შეკრებაც კი არ ეხერხებოდა)? თუმცა რა მნიშვნელობა ჰქონდა, რატომ აკლდა. აკლდა, მორჩა და გათავდა. ლუიზამ ყველაფერი დათმო, რომ შეიღოს დახმარებოდა. კრისტოფი ძალიან დარდობდა და გადაწყვიტა, როგორმე მალე დაეფარა მთელ ხარჯები. იგი ვაკეეთილების ძებნას შეუდგა; კარდაკარ სიარული და, ზოგჯერ კიდევ უარის მიღება გულსა სტკენდა. ხალხის თვალში მან ძალიან დაკარგა ფასი; ძლივს მოახერხა რამდენიმე მოწაფის შოვნა. ერთ სკოლაში მასწავლებლის ადგილზე რომ ჩამოუგდეს სიტყვა, სიხარულით დათანხმდა.

ეს იყო ნახევრად სასულიერო სასწავლებელი. დირექტორი, ერთობ გაქნილი კაცი, თუმცა მუსიკოსი არ იყო, მაგრამ მიხვდა, ასეთ ვითარებაში კრისტოფისაგან ძალიან ბევრს მოიგებდა. იგი უპარესად ზრდილობიანად იქცეოდა. მაგრამ გასამრჯელოს მცირეს იძლეოდა. კრისტოფი გაუბედავად შეესიტყვა. დირექტორმა გულკეთილად გაუცინა და უთხრა, მეტის იმედი არ გქონდეს, რადგან არავითარ ოფიციალურ მდგომარეობას აღარ ფლობო.

მოსაწყენი საქმე იყო! სწავლებაზე უფრო ევალებოდა ილუზია შეექმნა მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის, თითქოს მუსიკა უკვე იცოდნენ. მთავარი მაინც სიმღერაში მათი როგორმე გაწერტონა იყო, რომ დღესასწაულებზე ხალხის წინაშე ემღერათ. ეს ზიზღსა ჰგვრიდა კრისტოფს. საკუთარი თავის დაწმინდებაც კი არ შეეძლო, კეთილ საქმეს ვაკეთებო: სინდისი არ აძლევდა ასეთი თვალთმაქცობის ნებას. მას უნდოდა, უფრო სოლიდური ცოდნა მიეცა ბავშვებისათვის და ცდილობდა, სერიოზული მუსიკა გაეცნო და შეეყვარებინა მათ-

თვის. მაგრამ მოსწავლეები თავს არ იწუხებდნენ. კრისტოფმა ვერ მოახერხა მათი ყურადღების მიპყრობა; ავტორიტეტი არა ჰქონდა და, სიმართლე რომ ითქვას, მასწავლებლობისათვის არ იყო გაჩენილი. ბავშვების ბუზღუნს ყურადღებას არ აქცევდა; მაშინვე აპირებდა მუსიკის თეორიის ასხნას. ფორტეპიანოს გაკვეთილის დროს გვერდით მოისვენა ბავშვს და მასთან ერთად ოთხი ხელით უკრავდა ბეთჰოვენის სიმფონიას. რა გასაკვირია, საქმე წინ რომ არ წასულიყო; კრისტოფი ბრახობდა, ავდებდა მოსწავლეს. სამაგიეროდ, თვითონ უკრავდა მართლ და დიდხანს. ასევე იქცეოდა სკოლის გარეშეც, კერძო გაკვეთილების დროს. იოტისოდენი მოთმანება არა ჰქონდა: რომელიმე კეთილშობილ ქალი-შვილს, სულს რომ ლევდა არისტოკრატიული მანერებისათვის, ეტყოდა მზარეულივით უკრავო; ან ვინმე მზოგანის დედას მისწერდა, — თუ კიდევ დიდხანს მომიხდა ტალანტისაგან დაცლილ ამ არსებასთან მუშაობა, ნამდვილად სიცოცხლე აღარ მიწერიარო. ეს ყველაფერი ხელს უშლიდა. მოწაფეები ისედაც ცოტა ჰყავდა და იმათაც კარგავდა. ერთ-ორ თვეზე მეტს არავინ უჩერდებოდა. დედა ცდილობდა, ჩაეგონებინა რამე; სიტყვა ჩამოართვა, რომ სასწავლებელს მაინც არ მიატოვებდა; ეს ადგილი რომ დაეკარგა, ვინ იცის, რითღა იცხოვრებდნენ. კრისტოფი თავს ძალას ატანდა, რომ სიძულვილი დაეძლია. უადრესად პუნქტუალური იყო, მაგრამ გაჩუმება ჰქონდა, როცა ვიღაც ვიზი მოსწავლე მეათეჯერ ამახინჯებდა პასაჟს ან, როცა იძულებული იყო მომავალი კონცერტისათვის წარამარა ემეორებინა კლასისათვის სულელური გუნდი (მას პროგრამის არჩევის უფლებასაც კი არ აძლევდნენ; მის გემოვნებას არ ენდობოდნენ). და რა გასაკვირია, რომ კრისტოფიც უგულოდ ეკიდებოდა საქმეს. მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობდა საკუთარი თავის დაძლევის. დუმდა, წარბშეკრული დადიოდა და იშვიათად თუ გამოამჟღავნებდა ბრახს, თორემ ზოგჯერ ისე დაჰკრავდა მაგიდაზე მუშტს, რომ მოსწავლეები ადგილზე შეხტებოდნენ ხოლმე. აბი ზოგჯერ ერთობ მწარე გამოდგებოდა და გადაყლაპვა უჭირდა. მაშინ მომღერლებს შუა გზაზე აჩერებდა:

— ოჰ, მორჩით, მორჩით. მაგას მირჩენია ვაგნერი დაგიკრათ.

მოსწავლეები უკეთესს ვერც ვერაფერს ინატრებდნენ. კრისტოფის ზურგს უკან მაშინვე ქალადის თამაში ჩაღებოდა. დირექტორთან ენის მიმტანი ყოველთვის გამოჩნდებოდა; კრისტოფსაც შეახსენებდნენ ხოლმე — აქ იმისათვის ხარ, რომ მოსწავლეები ამღერო, მუსიკის შეყვარება არავის უთხოვიაო. ამ საყვედურებზე ერთხანტელი უვლიდა ტანში, მაგრამ რა ექნა. ურთიერთობის გაწყვეტა არ უნდოდა. აბა, ვინ იფიქრებდა ამ რამდენიმე წლის წინ, როცა მას ბრწყინვალე კარიერა ელოდა (თუმცა ჯერ არაფერი ჰქონდა გაკეთებული), ასეთ დამცირობას შეურიგდებოდა. და ისიც მაშინ, როცა უკვე რალაცას წარმოადგენდა?

კრისტოფი იძულებული იყო ვიზიტით სწევოდა თავის კოლეგებს. სასწავლებელში ყოფნით ისედაც შეგინებული მისი თავმოყვარეობა ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით ილახებოდა. ის უკვე ორგან იყო, ალაღბებულზე: ორივე

მოსაწყენი გამოდგა. ვიზიტების გასაგრძელებლად ძალა აღარ ეყო. იმ ორს, რომელთაც წილად ხვდათ ეს უპირატესობა, არავითარი პატივი არ უგრძნინათ: დანარჩენებმა შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი. ყველას მიაჩნდა, რომ კრისტოფი მათზე დაბლა დგას მდგომარეობითა და გონებით და ამიტომ მფარველურად ეპყრობოდნენ. ისეთი თვითდარწმუნებული იერი ჰქონდათ, რომ კრისტოფი ზოგჯერ იჯერებდა კიდევ თავის უსუსურობას. რევენანდ გრძნობდა თავს და სალაპარაკოს ვერაფერს პოულობდა. იმ ხალხმა კი მხოლოდ თავისი ხელობა იცოდა და სხვას ველარაფერს ხელაუდა. ენენი აღაშინებენ არ იყვნენ. ეს ხალხი უფრო წიგნისათვის დართულ შენიშვნებს წარმოადგენდა, ფილოლოგიურ კომენტარებს ჰგავდა.

კრისტოფი გაურბოდა ხოლმე მათთან შეხვედრას. მაგრამ შეხვედრა ზოგჯერ გარდუვალი იყო. თვეში ერთხელ, ნაშუადღევს, დირექტორს მიღება ჰქონდა. მთელი მისი ხალხი იქ უნდა ყოფილიყო. პირველ მიპატიყებას კრისტოფმა თავი აარიდა. ბოდიშეც არ მოუხდია იმ ამო იმედით, რომ კრინტს თუ არ დაძრავდა, მისი არყოფნა შეუმჩნეველი დარჩებოდა. მეორე დღეს ეს იმედები ტკბილ-მეყვე საყვედურების საგნად იქცა. დღემაც უსაყვედურა. მეორედ კრისტოფი იძულებული შეიქნა, წასულიყო. ისე მიდიოდა, როგორც სატირალში.

იქ კრისტოფი სკოლისა და ქალაქის სხვა მასწავლებელთა საზოგადოებაში აღმოჩნდა; მათ ცოლები და შეილებიც ახლდნენ. თავი პატარა დარბაზში მოეყარათ, იერარქიის მიხედვით იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად და არავითარი ყურადღება კრისტოფისათვის არ მიუქცევიათ. ყველაზე ახლო მდგომ ჯგუფში პედაგოგიკაზე და სამზარეულოზე იყო საუბარი. მასწავლებლების ცოლებს თავთავიანთი რეცეპტები ჰქონდათ და ყოველი მათგანი ქადაგის გულმოდგინებით აქებდა თავისას. მამაკაცები არანაკლებ ინტერესს იჩენდნენ ამ საკითხისადმი და საქმეში კარგად ჩახედულნიც ჩანდნენ. მათ ისევე სიამოვნებდათ ცოლების სამზარეულო ნიჭი, როგორც ცოლებს თავიანთი ქმრების განსწავლულობა. კრისტოფი ფანჯარასთან იდგა კედელზე აკრული და არ იცოდა, რა მოემოქმედა; ხან სულელურად იღიმებოდა, ხან შუბლს იკრავდა და თვალებს აშტერებდა. მოწყენილობაში სული ელეოდა. იქვე ახლოს ფანჯრის ნიშში იჯდა ერთი ახალგაზრდა ქალი, კრისტოფივით მოწყენილი, მასაც ხმას არავინ სცემდა. ორივე დარბაზს გასცქეროდა. ერთმანეთისთვის არ შეუხვდავთ. კარგა ხნის შემდეგ, როცა მეტის ატანა შეუძლებელი იყო, მათ თავი მიიბრუნეს დასამთქნარებლად და თვალებით შეხვდნენ ერთმანეთს. ერთიმეორეს მეგობრულად გადახედეს. კრისტოფმა ქალი-საკენ გადაინაცვლა. ქალი ხმადაბლა გამოელაპარაკა:

—ერთობიან, არა?

კრისტოფმა დარბაზს ზურგი აქცია, პირი ფანჯრისაკენ იბრუნა და ენა გამოყო. ქალს სიცილი წასკდა და თითქოს ძილიდან ახალა გამოერკვო, კრისტოფს ანიშნა, ახლოს მომიჯექიო. გაიცნეს ერთმანეთი. ეს ქალი მასწავლებელ რაინპარტის ცოლი აღმოჩნდა. რაინპარტი ბუნებისმეტყველებას ასწავლიდა

მათ სკოლაში. ქალაქში ახალი ჩამოსულები იყვნენ და ჭერ არავის იცნობდნენ. ქალს დიდი ცხვირი, უშნო კბილები და ფერმკრთალი სახე ჰქონდა. ლამაზიაო, ვერ იტყოდით. სამაგიეროდ, ცოცხალი და ჰკვიანი თვალები ჰქონდა და ბავშვურად ილიმებოდა; კაჰკაჰივით ენად იყო გაკრეფილი, თუმცა არც კრისტოფი ჩამოუვარდებოდა: ქალის გულდია და სასაცილო შენიშვნები ძალიან მოსწონდა. ისინი არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ირგვლივ მყოფთ, იცნობდნენ, ხმა-მალლა უზიარებდნენ ერთიმეორეს თავ-თავიანთ შთაბეჭდილებებს. მეზობლებმა თავიდან კეთილი არ ენებეს და მათი არსებობა აინუნშიც არ ჩაადგეს. თუმცა სულმალლობა მოითხოვდა, მარტობა არ ეგრძნობინებინათ მათთვის. ახლა კი უკმაყოფილოდ იბღვირებოდნენ. ასე თავის გართობა უზრდელობად მიაჩნდათ. მაგრამ ლაპარაკში გართული ორი ადამიანისათვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, ვინ რას ფიქრობდა მათზე. ამ ორს სამაგიერო უნდა მიეზღა ყველასთვის.

ბოლოს ქალბატონმა რაინჰარტმა კრისტოფს ქმარი წარუდგინა. ეს იყო ერთობ შეუხედავი კაცი; ოდნავ შეწუხებულ, ყვავილით დაქმულ უწვევრულ სახეზე მოლურჯო მკრთალი ფერი ედო. ძალიან გულკეთილი ჩანდა. ყრუდ ლაპარაკებდა, ლულულუღებდა და სიტყვებს მარცვლავდა: კილოც, ცოტა არ იყოს, დამრვიგებლური ჰქონდა.

სულ რამდენიმე თვის წინ დაქორწინებული ეს ორი შეუხედავი შეყვარებული იყო ერთმანეთზე. დამოხედვა ორივეს ერთნაირი ჰქონდა, ლაპარაკიც ერთიმეორეს უგავდათ. რაც არ უნდა ბევრი ხალხი ყოფილიყო, ხელიხელჩაკიდებული იყვნენ. ყველაფერი ეს სასაცილოც იყო და გულის ამაჩუყებელიც. თუ ერთს რაიმე სურდა, მეორესაც ის უნდოდა. ცოლ-ქმარმა კრისტოფს სთხოვა, ამ მიღების შემდეგ ჩვენთან ისაუბმეთო. კრისტოფმა უარი ხუმრობაში გაატარა — ამ საღამოს შინ წასვლას და დაძინებას არაფერი მიჯობს, მოწყენილობისაგან ისე ვარ დამტვრეული, თითქოს კილომეტრები გამეკლოსო. მაგრამ ქალბატონმა რაინჰარტმა შენიშნა, სწორედ ამიტომ არ შეიძლება შინ დარჩენა, ვაითუ ავბედითი სიზმრები ნახოთო. კრისტოფიც მათ ნებას დაჰყვა. მარტოდ დარჩენილს ძალიან გაუხარდა, რომ შეხვდა ამ კეთილ, მაგრამ უბრალო, გულითად ადამიანებს.

სადა გარემო, რომელშიც რაინჰარტები ცხოვრობდნენ, მათსავით მყუდრო იყო. ეს სიმყუდროვე საკმაოდ მეტყველი აღმოჩნდა და წარწერების სიმრავლით ღასიათებოდა. ავეჯი, შინაური ნივთები, ჭურჭელი წარამარა გვაძმცნობდა, რა მოხარულია „ძვირფასი სტუმრის“ მიღებით, კითხულობდა მის ჯანმრთელობას და კეთილ და მალაზნეობრივ რჩევა-დარიგებას იძლეოდა. ერთობ მაგარ დივანზე თავს იწონებდა პატარა ბალიში, და მეგობრულად გიჟურჩულებდათ:

— მხოლოდ თხუთმეტი წუთი! (Nur ein Viertelstündchen!).

ყვიაანი ფინჯანი. კრისტოფს რომ შესთავაზეს, ივედრებოდა:

— კიდევ ერთი ყლუპიო! (Noch ein Schlückchen!)

თეფშები მშვენიერ საქმელებსა და რჩევა-დარიგებას გვთავაზობდნენ. ერთი ამბობდა:

— ყველაფერზე იფიქრე, თუ გინდა სიკეთე მუდამ თან გახლდეს.

— მაღლი და სიკეთე ყველას უყვარს. სიავე — არავის, — ამბობდა მეორე. მართალია, კრისტოფი არ ეწეოდა, მაგრამ ბუხარზე მოკალათებულმა საფერფლემ თავი ვერ შეიკავა და გაეცნო:

— პატარა საუნე ანთებული პაპიროსის მოსასვენებლად (Ruheplätzchen für brennende Zigarren).

კრისტოფმა ხელების დაბანა მოინდომა. ხელსაბან მაგიდაზე დადებულმა საპონმა გამოუცხადა:

— ჩვენი საყვარელი სტუმრისათვის (Für unseren lieben Gast).

პირსახოცმა, ზრდილი მასპინძლისა არ იყოს, რომ არაფერი აქვს, მაგრამ მაინც მოვალედ რაცხს თავს რამე თქვას, ღრმავარაფრად და სრულიად უადგილოდ ამცნო: „ადრე ამდგომსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევაარიო“ (Morgens hat Gold im Mund).

კრისტოფი სკამზე განძრევას ველარ ბედავდა, შეშინებული იყო, ოთახის დანარჩენი კუთხეებიდანაც არ მომესმას ხმაო. ერთი სული ჰქონდა, ეთქვა:

— ხმა გაკმინდეთ, თქვე ეშმაკეულნო! ყურთასმენა ნუ წაიღეთ.

კრისტოფს უეცრად ხარხარი აუტყდა.

მასპინძლებთან თავი იმართლა, წელან სკოლაში გამართული თავყრილობა გამახსენდაო. ცოლ-ქმრის წყენინება არაფრის გულისათვის არ უნდოდა. გარდა ამისა, მაინცადამაინც ვერც თვითონ ხედებოდა, რომელი უფრო სასაცილო იყო. ნივთებისა და ადამიანების გულისხმიერ ენაჭარტალობას სულ მალე შეეჩვია. რას არ აპატიებდა ამ ხალხს! ისინი ხომ ძალიან კარგი ადამიანები არიან! მათთან კაცი არ მოიწყენს: მართალია, გემოვნება ღალატობთ, სამაგიეროდ, გონება უჭრით.

ამ ქალაქში ეს ცოლ-ქმარი ახალი ჩამოსული იყო და, ცოტა არ იყოს, ობლად გრძნობდნენ თავს. პროვინციული პატარა ქალაქის ღვარძლიან მცხოვრებთ ვერ წარმოედგინათ ისე შემოსულიყო ვინმე მათ ქალაქში, როგორც წისკვილში და არ ცდარდოდა მოებოვებინა აქაურ საზოგადოებაში მიღების პატივი. რაინპარტები არ იცავდნენ ყოფაქცევის პროვინციულ კოდექსს — ახალჩამოსულთა მოვალეობას ადგილობრივი საზოგადოების მიმართ. რაინპარტი იქნებ უნებლიეთ დაჰქვემდებარებოდა კიდევ ამ წესებს, მაგრამ მის ცოლს თავის შეზღუდვა არ უყვარდა, ეს მოვალეობა გულს უწვრილებდა და შესრულება სულ სახვეალიოდ გადაჰქონდა. ვიზიტების სიდიდან, პირველ რიგში, ყველაზე ნაკლებ მოსაწყენი ამოარჩია, დანარჩენები გაურკვეველი ვადით გადადო. ამ უკანასკნელ კატეგორიაში მოყოლილი სახელოვანი მოქალაქენი უყურადღებობის გამო მრისხანებამ შეიპყრო. ანეელიკა რაინპარტი (ქმარი მას ლილის ეძახდა) შეუზ-

ლუდველი მანერების ქალი იყო: ოფიციალურ ტონს ვერ შეეჩვია. მაღალი მდგომარეობის პირებს ისე თავისუფლად ელაპარაკებოდა ხოლმე, რომ მათ სულ აღმური ედებოდათ სიბრაზისაგან; თუ საჭირო იყო, არც შეკამათებაზე ამბობდა უარს. ენა საკმაოდ უჭრიდა და, რაც კი პირზე მოადგებოდა, ყველაფერს იტყოდა; ზოგჯერ ეს მტკნარი სისულელე იყო, რის გამოც ზურგს უკან დასცინოდნენ, ზოგჯერ კი ეს იყო გამკლავი დაცინვა, რომელსაც იგი პირდაპირ მიახლდა პირში და ამით სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიცილებდა. ასეთ შემთხვევაში ის უმალ ენაზე იკბენდა, მაგრამ უკვე გვიან იყო ხოლმე. მისი ქმარი, ძალიან მშვიდი და წესიერი მამაკაცი, ამაზე ძალიან რბილად საყვედურობდა. ცოლი კი ეალერსებოდა, ეტყოდა, სულელი ვარ და შენი საყვედური საესებით სამართლიანიაო. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თავიდან იწყებდა ყველაფერს. ეს ხდებოდა სწორედ მაშინ და სწორედ იქ, სადაც ყველაზე ნაკლებ იყო საჭირო. თვითონაც რომ არ სდომნოდა, სათქმელი თავისთავად წამოსცდებოდა. ადვილი გასაგები იყო, რომ ის და კრისტოფი მალე შეეწყვიტნენ ერთმანეთს.

აურაცხელ სისულელეებს შორის, რომელიც მას არ უნდა ეთქვა, მაგრამ სწორედ ამიტომ ამბობდა ხოლმე, იყო გერმანიისა და საფრანგეთის უადგილო დაპირისპირება. ანეელიკა ელზასში გაზრდილი გერმანელი იყო (მათზე უფრო გერმანელი წარმოუდგენელია). ელზასელ ფრანგებთან მეგობრობდა. თუ საფრანგეთისაგან მიტაცებულ პროვინციების მცხოვრები გერმანელები მტრული განწყობილების გამო ნაკლებ ცდილობდნენ ფრანგულის შეთვისებას, ანეელიკას დაუძლეველი მიდრეკილება ჰქონდა ლათინური ცივილიზაციისადმი. ეს მიდრეკილება, ალბათ, უფრო წინააღმდეგობის გრძობამ გაუღვივა, როცა ცოლად გაჰყვა ჩრდილო გერმანელს და წმინდა გერმანულ სამყაროში აღმოჩნდა.

კრისტოფთან შეხვედრის პირველსავე საღამოს ანეელიკამ ჩვეულ სადისკუსიო თემაზე ჩამოაგდო ლაპარაკი. იგი აღფრთოვანებული იყო ფრანგებისათვის დამახასიათებელი თავისუფალი საუბრის მანერით. კრისტოფი კვერს უკრავდა. საფრანგეთი მისთვის კორინა იყო: ანთებული ლამაზი თვალები, ნორჩი მომღიპარი ბაგეები, შეუზღუდავი, ბუნებრივი საქციელი, ტკბილი ხმა! მას დიდი სურვილი ჰქონდა ბევრი სცოდნოდა მის შესახებ.

ლილი რაინპარტმა ტაში შემოჰკრა — თანამოაზრე ვიშოვე კრისტოფის სახითო.

— ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემი პატარა ფრანგი მეგობარი აქ აღარ არის. მან ველარ გაძლო და წავიდა.

მაშინვე განკრთა კორინას სახე. და ვით ჩამქრალი ციალის შემდეგ სიბნელით მოსილ ცის კაბადონზე, კრისტოფის თვალწინ, შორეული და ნაზი ციმციმით გამოისახა სულ სხვა ხატება, სულ სხვა თვალები.

— ვინ? — იყვირა კრისტოფმა და ადგილიდან წამოხტა. — ახალგაზრდა მასწავლებელი?

— როგორ? — გაკვირვებით შესძახა ქალბატონმა რაინპარტმა, — თქვენც იცნობთ მას?

ორივემ აღწერა ახალგაზრდა ფრანგი მასწავლებლის გარეგნობა. ორივე პორტრეტი ერთნაირი აღმოჩნდა.

— მაშ, თქვენ იცნობთ მას? — გაიმეორა კრისტოფმა. — ოჰ! მიაბნეთ ყველაფერი, რაც კი იცით მის შესახებ!..

ქალბატონმა რაინჰარტმა დაიწყო იმით, რომ ისინი მეგობრები იყვნენ და არაფერს არ უმაღავდნენ ერთმანეთს. მაგრამ, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ეს „არაფერი“ ძალიან ცოტა აღმოჩნდა. ისინი სტუმრად შეხვედრიან ერთმანეთს. ახალგაზრდა ქალთან დაახლოვების პირველი ცდა ქალბატონ რაინჰარტს გამოუჩენია: მისთვის ჩვეული გულითადობით თავისთან მიუწვევია. ახალგაზრდა ქალი ორ-სამჯერ იყო მასთან, ისაუბრეს. ცნობისმოყვარე ლილის ჯაფა დასჭირვებია, რომ ზოგი რამ მაინც შეეტყო მისი ცხოვრებიდან: ქალი ერთობ გულწაფილობილი აღმოჩნდა; ძალით თუ რამეს ათქმევინებდი. ქალბატონმა რაინჰარტმა მხოლოდ ის შეიტყო, რომ მას ანტუანეტა უნაღწი ბიჭია, არა აქვს არავითარი სახსარი, ჰყავს მხოლოდ უმცროსი ძმა პარიზში, რომელიც მან უნდა არჩინოს. თავის ძმაზე იგი დაუსრულებლად ლაპარაკობდა. ეს იყო ერთადერთი პიროვნება, ვისზე ლაპარაკის დროსაც იგი თავს არ იკავებდა. ლილი რაინჰარტმა ნდობაც სწორედ იმით მოიპოვა, რომ გულით შეიბრალა ბიჭი, რომელსაც არც მშობლები ჰყავდა, არც მეგობრები, მარტო იყო პარიზში, ლიცეუმში სწავლავდა და იქვე ცხოვრობდა პანსიონში. ანტუანეტა იმითომ დათანხმდა საზღვარზედ რომ სამსახურს, რომ ძმის სწავლის ხარჯები დაეფარა. ამ ორ ღარიბ არსებას არ შეეძლო უერთმანეთოდ ცხოვრება. ყოველდღე წერდნენ ერთიმეორეს. წერილის მცირედი დაგვიანებაც კი ნაღველსა ჰკვრიდა. ანტუანეტა სულ თავის ძმაზე ფიქრით იტანჯებოდა. ძმას კი ძალა არ ჰყოფნიდა, რომ მარტოობის ნაღველი დაეფარა დისგან. ყოველი მისი ჩივილი გულს უხეტქავდა საწყალ ანტუანეტას. მუდამ აფორიაქებდა აზრი, რომ ძმა იტანჯება. ეგონა — ავად არის და მალავსო. კეთილ ქალბატონ რაინჰარტს ბევრჯერ მეგობრულად გაუკიცხავს იგი უსაფუძვლო ნაღველისათვის და მცირე ხნით დაუმშვიდებია ხოლმე. ანტუანეტას ნათესავების, მისი გარემოცვის, მისი სულიერი სამყაროს შესახებ მან ვერაფერი შეიტყო. პირველსავე კითხვაზე ახალგაზრდა ქალმა გული ჩაითხრო და დადუმდა. ანტუანეტა განათლებული ქალი ჩანდა და ცხოვრების გამოცდილება ადრევე ეგემნა. ერთსა და იმავე დროს გულუბრყვილოც იყო და ფხიზელი თვალის მქონდა, მორწმუნეც იყო და ილუზიებითაც აღარ იკვებებოდა. ამ უტაქტო და არაკეთილშობილ ოჯახში თავს უბედურად გრძნობდა. ქალბატონმა რაინჰარტმა ზუსტად არაფერი იცოდა მისი წასვლის გარემოების შესახებ. ამბობდნენ, უზნეოდ იქცეოდაო, მაგრამ ანეკდოტს არ სჯეროდა. იგი თავს ღებდა მოსაჭერელად, რომ ეს ბრიყვი და ღვარძლიანი მოქალაქეების ცილისწამება იყო. მაგრამ რაღაც ხომ მოხდა და განა სულერთი არ არის, რა?

— დიახ, — თქვა კრისტოფმა და თავი დახარა.

— ასეა თუ ისე, იგი წავიდა.

— კი მაგრამ, წასვლისას რა გითხრათ?

— ეჰ! — წარმოთქვა ლილი რაინჰარტმა. — ვინა ნახა! სწორედ მაშინ ორი დღით კიოლნში ვიყავი წასული, როცა დავბრუნდი... Zu spät (დაგვიანდა!) — წაპოიძახა ამ დროს ანეელიკან: მსახურა ქალის მისამართით, რომელსაც ჩაიზე ლომონის შემოტანა დააგვიანდა. შემდეგ კი ღრმავარონად და ჰუმმარიტი გერმანელისათვის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვეულებრივი საუბრის ან ქცევის დროს დამახასიათებელი სადღესასწაულო კილოთი განაგრძო:

— ცხოვრებაში ხშირად ხდება ხოლმე ასე!.. — მაგრამ გაუგებარი იყო ლომონზე ამბობდა ამას თუ შეწყვეტილ ამბავზე.

— როცა დავბრუნდი, — განაგრძო მან, — პატარა ბარათი დამხვდა, ანტუანეტა მადლობას მიძღვნიდა ყოველივესათვის, რაც კი მისთვის გამიკეთებია, და მატყობინებდა — პარიზში ვბრუნდებიო. მისამართი არ დაუტოვებია.

— მერე არაფერი მოუწერია?

— არა.

კრისტოფის ოცნების თვალწინ სიბნელეში კვლავ გაუჩინარდა ნაღვლიანი სახე და წამით გაცოცხლებული თვალები, თვალები, უკანასკნელად მატარებლის ფანჯრებში რომ შეხვდა.

საფრანგეთის გამოცანა ახლა კიდევ უფრო აეკვიტა კრისტოფს. ამ ქვეყნის ამბავს კრისტოფი დაჟინებით ეკითხებოდა ქალბატონ რაინჰარტს, რომელსაც მცოდნედ მოჰქონდა თავი. ქალბატონი რაინჰარტი იქ არასოდეს ყოფილიყო, მაგრამ დაწვრილებით უამბობდა საფრანგეთის ამბავს. რაინჰარტი, დიდი პატრიოტი, საფრანგეთის წინააღმდეგ განწყობილი, თავის ცოლზე უკეთ როდი იცნობდა ამ ქვეყანას და, როცა ხანდახან ლილი ზედმეტ აღფრთოვანებას იჩენდა ხოლმე, ის ბედავდა და ეჭვს გამოთქვამდა. ეს მხოლოდ ცეცხლზე ნავთის ასხამდა ლილის აღფრთოვანებას. კრისტოფიც კვერს უკრავდა.

ლილი რაინჰარტისეულ მოგონებებზე უფრო კრისტოფს მისი წიგნები გამოადგა. მას ფრანგული წიგნების პატარა ბიბლიოთეკა ჰქონდა. სასკოლო საბჭელმძღვანელოები, რამდენი რომანი, შემთხვევით ნაყიდი რამდენიმე პიესა. კრისტოფმა საფრანგეთის შესახებ არაფერი იცოდა, სურვილი კი დიდი ჰქონდა. ეს წიგნები მთელი განძი იყო მისთვის.

პირველად ხელი მიჰყო რჩეული ნაწყვეტების კითხვას ძველი საბჭელმძღვანელოებიდან, რომლითაც ჯერ კიდევ ლილი რაინჰარტი და მისი ქმარი სწავლობდნენ სკოლაში. რაინჰარტი ირწმუნებოდა, თუ არ გინდა გზა-კვალი აგებნეს უცნობი ლიტერატურის ტევრში, ანაბანიდან უნდა დაიწყო. კრისტოფი მოწინებით ეპყრობოდა ყველას, ვინც მასზე მეტი იცოდა, უდრტივინველად დაჰყვა რჩევას და იმავე საღამოს შეუდგა წიგნის კითხვას. თავდაპირველად სცადა თვალი გადაეკლო ამ სიმდიდრისათვის.

მან გაიცნო ფრანგი მწერლები: თეოდორ-ანრი ბარო, ფრანსუა პეტი დე ლა კრუა, ფრედერიკ ბოდრი, ემილ დელერო, შარლ-ოგიუსტ-დეზირე ფილონი, სამუელ დეკომბა და პროსპერ ბორი. წაიკითხა აბატ ჟოზეფ რეიის, პიერ ლა-შამბოდის, ჰერცოგ ნივერნუსა, ანდრე ვან პასელტის, ანდრიეს, მადამ კოლეს, პრინცესა კონსტანს-მარი დე სალმ-დიკის, ანრიეტა ოლარის, გაბრიელ-ჟან-ბატის-ერნესტ-ვილფრიდ ლეგუვეს, იპოლიტ ვიოლის, ჟან რებულის, ჟან რასინის, ჟან ბერანჟეს, ფრედერიკ ბეშარის, გუსტავ ნადოს, ედუარდ პლუვიეს. ევენ მანუელის, ჰიუგოს, მილერუსა, შენდოლეს, ჯემის ლაკურ დელატრის, ფელიქს შავანის, ფრანსის-ედუარდ-იოანზიმის — იმავე ფრანსუა კოპეს და ლუი ბელმონტეს პოეზია. პოეზიის ამ მორევიდან თავის დაღწევის შემდეგ კრისტოფი პროზაზე გადავიდა. აქ მან ნახა გუსტავ დე მოლინარი, ფლეშიე, ფერდინანდ-ედუარდ ბიუჰონი, მერიმე, მალტ-ბრენი, ვოლტერი, ლამე-ფლერი, დიუმამაჰა, ე.-ე. რუსო, მეზიერი, მირაბო, დე მანადი, კლარეტი, კორტამბერი, ფრიდრიხ II და ბატონი დე ვოგიუე. ფრანგი ისტორიკოსებიდან ყველაზე მეტი ადგილი მაქსიმილიან-სამსონ-ფრედერიკ შელს ეკირა. ამ ფრანგულ ანთოლოგიაში კრისტოფმა აღმოაჩინა გერმანიის ახალი იმპერიის დეკლარაცია. წაიკითხა ფრედერიკ-კონსტან დე რუჟმონისეული დახასიათება გერმანელებისა და მიტიყო შემდეგი: „გერმანელი იზადება იმისათვის, რომ იცხოვროს სულიერ სამყაროში. მისთვის უცხოა ფრანგებისათვის დამახასიათებელი ხმაურიანი და უაზრო მხიარულება. მას ფაქიზი სული აქვს; მისი სიყვარული ნაწია და ღრმა. იგი დაუღალავია შრომაში და უდრეკი თავის წამოწყებებში. არც ერთი ხალხი არ გამოირჩევა ასეთი მაღალი პატიოსანებითა და ასეთი ხანგრძლივი სიცოცხლით. მწერლები გერმანიაში უამრავია. ხელოვნების თვალსაზრისით ეს ქვეყანა ჭეშმარიტად გენიალურია. თუ სხვა ქვეყნების მცხოვრებთ პატივად მიაჩნიათ იყვნენ ფრანგები, ინგლისელები, ესპანელები, — გერმანელი, პირიქით, მთელი თავისი გულით, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, მოიცავს მთელ კაცობრიობას. დაბოლოს. ევროპის ცენტრში მყოფი გერმანელი ერი, როგორც ჩანს, ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს მთელი კაცობრიობის გულსაც და უმალღეს გონებასაც“.

დაქანცულმა და ფიქრმორეულმა კრისტოფმა წიგნი დახურა და გაიფიქრა: „ფრანგები კარგი ბიჭები არიან, მაგრამ ჭკუით ვერ დაიტრიაბახებენ“:

შემდეგ მან მეორე წიგნი აიღო ხელში. იგი უფრო სერიოზული მკითხველისათვის იყო გამიზნული. ეს იყო სახელმძღვანელო უმალღესი სკოლისათვის. აქ მიუხედავად ეთიმობოდა სამი გვერდი, ვიქტორ დიურეის — ოცდაათი. ლამარტინს — ექვსი, ტიერს კი — დაახლოებით ორმოცი. „სიდი“ თითქმის მთლიანად დაებეჭდათ (გამოტოვებული იყო მხოლოდ დონ დიეგოს და როდრიგოს მონოლოგები — სიგრძის გამო) — დანფრე ქებას ასხამდა პრუსიას და ლანძღავდა ნაპოლეონ I-ს, რის გამოც მისთვის ადგილი არ დაუშურებიათ; მხოლოდ მას უფრო მეტი ადგილი დაუთმეს, ვიდრე XVIII საუკუნის ყველა კლასიკოსს ერთად. არც ე. ზოლას „განადგურებიდან“ ამოღებული ნაწყვეტისათვის დაიშ-

რეს ადვილი, სადაც 1870 წლის საფრანგეთის დამარცხება იყო აღწერილი-ქრისტომათიაში არ შეუტანიათ არც მონტენი, არც ლაროშფუკო, არც ლაბრუიერი. არც დიდრო, არც სტენდალი, არც ბალზაკი, არც ფლობერი. სამაგიეროდ, პასკალი, რომელიც პირველ წიგნში არ იყო, რაღაც კუროზად მეორე წიგნში შეიტანეს და კრისტოფმაც ამასთან ერთად, შეიტყო, რომ ეს მოლაყბე „ეკუთვნოდა პორ-როიალის მონაზონთა საზოგადოებას, რომელმაც პარიზის მანღობლად დააარსა ახალგაზრდა ქალწულთა ინსტიტუტი“¹.

კრისტოფმა კინაღამ ყველაფერი გადაყარა: თავბრუ ესმოდა, ველარაფერს ხედადა. „ამას ველარ დეძლეე“, — ამბობდა იგი თავისთვის. წაიკთხულის შინაარსში გარკვევა შეუძლებელი იყო. იგი საათობით ფურცლავდა ხან ერთსა და ხან მეორე წიგნს და თვითონაც არ იცოდა, რას ეძებდა. ფრანგულად კითხვა ცოტა უჭირდა და როცა ბოლოს და ბოლოს ჩასწვდებოდა ხოლმე ამა თუ იმ ფრაზის შინაარსს, აღმოჩნდებოდა, რომ ეს, თითქმის ყოველთვის, მაღალფარღოვანი და უშინაარსო სიბრყივე იყო.

თუმცა ხანდახან ამ ბურუსში გამოანათებდა სინათლის სხივი, გაიღვებდა მანჭეილის სასხასა პირი, ისმოდა გაკიცხვის სიტყვები, გოლიათის სიცილი. თანღდათან, ალბათ, წიგნის შემდგენლების ზეგავლენით, კრისტოფს გარკვეული შეხედულება გამოუშუშავდა საფრანგეთის შესახებ. გერმანელმა გამომცემლებმა თავი მოუყარეს თვით ფრანგებისმიერ დადასტურებულ ისეთ ნაწყვეტებს, საღდაც ასახული იყო ფრანგების სუსტი მხარეები და გერმანელების აშკარა უპირატესობანი. მაგრამ მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ ამით დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანის თვალში, ისეთის, როგორიც კრიტიკოსი იყო, საგანგებოდ ესმოდა ხაზი ფრანგების შეუღარებლად თავისუფალ აზროვნებას, რომლებიც აკრიტიკებენ ყოველივე საკუთარს და ქებას ასხამენ მოწინააღმდეგეს. მიშელი ფრაიდრიკ II-ს უღღეროდა, ლანდრე—ტრაფალგარის ინგლისელებს, შარა—1813 წლის პრუსიას. ნაპოლეონის არც ერთ მტერსაც კი არ გაუბედავს მისი ასე აუღად ხსენება. არ არსებობდა ისეთი წმინდა რამ, ფრანგის მოუსვენარ გონებას ხელი რომ არ აღემართა. დიდი მეფის² დროსაც კი პარიკიანი პოეტები სიმართლეს ღაპარაკობდნენ. მოლიერი ხომ არაფერს ერიდებოდა, ლაფონტენი ყველას დასცინოდა, ბუალო დიდებულებს ამხელდა, ვოლტერი ომებს უკიჟინებდა, ანდაღურებდა რელიგიას, ამბთარახებდა მშობლიურ ქვეყანას. მორალისტები, სა-

¹ ფრანგული ლიტერატურის ანთოლოგიებს, რომლებიც ჟან კრისტოფმა თავისი მეგობრებ-ის, რაიპარტების, ბიბლიოთეკიდან გამოიტანა, შემდეგი სახელწოდება აქვთ: 1) რჩეული ნაწყვეტები ფრანგი მწერლების ნაწარმოებებიდან საშუალო სკოლისათვის, შემდგენელი ფილოლოგი დოქტორი ჰებერთ ვინგერათი, სტრასბურგის წმიდა იოანეს რეალური სასწავლებლის დირექტორი, მეორე ნაწილი, საშუალო კლასებისათვის, მე-7 გამოცემა, 1902, დიუკონ-შაუბერგი; 2) ლ. ჰერტი და ე. ვ. ბიურგუი, „ლიტერატურული საფრანგეთი“, დამუშავებული ტენდერანგის მიერ, ჰამბურგის რეალური გიმნაზია, „იოჰანესუმი“ დირექტორი. 1904, ბრაუნშვაიგი.

² იგულისხმება ლუი XVI (1638—1715).

ტირიკოსები, პამფლეტისტები, კომედიების ავტორები ერთმანეთს ექიშებოდნენ მზიარულ თუ უსიზარულ გამბედაობაში. ეს იყო პრინციპში აყვანილი უპატივეცემლობა. ყველაფერი ეს ზოგჯერ საზრუნავს უჩენდა ზნეკეთილ გერმანულ გამომცემლებს. ისინი თავიანთი სინდისის დამშვიდების მოთხოვნილებას გრძნობდნენ და ბოდიშს იხდიდნენ პასკალის მაგივრად, რომელიც ერთ გროვად უყრიდა თავს ლაქიებს, მეკარეებს, სალდათებსა და პირფერებს; შენიშვნებში ისინი ირწმუნებოდნენ, პასკალს რომ თანამედროვე კეთილშობილი არამიები სცნობოდა, ასე არ იტყოდაო. მათ ისარგებლეს შემთხვევით და აღნიშნეს, თუ რა მოხერხებულად გადააყეთა ლესინგმა ლაფონტენის იგავ-არაკები. ყენეველი რუსოს რჩევით, ყველის ნაჭერი მოწამლული ხორცით შეცვალა და მსუნაგ მელას სული გააცხებინა.

„აჰ, ნეტავი მარად დაწყევლილნო ფარისეველნო, შხამი იყოს ხვედრი თქვენი“.

შიშველი სიმართლით დაბრმავებული გამომცემლები თვალებს ჭყეტდნენ, კრისტოფი კი ხარობდა: მას უყვარდა სინათლე. აქა-იქ კრისტოფსაც დაუელიდა ხოლმე ტანში ყრუანტელი, იგი არ იყო ჩვეული იმ თავშეუყავებელ დამოუკიდებლობას, თუნდაც თავისუფლად მოაზროვნე, მაგრამ დისციპლინას ჩვეული გერმანელის თვალში რომ ანარქიად მოჩანდა. კრისტოფს, გარდა ამისა, ფრანგული ირონიაც აფიქრებდა: ზოგ რამეს ის სერიოზულად იღებდა, ხოლო დაუნდობელი უარყოფა, პირიქით, საინტერესო პარადოქსად ეჩვენებოდა. დე, ასე იყოს! დაფიქრებული თუ აღშფოთებული კრისტოფი ნელ-ნელა უგებდა მას გემოს. თავისი შთაბეჭდილებების დახარისხებას იგი არ აპირებდა. ერთი გრძნობა მეორეს ენაცვლებოდა. იგი ცხოვრობდა. ერთმანეთში არეული შამფორის, სეგიურის, დიუმა-მამის, მერიმეს ცხოველმყოფელი თხრობა სიხარულსა ჰკვრიდა მის სულს. ზოგიერთი ფურცლიდან კი, დროდადრო, ქარიშხალივით მოვარდებოდა ხოლმე რევოლუციის დამატობელი და მრისხანე ქროლვა.

უკვე თენდებოდა, როცა მეზობელ ოთახში ლუიზამ გაიღვიძა და კრისტოფის საწოლი ოთახის კარიდან გამოსული სინათლე შეამჩნია.

მან კედელზე მიუკაკუნა და მოიკითხა, ავად ხომ არ ხარო. გაისმა სკამის ფხაკუნი, გაიღო კარი და გამოჩნდა პერანგისამარა კრისტოფი სანთლითა და წიგნით ხელში. ის რალაც უცნაურ, სადღესასწაულო ჟესტებს აკეთებდა. შეშინებულმა ლუიზამ ლოგინზე წამოიწია, იფიქრა, ვაითუ. შეიშალაო. კრისტოფმა სიცილი აიტეხა და სანთლის ქნევით მოლიერის პიესის ერთი სცენის დეკლამაციას შეუდგა. უტბად, შუა გზაზე, ფუიო შესძახა და ლოგინის თავით ჩამოჭდა. სანთლის ალი აფარფატდა. ლუიზა დამშვიდდა და აბუზღუნდა:

— რა მოხდა, რა, არ უნდა დაწვე? ჩემი საწყალი ბიჭი, მგონი, სულ გადაირია!

მაგრამ კრისტოფი არა ცხრებოდა:

— აი, ერთი ეს მოისმინე.

შემდეგ თავის გემოზე მოეწყო და თავიდან შეუდგა პიესის კითხვას. მას თვალწინ ედგა კორინა, ესმოდა მისი მხიარული სიცილი. ლუიზა აღშვოთებულ იყო:

— წადი აქედან, წადი! გაცივდები. გული ნუ გამიწყალე. დამაძინე!

მაგრამ კრისტოფმა ყურიც არ ათხოვა. თავისას განაგრძობდა. იბოხებდა ხმას, ხელებს იქნევდა, სიცილით იგულებოდა და ღედას ეკითხებოდა, — აბა, როგორ არ მოგწონს ესაო. ლუიზამ ზურგი შეაქცია, თავზე საბანი წაიხურა, ყურები დაიკო და გამოსძახა:

— კარგი, მომასვენე!

მაგრამ კრისტოფის სიცილზე ლუიზასაც ეცინებოდა. ბოლოს დამწვიდდა. კრისტოფმა კითხვა რომ დაამთავრა, დახედა ღედას. ლუიზას უკვე ეძინა. კრისტოფს გაეცინა, ფრთხილად დაუყოცნა თმა და ჩუმად შებრუნდა თავის ოთახში.

კრისტოფი განაგრძობდა რაინჰარტების წიგნების კითხვას. კითხულობდა ყველაფერს, ზედინედ და განურჩევლად. ყველაფერი გადაიკითხა. ძალიან უნდოდა კორინას და უცნობი ქალის სამშობლოს შეყვარება, ჯერ განუცდელ აღფრთოვანებასაც მოუნახა ადგილი. მეორეხარისხოვანი მწერლების წიგნებშიც აღმოჩნდებოდა ხოლმე თითო გვერდი, ხან კი ერთი სიტყვა, რომელიც თავისუფალი სულის ქროლვას მოაგონებდა. იგი ხშირად აზვიადებდა ამ შთაბეჭდილებას; განსაკუთრებით ქალბატონ რაინჰარტთან საუბრის დროს, რომელიც კიდევ უფრო აგულიანებდა კრისტოფს. ანჟელიკა, მართალია, მთლად უცივი იყო, მაგრამ სიამოვნებით ადარებდა გერმანულ კულტურას ფრანგულთან, ამტკიცებდა ამ უკანასკნელის უპირატესობას, აბრაზებდა ქმარს და შურს იძიებდა ამ ნაკლებ სასიამოვნო პროვინციულ ქალაქში ჩამოყვანისათვის.

რაინჰარტი ბრაზობდა. თავისი პროფესიის სასკოლო ცოდნას იგი არ გაცილებია. ფრანგები, მისი აზრით, ძალიან მოხერხებული და ჭკვიანი ხალხია პრაქტიკულ ცხოვრებაში, ზრდილობაც აქვთ და ლაპარაკიც უყვართ, ოღონდ ქარაფშუტები არიან, გული ადვილად მოსდით, უყვართ ტრაბახი, მაგრამ სერიოზულის ძალი არ შესწევთ: არც რამ სერიოზული გრძნობა აქვთ, არც გულანდილობა: მუსიკა მათ არ გააჩნიათ და პოეზია (თუ არ ჩავთვლით პოეზიის ხელოვნებას). ბერანჟესა და ფრანსუა კოპეს). ყალბი პათოსი, ეფექტური ექსტები, გაზვიადებანი და პორნოგრაფია — აი, რა უყვართ ფრანგებს. რაინჰარტი მაგარ-მაგარ გამოთქმებს არ იშურებდა ლათინური ზნედაცემულობის შესამკობლად. ყველაფერს რომ ამოწურავდა, ახლა ფრანგულ ფრივოლურობას მიაცივებოდა და ამ სიტყვაში, თავისი თანამემამულეებისათვის, ისიც განსაკუთრებით საწყენ აზრსა დებდა. თავის სიტყვას ამთავრებდა ხოლმე ჩვეული ჰიმნით კეთილშობილი გერმანელი ხალხის პატივსაცემად — მაღალი ზნეობის („ამით, — აღნიშნავს ჰერდერი, — იგი გამოირჩევა ყველა დანარჩენისა-

„გან“, ერთგული (treues Volk ...Treu — ყველაფერია: ალალი, ერთგული, თავდადებული, პირდაპირი), დიდებული ხალხისა, როგორც იტყუდა ფიხტე; ეს იყო ქება გერმანული ძლიერებისა — სიმართლისა და სამართლიანობისა; გერმანული აზრის, გერმანული Gemüt-ისა, გერმანული ენისა, ერთადერთი ენისა, რომლისთვისაც უცნობია ნასესხობანი, ერთადერთისა, რომელმაც წმინდად შემოინახა თავი, როგორც თვით გერმანულმა რასამ. ეს იყო ჰიმნი გერმანულ ქალებზე, გერმანულ ღვინოზე, გერმანულ სიმღერაზე „გერმანია, გერმანია, სხვა ხალხებზე უფრო მძლავრ!“

კრისტოფი არ ეთანხმებოდა. ქალბატონი რაინჰარტი ხარხარებდა. სამივე ხმამაღლა ყვიროდა. მაგრამ ძალიან კარვად ესმოდათ ერთმანეთისა; სამივემ იცოდა, რომ კეთილი გერმანელები იყვნენ.

კრისტოფი ხშირად მოდიოდა სასაუბროდ. სადილობდა, სეირნობდა თავის ახალ მეგობრებთან ერთად, ლილი რაინჰარტი ანებიერებდა მას, მშვენიერ საქმელებს უმზადებდა: უხაროდა, რომ სტუმართან ერთად უფრო გემრიელი იყო საუზმე: კულინარიაც კი საბაბი იყო კრისტოფისადმი ყურადღების გამოსაჩენად. დაბადების დღეს კრისტოფს ლილიმ ტორტი გამოუცხო, ზედ ოცი სანთელი დაადგა, შუაში შაქრის მომცრო ფიგურა ჩაუდგა ბერძნულ სამოსში და ხელში თავიგული დააკავებინა. ეს იფიგენია უნდა ყოფილიყო. კრისტოფი თავით ფეხამდე გერმანელი იყო და გულითადი მეგობრობის ეს ნაკლებ დახვეწილი გამოვლინება მიიწეოდა მისზე.

რაინჰარტებმა მალე საესეებით დაუმტკიცეს კრისტოფს თავიანთი მეგობრობა. ქნარმა, რომელაც ვაჭრებთან ახერხებდა ნოტების კითხვას, ცოლს თხოვნით შეიძინა კრისტოფის Lieder-ების ოციოდე ეგზემპლარი (ეს პირველი იყო, როცა კრისტოფის თხზულებები გამოცემლის დუქნიდან გავიდა); სხვადასხვა ქალაქებში დაუგზავნა თავის უნივერსიტეტულ ამხანაგებს და გერმანიაში გაავრცელა. რამდენიმე ეგზემპლარი ლაიფციგისა და ბერლინის წიგნის მაღაზიებს დაუგზავნა, საიდანაც თვითონ სახელმძღვანელოებს იწერდა ხოლმე. ამ გულთბილ და გულუბრყვილო ცდას, რომლის შესახებაც კრისტოფმა არაფერი იცოდა, თავდაპირველად არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. სხვადასხვა მხარეს დაგზავნილ Lieder-ებს თითქოს მიწამ უყო პირი. არსაიდან არაფერი ისმოდა, რაინჰარტებიც, შეწუხებულნი ასეთი გულცივობით, კმაყოფილებიც კი იყვნენ, რომ კრისტოფს არაფერი უთხრეს, თორემ სინჯარულის ნაცვლად ნაღველს მოჰკვრიდნენ. მაგრამ სინამდვილეში უკვალოდ არაფერი იკარგება. ამის დასტური ყოველდღიურად იჩენს თავს. არც ერთი საქმე არ ჩაივლის ხოლმე უბრალოდ. ზოგჯერ წლების მანძილზე არაფერი ისმის და ერთ მშვენიერ დღეს კი აღმოჩნდება, რომ შენმა ნააზრევმა გზა გაიკაფა. კრისტოფის Lieder-ებმა იარეს, იარეს, და მიადწიეს მიყრუებულ მხარეში გადაკარგული ზოგიერთი კეთილი ადამიანის გულამდე, რომლებიც ან ძალიან რიდიანები იყვნენ, ან კიდევ თავი აოჰქონდათ, რომ რაიმე ეცნობებინათ.

მხოლოდ ერთმა მოიწერა წერილი. რაინჰარტის მიერ ამანათის გაგზავნიდან ორი თუ სამი თვის შემდეგ კრისტოფმა მიიღო ძველებურ ყაიდაზე დაწერილი, მხურვალე, ცერემონიებით სავსე, აღფრთოვანებული წერილი. იგი მოვიდა ტიურინგიის ერთი პატარა ქალაქიდან. ზედ ეწერა: „Universitätsmusikdirector-ი, პროფესორი, დოქტორი შულცი“.

ეს დიდი სიხარული იყო კრისტოფისათვის და კიდევ უფრო მეტი რაინჰარტებისათვის, როცა გულშევიწყობის გამო სამი დღე ჯიბეში ნადები წერილი კრისტოფმა მათი თანდასწრებით გახსნა. წერილი ერთად წაიკითხეს. რაინჰარტმა ცოლს გადახედა. კრისტოფს არაფერი შეუშინებია. იგი სახეგაბრწყინებულ იყო. მაგრამ უცბად რაინჰარტმა შეამჩნია, რომ კრისტოფი მოიღუშა და შუა გზაზე შეწყვიტა კითხვა.

— კი მაგრამ, რატომ გაჩერდი? — ჰკითხა მან.

(ისინი უკვე შენობით მიმართავდნენ ერთმანეთს).

გაბრაზებულმა კრისტოფმა წერილი მაგიდაზე დაავლო.

— არა, ეს უკვე მეტისმეტია! — წარმოთქვა მან.

— რა მოხდა?

— წაიკითხე!

მან ზურგი შეაქცია მაგიდას და წარბშეკრული დაქდა კუთხეში.

რაინჰარტმა და მისმა ცოლმა ერთად ჩაიკითხეს წერილი და ვერაფერი ნახეს, უზომო აღფრთოვანების გარდა.

— ვერაფერს ვხედავ, — თქვა შემფოთებულმა რაინჰარტმა.

— ვერ ხედავ? ვერ ხედავ? — შესძახა კრისტოფმა, წერილი გამოსტაცა და თვალბებთან მიუტანა. — შენ ხომ კითხვა არ იცი. ვერა ხედავ, რომ ისიც „ბრამინია“?

რაინჰარტმა მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ Universitätsmusikdirector-ი თავის წერილში ერთ ადგილას კრისტოფის Lieder-ებს ბრამსის სიმღერებს ადარებდა.

— მეგობარი! ბოლოს და ბოლოს ვიპოვე მეგობარი! და ის იყო, ძლივს ვნახე, რომ უკვე დავკარე კიდევ.

იგი აღშფოთებული იყო ასეთი შედარებით და თავის ნებაზე რომ მიეშვათ, რამე სისულელეს მისწერდა. ან კიდევ, საერთოდ, არაფერს უპასუხებდა და ჩათვლიდა, რომ მისი მხრივ ეს იქნებოდა თავშეკავებისა და დიდბუნებოვნების უმაღლესი გამოხატულება. საბედნიეროდ, კრისტოფის ასეთი გაცხარება რაინჰარტებს სასაცილოდ არ ეყოთ, ხელი შეუშალეს, უარესი სიბრძოლე არ ჩაედინა და რამდენიმე სამადლობელი სიტყვა მიაწერინეს. კარნახით დაწერილი ბარათი თავშეკავებული და ცივი გამოდგა. მაგრამ ამან ოდნავადაც არ გაანელა პეტერ შულციის ენთუზიაზმი. მან კიდევ ორი თუ სამი აღფრთოვანებული წერილი მოიწერა. კრისტოფი არ იყო წერილების წერის მოყვარული და თუმცა გულახდი-

ლობამ. შულციის ყოველ წინადადებაში რომ გამოსკვივოდა, შეარიგა თავის უცნობ მეგობარს, პასუხს მაინც არა სწერდა. შულციმაც იმით დაამთავრა, რომ დადუმდა. კრისტოფსაც აღარ გახსენებია იგი.

ახლა კრისტოფი ყოველდღე ნახულობდა რაინჰარტებს, ხშირად დღეში ორჯერაც კი. ისინი თითქმის ყოველ საღამოს ერთად ატარებდნენ. საკუთარ ფიქრებთან მარტო გატარებული დღის შემდეგ კრისტოფს უჩნდებოდა ფიზიკური მოთხოვნილება ელაპარაკნა, ეამბნა თავისი ფიქრები (თუნდაც ვერ გაეგოთ), ეცინა, მიზეზით იქნებოდა ეს თუ უმიზეზოდ, ოღონდ განტვირთულიყო და მოესვენა.

იგი მუსიკით ართობდა რაინჰარტებს. თავისი მადლიერების გამოსახატავად, რაკი სხვა საშუალება არა ჰქონდა, საათობით იჯდა როიალთან და უკრავდა. ქალბატონ რაინჰარტს მუსიკისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ კრისტოფის ხართით თავს იკატუნებდა და ინტერესით უსმენდა. არც რაინჰარტი იყო უფრო ჩახედული მუსიკაში, მაგრამ ზოგიერთი ადგილი პირდაპირ ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენდა მასზე. ხანდახან ცრემლსაც ვერ იკავებდა, თუმცა ასეთი რამ სისულელედ მიაჩნდა. საერთოდ კი ეს მისთვის უბრალო რახარუხი იყო. მოწონებით მაინცდამაინც ის მოსწონდა, რაც ცუდი იყო ამ ნაწარმოებებში — არაფრისმთქმელი პასაჟები. ორივე თავს ირწმუნებდა, კრისტოფისა გვესმისო. კრისტოფსაც უნდოდა, დაეჯერებინა ეს. ზოგჯერ დაუდევარი უნინ წამოთუვლიდა რაინჰარტების აბუჩად აგდებისა, მახეს დაუგებდა, დაუკრავდა ყოველგვარი აზრისაგან დაცლილ აბდაუბდას, რაღაც პოპურის და საკუთარ ნაწარმოებად მოაჩვენებდა. შემდეგ კი, ქება-დიდებას რომ შეასწამდნენ, ოინში გამოტყუებოდა. ამიტომ ისინი ფრთხილად იყვნენ. და როცა კრისტოფი თავმოწონედ ნიუჯდებოდა ხოლმე ინსტრუმენტს, რომ დაეკრა რამე, ცოლ-ქმარი ახალ მზაკვრობას ეტლოდა; იწყებოდა კრიტიკა. კრისტოფი ჯერ აცლიდა, კვერს უკრავდა — ეს მუსიკა არაფრად ვარგაო და უცბად ატეხდა სიცილს:

— რა ცრუპენტელები ხართ! როგორ მიმიხვდით!.. ეს ჩემი დაწერილია! ოინი თუ გაუმართლებდა, ბავშვივით ხარობდა. გულმოსული ქალბატონი რაინჰარტი წკიპურტს უთავაზებდა, მაგრამ კრისტოფი ისე გულიანად იცინოდა, რომ ცოლ-ქმარიც აპყვებოდა ხოლმე. უცოდველად არც მათ მიაჩნდათ თავი; საითაც გაიქცნენ, იქითაც წაიქცნენ. გადაწყვიტეს, ლილის ყველაფერი გაეკრიტიკებინა, ქმარს კი ყველაფერი ექო. ეპვი არ ეპარებოდათ, ერთ-ერთი მაინც მუდამ მივალწევთ მიზანსო.

კრისტოფის მუსიკოსობაზე უფრო მეტად ცოლ-ქმარს მისი კარგი პიკობა იზიდავდა. კრისტოფი ცოტა უცნაური კი იყო, მაგრამ — ალალი იყო და მზიარული. თუ რამეს ცუდს გაიგებდნენ მასზე, ეს ცუდი, პირიქით, კეთილად განაწყობდათ ხოლმე კრისტოფისადმი. თვითონაც ხომ ამ პატარა ქალაქის ატმოს-

დეროში ეხუთებოდნენ, თვითონაც ხომ ალალები იყვნენ და თავისი ჭკუით ცხოვრობდნენ, ამიტომ კრისტოფსაც ისე უტყვებდნენ, როგორც დიდ ბავშვს, ცხოვრებაში მოუხერხებელს და ალალი ხასიათის მსხვერპლს.

თავისი ახალი მეგობრების მიმართ კრისტოფს მაინცდამაინც დიდი ილუზიები არ ჰქონდა. იგი, ცოტა არ იყოს, წუხდა, რომ ესენი მისი გულის ნადებს ვერა ხვდებოდნენ და ვერც ვერასოდეს მიუხვდებოდნენ, მაგრამ მეგობრობას ისე იყო დანატრებული და ისე სჭირდებოდა, რომ უსაზღვროდ მადლობელი იყო. ბოლო წლის გამოცდილებამ კრისტოფი გონს მოაგო: თავის თავს წუნიობის უფლებას აღარ აძლევდა. ორიოდე წლის წინ ამდენ მოთმინებას არ გამოიჩენდა. ახლა სინდისის ქენჩნით, დაცინვით იხსენებდა თავის გულცივობას კეთილი, მაგრამ უნიათო ოილეებისადმი, ეჰ! ახლა კი ისწავლა ჭკუა!.. კრისტოფმა ამოიოხრა.

— კი მაგრამ, რამდენი ხნით? — იკითხა იღუმალმა ხმამ.

ამან ღიმილი მოჰგვარა კრისტოფს და დაამშვიდა.

ვინ იცის, რას არ იზამდა, ერთი მეგობარი რომ ჰყოლოდა. ერთადერთი, ვინც გაუგებდა და მის სულიერ სამყაროს გაიზიარებდა. ახალგაზრდა იყო, მაგრამ კარგად იცნობდა ადამიანებს, იცოდა, ასეთი სურვილი ძნელი ასახდენი-ასეთი ბედი იშვიათად თუ რგებია მის წინამორბედ ჭეშმარიტ ხელოვანს. თვითონაც ძალიან ნაკლები უფლებები ჰქონდა ასეთი ბედნიერებისათვის. მან ზოგი რამ იცოდა ამ ხელოვანთა ცხოვრებიდან. რაინჰარტის ბიბლიოთეკის წიგნებიდან წიგნები. რა საშინელი განსაცდელი გამოიარეს XVII საუკუნის გერმანელმა მუსიკოსებმა, რა მედგარი სულიერი სიმშვიდე გამოიჩინეს, განსაკუთრებით კი დევგმირმა შიუცმა, რომელიც განუხრებლად მიდიოდა თავისი გზით, როცა გარშემო ქალაქები ცეცხლის აღში იყო ვახვეული, ჟამიანობა მუსრს ავლებდა მთელ პროვინციებს, სამშობლო მტრის ხელთ იყო და ევროპის ყოველი კუთხიდან შემოსული ურდოების ფეხქვეშ ითლებოდა. კიდევ უფრო საშინელი იყო არსებული, დაუძლეობელი და წელში გაწყვეტილი სამშობლო. მას აღარც ბრძოლა ილაჯი ჰქონდა. გულგრილობას აეტანა და მხოლოდ სიმშვიდესღა ნატრობდა. „როცა თვალწინ ასეთი მაგალითი გაქვს, — ფიქრობდა კრისტოფი, — წუწუნი სირცხვილია. მსმენელი მათ არ ჰყავდათ და მომავალი მათ არ ჰქონდათ: წერდნენ თავისთვის და ღმერთისთვის. რაც არ უნდა მომხდარიყო, მაინც არ კარგავდნენ თავიანთ უძლეველ გულკეთილობას; კმაყოფილებდნენ სიმღერების თხზვით. ხოლო ცხოვრებას მცირეოდენსა სთხოვდნენ: სიცოცხლეს, ლუკმაპურის მოპოვების საშუალებას, ბგერებში ფიქრების გადატანას, ორი-სამი პატიოსანი, უბრალო და ალალი კაცის ნახვას, თუნდაც ხელოვანი ნუ იქნებოდა, თუ გაგებით ვერ გაუგებდნენ, ჭეშმარიტად მაინც ეყვარებოდათ ერთმანეთი: აბა, ვინ გაბედავდა მეტი მოთხოვნილების წამოყენებას? მხოლოდ რაღაც მცირე წილი ბედნიერებისა კაცმა შეიძლება მოითხოვოს, მეტის უფლება არავისა აქვს. დანარჩენი საკუთარ თავს მოსთხოვეთ. სხვას მას ვერ მოსთხოვ“.

ამ ფიქრებზე გულს ნათელი ეფინებოდა და უფრო მეტად უყვარდა თავი-
სი კეთილი მეგობრები, რაინჰარტები. მას აზრადაც არ მოსვლიდა, რომ ამის წარ-
თმევასაც დაუპირებდნენ.

კრისტოფს არ გამოჰპარვია, რომ ეს პატარა ქალაქი ღვირძლით იყო სავსე.
ღვირძლი ჯიუტია, რამეთუ უმზინოა. ნამდვილი სიძულელი, რომელმაც იცის,
რა უნდა, დაცხრება ხოლმე, მიზანს რომ მიაღწევს. მაგრამ ვინც უსაქმურობი-
საგან ჩადის სიავეს, არასოდეს იარაღს არ დაყრის, რადგან მუდამ უსაქმურია.
ასეთებისათვის კრისტოფი შესანიშნავი სამიზნე იყო. აკი სძლიეს კიდეც. კრის-
ტოფი არაფერს იმჩნევდა. ახლა ის აღარავის აწუხებდა, თვითონაც არავინ ენაღ-
ვლებოდა. არავის არაფერსა სთხოვდა, არც ვინმე ედავებოდა რამეს. ის კმაყო-
ფილია თავისი ახალი მეგობრებისა და სხვის ნათქვამსა და აზრს არაფერად და-
გიდევთ. ამის ატანა კი აღარ იქნებოდა. კიდეც უფრო აუტანელი იყო ქალბატო-
ნი რაინჰარტი. კრისტოფთან მისი მეგობრული დამოკიდებულება, რასაც განსა-
კუთრებით უსვამდა ხაზს მთელი ქალაქის დასანახად, საზოგადოებრივი აზრის-
თვის გამომწვევად მიიჩნეოდა. კეთილი ლილი რაინჰარტი არავის არ იწვევდა;
აზრადაც არ მოსვლია ვინმეს გაღიზიანება. აკეთებდა იმას, რაც სიკეთედ მიიჩნ-
და და სხვებისათვის ამის უფლება არ უთხოვია. და, სწორედ ეს იყო უბორო-
ტესი გამომწვევა.

ყოველ მათ მოქმედებას უთვალთვალდნენ. არც ისინი ფრთხილობდნენ.
ერთი მეოცნებე იყო, მეორე — გონებადაბნეული. არაფერს ისინი არა მალავდ-
ნენ არც ქუჩაში ერთად ყოფნის დროს, არც შინ, როცა საღამოს აივანზე გად-
მოყუდებულნი საუბრობდნენ და იცინოდნენ. ერთმანეთთან ურთიერთობაში
დასაშვებად მიიჩნდათ გარკვეული ფამილიარობა; ეს კი ცილისწამების საბაბი
გახდა.

ერთ დღეს კრისტოფმა ანონიმური წერილი მიიღო. აქ მის მიმართ შეუ-
რაცხემყოფელი სიტყვები იყო ნახმარი და ქალბატონ რაინჰარტის საყვარლობა
ჰბრალდებოდა. კრისტოფს ძალა წაერთვა. მას უბრალო ფლირტიც კი არ მოსვ-
ლია აზრად. კრისტოფი ძალიან პატიოსანი იყო, სასტიკად ეშინოდა ცოლქმრუ-
ლი ერთგულების დარღვევისა და ამ ბინძური აზრის მარტო გაფიქრებაც კი
ზიზღს ჰგვრიდა. მეგობრისათვის ცოლის წართმევა დანაშაულად მიიჩნდა; ლილი
რაინჰარტს კი ყველაზე ნაკლები შანსი ჰქონდა იმისა, რომ კრისტოფს ეს ჩაედი-
ნა. საწყალი ქალი არც ლამაზი იყო და ამიტომ კრისტოფს საბაბიც არ ექნებოდა
გატაცებისათვის.

მეგობრებთან კრისტოფი დარცხვენილი და დაბნეული მივიდა. ისინი არა-
ნაკლებ შეცბუნებულნი დახვდნენ. ცოლსაც და ქმარსაც ცალ-ცალკე მიეღოთ
წერილები, მაგრამ ერთიმეორისათვის ვერ გაუმხილათ. სამივე ერთიმეორეს
უთვალთვალბდა და საკუთარ თავსაც აკვირდებოდა. ვერც ადგილიდან იძე-

როდნენ, ვერც ხმა გაცეათ ერთმანეთისათვის და რაღაც სისულელეებს სჩადი-
ოდნენ. და თუ ერთი წუთით მაინც იძალებდა ლილი რაინჰარტის ბუნებრივი
უდარდელობა. გაიცინებდა ან რამე სისულელეს იტყოდა, საკმარისი იყო თვალი
შეეკლო ქმრის ან კრისტოფის მზერისათვის, უმალ დადუმდებოდა: მაშინვე წე-
რილი ვახსენდებოდა და შეკრთებოდა. კრისტოფიც და რაინჰარტიც შეკრთე-
ზოდნენ. ყველა საგონებელში იყო: — ნეტავ, თუ რამე იციან მათო.

მაგრამ ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ და ცდილობდნენ ძველებუ-
რად ეცხოვრათ.

ანონიმური წერილები კი მოდიოდა და მოდიოდა. ადრინდელზე უფრო შე-
ურაცხყოფელი და უწმაწური. მეგობრები აუტანელ სირცხვილში ჩავარდნენ,
სულიერი მოსვენება დაკარგეს. წერილს რომ მიიღებდნენ, იმალებოდნენ, ძალა
არ ჰყოფნიდათ, წაუკითხავად ცეცხლში ჩაეგდოთ. წერილებს ხელის კანკალით
ხსნიდნენ. გულები უფანცქალებდათ. და როცა წაიკითხავდნენ იმას, რისიც ასე
ეშინოდათ, იმავე თემაზე შექმნილ ახალ ვარიანტებს, ბილწი გონების შეთხზულ
სახიზღარ ცილისწამებას — ჩუმად ტიროდნენ. სამივე ცდილობდა, გამოეცინა,
ვის უნდა ყოფილიყო ის გარეწარი, ასე რომ ერჩოდა მათ.

ერთ დღეს ქალბატონმა რაინჰარტმა მეტს ველარ გაუძლო და ქმარს უიმბო
თავისი განსაცდელი. ცრემლმორეული ქმარიც თავის ვასაჰირს მოჰყვა. ეთქვათ
თუ არა კრისტოფისათვის? ვერ ბედავდნენ. მაგრამ უნდა ეცნობებინათ, რომ
ფრთხილად ყოფილიყო. აღმურმოდებული ქალბატონი რაინჰარტი, როგორც
კი ამაზე კრინტი დასცდა კრისტოფთან, მაშინვე მიხვდა, რომ წერილები მასაც
მოსდიოდა. ასეთმა ვერაგულმა მტრობამ მთლად დააბნია ისინი. ქალბატონ რა-
ინჰარტს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ეს ამბავი მთელმა ქალაქმა იცოდა, იმის
ნაცვლად, რომ მაგრად დამდგარიყვნენ, სულ მთლად დაყარეს ფარ-ხმალი. რა
უნდა ქნან? კრისტოფი იმუქრებოდა, ვილაცას თავს გაეუტეხავო. მაგრამ ვის?
ეს ხომ მხოლოდ გაახარებდა ცილისმწამებლებს! პოლიციას ამცნონ წერილების
ამბავი? მაშინ ხომ ქვეყანამ გაიგო. ყურადღება არ მიაქციონ? ეს უკვე შეუძ-
ლებელია. მათი მეგობრობა ირღვეოდა. რაინჰარტი სრულიად დარწმუნებული
იყო თავისი მეუღლისა და კრისტოფის სიწმინდეში, მაგრამ თავისდა უნებუ-
რად ეჭვიანობა დაიწყო. მან იცოდა, რომ დამამცირებელია და უაზროა მისი
ეჭვები. ის განგებ ერთად ტოვებდა ხოლმე კრისტოფსა და თავის ცოლს, მაგრამ
ძალიან განიცდიდა და ცოლი ამას კარგად ხედავდა.

არც ლილი იყო უკეთეს დღეში. მას არასოდეს აზრად არ მოსვლია კრის-
ტოფთან ფლირტის გაბმა. მაგრამ ცილისმწამებლებმა ჩაუნერგეს სულელური
აზრი. კრისტოფი იქნებ ჩემზე მართლაც შეყვარებულიაო. და თუმცა კრისტოფს
არასოდეს შესტყობია, რომ შეყვარებულია, ლილიმ მაინც საჭიროდ დაინახა
თავის დაცვა, ოღონდ არა პირდაპირ ლაპარაკით, არამედ ქარავმებით. თავდა-
პირველად კრისტოფი ვერაფერს ხედავდა. როცა მიხვდა, ბრანით აღარ იცოდა,
რა ექნა. რა სისულელეა! პირდაპირ ტირილი მოგინდება კაცს! რა შეაყვარებდა

ამ გულკეთილ მეშჩანკას, შეუხედავსა და ბრეყს? რომ სჯვრა კიდევ! არადა, კრისტოფს თავის დაცვა არ შეეძლო: ვერც ცოლს ეტყოდა, ვერც ქმარს: — გეყოფათ! დამშვიდდით, საშიში არაფერიაო.

ან კი როგორ აწყენინებდა ამ კეთილ ადამიანებს. ამასთან ერთად კრისტოფი ფიქრობდა, თუ ლილი ჩემი სიყვარულისაგან იცავს თავს, ალბათ, იმიტომ, რომ თვითონ არის ჩემად ჩემზე შეყვარებულიო. ანონიმურმა წერილებმა დადებითი შედეგიც გამოიღეს, კრისტოფს ეს სულელური და რომანტიკული აზრი ჩააგონეს.

მძიმე და სულელური მდგომარეობა შეიქნა, ასე გაგრძელება აღარ იქნებოდა. ენაკვიმატ ლილი რაინჰარტს სრულებით არ აღმოაჩნდა მტკიცე ხასიათი. მთელი ქალაქის ამ ფარულმა მტრობამ მთლად გონება დაუკარგა. ცოლ-ქმარი ყველაფერს იმიზეზებდა, რომ კრისტოფს აღარ შეხვედროდა. „ქალბატონი რაინჰარტი შეუძლოდ არის... რაინჰარტი დაკავებულია... ქალაქიდან არიან გასულნი რამდენიმე დღით“.

ყოველივე ეს უსუსური ტყუილი იყო და მუდამ მოკლე ფეხი ჰქონდა.

კრისტოფმა გულახდილად უთხრა ცოლ-ქმარს:

— დაეშორდეთ ერთიმეორეს, ჩემო საწყალო მეგობრებო, ჩვენ უძლურები ვყოფილვართ.

რაინჰარტებმა იტირეს, მაგრამ დაცილების შემდეგ შეება იგრძნეს.

ქალაქს შეეძლო სიხარულით ცასა სწეოდა. ამჯერად კრისტოფი მთლად მარტო დარჩა. ჰაერის უკანასკნელი მოძრაობაც კი გამოაცალეს ხელიდან — უბრალო მეგობრული ურთიერთობა, ურომლისოდაც ვერავეთარი გული ვერ გაძლებდა.

გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ზ ა

კრისტოფს აღარავინ ჰყავდა. მეგობრები გამქარალიყვნენ. საყვარელი გოტფრიდი, იმიმე საათებში რომ მოვიდა მის საშველად და ახლაც ძალიან სჭირდებოდა. უკვე რამდენიმე თვეა წასული იყო და თან სამუდამოდ. შარშან ზაფხულის ერთ საღამოს შორეული სოფლიდან მოსულმა, მსხვილი ხელით ნაწერმა ბარათმა ლუიზას ამცნო, რომ მორიგი ჩამოვლის დროს გარდაცვლილიყო მისი ისედაც ავადმყოფი ძმა, ერთი მოხეტიალე ვაჟარი. იმ სოფლის მიწისთვის მიეზარებინათ, სადაც გარდაიცვალა. კრისტოფისათვის საიმედო ეს უკანასკნელი ვაჟაკური და ხალასი მეგობრობაც ბნელეთმა შთანთქა. ის დარჩა მოხუც და მისი აზრებისადმი ინდიფერენტულ დედასთან ერთად. ლუიზას მხოლოდ უყვარდა კრისტოფი, მისი კი არ ესმოდა. კრისტოფის ირგვლივ გადაშლილი იყო თვალუწვდენელი გერმანული ველი, პირქუში ოკეანე. აქედან თავის დაღწევის ყოველ ცდაზე ის უფრო ღრმად ეფლობოდა, მტრულად განწყობილი ქალაქი მის დახრჩობას შეჰყურებდა.

და როცა თავის გადარჩენას ლამობდა. ირგვლივ ჩამოწოლილ უკუნ სიბნელეში ელვასავით გამოკრთა ჰასლერის ხატება; ბავშვობიდან მისი საყვარელი დიდი მუსიკოსისა. სახელი მისი ახლა მთელ გერმანიაში ქუხდა. გაახსენდა ჰასლერის მიერ ოდესღაც მოცემული პირობა და უმალ ჩაებლაუჭა სასოწარკვეთით. ჰასლერს შეეძლო კრისტოფის გადარჩენა! ჰასლერს უნდა გადაერჩინა იგი! განარასა სთხოვდა? არც შევლას, არც ფულს, არც მატერიალურ დახმარებას. არაფერს, მხოლოდ თანაგრძნობას. ეს იყო და ეს. ჰასლერსაც ხომ მასავით სდევნიდნენ. ჰასლერი თავისუფალი კაცია. ის ადვილად გაუგებდა თავისუფალ კაცს, რომელსაც დევნით და გასრესით ემუქრება გერმანული სიმძარე. განაორივე ერთი საქმისათვის არ იბრძვის?

ჩანაფიქრის განხორციელება აღარ დაუყოვნებია. დედა გაათრთხილა ერთი კვირით მივიდვიარო, იმავე საღამოს მატარებელში ჩაჯდა და მიაშურა ჩრდილოეთ გერმანიის ერთ დიდ ქალაქს, სადაც ჰასლერი Kapellmeister-ად იყო. მეტის მოცდა აღარ შეეძლო. ეს ამოსუთნქვის უკანასკნელი ცდა იყო.

ჰასლერი საქვეყნოდ იყო ცნობილი. მის მტრებს ჯერაც არ დაეყარათ იარაღი, ხოლო მეგობრები გაიძახოდნენ — იგი აწმყოს, წარსულისა და მომავლის უდიდესი მუსიკოსიაო. მაქებარნიც და მაგინებელნიც ერთნაირი ბრძოლები იყვნენ. თვითონ კი, ცოტა არ იყოს, წრთობა აკლდა. ქება ანებივრებდა, კრიტიკა კი აცოფებდა. მთელ ენერგიას იმაზე ხარჯავდა, უსიამოვნება მიეყენებინა კრიტიკოსებისათვის. ძალღებვივით აყუფებდა. ქუჩის ბიჭვივით ათასგვარ ოინებს აწყობდა. ძალიან ხშირად ეს ოინები ერთობ საზიზღარი იყო: თავის ტალანტს მუსიკალური ოინზაზობების თხზვაზე ხარჯავდა. უხუცესთ თმები ყალყზე უღებოდათ. ჰასლერი უცნაურ ტექსტებს და სიუჟეტებს, ორაზროვან და ზოგჯერ უწმარურ სიტუაციებს არჩევდა, თითქოს იმისათვის, რომ სალი გონება და ჩვეულებრივი ზრდილობა შეურაცხეყო. იგი ხარობდა, როცა ბურჟუები ცოფებსა ყრიდნენ. არც ბურჟუები იშლიდნენ თავისას. თვით იმპერატორსაც კი, რომელიც მეტიჩრებისა და უფლისწულებისათვის ჩვეული მოურიდებელი თავდაჯერებით ერეოდა ხელოვნებაში, ჰასლერის წარმატება სახალხო სკანდალად მიიჩნდა. შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ ამ თავზეხელაღებული ნაწარმოებების მიმართ თავისი გულგრილობა გამოეხატა. მისი უდიდებულესობის ოპოზიცია, რომელიც მოწინავე გერმანული ხელოვნებისათვის ლამის კურთხევა იყო, კიდევ აწრისხებდა და კიდევ ახარებდა ჰასლერს. ის უფრო გულმოდგინედ განაგრძობდა შუშების მსხვრევას. ყოველ ახალ სისულელეზე მეგობრები გაოგნებულები შესძახოდნენ, გენიოსი ხარო.

ჰასლერის მომხრეებს ძირითადად შეადგენდნენ დეკადენტი ლიტერატორები, მხატვრები და კრიტიკოსები. ისინი მართლაც მედგრად ებრძოდნენ რეაქციას, მლიქვნელობას და სახელმწიფო მორალს, ჩრდილო გერმანიის ამ მუდმივ ხიფათს. მაგრამ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს, თავისდაუნებურად, სასაცილო და უკიდურეს მდგომარეობაში ვარდებოდნენ. და თუ ბევრი მათგანი მოკლებული არ იყო თავისებურ ნიჭს, სამაგიეროდ, ჰკუა მინც აკლდათ და გემოვნება ხომ სულ არა ჰქონდათ. ხელოვნურად შექმნილი ატმოსფეროდან ევლარ გამოდიოდნენ. როგორც ყოველ სექტას, მათაც დაკარგული ჰქონდათ რეალობის გრძნობა. ისინი კანონებსა ქმნიდნენ საკუთარი თავისა და რამდენიმე ასეული ბრძევისათვის. ეს ბრძევები მათ ჟურნალებს კითხულობდნენ, პირდაღებულნი ისმენდნენ და ყოველივე სწამდათ, რასაც კი ეუბნებოდნენ. ამ ხალხის მლიქვნელობა ჰასლერისათვის დამღუპველი აღმოჩნდა და სრულიად დაუკარგა მომთხოვნელობის გრძნობა. მუსიკალურ იდეებს ის აღარ უფიქრდებოდა. ხედებოდა კი, რომ მისი ქმნილებები მისსავე შესაძლებლობებზე დაბლა იდგნენ, მაგრამ დასძენდა, ისინი უფრო მაღლა დგანან, ვიდრე სხვა მუსიკოსების ნაწარმოებებიო. ეს აზრები ხშირად ძალიანაც მართალი იყო ხოლმე, მაგრამ მინც ხელს ვერ უწყობდნენ შედეგების შექმნას. გულის სიღრმეში ჰასლერი მტერსაც და მოყვარესაც ზიზღით უცქერდა. ამ ზიზღს იგი ავრცელებდა საკუთარ თავზეც და მთელ ცხოვრებაზეც. ჰასლერი მით უფრო ეფლობოდა ირონიულ

სკეპტიციზმი, რამდენადაც რწმენას კარგავდა ადრინდელი კეთილშობილური და გულუბრყვილო იდეების მიმართ. ეპითასვლის დამანგრეველი ზემოქმედებისაგან მათ დასაცავად ძალა არ ჰყოფნიდა. მაგრამ იმდენად პირფერი არ იყო, რწმენად გამოეცხადებინა ის, რაც არა სწამდა და წარსულის მოგონებები გაემსხარავებინა. ჰასლერს სამხრეთ ვერმანელის ბუნება ჰქონდა. უდარდელი მეოცნებე იყო. ცუდად იტანდა დიდ წარმატებას თუ დიდ მარცხს, სიცხესა თუ სიცივეს და წონასწორობის შესანარჩუნებლად ნორმალური ტემპერატურა სჭირდებოდა. ის შეუმჩნევლად მიეცა ცხოვრებისეული სიკეთეებით პასიურ ტკობას; შეუყვარდა გემრიელი საჭმელი, მაგარ-მაგარი სასმელები, უსაქმოდ ყოფნა და ფუჭი ოცნებები. ეს მის ნაწარმოებებსაც დაეტყო. მაგრამ ჰასლერი ერთობ ნიჭით იყო მომადლებული და გენიის ნაბერწყლები ისეც კიაფობდნენ ნაჩქარევ და მოდურ გემოვნებაზე შექმნილ ნაწარმოებებში, ჩავარდნას მასზე უკეთ ვერაფერს გრძნობდა. უფრო სწორად, იგი ერთადერთი იყო, ვინც ამას გრძნობდა და უმალ თავიდან იშორებდა ამ ფაქტებს. და მაშინ ეუფლებოდა კაცთმოძულება. იპყრობდა ნაღველი, იწყებდა საკუთარ თავზე და ჭანმრთელობაზე ზრუნვას და გულგრილად უტკებდა ყოველივეს, რაც ადრე აღფრთოვანებას და სიძულვილს ჰკვირიდა.

ასეთი იყო კაცი, ვისთანაც ჟან-კრისტოფს შველა უნდა ეძია. რა იმედით ჩამოვიდა კრისტოფი ცივ და წვიმიან დილას ქალაქში, სადაც ცხოვრობდა მისთვის ხელოვნებაში დამოუკიდებელი სულის სიმბოლო? მეგობრულ და გამამხნეველ სიტყვებს მოელოდა. ეს საშუალებას მისცემდა განეგრძო უმადური, მაგრამ ყოველი ჰეშმარიტი ხელოვანისათვის აუცილებელი ბრძოლა გარე სამყაროსთან. ებრძოლა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, არასოდეს დაეყარა იარაღი, რადგან შილერის თქმისა არ იყოს, ადამიანებთან ურთიერთობის ერთადერთი საშუალება, რომელიც არასოდეს დაგრჩება სანანებელი, არის მათთან ომი.

კრისტოფს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა. ბარგი პირველსავე მახლობელ სასტუმროში დატოვა და თეატრში გაიქცა ჰასლერის მისამართის გასაგებად. ჰასლერი ქალაქის ერთ გარეუბანში ცხოვრობდა, ცენტრიდან საკმაოდ მოშორებით. კრისტოფი ტრამვაიში იჯდა და გემრიელად შეექცეოდა პურის ნაჭერს. გულისცემა თანდათან გაუხშირდა.

უბანში ახალი, უცნაური არქიტექტურის სახლები იდგა. აქ მოჩანდა ახალგაზრდა ვერმანის აკადემიური ბარბაროსობა. იგი თავს არა ზოგავდა, რომ გენიალური ყოფილიყო. სრულიად ჩვეულებრივ, სწორ და უსახურ ქუჩებიდან ქალაქში შეცრად გამოჩნდებოდა ეგვიპტური სამარხები, ნორვეგიული შალეები, მონასტრები, ციხე-სიმაგრეები, მსოფლიო გამოფენის პავილიონები, მუცლიანი, ჭუჭასავით დაბალი სახლები. ყველა ეს დამშვენებული იყო უსიცოცხლო ფასადებით და ვეება თვალით, ციხის ცხაურებზე, რკინის სახელურებიანი მძიმე

კარებით, წყალქვეშა ნაევებს რომა აქვთ, ცხაურიანი ფანჯრების ძელებზე მოოქროვილი იღუმალი წარწერებით, კარის თავზე გამოსახული ცეცხლისმფრქვეველი დრაკონებით, უადგილო ადგილზე ჩასმული მაიოლიკის ლურჯი ფილებით, კრელი მოზაიკით გამოყვანილ ადამისა და ევას გამოსახულებით, ფერადი კრამიტის სახურავებით. კბილანებით თავდადგმული, მანჩი ცხოველებით მოხატულსახურავებიანი ციხე-კოშკები ცალ მხარეზე სრულიად უფანჯრო იყო, მეორეზე კი ჭრილობასავით პირდადებული უამრავი კვადრატული თუ სწორკუთხა ხერელები ჰქონდა, აქვე იყო მაღალ და შიშველ კედლებზე გადმოკიდებული კარიტიადებით შეყუდებული ნიბელუნგური ტიპის ცალფანჯრიანი მასიური აივნები; აივნების ქვის მოაჯირებში წოწოლა თავგამოყოფილი, წვეროსანი, გაბანჯგლული მოხუცები, ბიოკონის თევზ-კაცები მოჩანდა. ერთი ასეთი ციხის ფრონტონზე, ერთსართულიან დაბალ შენობაზე, რომელიც ფარაონის საცხოვრებელსა ჰგავდა და კართან ორი შიშველი გიგანტი ედგა, არქიტექტორს მიეწერა:

„ხელოვანმა უნდა აჩვენოს თავისი სამყარო,
რომელიც არასოდეს არსებულა, არც არასოდეს იარსებებს“
Seine Welt zeige der Künstler
Die niemals war, noch jemals sein wird!

ჰასლერზე ფიქრით შეპყრობილი კრისტოფი შეშლილი თვალებით უცქერდა ყოველივეს. მან იბოვა სახლი, რომელსაც ეძებდა. ეს იყო ერთი უბრალო, კაროლინგების სტილის სახლი. შიგ კრელი და ბანალური ფუფუნება სუფევდა; გახურებული კალორიფერისაგან კიბეზე სულსშემხუთავი სიცხე იდგა. ვიწრო ლიფტზე კრისტოფმა უარი თქვა, რომ დრო მოეგო და შეხვედრისათვის მომზადებულიყო. ნელი ნაბიჯით მიიწევდა მესხეთე სართულისაკენ, მუხლები ეკეცებოდა, გული უცემდა. ამ წუთებში გუშინდელივით დაუდგა თვალწინ თავისი პირველი შეხვედრა ჰასლერთან, ბავშვური აღფრთოვანება, მოხუცი ბაბუას სახე.

თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა კარზე დარეკა. კარი *Serva padrona*-ს¹ ტიპის ყოჩაღმა მსახურმა გააღო, მოურიდებლად შეათვალიერა სტუმარი და გამოუცხადა: — ბატონი ვერ მიგიღებთ, დალილიაო. მაგრამ კრისტოფს სახეზე ისეთი გულუბრყვილო უიმედობა გამოეხატა, მსახურს გაეღიმა; თავიდან ფეხამდე კარგად რომ შეათვალიერა, მოლბა, კრისტოფი ჰასლერის კაბინეტში შეიყვანა და შეჰპირდა, ყველაფერს გვაკეთებ, რომ ბატონმა მიგილოთო. მერე ერთი კიდევ შეხედა კრისტოფს და კარი გაიხურა.

კედლებზე რამდენიმე იმპრესიონისტული ნახატი და თამამი შინაარსის XVIII საუკუნის ფრანგული გრავიურა ეკიდა: ჰასლერს ყოველგვარი ხელოვნე-

¹ *Serva padrona* — მსახური — ქალბატონი (იტალიური).

ბის ჯკოდნედ მოქონდა თავი. მას ერთნაირად მოსწონდა მანეცა და ვატოც — ასე იყო მიღებული მის წრეში. ასეთივე შერეული სტილი შეიმჩნეოდა ავეჯეულ-ლობაშიც: ლუი XV სტილის მშვენიერი საწერი მაგიდა, გარშემო კი ახალი სტილის სავარძლები და აღმოსავლური ტახტი, რომელზეც ქრელ-ქრელი ბალიშები ელაგა. კარებში სარკეები იყო ჩასმული. ეტაჟერები და ბუხრის თავი, რომელზეც ჰასლერის ბიუსტი იდგა, იაპონური ნივთებით იყო დახუნძლული. მაგიდაზე მდგარი თასი სავსე იყო მომღერალი ქალების, თაყვანისმცემლების და მეგობრების საოხუნჯო თუ აღფრთოვანებული წარწერებიანი სურათებით. საწერ მაგიდაზე აუწერელი უწესრიგობა იყო; როიალი ღია. ეტაჟერები — მტვრით დაფარული. ყოველ კუთხეში სიგარეტების ნამწვავები ეყარა.

მეზობელი ოთახიდან კრისტოფს ბუზლუნი მოესმა. მას მსახური ქალი შეეპასუხა. ეტყობოდა, ჰასლერი დიდად აღფრთოვანებული არ იყო ამ ვიზიტით. ისიც ცხადი გახლდათ, რომ ქალს გადაწყვეტილი ჰქონდა ჰასლერის გამოყვანა და დაინებით ლაპარაკსაც არ ერიდებოდა. მისი მჭახე ხმა კედელში აღწევდა. ამ ქალის ზოგიერთ შენიშვნაზე კრისტოფი შეიშმუნა კიდევ. მაგრამ თვით ჰასლერზე ამას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. პირიქით! კაცი იფიქრებდა, ერთობა ამ გაბედული შენიშვნებითო. ჰასლერი ბუზლუნს განაგრძობდა, დასცინოდა და აქეზებდა. ბოლოს კარმაც გაიჭრიალა. გაისმა ბუზლუნი და ფეხების ფლატუნი.

ჰასლერი შემოვიდა. კრისტოფს გული შეეკუმშა. მან იცნო იგი. ღმერთო, ნეტავ არ ეცნო! ეს ჰასლერი იყო და არც იყო. იგივე უნაოჰო დიდი შუბლი, ბავშვივით უნაოჰო სახე. მაგრამ გამელოტებული, დაჯირჯეებული, გაყვითლებული და ნამძინარევი; ქვედა ტუჩი ცოტა დაჰკიდებოდა, სახეზე უქმაცოფილება ეტყობოდა. წელში ოდნავ მოხრილიყო, ხელები მოჩაჩული ზედა კაბის ჯიბეში ჩაეწყო და ფაჩუჩებს მოაფლატუნებდა. შარვალი მოჩაჩული ჰქონდა, პერანგი ამოსჩაჩოდა. ჰასლერმა ნამძინარევი თვალებით შეხედა კრისტოფს. მის გამოხედვაში მაშინაც კი არაფერი შეცვლილა, როცა ახალგაზრდა კაცმა თავისი გვარი წაილულულა. იგი ავტომატურად მიესალმა კრისტოფს, თავით უჩვენა სავარძელზე, ოხვრით დაეშვა ტახტზე და ზურგში ბალიშები შემოიწყო. კრისტოფმა გაიმეორა:

— მე უკვე მქონდა პატივი... თქვენ ერთობ კეთილი... მე კრისტოფ კრაფტი გახლავართ...

ჰასლერი ბალიშებში ჩაეფლო. გრძელი ფეხები ერთიმეორეზე გადაიდო, ნარჯენა მქელს თავისი ხმელი ხელები შემოაქუდო, ნიკაძან მიიტანა და წარმოთქვა:

— ვერა გცნობთ.

კრისტოფს სული ეგუთებოდა, ცდილობდა, ჩოგორმე გაეხსენებინა პირველი შეხვედრა. პირადულ მოგონებებზე ლაპარაკი მას ყოველთვის ეძნელებოდა. მაგრამ ამჯერად ეს წამება იყო: იბნეოდა, სიტყვებს ვერა პოულობდა. სისუ-

ლევებს ამბობდა და წითლდებოდა. ჰასლერი არაფერში შეშველებია, მხოლოდ შესცქეროდა მღვრიე და ცარიელი თვალებით. როცა კრისტოფი ლაპარაკს მორჩა, ჰასლერი ერთხანს ისევ იქნევდა ფეხს, თითქოს გაგრძელებას ელისო.

— დიახ... ასეთი მოგონებები კაცს არ გააახალგაზრდავენ... — წარმოთქვა მან, გაიზმორა, დაამთქნარა და დააყოლა:

— უჟაცრავად... არ მიძინია, თეატრში ვისაუზმე...

და ისევ დაამთქნარა.

კრისტოფი ელოდა, რომ ჰასლერი რაღაცნაირად მაინც გამოეხმაურებოდა მის მონაყოლს, მაგრამ მას ეს ამბავი სრულებითაც არ აინტერესებდა, ერთი სიტყვაც არ უთქვამს, არაფერი უკითხავს კრისტოფისათვის. მთქნარება რომ მოათავა, ჰკითხა:

— დიდი ხანია, ბერლინში ხართ?

— ამ დღით ჩამოვედი, — უპასუხა კრისტოფმა.

— ა! — წარმოთქვა ჰასლერმა ცივად, — სად დაბინავდით?

და ვიდრე პასუხს მოისმენდა, ზანტად წამოდგა, ელექტროზარის ლილაკისაკენ ხელი გაიწოდა და დარეკა.

— ნება მომეცით! — წარმოთქვა მან.

გამოჩნდა თავხედური გამომეტყველების მსახური ქალი.

— კიტი, — მიმართა მას ჰასლერმა, — შენ რა, გინდა რომ უსაუზმოდ დამტოვო დღეს?

— არა მგონია ფიქრობდეთ აქ მოგიტანოთ საქმელი, რადგან სტუმარი გყავთ, — უპასუხა მსახურმა ქალმა.

— რატომაც არა, — თქვა ჰასლერმა და კრისტოფს თვალი ჩაუკრა. — ის სულიერ საზრდოს მომაწვდის, მე კი ხორცს გამოვიკვებავ.

— განა არ შეგრცხვებათ, თქვენ მარტო ჰამდეთ, როგორც მხეცი გალიაში და სხვა კი გიქცეოდეთ?

ჰასლერმა, ნაცვლად იმისა, რომ გული მოსვლოდა, სიცილი დაიწყო და შენიშნა:

— როგორც მოშინაურებული მხეცი... — მოიტა, მოიტა, — განავრძო მან, — სირცხვილსაც თან მივაქმევ.

ქალმა მხრები აიჩეჩა და გავიდა.

კრისტოფმა დაინახა, რომ ჰასლერს სრულებითაც არ აინტერესებდა მისი საქმიანობა და საუბრის განახლებას შეეცადა. მან ილაპარაკა პროვინციაში ცხოვრების სიძნელეებზე უფერულ და გონებაწაღრმობ ადამიანებს შორის, თავის მარტობაზე. ცდილობდა ჰასლერი თავისი მორალური განცდებით დაეინტერესებინა. მაგრამ იგი რბილ ტანტში იყო ჩაფლული, თავი უკან გადაეგდო ბალიშზე, თვალები სანახევროდ მოეხუჭა, ალაპარაკებდა კრისტოფს და მსმენელს კი არა ჰკავდა. ოღონდ დროდადრო თვალებს ახელდა და პროვინციელთა მისამართით ერთ-ორ დამცინავ სიტყვას თუ რამე გამკილავ აზრს გადმოისრო-

და. ეს კი გულახდილად ლაპარაკის მადას უკარგავდა კრისტოფს. მალე ისევ შემობრუნდა კიტი. სინზე საუზმე ეწყო: ყავა, კარაქი, ლორი და სხვ. უკმაყოფილო კიტიმ პურჭელი საწერ მაგიდაზე გაფანტულ ქაღალდებს შორის დააღაგა. კრისტოფი მის გასვლას დაელოდა, რომ განეახლებინა ასე საძნელო და უსიამოვნო ცხოვრება.

ჰასლერმა სინი თავისკენ მოსწია, ყავა დაისხა, მოხვრიპა და შინაური კაცის გულკეთილი, მაგრამ ოდნავ დამცინავი კილოთი მიმართა კრისტოფს:

— ერთ კიქა ყავას ხომ არ მიირთმევთ?

კრისტოფმა უარი მოახსენა. მან სცადა, ისევ ალედგინა თხრობის გაწყვეტილი ძაფი, მაგრამ მთლად დაიბნა. აღარც კი იცოდა, რას ამბობდა. გაცეცხლებული იყო ჰასლერის საქციელთ. მოხუცს ლამის ნიკაპი ჩაეყო თეფშში, პატარა ბავშვივით ხარბად იტენიდა ბუტერბროდს და ხელით სწვდებოდა ლორს. და მაინც კრისტოფმა მოახერხა და უამბო, რომ იგი მუსიკას თხზავს, რომ მან „იუდეით“-სათვის უვერტიურა დაწერა. ჰასლერი ყურადღებაგაფანტული უსმენდა.

— Was? (რა?) — იკითხა მან.

კრისტოფმა სახელწოდება გაუმეორა.

— Ach! so, so! (ა! დაახ, დაახ!) — წარმოთქვა ჰასლერმა და ბუტერბროდი და თითები ფინჯანში ამოავლო.

ეს იყო და ეს.

დაბნეული კრისტოფი მზად იყო ამდგარიყო და წასულიყო, მაგრამ გაახსენდა თავისი გრძელი და უშედეგო მოგზაურობა, გამბედაობა მოიკრიბა და ენის ბორძიკით შესთავაზა ჰასლერს, რომელიმე ნაწარმოებს დაეუკრავო. ჰასლერმა სიტყვის დამთავრება არ აცალა:

— არა, არა, მე მაგისა არაფერი გამეგება, — წარმოთქვა მან ერთობ დამცინავი კილოთი, — არცა მცალია.

კრისტოფს თვალეზზე ცრემლი მოადგა. მაგრამ დაიფიცა, მანამ არ მოვიცვლი ფეხს, სანამ ჰასლერი თავის აზრს არ მეტყვის ჩემი მუსიკის შესახებო. მან დაძლია რიდი და ბრაზი და უთხრა:

— მაპატიეთ, მაგრამ ერთ ღროს თქვენ შემპირდით, რომ მომისმენდით; მე გერმანიის მეორე ბოლოდან მხოლოდ ამისათვის ჩამოვედი და უნდა მომისმინოთ.

ჰასლერი მიჩვეული არ იყო ასეთ ტონს; მან შეხედა სიბრაზისაგან უხერხულობაში მყოფ, აღმოდებულ, ცრემლმორთულ ახალგაზრდას და გაეცინა. მერე ზანტად აიჩეჩა მხრები, თითი ფორტეპიანოსაკენ გაიშვირა და სასაცილო მორჩილებით წარმოთქვა:

— მაშ, კარგი, დაუკარით!..

თვითონ კი ტანტზე მოეწყო, თითქო დაძინებას აპირებდსო. ბალიშები აჩეჩა და ზედ გადაწვა, თვალები მოხუჭა, მერე ისევ გაახილა, კრისტოფის ჭიბიდან

ამოდებულ ნოტებს შეავლო თვალი, ბევრი ხომ არ არისო. ოდნავ ამოიხრა და სახეზე გამოხატული აშკარა უსიამოვნებით მოსასმენად მოეშადა.

შეწუხებულმა და გუნებაწამხდარმა კრისტოფმა დაკვრა დაიწყო. ჰასლერმა მაშინვე ყურები ცქეცია და კარგი ნაწარმოებით თავისდაუნებურად მოხიბლული შემოქმედის მსგავსად უკვე პროფესიული ინტერესით მიუგდო ყური. თავდაპირველად არაფერს ამბობდა; ადგილიდანაც არ დაძრულა. მაგრამ თვალს გაუშტერდა და ზიზღით გადმოკიდებული ქვედა ბაგე აუთამაშდა. მთლად გამოფხიზლდა. რალაცას ბუზღუნებდა განცვიფრებისა და თანხმობის ნიშნად. კაცი ვერ გაიგებდა, რას ამბობდა, მაგრამ ტონზე ეტყობოდა, რასაც ფიქრობდა. კრისტოფი აღფრთოვანებული იყო, ჰასლერი უკვე აღარ ანგარიშობდა ფურცლებს. კრისტოფი ერთს რომ მორჩებოდა, ჰასლერი მაშინვე შესძახებდა:

— კიდევ, კიდევო...

ადამიანური ენით ალაპარაკდა:

— კარგია, ეს კარგია! — იძახდა იგი, — შესანიშნავია!.. საოცარია! (Schrecklich famos!)... ერთი დამიხედეთ ამ ეშმაკს, — შესძახებდა გაკვირვებული — ეს რა არის, რა არის ეს?

ჰასლერმა წამოიწია, თავი წინ წამოიღო და ყურზე ხელი მიიღო. ახლა ის უკვე თავის თავს ელაპარაკებოდა, კმაყოფილებისაგან იცინოდა და ჰარმონიული გადაწყვეტის განსაკუთრებული შემთხვევების დროს ენის წვერს გამოყოფდა ხოლმე, თითქოს ტუჩებს ისევლებსო. ერთმა უცხო მოდულაციამ კი ისე იმოქმედა, რომ ერთი შესძახა, წამოხტა და კრისტოფს მიუჯდა. ის თითქოს ვერც ამჩნევდა კრისტოფს, მხოლოდ მუსიკით იყო შეპყრობილი. და როცა ნაწარმოები დასრულდა, რვეულს სწვდა, ფურცელი თავიდან გადაიკითხა, სხეებიც ჩაიკითხა; თან თავისთვის გამოთქვამდა აღფრთოვანებას და განცვიფრებას, თითქოს ოთანში მარტო ყოფილიყო.

— ერთი ამ ეშმაკს დამიხედეთ, — გაიძახოდა იგი. — ნეტავ, სად მიაგნო ამ ეშმაკის ფენმა?..

აღფრთოვანებულმა ჰასლერმა კრისტოფს მხარი გაჰკრა, თვითონ მიუჯდა როიალს და ზოგიერთი ადგილი დაუკრა. დაკვრის დროს თითები ნაზი, ალერსიანი და მსუბუქი უხდებოდა. კრისტოფი თვალს ვერ ამორებდა მოხუცის თხელ, გრძელ და ფაქიზ ხელებს, რალაც ავადმყოფურად არისტოკრატიული და მთელ მის გარეგნობასთან სრულიად შეუხამებელი რამ გამოსკვიოდა მათში. ზოგიერთ აკორდზე ჰასლერი ჩერდებოდა ხოლმე, იმეორებდა და თავის აღფრთოვანებას თვალის ჩაკვრითა და ენის ტკაცუნით გამოხატავდა. იგი ლოყებს ბერავდა და სხვადასხვა საკრავების პანჯზე ბუზუნებდა. შეძახილებით აღფრთოვანებასა და წყენას გამოხატავდა. უნებური ბრაზისა და ფარული შურისაგან თავს ველარ იკავებდა და თან ხარბად ტკებოდა სიამოვნებისაგან.

მართალია, ჰასლერი ჯერ ისევ საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, თითქოს კრისტოფი არც კი არსებულებოდა, მაგრამ სიხარულისაგან გაწითლებული კრის-

ტოფი ხედავდა, რომ ჰასლერის ეს შეძახილები მას ეკუთვნოდა. და ისიც უხსნიდა თავის სათქმელს. თავდაპირველად ჰასლერი თითქოს სრულებით არ აქცევდა ყურადღებას მის ნათქვამს და ხმამაღლა ფიქრს განაგრძობდა, მაგრამ კრისტოფის ზოგიერთი გამონათქვამი ენიშნა, დადუმდა და ხმამოუღებლად დაიწყო ნოტების ფურცელა, თან კი უსმენდა, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს კრისტოფის ნათქვამი არ ესმისო. კრისტოფს კი თანდათან ცეცხლი ეღებოდა; ბოლოს სულ მთლად გული გადაუშალა და მთელი გულუბრყვილობით უამბო თავისი გეგმებისა და ცხოვრების ამბავი.

დუმლით მოცულმა ჰასლერის სახემ ისევ ირონიული გამომეტყველება მიიღო. მან რვეულიც კი დაანება კრისტოფს. თავი როიალზე ჩამოედებულ მკლავებში ჩაერგო, მისჩერებოდა კრისტოფს, რომელიც ახალგაზრდული გატაცებით ჰყვებოდა თავისი ნაწარმოების შესახებ, და მწარედ იღიმებოდა, რადგან აგონდებოდა თავისი შემოქმედებითი გზის დასაწყისი, მოლოდინი, კრისტოფის იმედები და ამ იმედების მოსალოდნელი გაცრუებანი.

კრისტოფი თვალბდახრილი ლაპარაკობდა და ცდილობდა არაფერი არეოდა. ჰასლერის დუმლით გამბედაობას მატებდა. გრძნობდა, რომ ჰასლერი ყურადღებით უსმენდა და მის ყოველ სიტყვას კარგად უფიქრდებოდა. ასე ეგონა, ყინული უკვე გალღვა და გული სითბოთი ევსებოდა. ლაპარაკი რომ დაამთავრა, თავი ასწია და დაბნეულმა იმედის თვალთ შეხედა ჰასლერს. მაგრამ მის გულში აფეთქებული სიხარული მაშინვე ჩაყვდა, როგორც უღროდ გამოსული კვირტი. ჰასლერის თვალბში მან დაინახა პირქუში მზერა, ირონია და ავი ზრახვები. კრისტოფს ენა ჩაუვარდა.

რამდენიმე ხნის შემადრწუნებელი დუმლის შემდეგ ჰასლერი ცივი ხმით აღაპარაკდა. იგი კვლავ შეიცვალა. განგებ მკაცრი ხმით ლაპარაკობდა, სასაცილოდ იგდებდა კრისტოფის გეგმებსა და იმედებს, კრისტოფში იგი თავის თავსა ხედავდა და თითქოს საკუთარ თავს დასცინოდა. ჰასლერი შეუბრალებლად და გულცივად უქარწყლებდა ცხოვრებისადმი, ხელოვნებისა და საკუთარი თავისადმი რწმენას. მან მწუხარებით მოიშველია საკუთარი მაგალითი, საღანილავი სიტყვებით მოიხსენია თავისი ბოლოდროინდელი ნაწარმოებები.

— ეს ხომ სიბინძურეა, — ამბობდა იგი, — სწორედ ისეთი, ამ ღორებს რომ სჭირდებათ. ნუთუ გგონიათ, ამქვეყნად ათი კაცი მაინც მოინახება, მუსიკა რამე უყვარდეს? ნეტავ, ერთი მაინც იყოს.

— არის, — მხურვალედ უპასუხა კრისტოფმა. — მე მიყვარს.

ჰასლერი მიატყერდა, მხრები აიჩეჩა და ზანტად წარმოთქვა: -

— თქვენც ისეთი იქნებით, როგორც სხვები. სხვებსავით მოიქცევით. წარმატებასა და იოლ ცხოვრებას დაუწყებთ ძებნას და სწორიც იქნებით.

კრისტოფი შეპასუხებას უპირებდა, მაგრამ ჰასლერმა შეაწყვეტინა, ისევ აიღო ნოტები და წელან ნაქები და ნადიდები მუსიკა ახლა საშინლად გაუკრიტიკა. ის არა მარტო საწყენად უეირაკიტებდა ყველა შეცდომას, გემოვნებისა და

ფორმის მხრივ, რომელიც ახალგაზრდას შეიძლება გაპარვოდა, არამედ ისეთ ბრიყულ აზრებსაც გამოთქვამდა, როგორც ერთობ გონებაშეზღუდულ კრიტიკას თუ სჩვევია და მთელი ცხოვრება ტანჯავდა პასლერს. — რა აზრი აქვს ყოველივე ამას? — კითხულობდა იგი. ამას კრიტიკაც კი არ ეთქმოდა. ეს იყო ხელაღებით უარყოფა და მეტი არაფერი. გეგონებოდა გაცოფებული ცდილობს თავი დააღწიოს კრისტოფის მუსიკის შთაბეჭდილებასო.

დარეტიანებულ კრისტოფს პასუხის გაცემაც კი არ უცდია. ან კი რა უნდა ეპასუხნა; მით უმეტეს, როცა ამ სისულელეს მისთვის საპატივემლო და საყვარელი კაცი ამბობდა. ესეც რომ არა, პასლერი მაინც არავითარ შენიშვნას არ მიიღებდა. იგი უძრავად იდგა, ხელთ რვეული ეპყრა და სინანულის ნიშნად პირმოკუმული, უაზრო თვალებით იცქირებოდა. ბოლოს, თითქოს კრისტოფის არსებობა გადაავიწყდაო, წარმოთქვა:

— ეჰ! ყველაზე ცუდი ის არის, რომ კაცი არ არის, ერთი კაციც კი, რომელიც თქვენ გაგიგებდათ!

კრისტოფი შეკრთა, უეცრად მობრუნდა, პასლერს ხელი ხელზე დაადო და სიყვარულით აღსავსე გრძნობით წარმოთქვა:

— არის! ეს მე ვარ!

მაგრამ პასლერის ხელი არ განძრეულა; ვინძლო გული მაინც გამოეხმაურა ამ ახალგაზრდულ ყვირს. მის ჩამქრალ თვლებში, კრისტოფს რომ მისჩგრებოდნენ. არაფერი გამკრთალა, ირონიამ და ეგოიზმმა სძლიეს. პასლერმა ირონიული ცერემონიით დაუკრა თავი კრისტოფს და წარმოთქვა:

— ერთობ მოხიბლული ვარ!

გულში კი ფიქრობდა:

„დიდ პატივსა მდებ! ხომ არა გგონია, შენი გულისათვის დავლუპე ჩემი სიცოცხლე?“

პასლერი წამოდგა, რვეული როიალზე მიაგდო და ნერვიული ნაბიჯით ისევ ტახტისაკენ გასწია. კრისტოფი მიხვდა რაც მოხდა, იგრძნო ამ საქციელის შეურაცხმყოფელი ძალა და ღირსეულად დაუწყაო ახსნა-განმარტება, რომ სრულიად არ იყო საჭირო თანამოაზრეების ძებნა. არიან ადამიანები, რომლებიც მთელ ხალხს უდრიან და სწორედ მათი ნააზრვეი უნდა იქცეს ხალხის ნააზრვეად. მაგრამ პასლერს აღარაფერი ესმოდა, იგი კვლავ გულგრილობამ, სასიცოცხლო ძალების ნაკლებობით გამოწვეულმა გულგრილობამ შეიპყრო. სულეირად ჯანსაღი კრისტოფისათვის გაუგებარი იყო განწყობილების ასეთი უეცარი ცვლებადობა. მან მხოლოდ ოდნავ იგრძნო, რომ ბრძოლა წაგებული ჰქონდა, მაგრამ მიზანთან ახლოს იდგა და უკან დახევა აღარ უნდოდა. იგი უღიმღამოდლა ცდილობდა პასლერის გამორკვევას. რვეულით ხელში უმტიციებდა იმას, რაც პასლერს შეცდომად მიაჩნდა. ბალიშებში ჩაფლული შუბლშეკრული პასლერი დუმდა. იგი არც თანხმობას გამოხატავდა, არც უარყოფდა. დასასრულს ელოდა მხოლოდ.

კრისტოფმა დაინახა, რომ აქ აღარაფერი ესაქმებოდა. სიტყვაც აღარ მოუ-
თავებია, ლაპარაკი შეწყვიტა, რვეული დაახვია და წამოდგა. ჰასლერიც ადგა.
დარცხვენილმა და დაბნეულმა კრისტოფმა ენის ბოძიკით მოიბოდიშა. ჰას-
ლერმა თავი დაუკრა, დამცინავი იერით ცივად გაუწოდა ხელი, გასასვლელ კა-
რანდე მიაცილა და ისე გაისტუმრა, სიტყვაც არ უთქვამს, დარჩით ან კიდევ
შენიკვიარეთო.

დამარცხებული კრისტოფი ისევ ქუჩაში აღმოჩნდა; იგი უგზოუკვლოდ
მიაბიჯებდა. ასე გაიარა ორი-სამი ქუჩა და ტრამვაის გაჩერებას მიაღწა. გაბრუ-
ებული ავიდა ტრამვაიში და მოღუნებული და წელში გაწყვეტილი დაეშვა
სკანზე. აღარც ფიქრისა და ბურანიდან გამორკვევის თავი ჰქონდა და აღარც
ფიქრები აწუხებდნენ. ისე იყო სულიერად დაცლილი, საკუთარ თავში ჩახედვი-
საც კი ეშინოდა. ქალაქში ირგვლივ სიცარიელე იყო. კრისტოფს ჰაერი არა
ჰყოფნიდა, ნისლი ჩამოწოლილიყო, სახლები თითქოს ზედ დამხობოდა. ერთად-
ერთი ფიქრი — გაქცევა, უკან გაქცევა იყო. თითქოს ამ ქალაქს თავს თუ დააღ-
წევდა. უკან დარჩებოდა განცდილი გულისდამწველი მარცხი.

კრისტოფი სასტუმროში დაბრუნდა. ჯერ პირველის ნახევარიც არ იყო.
ორი საათიც არ გასულიყო, რაც გულგანათებულმა აქ ფეხი შემოდგა! ახლა კი
ირგვლივ სიბნელე იდგა.

არ უსაუზმია. თავის ოთახშიც კი არ ასულა. განცვიფრებულ სასტუმროს
პატრონს ანგარიში მოსთხოვა, მთელი დღე-ღამის საფასური გადაიხანდა და მო-
ახსენა, წასვლა მინდაო. ტყუილბრალოდ უმტკიცებდნენ, საჩქარო არაფერია,
თქვენი მატარებელი მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ გადის, უმჯობესია.
სასტუმროში დარჩეთო. მაგრამ კრისტოფს ახლავე სადგურში წასვლა ჰქონდა
გადაწყვეტილი. პირველსავე მატარებელში ჩაჯდებოდა და ამ ქალაქში კი აღარ
გაჩერდებოდა. ამდენი მგზავრობისა და ხარჯის შემდეგ კრისტოფი სიხარულით
ელვდა არა მარტო ჰასლერთან შეხვედრას, არამედ მუზეუმების დთვალიერებას,
კონცერტების მოსმენას, ახალ ნაცნობებს. ახლა კი, მხოლოდ ერთი ფიქრი უტ-
რიალებდა — როგორმე წასულიყო აქედან.

სადგურში მისულ კრისტოფს უთხრეს, თქვენი მატარებელი მხოლოდ სამი
საათის შემდეგ გავაო. ამასთან ეს მატარებელი ექსპრესი არ იყო (კრისტოფი
იძულებული გახდა უკანასკნელი კლასით ემგზავრა) და გზადაგზა გაჩერდებოდა.
მონღვერო მატარებელში ჩაჯდომა სჯობდა. ის ორი საათით გვიან გავიდოდა,
მაგრამ წინას დაეწეოდა. მაშინ ამ ქალაქში ორი საათით მეტი უნდა დარჩენილი-
ყო. ეს კი აუტანელი იყო. სადგურიდან გასვლაც აღარ უნდოდა. ლოდინის უსი-
ამოვნო საათები ამ ვეება, უკაცრიელ და უხალისო დარბაზებში უნდა გაეტარე-
ბინა. დაფიქრებული აღმიანები ლანდებივით მიმოდიოდნენ აქეთ-იქით. ყველა
საღვლაც იჩქარას, ყველა უცხოა და გულგრილი მისთვის. ერთი ნაცნობიც კი არა

ჩანს. მეგობრულად არავინ გოუღიბებს. გაცრეცილი დღე ილეოდა. ელექტრონის ნათურები აქა-იქ გამოკრთოდა ნისლში და ბნელს კიდევ უფრო უუკუნს ხდიდა. მოწყენილობისაგან ქანცვამოლეული კრისტოფი მღელვარებით ელოდა გამგზავრების უამს. იგი წარამარა მიდიოდა განრიგის სანახავად და ფიქრობდა, რამე ხომ არ შემეშალაო. ის იყო, დროის მოსაკლავად, ერთხელ კიდევ ათვალიერებდა განრიგს, რომ ერთმა უცნაურმა სახელწოდებამ მიიქცია მისი ყურადღება. რალაც ნაცნობი სახელი იყო. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ გაახსენდა, რომ ამ არემარეში ცხოვრობდა მოხუცი შულცი, რომელმაც ესოდენ თბილი წერილები მოსწერა მას. კრისტოფის ამღვრეულ გონებაში მაშინვე გაჩნდა ამ უცნობი მეგობრის ნახვის სურვილი. ცოტა არ იყოს, უნდა გადაეხვია თავისი გზიდან, ორი საათის სავალზე, საგარეუბნო მატარებლით. საერთო ჯამში მთელი ღამე მოუწევდა მგზავრობა. ორ-სამჯერ მატარებლიდან მატარებელშიც უნდა გადამჯდარიყო და სადღურზე ელოდნა. მაგრამ ის აღარაფერს ანგარიშობდა. უმალვე გადაწყვიტა შულცთან გამგზავრება. მას ინსტიქტური მოთხოვნილება ჰქონდა, ვინმეს თანაგრძნობით გამოთბარიყო. ბევრი აღარ უფიქრია და შულცს ტელეგრამა გაუგზავნა, დილას ჩამოვალაო. მაგრამ ტელეგრამის გაგზავნა და სინანული ერთი იყო. დაცინვა დაუწყო თავის თავსა და გაუთავებელ ილუზიებს. აბა, ვის რად უნდოდა ახალი უსიამოვნებანი? მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. უკანდახვევა გვიანდა იყო.

ლოდინის უკანასკნელი საათი სულ ამ ფიქრებში გაატარა. ბოლოს და ბოლოს მატარებელიც ჩამოდგა. იგი პირველი ჩაჭდა ვაგონში და ბავშვური მოუთმენლობით აღტყინებულმა მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა თავისუფლად, როცა მატარებელმა გუგუნით გადაიარა ლიანდაგის ისრები. წვიმით დასერილი რუხი ცის ფონზე კრისტოფმა თვალი შეავლო ბნელით მოსილი ქალაქის კონტურებს. ამ ქალაქში ღამის გატარება მისთვის სიკვდილს ნიშნავდა.

სწორედ ამ დროს, საღამოს ექვსი საათისათვის, კრისტოფის სახელზე სასტუმროში წერილი მოვიდა ჰასლერისაგან. კრისტოფთან შეხვედრამ მას სული აუფლორიქა. იგი მთელი დღე სიმწრითა და თანაგრძნობით იგონებდა საწყალ ყმაწვილ კაცს. კრისტოფი ასეთი სიყვარულით მოვიდა მასთან, ის კი ცივად დახვდა. ახლა ჰასლერი უკვე თავის თავს საყვედურობდა გულცივობისათვის. არსებითად ეს მისთვის ჩვეული ურვის მორიგი შემოტევა იყო. ახლა დანაშაულის გამოსწორება უნდოდა, და კრისტოფს ოპერის ბილეთი და ბარათი გაუგზავნა, ჰაემანს უნიშნავდა სპექტაკლის შემდეგ. კრისტოფს ამის შესახებ არასოდეს არაფერი შეუტყვია. კრისტოფი რომ არ მოვიდა, ჰასლერმა იფიქრა:

„გაბრაზდა. მით უარესი მისთვის!“

ახლაც მხრები აიჩჩა და მეტი აღარ უფიქრია. მეორე დღეს კრისტოფი აღარც კი ახსოვდა.

კრისტოფი კი ამ დროს მისგან შორს იყო, ისე შორს, რომ მთელი საუკუნეც კი არ იკმარებდა წათ დასაახლოებლად: ორივე სამუდამოდ მარტო დარჩა.

პეტერ შულცი სამოცდათხუთმეტი წლის იყო. ჯანმრთელი იგი არასოდეს ყოფილა და დროებასაც არ დაუზოგავს. ამ მაღალი ტანის, მხრებში მოხრილ და თავჩაჩინდრულ კაცს ბრონქები ჰქონდა დაავადებული. სული ეხუთებოდა. ასთმა, კატარი და ბრონქიტი მისი განუყრელი თანამგზავრები იყო. მძიმე სენს ებრძოდა. რამდენი ღამე გაუტარებია ლოგინზე წამოძვდარს, ოფლში გაწურულსა და წელში მოხრილს. სული ეხუთებოდა, გაჭირვებით სუნთქავდა. მოხუც შულცს ტანჯვის ნაოქებით დასერილი ხმელი, გაპარსული მოგრძო სახე და მომსხო ცხვირი ჰქონდა. ჩაეარდნილი ლოყები ღრმა ნაოქებს დაეღარა. ამ ბებერი ნიღაბის გამოძერწვაში მარტო სენი და ასაკი როდი მონაწილეობდა. ცხოვრების სიავესაც არ დაუკლია ხელი. მიუხედავად ამისა, შულცზე მაინც ვერ იტყოდა კაცი, ნაღვლიანი სახე აქვსო. მისი დიდი პირი მუდამ სიმწვიდესა და კეთილგანწყობილებას გამოხატავდა. ღია ნაცრისფერი, ნათელი და გამჭვირვალე თვალები კი მაინც განსაკუთრებით ლმობიერებას ჰქვენდნენ მის სახეს. ისინი მუდამ პირდაპირ და მშვილად იცქირებოდნენ, არაფერსა მალავდნენ. მთელი სული მოჩანდა ამ თვალებში.

მოხუცის ცხოვრება ერთფეროვანი იყო. დიდი ხანია მარტო ცხოვრობდა. ცოლი ოცდახუთი წლის წინ მოუკვდა. იგი არც ძალიან კეთილი ყოფილა, არც ჰკვიანი და ლამაზი კი არა, მაგრამ მაინც თბილად აგონდებოდა შულცს. ერთი საღამო არა ყოფილა მას შემდეგ, ძილის წინ ნაღვლიანი და გულთბილი საუბარი არა ჰქონოდა მასთან. ისინი ერთად იყვნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. შვილი არა ჰყავდათ. ეს შულცის მთელი ცხოვრების დიდი ნაკლი იყო. სულის ეს წყურვილი მან თავის მოწაფეებზე გადაიტანა. მამასავით უყვარდა ყველა. სამაგიერო გრძნობა არც თუ ხშირად განუტლია. ბებერ გულს შეუძლია ახალგაზრდად იგრძნოს თავი, მას გაუტოლდეს. მან იცის, რა სწრაფად გარბიან წლები. ახალგაზრდას ეს აინუნშიც არ მოსდის. მოხუცი მისთვის სხვა ეპოქის კაცია. ახალგაზრდა დღევანდელი დღის ორომტრიალითაა გატაცებული, ქვეცნობიერად არიდებს თვალს თავისი საქმიანობის სავალალო დასასრულს. მოწაფეებმა წარმატებით თუ წარუმატებლობით გულმართლად დაინტერესებულ შულცს მადლიერი მოწაფეები ჰყავდა. ისინი პატივისცემით ეპყრობოდნენ მას, დროდადრო ნახულობდნენ კიდევ თავიანთ მოხუც პროფესორს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მადლობის წერილებს სწერდნენ ზრუნვისათვის. ზოგიერთი შემდგომშიც იწერებოდა ხოლმე. მერე კი იკარგებოდნენ მოხუცი შულცის მხედველობის არიდან და მხოლოდ გაზეთებით თუ შეიტყობდა ვინმეს წარმატებას. ასეთ შემთხვევაშიც ისევე ხარობდა, როგორც საკუთარი მიღწევის დროს. დუმლიის გამო იგი არა ბრაზობდა ხოლმე თავის მოწაფეებზე. ათას გასამართლებელ მიზეზს გამოუნახავდა. მათ ერთგულებაში ეჭვი არასოდეს ეპარებოდა. ყველაზე მეტ ეგოისტებსაც კი თავისივე გრძნობებს მიაწერდა.

ყველაზე სანდო თავშესაფარი წიგნები იყო მოხუცისათვის. ისინი არც დავიწყებენ, არც უღალატებენ. ამ ფურცლების წყალობით შექმნილი ძვირფასი

სულელები ჟამთა ცვლას ადარ სდევდნენ, ადარ იცვლებოდნენ. სიყვარულმა უკვ-
დაფყო ისინი, სიყვარულის წყაროდ აქცია და ყველას სიყვარული დაუმსახურა.
ესთეტიკისა და მუსიკის ისტორიის პროფესორი ჩიტების გალობით ამღვრებულ
ჰველ ტყესა ჰგავდა. ზოგი სიმღერა შორით მიდიოდა, წარსულის სიღრმით, ძვე-
ლი მშვენიებითა და იღუმალებით აღსაესე. სხვა სიმღერებიც იყო, გულისათვის
უფრო ახლო და საყვარელი. ესენი ძვირფას მეგზურებად ქცეულიყვნენ. ყოვე-
ლი სიტყვა გარდასული ცხოვრების სიხარულსა თუ კაემანს მოაგონებდა; შეგ-
ნებული თუ გონების თვალისათვის უხილავი ცხოვრების სიხარულსა და კაე-
შანს (მზის სხივებით განათებული ცხოვრებისეული უბრალო ფარდის მიღმა
ხომ სხვა დღე და ჟამი მიედინება ჩვენთვის შეუცნობელი სინათლით გასხვიოს-
ნებული). ზოგი სიმღერა არასოდეს გაეგონა. აქ იყო ის, რასაც დიდი ხანია
ელოდა, რის ნაკლებობასაც განიცდიდა; და როგორც დედაშიწა ტენს, ისე ის-
რუტავდა მისი გული ამ სიმღერებს. თავისი მარტოხელი ცხოვრების მღუმარე-
ბაში ასე უგდებდა ყურს მოხუცი შულცი ფრინველებით სახვე ტყეს. ერთი
ლეგენდის ბერ-მონაზვნისა არ იყოს, ჯადოსნური ფრინველის გალობამ რომ
მიაძინა, შულცსაც არ შეუნიშნავს, როგორ განვლეს წლებმა. როგორ ჩამოწვა
ცხოვრების მწუხრი. მისი სული მუდამ ოცი წლისა იყო.

შულცი მარტო მუსიკით როდი იყო მდიდარი. პოეტების ტრფიალიც განლ-
დათ, ძველთა თუ ახალთა. თავისი მშობლიური ქვეყნის პოეტები ერჩივნა, გან-
საკუთრებით გოეთე, მაგრამ უცხოებიც უყვარდა. განათლებული კაცი იყო.
რამდენიმე ენაზე კითხულობდა. თავისი მსოფლმხედველობით ჰერდერისა და
დიდი Weltbürger-ების XVIII საუკუნის დასასრულის „მსოფლიო მოქალაქე-
ების“ თანამედროვეებს მიეკუთვნებოდა. სამოცდაათ წლამდე და მის შემდეგ
მომხდარი გააფთრებული ბრძოლების მოწმე ფართო აზროვნებას იყო ჩვეული.
მართალია, გერმანია ძალიან უყვარდა, მაგრამ თავი როდი მოჰქონდა. ჰერდერის
მსგავსად მას მიაჩნდა, რომ „ყველა ტრაბახებს შორის უბრიყვესია ის. ვისაც
თავისი ეროვნებით მოაქვს თავი“. შილერისა არ იყოს, ისიც ამბობდა: „მხოლოდ
ერთი ერისათვის წერა ერთობ ღარიბი იდეალიაო“. და თუ ზოგჯერ მისი აზრი
მოკრძალებული იყო, გული გადაშლილი ჰქონდა და სიყვარულით ეალერსებო-
და ყველაფერს, რაც კი მშვენიება იყო ამქვეყნად. შულცი, ცოტა არ იყოს, მომ-
თმენი იყო სიმდარისადმი, მაგრამ ინსტინქტი მუდამ შეუცდომლად კარნახობდა.
რა იყო ავი და რა — კარგი. და თუ ძალა არა ჰყოფნიდა გაეციცხა ცრუ ტალან-
ტები, რომლებითაც ქვეყანა იყო აღფრთოვანებული, სამაგიეროდ, მუდამ პოუ-
ლობდა შეძლებას — დაეცვა ყველასაგან დევნილი თავისებური და ძლიერი შე-
მოქმედნი. გულკეთილობამ ბევრჯერ დააღალატიანა. შულცს უსამართლობის
ჩადენისა ეშინოდა. თუ სხვისი მოწონებული არ მოსწონდა, უყოყმანოდ თავს
უსამართლოდ მიიჩნევდა და უარყოფილს შეიყვარებდა. რა ტკბილი იყო სიყვა-
რული მისთვის. სიყვარული და აღფრთოვანება მისი სულიერი ცხოვრებისათ-
ვის უფრო მეტად იყო საჭირო, ვიდრე ჰაერი მისი სწეული გულმკერდისათვის.

ვინც მასში ამ გრძნობას გააღვიძებდა, იმისი უსასრულოდ მაღლიერი იყო. კრისტოფს წარმოდგენაც კი არ შეეძლო, რა იყო შულცისათვის ეს Lieder-ები. ვერ გრძნობდა, რას იწვევდა შულცის გულში მისი სიმღერები. კრისტოფისათვის ეს ხომ რამდენიმე ნაპერწკალი იყო იმ დიდი ცეცხლისა, რომლითაც თვითონ იწვოდა. სხვაც ბევრი იალუბდა. მაგრამ მოხუცი შულცისათვის ეს მთელი სამყარო იყო, უეტრად გადაშლილი მის წინაშე — მისთვის საყვარელი ცხოვრების გამსხივოსნებელი.

უკვე ერთი წელია თავი დაანება უნივერსიტეტში სამსახურს. ჯანმრთელობა საშუალებას აღარ აძლევდა. ავად იყო, იწვა, როცა წიგნით მოვაჭრე ვოლფმა. ჩვეულებისამებრ, გამოუგზავნა უკანასკნელი. მუსიკალური სიახლენი და მათ შორის კრისტოფის Lieder-ები. შულცი მარტოხელი იყო. ახლობელი არავინ ჰყავდა. ნათესავებიც კი დიდი ხანია დაჰხოცოდა. ერთი მოხუცი მსახური ქალის ანაბარა იყო დარჩენილი. ქალი მისი უძლურებით სარგებლობდა და თავის ჭკუაზე ატრიალებდა ოჯახს. დროდადრო შულცის სანახავად მოდიოდა მასავით ხანდაზმული ორი-სამი მეგობარი. ჯანმრთელობით ვერც ისინი დაიკვებნიდნენ. ავდარში ოთხ კედელში იყვნენ გამომწყვდეულნი და იშვიათად თუ ნახულობდნენ ერთმანეთს. ზამთარი იყო. ახლადმოსული თოვლი დნებოდა. შულცს მთელი დღე არავინ ენახა. ოთახში სიბნელე იდგა, მოყვითალო ნისლი ფანჯრებს იყო მომდგარი და გარეთ ცქერის საშუალებას არ იძლეოდა. გახურებული ღუმელის სიცხე მომთენთავად მოქმედებდა. მეზობელი ეკლესიის XVII საუკუნის ზარები ყოველ თხუთმეტ წუთში საშინელი ყალბი და გაბზარული ხმით შემოსძახოდნენ ხოლმე მონოტონური ქორალის ჰანგს. ეს გამამხნევებელი შემოძახილი არაბუნებრივად ეჩვენებოდა იმას, ვინც თვითონ ვერ იყო გუნებაზე. ბალიშებში ჩამჯდარ შულცს ახველებდა. ცდილობდა გართულიყო თავისი საყვარელი მონტენის კითხვით, მაგრამ დღეს ეს წიგნი კვლავინდებურად როდი ახარებდა. მოხუცს სუნთქვა უჭირდა. წიგნს ხელი უშვა და ფიქრებში წავიდა. იქვე ლოგინზე ნოტების შეკვრა ედო. გასახსენლად ძალა არა ჰყოფნიდა, გული ნალველით ევსებოდა. ბოლოს ამოიოხრა, ფრთხილად გახსნა შეკვრა, სათვალეები გაეკეთა და ნოტებს დაუწყო თვალღერება. გონებით წარსულში იყო, ძალიან უნდოდა მისი დავიწყება, მაგრამ ვერ ახერხებდა.

მზერა ერთმა ძველებურ სტილში დაწერილმა ჰიმნმა მიიპყრო. კრისტოფმა იგი XVII საუკუნის ერთი ალალი და ღვთისმოსავი პოეტის სიტყვებზე დაწერა და აქლებური ელერადობა მისცა. ეს იყო პაულ გერჰარდტის „Christliches Wanderlied“ („მოხეტიალე ქრისტიანის სიმღერა“).

Hoff, o du arme Seele,
Hoff und sei unverzagt:

Erwarte nur der Zeit,
So wirst du schon erblicken
Die Sonn der schönsten Freud..

იმედს ნუ კარგავ, სულო საწყალო,
იმედს ნუ კარგავ, იყავ უდრეკი!

იციოდე, მოვა ერთი დრო შენი,
და გაანათებს თვალისმომკრელი
მზე მშენიერი სიხარულისა...

ეს უბრალო სიტყვები მოხუცმა შულცმა კარგად იცოდა, მაგრამ ისე არა-სოდეს განუცდია, როგორც ახლა. სადღაც გამქრალიყო ერთფეროვანი, სულის გამაყუჩებელი უაზრო ღვთისმოსაობა. მასში ახლა სული ფეთქავდა, თვით მისი სული, ოღონდ უფრო ნორჩი და მძლე. იგი განცდებში იყო, იმედს არა კარგავ-და, სიხარულის ხილვა სწყუროდა და ხედავდა კიდევ. მოხუც შულცს ხელები უთრთოდა, ლოყებზე ცრემლი სდიოდა. იგი განაგრძობდა კითხვას:

Auf. Auf! gieb deinem Schmerze
Und Sorgen gute Nacht!
Lass fahren, was das Herze
Betriibt und traurig macht!

აღსდევ. და ზრუნვას დაემშვიდობე,
ნაღველს დაუკარ თავი მდაბალი,
გადაიყარე კრთომა გულისა
და კეშანი გადაიყარე!

კრისტოფმა ამ აზრებს უდრეკელობა და ახალგაზრდული შემართება მია-ნიჭა. გულუბრყვილო ნდობით გამსჭვალული მომდევნო სიტყვებიდან გმირული სიცილი ისმოდა:

Bist du doch nicht Regente,
Der alles führen soll.
Gott sitzt im Regimente,
Und fñhret alles wohl,

ეს შენ არა ხარ, მეფე ყოველთა,
შენ არ გეკუთვნის მართვა ყოველისა,
ტახტზე მჯდომარე თვით ღმერთი არის,
წარმართავს ყოველს, ვით საკიროა.

ბოლოს მოდიოდა მხურვალე გამოწვევით აბობოქრებული სტროფი, რომე-ლიც კრისტოფმა ახალგაზრდა ბარბაროსის გამბედაობით ამოგლიჯა შუა ლექ-სიდან და თავისი Lieder-ის ფინალად აქცია:

Und ob gleich alle Teufel,
Hier wollten widerstehn,
So wird doch ohne Zweifel
Gott nicht zurucke gehen;

Was er ihm vorgenommen,
Und was er haben will,
Das muß doch endlich kommen
Zu seinem Zweck und Ziel.

და თუნდაც აღდგეს ეშმაკი სრულად,
წარღვნად მოიქცეს თვით ჯოჯობეთი,
იყავი მშვიდად, არ გაიფიქრო,
რომ ღმერთი უკან წაიღებს სიტყვას;

რის გაკეთებაც მან განიზრახა,
უნდა აღსრულდეს ეს ყოველი,
რის გაკეთებაც მიზნად ისახა,
დასასრულს თვისას იგი მოელის.

ეს იყო თავდაუოკებელი სიხარულის ამოფრქვევა, ბრძოლით ტკბობის სურათი, რომის Imperator-ის ტრიუმფი.

მოხუცი მთელი ტანით თრთოდა. იგი ხენეშით მისდევდა მუსიკის ბობოქარ ტალღებს, ვითარცა ხელჩაკიდებული ბავშვი სწრაფად მიმავალ მეგობარს. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ცრემლი ღვარად სდიოდა. შულცი ბუტბუტებდა:

— ო, ღმერთო ჩემო!.. ო, ღმერთო ჩემო!

შემდეგ აქვითინდა. იცინოდა კიდევ. ბედნიერი იყო. სუნთქვა ეკვროდა. საშინელი ხველება აუტყდა. მოირბინა მოხუცმა მსახურმა სალომემ. წას მოეჩვენა, მოხუცს აღსასრული დაუდგაო. მაგრამ შულცი ტიროდა, ახველებდა და გაიძახოდა:

— ო, ღმერთო! ო, ღმერთო! — და როცა მცირე ხნით მოეშვებოდა ხოლმე ხველება, იცინოდა ხმადაბლა და წვრილი ხმით.

სალომემ იფიქრა — გაგიკლაო. როცა მიხვდა, რამ ააღელვა, ერთი მაგრად შეუტია:

— აბა, სად გაგონილა ასე გადარევა ყოველგვარი სისულელისათვის. მონეტით ვე რვეული. წავიღებ და ვეღარც იხილავთ.

მაგრამ მოხუცს რვეული მაგრად ეჭირა. ახველებდა. მან უყვირა კიდევ სალომეს — თავი დამანებო, — მაგრამ ქალი მაინც არ ეშვებოდა. მოხუცი გაბრაზდა და ქალის ლანძღვას მოჰყვა, სულს ძლივს ითქვამდა. ასეთი გაბრაზებული შულცი სალომეს არასოდეს უნახავს. ასეთი წინააღმდეგობა მას არასოდეს გაუბედავს. სალომე განცვიფრებული იყო; ბოლოს თავი დაანება. მწარე სიტყვები მაინც არ დაუკლია: — სიბერეში სულ ჰქავა დაკარგე, აქამდე წესიერი კაცი მეგონე, მაგრამ შევმცდარვარ, შენი გინებისა მეეტლესაც კი

შერცხვება. სიბრაზისაგან თვალები შუბლზე წამოგჯდომია და ტყვიის რომ იყვნენ, ალბათ, არც კი დამინდობდნენო. სალომე კიდევ დიდხანს ილაპარაკებდა ასე, შულცი ადგილიდან რომ არ წამომდგარიყო გამძვინვარებული და არ ეღრიალა — გაეთრეთო.

ეს სიტყვა ისეთი შეუტიგებელი ტონით იყო ნათქვამი, რომ სალომემ კარებიდა მოიჯახუნა. წასვლისას მანაც მიახალა, — რამდენიც არ უნდა მიძახო, იღარ მოვალ, იყავ ეგრე და სული მარტოობაში დალიეთ.

ნახევრად ბნელ ოთახში ისევ სიმშვიდე ჩამოვარდა. ამ უშფოთველ სიწყინარეს ისევ ზარების რეკვა, მათა ღიმილის მომგვრელი და სანტიმენტალური მელოდია თუ არღვევდა. გაბრაზების გამო დარცხენილი მოხუცი შულცი უპირავად იწვა პირადმა და გულისცემის დაშოშმინებას ელოდა. იგი მკერდში იკრავდა ძვირფას Lieder-ებს და ბავშვივით იციზოდა.

მარტოობის მომდევნო დღეებში შულცი სულ ადგზნებული იყო. აღარ ფიქრობდა თავის სენზე, ზამთარზე, აედარსა თუ მარტოობაზე; ირგვლივ ყველაფერი გაბრწყინებული და სიყვარულით აღსავსე იყო. სიკვდილს მიახლოებული შულცი თავის აღორძინებას უცნობი მეგობრის ახალგაზრდა სულში ხედავდა.

იგი კრისტოფის სახის წარმოდგენას ცდილობდა. სულ სხვანაირი ეხატებოდა, ვიდრე იყო. შულცს ისეთი წარმოდგენა, როგორიც თვითონა სურდა: ჭერა. ხმელ-ხმელი, ცისფერთვალება, სუსტი, ყრუ ხმის პატრონი, თვინიერი, მორცხვი და გულკეთილი. მაგრამ როგორიც არ უნდა ყოფილიყო სინამდვილეში. შულცი თავისთვის მანაც იდეალურ სახეს შექმნიდა. მას ყველა გაიდეალებული ჰყავს: თავისი მოწაფეები, მეზობლები, მეგობრები, მოხუცი მსახური ქალი. თვითონ კეთილსა და მოსიყვარულეს კრიტიკა არ შეეძლო. ან იქნებ განგებ თავს არიდებდა კრიტიკას, ასე უფრო ადვილი იყო უსიამოვნო აზრების მოშორება. გარშემო სულ ისეთივე ნათელი და წმინდა სულის ადამიანები ესახებოდნენ, როგორიც თვითონ იყო. ეს მოქარბებული სიკეთით გამოწვეული სიცრუე იყო, ცხოვრებაში მისთვის აუცილებელი; მაგრამ შულცი არც ისე გულუბრყვილო გახლდათ. დამე, ლოგინში, ხშირად ამოიოხრებდა ხოლმე გატარებული ღლის გახსენებაზე. ახსენდებოდა იდეალიზებულ წარმოდგენებთან შეუთავსებელი ათასი წერილმანი. მან შესანიშნავად იცოდა, რომ ბებერი სალომე ზურგს უკან დასცინის, მთელს უბანში ჭორაობს და კვირის ბოლოს ანგარიშშიც ატყუებს. შესანიშნავად იცოდა, რომ მოწაფეები ეფარისეველებიან, სანამ რამე სკირდებათ, ხოლო როცა ყველაფერს მიიღებენ, გაქრებიან. მან იცოდა, რომ ძველმა უნივერსიტეტელმა კოლეგებმა მთლად დაივიწყეს. ესთეტიკის ახალი პროფესორი კი უსინდისოდ ძარცვავს და თავის წერილებსა და წყაროებში არც კი უთითებს მის გვარსა. თუ მიუთითებს, მხოლოდ მაშინ, როცა რამე უმინიშნე-

ლო ადგილი ნოაქეს მისი თხზულებიდან ან მის შეცდომას აღნიშნავს (კრიტიკოსებთან ერთად მიღებული ხერხია). მან იცოდა, რომ მისმა ძველმა მეგობარმა კუნცმა სულ ახლახან, ნაშუადღევს, უსინდისოდ მოატყუა, ხოლო წიგნებს, რომლებიც რამდენიმე დღით ათხოვა თავის მეგობარ პოტპეტშმიდტს, ველარა-აოდეს იხილავდა. ეს ძალიან აწუხებდა. წიგნები შულს ისევე უყვარდა, როგორც ადამიანები. კიდევ ბევრი უსიამოვნო ამბავი აგონდებოდა ახლო თუ დიდი ხნის წარსულიდან. ამაზე ფიქრი არ უნდოდა, მაგრამ თავს ვერ აღწევდა მათ მოქალაქებს. მოგონებები მწვავე ტკივილს ჰგვრიდა მოხუცს.

— ოჰ! ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! — ოხრავდა ის ღამის სიჩუმეში და ან მოსაწყენი ფიქრების განდევნას ლაშობდა. მას უნდოდა არ ყოფილიყო ეკვიანი; ეწამა სიყვითე, ხალხის რწმენა ჰქონოდა; სჯეროდა კიდევ ხალხისა. ცხოვრებამ ბევრჯერ გაუქარწყლა ილუზიები, მაგრამ მათ ადგილს ახალი იკერდა. სხვაწარად მას არსებობა არ შეეძლო.

უცნობი პიროვნება, კრისტოფი, მისი ცხოვრების სინათლის წყაროდ იქცა. კრისტოფისაგან მიღებულ პირველ წერილს, ცივსა და მკაცრს, გული უნდა გაეტეხა მისთვის (იქნებ, ასეც მოხდა), მაგრამ ამის აღიარება არ უნდოდა და ზაუშევიტ იყო გახარებული. იგი ძალიან ცოტასა სთხოვდა ადამიანებს. სრულებით არ იყო მომთხოვენი და სულ მცირე კმაროდა, რომ სიყვარულისა და მაღაღერების წყურვილი მოეკლა. კრისტოფთან შეხვედრა მისთვის სიხარული იქნებოდა, მაგრამ ამის იმედი არა ჰქონდა: ის ძალიან მოხუცი იყო და შორგზას რაინის ნაპირებისაკენ ვერ დაადგებოდა. ხოლო კრისტოფისათვის რომ ეთხოვა — მინახულყო, აზრდაც კი არ მოსვლია.

კრისტოფის ტელეგრამა საღამოს მოვიდა, სწორედ იმ დროს, როცა მაგიღასთან ჯდებოდა. ჯერ, ცოტა არ იყოს, განცვიფრდა, ხელმოწერა არ ეცნო და იფიქრა, ტელეგრამა ჩემი არ არისო. სამჯერ გადაიკითხა. ათრთოლებულს ცხვირზე სათვალე აღარ უჩერდებოდა. ლაშა ბეჟუტავდა, ასოებმა თამაში იწყეს. როცა ყველაფერს მიხვდა, ისეთი თავზარი დაეცა, რომ საქმელი სულ დაავიწყდა. საღამომ ბევრი უყვირა, მაგრამ ლუკმა ყელში აღარ გადასდიოდა. შულსმა ხელსახოცი მაგიდაზე დააგდო (ჩვეულებრივ, აუცილებლად კეცავდა ზოლზე), ბორჯიკით წამოდგა და ქულის და ჯოხის საქმბნელად გასწია. ამ ბედნიერი ცნობის მიღებისთანავე კეთილმა შულსმა გადაწყვიტა, სხვისთვისაც გაეწიარებინა თავისი სიხარული, კრისტოფის ჩამოსვლა თავისი მეგობრებისათვისაც შეეტყობინებინა.

მას ორი მეგობარი ჰყავდა მასავით მუსიკაზე შეყვარებული. კრისტოფისადმი შულსის დამოკიდებულება მათ უკვე იცოდნენ. ესენი იყვნენ მოსამართლე სამუელ კუნცი და თავისი შესანიშნავი ხმით ცნობილი კბილის ექიმი ოსკარ პოტპეტშმიდტი. ისინი ხშირად იყრიდნენ ხოლმე თავს და კრისტოფზე საუბრობდნენ. თუ რამ იშოვეს კრისტოფისა, ყველაფერი უკვე დაკრული ჰქონდათ. პოტპეტშმიდტი მღეროდა, შულცი აკომპანიატორი იყო, კუნცი უსმენდა.

შემდეგ კი რამდენიმე საათს თავიანთ აღფრთოვანებას გამოთქვამდნენ. კრისტოფის ნაწარმოებების შესრულების დროს რამდენჯერ უთქვამთ:

— აჰ, ნეტავი კრაფტი იყოს აქა!

შულცი მიაბიჯებდა და სიამოვნებისაგან ეცინებოდა, ჩემს მეგობრებს გაეხარებოთ. ღამდებოდა. სოფელი, სადაც კუნცი ცხოვრობდა, ქალაქიდან ნაწევარი საათის სავალზე იმყოფებოდა. ცა უღრუბლო იყო. აპრილის თბილი საღამო იდგა, ბუღბუღები გალობდნენ. მოხუც შულცს გული ბედნაირებით ევსებოდა. სუნთქვა არ ეკეროდა, თავისუფლად მიაბიჯებდა, როგორც ოცი წლის ყმაწვილი და სულაც არ ნაღვლობდა, რომ სიბნელეში წარამარა ქვებს ედებოდა. გზაში ეკიპაჟები მიმოდინდნენ. შულცი ყოჩაღად უთმობდა ზოლმე გზას და მნიარულად ესალმებოდა მეეტლეს, რომელიც განცვიფრებული შეატყუროდა გზისპირა მიწაყრილზე შესკუპებულ მოხუცს, უტბად რომ გაიელვებდა ზოლმე სინათლის შექსე.

უკვე ბნელოდა, როცა შულცმა კუნცის სახლს მიაღწია. სახლი ბაღში იდგა სოფლის ბოლოს. მან ხმამაღლა დაუძახა მასპინძელს და კარზე დაუკაკუნა. გაიღო ფანჯარა. გამოჩნდა კუნცის განცვიფრებული სახე:

— ვინ არის? რა გნებავთ? — იკითხა მან.

სუნთქვაშეკრულმა შულცმა სიხარულით მიაგება:

— კრაფტი ჩამოდის ხვალ, კრაფტი!

კუნცს ვერაფერი გაეგო. მაგრამ ხმა იცნო.

— შულცი ხარ? რაშია საქმე? ასე გვიან რა წახდა?

შულცმა გაუმეორა:

— ხვალ ჩამოდის! ხვალ დილას!

— რა? — იკითხა განცვიფრებულმა კუნცმა.

— კრაფტი! — მიაძახა შულცმა.

კუნცი დადუმდა, ჩაფიქრდა, რას მეუბნებოდა და რა უნდა მისხდა, ხმამაღლა შესძახა:

— მოვდივარ, მოვდივარ!

ფანჯარა დაიხურა. კიბის თავში კუნცი გამოჩნდა ლამპით ხელში და კიბეზე დაეშვა. ეს ტანდაბალი მოხუცი იყო, ჩასუქებული, დიდთავა და თმაქალარა, წითელი წვერი და დაქორფილი ხელპირი ჰქონდა. კუნცი მოკლე ნაბიჯით მოდიოდა და ფაიფურის ჩიბუხს ახრჩოლებდა. გულარხინი მცონარა კუნცი გულთან იშვიათად თუ რამეს იკარებდა. მაგრამ შულცის მოტანილმა ამბავმა ისიც ააფორიაქა. მან შორიდანვე დააყარა შულცს შეკითხვები, მოკლე ხელებს ისე იქნევდა, თითქოს ლამაზ არც კი სჭეროდეს:

— რა, მართლა ჩამოდის?

— ხვალ დილით, — საზეიმოდ გაიმეორა შულცმა და ტელეგრამა შეათამაშა.

ორი ძველი მეგობარი ფანჯატურქვეშ ჩამოჯდა სკამზე. შულცმა ლამაზ ას-

წია. კუნცმა ფრთხილად აიღო ტელეგრამა და ხმადაბლა და ნელ-ნელა გადაიკითხა. შულცი მხარზე გადასწვდა და ხმამაღლა შეუდგა კითხვას. კუნცმა ტელეგრამის სამსახურებრივი აღნიშვნებიც გადაათვალიერა: გამოგზავნის დრო, მოსვლის დრო, სიტყვების რაოდენობა. შემდეგ ეს ძვირფასი საბუთი კმაყოფილებიდან გაიცისკროვნებულ შულცს გადასცა, მეგობარს შეხედა, თავი გაიქნია და თქვა:

— ეჰ, რა კარგია! რა კარგია!

შემდეგ ჩაფიქრდა, ჩიბუხი მოსწია, სქელი ბოლი გამოუშვა, ხელი მუხლებზე დაადო შულცს და გამოაცხადა:

— პოტპეტშმიდტს უნდა ვაცნობოთ!

— მე სწორედ მასთან წასვლას ვაპირებდი, — უთხრა შულცმა.

— ერთად წავიდეთ! — აჰყვა კუნცი.

კუნცმა ლამპა შინ შეიტანა და უმაღლესი გამობრუნდა. ორი მოხუცი ხელი-ხელაყრილი გაუდგა გზას. პოტპეტშმიდტის სახლი სოფლის მეორე ბოლოს იდგა. შულცი და კუნცი ტელეგრამაზე ფიქრით იყვნენ გართულნი და კანტი-კუნტად უზიარებდნენ ერთიმეორეს თავიანთ აზრებს. უცბად კუნცი შედგა და ჯოხი მიწას დაჰკრა:

— ოჰ! დალაზეროს ეშმაკმა! — წამოიძახა მან, — ის ხომ აქ არ არის!—მას მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ ნასადილევეს პოტპეტშმიდტი ხაოპერაციოდ უნდა გამოგზავრებულყო მეზობელ ქალაქში და ორ დღეს აპირებდა იქ დაჩინებას. შულცს ხასიათი გაუფუჟდა, არც კუნცი დადგა კარგ გუნებაზე. პოტპეტშმიდტი საამაყოდ ჰყავდათ და კრისტოფის წინაშე თავის მოწონება უნდოდათ. ორივე შუა გზაზე იდგა, აღარ იცოდნენ, რა მოემოქმედათ.

— რაღა ვქნათ? რაღა ვქნათ? — კითხულობდა კუნცი.

— კრატმა აუცილებლად უნდა მოუსმინოს პოტპეტშმიდტს, — უპასუხა შულცმა, ჩაფიქრდა და დასძინა:

— ტელეგრამა უნდა გავუგზავნოთ.

ტელეგრაფს მიაშურეს, დასხდნენ და გაერთიანებული ძალებით ვრცელა აბდაუბდა ტელეგრამა შეადგინეს. კაცი ვერაფერს ვაიგებდა. წამოვიდნენ. შულცი რაღაცას ანგარიშობდა:

— თუ პირველ მატარებელს გამოჰყვა, ხვალ დილას უნდა ჩამოვიდეს.

ნაგრამ კუნცმა შენიშნა, უკვე გვიანააო, პოტპეტშმიდტს ტელეგრამას მხოლოდ ხვალ მიუტანდნენ. შულცმა თავი გადაიქნია:

— აი, უბედურება, აი, უბედურება! — გაიძახოდნენ ისინი.

კუნცის სახლთან ერთმანეთს დაემშვიდობნენ. კუნცს სტუმრის გაცილება არც კი უფიქრია, თუმცა შულცი მისი საყვარელი მეგობარი იყო. ამ სიბნელეში უკან მართო დაბრუნებისა ეშინოდა. გადაწყდა, რომ შულცთან ისაილენდნენ. შულცი მღელვარებით შესცქეროდა ცას — ოღონდ ხვალ ამინდო

არ გაფუქდესო! — და შვებით ამოისუნთქა, როცა კუნცმა, რომელიც მეტეოროლოგიაში ჩახედულ კაცად ითვლებოდა, ცას ახედა და გამოაცხადა:

— ხვალ კარგი ამინდი იქნება (მას ხომ შულცზე არანაკლებ უნდოდა, რომ ეს მხარე კრისტოფის მთელი თავისი ბრწყინვალეებით ენახა).

შულცმა ქალაქისაკენ გასწია. გზაში ხან გზის პირას დაყრილ ქვევს წამოედებოდა, ხან ეტლის ნაკვალევში ჩაუვარდებოდა ფეხი. პირდაპირ შინ არ მისულა. მთელ ქალაქში სახელგანთქმული ტორტი შეუკვთა. აქედან შინისაკენ გაემართა. მაგრამ შინ აღარ შესულა, გამობრუნდა და სადგურისაკენ გასწია, რომ მატარებლის მოსვლის ზუსტი დრო გაეგო. ბოლოს, როგორც იქნა, სახლს მოადრია და სალომე იხმო; ხვალინდელი სადილის შესახებ დიდხანს ილაპარაკეს. ბოლოს დაწვა, მაგრამ აღგზნებული იყო და თვალად არ მოუხუტავს. მთელი დამე ტრიალებდა საადრგამო საჩუქრების მოლოდინში მყოფი ბავშვივით. ნაშუაღამევს უეცრად ადგა და სალომეს გასადვიებლად გასწია, რომ მოთუშული ჭანარი შეეკვთა. სალომე ამ კერძს გემრიელად ამზადებდა, მაგრამ თავი შეიკავა და კარგოცა ქნა. აღარ დაწოლილა, კრისტოფისათვის განკუთვნილი ოთახის დალაგებას შეუდგა. თან ცდილობდა, არ ეხმაურა, რომ სალომე არ შეეწუხებინა. ცოტა არ იყოს, ეშინოდა კიდევ ამ ქალისა. განრიგით მატარებელი რვა საათზე ადრე არ უნდა მოსულიყო, მაგრამ შულცს მაინც დაგვიანებისა ეფიქრებოდა. უთენია ადგა და ცას შეხედა. კუნცი არ შემცდარიყო, შესანიშნავი დარი იდგა. თითის წვერებზე შემდგარი შულცი სარდაფში ჩავიდა. რამდენი წელიწადაა შიგ არ ჩასულა, სიცვიისა და დამრეცი კიბისა ეშინოდა. საუკეთესო ღვინოები ამოარჩია და გამოსწია უკან, მაგრამ აქეთობისას თავი აპკრა ჭერს და სანამ გამოაღწევდა მძიმე ტვირთით ხელში, კინაღამ სული წეესხუთა. შემდეგ ბაღში გავიდა სეკატორით შეიარაღებული და შეუბრალებლად მოჭრა საუკეთესო ვარდები და ჩასამნის ახლად აყვავებული ტოვები; მერე ისევ თავის ოთახში ავიდა და გამალებით შეუდგა პირის პარსვას. ერთი-ორჯერ გაიჭრა კიდევ; გულმოდგინედ გამოეწყო და სადგურისაკენ გასწია. დილის შვიდი საათი იყო. აქაოდა, კრისტოფიც ვერ მოასწრებდა საუზმეს, მოვალთ, ერთად ვისაუზნებთო და ისე გაუძალიანდა სალომეს, ერთი ჭიქა რძეც კი არ დალია.

შულცი უკვე სადგურზე იყო, როცა მატარებლის მოსვლას ორმოცდაუთი წუთი კიდევ აკლდა. მოლოდინში ისე დაიტანჯა მოხუცი, რომ ბოლოს ასცდა კიდევ თავის სტუნიარს. იმის მაგივრად, რომ გასასვლელში დალოდებოდა, ბაქანზე გავიდა, მგზაურების ორომტრიალში გაიხლართა და თავგზა აეხნა. და თუმცა ტელეგრაფში ზუსტად იყო აღნიშნული კრისტოფის ჩამოსვლის დრო, შულცმა რატომღაც იფიქრა, მომდევნო მატარებლით ჩამოვალ. ამასთან, არც კი ეგონა, რომ კომპოზიტორი მეოთხე კლასის ვაგონით ჩამოვიდოდა. იგი მთელი ნახე-

გარი საათი იცდიდა სადგურში. კრისტოფი ამასობაში უკვე ჩამოვიდა და შულციის სახლისაკენ გაემართა. სამწუხაროდ, სალომე ის-ის იყო ბაზარში წავიდა. კრისტოფი დაკეტილ კართან აღმოჩნდა. ბაზარში მიმავალ სალომეს მეზობლის ქალისთვის დაებარებინა, თუ ვინმემ დარეკოს, უთხარი, მალე მოვა-თქო. ეს რომ კრისტოფს უთხრეს, ერთობ განცვიფრებული დარჩა. იგი სალომეს გულისთვის არ ჩამოსულა და, საერთოდ, წარმოდგენაც არ ჰქონდა მის შესახებ. კრისტოფი ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა. მან იცოთხა, ქალაქშია თუ არა Herr Universitätsmusikdirektor-ი შულცი? უპასუხეს, აქ არის, ოღონდ ამჟამად საღ იმყოფება, არ ვიცი. კრისტოფი გაბრაზდა და წავიდა.

მოხუცი შულცი სახეამოგრატლებელი დაბრუნდა შინ და როცა სალომესაგან მოისმინა, რაც მომხდარიყო, კინალამ ჰკუთა დაკარგა და ატირდა. იგი მოთმინებიდან გამოიყვანა მსახური ქალის სიბრძნევამ. შულციის შინ არყოფნის დროს მან გაბედა, წავიდა სახლიდან და ვერც კი მოიფიქრა, მეზობლისათვის დაებარებინა, კრისტოფი არსად გაეშვათო. არც სალომეს დაუკლია ხელი: დოყლაპია ხარ, თორემ აბა, კაცს ელოდები და იმას რამ აგაცდინა გზაშიო. შულცის დიდხანს აღარ უკამათია სალომესთან, მაშინვე დაეშვა კიბეზე და კრისტოფის საძებრად გასწრა. მეზობლებისგან ბევრი არაფერი შეუტყვევა მისი ასავალ-დასავლის შესახებ.

კრისტოფი ნაწყენი დარჩა. მასპინჯელი არამცთუ შინ არ დახვდა, ბართიცი კი არ დაუტოვა საბოდიშოდ მიანიც. მატარებლის გასვლამდე დარჩენილი დროის მოსაკლავად ქალაქის გარეუბანში გასეირნება გადაწყვიტა. ეს ადგილები ძალიან ლამაზად ეჩვენა. პატარა, მშვიდ და წყნარ ქალაქს ირგვლივ ბორცვები ერტყა. სახლები მწვანეში იყო ჩაფლული, ყვავოდა ალუბალი. აქა-იქ მწვანე მდელოში მოჩანდა ნანგრევები, რომელთაც აქ შორეულ წარსულს აკუთვნებდნენ; მოჩანდა მარმარილოს კვარცხლბეკებზე შედგმული დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ჰრინცესების ბიუსტები. გამვლელ-გამომვლელი მშვიდად იღიმებოდა. ქალაქის ირგვლივ მინდვრები და ბორცვები ჩანდა. ბუჩქნარში შაშვების ქანჭახი მზიარული ფლეიტების კონცერტი გეგონებოდათ. კრისტოფი მალე გამხიარულდა. პეტერ შულცი მთლად გადააიწყდა.

მოხუცი ქარით დამაწოდა ქუჩა-ქუჩა და გამვლელ-გამომვლელს ეკითხებოდა. იგი ერთ ბორცვზეც კი ავიდა, სადაც ძველი ციხე-კოშკი იყო აღმართული და იმედგადაწყვეტილი ის იყო უკან აპირებდა წამოსვლას, რომ შორსმხედველი თვალებით მდელოზე ბუჩქების ძირში მიწოლილ კაცს მოჰკრა თვალი. ის სახით არ იცნობდა კრისტოფს და ამიტომ ვერ გადაეწყვიტა, ის იყო, თუ არა. უცნობს ზურგი მისკენ ჰქონდა მოქცეული და თავი ბალახებში ჩაერგო. შულცის უეტრად გულმა დაუწყო ფანცქალი. მდელოზე გაიარ-გამოიარა.

— ის არის! არა, ის არ უნდა იყოს! — ფიქრობდა შულცი, მაგრამ დაძახებას ვერა ბედავდა. უეტრად ერთმა აზრმა გაუელვა. იგი კრისტოფის Lied-ის პირველი ფრაზის ღლიის მოჰყვა: Auf! Auf! (აღსდექ! აღსდექ!).

კრისტოფმა თავი წამოყო, როგორც თევზმა წყლიდან, ბოხი ხმით აჰყვა სიმღერას და შულცისაკენ მობრუნდა. კრისტოფს მზარელი სახე გასწითლებოდა, თმაში ბალახი გახლართვოდა. ორივემ ერთად შესძახა და სირბილით გასწიეს ერთიმეორისაკენ. შულცი ორმოსაც კი გადაახტა, კრისტოფი — ღობეს. მათ მხურვალედ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და ხმაძალადი საუბრითა და სიცილით შულცის სახლისაკენ გამოსწიეს. კრისტოფმა, რომელიც წელან შულცს აღრავტრად დაგიდევდათ და მაშინვე აპირებდა წასვლას, იგრძნო, რა კეთილი კაციც იღდა მის წინ და მაშინვე შეუყვარდა მოხუცი. ჯერ სახლამდეც არ იყვნენ მისულნი, რომ უკვე ბევრი რამ იცოდნენ ერთიმეორის შესახებ.

შინ კუნცი დახვდათ. იგი მშვიდად იჯდა და ელოდა, რადგან უთხრეს — შულცი კრისტოფის საქმებრად არის წაპულიო. მოიტანეს რძიანი ყავა. მაგრამ კრისტოფმა გამოაცხადა, მე უკვე ქალაქში ვისაუბმეო. მოხუცი ცუდ გუნებაზე დადგა; ამ ქალაქში კრისტოფის პირველი მასპინძელი თვითონ რომ არ გამოდგა, ეს მისთვის უბედურება იყო. მისი მოყვარული გულისათვის ასეთ წერილმანსაც კი მნაშენელობა ჰქონდა. კრისტოფი ყველაფერს მიხვდა. გულში ეცინებოდა. ეს მოხუცი სულ უფრო და უფრო მოსწონდა. შულცის დასამშვადებლად გამოაცხადა — მადა კარგი მაქვს, ერთხელ კიდევ შემიძლია ვისაუბროო, და დაამტკიცა კიდევ.

კრისტოფს ყოველგვარი დარდი თავიდან ჰქონდა მოშორებული. თავს ჭეშმარიტ მეგობრებს შორის გრძნობდა. აღმდგარი იყო. თავისი მოგზაურობისა და გაცრუებული იმედების შესახებ ხუმრობით ჰყვებოდა. არაღდეგებზე მყოფ მოწაფესა ჰგავდა, შულცი სიხარულისაგან გაბრწყინებულ თვალებს არ აშორებდა და გულაიანად იცინოდა.

მაღე იმ უჩინარი ძაფის შესახებაც ჩამოვარდა ლაპარაკი, რომელიც მათ აერთებდათ: კრისტოფის მუსიკის შესახებ. შულცს ერთი სული ჰქონდა, სანამ კრისტოფის შესრულებით მოისმენდა მისსავე რომელსამე ნაწარმოებს, მაგრამ ხმის ამოღებას ვერა ბედავდა. კრისტოფი მოხუცებს ესაუბრებოდა და ბოლთასა სცემდა ოთახში. შულცი თვალს არ აშორებდა და როცა კრისტოფი როიალს უახლოვდებოდა, ღმერთს შესთხოვდა, დასვი და დააკვრევიანო. კუნციც ამ ფიქრში იყო. ორივეს გული აუფანტკალდა, როცა ლაპარაკში გართული კრისტოფი თავისდაუნებურად როიალს მიუჯდა და ორ-სამჯერ თითები გაატარა-გამოატარა კლავიშებზე. როგორც ამას შულცი მოელოდა, კრისტოფი მუსიკამ გაიტაცა. იგი ლაპარაკს განაგრძობდა, თან ჰანგებს არჩევდა და ფრაზებად უკრავდა. მაღე ლაპარაკს თავი დაანება, დადუმდა და დაკვრა განაგრძო. მოხუცებმა ეშმაკურად გადახედეს ერთმანეთს.

— ამას იცნობთ? — იკითხა კრისტოფმა ერთ-ერთი თავისი Lieder-ების შესახებ.

— მაშ არა-და! — უპასუხა აღფრთოვანებულმა შულცმა.
კრისტოფმა ოდნავ მოაბრუნა თავი.

— ეს, ეს თქვენი როიალიც, ცოტა არ იყოს, აშლილია!

მოხუცი შეცბა და თავის მარაღება დაიწყო:

— დაბერდა, — მორიდებით წარმოთქვა მან, — ჩემსავით დაბერდა!

კრისტოფი მობრუნდა, შეხედა მოხუცს, რომელიც თითქოსდა პატივებას ითხოვდა თავისი სიბერისათვის, ღიმილით ხელებში სწვდა, ბავშვივით წმინდა თვალებში ჩახედა და უთხრა:

— ო, თქვენ ჩემზე ახალგაზრდა ხართ.

გახარებულმა შულცმა გაიცინა და თავის ბებერ სხეულზე და ტკივილებზე ჩივილს მოჰყვა.

— გეყოთ, გეყოთ, — შეაწყვეტინა კრისტოფმა, — მაგაზე არ არის ლაპარაკი. მე ვიცი, რასაც ვამბობ. განა ასე არ არის, კუნც?

(„ხატონოს“ ის უკვე აღარ ხმარობდა).

კუნცმა ვულანად დაუდასტურა.

შულცმა თავის დაძველებულ როიალსაც შეაწია ორიოდ სიტყვა:

— ზოგი ნოტი მშვენივრადა უღერს — წარმოთქვა მან ყოყმანით და კლავიშებს შეეხო. შუა რეგისტრში ერთი ოქტავის ფარგლებში ოთხი თუ ხუთი ზგერა საკმაოდ სუფთად უღერდა. კრისტოფი მიხვდა, შულცისათვის როიალი ძველი მეგობარი იყო და მის თვალებზე ფიქრში გართულმა ნაზად წარმოთქვა:

— დიახ, თვალები ჭერაც ლამაზი აქვს.

შულცს სახე გაუწათდა. და ის იყო, თავისი ძველი როიალის ქება წამოიწყო, რომ ენა დაება და დადუმდა. კრისტოფმა ისევ დაუკრა. Lieder-ებს Lieder-ები მოჰყვა. ხმადაბლა სიმღერაც ააყოლა. შულცი თვალტკრემლიანი შუბსკეროდა მის ყოველ მოძრაობას. კუნცს ხელები მუცელზე ჩაარედიანდ შემოეწყო, თვალები მოეხუჭა და ცდილობდა, კარგად დამტკბარიყო მუსიკით. გაბრწყინებულ კრისტოფი ხშირ-ხშირად მობრუნდებოდა ზოლმე. მოხუცე-ზნაყენი ისინი მოხაბლულნი უსმენდნენ. გულუბრყვილოდ აღფრთოვანებული კრისტოფი ლაპარაკობდა. მსმენელებს ეს სრულიადაც არ ეჩვენებოდათ სასაცილოდ:

— ა? განა ეს შესანიშნავი არ არის?... აბა, ეს? როგორ მოგწონთ?... ესა? ეს ყველაა აჯობია... ახლა კი ისეთ რამეს დაგიკრავთ, რომ მეშვიდე ცას გწევით.

ის იყო, კრისტოფი რაღაც ნაღვლიან ფინალს უკრავდა, რომ უცბად კედლის საათის გეგულმა ერთი აურზაური ატეხა. კრისტოფი წამოხტა და გაბრაზებულმა შეჰყვირა. კუნცი განცვიფრებისაგან დაჰყვიტელ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, თითქოს ეს არის, გაიღვიძაო, შულცი თავდაპირველად ვერაფერს მიხვდა, მაგრამ როცა დაინახა—კრისტოფი მუშტით ემუქრება გუგულს და თან ყვირის — თუ ღმერთი გწამთ მომავორეთ ეს ბრიყვი, ეს მოჩვენება და მუცელმოგვიო, — თუითონაც ახლა იგრძნო, რომ გუგულის გალობა აუტანელი იყო. მოხუცმა სკამს წამოავლო ხელი და ზედ შედგომა სცადა სიმშვიდის

დამრღვევის გასაძევებლად, მაგრამ კინალამ გადმოვიარა. კუნცის დაჟინებით სალომეს მოუხმეს. მოხუცი ქალი ჩვეულებისამებრ აუჩქარებლად შემოვიდა. ხელში საათი რომ შეაჩჩეს, რომელიც მოუთმენარ კრისტოფს თვითონ ჩამოეგლიჯა კედლიდან, მთლად დაიბნა:

— რა გინდათ, რომ ამ საათს ვუყუო? — ეკითხა ქალმა.

— რაც გინდა! მოაშორე! თვალთ აღარ დამანახო! — უბასუხა კრისტოფით ანთებულმა შულცმა.

ახლა უკვე თვითონაც აღარ ესმოდა, ამდენ ხანს როგორ ითმენდა ამ საშინელებას.

სალომემ გადაწყვიტა, ყველა ჰკუდიან შეიშალო.

ისევ აულერდა მუსიკა. გავიდა რამდენიმე საათი. მოვიდა სალომე და აღნობა — სადილი მზად არისო. შულცმა გააჩუმდა. ათი წუთის შემდეგ სალომე ისევ შემოვიდა. გავიდა კიდევ ათი წუთი და ისევ გამოჩნდა სალომე. ახლა ის გაცეცხლებული იყო, მაგრამ არ იმჩნევდა. თავი მშვიდად ეჯირა. შუა ოთახში დადგა, შულცის ხელების ქნევისათვის ყურადღება არც კი მიუქცევია, გამყოფანი ხმით გამოაცხადა:

— თუ ამ ბატონებს გაცივებული და დამწვარი საკმელი უჩჩევნიათ, რას იზამ, ჩემთვის სულერთია, მე მათ ბრძანებას დაველოდები.

სალომეს საქციელით შეწუხებული შულცი ის იყო უნდა სცემოდა ქალს, რომ უეცრად კრისტოფმა ხარხარი ატეხა. მას კუნციც აპყვა; მალე შულციც ახარხარდა. თავისი სიტყვების ზემოქმედებით კმაყოფილი სალომე მორჩილ ქვეშევრდომთა შემწყობელი დედოფლის იერით გავიდა ოთახიდან.

— აი, ყოჩაღ! — წამოიძახა კრისტოფმა და წამოდგა. — მართალს ამბობს. აბა, ვინ უნდა იყოს იმ ხალხზე აუტანელი, ვინც შუა კონცერტზე მოდის?

ყველა მაგიდას მიუჯდა. სუფრა უხვი და რჩეული იყო. შულცმა სალომეს თავმომწონობა გამოიყენა. ქალიც კმაყოფილი იყო, რომ თავისი ხელოვნება აჩვენა. ასეთ შემთხვევას სალომე ხელიდან არ უშვებდა. მოხუცებს ჭამა უყვარდათ. მაგიდასთან კუნცს ძნელად იცნობდით; მზესავით იყო გასაჩვიოსნებელი; მისი სახე დუქნის აბრას დაამშვენებდა. შულცს არანაყლებ უყვარდა გემრიელი კერძები, მაგრამ ჩანმრთელობა დალატობდა და თავი უნდა შეეკვებინა. უფრო ხშირად კი ავიწყდებოდა ესა და აკი საზღაურსაც იღებდა. ასეთ დროს მას წუწუნი არა სჩვეოდა. როცა მიზეზი იცო, ჰირის ატანა უფრო ადვილი იყო. კუნცისა არ იყოს, მასაც ძველებური სამზარეულო რეცეპტები ჰქონდა შთამომავლობით მიღებული. სალომეც შეჩვეული იყო ამ ორი საქმეში ჩახედული დამიანის პირის გემოს. მაგრამ ამჯერად ისე მოახერხა, რომ ერთ პოგორამაში მოუყარა თავი მთელ თავის რჩეულ ნაბელავს. დღევანდელი სუფრა რაინისპირეთას უებრო სამზარეულოს განათენა იყო; ნამდვილი, წმინდა რაინისპირული; ნაირნაირი სუნელით შეზავებული მსუყე საწებლები, ბოსტნეული, მსუყე სუფები, შესანიშნავი ბულიონები, დღებულ კანრები, კომბოსტოს

მწნილი, ბატები, შინაური ნამცხვარი, ანისითა და კელიავით შეზავებული კვერები. კრისტოფი აღფრთოვანებული იყო. პირი სავსე ჰქონდა. ხარბად შეექცეოდა. მამისა და პაპის ნიჭი კრისტოფსაც გამოჰყოლოდა. მათთვის ერთი ბატის შეჭმა არაფერი იყო. ამასთან, ერთი კვირა, თუკი შემთხვევა მოიტანდა, კრისტოფს ცარიელ პურსა და ყველზე შეეძლო ჯდომა. გულით კმაყოფილი და ცერემონიის მოყვარული შულცი სიყვარულით შესცქეროდა სტუმარს და წარამარა რაინის ღვინით უმასპინძლებოდა. კმაყოფილებსაგან დამდნარი კენცი მასში ღრსეულ მოჰქმეს ხედავდა. სალომესაც გაბადროდა ფართო პიონისაზე. კრისტოფის გამოჩენაზე მას, ცოტა არ იყოს, იმედები გაუტრუვედა. შულცის აღწერით კრისტოფი მას ჩინებთა და ორდენებით დახუნძლულ თანამდებობის პირად წარმოედგინა. მაგრამ საკუთარი თვალთა რომ ნახა, გუნებაგაფუძქებულმა შესძახა:

— ეს არის სულ?

მაგრამ მაგადასთან კრისტოფმა ისევ მოიბრუნა სალომეს გული. არ ეგულეობდა სწვა კაცი, რომელიც ასე ბრწყინვალედ აფასებდა მის ნახელავს. სამზარეულოში ყოფნის ნაცვლად კართან იდგა და შესცქეროდა კრისტოფს, რომელიც ათას რაღაცას ყბედობდა და პირი კი არ გაუჩერებია; იდგა დონიჯშემოყრილი და სიცილით კვდებოდა. ყველა გულიანად მზიარულობდა. მათ ბედნიერებას მზალად ერთი შავი წერტილი აჩნდა: პოტპეტშმიდტი არ იყო მათთან. წარამარა მის ხსენებაში იყვნენ.

— ეჰ, აჰ რომ ყოფილიყო! აბა, ჰამა იმან იცის, სმაც იმან იცის და სიმღერაც!

ქება-ღიღებას არავინ იშურებდა.

— ნეტავ, კრისტოფს მოესმინა! მაგრამ ახლაც არ არის გვიან... პოტპეტშმიდტი სალამოს უნდა ჩამოვიდეს. თუ არადა, ამაღამ მინც...

ოო! ამაღამ მე შორს ვიქნები უკვე, — თქვა კრისტოფმა.

შულცს გაბრწყინებული სახე მოუქურხუნდა.

— როგორ თუ შორს? — იკითხა მან აკანკალებული ხმით, — თქვენ ხომ ჯერ არ მიღიხართ?

— სწორედ რომ მივიღივარ! — მზიარულად წარმოთქვა კრისტოფმა, — სალამოს მატარებლით.

შულცმა მოსვენება დაკარგა. მას ეგონა, კრისტოფი რამდენიმე ღამეს გაათევდა მის სახლში.

— არა, არა! ეს შეუძლებელია, — წაიბურტყუნა შულცმა.

— მაჰ პოტპეტშმიდტი? — გაიქახოდა კუნცი.

კრისტოფი ორივეს შესცქეროდა. ნაღველმა, მათ ალალ და მეგობრულ სატეებზე რომ იბატებოდა, გული მოუღობო:

— რა ძალიან კეთილები ხართ ორივენი! — მიუგო კრისტოფმა. — დე, აგრე იყოს, ხვალ წავალ!

შულცი ხელში სწვდა.

— აჰ! — შესაძახ მან. — რა ბედნიერება! გმადლობთ! გმადლობთ!

იგი ახლა ბავშვსა ჰგავდა, რომლისთვისაც ხვალ ისე შორსაა, ისე შორს, რომ ფიქრადაც არ ღირს. კრისტოფი დღეს არ მიდის, მათ განკარგულებაში მთელი დღეა, მთელი საღამო ერთად იქნებიან, იგი მის კერქვეშ გაათევს ღამეს; აი, ყველაფერი, რასაც შულცი ჰკერტდა. უფრო შორს გახედვა არა სურდა.

მხიარულება განახლდა. უცბად შულცი წამოდგა, სადღესასწაულო იერი მიიღო და წარმოთქვა ამბულეგებელი და მაღალფარდოვანი სადღევგრძელო სტუმრისა, რომელმაც დიდი პატივი დასდო და მოინახულა მათი პატარა ქალაქი და მისი პატარა სახლი. დალია მისი მშვიდობით დაზარუნებისა, წარმატებებისა, დიდებისა და მთელი გულით უსურვა ამქვეყნიური ყველა სიკეთე. მეორე სასმისი „კეთილშობილი ხელოვნების — მუსიკის“ სადღევგრძელო იყო. შემდგომი სასმისით ძველი მეგობარი კუნცი აღდევრქელეს. შემდეგ გაზაფხულის დღევგრძელობისა დაილია. არც პოტკეტშმიდტი დაივიწყეს. კუნცმა თავის მხრივ შულცის სადღევგრძელო დალია. კიდევ ვიღაცეები აღდევრქელა. სადღევგრძელოების მოსათავებლად კრისტოფმა „ქალბატონ სალომეს“ სადღევგრძელო შესვა. ქალს მთლად აღმური მოედო და იქვე, რომ სხვებისათვის დრო აღარ მიეცა სალაპარაკოდ, ერთი ცნობილი სიმღერა შემოსძახა, მოზუცები აპყენენ. სიმღერას სიმღერა მოჰყვა სამ ხმაში, მეგობრობაზე, მუსიკასა და ღვინოზე. ისმოდა სიცილ-ხარხარი, მჩახანულებული ჭიქების წყრალი.

ოთხის ნახევარი იყო, როცა მაგიდიდან წამოიშალნენ. ერთობ შემთვრალნი იყვნენ. კუნცი სავარძელში ჩაეშო. ჩანდა, ძილზე უარს არ იტყოდა. შულცს დილანდელი განცდებისა და ღვინისაგან მუხლები ეკეცებოდა. ორივე ოცნებობდა, რომ კრისტოფი როიალს მისჯდომოდა და დაეკრა. მაგრამ ამ უცნაურმა ყმაწვილმა, აღფრთოვანებულმა და აღვზნებულმა, ორი-სამი აკორდი აიღო, უცბად დახტრა როიალი, ფანჯარაში გაიხედა და იკითხა — ვანშშამდე ხომ არ გავისეირნოთო. გული ქალაქკარეთ მიუწვედა. კუნცს დიდი სურვილი არ გამოუჩენია. შულცმა კი ეს წინადადება შესანიშნავ იდეად მიიჩნია და აღნიშნა, რომ საჭირო იყო სტუმრისათვის ეჩვენებინათ Schönbuchwälder-ის ხეივანი. კუნცი ცოტა დაიჭყანა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. წამოდგა. მას შულცზე ნაკლებ როდი უნდოდა თავის მოწონება აქაური ღირსშესანიშნაობებით.

გავიდნენ. კრისტოფმა შულცს ხელი გაუყარა და შულციც იძულებული იყო ევლო უფრო ჩქარა, ვიდრე უნდოდა. კუნცი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და ოფლს იწმენდა. მხიარულად საუბრობდნენ. თავ-თავის სახლების წინ მდგარა ხალხი თვალს აყოლებდა მათ და ამბობდა Herr Professor შულცი როგორ გაახლავარდავებულაო. ქალაქს გასცდნენ. გავიდნენ მდელოზე. კუნცი სიციხე უჩიოდა. უღმობელი კრისტოფი კი ჰაერით იყო აღფრთოვანებული. ამ ორი მოხუცის საბედნიეროდ, ისინი ხშირად ჩერდებოდნენ ხოლმე კამათში გარ-

თელნი და საუბარში სულ ავიწყდებოდათ ძნელი გზა. ტყესაც მიაღწიეს. შულცი გოეთესა და მიორიკეს ლექსებს კითხულობდა. კრისტოფს ლექსები ძალიან უყვარდა, მაგრამ ზეპირად არც ერთი არ იცოდა. ლექსების მოსმენისას იგი ბუნდოვან ოცნებებში ეფლობოდა, სიტყვებს მუსიკა სდევნიდა და მათი დასაძებნა უკვე შეუძლებელი ხდებოდა. შულცის მეხსიერებას განცვიფრებაში მოჰყავდა კრისტოფი. აბა, სად ეს ცოცხალი გონების ავადმყოფი და უძლური მოტეცი, თვეობით ოთხ კედელში მჯდარი, მიყრუებული ქალაქის გარდა რომ არაფერი უნახავს და სად ჰასლერი, ახალგაზრდა, სახელგანთქმული, მხატვრული ცხოვრების ცენტრში მდგომი, გასტროლებით მთელს ევროპაში ნამყოფი, მაგრამ ყველაფრისადმი გულცივი და უკარება! შულცი, არამცთუ ერკვეოდა თანამედროვე ხელოვნების კრისტოფისათვის ცნობილ ყველა მოვლენაში, არამედ კარგი იცნობდა წარსულის მუსიკოსებსა და უცხოელ კომპოზიტორებსაც. მათი სახელები კრისტოფს არც კი გაეგონა. შულცის მეხსიერება წააგავდა ღრმა წყალსაცხს, რომელშიც თავი მოეყარა ყველა ანკარა წყაროს. კრისტოფს არაადრეს მოსწყინდებოდა ამ წყაროს წყლის სმა. შულციც ბედნიერი იყო კრისტოფის აღფრთოვანებით. ლმობიერი მსმენელი, თავგამოდებული მოწაფე წინათაც შეხვედრია, მაგრამ მუდამ აკლდა ახალგაზრდა და მხურვალე გული; რომელსაც თავის აღფრთოვანებას გაუზიარებდა. აღფრთოვანება კი იმდენი ჰქონდა, რომ აღარ იცოდა, სად წაეღო.

იაინი უკვე საუკეთესო მეგობრები იყვნენ, როცა შულცმა შეცდომა დაუშვა და ბრამსისადმი თავისი კეთილგანწყობილება აღნიშნა, კრისტოფი რისხვამ შეიპყრო: მან ხელი გაუშვა შულცს და მკაცრად წარმოთქვა: ვისაც ბრამსი უყვარს, არ შეიძლება ჩემი მეგობარი იყოსო. ასეთმა საქციელმა მათ სიხარულს ცივი წყალი გადაასხა (შულცი ერთი გულჩათხრობილი, ალალი კაცი იყო, კანათი არ ეხერხებოდა და ვერც ტყუილს იტყოდა). მან რაღაც წაიღულღულა განმარტებნისათვის, მაგრამ კრისტოფმა ერთი ისე შესძახა: — კმარათ, რომ ხმის ამოღება აღარ შეიძლებოდა.

სამართლებრივი სიჩქმე ჩამოვარდა. სერიზობა გრძელდებოდა. მოხუცებმა ერთმანეთისათვის ვეღარ შეეხედათ. კუნცმა ჩაახველა და საუბრის განახლება სცადა. სიტყვა ტყის სიღამაზე და კარგ ამინდზე ჩამოაგდო. მაგრამ კრისტოფი ვერ აიყოლია. ის კვლავ იბერებოდა და — „ჰოსა“ და „არას“ გარდა სიტყვას არ იმეტებდა. აქეთ რომ არაფერი გამოუვიდა, კუნცი ახლა შულცს განოელაპარაკა, ოღონდ კი დუმილი დაერღვია. შულცს სუნთქვა შეჰკვროდა. ხმას ვეღარ იღებდა. კრისტოფმა ამ ყოფაში ჩაგარდნილ შულცს თვალი რომ შეავლო, კინაღამ სიცილი წასცადა. ის უკვე აღარაფერს ერჩოდა მოხუცს. სერიოზულად არც გაბრაზებულა. უქმყოფილოც კი იყო თავისი თავისა, ასე უღმობლად რომ გაანაწყენა საწყალი მოხუცი. მაგრამ გრძობდა თავის ძალას და უკან დაბრუნება არ უნდოდა. ასე იარეს ტყის პირამდე: ორი შეძრწუნებული მოტეცის ფეხის ხმადა ისმოდა. კრისტოფი რაღაცასა სტევენდა და თითქოს ვერც

კი ამჩნევდა მოხუცებს. მაგრამ მეტი ველარ მოითმინა, სიცილი აუტყდა, შულ-
ცისაკენ მიბრუნდა და მხრებზე შემოაჭდო თავისი მძლავრი მკლავები.

— ჩემო ძვირფასო შულც! — წამოიძახა მან და ნახად მიაცქერდა: — ეს
რა მშვენიერია! ეს რა მშვენიერია!

იგი აქაურ აღვილებსა და ამ ბედნიერ ღღეს აქებდა, მაგრამ მისი მცინარი
თვალები ამბობდნენ:

— შენ კარგი ხარ, მე კი ხეპრე! მამატივ, ძალიან მიყვარხარ.

მოხუცს გული მოუღბა. ღრუბლიდან თითქოს ისევ მზემ გამოანათა. სა-
ნამ ხნას ამოიღებდა, რამდენიმე წუთმა გაიარა. კრისტოფმა ისევ ხელი გაუყარა
და რაც შეიძლებოდა, ტკბილად დაუწყო საუბარი. ლაპარაკში გართულმა ისევ
ნაბიჯს უმატა და არც კი შეუმჩნევია, რომ მისი თანამგზავრები სულ ძლივს
იაქვამდნენ. შულცს არ დაუჩივლია. სიხარულსაცან დაღლილობას ველარა
გრანობდა. მან იცოდა, რომ დღევანდელი სიგაიისათვის პასუხს მოსთხოვდნენ,
მაგრამ ფიქრობდა:

„ეს ხვალ მოხდება. კრისტოფი უკვე წასული იქნება. დასასვენებლად ბევ-
რი დრო დარჩება“.

კუნცი ნაკლებ ეძლეოდა აღფრთოვანებას. თბუთმეტიოდე ნაბიჯით ჩამორ-
ჩენოდა. ერთობ საცოდავი იერი ჰქონდა. კრისტოფმა ეს გვიან შეამჩნია, შე-
წუხდა, ბოდიშის მოხდა დაუწყო და ალევების ძირას ბალახზე წამოწოლა შეს-
თავაზა. შულცი მამინვე დათანხმდა. თავის ბრონქიტს არ დავიდევდათ. საბედ-
ნიეროდ, კუნცი არც ისეთი გულმავიწყი იყო: ან, ვინ იცის, შულცზე ზრუნვა
მხოლოდ საბაბია საკუთარი თავის გაფრთხილებისათვის. იგი მთლად სველი
იყო ოფლისაგან და ნამიან ბალახზე წამოწოლისა ეშინოდა. ამიტომ, წინადადე-
ბა შემოიტანა, უახლოეს სადგურზე მატარებელში ჩაესხდეთ და შინ მივიდე-
თო. ასეც მოიქცნენ. მართალია, მოხუცები ძალიან დაიღალნენ, მაგრამ მაინც
აჩქარდნენ, რომ მატარებლისათვის მიესწროთ. სადგურში სწორედ მატარებ-
ლის მოსვლის დროს მივიდნენ.

.. მათ დანახვაზე ვაგონიდან ვილაც ჩასუქებულმა კაცმა გამოყო თავი და
შულცსა და კუნცს დაუთხა. წოდებების და ჩინების ჩამოთვლა არ დავიწყებია.
გამწარებული იქნევდა ხელებს. შულცმაც და კუნცმაც შესძახეს, ხელების ქნე-
ვას მოპყვენ და ვაგონისაკენ გასწიეს. მაგრამ ჩასუქებული კაცი უკვე მათკენ
მოეშურებოდა და ხალხს გზიდან იშორებდა. განცვიფრებული კრისტოფი უკან
გაჰყვა; თან ეკითხებოდა — რა მოხდაო?

გახარებულმა მოხუცებმა უპასუხეს: — ეს ზომ პოტპეტშიდტაო.

ეს გვარი ბევრს არაფერს ნიშნავდა კრისტოფისათვის. საღლილობის დროს
წარმოთქმული საღლეგრძელოები მას უკვე თავიდან გამოვარდნოდა. ვაგონის
ბაქანზე მდგარმა პოტპეტშიდტმა და კიბეზე მყოფმა შულცმა და კუნცმა ერ-
თი აურზაური ატეხეს. აღფრთოვანებულნი იყვნენ ამ ბედნიერი შემთხვევით.
ადგილებზე რომ დასხდნენ, მატარებელი უკვე დაძრული იყო. შულცმა ერთმა-

ნეთს გააცნო მეგობრები. პოტპეტშმიდტმა მაშინვე სადღესასწაულო — მკაცრი გამონეტყველება მიიღო, სარივით გააჰიმა და თავი დაუკრა. ამ ცერემონიის შემდეგ მან ხელი ჩამოართვა კრისტოფს, ხუთ-ექვსჯერ ისე დაიქნია, თითქოს მოგლეჩას უპირებსა, და ისევ აღმუვლდა. კრისტოფი, როგორც იქნა, მიხვდა, რომ ეს კაცი მადლობას სწირავდა ღმერთს და თავის ვარსკვლავს ამ არაჩვეულებრივი შეხვედრისათვის. აქვე მან ხელი შემოიკრა რბილ ადგილზე და დაიწყეღა უზბედური ბედი, რომელმაც ქალაქიდან გაიყვანა, იგი, — კაცი, რომელიც არასოდეს ადგილიდან არ დაძრულა, — და ისიც როდის, სწორედ ბატონ kapellmeister-ის ჩამოსვლისათვის. შულცის ტელეგრამა მხოლოდ დილით მიუტანეს, მატარებლის გასვლიდან ერთი საათის შემდეგ. ამ დროს ჭერ კიდევ ეძინა და ვალვიძება ვერ გაუბედეს. ამისათვის მთელი დილა სასტუმროს მოსამსახურეთა ვინებში იყო და ჭერაც არ დამშვიდებულყო. პოტპეტშმიდტმა მიატოვა თავისი კლავენტები, საქმიანი შეხვედრები და პირველსავე მატარებელს გამოჰყვა. მაგრამ ამ ეშმაკისეულ მატარებელს მოსვლა დააგვიანდა მთავარ ხაზზე, სამი საათი იდგა რომელიდაც სადგურში. მან მთლად დახარჯა ყველანაირი წყევლა-კრულვა და ოცჯერ მიინც უამბო თავისი გასაქირი მგზავრება და სადგურის დარაჯს. ბოლოს წამოვიდა. შიშისაგან კანკალებდა, როცა ახსენდებოდა, ვაითუ, დავაგვიანო. მაგრამ... მადლობა ღმერთს! მადლობა ღმერთს!

პოტპეტშმიდტი ისევ ხელებში სწვდა კრისტოფს და სრუა დაუწყო თავისი ბანჯვლიანი თათებით. ეს კაცი საოცრად მსხვილი და ზორბა იყო. თავი ოთხჯუთხედი ჰქონდა, თმა წითური, მოკლედ შეკრეპილი; გაპარული ნაყვავილარი სახე, დიდრონი თვალები, დიდი ცხვირი, დიდი პირი, ღაბბი, მოკლე კისერი, ფართო ზურგი, ტიკივით მუცელი, გაჩაჩხული ხელები, ხელისა და ფეხის ვეება მტევნები. ერთი სიტყვით, ეს იყო ვეება სხეული, დამახინჯებულ საყვებთა და ლუღის უზომო სმისაგან. ადამიანი კი არა, დიდი ქვაბი ადამიანის ხაზისა, რომლის მსგავსსაც სხვაგან ვერსად ნახავ, თუ არა ბავარიის ქალაქებში. აქ ინდაურების გამოკვების საშუალებათა მსგავსად, საიდუმლოდ ინახავენ ასეთი ადამიანების გამოკვების ხერხებს. სიხარულისა და სიცხისაგან სახეზე ქონი გადადიოდა კარაქის ნაქერივით. ფეხებგაფარჩხული იჭდა, ხელები მუხლებზე ეწყო ან მოსაუბრის მუხლებზე ჰქონდა შემოდებული; სიტყვებს კატაპულტის ძალით ისროდა და დაუღალავად ლაპარაკობდა. დროდადრო, როცა სიცილი აუტყდებოდა ხოლმე, მთელი სხეულით ირხეოდა. თავს აუცილებლად მალა აიღებდა, დაფრენდა პირს და მოჰყებოდა ხროტინს, ჰშენასა და ოხერას. მისი სიცილი შულცსა და კენცსაც ვადაედებოდა. და როცა დაწყნარდებოდნენ, ცრემლს შეიშრობდნენ და კრისტოფს ვადახედავდნენ, თითქოს ეკითხებიან:

— აბა, რას იტყვიო?

კრისტოფი არაფერს ამბობდა, მხოლოდ შეშინებული ფიქრობდა:

„ნუთუ ეს მოჩვენება მღერის ჩემს სიმღერებს?“

დაბრუნდნენ შულცთან. კრისტოფი ყურს არ ათხოვებდა სიმღერის სურ-

ვილით შეპყრობილი პოტპეტშმიდტის გადაკრულ სიტყვებს. შულცს და კუნცს ერთი სული ჰქონდათ, სანამ თავს მოიწონებდნენ თავიანთი მეგობრით. სხვა გზა აღარ იყო. კრისტოფი უხასიათოდ მიუჯდა როიალს.

„ჩემო კეთილო, — ფიქრობდა ის, — ჩემო კეთილო! შენ არც კი იცი, რა გელის. ფრთხილად იყავი, შენდობას ნუ ელი!“.

კრისტოფმა იცოდა, რომ აწყენინებდა შულცს და ერიდებოდა კიდევ. თუმცა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, თავისი მუსიკის დამახინჩვების ნება არ მიეცა სერა ჯონ ფალსტაფისათვის. მაგრამ ძველი მეგობრისათვის გული არ დაუწყევვებია. ეს ჩასუქებული კაცი თურმე შესანიშნავად მღეროდა. პირველსავე ტაქტებზე კრისტოფს განციფრების მოქრობა დაეტყო. შულცი თვალს არ აშორებდა და ცახცახებდა. მოეჩვენა, თითქოს კრისტოფი უკმაყოფილოა და მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა დაინახა, რომ ყოველი ტაქტის შემდეგ სახე უბრწყინდება.

ნაწარმოების დამთავრების შემდეგ, როცა კრისტოფი მობრუნდა და შესძახა, — ასე კარგად ჩემი Lieder-ები ჯერ არავის უმღერიაო, — მისი სიხარულის შუქით შულცსაც სახე გაუნათლდა. აღფრთოვანება არ დაუფარავს, არათუ სხვა მამენელების სიამოვნება, პოტპეტშმიდტის და კრისტოფის ზემოთ კი ვერ შეედრებოდა მის სიხარულს. ყველა ხომ თავისთვის ხარობდა, შულცი კი ორი მეგობრის ნაცვლადაც კონცერტი გაგრძელდა. განციფრებისაგან კრისტოფმა აღარ იცოდა, რა ექნა: ვერ გაეგო, როგორ ახერხებდა ეს ერთი ტლანქი და უბრალო არსება გადმოეცა მის Lieder-ებში ჩაქსოვილი აზრი? რასაკვირველია, ყველა მხარე როდი იყო ზუსტად გამოხატული, მაგრამ კარგად იყო გადმოცემული მისწრაფება, ვნება, ყოველივე ის, რაც ვერასოდეს ვერ შესასწავლა კრისტოფმა პროფესიონალ მომღერლებს. ის უცქეროდა პოტპეტშმიდტს და თავის თავს ეკითხებოდა: — ნუთუ მართლა იგრძნო ეს ყველაფერიო.

მაგრამ პოტპეტშმიდტის თვალებში დაკმაყოფილებული პატივმოყვარეობის ცეცხლის გარდა ვერაფერს ხედავდა. ამ მძიმე მასაში რაღაც შეუცნობელი ძალა ბუდობდა. ეს იყო ბრმა და თვინიერი ძალა, როგორც ლაშქარი, რომელმაც არ იცის, ვის ებრძვის და რისთვის იბრძვის. მას კრისტოფის Lieder-ების სული იტაცებდა, მაგრამ საკუთარი თავის ანაბარად მყოფმა არ იცოდა, როგორ ემოქმედნა.

სამყაროს შექმნის დღეებში, — ფიქრობდა კრისტოფი, — დიადი შემოქმედი მაინცადამაინც თავს არ იწუხებდა, როცა ნაწილებისაგან აწყობდა შეაჯა ზაფიქრებულ ქმნილებებს. ამ ნაწილების შერჩევისას, როგორც ჩანს, ჩქარობდა და არ დაგიდედათ, მიუღებდნენ თუ არა ისინი ერთიმეორეს, შეადგენდნენ თუ არა ერთ მთლიანს; ამიტომ ყოველი ქმნილება სულ სხვადასხვაგვარა ნაწილებისაგან იყო შეკოწიწებული. ერთი და იგივე კაცი ხუთ-ექვს სხვადასხვა ადამიანში იყო გაფანტული. ტვინი ერთგან აღმოჩნდა, გული მეორესთან, მისამართთან კი — ის სხეული, რომელიც ამ სულისათვის იყო სწორედ ზედ-

გამოჰკრილი. იარაღი აქეთ იყო, ოსტატი კი — იქით. ზოგი ამ ქმნილებათაგანი შესანიშნავ ვიოლინოს ჰგავდა, რომელიც დამკვრელის არარსებობის გამო წლობით თავის ბუდეში უნდა დებულყო. ხოლო დამკვრელად გაჩენილი მთელი თავისი სიცოცხლე გულის წამლებად მოშლილი ინსტრუმენტით უნდა დაკმაყოფილებულიყო. კრისტოფს უფლება ჰქონდა, ასე ეფიქრა საკუთარი თავის მიმართაც, რადგან არასოდეს არ შეეძლო წესიერად ემღერა თავისი მუსიკის ერთი გვერდიც კი. სიმღერის დროს იგი მუდამ ტყუოდა და საკუთარ თავს შეძრწუნებული უსმენდა ხოლმე.

წარმატებით დამტკბარმა პოტპეტშიდტმა ამასობაში გადაწყვიტა, ასე ვთქვათ, გრძნობით შეესრულებინა კრისტოფის Lieder-ები, ე. ი. ჩანაფიქრი თავისებურად გადმოეცა. ავტორმა, რასაკვირველია, ვერ დაინახა, რომ მისი მუსიკა ამით იგებდა და შუბლი შეიკრა. შულცმა შეამჩნია, მაგრამ კრიტიკის უნარს მოკლებული იყო, მეგობრების წინაშე ქედს იხრიდა და ვერასოდეს ვერ იფიქრებდა, რომ პოტპეტშიდტს შეიძლება ცუდი გემოვნება ჰქონოდა. მაგრამ კრისტოფისადმი სიყვარული საშუალებას აძლევდა ამოეკითხა ამ ახალგაზრდა კაცის უფაქიზესი ფიქრებიც კი. თავისთავადი აზროვნება მას აღარ ჰქონდა, იგი არსებობდა მხოლოდ კრისტოფში და ამიტომ იგრძნო, რომ პოტპეტშიდტი იბღინებოდა. სცადა, ზელი შეეშალა მისთვის. აეცდინა ამ საშინელ გზას. მაგრამ პოტპეტშიდტის გაჩუმება ასე ადვილი როდი გახლდათ. კრისტოფის რეპერტუარი რომ მოათავა, მდარე კომპოზიტორების სიმღერაზე გადასვლას აპირებდა. შულცს, ალბათ, მთელი ქვეყნის ჯაფა გადახდა, რომ მისთვის ზელი შეეშალა. კრისტოფი ხომ ამ კომპოზიტორების ხსენებაზეც ყალყხე დგებოდა.

საბედნიეროდ, სადილად მოწვევის ცნობამ ხმა ჩააკმენდინა პოტპეტშიდტს. მის წინაშე ახალი ასპარეზი გადაიშალა და თავის გამოჩენაც აქ შეეძლო. აქ მას მეტოქე არა ჰყავდა. კრისტოფს, დილანდელი ამბებისაგან მოდლილს, არც კი უცდია შებრაოლება.

სალამო ილეოდა. მაგდის გარშემო მსხდომი სამი მეგობარი თვალს არ აშორებოდა კრისტოფს. ყოველ მის სიტყვას იტაცებდნენ. კრისტოფი, ცოტა არ იყოს, განცვიფრებული იყო. რა უნდოდა ამ პატარა და მიკარგულ ქალაქში, ამ მოჭუტებს შორის? ისინი დღემდე არ ენახა, მაგრამ უფრო კი დაუახლოვდა, ვიდრე თავისი ოჯახის წევრებს. ბედნიერებაა, — ფიქრობდა ის, — ხელოვანისთვის, როცა უცნობი მეგობარი ეგულება სადღაც, მისი აზრის თანაზიარი. ეს ათბობს გულს და ძალას მატებს აღამიანს... მაგრამ უფრო ხშირად არაფერი არ არის: ცხოვრობ მართო და მართოდვე კვდები. და რაც უფრო მეტი გაქვს სათქმელი, რაც უფრო მეტად გრძნობ მის აუცილებლობას, მით უფრო გეშინია ქვეშაირი გრძნობების გამოჩვენებისა. უწმაწურო ქათინაურების მთქმელს ანა, რა უნდა უპირდეს. ხოლო ვისაც ქვეშაირიტად უყვარს, თავს ძალა უნდა დაატანოს, რომ პირი გააღოს და ხმა ამოიღოს თავის სიყვარულზე. მაშ, მად-

ლიერი ვიყოთ იმათი, ვინც ბედავს და ლაპარაკობს. ისინი თავისდაუნებურად შემოქმედის თანამოსაქმენი არიან. კრისტოფი მაღლიერების გრძნობით იყო გამსჭვალული მოხუცი შულცისადმი. მას ორ სხვა მეგობარში როდი ურევდა. კრისტოფი გრძნობდა, რომ შულცი მეგობართა ამ პატარა ჯგუფის სული და გული იყო. შულცი სიყვარულითა და სიკეთის უშრეტი წყაროა და ორი დანარჩენი მხოლოდ მისი ანარეკლით ნათობს. კრისტოფისადმი კუნცისა და პოტ-პეტშმიდტის მეგობრულ გრძნობას კი სულ სხვა სათავე ჰქონდა. კუნცი ეგოისტი იყო. მუსიკა ისეთსავე სასიამოვნო შეგრძნებას ჰგვრიდა, როგორც ჩასუქებულ კატას ალერსიანი ხელი. პოტპეტშმიდტი მუსიკაში თავმოყვარეობის დაოკებას პოვებდა, ეს მისთვის ერთგვარად ფიზიკური ვარჯიშიც კი იყო. არც ერთსა და არც მეორეს არაფრად ეპიტნავებოდა კრისტოფის გაგება. შულცი კი სრულ თავდავიწყებას ეძლეოდა. იგი შეყვარებული იყო.

გვიანი ჟამი იდგა. სტუმრად მოსული ორი მეგობარი შინ წავიდა. ბნელოდა. კრისტოფი და შულცი მარტო დარჩნენ.

— ახლა, — მიმართა კრისტოფმა, — მე მხოლოდ თქვენთვის უნდა დავუქრა.

იგი როიალს მიუჯდა და დაუქრა. დაუქრა ისე, როგორც ეცოდა ხოლმე ძვირფას ადამიანთან ყოფნის დროს. მან ანალი ნაწარმოებები შეასრულა. მოხუცი აღფრთოვანებული იყო, იგი კრისტოფის გვერდით იჯდა, თვალს არ აშორებდა და სულსა ნაბავდა. ამ გულყეთელ კაცს არ შეეძლო მხოლოდ თავისთვის შეენახა განცდილი სიხარული და ამიტომ წარამარა გაიძახოდა:

— ეჰ! რა ცოლოა, რომ კუნცი აქ არ არის!

(ეს, ცოტა არ იყოს, აღიზანებდა კრისტოფს).

გავიდა ერთი საათი. კრისტოფი ისევ უქრავდა. არც ერთს ხმა არ ამოუღია. კრისტოფი მორჩა დაკვრას. ორივე დუმდა. სიჩუმე იდგა. სახლსა და ქუჩიას ეძინა. კრისტოფი მობრუნდა და დანახა, რომ მოხუცი ტიროდა. ადგა, გადაეხევა. ღამის სიჩუმეში ხმადაბლა დაიწყეს ლაპარაკი. მეზობელი ოთახიდან საათის ტიკტიკი ისმოდა. შულცს თითებზე გადაეკედო, წინ წახრილიყო და ჩურჩულით ლაპარაკობდა. პასუხობდა კრისტოფის კითხვებს და უამბობდა თავისი ცხოვრების ამბავს, გაჭირებებს. ეუხებრბულებოდა კიდევ ჩივილისა, მაგრამ უნდოდა ეთქვა:

— მე ვცდები... მე არა მაქვს წუწუნის უფლება... ჩემთვის ყველა კარგი იყო.

სინამდვილეში ის არც კი წუწუნებდა. ეს იყო მხოლოდ თავისდაუნებური გულჩათხრობილი საუბარი მარტოხელი კაცის ცხოვრებაზე. ყველაზე მეტად მწუხარე ამბებს იგი ბუნდოვანი, სანტიმენტალური იდეალიზმის საკაზმით რთავდა. ეს ძალიან აღიზანებდა კრისტოფს, მაგრამ შეკამათება ცოლო იქნებოდა. შულცს ამისა იმდენად არ სჯეროდა, რამდენადაც სურვილი ჰქონდა — ბუნდოვანი იმედით იყო შეპყრობილი და თავგამოდებით ებლაუქებოდა ამ იდეებს. კრისტოფის თვალეზში იგი თანაგრძნობას ეძებდა. მეგობრის თვალეზი

ნდობით შემოსცქეროდნენ, სთხოვდნენ და თვითონ ჰკარნახობდნენ პასუხს. კრისტოფმა ამოიკითხა კიდევ ეს ძახილი და წარმოთქვა რწმენითა და ძალით აღსავსე ის სიტყვები, რომელსაც შულცი მოელოდა. ამ სიტყვებმა კეთილის-მყოფელად იმოქმედა მასზე. მოხუცსა და ახალგაზრდას მთლად გადაავიწყდათ წლები, მათ რომ ერთმანეთისაგან ყოფდნენ. ერთიმეორის გვერდით ტოლი ძმე-ივით იყვნენ, ერთმანეთი უყვარდათ და ერთიმეორეს მხარში ედგნენ. სუსტი უფრო ძლიერთან ეძიებდა საყრდენს, მოხუცი ახალგაზრდის სულში ეძებდა თავშესაფარს.

ერთმანეთს ნაშუალამევს დასცილდნენ. კრისტოფი აღრიანად უნდა ამდგარიყო. იმავე მატარებლით აპირებდა წასვლას, რომელმაც ჩამოიყვანა. საჩქაროდ გაიძირ ტანთ. მოხუცს ისე მოემზადებინა ბინა თავისი სტუმრისათვის, თათქოს რამდენიმე თვეს უნდა დარჩენილიყო. მაგიდაზე ვარდებიანი ვაზა და დაფნის ტოტი იდო. საწერ მაგიდაზე — ახალთახალი ბიუჯარი. დილით პიანინოც კი შეატანინა ოთახში. რამდენიმე მისთვის საყვარელი წიგნი გადააჩრია და თვითონ დაუწყო თაროზე. ყოველი წერილმანი დიდი სიყვარულით გააკეთა, მაგრამ ეს ტყუილად დაკარგული შრომა იყო. კრისტოფს არაფერი შეუძინებია. იგი ლოგინზე დაეგდო და მაშინვე მკვდარვით დაეძინა.

შულცს არა სძინებია. იმდღევანდელი სისხარული ახსენდებოდა და წინასწარ განიცდიდა მეგობართან განშორებას. ყველაფერი გაიხსენა, რაც კი იმ დღიანთ ითქვა. ახლაც ძვირფას კრისტოფზე ფიქრობდა, აქვე რომ ეძინა, კედელს იჩით, სადაც თვითონ საწოლი აქვს მიდგმული. შულცი დალილობისაგან მთლად ჩანგამოღეული იყო, გრძნობდა, რომ გაცივდა. მალე შეტევაც დაეწყო. თავში მაინც მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებდა: — ოღონდაც მის წასვლამდე გაეძლო როგორმე!

მოხუცეა შიშისაგან თოთოდა, როცა ახსენდებოდა, რომ ხველა აუტყდება და კრისტოფს გააღვიძებს. აღვსილი იყო ღვთისადმი მაღლიერების გრძნობით და ლექსად აწყობდა ბერ სიმეონის ჰიმნს: *Nunc dimitis*¹. მთლად ხვითქად დაღვრილი წამოდგა შულცი ლექსის ჩასაწერად. თეთრადაც გადაწერა მიძღვნასთან ერთად. მიცენაში მთელი მისი სიყვარული იყო გამოხატული. შემდეგ ხელი მოაწერა, თარიღი დასვა, არც საათის აღნიშვნა დაეწყო. ისევ ჩაწვა, ნაგრამ აურეოლებდა და დილამდე ვერ იქნა და ვერ გათბა.

იორიკაჟა. შულცი გულისტკივილით იხსენებდა გუშინდელ დილას. თან საკუთარ თავს საყვედურობდა, ასეთი ფიქრებით რატომ ვიმწარებ ბედნიერების დარჩენილ წუთებსო. კარგად იცოდა, რომ ხვალ ახლა დაკარგულ საათებზე ინანებდა და ამიტომ გადაწყვიტა, დრო აღარ დაეკარგა. ყური გვერდით ოთახისაკენ ჰქონდა, რომ არაფერი ხმაურიყო. მაგრამ კრისტოფი ჩუმად იყო. როგორც დაწვა, ახლაც ისე იყო. არ განძრეულა. საათმა შვიდის ნახევარი დარეკა.

¹ აწ შენ ზარ ჩემი მიმტყვებელი.

კრისტოფს ისევ ეძინა. არა იყო რა უფრო ადვილი, ვიდრე მატარებელზე დაგვიანება. აბა, ამაზე კი იცინებდა. მაგრამ მოხუცი მასპინძელი ერთობ პატიოსანი კაცი იყო და მეგობრის ნებაართვის გარეშე ასეთ რამეს ვერ იზამდა. ტყუილად ირწმუნებდა თავს:

— ჩემი ბრალი არ არის. არაფერ შუაში ვარ და, თუ დროზე ვერ ადგება, კიდეც მთელი ერთი დღე შემეძლება მასთან ყოფნა.

მაგრამ აქვე უარზე დადგა:

— არა, მე უფლება არა მაქვს.

და თავის მოვალეობად მიიჩნია კრისტოფის გაღვიძება. კარზე დააკაკუნა. კრისტოფს ხმა არ გაუცია. კიდეც დასჭირდა დააკაკუნება. მოხუცი წუხდა. იგი ფიქრობდა:

— ეჰ! რა ტკბილად სძინავს! შუადღემდე არ გაიღვიძებს.

ბოლოს გაისმა კრისტოფის მზიარული ხმა. როცა შეიტყო, გვიანიაო. ერთი შესძახა და აჩოჩქოლდა. ჩქარი ნაბიჯი მოისმა. იგი გამალბული იცვამდა ტანზე, რაღაცას ღიღინებდა, შულცს ელაპარაკებოდა, ხუმრობდა. დარღის მიუხედავად, მოხუცი იცინოდა. გაილო კარი, გამოჩნდა კრისტოფი, დასვენებული, ბრგე და სახემზიარული. შულცის დარღზე მას არც კი უფიქრია. კაცმა რომ თქვას, წასვლას არაფერ აძალბებდა. ორი-სამი დღე რომ დარჩენილიყო, არაფერი დააკლდებოდა, შულცს კი ძალიან დიდ სიამოვნებას მოჰგვრიდა. მაგრამ კრისტოფს ეს აზრადაც არ მოსვლია. მოხუცი ძალიან სასიამოვნო კაცია იყო, მაგრამ წასვლაც უხაროდა. მოიქანცა მთელი დღის გაუთავებელი ლაპარაკით, ხალხმაც დაღალა, მას რომ ებლაუტებოდა უიმედო სიყვარულით შეპყრობილი. კრისტოფი ახალგაზრდა იყო და ფიქრობდა, კიდეც შევხვდებითო — ქვეყნის კიდეზე ხომ არ აპირებდა წასვლას. მოხუცმა კი იცოდა, რომ მალე იგი ქვეყნის კიდეზე უფრო შორს იქნებოდა და ცდილობდა, სამუდამოდ გამძლარიყო მისი ცქერით.

დალლილიყო, მაგრამ სადგურზე მაინც გააცილა. ცრიდა. სადგურში კრისტოფმა საფულეში ჩაიხედა და ნახა, რომ გზის ფული არა ჰყოფნიდა. იცოდა, შულცი სიამოვნებით ასეხებდა ფულს, მაგრამ თხოვნისა შერცხვა. რატომ არ უნდა მისცე საშუალება და ბედნიერება მიანიჭო შენს მოყვარულ აღამიანს, რომ პატივი გცეს? მაგრამ კრისტოფმა არ ინდომა თავმდაბლობის გამო, ან, იქნებ, თავმოყვარეობის მიზეზით. ბილეთი ერთ-ერთ შუალედ სადგურამდე აიღო, დარჩენილი მანძილის გავლას ფეხით აპირებდა.

გასვლის ზარი დარეკეს. ისინი კიბეზე გადაეხვივნენ ერთმანეთს. შულცმა ღამე დაწერილი ლექსი მიაჩეჩა კრისტოფს. მოხუცი ბაქანზე იდგა კუპის ფანჯრის წინ. ერთმანეთისთვის სათქმელი არაფერი ჰქონდათ, როგორც ეს ხშირად ხდება გაქიანურებული დამშვიდობების დროს. მაგრამ შულცის თვალები მაინც მეტყველებდნენ და, სანამ მატარებელი არ დაიძრა, მზერა არ მოუშორებია კრისტოფისათვის.

ვაგონი მოსახვევეში მიიმალა. შულცი მარტო დარჩა. შინისაკენ ტალახიანა გზით მიდიოდა. ფეხს ძლივს ადგამდა. უეცრად დაღლილობა, სიცივე და წვიმ-მინანი დღის ნალექი იგრძნო. სახლამდე დიდის გაჭირვებით მივიდა. კიბეები ძლივს აიარა. ოთახში შესვლა და მაშინვე სულის ხუთვა დაეწყო. ხველება აუ-ვარდა. საშველად სალომე შემოვიდა.

— რა ბედნიერებაა! რა ბედნიერებაა, რომ აქამდე დამცალდა, — იმეორებ-და იგი და ახველებდა.

თავს ცუდად გრძნობდა. დაწვა. სალომე ექიმთან გაიქცა. ლოგინში შულცი მთლად მოწყდა. განძრევის თავი აღარ ჰქონდა. მხოლოდ მკერდი აუღ-ჩაუღლი-ოდა საბერველივით. გახურებული თავი დამძიმებოდა. მთელი დღე სულ წუთ-წუთობით იხსენებდა გუშინდელ ამბავს, მოგონებებისაგან გული სტიოდა, მაგ-რამ არ წუწუნებდა, რადგან ძალიან ბედნიერი იყო. ხელებდაკრეფილს გული სიყვარულით ევსებოდა, ღმერთს მადლობას სწირავდა.

კრისტოფი კმაყოფილი იყო. მოხუცების სიყვარულმა საკუთარი ძალები რწმენა დაუბრუნა. იგი შინ ბრუნდებოდა. შუალედ სადგურში მხიარული ჩა-მოვიდა და გზას დაადგა. წინ კიდევ სამოციოდე კილომეტრი გზა ედო. არა ჩქარობდა. მოწაფესავით უღარდელად მიაბიჯებდა. აპრილი იდგა, მაგრამ გა-ზაფხული ჭერ კიდევ არ დამდგარიყო. ჩაშავებული ტოტების ბოლოებზე და-ნაოქებული პატარა ბუშტებივით იშლებოდნენ ფოთლები. აქა-იქ ვაშლი ყვაო-და. ღობეების გასწვრივ ასკლის ნაზი ყვავილები იღიმებოდნენ. ახალი ფოთ-ლით ოდნავ შეფეთილი ტყის თავზე, მაღალი მთის კორტოხზე შუბზე წამოგე-ბული დამარცხებული მტრის ჩაჩქანივით აღმართულიყო ძველებური რომანუ-ლი ციხე-კოშკი. ცაზე შავი ღრუბელი მოძრაობდა. მათი ჩრდილები ერთი-მეორეს მისდევდნენ გაზაფხულის მიწაზე. დასცხებდა კოკისპირულად, მერე ისევ გამოიღარებდა, მზე გამოყოფდა თავს და ჩიტები აუიკვიკედებოდნენ.

კრისტოფმა შეამჩნია, რომ ერთი ხანია, ძია გოტფრიდზე ფიქრი არა შორ-დებდა. დიდი ხანია, არ განსენებია საწყალი კაცი და ცდილობდა, გამოეცნო, რა-ლა მინცდამაინც ახლა ეძალებოდა ეს ფიქრი. მზით განათებული არხის გას-წვრივ ჩამწყარივებული ალვების ხეივანში მიაბიჯებდა და სულ მასზე ფიქრობ-და. ეს საზე ჭიუტად თანა სდევდა. მოეჩვენა, თითქოს საცაა კუთხიდან გამო-ვიდოდა და შემოეგებებოდა.

ცა ღრუბლებმა ჩამოაბნელეს. წამოვიდა სეტყვანარევი კოკისპირული წვიმა. შორს ჭექა-ქუხილი ატყდა. ახლო-მახლო სოფელი იყო. მოჩანდა მწვა-ნუნეში ჩაფლული სახლების წითელი სახურავები და ვარდისფერი კედლები. კრისტოფმა ნაბიჯს აუჩქარა და სოფლის განაპირას მდგარი სახლის ჩარდახს შეაფარა თავი. სეტყვა კრამიტს უკაჟუნებდა და სველ ქვაფენილზე ხტოდა.

ზორბლების ნაკვალევში წყალი მოედინებოდა, აყვავებული ბაღების თავზე რუხი ღრუბლიდან ღრუბელზე ცისარტყელას გადაეკიმა თავისი კრელი ქამარი.

კართან ქალიშვილი იდგა და წინდასა ქსოვდა. მან გულთბილად შეიბატიკა კრისტოფი. კრისტოფი შეჰყვა. ოთახი სამზარეულოც იყო, სასადილოც და საძინებელიც. სიღრმეში ტეცხლზე ქვაბი ეკიდა. გლეხის ქალი, ბოსტნეულს რომ წმენდდა, მიესალმა კრისტოფს და ტეცხლისკენ მიიხმო გასაშრობად. ქალიშვილი ღვინის მოსატანად გაემართა და სტუმარს ქიქა დაუდგა. შემდეგ მეორე მხრიდან მიუჯდა მაგიდას, ქსოვა განაგრძო და თამაშით გართულ ბავშვებს გახედა. ბავშვებს ბალახის წვეტიანი ფურცლები ეკირათ, სოფლად „ქურდს“ ან „ბუხჩიწმენდიას“ რომ ეძახიან, და ერთმანეთს კისერზე ჩხვლეტაში ეჯიბრებოდნენ. ქალიშვილი გამოელაპარაკა. კრისტოფმა გვიან შეამჩნია, რომ იგი ბრმა იყო. ლამაზი მას სრულებით არ ეთქმოდა. ერთი ჯანიანი, ლოყაწითელი გოგო იყო, თეთრად მოქათათე კბილები, ღონიერი მკლავები და დაულაგებელი ცხვირ-პირი ჰქონდა. და, როგორც ეს ბრმებისათვის არის დამახასიათებელი, უმეტყველო სახე უღიმიოდა, საგნებზე და ადამიანებზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს ხედავსო. როცა ქალიშვილმა უთხრა, შესანიშნავად გამოიყურებით და დღეს ველ-მინდვრები იშვიათი სილამაზის არისო, კრისტოფი ცოტა არ იყოს, შეცბა და იფიქრა, დამცინისო. მაგრამ ბოსტნეულის წმენდით გართულ ქალს რომ გადახედა, დინახა, რომ არავის არაფერი გაჰკვირვებია. ქალები მეგობრულად ესაუბრებოდნენ კრისტოფს, ეკითხებოდნენ, საიდან და რა გზით მოვიდა. უსინათლო, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული მხიარულებით ებმებოდა საუბარში და ხან ადასტურებდა, ხან კი უმატებდა ხოლმე კრისტოფის ნამბობებს გზაში ნახულის თაობაზე. რასაკვირველია, ხშირად ცდებოდა. ეტყობოდა, თავს ირწმუნებდა, სხვებზე ნაკლებად არა ვხედავო.

ოჯახის სხვა წევრებიც შემოვიდნენ: ოცდაათიოდე წლის მოსული ტანის გლეხი და მისი ახალგაზრდა ცოლი. კრისტოფი ყველას ესაუბრებოდა, თან ცას გასცქეროდა, ღრუბელი როდის გადაიყრისო, და წასვლის დროს ელოდა. უსინათლო ღიღინებდა და სწრაფად ამოძრავებდა ჩხირებს. ამ ჰანგმა კრისტოფს გარდასული ამბები გაახსენა.

— თქვენ იცით ეს სიმღერა? — ჰკითხა კრისტოფმა.

(გოტფრიდმა ასწავლა ოდესღაც).

კრისტოფიც აჰყვა. ქალიშვილს გაეცინა. ქალიშვილი დაიწყებდა, ის კი აჰყვებოდა და ფრანას აბოლოებდა. კრისტოფი წამოდგა და ფანჯრისაკენ გასწია, წვიმას ხომ არ გადაუღიაო. მან თავისდაუნებურად თვალი შეავლო ოთახს. კუთხეში ჰურჭლის კარადასთან ერთ ნივთს მოჰკრა თვალი და შეკრთა. ეს გრძელი, გაღუნული ჯოხი იყო, უხეშად ნაკვეთი სახელოვანი. ჯოხი მისალმებისას წელში მოხრილ პატარა კაცს ჰგავდა. კრისტოფი ამ ჯოხს კარგად იცნობდა, ბავშვობაში ბევრჯერ უთამაშნია. მან ხელი წამოავლო ჯოხს და აღელვებულმა იკითხა:

— საიდან... საიდან გაქვთ თქვენ ეს ჯოხი?

კაცმა შეხედა და უპასუხა:

— ეს ერთმა მეგობარმა დაგვიტოვა, ძველმა მეგობარმა, რომელიც ახლა ცოცხალი აღარ არის.

— გოტფრიდმა? — შესახა კრისტოფმა.

ყველა მისკენ მობრუნდა.

— თქვენ საიდან იცით? — იკითხეს მათ ერთხმად.

როცა კრისტოფმა თქვა, გოტფრიდი ჩემი ბიძა იყო, ყველა აღელდა. უსინათლო წამოდგა. ძაფის გორგალი იატაკზე გაუფარდა. მან თავის ნაქსოვზე გადაიარა. კრისტოფს ხელებში სწვდა და ჰკითხა:

— თქვენ მისი დისწული ხართ?

ყველა ერთად აღაპარაკდა. კრისტოფს თავისი საკითხავი ჰქონდა:

— კი მაგრამ, თქვენ... თქვენ საიდან იცნობთ მას?

— ის ჩვენთან მოკვდა, აქ. — უპასუხა გლეხმა.

ისევ ჩამოსხდნენ. ცოტა რომ დამშვიდდნენ, ქალი გოტფრიდის ამბავს მოჰყვა, თან თავისი საქმე არ შეუწყვეტია: — პირველად გოტფრიდი დიდი ხნის წინ მოვიდა ჩვენთან. ხეტიალის დროს მუდამ აქ ჩერდებოდა ხოლმე, აქეთობასაც ჩვენთან შემოვივლიდა. უკანასკნელად (მარშან ივლისში) ძლივს მოაღწია ჩვენად. ზურგიდან ყუთი ჩამოიხსნა და ერთხანს წამამოუღებლად იჯდა. ლაპარაკის თავი აღარა ჰქონდა. ყურადღება არავის მიუქცევია. ყველამ იცოდა, რომ დიდი ხნის ნავალს უქირდა ხოლმე სულის მოთქმა. ის არაფერს უჩიოდა. არასოდეს არა წუწუნებდა. უსიამოვნოში მუდამ ხედავდა ხოლმე სასიხარულოს. როცა მძიმე სამუშაო ჰქონდა უხაროდა, რადგან საღამოს სიამოვნებით ჩაწევბოდა ლოგინში. თუ შეუძლოდ იყო, ამბობდა, გამოვჯობინდები და უკეთესიც იქნებო.

— აბა, განა კარგია, რომ მუდამ კმაყოფილი ხარ, ბატონო, — ჩაუბრუნა კეთილმა ქალმა — როცა თვითონ არაფერს უჩივს, სხვებსაც არ ენადღეობა. მე პირადად მუდამ ვწუწუნებ.

ჰოდა, ყურადღება არავინ მიაქცია. ხუმრობდნენ კიდევ, კარგად გამოიყუარებო. მოდესტამ (ასე ერქვა უსინათლო ქალიშვილს), რომელიც ყუთის ჩამოსახსნელად მივიდა მასთან, ჰკითხა კიდევ, ასე ახალგაზრდასავით როდემდე უნდა იკუნტრუშო სოფელ-სოფელო? გოტფრიდი მხოლოდ უღიზოდა, ხმის ამოსაღებლად კი ძალა აღარ ჰყოფნიდა. იგი კართან ჩამოჯდა სკამზე. ყველამ თავის საქმეს მიჰყო ხელი. მამაკაცები მინდორში გავიდნენ, დედა — საშარეულოში. მოდესტა სკამთან მიდგა, კარს მიეყრდნო და ქსოვა-ქსოვით გოტფრიდს გაუბა მუხაათი. ის პასუხს არ აძლევდა. თუმცა პასუხს არავინ სთხოვდა. მოდესტა ყველაფერს უამბობდა, რაც კი მისი უკანასკნელი ყოფნის შემდეგ მომხდარიყო. საწყალი კაცი ძლივს სუნთქავდა. მოდესტას ესმოდა, როგორ ცდილობდა რაღაცის თქმას, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია და უთქვამს:

— ნუ ლაპარაკობ, დაისვენე. მერე მითხარი ყველაფერი, განა შეიძლება კაცი ასე დაღლა?

გოტფრიდს ხმა არ ამოუღია. ქალიშვილმა იფიქრა, ყურს მიგდებსო და თბრობა განაგრძო. გოტფრიდმა ერთი ამოიოხრა და დაღუძდა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა სამზარეულოდან გამოვედი, მოდესტა ისევ განაგრძობდა ამბის თბრობას, გოტფრიდი კი უძრავად იჯდა სკამზე, თავი უკან გადაეგდო და ცას შესტკეპროდა. თურმე უკვე რამდენიმე წუთია, რაც მოდესტა მკვდარს ელაპარაკება. ქალიშვილი მხოლოდ მაშინ-ღა მიხვდა — საცოდავი კაცი სიკვდილის წინ რაღაცის თქმას ლამობდა, მაგრამ ველარ შეძლო. სიკვდილს იგი ნაღვლიანნი ღიმილით დანებდა, ზაფხულის მშვიდ საღამოს დახუჭა თვალები...

აღარ წვიმდა. რძალმა ფარდელს მიაშურა; ვაჟმა ბარი აიღო და კარის წინ რუ გაწმინდა დაგუბებული ქუქუქისაგან. მოდესტა სწორედ იმ დროს გაქრა, როდესაც დედამისმა ამბის თბრობა დაიწყო. კრისტოფი მარტო დარჩა ოთახში დიასახლისთან და გაგონილით შეძრწუნებული დუმდა. მოხუც ქალს ბევრი ლაპარაკი უყვარდა. დიდხანს დემილი არ შეეძლო და გოტფრიდთან თავისი ნაცნობობის მთელ ამბავს მოჰყვა. ამბავი ძალიან შორეული იყო. ახალგაზრდობაში ის გოტფრიდს ჰყვარებია, მაგრამ თქმას ვერ უბედავდა თურმე. სულ ხუმრობაში ატარებდა. ქალიც ეხუმრებოდა და დასცინოდა. სხვებიც დასცინოდნენ (ასე იყო ჩვეულებრივ, სადაც კი ის გამოჩნდებოდა ხოლმე). გოტფრიდი კი მაინც ყოველ წელს დადიოდა მათთან. მას არ უკვირდა, რომ დასცინოდნენ, ან ქალს არ უყვარდა. ბუნებრივი იყო ისიც, რომ ქალი სხვას წაჰყვავდა ცოლად და ბედნიერად გრძნობდა თავს. ქალი ძალიან ბედნიერი იყო და ტრახახობდა კიდევ თავისი ბედნიერებით. მაგრამ უბედურება დაატყდა და უეცრად ქმარი მოუკვდა. შემდეგ, უბედური შემთხვევისაგან კეთილი, ჯანმრთელი და ვარდივით გაფურჩქნელი ქალიშვილი დაუბრმავდათ. მოდესტა ყველას ძალიან მოსწონდა. მალე ცოლადაც უნდა გაჰყოლოდა მთელ იმ მხარეში უმდიდრესი გლეხის შვილს. ერთხელ მოდესტა დიდ მსხალზე ადიოდა, სახლის უკან რომ დგას; კიბე დაუტყურდა, გადმოვარდა და ტოტი თვალთან მოხვდა. ყველას ეგონა, იარებით გადარჩებოა, მაგრამ თავის ტკივილი დასჩემდა შუბლის არეში. შემდეგ ჭერ ცალ თვალში დაკარგა სინათლე, მერე კი — მეორეში. ვერავითარმა მკურნალობამ ვერ უშველა. რასაკვირველია, ქორწინებაც ჩაიშალა. სასიძო ისე გაქრა, რომ მისი ასაგალ-დასავალი ვერავინ გაიგო. ბიჭები, ერთი თვის წინ მოდესტასთან საცეკვაოდ ერთმანეთს რომ ხოცავდნენ, ახლა ველარა ბედავდნენ (და ეს გასაგებიცაა) ასეთი ტვირთის აკიდებას. მოდესტა, ეს უღარღელი და მხიარული ქალიშვილი, ისეთ სასოწარკვეთილებებაში ჩავარდა, რომ სიკვდილს ნატრობდა. საკმელს აღარ ეკარებოდა, მთელი დღე ცრემლსა ღვრიდა, ღამეც მოთქვამდა. რა მოეხერხებინათ, აღარ იცოდნენ. რა ექნათ, მასთან ერთად ხომ არ მოჰყვებოდნენ ვაი-ვიშს (ამაზე მოდესტა კიდევ უფრო მწარედ ატირდებოდა). წუწუნით ყველას თავი მოაბეზრა. საყვედურს რომ ეტყოდნენ,

იმუქრებოდა, არხში გადავეარდები და თავს დაეიხრჩობო. ხანდახან მღვდელა მოდიოდა ხოლმე მის სანახავად, ესაუბრებოდა ღმერთისა და საუკუნო ცხოვრების შესახებ და ეუბნებოდა, თუ მორჩილად აიტან გაჭირვებას, იმქვეყნად ყველაფერი დაგიფასდებაო. მაგრამ არც ეს ამშვიდებდა. ერთ დღეს მოვიდა გოტფრიდი. მოდესტა მას არასოდეს არ მოქცევია კარგად, გულღვარძლიანა: არა ყოფილა, მაგრამ ათვალწუნებულნი ჰყავდა და დასცინოდა ხოლმე. ვინ იცის, რას არ უშვრებოდა. გოტფრიდმა ამ უბედურების ამბავი რომ გაიგო, ძალიან შეწუხდა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. გვერდით მიუჯდა და, ვითომცა აქ არაფერიაო, წინანდებურად დაუწყო საუბარი. არც უწუწუნია სხვებივით. თითქოს ვერც ამჩნევდა ვერაფერს. ოღონდ არასოდეს სიტყვა არ ჩამოუგდია იმაზე, რასაც მოდესტა ვერ დაინახავდა. მხოლოდ ისეთ რამეზე ლაპარაკობდა, რაც მოდესტას შეიძლება მოესმინა ან მიმხვდარიყო. ამას გოტფრიდი აკეთებდა ძალიან უბრალოდ: კაცი იფიქრებდა, თვითონაც უსინათლოაო. თავდაპირველად მოდესტა ყურს არ უგდებდა და ტირილს განაგრძობდა. მაგრამ მალე ყურიც მიუგდო და დაეღაპარა კიდევ...

— არ ვიცი კი, — განაგრძობდა ქალი, — რა უნდა ეთქვა. სათიბი გექონდა, მოდესტასთვის არ მეცალა. საღამოს, შინ რომ დავბრუნდით, იგი სრულიად დამშვიდებული დავგვხვდა. იმ დღიდან სულ უკეთესობა და უკეთესობა დაეტყო. თითქოს მთლად დაავიწყდა თავისი უბედურება. თუმცა დროდადრო ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ტიროდა, თავის მწარე ბედს გოტფრიდს შესჩიოდა. გოტფრიდი კი, თითქოს არაფერი გაეგოს, მშვიდად ელაპარაკებოდა, ამშვიდებდა. ბოლოს და ბოლოს, სასიეროდ გასვლაზეც დაიყოლია. იმ უბედურების შემდეგ მოდესტა ჭერაც არ გასულყო სახლიდან. ჭერ ბაღში გავლაგამოვლაზე დაითანხმა, შემდეგ კი უფრო შორსაც გავიდნენ მინდორში. მოდესტამაც ისწავლა დამოუკიდებლად გზის გაგნება. მალე გარშემო მომხდარ ამბებსაც ცნობდა. თვალხილული გეგონებოდათ. ახლა ისეთ რამესაც ამჩნევს, რასაც ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ. ახლა ყველაფერი აფიქრებს, წინათ კი. საკუთარი თავის გარდა არაფერზე უფიქრია. ამ მოსვლაზე გოტფრიდი ჩვეულებრივზე უფრო მეტ ხანს დარჩა. ჩვენ, აბა, როგორ ვაგებდავდით და ვთხოვდით დარჩენას. თვითონ არ წასულა, სანამ არა ნახა, რომ მოდესტა მთლად დამშვიდებულია. ერთხელ ეზოდან მოდესტას სიცილის ხმა მომესმა. ვერც კი გეტყვით, რა განვიცადე ამ დროს. გოტფრიდსაც ძალიან გაუხარდა. ის ჩემ გვერდით იჯდა. ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ და გულახდილად უნდა გითხარათ, ბატონო, რომ გულიანად გადავკოცნე. მან კი მითხრა:

— ახლა კი ნამდვილად შემიძლია წასვლა, საჭირო აღარა ვარ.

მე შევეცადე არ გამეშვა;

— არა, — მითხრა მან, — ახლა კი უნდა წავიდე. მეტი დარჩენა აღარ შემიძლიაო.

ქვეყანამ იცოდა, რომ ის მოხეტიალე ურჩიასავით იყო. ერთ ადგილას ვერ

ჩერდებოდა. აღარ დაეკავებო. წავიდა, მაგრამ ცდილობდა, ხშირად შემოეცლო. მისი მოსვლა მოდესტას ძალიან უხაროდა: ყოველი მისი მოსვლის შემდეგ იგი უკეთ და უკეთ გრძნობდა თავს. ისევე მოჰქიდა ხელი საქმიანობას. ძმამ ცოლი ითხოვა. მოდესტა ბავშვებს უვლიდა. ახლა აღარ წუწუნებს და მუდამ კმაყოფილი სახე აქვს. სულ ვფიქრობ, თვალხილული რომ ყოფილიყო, განა უფრო ბედნიერი იქნებოდა-მეთქი. დიახ, ჩემდათავად, ბატონო, ძალიან ხშირად ვფიქრობ ხოლმე, უმჯობესია, მასავით უსინათლო იყო და არ ნახო ცუდი აღამიანები და ავი საქმეები. ძალიან წახდა ხალხი. დღითი დღე უარესდება ყველაფერი. თან მეშინია, ღვთის რისხვა არ დავიტეხო თავს. ჩემდათავად, სიმართლე გითხრათ, მირჩევნია თვალხილული ვიყო და ამ სიავეს ვუტყუარდე...

გამოჩნდა მოდესტა. ლაპარაკი სხვა საგანზე გადაიტანეს. უკვე გამოედარა. კრისტოფე წასასვლელად მოემზადა, მაგრამ აღარ უშვებდნენ. იძულებული იყო ვახშმად დარჩენილიყო და ღამეც მათთან გაეთია. მოდესტა გვერდით მიუჯდა და მთელი საღამო არ მოსცილებია. კრისტოფეს ძალიან ებრალებოდა მოდესტა და გულახდილად უნდოდა მასთან ლაპარაკი. მაგრამ სიტყვამ არაფერი მოიტანა. მოდესტა გოტფრიდის ამბავს ეკითხებოდა. კრისტოფე, თუ რამე ახალს უამბობდა, ხარობდა, თითქოსდა კიდევ იქვიანობდა. თვითონ კი ნაძალადევად ლაპარაკობდა გოტფრიდის შესახებ: იგრძნობოდა, რომ ყველაფერს არა ჰყვებოდა. იტყოდა რაღაცას და თითქოს ინანებდა. ეს მოგონებები მისი საკუთრება იყო, სხვისთვის გაზიარება არ უყვარდა. ამ გრძნობაში რაღაც იყო მიწისადმი გლახის სიხარბისეული. ძალიან წუხდა, რომ მასავით შეიძლება სხვასაც ჰყვარებოდა გოტფრიდი. ამის დაჯერება არ უნდოდა. კრისტოფე კი მის სულში იხედებოდა, მაგრამ ამ გრძნობას არას ერჩოდა. მოდესტას ნაამბობიდან კრისტოფე ხვდებოდა, რომ თვალხილულობის ეამს დასაცინი გოტფრიდი უსინათლობის დროს სულ სხვა ხატებად ქცეულიყო და ნამდვილთან საერთო არაფერი ჰქონდა. მთელი თავისი სწრაფვა სიყვარულისკენ მოდესტას ახლა ამ ხატებაზე ვაღმოეტანა. ამ ოცნებას წინ არაფერი ელობებოდა.

— თქვენ გოტფრიდს ჰგავხართ! — გამოუცხადა მოდესტამ კრისტოფეს უსინათლოთათვის დამახასიათებელი თავდაჯერებით. უსინათლონი ხომ მშვიდად თხზავენ ხოლმე ყველაფერს, რაც არ იციან.

კრისტოფე მიხვდა — ეს ქალიშვილი წლების მანძილზე შეეგუა თითქოს დარბებდნახურულ სახლში ცხოვრებას, სადაც სინათლე არ აღწევდა. შეეჩვია ამ ბნელში ხედვას და სიბნელეს ვეღარ ამჩნევს. ალბათ ეშინია კიდევ ახალ ყოფაში სინათლის სხივის შემოჭრისა. საუბარში იგი ათას წვრილმანს იხსენებდა, იღიმებოდა და კრისტოფისათვის გაუგებარ ფრაზებს ისროდა. კრისტოფეს აღიზიანებდა მისი გაუთავებელი ყბედობა. უკვირდა, რომ მოდესტამ ამდენი გაჭირვება გამოიარა და კჶუას მაინც ვერ მოეგო, რაღაც სისულელეებით ირობოდა თავს. დროდადრო კრისტოფე ტყუილად ცდილობდა უფრო სერიოზულ

საკითხებზე სიტყვის ჩამოგდებას. არავითარი გამოძახილი: მოდესტას არ შე-
ეძლო, თუ არ უნდოდა, ამ საუბარში აყოლა.

ძილის დროც მოვიდა. კრისტოფმა დიდხანს ვერ დაიძინა. გოტფრიდზე ფიქრობდა და ცდილობდა მოდესტას გულუბრყვილო მოგონებების მეოხებით აღედგინა მისი სახე. ეს ძალიან ძნელი იყო. ბრაზობდა, გული უკვდებოდა, რო-
ცა ახსენდებოდა, რომ მისმა ბიძამ აქ დალია სული და მისი ცხედარი, ალბათ, ამ ლოგინზე განისვენებდა. კრისტოფი ცდილობდა, თვითონ განეცადა სიკვდი-
ლის პირზე მიმდგარი გოტფრიდის ნაღველი, როცა მან თვალები დახუჭა, სიკვ-
დილიათვის განეშხადა და ხმა ვერ ამოიღო, რომ ერთი სიტყვა მაინც ეთქვა უსინათლო მოდესტასათვის. როგორ უნდოდა კრისტოფს მოდესტასათვის თვა-
ლების ახელა, იქ დამალული ფიქრების ამოკითხვა, სხვისთვისაც და, იქნებ, თვით გოტფრიდისთვისაც ამოუცნობელი სულის საიდუმლოს ამოხსნა. გოტ-
ფრიდის სიბრძნე სწორედ ის იყო, რომ სხვის სიბრძნეს არ ასდევნებია, არა-
ვისთვის და არაფრისთვის თავს არ მოუხვევია თავისი ნება. ცხოვრების დინე-
ზას მიეცა, შეითვისა და შეიყვარა იგი. მხოლოდ ამით შეძლო მისმა სულმა და-
უფლებოდა სიცოცხლის არსის იდუმალებას. და თუ გოტფრიდთან ურთიერ-
თობა ასეთი კეთილისმყოფელი იყო უსინათლო ქალისა, კრისტოფისა და კი-
დეკ ბევრისათვის, რომელთაც კრისტოფი არ იცნობდა, ეს იმიტომ, რომ ბუ-
ნების მიმართ ჯანყის გამომხატველი ჩვეულებრივი სიტყვების ნაცვლად იგი
ბუნების სიმშვიდეს, ბუნებასთან შერიგებას განასახიერებდა. იგი კეთილისმყო-
ფელა იყო, როგორც ტყე, როგორც მინდორი და ველი. კრისტოფს აგონდებო-
და მასთან სოფლად გატარებული საღამოები, ბავშვობისდროინდელი სეირნო-
ბანა, დამდამობით ნაამბობი ზღაპრები და სიმღერა. გაახსენდა უკანასკნელი
საუბარი ზამთრის ერთ ნაღვლიან დილას ქალაქის მახლობლად გორაკზე. თვა-
ლებზე ცრემლი მოადგა. არ ეძინებოდა. არ ემეტებოდა უძილო ღამის არც ერ-
თი წუთი ამ ყრუ სოფელში, სადაც გოტფრიდის სული ბუდობდა და თვითონ
კრისტოფი კი შემთხვევამ მოიყვანა. მაგრამ წყაროს რაკრაკითა და ღამურე-
ბის წრბინით გაყუჩებულმა კრისტოფმა მაინც ვერ სძლია ახალგაზრდის ჯანსა-
ღი და თავგაუთმთმეველი ძილი.

როცა გაღვიძა, უკვე მზე კაშკაშებდა. ფერმაში ყველას საქმისთვის მოე-
კიდა ხელი. ქვევით ოთახში მარტო მოხუცი ქალი და ბავშვებიღა დახვდნენ.
ცოლქმარი მინდვრად იყო, მოდესტა — ძროხების საწველად. ეძებეს, მაგრამ
ამარღ. მის დაბრუნებას კრისტოფი აღარ დაელოდა. მისი ნახვა მაინც დაწინაურ-
და არ ენატრებოდა. ყველასთან მოკითხვა დაიბარა, მეჩქარებო, — უთხრა მო-
ხუც ქალს და გზას გაუდგა.

ის იყო, გასცდა სოფელს, რომ მოსახვევში თვალი მოჰკრა ფერდობზე ღო-
ბის ძირას ბალახზე ჩამომჯდარ უსინათლო ქალშვილს. კრისტოფის ფეხის
ხმაზე იგი წამოდგა, ღმილით მიუახლოვდა, ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— წავიდეთ!

მინდორ-მინდორ ყვაილებით დაფარულ მდელოზე ავიდნენ. აქ საფლავის ჯვრები იყო აღმართული და სოფელს გადმოჰყურებდა. მოდესტამ იგი ერთ საფლავთან მიიყვანა:

— აი, აქ არის!

ორივემ დაიჩოქა. კრისტოფს სხვა საფლავი გაახსენდა, რომლის წინაშეც ის და გოტფრიდი ერთად იდგნენ მუხლმოდრეკით, და გაიფიქრა:

„ჩემი რიგიც მალე დადგება“.

მაგრამ ამ ფიქრში ახლა სრულებითაც არ ერია ნაღველი. მიწა მშვიდად სუნთქავდა. კრისტოფი საფლავზე დაიხარა და ხმადაბლა ჩასძახა:

— შემოვედ ჩემთან!..

გულხელდაკრეფილი მოდესტა ლოცვით აცმატუნებდა ტუჩებს. შემდეგ მუხლებზე ხოხვით შემოუარა საფლავს. ბალახებს და ყვაილებს ისე უფათურებდა ხელებს, თითქოს ეფერებოდა: მისი ჭკვიანი თითები თვალხილულნი იყვნენ. იგი ფრთხილად წყვეტდა მხეიარას ხმელ რტოებსა და გამხმარ იებს. შემდეგ საფლავის ქვას დაეყრდნო და წამოდგა. კრისტოფმა თვალი მოჰკრა, როგორ შეაელო მან თითები ქვაზე ნაკვეთ ასოებს, რომლებითაც გოტფრიდის სახელი იყო გამოყვანილი:

— რა მშვიდია ამ დილით მიწა, — წარმოთქვა მან.

მოდესტამ ხელი გაიწოდა, კრისტოფს მოჰკიდა და თითები სველ და გამთბარ მიწაზე გაატარებინა. კრისტოფს ხელი არ გაუშვია. მათი ხელები რბილ მიწაში ეფლობოდნენ. კრისტოფმა ხელი მოხვია. მოდესტამ ტუჩებში აკოცა.

წამოდგნენ. მოდესტამ ახლადდაკრეფილი იის კონა გაუწოდა, დამქვანარი კი უბეში ჩაიღო. მუხლები დაიფერთხეს და დაღუმებულნი წამოვიდნენ სასაფლაოდან; მინდორში ტოროლების გალობა ისმოდა; ირგვლივ თეთრი პეპლები დაფარფატებდნენ. ჩამოსხდნენ მდელოზე. ბუხრებიდან ამომავალი ბოლი პირდაპირ წვიმისგან დაბანილი ცრსკენ მიიწვედა. არხის მდორე წყალი სარკესავით ლაპლაპებდა ალვის ხეებს შორის. მოცისფრო ნათელი ნახად გადაჰფენოდა ტყესა და ველებს.

მცირე ღუმელის შემდეგ მოდესტა დაბალი ხმით ალაპარაკდა: რა კარგი ამინდიაო; თითქოს ხედავდა კიდევ. მას ოდნავ გაეპო ბაგეები და ხარბად ეწაფებოდა ჰაერს; ყური იჭერდა ცოცხალი არსებების ხმას. ეს ჰანგები კრისტოფისთვისაც გასაგები იყო. და მან სიტყვიერად გამოხატა ის, რასაც მოდესტა ფიქრობდა და ვერ ეთქვა. მან გამოიცილა ზოგიერთი ბგერა და ოდნავ გასაგონი ფაჩიფუჩი, ბალახებში რომ ისმოდა, თუ ციდან მოდიოდა.

— აი თქვენც ხედავთ მათ? — წარმოთქვა ქალღმთვიმია.

კრისტოფმა უპასუხა, ამათი გამოცნობა გოტფრიდმა მასწავლაო.

— თქვენც? — ცოტა გულისტივილით წარმოთქვა მოდესტამ.

— ნუ იქნებით ეჭვიანი! — კინალამ უთხრა კრისტოფმა. მაგრამ ირგვლივ

გაბრწყინებულ სინათლეს რომ შეხედა და მისი ჩამქრალი თვალები დაინახა, სიბრალულმა მოიცივა:

— თქვენც გასწავლათ?

მოდესტამ უპასუხა, — დიახ, მასწავლა და ახლა უფრო ვტკებები ამით, ვიდრე... (ვიდრე როდისო — აღარ უთქვამს, სიტყვა „დაბრმავების“ ხმარებას ვრიდებოდა).

წუთით ორივე გაჩუმდა. კრისტოფი გულდამწვარი უცქეროდა. მოდესტამ იკრძნო ეს მხერა. კრისტოფს უნდოდა ეთქვა, ძალიან მებრალეზიო; მისი ჩივილი მოესმინა, განდობოდა მას. მან ნახად ჰკითხა:

— ძალიან იტანჯებოდით?

მოდესტას ხმა არ ამოუღია, მოიბუზა. ბლახის ფურცლებს წყვეტდა და კბილებით აქუცმაცებდა. ცოტა ხნის შემდეგ (ტოროლა სიმღერით აიჭრა ცაში). კრისტოფმა დაარღვია სიჩუმე და უამბო, რომ ისიც ძალიან იტანჯებოდა, მაგრამ გოტფრიდმა უშველა. იგი ლაპარაკობდა თავის უბედურებაზე და გაქირვებაზე; თითქოს ხმამაღლა ფიქრობდა. უსინათლო ქალის სახე თანდათან ნათლდებოდა. კრისტოფი ხედავდა, რომ იგი სალაპარაკოდ იმართებოდა. მოდესტა წინ გადმოიხარა და კრისტოფს ხელი გაუწოდა. კრისტოფიც მისკენ გადაიწია, მაგრამ ქალიშვილი ისევ დუმილმა მოიცივა. როცა კრისტოფი თავის ამბავს მორჩა, მოდესტამ მხოლოდ ორი-სამი უმნიშვნელო სიტყვა შეაწია. ჭადატყევილ მრგვალ შუბლზე კაჟივით მდგარი გლენური სიჯიუტე აღბეჭდოდა. ბოლოს გამოაცხადა, შინ უნდა წავიდე და ძმისწულებს მივხედოო. ამას რომ ამზობდა, მოდესტა მშვიდად იღიმებოდა.

— თქვენ ბედნიერი ხართ? — ჰკითხა ამ დროს კრისტოფმა.

ამ კითხვაზე მოდესტამ თითქოს კიდევ უფრო ბედნიერად იკრძნო თავი. ბედნიერი ვარო, უპასუხა და თან უამბო, თუ რატომ იყო ბედნიერი. იგი ცდლობდა, დაერწმუნებინა კრისტოფი. ილაპარაკა ბავშვებზე, სახლზე...

— დიახ, — თქვა მან, — მე ძალიან ბედნიერი ვარ!

მოდესტა წასასვლელად ადგა. ადგა კრისტოფიც. ერთმანეთს ღიმილია და გულგრილად დაემშვიდობნენ. მოდესტას ხელი, რომელიც კრისტოფს ეჭირა, ოდნავ უკანკალბდა.

— სასიამოვნო იქნება ასეთ კარგ ამინდში სიარული, — წარმოთქვა მოდესტამ და ასწავლა საით უნდა გადაეხვია გზაჯვარედინზე, რომ გზა არ აბნეოდა.

დაშორდნენ. კრისტოფმა ბორცვი ჩამოიბრინა. მობრუნდა. მოდესტა ისევ ბეჭობზე იდგა. იგი თავსაფარს იქნევდა და რალაცას ანიშნებდა, თითქოს თვალწილული ყოფილიყო.

საკუთარი უბედურების ამ ჯიუტ უარყოფაში, რომელიც ასე აღაფრთოვანებდა კრისტოფს და ამავე დროს შემადრწუნებლად მოქმედებდა, რალაც გმირულიც იყო და სასაცილოც. კრისტოფი აღიარებდა, რომ მოდესტა თანაგრძნო-

ბისა და აღფრთოვანების ღირსია, მაგრამ მის გვერდით ორ დღესაც ვერ გასძლებდა. კრისტოფი მიაბიჯებდა აყვავილებულ ორღობეში და ახსენებდა ამდენი უბედურების მომსწრე კეთილი შულცი, მისი ნათელი, ნაზი თვალები, რომელთაც არ უნდოდათ და არა ხედავდნენ შეურაცხყოფელ სინამდვილეს.

— ნეტავ, მე როგორი ვარ მის თვალში? — ფიქრობდა კრისტოფი. — მე ხომ ძალიან განსხვავდები იმისაგან, რაც ვგონივარ. მისთვის ისეთი ვარ, როგორიც თვითონ უნდა, რომ ვიყო. იგი ყველაფერს საკუთარი თავის მიხედვით ქმნის, ყველაფერი ისე წმინდა და კეთილშობილი ჰგონია, როგორიც თვითონ არის. ამ ცხოვრებას, როგორიც არის, ისე რომ დაენახა, ვერც კი აიტანდა.

კრისტოფი ფიქრობდა ქალიშვილზე, რომელიც ბნელში ცხოვრობდა, უარყოფდა ამ ბნელს და ცდილობდა ერწმუნა, რომ არსებობს ის, რაც არ არის და არ არსებობს ის, რაც არის.

და კრისტოფი ჩაზვდა გერმანული იდეალიზმის სიღიადეს. ეს სიღიადე ხშირად სიძულვილსაც იწვევდა, რადგან მდარე სულის ადამიანებისათვის ფარისევლობისა და სიბრძნის წყარო იყო. იგი მიხვდა, რომ რწმენას, რომელიც თავისთვის იქმნის რეალობისაგან გამიჯნულ სამყაროს, კუნძულს ოკეანეში. თავისი სიკეთე აქვს. მაგრამ თვითონ არ უნდოდა ამ რწმენას ზიარებოდა, თავშესაფარს არ ეძებდა ამ მკვდრების კუნძულზე... სიცოცხლე! ქეშმარიტება! მან არ უნდა იყოს გმირი, რომელიც სიმართლეს არ ამბობს. სულიერად სუსტ ადამიანებს ოპტიმისტური სიცრუე იქნებ სიცოცხლე! ჰმატებს. კრისტოფისთვის რომ გეკითხათ, დანაშაულიც იქნებოდა საცოდვეი ადამიანებისათვის ამ სასიცოცხლო ილუზიის წართმევა. მაგრამ თვითონ ასეთ ხრიკებს უარყოფდა. ილუზიებით ცხოვრებას სიკვდილი სჯობს... მაგრამ განა ხელოვნება იგივე ილუზია არ არის? არა, ყოველ შემთხვევაში, ასე არ უნდა იყოს. სიმართლე! სიმართლე! თვალები ფართოდ უნდა გაახილოს, ისუნთქოს ცხოვრების მძლავრი სუნთქვით, დინახოს საგნები ისე, როგორც ისინი არიან. თვალებში უყუროს თავის გაჭირვებას და იცინოს!

გავიდა რამდენიმე თვე. კრისტოფმა ქალაქიდან გასვლის იმედი დაკარგა. ჰასლერმა, ვისაც მისი შველა შეეძლო, უარი უთხრა დახმარებაზე. მოხუცი შულცის მეგობრობა კი იმისათვის მოეკლინა მხოლოდ, რომ იქვე გამქარაულიყო.

ღაბრუნების შემდეგ კრისტოფმა ერთხელ მისწერა შულცს. მისგან ორი აღერსიანი წერილი მიიღო. დადლილობის გამო, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ თავისი აზრები ქალღმერთზე ვერ გადაჰქონდა, კრისტოფი აგვიანებდა მდლობის შეთვლას შესანიშნავი სიტყვებისათვის. პასუხს მუდამ სახვალოდ დებდა. და როცა, ბოლოს, წერილის მიწერა გადაწყვიტა, კუნცისაგან ცნობა მიიღო მისი მოხუცი მეგობრის გარდაცვალების შესახებ. შულცს ბრონქიტა

შეტევა მოსვლია, გართულებია და ფილტვების ანთება დამართნია. კრისტოფის შეწუხება ყველასათვის აუკრძალავს. თურმე სულ მასზე კი ლაპარაკობდა. უძლურებისა და მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად სიკვდილმა ძლიერ დაუგვიანა მოსვლა. კუნცისათვის დაუბარებია, კრისტოფს ჩემი სიკვდილის ამბავი აცნობეთ. გადაეცით, რომ ფიქრებით უკანასკნელ წუთამდე მასთან ვიყავიო. შულცი მადლობას უძღვნიდა თავის ახალგაზრდა მეგობარს ბედნიერების მონიჭებისათვის და უთვლიდა, ჩემი ლოცვა-კურთხევა მუდამ თან გაგყვებო. მაგრამ კუნცს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რომ კრისტოფთან გატარებული დღე, ალბათ, შულცის ავადმყოფობის გამწვავების და სიკვდილის მიზეზი იყო.

კრისტოფი ჩუმად ტიროდა. მხოლოდ ახლა იგრძნო, რა ძვირფასი მეგობარი დაჰარგა და როგორ ჰყვარებია იგი. როგორც ყოველთვის, ახლაც იმას წუხდა, რომ კარგად ვერ გადაუშალა გული. ახლა ძალიან გვიან იყო. რაღა დარჩა კრისტოფს; კეთილი შულცი გამოჩნდა მხოლოდ იმისათვის, რომ წასვლის შემდეგ სიცარიელე კიდეც უფრო დაცარიელებულიყო. კუნცსა და პოტ-პეტემ-დლთან კი კრისტოფი იმდენად იყო დაკავშირებული, რამდენადაც ისინი შულცის მეგობრები იყვნენ. კრისტოფმა ერთხელ მაინც მისწერა და მათი კავშირი ამით დამთავრდა. მოდესტასთანაც სცადა, მაგრამ ძალიან ჩვეულებრივი პასუხი მიიღო, რომელშიც მისთვის სრულიად უინტერესო რამეებზე იყო ლაპარაკი. და კრისტოფმა გადაწყვიტა, აღარ განეგრძო ეს ურთიერთობა. ის უკვე აღარავის არაფერს სწერდა, არც სხვისაგან მოსდიოდა წერილი.

დუმილი. დუმილი. დუმილის ნაბადი დღითი დღე უფრო მძიმედ აწვებოდა კრისტოფს. ფერფლის წვიმად ეცემოდა. თითქოს უკვე მწუხრი დამდგარიყო. კრისტოფი კი ახლა-ღა იწყებდა ცხოვრებას. დანებება არ უნდოდა. ძილის უკმაკერ არ დამდგარიყო. უნდა ეცოცხლა...

გერმანიაში ცხოვრება კი აღარ შეეძლო. პატარა და მივარდნილი ქალაქის დახუთებულ გარემოში ისე გაიტანჯა მისი გენია, რომ უსამართლოც კი გახდა. ნერვები დაეძაბა: წერილმანიც კი დიდ ტკივილსა ჰგვრიდა. კრისტოფი Stadtgarten (ქალაქის ბაღი)-ის ვალიაში მარტოობისაგან დატანჯულ საცოდავ ცხოველსა ჰვავდა. სიბრაღულისაგან კრისტოფი ზოგჯერ მათ სანახავად მივიდოდა ზოლმე. ჩახედავდა ლამაზ თვალებში მბეჭუტავ, ჩაქრობის გზაზე დამდგარ თავგანწირულებისა და უიმედობის ცეცხლს. ეჰ! ამას ზომ დაუნდობელი, მაგრამ თავისუფლების მომბრანი ტყვია სჯობს! ყველა, ყველა, ოღონდ ეს საშინელი გულგრილობა ნუ იქნება. გულგრილი ადამიანები არც სიკვდილს გაღირსებენ და არც სიცოცხლეს.

მაგრამ ადამიანების მტრობა როდი კლავდა კრისტოფს ასე ძალიან; მათი მერყევა ბუნება, მათი სულიერი სამყაროს გაურკვეველობა და სიცარიელე უარესი იყო. ამას ყოველგვარი ახალი იდეის უარყოფელი, შუბლმაგარი, გონებაჩლუნგი ადამიანების გააფთრებული სიჯიუტე სჯობია. ძალას ძალა უნდა დაუ-

პირისპირო. კლდეებს — წერაქვი და ნაღმი. მაგრამ რას უზამ ამორფულ მასას, რომელიც ცომივით იზნიჭება უმცირესი ძალის წინაშეც კი და კვალსაც კი არ იმჩნევს. მთელი აზრები, მთელი ძალა თითქოს მორყევი ინტექმება. წყალში ჩაგდებულ ქვასავით თუ რამე შეარხვეს მის ზედაპირს. განეხუმის უფსკრული, კვლავად დაიხშვის და თუ რამ არსებობდა, ყოველივე უკვალოდ ქრება.

ესენი მტრები არ არიან. ღმერთმა ქნას, მტრები ყოფილიყვნენ. ეს ისეთი ხალხია, რომელთაც არც სიყვარულის ძალა შესწევთ, არც სიძულვილისა, არც რწმენისა და არც ურწმუნობისა, არც რელიგიაში, არც ხელოვნებაში, არც პოლიტიკაში და არც ყოველდღიურ ცხოვრებაში. მთელი მათი ძალ-ღონე შეურიგებლის შერიგებაზე იხარჩებოდა. განსაკუთრებით გერმანიის გამარჯვებების დროიდან ისინი ცდილობდნენ შეექმნათ კომპრომისი, საზოგადოებრივი ანალი ძალისა და ძველი პრინციპებისაგან. ძველ იდეალიზმზე ხელი არ აუღიათ: ამისათვის გულწრფელობა იყო საჭირო, ამის უნარი კი მათ არა ჰქონდათ; მხოლოდ და მხოლოდ გააყალბეს იგი გერმანული ინტერესებისათვის დასაქვემდებარებლად. უდრტვინველი და გაორებული ჰეგელი ლაიფციგსა და ვატერლოოს ელოდა, რომ თავისი ფილოსოფია პრუსიის სახელმწიფოს იდეისათვის მიესადაგებია. ყველა ცვალებადობის შესაბამისად იცვლიდა თავის რწმენას. როცა გერმანელები მარცხდებოდნენ, ირწმუნებოდნენ, გერმანიის იდეალი ადამიანობა არისო. როცა სხვებს მოერივნენ, მაშინ ამტკიცებდნენ, გერმანია ადამიანურობის ნიმუშიაო. როცა უპირატესობა სხვა სამშობლოებს ჰქონდათ, ლეინგთან ერთად ირწმუნებოდნენ „სამშობლოს სიყვარული გმირული სისუსტეა, ურომლისოდაც ადვილად გაიძლებო“ და საყუთარ თავს „მსოფლიო მოქალაქეებს“ ეძახდნენ. გამარჯვების შემდეგ კი ყოველწინააღმდეგარეზონს გამოთქვამდნენ „ფრანგული ყაიდის“ ყოველგვარი უტოპიისადმი, როგორც იყო საყოველთაო მშვიდობა, ძმობა, მშვიდობიანი პროგრესი, ადამიანის უფლებები, ბუნებრივი თანასწორობა. ისინი ამბობდნენ — უძლიერეს ხალხს ამსოლუტური უფლებები აქვს სხვა ხალხების მიმართ, უფრო სუსტებს კი არავითარი უფლება არა აქვთო. ძლიერი — ეს არის ცოცხალი ღმერთი, განსახიერებული იდეა, რომლის განვითარებაც ომის, ძალადობისა და ჩაგვრის საშუალებით ხდება. ძალა, რომელიც ახლა გერმანიის მხარეზე იყო, წმინდანად იქცა. ძალა — ეს იყო სრულიად იდეალიზმი და სრულიად გონება.

სიმართლე რომ ითქვას, იდეალიზმის პატრონმა და ძალის არმქონე გერმანიამ საუკუნეების მანძილზე იმდენი ტანჯვა იგემა, რომ ამდენი განცდის შემდეგ ეპატიებოდა ასეთი ნაკლებ სასიხარულო აღიარება: უმთავრესი ძალა არისო. მაგრამ რამდენი ფარული სიმწარეა ჰერდერისა და გოეთეს ერის ამ აღსარებაში! გერმანიის ეს გამარჯვება იყო გერმანული იდეალისაგან უკან დახვევა, მისი მარცხი... და მეტი არაფერი! სხვა აღარაფერი დარჩენოდათ, რომ გაუჭირვებლად განდგომოდნენ ამ იდეალს იმ სამწუხარო მიდრეკილების გამო, რომე-

ლიც მორჩილებაში გამოიხატებოდა და საუკეთესო გერმანელებსაც კი სჩევ-
ვოდათ.

— გერმანელის დამახასიათებელი თვისება, — უთქვამს მოზერს ჯერ კი-
დეც საუკუნეზე მეტი ხნის წინ, — მორჩილებაა.

მადამ დე სტალი ამბობდა:

— ისინი უალრესად მორჩილნი არიან. ფილოსოფიურ დასაბუთებას ეძებენ
ისეთი რამის დასამტკიცებლად, რასაც ამქვეყნად ერთობ მცირე რაზმა აქვს ფი-
ლოსოფიური: პატივისცემა ძალისა და მომადუნებელი მოქმედება შიშისა,
რომლის გავლენითაც ეს პატივისცემა აღფრთოვანებაში გადაიზრდება“.

ამ გრძნობას კრისტოფი ყველასთან პოულობდა, დიდ გერმანელებთანაც
და უბრალო გერმანელებთანაც, — დაწყებული შილერის ვილჰელმ ტელით,
მტერიტაივიტ ზორბა ტანის ამ დარბაისელი წვირილი ბურჟუაზი, თავისუფლად
მოაზრვნევი ებრაელი ბორანეს თქმისა არ იყოს, „ქვირთის ბატონი“ გესლე-
რის ბოძს თავდახრილი რომ ჩაუვლის ხოლმე იმის იმედით, რომ პატივი და
წიში ერთმანეთთან შეარიგოს და თავი იმით გაიმართლოს, — შლაპა არ დაუ-
ნახავს, მამსადამე, არც ურჩობა გამოუჩინია“, და დამთავრებული სამოცდაათი
წლის მოხუცებული პროფესორ ვაისეთი, მათ ქალაქში ყველაზე დაფასებული
მეცნიერით, რომელიც Herr Leutenant-ის დანახვაზე ტროტუარიდან ქვაფე-
ნილზე ჩამოდის, რომ მას გზა დაუთმოს. ამ ყოველდღიური მონური მორჩი-
ლების შემხედვარე კრისტოფს სისხლი უღუღდა. ისე იტანჯებოდა, თითქოს
მას ამცირებდნენ. ოფიცრების მედიდური ქცევა და ქუჩაში თავხედური თავ-
დაჭერილობა ყრუ რისხვას იწვევდა მასში: იგი აშკარად არ უთმობდა გზას და
თვითონაც მედიდურად გადახედავდა ხოლმე. უსამაოვნებას არაერთხელ ას-
ცდენია, თითქოსდა თვითონ დაეძებდა მას. მშვენივრად იცოდა, რა საშიში და
უაზრო იყო ასეთი საქციელი. მაგრამ იყო წუთები, როცა თვალთ უბნელდე-
ბოდა: აღვირს, რომლითაც მუდამ აკავებდა თავის თავს, დაგროვილ ძალებს,
რომელთაც გამოსავალი ვეღარ ეპოვათ, გაცოფებამდე მიჰყავდათ იგი. მაშინ
კრისტოფი მზად იყო ყოველგვარი სისულელე ჩაედინა; ასე ეგონა, თუ ერთ წე-
ლიწაღს კიდევ დარჩებოდა აქ, დაიღუპებოდა. მას ძაღლდა სულის შემხუთვე-
ლი უხეში მილიტარიზმი, ქვაფენილებზე ხმლების ყლარუნი, სამფეხად დადგმუ-
ლი თოფები, ყაზარმების წინ ჩამწყვირებული ქვემეხები ქალაქისკენ მიშვერი-
ლი და სასროლად გამზადებული ლულებით. იმ 'ხანებში გამოსულმა რამდე-
ნიმ რომანმა დიდი აურზაური გამოიწვია. მათში გარნიზონების ყოვლად გა-
ბრწინდო ზნეობაზე იყო ლაპარაკი. ოფიცრები ავკაცებდა იყვნენ გამოყვანილნი.
სამხედრო სამსახურის გარეთ, რომელმაც ისინი ავტომატებად და უსაქმურე-
ბად აქცია, მარტო ისდა იცოდნენ, რომ სევამდნენ და ქალაქსა თამაშობდნენ.
ფულს სესხულობდნენ და სხვის ხარჯზე ცხოვრობდნენ, ენამწარედ კოროაბ-
დნენ და საშახურის ყოველ საფეხურზე, ზემოდან ქვემოთ, ბოროტად იყენებ-
დნენ თავიანთ ძალაუფლებას. კრისტოფს სული ეხუთებოდა, როცა გაახსენდე-

ბოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს თვითონაც იძულებული გახდებოდა მათ დამორჩილებოდა. ის ვერ შეძლებდა, არა, ის ვერასოდეს ვერ შეძლებდა ანის ატანას, თავის თავს პატივს ვერ ახდიდა საკუთარ თვალში, ვერ შეურიგდებოდა დამცირებას და უსამართლობას. მან არ იცოდა, რა მალალი ზნეობისა იყო ზოგიერთი მათგანი, რამდენი რამ ჰქონდა გამოვლილი: დაკარგული ილუზიები, ძალ-ღონე, ახალგაზრდობა, პატივი, რწმენა, ყველაფერზე უარის თქმის დაუოკებელი სურვილი, ყოველივე ცუდად გამოყენებული და ფუჭი; არ იცოდა, რა ტვირთად აწვათ თავიანთი სამსახურის უაზრობა, თუ ეს უბრალოდ სამსახური იყო და არა თავგამეტებულობა, უსიხარულო ფაციფუცი, სულელური პარადი და გაუთავებელი ლაპარაკი, რომლისაც შენ თვითონ არა გჯერა.

სამშობლო კრისტოფისათვის აღარ იყო საკმარისი. თავის თავში ის გრძობდა იმ უხილაე ძალას, რომელიც მოულოდნელად და გარდაუვლად, განსაზღვრულ დროს იჩენს ხოლმე თავს ფრინველებში, — როგორც ზღვის მოქცევა და მოქცევა: — დიდი გადაფრენის ინსტიქტი. მოხუცი შულციის ნაანდერძევი ჰერდერისა და ფიხტეს ტომების კითხვისას იგი ნაცნობ სულიერ განწყობილებებს ხვდებოდა — არა „შვილები მიწისა“, მონურად რომ არიან მასზე მიჯაჭვულნი, არამედ „შვილები ცისა“, რომლებიც სინათლისკენ მიილტვიან.

საით წავიდოდა? თვითონაც არ იცოდა. მაგრამ მისი მზერა ევროპის ლათინური სამხრეთისკენ იყო მიმართული. პირველ რიგში კი — საფრანგეთისკენ: საფრანგეთი — მშფოთვარე გერმანიის მუდმივი თავშესაფარი. გერმანულ აზრს მისგან მრავალი სამსახური ახსოვს, მაგრამ მის გინებას მაინც ვერ აუღის. გერმანული ზარბაზნების მიერ მიზანში ამოღებული ქალაქი 70 წლის შემდეგაც კი უღიდეს მიმზიდველ ძალას აფრქვევდა. აზროვნებისა და ხელოვნების ყოველგვარი ფორმები, ყველაზე რევოლუციური თუ ყველაზე ჩამორჩენილნი, თავ-თავის დროზე თუ ყველანი ერთად, აქა პოვებდნენ მიბაძვისა თუ შთაგონების მაგალითს. კრისტოფს, ისევე როგორც ბევრ სხვა ყოყმანით შეპყრობილ დიდ გერმანულ მუსიკოსს, გული პარიზისკენ მიუწვევდა. რას იცნობდა ის ფრანგულს? — ორი ფრანგი ქალის სახეს და შემთხვევით წაკითხულ ორიოდე წიგნს. ეს საკმარისი იყო მისთვის, რომ თვალწინ დადგომოდა სინათლის, მხიარულების და შემართების ქვეყანა, სადაც ახალგაზრდობასა და ფიცხელ გულს ცოტაოდენი გალური ყოყორობაც ეცხო. მას სწამდა, რადგან სჭირდებოდა ეს რწმენა და სულითა და გულით სურდა ასე ყოფილიყო.

წასვლა გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ დედას ვერ იმეტებდა.

ლუიზა ბერდებოდა. მას უყვარდა თავისი ვაჟი, ეს ერთადერთი სიხარული. კრისტოფისთვისაც დედა ყველაზე საყვარელი არსება იყო ამქვეყნად. და მაინც ისინი ერთმანეთსა ტანჯავდნენ. დედას არ ესმოდა კრისტოფისა და მაინცდამაინც არცა ცდილობდა წის გაგებას. მხოლოდ ერთი დარდი ჰქონდა — შვილის

სიყვარული. ამ გონებრივად შეზღუდულს, მორიდებულსა და განუვითარებელ ქალს მშვენიერი გული ჰქონდა, სიყვარული სწყუროდა და სამაგიეროსაც ითხოვდა. ეს კი გულამაჩუყებელიც იყო და შემბორკავიც. იგი პატივისცემით ეპყრობოდა თავის შვილს, რადგან დიდად განსწავლული ეჩვენებოდა; მაგრამ ყველაფერს აკეთებდა, რომ ჩაენშო მისი ტალანტი. ლუიზას ეგონა, კრისტოფი მთელი თავისი სიცოცხლე მასთან დარჩებოდა, მათს პატარა ქალაქში. მათ მრავალი წელი გაატარეს ერთად და ვერც კი წარმოედგინა, რომ მულამ ასე არ იქნებოდა. იგი ხომ ბედნიერი იყო: კრისტოფი რატომ აღარ უნდა ყოფილიყო? მთელი მისი ოცნება იყო ვინმე მდიდარი მოქალაქის ქალიშვილი ცოლად მოეყვანა თავისი ვაჟისათვის, კვირაობით ეკლესიაში მოესმინა ხოლმე კრისტოფის დაკავა ორღანზე და არასოდეს მოშორებოდა თავის შვილს. ლუიზას იგი მულად თორმეტი წლის ბიჭად წარმოედგინა და სურდა კვლავაც ასე ყოფილიყო. თავისდაუნებურად ლუიზა ტანჯავდა საწყალ კაცს. ისიც ბორგავდა ამ ვიწრო გარემოში.

და მაინც ბევრი სიამართლე და მორალური სიდიადე იყო დედის ამ ანგარიშმიუცემელ ფილოსოფიაში, რომლისთვისაც გაუგებარი იყო პატივმოყვარეობა და ცხოვრების მთელ ბედნიერებას ოჯახურ სიტკბოებასა და ვალის მოხდაში ხედავდა. მის სულს მხოლოდ სიყვარული სწყუროდა და სხვა არაფერი, თუ არა სიყვარული. სჯობს, განუდგე სიცოცხლეს, გონებას, ლოგიკას, სამყაროს, ყველაფერს, ოღონდ სიყვარულს არა! და ეს სიყვარული იყო უსაზღვრო, მვედრებელი და მომთხონი. იგი ყველაფერს თმობდა და ყველაფერს ითხოვდა. იგი განდგომილი იყო ცხოვრებისაგან და ამასვე მოითხოვდა სხვებისაგან. ძალა სიყვარულისა უბრალო სულთა! იგი უმალ გაპოვინებს იმას, რასაც გუქირვებით აგნებს ტოლტონის მსგავსი გენიოსის მამიებელი და მერყევი გონება ან დაღუპვის პირზე მყოფი ცივილიზაციის ერთობ ფაქიზი ხელოვნება; იმას, რასაც ეწირება მთელი სიცოცხლე, საუკუნოვანი თავდადება, ბრძოლა და ძალი. მაგრამ კრისტოფის სულში აბოზოქრებულ ამაყ სამყაროს სხვა კანონები ჰქონდა და სხვა სიბრძნეს ითხოვდა.

დიდი ხანია განზრახული ჰქონდა დედისთვის ემცნო თავისი გადაწყვეტილება. მაგრამ თრთოდა იმის გახსენებაზე, რომ ამით ტანჯვას მიაყენებდა. სათქმელად მომზადებული ფრთხებოდა ხოლმე და სხვა დროისთვის გადაჰქონდა. ირ-სამეგრე ფრთხილად გადაუკრა სიტყვა წასვლის თაობაზე. ლუიზა ყურადღებას არ აქცევდა. იქნებ განგებაც არ უნდოდა დაეჭვრებინა, ვინაშე შვილიც დაერწმუნებინა, რომ ხუმრობით იყო ნათქვამი. და ისიც ველარ ბედავდა ხმას ამოღებას. მაგრამ დაღვრემილი და შეწუხებული დადიოდა, თითქოს გულში რაღაც საიდუმლოებას ტვირთად ატარებდა. საწყალი ქალი ხვდებოდა, რა საიდუმლოც უნდა ყოფილიყო და ცდილობდა დროებით მაინც გადაეტანა ამაზე საუბარი. საღამოობით, ლამპის შუქზე, როდესაც ისინი წყნარად ისხდნენ ხოლმე ერთმანეთის კვერდით, ლუიზას უეცრად მოეჩვენებოდა, რომ კრისტოფი

ახლა კი დაიწყებს ამაზე ლაპარაკსო. შეშინებული ქალი სასწრაფოდ მოჰყვებოდა გამალებულ ტიტინს. თვითონაც არ იცოდა, რას ამბობდა. მთავარი იყო, კრისტოფისთვის შეეშალა ხელი. ჩვეულებრივ ინსტინქტი ისეთ არგუმენტებს კარნახობდა, რომელთა უარყოფა შეუძლებელი იყო. იგი ნელა მოჰყვებოდა წუწუნს ჭანმრთელობაზე, ჩიოდა, ხელ-ფეხი მისივდება და მუხლებში ვედარ ვინრებო; აზვიადებდა თავის სწეულებას, ხეიბარს უწოდებდა თავის თავს და ამბობდა: აღარაფრისთვის აღარ ვვარგვივარო. ეს გულუბრყვილო წუწუნი ადვილი ამოსაცნობი იყო. კრისტოფი დაღვრემილი შესცქეროდა და ჩუმად საყვედურობდა. ცოტა ხნის შემდეგ კი ადგებოდა, დაღლილობას მოიმიზებდა და დასაწოლად წავიდოდა.

მაგრამ ასეთი ხერხებით ლუიზა დიდხანს ვერ გაიტანდა თავს. ერთ საღამოს, როდესაც ის კვლავინდებურად შეეცადა თავის დაღწევას, კრისტოფმა გამბედრობა მოიკრიბა, მოხუც დედას მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— დედა, შენთვის რაღაცა მაქვს სათქმელი.

ლუიზა შეკრთა, ყელში რაღაცა მოეჭინა, მაგრამ მხიარული იერი მიიღო და უპასუხა:

— რა იყო, შვილო?

კრისტოფმა ლულულდით შეატყობინა თავისი განზრახვა წასვლის შესახებ. ლუიზამ, ჩვეულებისამებრ, ზმრობაში გატარება სცადა და სიტყვა ბანზე აუგდო, მაგრამ კრისტოფმა უკან აღარ დაიხია და ისე მტკიცედ და სერიოზულად განავრძო ლაპარაკი, რომ ყოველგვარი ეპკი გაიფანტა. მაშინ ლუიზა დადუმდა, და, თითქოს სისხლის მოძრაობა შეუწყდაო, ხმაგაკმენდილი და გაცივებული, შიშით სავსე თვალებით მიაცქერდა შვილს. და მის თვალებში ისეთმა უბედურებამ დაისადგურა, რომ კრისტოფს ენა ჩაუვარდა. ერთხანს ორივე დუმდა. და როცა, ცოტა ხნის შემდეგ, ლუიზამ სული მოითქვა, ბაგეების თრთოლვით შესძახა:

— არა, შეუძლებელია... შეუძლებელია.

ორი მსხვილი ცრემლი ნელ-ნელა დაცურდა მის ლოყებზე. შეძრწუნებულმა კრისტოფმა თავი მიიბრუნა და ხელები სახეზე აიფარა. ორივე ტიროდა. ცოტა ხნის შემდეგ კრისტოფმა თავის ოთახს მიაშურა და მეორე დღემდე არ გამოჩენილა. მომხდარ ამბავზე ერთი სიტყვაც აღარ უთქვამთ. და რადგანაც კრისტოფი აღარაფრის ამბობდა, ლუიზას სურდა ეფიქრა, რომ ის დათმობაზე წავიდა. მაგრამ იმ დღიდან სულ შიშში ცხოვრობდა.

დადგა წუთი, როცა კრისტოფს დემილი აღარ შეეძლო. საჭირო იყო თქმა, თუნდაც გული მოეკლა დედისათვის. კრისტოფი ძალიან იტანჯებოდა. საკუთარმა ტკივილმა ჰქლია სათქმელით გამოწვეულ სხვის ტკივილს. და ითქვა, ითქვა ყველაფერი, რაც სათქმელი იყო. უკანდახვევის შიშით არც კი შეუხედავს დედისათვის. მან წასვლის დღეც კი დანიშნა, რომ ამაზე მეორედ აღარ ყოფი-

ლიყო ლაპარაკი (არ იცოდა, კიდევ მოიკრებდა თუ არა იმ არასასიამოვნო გამბედაობას, რომელიც დღეს გამოიჩინა). ლუიზამ შეჰყვირა:

— არა, არა, გაჩუმდი!

კრისტოფი დაიძაბა და ურყევი სიმტკიცით განაგრძო. როცა ყველაფერი ითქვა, ლუიზას ხელები მოჰკიდა (ლუიზა ქვითინებდა) და სცადა გაეგებინებინა, რა აუცილებელი იყო მისი შემოქმედებისათვის, მისი ცხოვრებისათვის ცოტა ხნით წასვლა. ლუიზას ყურის გღებაც არ უნდოდა, ტიროდა და იმეორებდა:

— არა, არა! არ მინდა.

რომ ვერაფერი შეასმინა, კრისტოფი მოეშვა, იფიქრა, ღამე მაინც შეიცვლის აზრსო. მაგრამ, როდესაც დილით სუფრასთან შეხედნენ ერთმანეთს, კრისტოფმა ისევ თავის გეგმებზე ჩამოაგდო ლაპარაკი, ლუიზას პირთან მიტანილი პურის ლუქმა გაუეჭარდა და გულისტკივილითა და საყვედურით წამოიძახა:

— შენ გინდა მტანჯო, არა?

კრისტოფი მღელვარებამ შეიპყრო, მაგრამ უპასუხა:

— ძვირფასო დედა, ასეა საქირო.

— არა, არა, — გაიმეორა ლუიზამ, — არ არის საქირო... ეს ჩემ გასაწვევლებლადაა... ეს ხომ სისულელეა...

ორთავეს თავისი სათქმელი ჰქონდა, მაგრამ ერთმანეთს ყურს არ უგდებდნენ. კრისტოფი მიხვდა, დავას აზრი არა აქვს, ყოველ წუთს ახალი განცდები მოაქვსო და დაუფარავად შეუდგა გამგზავრებისათვის სამზადისს.

ლუიზა მიხვდა, რომ მუდარით შეიღს ვედარ შეაჩერებდა და გულის გამაწვრილებელმა უმოქმედობამ შეიპყრო. იგი მთელი დღეები ჩაეკეტილი იჯდა თავის ოთახში და სიბნელეშიც კი არ ანთებდა სინათლეს. აღარც ლაპარაკობდა, აღარც არაფერს ჰქამდა. ღამღამობით კრისტოფს მისი ტირილი ესმოდა და გული უქვედებოდა. ისიც სინანულისგან ბორგავდა, მთელი ღამე ტრიალებდა ლოგინში, ძილი არ ეკარებოდა. მას ხომ ძალიან უყვარდა დედა. რატომ უნდა ტანჯავდეს ასე? ერთი სიტყვით!.. თუმცა განა მარტო მას; ამას კრისტოფი ნათლად ხედავდა. ნეტავ რატომ დაანათლა ბედმა სურვილი და ნებისყოფა, მისდინა თავის მოწოდებას და ტანჯვა მიაყენოს საყვარელ ადამიანებს?

„ჰე! — ფიქრობდა იგი, — ნეტავ თავისუფალი ვიყო. ნეტავ არ მერეკებოდეს ეს შეუბრალებელი ძალა, ეს სურვილი — ან ის გავხდებ, რაც უნდა ვიყო, ან მოვკვდებ სირცხვილსა და საკუთარი თავისადმი სიძულვილში. რამდენ ბედნიერებას მოგანიჭებდით თქვენ, ვინც ასე მიყვარხართ! მაშ, დამაცადეთ, ვიცხოვრო, ვიბრძოლო და ვიტანჯო; და შემდეგ კი დაგიბრუნდებით უფრო მოყვარული. როგორც მინდა სხვა არაფერი ვაკეთო, გარდა სიყვარულისა, სიყვარულია და სიყვარულისა!..“

იგი ვერასგზით ვერ აიტანდა განწირული სულის საყვედურს, ის რომ მდუმარე ყოფილიყო. მაგრამ სულმოკლე და ლაპარაკის მოყვარულ ლუიზას არ შეეძლო თავისი ნადველის დაფარვა. ლუიზამ ნადველი მეზობელ ქალებს გა-

ანდო. თავის ორ ვაჟსაც უამბო. ამათაც ხელიდან არ გაუშვეს შესანიშნავი შემთხვევა, რომ კრისტოფისათვის საყვედური ეთქვათ. განსაკუთრებით რუდოლფმა; მას მულამ შური ღრღნიდა უფროსი ძმისადმი; ასეთ ეთარებაში ეს შური სრულიად უაზრო იყო. კრისტოფის საქებრად ნათქვამ ყოველ სიტყვაზე ცოფებს ყრიდა. გულში შიშით შესცქეროდა თავისი ძმის მომავალ სახელსა და დიდებას, თუმცა ამ სულმდაბლობაში თავის თავსაც არ გამოსტყლოძია (ის საკმაოდ ჭკვიანი იყო იმისათვის, რომ ეგრძნო თავისი ძმის ძალა და შიშობდა, სხვებიც არ მიმხვდარიყვნენ.) რუდოლფი ბედნიერი იქნებოდა გამოეყენებინა უპირატესობა და კრისტოფი გაესრისა. თვითონ არასოდეს უზრუნია დედაზე, თუმცა იცოდა მისი გაკირავება. მას შეეძლო დახმარება გაეწია დედისათვის, მაგრამ მთელი საზრუნავი კრისტოფისათვის ჰქონდა მინდობილი. გრძნობების უღვივი საგანძური მაშინ აღმოაჩნდა, როდესაც კრისტოფის გეგმები შეიტყო. იგი წინ აღუდგა სურვილს დედის დატოვების თაობაზე და საშინელ ეგოისტულ მონათლა იგი. რუდოლფის თავხედობა იქამდე მივიდა, რომ კრისტოფსაც კი უთხრა. გასაროხვი ბავშვივით ჰკუთის სწავლებაც კი დაუწყო. უსირცხვილოდ შეახსენა შვილის ვალი დედისადმი და ჩამოუთვალა ყველაფერი, რაც დედამ მსხვერპლად გაიღო მისთვის. კრისტოფს სიბრაზისაგან კინაღამ სული შეეხუთა. მან სულ წიხლის კვრით გააგდო რუდოლფი და მასხარა და ფარისეველი უძახა. რუდოლფმა სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ ლუიზა ამხედრა მის წინაღმდეგ. მისი წაქეზებით ლუიზამ გადაწყვიტა, რომ კრისტოფი ცუდი შვილი იყო. ირგვლივ მხოლოდ ისღა ესმოდა, კრისტოფს არა აქვს წასვლის უფლებაო. და სჯეროდა კიდევ. ნაცვლად იმისა, რომ თავისი საუკეთესო იარაღი — ცრემლი გამოეყენებინა, ლუიზა უსამართლო საყვედურებს ეუბნებოდა შვილს. ამაჲ კრისტოფი მოთმინებიდან გამოიყვანა. მათ ბევრი საწყყნი უთხრეს ერთმანეთს და თუ აქამდე კრისტოფი მერყეობდა, ახლა მხოლოდ ერთი საზრუნავიღა დარჩა, როგორმე დაეჩქარებინა გამგზავრების სამზადისი. კრისტოფმა შეიტყო, რომ შემბრალები მეზობლები ცრემლსა ღვრიან მისი უბედურა დედის გამო. უბნის საზოგადოებრივ აზრს მიაჩნია, რომ ლუიზა მსხვერპლი გახლავთ, ხოლო ვაჟი ჭალათია. კრისტოფმა კბილები გააღრჭიალა. უკან აღარ დაუხვეია.

გადიოდა დღეები. კრისტოფი და ლუიზა თითქმის აღარ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ნაცვლად იმისა, რომ ბოლომდე დამტკბარიყვნენ ერთად გატარებული უკანასკნელი დღეებით, ეს ორი ერთიმეორისათვის საყვარელი არსება, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, დარჩენილ დროს უაზრო კინკლაობაში ხარჯავდა. მხოლოდ სუფრასთან ხედებოდნენ, უბრად ისხდნენ პირისპირ, ერთმანეთს არ უყურებდნენ და უფრო ზრდილობის გულისათვის, ძალით ყლაპავდნენ ლუკმას. კრისტოფი ვაჭრეებით ამოთქვამდა ორიოდ სიტყვას. ლუიზა არ პასუხობდა. როცა ლუიზას უნდოდა გამოლაპარაკება, კრისტოფი აღარ იღებდა ხმას. ეს აუტანელი ხდებოდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ძნელდებოდა ამის ატანა. ნუთუ ასე დაშორდებიან ერთმანეთს? ახლა კი გამოიღო

ლუიზამ თავი, დამნაშავე ვარ და ამის უფლება არა მქონდაო; ძალიან დარ-
ლობდა; აღარ იცოდა, როგორ მოებრუნებინა კრისტოფის გული, როგორ შე-
ეშალა ხელი განშორებისათვის. კრისტოფი ფარულად შესცქეროდა დედის ფერ-
დაკარგულ და ცრემლებისაგან დასველებულ სახეს და სინდისი ქენჯნიდა. წასვლა
უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი; ისიც იცოდა, რომ ეს მთელი მისი
ცხოვრების საკითხი იყო და ამიტომ მხალს სურვილს შეეპყრო, მალე დასდგო-
მოდა ამ გზას და ამ ტანჯვისათვის თავი დაეღწია.

წასვლა ზეგისათვის იყო დანიშნული. ეს-ეს არის დასრულდა ერთი იმ
უსიამოვნო შეხვედრათაგან, რომლებიც მაგიდასთან იმართებოდა ხოლმე. ნა-
საუზმევს არც ერთს ხმა არ ამოუღია. კრისტოფმა თავის ოთახს მიაშურა. იგი
საწერ მაგიდას მიუჯდა და სახეზე ხელები აიფარა. არაფრის კეთების თავი არა
ჰქონდა. იჯდა და მწარე ფიქრებს მისცემოდა. დრო გადიოდა. დამის პირველი
საათი იქნებოდა. უეცრად ხმაური მოესმა. მეზობელ ოთახში სკამი წაიქცა.
გაიღო კარი და პერანგისამარა და ფეხშიშველი ლუიზა ტირილით ჩამოეკიდა
კისერზე. ქალს ცეცხლი ეკიდა ციებ-ციხელებისაგან, კოცნიდა კრისტოფს, ქვი-
თინებდა და გაიძახოდა:

— არ წახვიდე! არ წახვიდე! გემუდარები, გემუდარები! ჩემო პატარავ,
არ წახვიდე!.. იცოდე, მოკვდები... მე არ შემიძლია, არ შემიძლია ამის
ატანა!..

თავზარდაცემული და შეშინებული კრისტოფი კოცნიდა დედას და იმე-
ორებდა:

— დედა, ძვირფასო, დაწყნარდი, დაწყნარდი. ძალიან გთხოვ!

მაგრამ ის განაგრძობდა:

— ამაჲ ვერ ავიტან... მეტი არავინა მყავს. შენ რომ წახვიდე, რაღა მე-
შველება? მოკვდები: არ მინდა შენგან შორს სიკვდილი. მოიცადე ჩემს სიკვ-
დილამდე!

ეს სიტყვები გულს უკლავდა კრისტოფს. არ იცოდა, რა ეთქვა დასამშვი-
დებლად. ან რა დაუდგებოდა წინ სიყვარულისა და ტანჯვის ამ ნიაღვარს? მან
მუხლებზე დაიხვია დედა, კოცნიდა და ტკბილი სიტყვებით აშშვიდებდა. ლუიზა
თანდათან დაწყნარდა. დროდადრო თუ აღმოხდებოდა სლუჟენი. ცოტა რომ
დამშვიდდა, კრისტოფმა უთხრა:

— წადი, დაწეჲ, გაცივდები.

ლუიზამ გაიმეორა:

— არ წახვიდე!

— არ წავალ. — წყნარად უპასუხა მან.

ლუიზა აკანკალდა და ხელი სტატა შეიღს.

— მართლა? — ჰკითხა მან. — მართლა?

ქანცაკალიმა კრისტოფმა პირი მიიბრუნა:

— ხვალ, — უპასუხა მან, — ხვალ გეტყვი. ძალიან გთხოვ, ახლა თავი დამანებე!..

ლუიზა მორჩილად წამოდგა და თავის ოთახს მიაშურა.

მეორე დღეს ლუიზას უკვე რცხვენოდა იმ სასოწარკვეთილებისა, შუალა-მისას სიგიჟესავით რომ მოერია. ოთახის კუთხეში მიმჯდარი გულის ფანცქალით ელოდა კრისტოფის გამოჩენას. გასართობად საქსოვი აიღო, მაგრამ თითები არ ემორჩილებოდა. იძულებული გახდა, თავი დაენებებინა. კრისტოფიც შემოვიდა. ისინი ხმადაბლა მიესალმნენ ერთმანეთს. ერთმანეთისთვის არც კი შეუხედავთ. წარბშეკრულმა კრისტოფმა ფანჯარას მიაშურა, დედას ზურგი შეაქცია. ხმა არ ამოუღია. მის სულში ბრძოლა იყო გაჩაღებული. კარგად იცოდა ამ ბრძოლის შედეგი და ფეხს ითრევდა. ლუიზა ვერაფრის თქმას ვერ ბედავდა. მოსალოდნელი პასუხისა ეშინოდა. მან ისევ საქსოვის მოჰკიდა ხელი, მაგრამ თვალში სინათლე ჰქონდა დაკარგული და თვლები არათანაბარი გამოსდიოდა. გარეთ წვიმდა. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ კრისტოფი დედას მიუახლოვდა. ლუიზა არ განძრეულა. გულმა გამალებით დაუწყო ცემა. კრისტოფი უძრავად იდგა და დედას შესცქეროდა. მერე უცებ მუხლებში ჩაუვარდა, თავი კალთაში ჩაურგო და უხმოდ მოჰყვა ტირილს. მაშინ მიხვდა ლუიზა, რომ კრისტოფი არსად არ მიდიოდა. გულზე მომაკვდინებელი ნაღველი მოეშვა, მაგრამ მისი ადგილი უმალ სინანულის განცდამ დაიკირა. ლუიზამ იგრძნო, რა მსხვერპლიც გაიღო მისმა შვილმა. ახლა თვით ლუიზას დაეუფლა ტანჯვა, რომლითაც კრისტოფი იყო შეპყრობილი. ლუიზა დაიხარა და ხარბად დაუკონცა შვილს შუბლი და თმა. ორივე ჩუმად ტიროდა, ორივეს ერთი გულისტყვივით ჰქონდა. კრისტოფმა თავი ასწია. ლუიზამ თვლებში ჩახედა შვილს.

— წადიო, — უნდოდა ეთქვა, მაგრამ არ შეეძლო.

კრისტოფს კი თავისი სათქმელი ჰქონდა: — ბედნიერი ვარ, რომ დავრჩიო, — მაგრამ ვერ ამბობდა.

გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა. არც ერთსა და არც მეორეს არაფრის შეცვლა არ შეეძლოთ. მტანჯველი სიყვარულით შეპყრობილმა ლუიზამ ამოიხარა:

— ეჰ, ნეტავ შეიძლებოდეს ერთად გაჩენა და ერთად სიკვდილი!

ამ გულუბრყვილო დადადისმა კრისტოფს გული აუჩუყა. მან ცრემლები შეიმშრალა და ნაძალადევად გაიღიმა:

— ჩვენ ერთად მოვკვდებით.

დედამ ერთხელ კიდევ ჰკითხა:

— შენ მართლა აღარ მიდიხარ?

კრისტოფი წამოდგა.

— ვთქვი და გავათავე. ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ. უკან დახევა აღარ იქნება.

კრისტოფმა თავისი სიტყვა შეასრულა. წასვლაზე აღარ ულაპარაკნია, მავ-

რამ რომ არ ეფიქრა, ეს მასზე როდილა იყო დამოკიდებული. იგი დარჩა, მაგრამ მსხვერპლი ძვირად დაუჯდა დედამისს, კრისტოფი მუდამ მოწყენალი და დაღვრემილი იყო. ლუიზა არასოდეს არ აკეთებდა იმას, რაც საჭირო იყო. მშვენივრად იცოდა და მაინც გულს უწყალებდა კრისტოფს, წარამარა ეკითხებოდა მოწყენილობის მიზეზებს. რამდენჯერ დააპირა კრისტოფმა დედასთან გულახდილი ლაპარაკი, მაგრამ სწორედ ხმის ამოღების მომენტში მათ შორის ჩინური კედელი აღიმართებოდა ხოლმე. ისიც უკან იბრუნებდა სათქმელს. ლუიზა ხვდებოდა, მაგრამ ვერ ბედავდა გამოწვევას. იქნებ უნარი არა ჰქონდა ამისათვის. როცა კი გაბედავდა, კრისტოფი უფრო ღრმად მალავდა თავის გულისნადებს, თუმცა კი გულით უნდოდა გამეღავნება.

კრისტოფს დედამისისაგან ათასი წვრილმანი და ხასიათის უწყინარი, სუსტი მხარეები ამორებდა და აღიზიანებდა. სიბერის გულშევიწყობით ლუიზა ხშირად იმეორებდა ერთსა და იმავეს. იგი აღფრთოვანებული ჰყვებოდა მეზობლებსაგან გაგონილ კორებს. რაც მთავარია, არ ბეზრდებოდა და გულმოდგინედ იხსენებდა კრისტოფის ბავშვობის უმნიშვნელო ამბებს, როგორც ძიძა, რომელსაც არა სჯერა, რომ მისი პირმშო უკვე დიდი ხანია აკვანში აღარა წევს. რამდენი ჯაფაა საჭირო, რომ კაცი წამოიზარდოს, აღამიანად იქცეს. აქ კი, თითქმის განგებ, ჯულიეტას ძიძა წინ ქუჭყიან საფეხებს გიშლის, უსუსური აზრები მოაღის და გაამბობს იმ ავბედით დროზე, როცა ახლად მოვლენილი სული ფეთქავდა, ფართხალბოდა, თავს იცავდა მატერიის მკაცრი ჩაგვრისა და სულისშემხუთველი გარემოსაგან.

ლუიზას ნაზი სიყვარულის გრძნობაც ჰქონდა. მაშინ იგი პატარა ბავშვივით ეპყრობოდა თავის შვილს. ეს გულს უჩუყებდა კრისტოფს. ისიც პატარა ბავშვივით მიენდობოდა ხოლმე.

მაგრამ ცუდი ის იყო, რომ დილიდან საღამომდე ერთად იყვნენ, ერთად იყვნენ მუდამ და სხვასთან ურთიერთობა არა ჰქონდათ. როდესაც ორი კაცი იტანჯება და ერთმანეთს ვერაფერსა შველის, ეს ტანჯვა აუტანელი ხდება. ორივეს ერთმანეთა მიაჩნია თავისი ტანჯვის მიზეზად და დარწმუნებულად არის ამაში. მაშინ მარტო ყოფნა სჯობს. ტანჯვითაც მარტო შენ იტანჯები.

ეს ორივესთვის ყოველდღიური სატანჯველი იყო. რომ შემთხვევა არა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ისინი ვერასოდეს თავს ვერ დააღწევდნენ ამ მდგომარეობას, ერთი შეხედვით ეს უბედური, მაგრამ სინამდვილეში საბედნიერო შემთხვევა იყო და ორივე გამოიყვანა საჭოჭმანო მდგომარეობიდან.

ოქტომბრის კვირა დღე იყო. ნაშუადღევს ოთხი საათი. მზიანი დარი იდგა. ფიქრებში წასული კრისტოფი მთელი დღე თავის ოთახში იყო და „ნაღველით ტეკობას მისცემოდა“.

მეტის მოთმენა აღარ იქნებოდა. ჰაერზე გავლა მოუნდა. გავლა-გამოვლა, დაღლა-დაქანცვა; ოღონდ არ ეფიქრა.

წინა დღით ნაჩხუბარი იყო დედასთან, ამიტომ კინალამ დაუმშვიდობებლად წავიდა. კიბის თავში გაასხენდა, რომ მთელი საღამო მარტო დარჩენილი დედა ძალიან მოიწყენდა; მიბრუნდა, თითქოს რამე დავიწყნოდეს. დედის თათხის კარი გამოღებული იყო. კრისტოფმა შეიხედა, რამდენიმე წამი დედას უყურა (ნეტავ რა ადგილს დაიჭერდნენ ეს წაშები მის მომავალ ცხოვრებაში?).

ეკლესიიდან ახალმოსული ლუიზა თავის საყვარელ ადგილას იყო მიმჯდარი ფანჯრის კუთხეში. მოპირდაპირე სახლის ქუუყყიანი და ჩამოშლილი თეთრი კედელი მთელ ხედს ფარავდა. მაგრამ ფანჯრის კუთხიდან, სადაც ლუიზა იჯდა, მარჯვნივ, მეზობელი სახლის უკან, მწვანე მდელოს ერთი კუთხე მოჩანდა. ფანჯრის რაფაზე მხვიარა ყვავილის ქოთნები ეწყო. მხვიარები მალა-მალა მიპყვებოდნენ თოკებს, მზით მოოქროვილ ბადეს რომ ჰგავდა. ლუიზა დაბალ სკამზე იჯდა ზურგში მოხრილი, მუხლებზე სქელი ბიბლია გადაეშალა. არ კითხულობდა. ძარღვებდაბერილი, ოდნავ მოხრილი ოთხკუთხაფრჩხილებიანი მუშა ხელები წიგნზე დაეწყო და სიყვარულით შესცქეროდა მცენარეს და ლურჯი ცის ნაფლეთს. ოქროსფერ-მწვანე ბადეში გამოღწეული მზის სხივები ლუიზას წითელი ძარღვებით დასერილ სახეზე, კაღარა, თხელ და წვრილ თმაზე და ნახევრად ღია მომღიმარ ბაგეებზე ეცემოდა. ლუიზა ტუბებოდა დასვენების ამ საათით. ეს მისთვის ყველაზე ტუბილი წუთები იყო ამ კვირაში. იგი ცდილობდა ღრმად შეეტოპა მამრალი კაცის ამ მშვიდ თავდავიწყებაში. აქ ფიქრები უგზო-უყვლოდ იკარგებიან და ნახევრად მთვლემარეს სანახევროდ მიძიებული გულის მხოლოდ ხმადა გესმის.

— დედა, — მიატახა კრისტოფმა, — გავლა მინდა, ბუირისკენ წავალ; ცოტა შემაგვიანდება.

მთვლემარე ლუიზა შეკრთა. მერე თავი მოაბრუნა და ლმობიერი და მშვიდი მხერა შვილს მიაპყრო.

— წადი, ჩემო პატარავ. — უპასუხა მან, — აგრე სჯობია, კარგი ამანდია. ლუიზამ გაუღიმა. კრისტოფმაც ღიმილით უპასუხა. ერთხანს ასე შესცქეროდნენ ერთმანეთს. ორივემ ოდნავ დაიქნია თავი დასამშვიდობებლად და თვალი შეავლეს ერთმანეთს.

კრისტოფმა ჩუმად მიიხურა კარი. ლუიზა ნელ-ნელა ისევ დაუბრუნდა თავის ოცნებებს, რომლებიც ისე გასხივოსნდნენ შვილის ღიმილის შემდეგ, როგორც მხვიარას ფერმკრთალი ფოთლები მზის სხივებზე.

ასე მიატოვა კრისტოფმა იგი სამუდამოდ.

ოქტომბრის საღამო. ფერმიმკრთალი, ცხელი მზე. მშვიდად იძინებს სოფელი. სამრეკლოს პატარა ზარების წკარუნი ზანტად ეფინება მღუმარე მინდვრებს. ხულებს ოხზივარი ასდით. შორს ალმური ციმციმებს. სველ მიწაზე გართხმული თეთრი ნისლი დაღამებას ელოდება, რომ აიკრიფოს. კარხლის

პლანტაციამი თავაულებლად დაძრწის მონადირე ქალი. რუხ ცაზე ყვავების გუნდი დაფორიაჰობს.

ოცნებებში ჩაფლული კრისტოფი თითქოსდა უმისნოდ მიაბიჯებდა, მაგრამ გუმანს მაინც გარკვეული გეზით მიჰყავდა. უკვე რამდენიმე კვირაა სეირნობისას, თავისდაუნებურად, ერთი სოფლის ბოლოსაკენ მიიწევედა, სადაც ერთ ლამაზ გოგოს ზედებოდა ხოლმე. ეს მხოლოდ გატაცება იყო, ბუნდოვანი და მწველა. კრისტოფი უსიყვარულოდ ვერ ძლებდა. მისი გული იშვიათად იყო ცარიელი. შიგ მუდამ იდგა კერპის სათაყვანებელი ხატება. თვით კერპმა ხშირად არც კი იცოდა ამ სიყვარულის ამბავი, კრისტოფისათვის კი საჭირო იყო სიყვარული, რომ უკუნი არ დაუფლებოდა.

მისი ახალი ტრფობის საგანი ერთი გლეხის გოგო იყო. ისინი, ვითარცა ელენა და რებეკა, წყაროს თავზე შეხვდნენ ერთმანეთს. ოღონდ წყალი არ მოუწოდებია დასალევად; სახეზე მისასხურა. მას წყაროსთან ჩამემხლა ბუღესავით ფესვებზეკრულ ორ ტირიფს შორის და მარჯვედ ავლებდა სარეცხს. მკლავებზე ნაკლებ არც ენა ჰქონდა მოქნილი: ხმამალა იცინოდა და სოფლის გოგოებს ელაპარაკებოდა. ისინი წყაროს მეორე მხარეს რეცხდნენ სარეცხს. კრისტოფი ბალახზე იწვა მოშორებით, ნიკაბი ხელებზე შემოდო და მათ მისჩერებოდა. ეს სრულებით არ უშლიდა ხელს გოგოების საუბარს. აქა-იქ მაგარ-მაგარ სიტყვებსაც გამოურევდნენ ხოლმე. კრისტოფის ყურს კი მხოლოდ მათი კისკისი, სარეცხი ჯოხის ხმა და ძროხების შორეული ბღავილი სწვდებოდა. ფიქრებში გართული თვალს ვეღარა სწყვეტდა მშვენიერ მრეცხავს. გოგოებს არ გამორჩენიათ მისი თვალების სამიზნე. ერთმანეთში გადაკრულად დაიწყეს ლაპარაკი. კრისტოფის რჩეული სხვას არაფრით ჩამოუვარდებოდა ენაშახელობაში. კრისტოფი უძრავად იწვა. გოგო აღგა, აიღო ერთი ჯერი გაწურული სარეცხი და ირგვლივ ბუჩქებზე დაუწყა გაფენა. თან კრისტოფს უახლოვდებოდა, რომ ახლოს დაენახა მისი სახე. ამასობაში სველი ზეწარიც წამოსდო და ახარხარებული სახეში შეაცქერდა. ეს გოგო ტანად მკვირივი და ხმელ-ხმელი ჩანდა, მტკიცე, ოდნავ წინ წამოწეული ნიკაბი, მოკლე ცხვირი, სწორი წარბები, ანთებული ლურჯი თვალები, მკაცრი და გაბედული გამოხედვა, ლამაზი სახე, ოდნავ მსუქანი, წინ წამოსული (როგორც ბერძნულ ნიღბებზე) ბაგეები, კეფახე კვანძად შეკრული ხშირი ქერა თმა და მზეზე დამწვარი კანი ჰქონდა. თავი მალა ეპირა, ყოველ სიტყვაზე იცინოდა, კაცივით დააბიჯებდა და მზით მოთქვრილ ხელებს იქნევდა. სარეცხსა ფენდა და, თითქოს დალაპარაკებას ელისო, ჯიქურ შესცქეროდა კრისტოფს. კრისტოფი მისჩერებოდა, მაგრამ დალაპარაკების სურვილი არა ჰქონდა. ბოლოს გოგომ სახეში შეჰხინთხინა და აშანაგებს დაუბრუნდა. კრისტოფი საღამომდე ადგილიდან არ დაძრულა. საღამოც დადგა. გოგო წავიდა. მას კალთა ზურგზე მოედო, შიმშველი მკლავები გულზე დაეკრთა და წელში მოხრილი მიაბიჯებდა ლაპარაკითა და სიცილ-ხარხარით.

კრისტოფი ხელახლა შეხვდა მას რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქის ბაზარზე დახვეწებული ბოსტნეულის გროვასთან. კრისტოფი აქეთ-იქით დადიოდა და ათვლიერებდა მოვაჭრეებს, რომლებიც თავ-თავიანთ კალათებთან გასაყიდი მონა ქალებივით ჩამწკრივებულიყვნენ. პოლიციელებს ხელში ჩანთები და ქვითრები ეჭირათ, სათითაოდ მიდიოდნენ ყველასთან, ქვითრებს ურიგებდნენ და ქირას ართმევდნენ. ყავით მოვაჭრე ქალი, რომელსაც კალათაში პატარა საყავეები ეწყო, რიგებს შორის დადიოდა. ჩასუქებულსა და მხაარულ მოხუც მონაზონს ხელში ორი კალათა ეჭირა, დააბიჯებდა ბაზარში, სრულიად დაეწყებოდა მორჩილება და ღვთის სახელით ბოსტნეულს თხოვლობდა. ყველა ყვიროდა. ისმოდა მწვანეპინებიანი ძველი სასწორის ჭაჭვების ჯღარუნი. ურიცხვში შებმული ვეება ძაღლები ამაყად იყეფებოდნენ. სწორედ ამ ორომტრიალში კრისტოფმა უტბად თვალი მოჰკრა თავის რებეკას. მისი ნამდვილი სახელი ლორხენი იყო. ქერა თმაზე კომპოსტოს თეთრ-მომწვანო ფურცელი დაეფარებინა წვეტიანი ჩაჩქანის მსგავსად. იგი კალათაზე შემოაქუბებულაყო ოქროსფერი ხახვის, მოყვითალო-ვარდისფერი თაღვამის, მწვანე ლობიოს და დაქდაჯა ვაშლის გროვას შორის და ეტყობოდა. ვაჭრობას მაინცაღამაინც არაფრად დაგივდებოდა, რადგან ვაშლის ჭამით იყო გართული. გაუჩერებლად ჭამდა. დროდადრო წინსაფრით იშვინდდა ნიკაპსა და კისერს, თმას აიწვევდა, მხარზე ლოყას გაისვამდა ან ხელის ზურგით ცხვირის მოიფხანდა. ან კიდევ კალთაში ჩაიწყობდა ხელებს და ხელიდან ხელში ათამაშებდა ერთ მუჭა ცერკეს. იგი ზანტად იცქირებოდა აქეთ-იქით, მაგრამ ყველაფერს ხელავდა, რაც ხლებოდა ირგვლივ და შეუმჩნევლად იჭერდა მისკენ მომართულ ყველა მჭერას. მან კრისტოფიც კარგად დაინახა. ლორხენი თან მუშტრებს ელაპარაკებოდა და თან თვალეზმოქუტუთული უთვალთვალებდა თავის მოთაყვანეს. მას რომის პაპივით ამაყად ეჭირა თავი. იგი გულში დასცინოდა კრისტოფს. კრისტოფი ღიძისი იყო: იდგა დარჭობილი რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით და თვალეზმოქუტუთული ლორხენს. მერე კი ისე წაივიდა, რომ სიტყვაც არ უთქვამს მისთვის.

ამის შემდეგ კრისტოფი რამდენიმეჯერ იყო სახეტილოდ ლორხენის სოფლის მიდამოებში. გოგო აქეთ-იქით მიდი-მოდიოდა თავისი ფერმის ეზოში. კრისტოფი გზაზე ჩერდებოდა მის საცქერლად. თავის თავს არ უტყულებოდა, რომ აქ მისი გულისათვის მოდიოდა. მართლაც, თითქმის არც კი ფიქრობდა მასზე. როცა კრისტოფი ახალ ნაწარმოებს თხზავდა ხოლმე, მთვარეულივით იყო. მისი სულის შეგნებული ნაწილი მუსიკალურ აზრს მისდევდა, მეორე ნაწილი კი ელოდა გონების უმოქმედობის წუთს, რომ თავი დაედღწია მისგან. პირისპირ შეხვედრის დროსაც კი ყურში სწვდებოდა მუსიკის ბუბუნნი; შესცქეროდა ლორხენს და განაგრძობდა ოცნებას. ვერ იტყოდა, უყვარს თუ არა ეს ქალიშვილი. ეს საკითხი არც კი დასმულა მის წინაშე. ნახვა კი სიამოვნებდა. ეს იყო და ეს. სურვილი, რომელიც მას აქეთკენ ეწეოდა ხოლმე, შეუტანობელი იყო.

მისმა ხწირმა გამოჩენამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია. როცა გაოგეს, ენც იყო. დაცინვა დაუწყეს. თავდაპირველად არაფერს ერჩოდნენ, რადგან თავის-თვის იჭდა, გულაბდილად რომ ითქვას, ცოტა არ იყოს, სულელის შესახებდა-ობა ჰქონდა, მაგრამ ეს მას არც აწუხებდა.

სოფელში დღესასწაული იყო. ბიჭები ქვებზე ფისტონებს ატაკუნებდნენ და უვიროდნენ: „გაუშარჯოს იმპერატორს“ („Keiser lebe! Hoch!“). ისმოდა ბოსტელში ჩაყვრილი ხბოს ბღავილი და სამიციტნოში მსხდომი მსმელების სიმ-ღერა. მინდვრების თავზე ჰაერში კომეტასავით კუდიანი ერქნები დაფარფა-ტებდნენ. ქათმები გამალებით ქექდნენ ოქროსფერ ნაკელს. მათი ბუმბული ბებერი ქალის კაბასავით იბერებოდა ქარის ყოველ შემობერვავზე; ვარდისფერა ღორი გვერდზე წაიწოლილიყო და ტკბილად ეძინა მზის გულზე.

კრისტოფმა სასტუმრო „სამ მეფეს“ მიაშურა, რომლის წითელ სახურავ-ზეც პატარა დროშა ფრიალებდა; სახლის ფასადზე ხახვის რამდენიმე გალა იყო გადმოყრდებული; ფანჯრები წითელ-ყვითელი დედოფლის ყვავილით მო-ერთოთ. იგი დარბაზში შევიდა; იქაურობა თამბაქოს ბოლით იყო საესე; კედ-ლებზე გახუნებული სურათები ეკიდა; წითელ კუთხეში იმპერატორის ფერადი სურათი მოჩანდა მუხის ფოთლებით გარშემოვლებული. ცეკვავდნენ. კრისტო-ფი დარწმუნებული იყო, რომ მისი ლამაზი აქ იქნებოდა. და, მართლაც, პირ-ველი, ვინც მან შეამჩნია, სწორედ ის იყო. კრისტოფი დარბაზის ერთ კუთხეში წოკვალათადა. აქედან მშვიდად შეეძლო ეცქირა მოცეკვავეთათვის, მაგრამ ის მიაჩნც არ დარჩენილა შეუმჩნეველი. ლორხენმა მალე შეავლო თვალი. სულ-წოუთქმელად ცეკვაში გართული მალი-მალ მზერას ესროდა ხოლმე კრისტოფს. თან სოფლის ყმაწვილებს ეეკლუცებოდა კრისტოფის გასადიზიანებლად და ჯამუდმებით დიმილი ეხატა დიდ და ლამაზად მოყვანილ პირ-ბაგეზე. იგი ხმა-მალლა ლაპარაკობდა, რადაც სისულელეებს ამბობდა და არაფრით არ გან-სხვავდებოდა საზოგადოებაში გამოსული ქალიშვილებისაგან, რომლებსაც მი-აჩნიათ, რომ, თუკი მათ უცქერი, აუცილებლად უნდა იცინონ, იფუსფუსონ, გამოაჩინონ თავიანთი სისულელე, ნაცვლად იმისა, რომ ჩუმად იყვნენ, ან, იქნებ, არც ისე სულელები არიან: მათ ხომ იციან, რომ უცქერიან მხოლოდ და ყურს კი არ უგდებენ. მაგიდასთან მიმჯდარ კრისტოფს ნიკაპი ხელზე ჩამო-ედო და ანთებული და ბრაზიანი თვალებით შესცქეროდა ქალიშვილის მოქ-რაობას: კრისტოფი არც ისე გონებაგართული იყო, რომ არ შეემჩნია მისი ყოველი ხრიკი. მაგრამ მიაჩნც ვერ მოეხერხებინა, რომ არ აპყლოდა. ხან სიბრაზისაგან ბუზღუნებდა, ხან ჩუმად იცინოდა მხრების ჩეჩვით და ნელ-ნე-ლა მახეში ებმებოდა.

კრისტოფს კი ვიდიც უთვალთვალებდა. ეს ლორხენის მამა იყო. ჯმუხი და ტ:ნდაბალი. ამ კაცს პატარა ცხვირი და დიდი თავი ჰქონდა. მზით დამწვარ

მელოტ კეფაზე, როგორც დიურერის სურათზე გამოხატულ წმინდა იოანეს, ირგვლივ გვირგვინივით ერტყა თმა, ოდესღაც ოქროსფერი და ხუჭუჭი. მას სუფთად გაპარსული მშვიდი სახე ჰქონდა; ტუჩის კუთხეში გრძელი ჩიბუხი ეპირა, დინჯად ებასებოდა გლუხებს და ცალი თვალით კრისტოფეს გამომეტყველებას აკვირდებოდა. გულში მასაც ეღიმებოდა. მაგრამ, აი, მან ჩაახველა; წვრილ თვალებში ეშმაკურმა სხივმა გაუელვა, წამოდგა და კრისტოფეს მიეჯდა მაგიდასთან. განაწყენებულმა კრისტოფმა შუბლი შეიკრა და მოიხედა. მოხუცი ეშმაკურად მიაცქერდა და გამოელაპარაკა. პირიდან ჩიბუხი არც კი გამოუღია. კრისტოფი იცნობდა ამ კაცს. ისიც იცოდა, რა გაიძვერა იყო, მაგრამ მისი ქალიშვილისადმი დამოკიდებულების გამო მამამისის მიმართაც ლობჯერა იყო და მასთან შეხვედრა უცნაურ კმაყოფილებასაც კი ჰგვრიდა. ძველი ვაძვერა ამასაც გრძნობდა. დარზე და ავდარზე საუბრის შემდეგ მან ლამაზ გოგოებსა და კრისტოფსაც გაჰკრა ერთი-ორი კბილი, აქაოდა, კარგსა შერებით, რომ ცეკვით თავს არ იწუხებთ, რადგან ამას ერთი ჭიქა ლუდი სჯობიაო, — და მოუხრიდლად თავიც კი დააპარტყებინა. მოხუცი ლუდსა სვამდა და დინჯად საუბრობდა. ოვი ლაპარაკობდა თავის საქმეებზე, ცხოვრებებს სიძნელეებზე, მძიმე დროებზე და სიძვირებზე. კრისტოფი მხოლოდ „ჰოსა“ და „არას“ პასუხობდა; არ აინტერესებდა. იგი ლორზენს შესცქეროდა. სიჩუქე რომ ჩამოვარდებოდა, გლუხი პასუხს ელოდა, მაგრამ პასუხს არავინ აძლევდა. ის მშვიდად განაგრძობდა ლაპარაკს. კრისტოფს უკვირდა, ეს მოხუცი ჩემთან რამ მოიყვანა, გულს რატომ მიხსნისო. და მიხვდა კიდევ. წუწუნს რომ მორჩა. მოხუცმა სიტყვა სხვა ამბავზე გადაიტანა. თავისი სურათის ქებას მოჰყვა და უეცრად ჰკითხა, შუამდგომლობას ხომ არ გამიწვეთ სასახლის კარზეო. კრისტოფი შეხტა:

— უყურე ამ ეშმაკს? რომ მიცნობს კიდევ?

— დიახ, — უპასუხა მოხუცმა. — გაუგებელი არაფერი რჩება.

მას აღარ დაუმატებია:

— ... თუ აღამიანი არ დაიზარებს და თვითონ იზარუნებს თავის საქმეზეო.

კრისტოფმა დააყვედრა. მართალია, „გაუგებელი არაფერი რჩება“, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ არ გაეგიათ, რომ ახლახან უსიამოვნება მომიხდა სასახლესთან. და თუ ოდესმე გავლენა მქონია სასახლის სამზარეულოზე (რამიც ფრიად ეჭვი მეპარება), ეს ახლა უკვე ძველი ამბავიაო. მოხუცებულს ყბა მოექცა. მაგრამ ინტიბარი არ გაუტეხია. ცოტა ხნის შემდეგ მაინც ჰკითხა, რეკომენდაციას ხომ ვერ გამიწვევ ქალაქში მავან და მავან ოჯახებთანო. და ჩამოთვალა ყველა ის, ვისთანაც კი კრისტოფს ურთიერთობა ჰქონდა; ბაზარში მას. როგორც ჩანს, დაწვრილებითი ცნობები შეუკრებია. სხვა შემთხვევაში კრისტოფი ცოფებს გადმოყრიდა, მაგრამ ახლა გაეცინა. მიუხედავად ეშმაკობისა, მოხუცი მაინც პირში ჩალაგამოვლელი დარჩა (კრისტოფს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მისი რეკომენდაცია ძველ მუშტრებს უფრო დაუფრთხობდა, არამცოფო

ახალს შეაქვნივინებდა). ამიტომ დააფქვევინა წვრილმანი და უსუსური ეშმაკობანი და არც „პო“ უთქვამს და არც „არა“. გლეხი მაინც არა ცხრებოდა. ბოლოს თვით კრისტოფა და ლუიზას შეუტია, რომ ძალით მაინც მიესალვინა მათთვის რძე, კარაქი და ნაღები. ისიც კი უთხრა, მუსიკოსი ხარ და ხმისთვის დილა-სალამოს უმი კვერცხის ყლაპვას არაფერი სჯობიაო. პირდაპირ ქათმის ქვეძიდან გამოღებულ თბილ-თბილ კვერცხებსაც კი ჰპირდებოდა. კრისტოფს ხარხარი აუტყდა, მოხუცს მომღერალი ვგონივარო. გლეხმა ისარგებლა და მეორე ბოთლიც მოატანინა. და როცა კრისტოფს ყველაფერი გამოსწურა, რისი განოწურვაც შეეძლო, დიდი თავპატივის გარეშე მოშორდა იქაურობას.

დალაშვებულიყო. ცეკვა გახურდა. ლორხენი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა კრისტოფს. მას ისედაც დიდი ჯათა აღგა. ერთი ყმაწვილი კაცის გული ჰქონდა მოსაგება. ის ახალგაზრდა მდიდარი ფერმერის შვილი იყო და ყველა გოგოს მასზე ევარა თვალს. კრისტოფი ინტერესით შესტკვროდა ამ ცილობას. ქალიშვილები ერთმანეთს უღიმოდნენ, მაგრამ ერთმანეთის გასაჩენად ყველა მზად იყო. გულკეთილ კრისტოფს თავისი თავი აღარ ახსოვდა. ისიც ლორხენს გამარჯვების სურვილს შეეპყრო. მაგრამ როდესაც ეს გამარჯვება მოპოვებულ იქნა, კრისტოფს, ცოტა არ იყოს, გული დასწყდა. მან უსაყვედურა კიდევ თავის თავს. ლორხენი მას არ უყვარდა: ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა, ვინც სურდა, ის შეჰყვარებოდა ლორხენსაც. ნამდვილად ასეა. მაგრამ, აბა, რა სასიამოვნოა, როცა თავს მარტო გრძნობ. ხალხს იმდენად აინტერესებ, რამდენადაც შენი გამოყენება შეიძლება, მერე კი შენვე დაგცინებს. მოცილებთა დამარცხების შეგნებამ ლორხენი ათჯერ უფრო დაამშვენა. კრისტოფმა ამოიხსრა ლორხენის შემხედვარემ და წასვლა დააპირა. ცხრა საათი სრულდებოდა: ქალაქამდე ორი მილი მაინც ჰქონდა გასავლელი.

ის იყო, მაგიდიდან წამოდგა, რომ გაიღო კარი და ხმაურით შემოვიდა ათიოდე ჯარისკაცი. ჯარისკაცების შემოსვლამ ცივად დაუარა დარბაზს. ხალხში ჩურჩული ატყდა. წყვილებმა თავი ანებეს ცეკვას და მღელვარებით მიაცქერდნენ ახალმოსულებს. კართან მდგომმა გლეხებმა ზურგი შეაქციეს ჯარისკაცებს და ბაასა გააბეს. მაგრამ უნებურად მაინც უკან დაიხიეს და გზა მისცეს გასავლელად. ბოლო ხანებში მთელ მხარეს უსიტყვეო მტრობა ჰქონდა ქალაქის გარშემო განლაგებულ ფორტების მხედრობითან. ჯარისკაცებმა მოწყენილობისაგან აღარ იციოდნენ, რა ექნათ და გლეხებზე იოხებდნენ გულს! დასცნობდნენ, ჩხუბობდნენ, ქალიშვილებს კი ისე ეპყრობოდნენ, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში. ერთი კვირის წინ მთერალმა ჯარისკაცებმა დღესასწაული ჩამალეს მეზობელ სოფელში და სიკვდილის პირამღე სცემეს ერთი ფერმერს. კრისტოფმა იცოდა ყველაფერი ეს და თანაუგრძნობდა გლეხებს. თავის ადგალას დაჯდა და სიერს დაულოდა.

გულსკვ შეზვედრას სრულადაც არ შეუტბუნებია ჯარისკაცები. მათ ხმაურით მიაშურეს მაგიდებს და იქ მსხდომი გლეხები გაყარ-გამოყარეს, რომ თა-

ვიანთთვის ადგილი გაეთავისუფლებინათ; ეს წუთის საქმე იყო. უმრავლესობა ბულღუნით თვითონ უთმობდა ადგილს. გრძელი სკამის ბოლოზე მჯდომი ერთი მოხუცი, ცოტა არ იყოს, ზანტად გაისარჯა, ჯარისკაცებმა სკამი მოსწიეს და მოხუცი ბურთივით გაგორდა მიწაზე; სიცილ-ხარხარიც დააყარეს. კრისტოფი გაცოფებული წამოდგა ადგილიდან; მაგრამ სანამ საქმეში ჩაერეოდა, მოხუცი უკვე წამომდგარიყო და აღშფოთების ნაცვლად ბოდიშა იხდიდა. კრისტოფის მაგიდას ორი ჯარისკაცი უახლოვდებოდა. კრისტოფს მუშტები შეეკრა და უტყეროდა. თავდაცვა არ დასჭირვებია. ეს იყო ორი ზორბა ბრიყვი, რომლებიც ცხვრებივით ემორჩილებოდნენ ორ-სამ გაბედულ ვაჟკაცს და ყველაფერში მათ ბძავდნენ. კრისტოფის ამაყმა გამოხედვამ დააფრთხო ისინი და, როდესაც მკაცრად მიახლა: — ადგილი დაკავებულიაო, — საჩქაროდ ბოდში მოიხადეს და სკამის ბოლოზე ჩამოსხდნენ, რომ აღარ შეეწუხებნათ. კრისტოფის ხმაში უფროსის კილო ჟღერდა. ჩვეულმა მორჩილებამ თავისი გაიტანა; ისინი მშვენიერად ხედავდნენ, რომ კრისტოფი გლეხი არ იყო.

ჯარისკაცების მორჩილებათ გულმომბალ კრისტოფს მშვიდად შეეპლო თვალყური ედევნებინა იქაურობისათვის. ადვილი შესამჩნევი იყო, რომ მთელ ამ დასტას ერთი უნტერ-ოფიცერი თავკაცობდა, მლიქნელის გამომეტყველების, უსიამოვნო თვალების მქონე, ტანდაბალი ბულღოგი, ავი და ფარისეველი: გასულ კვირას მომხდარი აყალპაყალის ერთი გვირთავანი. იგი კრისტოფის მეზობელ მაგიდასთან იჯდა; უკვე საკმაოდ შემთერალი, უსირცხვილოდ უყურებდა გლეხებს და დამამკირებელი ოხუნჯობით უმასპინძლდებოდა. ისინი ყურბანჯურსაც არ შერებოდნენ. განსაკუთრებით მოცეკვავეებს ერჩოდა. უწმინწურად აღწერდა მათ ფიზიკურ ნაკლსა და სიყეთეს და თავის მეგობრებს აციუნებდა. ქალიშვილები წითლდებოდნენ, თვალზე ცრემლი ერეოდით. ყმაწვილკაცები კბილებს აკრაჭუნებდნენ და გაცოფებულებს ხმა ვერ ამოედოთ. ჯალათი მშვიდად ათვალეირებდა დარბაზს, არავინ გამოუტოვებია. კრისტოფმაც იგრანო მისი მოახლოვება. ხელი კათხას წამოავლო, მუშტი შეიკრა და დაელოდა, რომ პირველსავე სალანძღავ სიტყვაზე თავში დაერტყა მისთვის.

„გიჟი ვარ, — ფიქრობდა იგი, — ჯობს წავიდე, თორემ გამომფატრავენ. თუ გადავრჩი, ციხეში ჩამსემპენ. ჩიტი ბდლენად არა ღირს. გაცლა სჯობს, სანამ არ გამოუტყვევივართ“.

მაგრამ თავმოყვარეობა არა ნებდებოდა: არ უნდოდა, ეფიქრათ — ამ ჩიტრიკივით გაუბრბისო. ავი და ეკლიანი მზერა მასაც მიაყარეს. ვაჭვავებული კრისტოფი ცოფმორეული შესტყეროდა მას. უნტერ-ოფიცერი ერთხანს უხმოდ ათვალეირებდა. კრისტოფის გარეგნობამ მას ძალა შთაბერა; მან ჭელი გაჭკრა თავის მეზობელს, სიცილით ანიშნა ახალგაზრდა კაცზე და პირი დააღო სალანძღავად. კრისტოფი დაიძაბა და, ის იყო, მთელი ძალით აპირებდა კათხას მოქნევას, რომ შემთხვევამ გადაარჩინა. სწორედ იმ დროს, როცა ლოთი ხმის ამოდებას აპირებდა, ერთი მოცეკვავე წყვილი შემთხვევით წამოედო მას და

კაზანა იატაქზე გააგდებინა. უნტერ-ოფიცერი გაცოფებული მიუბრუნდა მათ და ლანძღვა-გინება დაუწყო. კრისტოფი აღარ ახსოვდა, მასზე აღარ ფიქრობდა. კრისტოფმა კიდევ შეიცვალა ერთ ხანს და როცა მიხვდა, მისი მეტოქე აღარ აპირებდა ლაპარაკის განახლებას, დინჯად აიღო ქუდი და აუჩქარებლად გაემართა კარისაკენ. თუმცა მზერა არ მოუშორებია ოფიცრისათვის, არ გვეგონოს, უკან ვიხევო. მაგრამ უნტერ-ოფიცერს სრულიად აღარ ახსოვდა იგი. არც სხვა აქცევდა ყურადღებას.

კრისტოფმა კარის სახელოუს ხელი მოჰკიდა და გადაატრიალა. წამიცი და გარეთ იქნებოდა. მაგრამ მშვიდობიანად აქედან გასვლა მას არ ეწერა. დარბაზის სიღრმეში ჩოჩქოლი ატყდა. ნასვამი ჭარისკაცები ცეკვის ხასიათზე დადგნენ. ყოველ ქალიშვილს კავალერი ჰყავდა. წყვილები უნდა დაშლილიყვნენ, ყმაწვილკაცებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. მაგრამ ლორხენი არ ნიკორჩილდა. ტყუილად როდი ჰქონდა მას ჯიქური თვალები და ვაჟკაციური დიკაპი, ასე ძალიან რომ მოსწონდა კრისტოფს. ლორხენი გეივიით ცეკვავდა. როდესაც უნტერ-ოფიცერმა არჩევანი მასზე შეაჩერა და მისი კავალერის მოსაშორებლად გაემართა. ლორხენმა ფეხი დაჰკრა იატაკს, შეჰყვირა, ხელი ჰკრა ოფიცერს, პირში მიახალა, შენისთანა ბრიყვთან არასოდეს არ ვიცეკვებო, და მოშორდა იქაურობას. უნტერ-ოფიცერი დაედევნა. მუშტის კვრით აქეთ-იქით ისროდა ყველას, ვისაც კი ლორხენი შეეკედლა. ბოლოს ქალი მაგიდას ამოეფარა. აქ მან ცოტა სული მოითქვა და ისევ ლანძღვით შეუტია ოფიცერს. იგი ხედავდა, რომ წინააღმდეგობით ვერაფერს შეელოდა, თრთოდა სიბრაზისაგან, მაგრამ-მაგრამ სალანძღავ სიტყვებს არჩევდა და უნტერ-ოფიცერს პირუტყვს ეცანდა. ოფიცერი მაგიდის მეორე მხარეს იდგა, წინ გადახრილიყო, გულღვარძლიანად იღიმებოდა და თვალებში რისხვის ცეცხლი ენათო. უცბად მან უკან დაიხია. გამოქანდა, მაგიდას გადაეელო და ლორხენს ჩაებლაუჭა. ლორხენი, როგორც ეს მეძროხეს შეეფერებოდა, მუშტებითა და წიხლებით იცავდა თავს. უნტერ-ოფიცერი მაგრად ვერ იდგა ფეხზე და კინაღამ წონასწორობა დაკარგა. განრისხებულმა კედელთან მიიმწყვდია ქალი და სილა გააწნა. მეტი ხელის განძრევა მას არ დასცლია. ვიღაცა ზურგზე მოახტა, სახეში უთაქა და წიხლის კვრით ხალხში გადაისროლა. ეს იყო კრისტოფი, რომელმაც მაგიდები მიყარ-ნოყარა, ხალხი გადათელა და უნტერ-ოფიცერს სწვდა. უნტერ-ოფიცერი მობრუნდა და გაცოფებულმა ხმალი იძრო. მაგრამ სანამ მოქნევას მოახერხებდა, კრისტოფმა სკამი დაუშვა თავში და გააბრუა. ყველაფერი ეს ისე უცბად მოხდა, რომ დამსწრეთაგან ვერავინ მოასწრო საქმეში ჩარევა. უნტერ-ოფიცერი ხარვივით დაენარცხა მიწას. შეიქნა ერთი აურზაური. გაგლისისებულმა ჭარისკაცებმა ზმლები იშისვლეს და კრისტოფს შეუტეს. საქმეში გლეხებიც ჩაერივნენ და ჭარისკაცებს დაესხნენ თავს. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. გაისმა კათხების ზუზუნი და აყირავებული მაგიდების გრუხუნის. გლეხები აღსდგნენ: მათ ძველი ანგარიშები ჰქონდათ გასასწორებელი. ხალხი იატაქზე კოტრიალობ-

და, გაცოფებული იკბინებოდა. ლორხენის წელანდელ წყვილს, ზორბა გლენს, ხელი ეტაცნა ერთი ჭარისკაცისთვის, ძირს დაეგდო და თავს კედელზე აჩაჩქუნებინებდა. ლორხენს ცეცხლის საჩხრეკი ეპყრა ხელთ და თავგამეტებით იქნევდა აქეთ-იქეთ. დანარჩენი გოგოები წივილ-კივილით დაიფანტნენ, გარდა ორი-სამი მამაცისა, რომლებიც აქ დარჩენილიყვნენ და ცქერით გულს იფხანდნენ. ერთმა მათგანმა, მომცრო ტანის ჩასუქებულმა ქერა გოგომ, დანახა, რომ ზორბა ჭარისკაცს, წელან კრისტოფის მაგიდას რომ მიუჭდა, მუხლი მკერდზე მიებჯინა წაქეუული მოწინააღმდეგისათვის; მივარდა ლუმელს, ერთი მუჰა ცხელი ნაცარი გამოიღო, თავი გადაუწია ჭარისკაცს და შიგ თვალებში ჩააყარა. ჭარისკაცმა ღრიალი მორთო. გახარებული გოგო კი დამარცხებული მტრის ლანძღვაგინებაში იყო, რომელსაც ახლა უკვე თავგამოდებით უბაგუნებდნენ გლენები. უძლური ჭარისკაცები იძულებულნი შეიქნენ გაცლოდნენ იქაურობას და ორი კაცი იატაკზე მიეტოვებინათ. ბრძოლამ სოფლის ქუჩებში გადაინაცვლა. ჭარისკაცები ღრიანცელით აწიოკებდნენ სახლებს და განადგურებით იმუქრებოდნენ. გლენები ფიწლებით მისდევდნენ და გააფებულ ძაღლებს უსევდნენ. დაეცა მესამე ჭარისკაციც, რომელსაც მუცელი ფიწლით ჰქონდა გაფატრული. დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს. გლენებმა სოფლია ბოლომდე მისადიეს. შორს, ბინდორში გაფანტული ჭარისკაცები ისევ იმუქრებოდნენ, ამხანაგებს მოვიყვანთ და მალე ისევ მოვიბრუნდებითო.

გამარჯვებული გლენები სამიკიტნოში ბრუნდებოდნენ. ისინი დღესასწაულობდნენ. ეს იყო დიდი ხნის სანატრელი საზღაური განცილილი დამკირებისათვის. გლენებს ჭერ კიდევ არ უფიქრიათ, თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა მათ გაბედულ საქციელს. ყველა ერთად ლაპარაკობდა და ყველას თავ-თავისი გმირობით მოსწონდა თავი. ყველა ძმურად ეხვეოდა კრისტოფს. ისიც გახარებული იყო მათთან დაახლოებით. ლორხენმა კი ხელი მოჰკიდა, ერთხანს მაგრად ეჭირა და სახეში შესცივინებდა. ახლა კრისტოფი უცნაურად აღარ ეჩვენებოდა.

დაჭრილებსაც უპატრონეს. გლენებს შორის დიდი ზიანი არავის მოსვლია, ზოგს კბილები ჰქონდა ჩამტვრეული, ზოგს — ნეკნები, დაუეცილი იყო ან თავზე კოპი აჯდა. ჭარისკაცები ასე იოლად ვერ გამოვიდნენ. თვალებამოფუფქულ ზორბა ჭარისკაცს მხარი სანახევროდ ჩამოჩხილი ჰქონდა ცულით, მუცელგაფატრული გამუდმებით კვნესოდა, ხოლო უნტერ-ოფიცერი, კრისტოფის დარტყმისაგან დარეტიანებული, ახლაც ძირს ეგდო. სამივე ლუმელთან დააწვინეს. უნტერ-ოფიცერმა, რომელიც ამ სამში ყველაზე ნაკლებ იყო დაზარალებული, ოვალები გაახილა და ზიზღით შეათვალიერა ირგვლივ წრედ შეკრული გლენები. როცა გონს მოვიდა და ყველაფერი გაიხსენა, ლანძღვა-გინებას მოჰყვა, იმუქრებოდა, სიბრაზისაგან სული ეხუთებოდა. არ შეეძლო, თორემ ცოცხალს არავის გაუშვებდა. გლენებს სიცილი წასკდათ. ეს ნაძლადევი სიცილი იყო.

— მოკეტე ევ შენი მყრალი პირი, თორემ მოგაკალი, — შეუუვირა ერთმა ახალგაზრდა გლენმა.

უნტერ-ოფიცერი წამოდგომას შეეცადა და სისხლიანი თვალებით მიაცქერდა გლესს:

— არამზადდებო! მომკალით ხომ! სულ თავებს დაგაყრევინებენ!

უნტერ-ოფიცერი ოხრავდა. მუცელგაფატრული ჯარისკაცი დასაკლავი ღორივით ყვროდა. მესამე მიცვალებულივით გამოტილიყო და არ იძვროდა. გლესებს უცბად დაატყდათ თავზარი. ლორხენმა და რამდენიმე ქალმა დაჭრილებმა მეორე ოთახში გაათრიეს. უნტერ-ოფიცრის გამძვინვარებული შეძახილი და მომაკვდავის ყვირილი იქიდან უფრო ყრუდ ისმოდა. გლესები დუმდნენ. ერთ ადგილზე იდგნენ წრედ შეკრულნი, თითქოს ის სამი სხეული ისევ მათ ფეხებში ეყარა. ადგილიდან დაძვრას ვერა ბედავდნენ და ნაღვლიანად შესსქეროდნენ ერთმანეთს.

— ამაზე უკეთეს საქმეს ზომ კაცი ვერ იზამდა!

შესძახა ლორხენის მამამ, შეშინებული ხალხი აჩურჩულდა. ყველამ ნერწყვი გადაყლაპა; გლესები ერთად ალაპარაკდნენ; ჯერ ჩურჩულით გადაულაპარაკეს ერთმანეთს, თითქოს ეშინოდათ, ყურს ხომ არავინ გეიგდებსო, მაგრამ მალე ხმამაღალი ლაპარაკიც გაისმა. დაიწყეს ერთუროთის ლანძღვა. დანაშაულს ერთმანეთს აბრალებდნენ. დავა გაცხარდა. კიდევ ცოტა და მუშტი-კრივი გამართებოდა. მაგრამ ლორხენის მამამ მშვიდობა ჩამოავდო. გულზე ხელებდა-კრეფილმა კრისტოფისკენ იბრუნა პირი:

— ნეტავ, ეს რილასთვის მოვიდა აქ? — შესძახა მან.

ხალხის მთელი რიხხვა კრისტოფისკენ მოიქცა.

— მართალია! მართალია! — ყვიროდნენ ისინი. — მაგან დაიწყეს! ეგ რომ არ ყოფილიყო, არაფერი მოხდებოდა.

თავზარდაცემული კრისტოფი საპასუხოდ მოემზადა:

— მე ყველაფერი თქვენთვის გავაკეთე და არა ჩემთვის. ეს თქვენ კარგად იცით.

მაგრამ გაბრაზებული ხალხი აუყვირდა:

— ჩვენ თვითონ დავიცავთ თავს. ქალაქიდან მოსული ვაყბატონების ჭკუის სწავლება არა გეჭირდება. ვინა გთხოვთ რჩევა? ან, რაც მთავარია, ვინ მოგიწვიათ? ვერ დაეტრეთ თქვენს სახლში?

კრისტოფმა მხრები აიჩეხა და კარისკენ გაემართა. მაგრამ ლორხენის მამმა გზა გადაუღობა და შეჰკვლა:

— ერთი ამას დახეუ. უნებდურებებს გადაგეყარა და ახლა კი გაპარვას აპირებებს! ვერ წახვალ!

გლესებმა იხუტლეს:

— ვერ წავა. სულ მაგისი ბრალია. ყველაფერი მაგან უნდა ზღოს!

კრისტოფს გარს შემოეხვივნენ და მუშტები მოუღერეს. ბრაზით ანთებულნი სახეები სულ ახლოს მოიწვედნენ მისკენ. შიშმა ჭკუა დააჯარგვინათ. კრის-

ტოფს ხმა არ ამოუღია. სახეზე ზიზლი გამოეხატა, ქული მაგიდაზე მოისროლა, დარბაზის ბოლოს მიაშურა და ზურგიით დაჯდა გლეხებისაკენ.

ამ დროს გლეხებს აღშფოთებული ლორხენი მიუხტა; ლამაზ სახეზე სიბრაზისაგან აღმური ასდიოდა. მან მუჭლუგუნებით გაფანტა კრისტოფის ირგვლივ შეკრებილი გლეხები:

— მფრთხალებო! მხეცებო! — ყვიროდა იგი, — არც კი გრცხვენიათ! ვითომ ყველაფერი ამან ჩაიდინა, არა? თქვენ ხელი არ გაგინძრევიათ? განა ყველა არ ჩხუბობდა? ერთიც რომ დამენახა ასეთ დროს გულხელდაკრეფილი, მე თვითონ მივაფურთხებდი სახეში და შევარცხენდი მხდალს.

მოულოდნელი თავდასხმისაგან დაბნეულმა გლეხებმა ერთხანს ენა ჩაიკლეს, მაგრამ მალე ისევ აყაყანდნენ:

— ეს მაგან დაიწყო. ეგ რომ არა, არაფერი მოხდებოდა.

ლორხენის მამა ამოდ ანიშნებდა თავის ქალიშვილს. ის ხელახლა აყვირდა:

— დიახ, სწორია, ამან დაიწყო. ნეტავ, რა გაქვთ სატრაბახო! ეგ რომ არა, თქვენ ყველაფერს გადაყლაპავდით, ჩვენ თავსაც აჩაგვრინებთ, მხდალებო! არა-ზხადებო!

ლორხენმა ახლა თავის მეგობარს შეუტია:

— შენც ერთი, ხმა არ ამოგიღია. იღიმებოდი და უკანალს უშვერდი ჩექმებს. კინაღამ მადლობაც არ უთხარი. არც კი გრცხვენია. არც არავის გრცხვენიათ! თქვენ ხომ კაცები არა ხართ! თავი მიწაში ჩაგირავებ და კმაყოფილები ხართ. ამ კაცმა თქვენ მაგალითი გიჩვენათ! ახლა კი ყველაფერი მის ზურგზე გინდათ გადაატაროთ. იცოდეთ, ასე არ გამოგივათ, ამას მე გუუბნებთ! ის თქვენთვის იბრძოდა! ან იხსნით მას, ან მასთან ერთად აგებთ პასუხს, ასე მითქვამს თქვენთვის.

ლორხენს მამამისი მკლავში ეწეოდა და გაყოფებული უყვიროდა:

— გაჩუმდი! გაჩუმდი! გაჩუმდები თუ არა, წუნჯალო ძაღლო!

მაგრამ ლორხენმა ხელი ჰკრა და უარესად აყვიროდა. გლეხები ღრიალებდნენ. ლორხენი კი უფრო ხმამაღლა გასძახოდა თავისი გამაყრუებელი ხმით:

— შენ მაინც რალა გაქვს სათქმელი? ხომ არა გგონია, ვერა ვხედავდი. როგორ ხელდი ჩექმებით იმას, აი, მისიკვილებული რომ გდია მეორე ოთახში? შენ რალა, აბა. მაჩვენე შენი ხელები, ჯერაც სისხლი გაცხია ზედ. განა ვერ გხედავდი შენი დანიანად? ყველაფერს ვიტყვი, ყველაფერს ვიტყვი, რაც ვნახე, თუკი რამეს ეცლებით მის წინააღმდეგ. ყველას დავაპერინებთ.

გლეხები გააფთრებითა და ლანძღვა-გინებით უტევდნენ ლორხენს. ვიღაცა მუშტითაც კი დაემუქრა, მაგრამ ლორხენის მეგობარმა საყვლოთი დაითრია იგი. შეიქნა ჭიდაობა.

— თუ ჩვენ სამართალში მიგვცემენ, არც შენ დაგტოვებენ! — უთხრა ლორხენს ვიღაც მოხუცმა.

— მეც გამასამართლონ, — უპასუხა მან, — თქვენსავით მხდალი არ გე-
კონათ.

და მოჰყვა და მოჰყვა თავის ჰანგებს. გლეხებმა აღარ იცოდნენ რა ექნათ.
მამამისს მიმართეს:

— ვერ გააჩუმებ მაგ შენ ქალიშვილს?

მოხუცი მიხვდა, რომ ლორხენის გაღიზიანება საფრთხილო იყო და გლე-
ხებმა ანიშნა, გაჩუმდიოთ. სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ლორხენი განაგრძობდა
ლაპარაკს. რომ აღარავინ შეეკამათა, ისიც დაცბრა, როგორც ალი უცეცხლოდ.
ცოტა ხნის შემდეგ ლორხენის მამამ ჩაახველა:

— კარგი, მაგრამ, რა გინდა? არა მგონი, ჩვენი დაღუპვა გინდოდეს?

— მე მინდა, რომ ის გადაარჩინოთ.

ხალხი ჩაფქრდა. კრისტოფი ადგილიდან არ დაძრულა. იგი ამაყად დუმდა.
თათქოს არც იცოდა, რომ მასზე იყო დავა. ლორხენის გამოქომაგებამ ააღელ-
ვა. ლორხენი თითქოს ვერც კი ამჩნევდა მას. იგი იმავე მაგდას მიჰყრდნობო-
და ზურგიით, რომელთანაც კრისტოფი იჯდა, და გააფთრებული შესცქეროდა
ვლეხებს; ისინი კი თავდახრილნი ისხდნენ და აბოლებდნენ. ბოლოს, ლორხენ-
ის მამამ ჩიბუნი აახრჩოლა და თქვა:

— გინდ ასე თქვით, გინდ ისე, ეგ თუ აქ დარჩა, მაგის საქმე გათავებუ-
ლაა. უნტერ-ოფიცერი იცნობს; მადლობას არავინ ეტყვის. ერთი გზაა დარჩე-
ნია, ახლავე საზღვრის მეორე მხარეს უნდა ამოყოს თავი.

გლეხმა იფქრა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენთვისაც უკეთესია, თუ კრისტოფი
თავს უშველოსო. დანაშაულსაც თვითონ აღიარებდა ამით და რადგანაც აქ არ
იქნებოდა, მთელი დანაშაულიც უფრო ადვილად დაბრალდებოდა. გლეხები
დაეთანხმნენ. ყველაფერს კარგად მიხვდნენ. ახლა, როცა გადაწყვეტილება მი-
ღებული იყო, ისღა რჩებოდა, რომ კრისტოფი მალე წასულიყო. წელანდელი
წყევლა აღარავის გამოუხატავს. კრისტოფს ისე მიუახლოვდნენ, თითქოს მის
კარგად ყოფნაზე ზრუნავდნენ.

— არც ერთი წუთი არ უნდა დაკარგოთ, ბატონო, — მიმართა მას ლორ-
ხენის მამამ. — მალე დაბრუნდებიან. ფორტამდე ნახევარი საათი დასჭირდ-
ბათ. ნახევარი საათიც აქეთ უნდათ. სწორედ წასვლის დროა.

კრისტოფი წამოდგა. მასაც გადაწყვეტილი ჰქონდა წასვლა. იცოდა, რომ
დარჩენა დაღუპვას ნიშნავდა. მაგრამ წასულიყო და დედა არ ენახა? არა, ეს
შეუძლებელი იყო. გლეხებს უთხრა, ჰერ ქალაქში უნდა დაებრუნდე, დრო კი-
დეგ მაქვს, იქედან მოგებრუნდები და საზღვარზე მერე გადავალო. გლეხები
აყვირდნენ. წელან გზა გადაუღობეს, რომ არ გაეშვათ, ახლა კი იქით ედავებოდ-
ნენ, წადი, წადიო ქალაქში დაბრუნება მათ ხელში ჩავარდნას ნიშნავდა. ალბათ,
ნაასწორებენ კიდევ. იქვე დააბრუნებენ. კრისტოფი მანაც თავისაზე იდგა.
ლორხენი მიუხვდა.

— თქვენ დედა გინდათ ნახოთ? მე მივალ თქვენს მაგივრად.

— როდის?

— ამაღამ.

— მართლა იზამთ ამას?

— ახლავე მივდივარ.

მან თავსაფარი მოისხა:

— დაწერეთ რამე, წაუვლებ... აქეთ წამობრძანდით, მელანს მოგცემთ.

ლორხენმა ის შუა ოთახში შეიყვანა. კართან მობრუნდა და თავის რჩეულს დაუბარა:

— შენც მოემზადე, უნდა გააცილო. სანამ საზღვარს არ გადავა, არ მიატოვებ.

— კარგი, კარგი, — უპასუხა ახალგაზრდამ.

მას სხვაზე უფრო ეჩქარებოდა კრისტოფის საფრანგეთში გაგულებება. უფრო შორსაც კი, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა.

ლორხენი ოთახში შევიდა კრისტოფთან. ის ჯერაც ორჭოფობდა. ნაღველი ღრღნიდა, რომ დედას ველარ გადაეხვეოდა დასამშვიდობებლად. როდისღა ნახავდა. ის ხომ მოხუცებული, დაქანცული და მარტოხელა იყო! ეს ახალი უბედურება ბოლოს მოულებდა. როგორ გაძლებდა დედა უმისოდ? თუშეცა, კრისტოფი რომ დარჩენილიყო, გაასამართლებდნენ და ციხეში ჩასვამდნენ. მაშინ ხომ ნამდვილად სიღარიბე და მარტოობა ელოდა დედას! თავისუფალი კი, შორსაც რომ ყოფილიყო, დაეხმარებოდა, დედა სანახავად ჩამოვიდოდა. მაგრამ ასეთი ფიქრებისთვის დრო აღარ იყო. ლორხენმა ხელი მოჰკიდა. იგი კრისტოფის წინ იდგა და პირდაპირ სახეში შესცქეროდა. მათი სახეები ლამის ეხებოდნენ ერთმანეთს. ლორხენი კისერზე შემოეხვია და ტუჩებში აკოცა.

— ჩქარა, ჩქარა, — შესძახა მან ხმადაბლა და მაგიდაზე მიუთითა.

კრისტოფი აღარ გაჯიუტებულა. დაჯდა. ლორხენმა წითელუკრედებიან სანგარიშო რვეულში ფურცელი ამოხია.

კრისტოფმა დაწერა:

„ჩემო კარგო დედა. მაპატიე, ერთი უბედურება კიდევ დაგატეხე თავს. სხვანაირად მოქცევა არ შემეძლო. ცული არაფერი გამიკეთებია, მაგრამ ახლა თავს უნდა ვუშველო და მივატოვო სამშობლო. ის, ვინც ამ ბარათს გადმოგცემს, ყველაფერს გაიმბობს. დამშვიდობება მინდოდა, არ მანგებებენ. ირწმუნებიან, მანამდე დაგაპატიმრებენო. უბედური ვარ, რომ ჩემს ნებაზე არ ვიქცევი. მე გადავალ საზღვარს, მაგრამ შორს არ წავალ, შენს წერილს დაველოდები. ჩემი წერილის მომტანი შენს პასუხსაც გადმომცემს. მითხარი როგორ ნოვიქციე. რასაც მეტყვი, იმას ვიზამ. გინდა, დაგბრუნდე? მითხარი. ველარ

ამიტანია ფიქრი, რომ შენ მარტო რჩები. როგორ იცხოვრებ? მაპატიე! მაპატიე! მიყვარხარ და გეხვევი...“

— ვიჩქაროთ, ბატონო, თორემ გვიანდა იქნება, — დაიძახა ლორხენის რჩეულმა, რომელსაც კარი შემოეღო.

კრისტოფმა საჩქაროდ ხელი მოაწერა და წერილი ლორხენს გადასცა:

— თქვენ თვითონ მიუტანთ?

— ახლავე მივდივარ! — უპასუხა მან.

ის უკვე შზად იყო წასასვლელად.

— ხვალ, — უთხრა ნან, — სპაუსს მოგიტანთ, ლაიდენში დამელოდებით (პირველი სადგურია, გერმანიას რომ გასცდებით), სადგურის ბაქანზე.

(ცნობისმოყვარე ქალიშვილს უკვე მოესწრო წერილის წაკითხვა).

— თქვენ ყველაფერს მიაშობთ, როგორ აიტანს ამ უბედურებას? ყველაფერს, რასაც კი გეტყვი? არაფერს დამიმაღლავთ? — მუდარით ეკითხებოდა კრისტოფი.

— ყველაფერს გიაშობთ, ყველაფერს.

მათ უკვე აღარ შეეძლოთ თავისუფლად ლაპარაკი. კარის ზღურბლთან კაცი იღვა და უცქეროდა.

— მე, ბატონო კრისტოფ, — ამბობდა ლორხენი, — რამდენიმეჯერ ვნახავ მას, შეგატყობინებთ მის ამბავს, ნუ იღარდებთ.

ლორხენმა მამაკაცურად ჩამოართვა ხელი.

— წავიდეთ! — დაიძახა გლეხმა.

— წავიდეთ! — უპასუხა კრისტოფმა.

სამივენი გავიდნენ. ერთმანეთს გზაზე დაშორდნენ. ლორხენმა სხვა მხარეს გასწია. კრისტოფი და მისი მეგზური სხვა მხარეს გაემართნენ. ორივე ღუძდა. ნამგალა მთვარე, თეთრღრუბელადღევნებული, ტყეს აფარებდა თავს. მინდვრებს მკრთალი ნათელი ეფინებოდა. ხეებში რძესავით თეთრი სქელი ნისლი წვეწოდა. გრილი ჰაერი ნაზად აკრთობდა ფოთლებს. სოფელს გასცდნენ თუ არა, გლეხმა უცრად უკან დაიხია და კრისტოფს ანიშნა, შეჩერდიო. სმენად იქცნენ. გზაზე ჭარისკაცების შეწყობილი ფეხის ხმა ისმოდა. გლეხი ლობუს გადაევილო და მინდორს გაჰყვა. კრისტოფმაც მიბაძა. ნახნავში მიაბაჯებდნენ. გზაზე ჭარისკაცებმა ჩაიარეს. გლეხი მიბრუნდა და სიბნელეში მუშუტით დაემუქრა. კრისტოფს გული ეკუმშებოდა, როგორც მღევრებისგან დამფრთხალ მხეცს. გზა განაგრძეს. გვერდს უვლიდნენ სოფლებს და განმარტოებულ ფერმებს, თორემ ძაღლების ყეფა ქვეყანას ამცნობდა მათ ადგილსამყოფელს. ტყიანი გორა რომ გადაიარეს, შორს რკინიგზის წითელი ნათურები გამოჩნდა. გეზი სინათლეზე აღეს და პირველსავე რკინიგზის სადგურს მიაშურეს. ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. რაც უფრო ქვევით ეშვებოდნენ ველზე, ნისლი მით უფრო სქელი იყო. გზაზე ორი-სამი ნაკადულის გადალახვაც მოუხდათ. შემდეგ უკვე თვალწევდნელი ქარხლის მინდვრები და ხნულები იყო გადაქიმული. ბოლო აღარ უჩანდა.

ველი მთავორიანი იყო. ბორცვები და ხეები ერთიმეორეს ენაცვლებოდნენ. შეიძლებოდა გადაჩხილიყო კაცი. ერთ ხანს უგზო-უყვლოდ სიარული შემდეგ, ნისლში თვალი მოჰკრეს მიწაყრილსა და რკინიგზის ფარნებს. ავიდნენ ფლატეზე და, საშიშროების მიუხედავად, ლიანდაგს დაადგნენ. სადგურამდე ასი-ოდე მეტრიღა რჩებოდა, როცა ისევ გზაზე გავიდნენ. სადგურს რომ მიაღწიეს, მატარებლის გასვლას ოცი წუთი აკლდა. ლორხენის დანაბარების მიუხედავად, გლენმა აქ მიატოვა კრისტოფი. მას დაბრუნება ეჩქარებოდა, რომ ენახა, რა ზედი ეწიათ თანასოფლელებს და მის ქონებას.

კრისტოფმა ლაიდენამდე იყიდა ბილეთი და მესამე კლასის დარბაზში დაჯდა მოსაცდელად. როცა მატარებელი მოვიდა, კრისტოფს რკინიგზის მოსამსახურე მიუახლოვდა, ბილეთს გადახედა და კარი გაუღო. ვაგონში აღმთინის ჰაქანება არ იყო. მატარებელში ყველაფერი ძილს მისცემოდა. ველ-მინდვრებზეც ყველაფერს ეძინა. მართო კრისტოფი ფხიზლობდა, თუმცა ძალიან დაღლილი იყო. რაც უფრო საზღვრისაკენ მიაქროლებდნენ რკინის ბორბლები, მით უფრო ძლიერ ეუფლებოდა სამშვიდობოს გაღწევის სურვილი. ერთი საათის შემდეგ თავისუფალი იქნებოდა. მაგრამ მანამდე ერთი სიტყვაც საკმარისი იყო, რომ შეეპყროთ... შეეპყროთ! მთელი მისი არება ჯანყდებოდა. ეს საზიზღარი ძალა გასრესას უბირებდა!.. სულს ვეღარ ითქვამდა. მისი ფიქრებიდან გაქრა დედა, მიტოვებული სამშობლო. თავისუფლების დაკარგვის შიშით შეპყრობილი მხოლოდ თავისუფლებაზე ფიქრობდა. მისი გადარჩენა სწყუროდა რაღაც არ უნდა დასჯდომოდა! თუნდაც დანაშაულის ფასად... ის ძალიან ნანობდა, რომ მატარებელში ჩაჯდა, საზღვრამდე ფეხითაც შეიძლებოდა მისვლა. დროის მოგება უნდოდა. უკეთესს ვერაფერს მოიგონებდა. პირდაპირ მგელს უვარდებოდა ხახში. ნამდვილად ელოდებიან სასაზღვრო სადგურში. ბრძანება უკვე გაცემულია... ერთი წამით მატარებლიდან გადახტომა გადაწყვიტა; სადგურში მისვლამდე ვაგონის კარიც კი გამოაღო; მაგრამ გვიანდა იყო; მოვიდნენ. მატარებელი გაჩერდა. ხუთი წუთი. მთელი უსასრულობა. კრისტოფი კუთხეში მიიყუდა და, ფარდას ამოფარებული, შიშით შესცქეროდა ბაქანზე მდგომ ქანდარმს. სადგურის უფროსი თავისი ოთახიდან გამოვიდა ხელში დეპეშით და პირდაპირ ქანდარმისკენ გასწია. კრისტოფს ეუვიც კი აზრებოდა, რომ ეს დეპეშა მას ეხებოდა. იარაღი მოიძებნა. ორპირიანი დანის გარდა არაფერი გააჩნდა. დანა ჯიბეშივე გახსნა. რკინიგზის ფარნიანი მოსამსახურე სადგურის უფროსს დეჯახა და სირბილით განაგრძო გზა მატარებლის გასწვრივ. კრისტოფი ხედავდა როგორ ახლოვდებოდა. ის მაგრად ჩაებლაუჭა დანის ტარს და გაიფიქრა:

„დავიღუპე!“

კრისტოფი ისე იყო დაძაბული, უსათუოდ მუცელში გაუყრიდა დანას ამ კაცს, აქ რომ მოსულიყო და მისი თავშესაფრის კარი გაეღო. მაგრამ ის მუზობელ ვაგონთან გაჩერდა და ახლადმოსულ მგზავრს ბილეთი გაუხსნა. მა-

ტარებელი დაიძრა. კრისტოფი გულისცემის დამშვიდებას ცდილობდა. არ განძრეულა. ჭერ ვერ ეფიქრა, რომ გადარჩენილი იყო. სანამ საზღვარს უკან არ მოიტოვებდა, ამას ვერ იტყოდა. თენდებოდა. ალაგ-ალაგ ხეების ლანდები ჩნდებოდნენ. გზაზე ზანზალაკების წკარუნითა და ფარნის თვალების ხამხამით ჩაიჭროლა ეკიპაჟის უცნაურმა აჩრდილმა. სახით შუშაზე მიკრული კრისტოფი იმპერატორის ღერბით შემკულ სასაზღვრო ბოძს უთვალთვალებდა. აქ მისი მონობის აღსასრული უნდა დამდგარიყო. იგი ჭერ კიდევ იმ ბოძის თვალთვალში იყო ამ დილის ბინდ-ბუნდში, რომ მატარებელმა ბელგიის პირველ სადგურს მიაკივლა.

კრისტოფი ადგა, ფართოდ გააღო კარი და ცივი ჰაერი შეისუნთქა. თავისუფალია! წინ მთელი ცხოვრება! ცხოვრების სიხარული!.. — და უეცრად ნაღველი შემოაწვა გულზე, ნაღველი მითრევებული წარსულისა და მომავლისა. და ამ განცდებით აღსავსე კრისტოფი ღამისეულმა დაღლილობამ მოცულა. იგი სკამზე დაემხო. ცოტაც და სადგური გამოჩნდა. როცა ერთი წუთის შემდეგ კონდუქტორმა კარი გააღო, კრისტოფს უკვე ეძინა. სახელოში მოსწივს. კრისტოფს გაეღვიძა და შეცბა, ეგონა, მთელი საათია მძინავსო. მძიმედ ჩამოვიდა ვაგონიდან და საბაჟოსკენ გასწია. საბოლოოდ რომ დარწმუნდა, უცხო მიწაზე ვლგავარ და თავის დაცვა აღარ მჭირდებაო, მოსაცდელ დარბაზში სკამზე განერთხო და მკვდარივით დაეძინა.

შუადღე იყო, რომ გაიღვიძა. ლორხენი მხოლოდ ორი-სამი საათის შემდეგ თუ ჩამოვიდოდა. მატარებლების მოლოდინში იგი აქეთ-იქით დაქროდა პატარა სადგურის ბაქანზე. მერე მინდორში გავიდა. უფერული, მოწყენილი ამინდი იდგა. იგრძნობოდა ზამთრის მოახლოვება. ცას ფერი გაჰკრთომოდა. გულჩათხრობილ სიწყნარეს მანევრზე გასული მატარებლის სასტვენის საწყალობელი ხმა თუ არღვევდა. კრისტოფი საზღვრიდან რამდენიმე ნაბიჯზე შედგა ტიალ მინდორში. პირდაპირ მის წინ პატარა წყალსაცავის გამშვივრვალე წყალში მოწყენილი ცის თაღი იხატებოდა. ეს გუბურა ღობით იყო შემოვლებული. ნაპირზე ორი ხე იდგა. მარჯვნივ ფოთოლგაცენილი ალვა ირხეოდა. მის უკან შავი და შიშველტოტებიანი დიდი კაკალი მოჩანდა ვეება რვაფეხსავით. მის ტოტებზე შემომსხდარი ყვავები მტევნებივით ქანაობდნენ. უკანასკნელი წვეთისაგან დაცილი ტოტებს მოწყვეტილი ფოთლები სათითაოდ ეცემოდნენ წყლის უძრავ ზედაპირზე.

კრისტოფს მოეჩვენა, თითქოს უკვე სადღაც უნახავს ეს სურათი. ეს ორი ხე, წყალი... — უცბად, ერთი წუთით, ყველაფერი შეტორტმანდა. ასეთი რამ ხანდახან ემართება ხოლმე ადამიანს. დრო ჩერდება. აღარ იცის, სად არის, ვინ არის, რომელ საუკუნეში ცხოვრობს, რამდენ საუკუნეს გრძელდება ასე. კრისტოფს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ყველაფერი ეს ერთხელ უკვე იყო,

ის, რაც ახლა ხდებოდა, ახლა კი არ ხდებოდა, არამედ სხვა დროს. თვითონაც უკვე ის აღარ იყო. იგი გარედან უცქერდა თავის თავს, ძალიან შორიდან, როგორც ვინმე უცხო, რომელიც ერთხელ უკვე იღგა აქ, ამ ადგილას. ესმოდა რაღაც უცნობ მოგონებათა ხმაური. ძარღვებში სისხლი აუჩუხჩუხდა:

„ასე... ასე... ასე...“

საუკუნეთა ფეხის ხმა.

მანამდე ბევრმა კრატტმა გამოიარა მისი დღევანდელი განსაცდელი, იგემა მშობლიურ მიწაზე ყოფნის უკანასკნელი წუთის სიმწარე. მუდამ მონეტრალე, დამოუკიდებელი და მოუსვენარი სულის გამო ყოველი მხრიდან დევნილი გვარი, გვარი, რომელსაც მუდამ ტანჯავდა სულში მჯდომი დემონი და არსად არ აძლევდა ფეხის მოკიდების საშუალებას. გვარი ერთგული მიწისა, რომელსაც მუდამ წყვეტდნენ, მაგრამ ვერ მოწყვიტეს...

ახლა კრისტოფს უნდა გაეგლო იგივე გზა. გზაზე თავის ფეხებქვეშ ის უკვე ჩავლილთა ნაკვალევს პოულობდა. იგი ცრემლმორეული გასცქეროდა ნისლში მიმქრალ მშობლიურ მიწას, რომელსაც უნდა დამწეიდობებოდა. მაგრამ განა თვითონ მხურვალედ არ ისწრაფოდა ამისაკენ? კი, მართალია, მაგრამ ახლა, როცა მართლა შორდებოდა, გულს ნაღველი შემოაწევა... მხეცის გული უნდა გქონდეს, რომ უღარადელად მოშორდე მშობელ მიწას. ბედნიერნი თუ უბედურნი ხომ ერთად ცხოვრობენ. ის იყო მეგობარიც და დედაც: მიწამ გვშობა, მიწაზე ვცხოვრობდით, მიწა გვასაზრდოებდა, მის წიაღში იმალება ჩვენი ოცნებების საუნჯე, ჩვენი გარდასული ცხოვრება, ჩვენი საყვარელი ადამიანების წმინდა გვამები. კრისტოფი ხედავდა გარდასულ დღეთა რიგს და მიწას მიბარებულ თუ მიწაზე მცხოვრებ ადამიანთა ძვირფას სახეებს. ეს ტანჯვა ისევე ძვირფასი იყო, როგორც სიხარული. მინა, საბინა, ადა, ბაბუა, ძია გოტფრიდი, მოხუცი შულცი — ყველამ მის თვალწინ გაიარა ამ რამდენიმე წუთში. ის ველარ შორდებოდა თავის მიცვალებულებს (ადასაც მათ შორის რაცნდა). დედა ერთადერთი ცოცხალი არსება იყო მის საყვარელ ადამიანებს შორის, ამ აჩრდილებს შორის და როცა ახსენდებოდა, რომ ისიც უნდა მიეტოვებინა, საშინლად იტანჯებოდა. გაქცევით თავის შველა სიმხდალედ ეჩვენებოდა. კრისტოფმა გადაწყვიტა კიდევ, რომ თუ დედისაგან ლორხენის მოტანილ პასუხში უსაზღვრო ტანჯვას ამოკითხავდა, დაბრუნებულიყო. მომხდარიყო, რაც მოხდებოდა. მაგრამ თუ არაფერი მიიღო? იქნებ, ლორხენმა ვერ მოახერხა ლუიზამდე მისვლა, ან პასუხი ვერ მოუტანა? მაშინ დაბრუნდებოდა.

კრისტოფი სადგურზე მივიდა. მომაცვდინებელი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, გამოჩნდა მატარებელი. კრისტოფი ლორხენის მამაც სახეს ექებდა ფანჯრებში: დარწმუნებული იყო, რომ ის შეასრულებდა თავის პირობას. მაგრამ ქალი არსად ჩანდა. შეწუხებულმა კრისტოფმა მთელ მატარებელს დაუარა. უცბად, მისკენ მომავალი მგზავრების ტალღაში მან ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი. ეს იყო ცამეტ-თოთხმეტი წლის პატარა გოგო, ფუნჩიულა და ტანდაბალი.

მას ვაშლივით ლაყდაჲა ლოყები, აპრეხილი პატარა და ფართო ცხვირი, დიდი პირი და თავზე შემოხვეული სქელი ნაწნავი ჰქონდა. როცა უკეთ დააკვირდა, დაინახა, რომ გოგონას ხელში ძველი ჩემოდანი ეჭირა, ის ძალიან ჰგავდა მის ძველ ჩემოდანს. გოგონაც ბედურასავით გვერდიდან ათვალიერებდა მას. როცა დარწმუნდა, რომ კრისტოფმაც შეამჩნია, მისკენ გაემართა და ხმაშოულებლად მიაცქერდა თავისი თავის თვალებით, კრისტოფმა იცნო. ეს იყო პატარა მეძროხე გოგო, ლორხენის ფერმაში რომ მუშაობდა. მან ჩემოდანზე მიუთითა და ჰკითხა:

— ეს ჩემია, არა?

პატარა არ განძრეულა, თავი მოიკატუნა და გულუბრყვილოდ უპასუხა:

— ვინ იცის. ჯერ მითხარით, საიდან მოღიხართ.

— ბუირიდან.

— ვინ გიგზავნი?

— ლორხენი, რასაკვირველია.

გოგონამ ჩემოდანი გაუწოდა.

— აჰათ!

და დაამატა:

— მე თქვენ ხელად გიცანით.

— მაშ, რაღას ელოდი?

— გელოდით, სანამ იტყოდით, რომ ეს თქვენა ხართ.

— კი, მაგრამ, რატომ ლორხენი არ ჩამოვიდა?

პატარას არაფერი უპასუხნია. კრისტოფი მიხვდა, რომ ამდენ ხალხში არ უნდოდა ლაპარაკი. ჩემოდანი საბაჟოში მიიტანეს. ყველაფერს რომ მორჩნენ, კრისტოფმა გოგონა ბაქნის ბოლოზე წაიყვანა:

— თქვენი წასვლა და პოლიციაც მოვიდა. — ამოიდგა გოგომ ენა, — სახლებში შევიდნენ, ყველა დაკითხეს, დააპატიმრეს აყლაყულა სამი, კრისტიანი და ძია ვასპარი. კიდევ მელანია და ჰერტრუდა, თუმცა ბევრი იყვირეს, ჩვენ არაფერი დაგვიშვებიაო. ორივემ იტირა. ჰერტრუდამ ჟანდარმიც დაკაწრა. ყველა ანწობდა, რომ თქვენი ბრალი იყო, რაც მოხდა.

— როგორ თუ ჩემი! — შესძახა კრისტოფმა.

— დიახ, — მშვიდად უპასუხა გოგონამ. — ამით თქვენ არაფერი დაგიშვებოდით, უკვე წასული იყავით. დაგიწყეს ყველგან ძებნა. ყველგან ხალხი დაგზავნეს.

— ლორხენი როგორღა იყო?

— ლორხენი შინ არ იყო. ის უფრო გვიან დაბრუნდა ქალაქიდან.

— ნახა დედაჩემი?

— დიახ. აი, წერილი. მას წამოსვლა უნდოდა, მაგრამ დააპატიმრეს.

— შენ როგორღა მოახერხე?

— ლორხენი რომ დაბრუნდა, პოლიციას არც შეუშინებია. აქეთ აპირებდა

წამოსვლას, მაგრამ ირმინამ, ჰერტრუდას დამ, გასცა. მოვიდნენ მის წასაყვანად. უნდარმები რომ დაინახა, ოთახში ავიდა და იქიდან დაიძახა — ვიცავ და ახლავე გამოვალო. მე კი ვენახში ვიყავი, სახლის უკან. ფანჯრიდან მისი ხმა მომესმა: — ლიდა, ლიდაო! მეც მივედი. ლორხენმა თქვენი ჩემოდანი და დედათქვენის გამოტანებული წერილი ჩამოუშვა და მასწავლა, სადა გნახავდით. დამარიგა, სირბილით იარე და ხელში არავის ჩაუვარდეთო. მეც ვირბინე და აი, აქა ვარ.

— მეტი არაფერი უთქვამს?

— კი. ეს თავსაფარი გამომატანა, ნიშნად იმისა, რომ მისი გამოგზავნილი ვიყავი.

კრისტოფმა იცნო წითელკობლებიანი თეთრი თავსაფარი, ლორხენმა თავზე რომ შემოიხვია გამომშვიდობების დროს. ამ გულუბრყვილო საბაბზე, რომლითაც ლორხენმა ისარგებლა სიყვარულის ნობათის გამოსაგზავნად, კრისტოფს არც გაღიმიება.

— აი. მეორე მატარებელიც შემოდის, — წამოიძახა გოგონამ, — მე უნდა დავბრუნდე, ნახვამდის.

— მოიცა, — უთხრა კრისტოფმა. — გზის ფული სადღა იშოვე?

— ლორხენმა მომცა.

— გამომართვი, — უთხრა კრისტოფმა, ცოტაოდენი წერილი ფული ჩაუღო ხელში და ხელი წაავლო გასაქცევად მომზადებულ გოგონას:

— კიდევ...

კრისტოფი დაიხარა და ორივე ლოყა დაუკოცნა. გოგონამ უკმაყოფილო სახე მიიღო.

— ნუ ბრაზობ, — უთხრა კრისტოფმა, — ეს შენ როდი გეკუთვნის.

— ა, ვიცი, — ეშმაკურად უპასუხა გოგონამ, — ლორხენს ეკუთვნის.

კრისტოფი მარტო ლორხენს როდი კოცნიდა, როცა პატარა მეძროხე გოგოს ლოყებს ეამბორა: ეს მთელი მისი გერმანია იყო.

გოგონამ თავი გაითავისუფლა და მიმავალი მატარებლისაკენ მოკურცხლა. იგი ფანჯარას არ მოშორებია. ცხვირსახოცს უქნევდა, ვიდრე თვალს არ მოეფარა. კრისტოფი კი თვალს არ აშორებდა სოფელს მაცნეს, რომელმაც უკანასკნელად მოუტანა სამშობლოსა და მისთვის საყვარელი ადამიანების სუნთქვა.

როცა გოგონა თვალს მოეფარა, კრისტოფი სულ მარტო დარჩა ამ უცხო მიწაზე. ხელში ღედის წერილი და სიყვარულის თავსაფარი ეკიბრა. თავსაფარო უბეში ჩაიდო და წერილის გახსნა დააპირა. ხელები უკანკალებდა. ნეტავ, რა ეწერა? რა სატანჯველი ელოდა? არა, ის ვერ აიტანდა საყვედურს, რომელიც უკვე ჩაესმოდა ყურში: ახლავე დაბრუნდება.

ბოლოს გახსნა წერილი და წაიკითხა:

„ჩემო საწყალო შვილო, ჩემი დარდი ნუ გექნება. მე ჰკუით ვიქნები.

ღმერთმა დამსაჯა. ეგოისტი არ უნდა ვყოფილიყავ და აქ არ უნდა დამეკავებინე. წადი პარიზში. იქნებ, ასე სჯობდეს შენთვის. ჩემზე ნუ იღარდებ. გაქალებ როგორმე. მთავარია, შენ იყო ბედნიერი. გკოცნი.

ღ ე ღ ა

„მომწერე, როცა კი შეგეძლება“.

კრისტოფი ჩემოდანზე დაჯდა და ატირდა.

სადგურის მოხელე უკვე პარიზში მიმავალ მგზავრებს იძახებდა. ხმაურით ახლოვდებოდა მძიმე მატარებელი. კრისტოფმა ტრემლები მოიწმინდა და აღგა.

— ასეა საჭირო, — ჩუმად წარმოთქვა მან.

კრისტოფმა ცას გახედა, იქით პარიზი ეგულებოდა. მოქურუხებული ზეცა იქ უფრო მოღუშული იყო. უკიდვანო ბინდი იდგა. კრისტოფს გული ეტკინა, მაგრამ ერთხელ კიდევ გაიმეორა:

— ასეა საჭირო.

კრისტოფი მატარებელში ავიდა, მიადგა ფანჯარას და მწუხრით მოცულ შორეთს გახედა:

„ო, პარიზო! — ფიქრობდა ის, — პარიზო! მიშველე! მიხსენ, იხსენი ჩემი ჩანაფიქრი!“

ნისლის ფარდა ბინდმა მოიცვა. უკან, იმ ქვეყნის ცაზე, რომელსაც ის აბლა ტოვებდა, მძიმე ღრუბლებს შორის ნაღვლიანად გაუღიმა საბინას მოკუტული თვალებივით ვიწრო ცის ზოლმა და ჩაქრა. მატარებელი დაიძრა. გაწვიმდა. დაღამდა.

ᄃᄂᄃᄃ
ᄃᄃᄃᄃᄃ



ᄃᄃᄃᄃᄃ
ᄃᄃᄃᄃᄃ

პირველი გახმოებების წინასიტყვაობა

საუბარი ავტორისა თავის აჩრდილთან

მე — ნაძლევი ხომ არ დაგიღვეს, კრისტოფ? გინდა, მთელ ქვეყანას გადაშვილო?

კრისტოფი — ნუ კი გაიოცებ: თავიდანვე იცოდი, სადაც მიმყავდი.

მე — მუდამ ყველაფერს აკრიტიკებ. არისხებ მტრებს და მეგობრებსაც ანაწყენებ. განა არ იცი, რომ თუ წესიერ სახლში რამე ვერაა რიგზე, ზრდილობიანობა მოითხოვს, არ გაამხილო?

კრისტოფი — რა გაეწყობა, მე უზრდელი ვარ.

მე — ვიცი; ხეპრე ხარ, გაუზრანდავი! ყველას ემტერებაო, შენზე ასე იტყვიან. გერმანიაში ხომ გერმანელთა მტრის სახელი დაიმკვიდრე; საფრანგეთში ფრანგების მოძულეს დაგიძახებენ. ან, რაც უფრო უარესია, — ანტიესმიტს. ფრთხილად იყავი, ებრაელებზე ნულა ლაპარაკობ: „მათ ერთობ ბევრი სიკეთე გიყვეს და აუგად არ უნდა მოიხსენიო“.

კრისტოფი — რატომ არ უნდა ვთქვა ყველაფერი, რასაც კი ვფიქრობ მათზე?

მე — შენ უფრო ხშირად ცუდს ამბობ ხოლმე.

კრისტოფი — კარგს მერე ვიტყვი. ან რატომ უნდა დაეზოგო ისინი ქრისტიანებზე უფრო? თუ მათ საკადრისს მივაგებ, ესე იგი, ღირან ამაღ. სახელი და დიდება მათ, რადგან პირველი ადგილი დაიმკვიდრეს ჩვენს დასავლეთში, სადაც უკვე ქრება ნათელი. ბევრი მათგანი მოსპობით ემუქრება ჩვენს ცივილიზაციას. მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ ბევრი უზომოდ ამდიდრებს ჩვენს აზრსა და ღონეს. ვიცი, ამ ერში რა დიდებაც არის დამარხული. ვიცი მათი თავდადების ძალა, უანგარობა, სიამაყე, სიყვარული და უკეთესის წყურვილი, დაუშრეტელი ენერჯია, ჩუმი, უსაზომო შრომის უნარი, ათასობით მათგანს რომ ახასიათებს. ვიცი, რომ მათში არს უფალი და სწორედ ამიტომ ვებრძვი იმათ, ვინც თავის თავში უარყო ღმერთი და სწრაფმავალი წარმატებისა და ცუდ ბედნიერებისათვის გაყიდა თავისი ხალხის ბედ-იღბალი. მათ როცა ვებრძვი, მათივე ხალხის საქმეს ვაკეთებ, მათ წინააღმდეგ. ისევე, როგორც დაცემულ ფრანგებთან ომით მე ვიცავ საფრანგეთს.

მე — ჩემო კარგო, შენ ისეთ საქმეებში ეჩრები, რასაც არავინ გკითხავს. სგანარეღის¹ ცოლი გაიხსენე! იგი თანახმაა, რომ გაწკეპლონ: „შინაურულად, სხვა თუ არ გაიგებს“... საქმენი ისრაელისანი ჩვენ არ შეგვეჩება. საფრანგეთისა კი... საფრანგეთი იმ მარტინას ჰგავს: თანახმაა, სცემონ, მაგრამ ვერ იტანს, როცა პირში ეტყვიან, გაროზგილი ხარო.

კ რ ი ს ტ ო ფ ი — მოყვარეს პირში უძრახეო, ხომ გაგიგონია. მეც რომ გავჩუმდე, ვინ უთხრას სიმართლე? შენ ხომ ვერ ეტყვი. თქვენ თქვენი საზოგადოებრივი ურთიერთობით, სირცხვილ-ნამუსით, უფროს-უმცროსობის კანონებითა ხართ შეკრული. მე თავისუფალი ვარ... მე არ ვეკუთვნი თქვენს საზოგადოებას. არასდროს მიმიღია მონაწილეობა თქვენს გართობაში, თქვენს კამათსა და აყალმაყალში. არაფერი მაიძულებს ჩემი ხმა თქვენსას შევეუერთო, ან თანაზიარად გავუხდე თქვენს ღუმელს.

მე — შენ უცხოელი ხარ.

კ რ ი ს ტ ო ფ ი — ამას იტყვიან, არა? იტყვიან, რომ გერმანელ მუსიკოსს არა აქვს უფლება თქვენი განსჯისა და რომ ის ვერც გაგიგებთ? კეთილი, მე შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ იმას მაინც გეტყვით, რასაც დიდი უცხოელები ფიქრობენ თქვენზე, — იმათ შენც იცნობ, — ყველაზე დიდები ჩვენს აწ გარდაცვლილ და ცოცხალ მეგობართა შორის. და თუ ისინიც ცდებიან, მათი აზრი მაინც უნდა ვიცოდეთ. ასე აჯობებს თქვენთვის, ვიდრე თავი დაირწმუნოთ, რომ ყველა აღტაცებულია თქვენით და თვითონაც თვითაღტაცებას მიეცეთ: ანღა პირიქით, თავი დაიმდაბლოთ და თქვენივე თავის ძაგებას მოჰყვეთ: რა ფასი აქვს დროდადრო ყვირილს, თქვენში მოღად რომ გადაქეუელა, თითქოს თქვენ უპირველესი ხალხი ხართ მსოფლიოში, თუ მერე იტყვით, რომ ლათინური რასის დაცემა გარდუვალა; რომ ყველა დიდი აზრი საფრანგეთიდან მოდის და იქვე: „ჩვენ მარტო ისღა შეგვიძლია, რომ გავართოთ ევროპა“. მთავარია, თვალი არ მოუხუჭოთ საზარელ სენს, რომელიც გორღნით. ქედი კი არ უნდა მოიდრიკოთ, უნდა აღსდგეთ იმის შეგნებით, რომ საჭიროა ბრძოლა სიცოცხლის გადასარჩენად, რათა დაიცვათ ერის სახელი. ვინაც იგრძნო, რომ სიცოცხლის ძარღვი ჭერ კიდევ ფეტქავს ფრანგების გულში და რომ ამ ერს არ უწერია გადაშენება, მას შეუძლია და კიდევაც დაურიდებლად უნდა გააშიშვლოს ერის სასაცილო და მანკიერი მხარეები, რომ უკეთ შეძლოს მათი დათრგუნვა. და პირველ რიგში უნდა დაამარცხოს ისინი, ვისაც ეს ცუდი მხარეები სიცოცხლის წყაროდ გაუხდია და მით სულღმულობს.

მე — საფრანგეთს, თუნდაც მისი დაცვის მიზნით, ნუ შეეხები. ამით პატრიოსან ხალხს მყუდროებას უფრთხობ.

კ რ ი ს ტ ო ფ ი. — პატრიოსან ხალხს, რალა თქმა უნდა. პატრიოსან ხალხს, ვისაც გული ეთანაღრება, როცა ეტყვიან, ყველაფერი საუცხოოდ ვერაა მო-

¹ სგანარეღი — მოლიერის ერთ-ერთი პერსონაჟია.

წყობილიო და ბევრ ულაზათოსა და სანადგლო რამეს უჩვენებენ. მათაც ჩაგრავენ, მაგრამ არ უნდათ თავს გამოუტყდნენ. ისე უმძიმთ, როცა ძალადობას ხედავენ, ურჩევნიათ, ამ ძალადობას მსხვერპლად გაუხდნენ. მათ უნდათ, დღეში სულ ცოტა, ერთხელ მაინც გაუმეორონ, ყველაფერი უკეთესობისაკენ მიდისო ამ უკეთესთა შორის უკეთეს ქვეყანაში და რომ:

„შენ პირველობას ვერაინ წარგტაცებს, ო, საფრანგეთო!“

რის შემდეგაც პატიოსან ხალხს შეუძლია დამშვიდდეს და კვლავ დაიძინოს. სხვები კი თავიანთ საქმეს განაგრძობენ. კეთილი და პატიოსანი ხალხი! მე მათ გული ვატკინე: აწი უფრო ვატკენ. დაე, შემინდონ... მაგრამ თუკი მათ არ სურთ დავესმარო მჩაგვრელებთან ბრძოლაში, იცოდნენ მაინც, რომ სხვებსაც მათსადეო ტანჯავენ, მაგრამ სხვები არ არიან მათსადეო მორჩილნი და ფუჭი იმედებით თავს არ იტყუებენ. ეს ის ხალხია ვისაც მათი მორჩილება და ყალბი ილუზია მტარავალთა ხელში აგდებს. ო, რანაირად იტანჯებიან! ჩვენც ბევრი ვიტანჯეთ! გახსოვს?... და ჩვენთან ერთად სხვაც ბევრი იყო განსაცდელში ხანდაყოფილი — როცა ვხედავდით, ყოველდღე როგორ მძიმდებოდა, როგორ იხუთებოდა ჰაერი. როგორ გვაწებოდა გარყვნილი ხელოვნება, ცინიკური, ამორალური პოლიტიკა და დღენე აზრი, თავის აღსასრულს კმაყოფილების სიცილით რომ ეგებება. ჩვენც აქ ვიყავით; დაზაფრულები მაგრად ევეკროდით ერთიმეორეს. მძიმე დრო ერთად გვიტარებია. ჩვენს მასწავლებლებს აზრადაც არ მოუვათ, რა ქარიშხლებმა არ დაჰქროლა თავს ჩვენს ჭბბუკობას იმათ ფრთებქვეშ. და გავუძელით. არსებობა შევინარჩუნეთ! ნუთუ სხვებს აღარ გადავარჩენთ? ნუთუ დაეტოვებთ იმ უბედურებაში, ჩვენ რომ გამოვიარეთ და დახმარების ხელს არ გავუწოდებთ? არა, ჩვენი ბედი და მათი ბედი ვადაბმულია. დღეს საფრანგეთში ათასობით კაცი იმასვე ფიქრობს, რასაც მე ხმამაღლა ვაცხადებ. მე მჯერა, რომ მათთვის ვლაპარაკობ. მალე მათზედაც ვილაპარაკებ. მინდა ჩქარა კუჩვენო ყველას ნამდვილი საფრანგეთი: დამონებული, პატივყარილი; თავის ებრაელებით, ქრისტიანებით, ათეისტებით, ყველა მოდგნისა და ჭურის ხალხით. მაგრამ იქამდე რომ მივადწიო, ჭერ გზა უნდა გავიკაფო იმათ შორის, ვინც სახლის კარს დარაჯობს. დაე, მშვენიერმა ტყვე ქალმა არად ჩააგდოს თავისი აპათია და დაანგრის ციხის კედლები. მან ჭერ კიდევ არ იცის საკუთარი ძლიერება და თავის ნტერთა სიძაბუნე.

მე — შენ მართალი ხარ, სულო ჩემო. მაგრამ, რაც უნდა იყოს, სიძულვილს გერიდე.


კ რ ი ს ტ ო ფ ი — ჩემთვის უცხოა სიძულვილი. მაშინაც კი, როცა ყველაზე ბოროტ ხალხზე ვფიქრობ, კარგად ვიცი, რომ ისინიც ადამიანები არიან: ისინიც ჩვენსავით იტანჯებიან და ერთ მშვენიერ დღეს მოკვდებიან კიდევ. მაგრამ მე მაინც უნდა ვძლიო ისინი.

მე — სძლიო, ებრძოლო... ეს ნიშნავს, თუნდაც სიკეთის სახელით ბორო-

ტება ჩაიღინო. და მწუხარება, რომელსაც თუნდაც ერთ ცოცხალ არსებას
მოაყენებ, ღირს კი იმ სიკეთედ, მშვენიერ კერპებს — „ხელოვნებასა“ და „კაცო-
ბრიობას“ რომ აღუთქვამენ?

კ რ ი ს ტ ო ფ ი — თუ ასე ფიქრობ, უარყავ ხელოვნება და მეც უარმყავი.
მ ე — ნუ, ნუ დამტოვებ! რა მომივა უშენოდ? ან კი მშვიდობა როდის დამ-
ყარდება?

კ რ ი ს ტ ო ფ ი — როცა მოიპოვებ. მალე... სულ მალე. ხედავ, გაზაფხულის
მერცხალმა უკვე გადაგვიქროლა თავზე.
მ ე. —



კ რ ი ს ტ ო ფ ი — კმარა ოცნება! მომეცი ხელი და გამომყევი.
მ ე — სხვა რა გზა მაქვს: უნდა გამოგყვე, შენ, ჩემო ჩრდილო.
კ რ ი ს ტ ო ფ ი. — ჩვენს შორის რომელია მეორის ჩრდილი?
მ ე — როგორ გაზრდილხარ! უკვე ველარ გცნობ.
კ რ ი ს ტ ო ფ ი — მზე მალე ჩავა.
მ ე — მე ბავშვი უფრო მიყვარდი.
კ რ ი ს ტ ო ფ ი — დაღამებამდე დრო ცოტა დაგვრჩა, ნულარ ყოვნდები.
რ ო მ ე ნ რ ო ლ ა ნ ი.

მარტი, 1908 წელი

ერთბაშად აირია ყველაფერი. ვაგონებში რკინიგზის უხეში და ფაძილია-რული კონდუქტორები გაჩნდნენ. მგზავრებს განაწესი არ მოსწონდათ, მაგრამ მაინც ემორჩილებოდნენ. კრისტოფი საფრანგეთში იყო.

საბაჟოს ცნობისმოყვარეობა რომ დააქმყოფილა, კრისტოფი ხელახლა ჩაქდა პარიზს მიმავალ მატარებელში. წყვილიანი ეფინა ნაწვიმარ მინდვრებს. ვაგზლების მჭახე სინათლეები კიდევ უფრო საცნაურს ხდიდა შავ სუდარაში გამოხვეული თვალუწვდენელი ველის მწუხარებას. შემხვედრი მატარებლები სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდებოდნენ. მათი საყვირის ხმა აბობდა პაერს და მთვლემარე მგზავრებს აფხიზლებდა. პარიზს უახლოვდებოდნენ.

გაჩერებამდე ერთი საათით ადრე კრისტოფი უკვე მზად იყო ჩამოსახტომად. ქუდი ჩამოეფხატა თავზე. ვილაცამ უთხრა, პარიზი ქურდებითააო სავსე და მათი შიშით პალტოც საეულდაგულოდ ჰქონდა შეკრული. ერთი ოცჯერ მაინც აღდა და დაჯდა: ოცჯერ მაინც გადადგა და გადმოდგა ჩემოდანი ბალიდან სკამზე და სკამიდან ბაღეზე. ხან ერთ მეზობელს ეჯახებოდა, ხან მეორეს და ყველას გულს უწუხებდა.

სადგურში შესვლამდე მატარებელი ბნელში შედგა. კრისტოფმა სახე მიაკვლიტა მინას, მაგრამ ამაოდ, ვერაფერი გააჩნია. მერე კვლავ თანამგზავრებს მიუბრუნდა: უნდოდა, რომელიმე მათგანის მხერა დაეკირა, რომ საუბარი გაება და ეკითხა, სად ვართო. მაგრამ ყველას ეძინა, ანდა თავს იმძინარებდნენ. კოპებშეკრულნი მოწყენით ისხდნენ და არც ერთი არ იმძინაროდა, რომ გაჩერების მიზეზი შეეტყო. კრისტოფი გააოცა ამ ინერტულობამ. ეს პირქუში და მთვლემარე მგზავრები სრულებითაც არ ჰგავდნენ იმ ფრანგებს, მას რომ წარმოედგინა. ბოლოს, საქციელწამხლარი თვითონაც ჩამოქდა თავის ჩემოდანზე და თუმცა მატარებელი საშინლად ანჯღრევდა, ჩამოეძინა კიდევ. მერე ერთბაშად გამოაღვიძა კარების ჭახუნმა. პარიზში იყო მისი მეზობლები უკვე ჩადიოდნენ.

ჯიკაე-ჯიკავით თვითონაც გაემართა გასასვლელისაკენ: თან გზიდან იცილებდა მუშებს, ბარგის წამოღებას რომ სთავაზობდნენ. გლუხაკაცივით ექვიანს ეგონა, რომ ყველას მისი გაქურდვა სურდა. თავისი ძვირფასი ჩემოდანი მხარზე შეიკდო: მიდიოდა და აინუნშიც არ აგდებდა, რომ მგზავრები, რომელთა შორი-

ნაც გზას მიიკვლევდა ლანძღვა-გინებით აცილებდნენ. ბოლოს პარიზის გაზი-
ნაჟულ ქვაფენილზე დადგა ფეხი.

ფეხი კი დადგა, მაგრამ ეკიპაჟთა ორომტრიალს თავი ვერ დააღწია. თან
ბარკითა და ბინანზე ზრუნვით ისე იყო გართული, აღარ შეეძლო რამის დათვა-
ლოერებაზე ეფიქრა. პირველ რიგში ოთახი უნდა ემოვა. სასტუმროების მეტი
რა იყო. საღგურს ყოველი მხრიდან გარს შემორტყმოდნენ. ნეონის შუქით
გამოყვანილ მათ სახელებს კაშკაში გაჰქონდა. კრისტოფმა ყველაზე ნაკლებად
ელვარეს დაუწყო ძებნა, რადგან იცოდა, რომ სხვებს მისი ჯიბე ვერ გასწვდებო-
და. ბოლოს, მივარდნილ კუთხეში ერთი ბინძური ღუქანი შენიშნა, ზედ
დაშენებული სასტუმროთი. „ცივილიზაციის ოტელი“ — ასე ეწოდებოდა ამ
ღუქანს.

სქელი მამაკაცი პერანგისამარა იჯდა მაგიდასთან და ჩიბუხს აბოლებდა.
სტუმარი დაინახა თუ არა, მაშინვე მიეგება. კრისტოფის ნალაპარაკებიდან
ვერაფერი გაიგო, მაგრამ შეხედა თუ არა, უმალვე მიხვდა, რა კაციც იქნებოდა
ეს მოუხეშავი და მიამიტი ვერმანელი, რომელიც არაფრით არ უშვებდა ხელს
თავის ჩემოდანს და საოცრად დამტვრეული ფრანგულით ცდილობდა საუბარი
გაება მასთან.

სასტუმროს პატრონმა კრისტოფი აშმორებულ კიბეზე აატარა და ერთი
დახუთული ოთახი უჩვენა, რომლის ფანჯრებიც შიგნითა ეზოში გაღიო-
და; თან აქებდა და აქებდა აქაურობას: ძალიან მყუდრო ადგილია, ქუჩის
ხმაური აქ არ აღწევსო და კაიძალი ფულიც მოსთხოვა. კრისტოფმა კარგად არ
ესმოდა, რას ეუბნებოდა ეს კაცი და წარმოდგენა არ ჰქონდა ბინები პარიზში
რა ფასად ქირავდებოდა, თან კიდევ ჩემოდნის ტარებით მხარი სტკიოდა და
ყველაფერზე დათანხმდა, ოღონდ რაც შეიძლება ჩქარა დარჩენილიყო მარტო.
მაგრამ მარტო დარჩა თუ არა, უმალვე საშინელი სიბინძურე, ეცა ოვალში და
რომ არ აპყოლოდა მძიმე კაემანს, თანდათან რომ უღონებდა გულს; თავი დაი-
სხველა მტერიანი წყლით, რომელიც შესახედავადაც ბლანტი იყო და სასწრა-
ფოდ გამოვარდა კარში. ცდილობდა, არაფერი დაენახა, არ ესუნთქა, რომ გული
არ არეოდა.

ქუჩაში გამოვიდა. გარეთ ოქტომბრის სუსხიანი და სქელი ნისლი იდგა.
ნისლსაც პარიზის გულისამრევი სუნი ჰქონდა, გარეუბნის ქარხანათა სიმყრალე
და ქალაქის მძიმე სუნთქვა შეროვდა ერთმანეთს. ათ ნაბიჯზე უკვე აღარაფერი
ჩანდა. გაზის ნათურები ჩასაქრობად მიწურივლ სანთლებივით ძლივსლა ბეუტა-
ვდნენ. ნახევრადბნელში ხალხი შემხვედრ ტალღებად აწყდებოდა ერთი-
მეორეს. ეკიპაჟები გზას ვეღარ უქცევდნენ, ეჩახებოდნენ ერთმანეთს, აფერხე-
ბდნენ მიმოსვლას და ბარიკადებივით ხერგავდნენ გასასვლელს: ცხენებს გაყი-
ნულ ლაფზე ფეხი უსხლტებოდათ, ისმოდა მეეტლეთა ლანძღვა-გინება. ტრამ-
ვაოს ზარებისაგან ყურთასმენა იყო წაღებული. ამ ჯგლეთა-ხმაურმა და სუნმა
ჯააბრუა კრისტოფი. წამით შეჩერდა კიდევ, მაგრამ უენიდან მიაწვინენ და ისევ

გაიტაცა ხალხის ნაკადმა. სტრასბურგის ბულვარი ჩაიარა. ველარაფერს ხედავდა და უხერხულად ეჩახებოდა გამვლელ-გამომვლელს. დილიდან უჭმელი იყო. მაგრამ კაფეები, გზად რომ ხედებოდა, ხალხით იყო სავსე და კრისტოფს ცხვეწნაოდა შიგ შესვლა. თან ეს ხალხმრავლობაც გულს ურევდა. ერთი პოლიციელი გააჩერა, მაგრამ იმდენ ხანს ეძებდა სიტყვებს, რომ პოლიციელმა თავი არ შეიწუხა, ბოლომდე აღარ ათხოვა ყური, მხრები აიჩინა და შუა სიტყვაზე ზურგი შეაქცია. კრისტოფმა ალაბმედზე განაგრძო გზა. რომელიღაც დუქნის წინ ხალხი შეჩვეულიყო თვითონაც ანგარიშმიუცემლად შედგა. აქ ფოტოსურათებითა და ღია ბარათებით ვაჭრობდნენ. სურათებზე პერანგისამარა ან სულაც უპერანგო ქალები იყვნენ გამოხატული. ილუსტრირებული გაზეთები უხამსი ზუმრობებით იყო სავსე. ბავშვები და ქალები ყველაფერ ამას მშვილად უყურებდნენ. გამხდარმა, წითელთმიანმა ქალიშვილმა შეამჩნია, რომ კრისტოფი მიშტარებოდა და თვალი ჩაუკრა. კრისტოფი ვერ მიუხედა, ქალმა ხელი დაუჭირა და უტიფრად გაუღიმა. კრისტოფმა სწრაფად გაითავისუფლა მარჯვენა და ბრაზით ანთებული იქაობობას გასცილდა. კაფე-მანტანები ჩამწყრივებულ იყო. მათი კარებიდან გროტესკული აფიშები აჭყეტდა თვალებს. ბრბო სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. კრისტოფი გააოცა მანკიერ სახეთა სიმრავლემ. ირგვლივ სულ საექო მაწანწალები, დაგლახავებული მათხოვრები, შეაუღრუღლი და უხვად სუნამოკუტრებული ქალები დაძრწოდნენ. კრისტოფს აქ ყველაფერი ზიზღს ჰგვირდა. დაღლილობისა და სისუსტისაგან თავბრუ ეხვეოდა. კბილი კბილს დაჰკირა და ნაბიჯს უმატა. რაც უფრო უახლოვდებოდა სენას, ნისლი მით უფრო სქელდებოდა. ეტლების გრუხუნისაგან ყური ჰქონდა გასენილი. ამ ორომტრიალში ცხენს ფეხი დაუცურდა და დაეცა. მეეტლეს უნდოდა წამოეყენებინა და ცემა დაუწყო. საბრალო პირუტყვი! სადავე აღჩობდა; მაინც ცდილობდა წამოდგომას. თავს ძალას ატანდა, მაგრამ ისევ ეცემოდა და მკვდარივით გაუნძრევლად ეგდო. კრისტოფისათვის ეს ბანალური სცენა შეიქნა უკანასკნელი წვეთი, რომელმაც მოთმინების ფილა აუფსო. საბრალო პირუტყვის სასიკვდილო კრუნჩხვამ საშინელი სიცხადით დაანახვა საკუთარი არარაობა ათასობით ადამიანთა შორის და გულში დაგუბებული ზიზღი, რომელსაც ამ მტრულად განწყობილი სამყაროს, ადაშიანი-მხეცისა და ბინძური ატმოსფეროს მიმართ განიცდიდა, ერთბაშად ისე მოეძალა, რომ სული შეეხუთა და თვალთაგან ცრემლი გადმოსცივდა. გამვლელები გაოცებით აყოლებდნენ ოვალს ამ მაღალ, ბრვე ჰაბუკს, მწუხარებისაგან სახე რომ დაღმეკოდა. ფეხს აუჩქარა. მიდიოდა გამალებული, ცრემლები დაპალუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე და არ კი ფიქრობდა მათ შემწარალებას. გამვლელები ერთხანს გაოცებით უყურებდნენ, კრისტოფს რომ შეძლებოდა ამ ბრბოს სულში ჩაეხედა, იმ ხალხის სულში, მას რომ მტრად მიიჩნდა ზოგიერთის სახეზე თუმცა პარისული ირონიით შეზავებულ, მაგრამ ჭეშმარიტად ძმურ თანაგრძნობას ამოიკითხავდა. მაგრამ ვაი, რომ ველარაფერს ხედავდა: ცრემლებს დაებრმავებია.

რომელიდაც მოედანზე გავიდა, დიდი შადრევნის ახლოს. ხელები ჩაიბანა, წყალში ჩამალა სახე. გაზეთების გამოიდევლმა ბიჭუნამ ცნობისმოყვარეობით შემოხედა. ეს ახირებული ვინმეაო, გაიფიქრა უბოროტოდ და როცა კრისტოვს ქუდი დაუვარდა, დაიხარა და მიაწოდა. ყინულივით ცივმა წყალმა გამოაფხინლა ჭაბუკი. აზრი მოიკრიბა და უკან გამობრუნდა. ცდილობდა, არაფრისათვის ეცქირა; საკმელზე უკვე აღარ ფიქრობდა. არაფრით არ შეეძლო ვინმეს დალაპარაკებოდა. სულ მცირე მიზნოვით კმაროდა, რომ კვლავ დაპაღუპით წამოსვლოდა ცრემლები. გზა აერია. ერთხანს უაზროდ იხეციალა და მაშინლა მიაგნო თავის სახლს, როცა გადაწყვიტა, ნამდვილად დაეიკარგეო, — დავიწყნოდა იმ ქუჩის სახელი, სადაც ჩამოხტა.

თავის უბადრუკ ბინაში კრისტოფი უსმელ-უტემელი, გულდამძიმებული დაბრუნდა. თვალები ანთებოდა, ტანში ამტვრევდა. იქვე, ოთახის კუთხეში, მრცელილივით დაეშვა სკამზე. ორ საათს ისე იჯდა, განძრევის თავი აღარ ჰქონდა. ბოლოს, როგორც იქნა, სძლია ამ აპათიას, დაწვა და სიცხიან სიზმრებში ჩაიბინა. ყოველ წუთს იღვიძებდა; ეგონა, დიდხანს მძინავსო. ოთახში სულის შემხუთველი სუნი იდგა. იწვა თავით ფეხებამდე გათანგული და წყურვილი აღრჩობდა. საშინელი უაზრო კომმარები სტანჯავდნენ და არ ეშვებოდნენ მამინაც კი, როცა თვალები ჰქონდა გახელილი. მწარე ნალველი დანასავით უსერავდა სხეულს. შუალამისას გავლვიძა და ისეთმა სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, კინაღამ ბლავილი მორთო. ზეწარი ჩაიჩარა პირში, რომ მისი ხმა არავის გაეგონა. გრძნობდა, ცოტალა უკლდა გაგეყებას. საწოლზე წამოჯდა და შუქი აანთო, ოფლში ცურავდა. ადგა, ჩემოდანი გახსნა და ცხვირსახოცს დაუწყო ძებნა. შემთხვევით ხელში მოხვდა ძველი ბიბლია, დედამისის საცვლებს შორის რომ ჩაუღო. კრისტოფი იშვიათად კითხულობდა ამ წიგნს, მაგრამ მისმა ნახვამ ახლა ენით უთქმელი სიხარული მოჰგვარა. ეს ბიბლია მისი პაპისა და პაპის მამის ნაქონი იყო. წიგნს ბოლოში ცარიელი ფურცლები ჰქონდა და ოჯახის უფროსთ იქ ჩამოეწერათ თავიანთი სახელები და თავიანთი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი თარიღები: დაბადება, ქორწინების წელი, მახლობელთა სიკვდილი. პაპამისს მსხვილი, გაკრული ხელით ფანქრით აღენუსხა დღეები, როცა ამა თუ იმ თავის კითხვა დაასრულა. წიგნი საესე იყო პაწაწინა, შეყვითლებული ქაღალდებით, რომლებზედაც მოხუც მელქიორს თავის გულუბრყვილო აზრები გადაჰქონდა. მოხუცს ეს ბიბლია მუდამ სასთუმალთან, პატარა თაროზე ედო და გრძელ, უძილო ღამეებში კი არ კითხულობდა, ესაუბრებოდა. ამ წიგნმა სიკვდილამდე უმეგობრა მოხუცს, ისევე, როგორც მის მამასა და პაპას. მთელი საუკუნის მანძილზე რაც კი სიხარული და მწუხარება სწევდოდა ოჯახს, ყველაფერს იტევდა ეს წიგნი და კრისტოფი თავს ისე ობლად აღარ გრძნობდა მასთან.

აიღო წიგნი და ყველაზე უფრო სევდიან ადგილას გადაშალა:

აწ არა განსაძღვლი არს ცხოვრებაჲ კაცისაჲ ქუეყანასა ზედა
ვითარცა მორეწვისა მღვდერისაჲ ეჲმი მისი?..

ოღეს დაეწვი, ვთქუ: ოღეს-მე განთენეს? და აღ-რაჲ-ვდგი.
კუალად ვთქუ: ოღეს-მე იყოს მწუხრი? რამეთუ აღვივის საღმობი-
თა მწუხრითაგან განთიადამდე...

ვთქუ: ვითარმედ ნუგეშინის მცეს სარეცელმან ჩემმან და აღვი-
ხუნე თავით ჩემით თვსაგან სიტყუანი სასუენებელსა ზედა. მაიტინებ
მე ძილსა შინა და საჩუენებელითა მწყლავ მე...

ვიღრემდის არა დამიტევებ მე, არცა დამაცადებ მე? ვიღრემდე
შთაენთქნე ნერწყუნი ჩემნი საღმობით? უკეთუ გცოდე, რაჲ-მე
ძალ-მიც შენდა ყოფად, რომელმან-ეგე იტნი გონებანი კაცთანი?..

ამისათვის ვთქუ: კეთილი და ბოროტი წარწყმიდის რისხვამან
ღვთისამან.

უკეთუ მომკლას მე, მაინც დაეშთები მისდა მსასოებელ...

უგუნურთ არ ძალუძთ გაიგონ, თუ რა სიკეთე მოაქვს უბედურთათვის
უკიდევანო ნაღველს. ყოველივე სიდიადე კარგია და უდიდესი ნწუხარებაჲ
შეებას:თან გვაახლოებს. სულს მხოლოდ პატარა, უმნიშვნელო სიხარული და
მწუხარება ანგრევს და აძაბუნებს, სპობს საბოლოოდ. გვსპობს ეგოისტური
და წვრილმანი ტანჯვა, რომელსაც ძალა არ შესწევს, დაკარგული სიამე და-
გვავიწყოს და გულის სიღრმეში მუდამ მზადაა ყოველგვარი სიმდაბლისათ-
ვის, რომ ეს სიამე კვლავ მოიპოვოს. კრისტოფი გამოაფხიზლა მძაფრმა სუნმა,
წველი წიგნიდან რომ მოდიოდა. სინას მთებიდან, ვრცელ უდაბნოთაგან და
მალალი ზღვიდან მონაბერი ქარი გვიდა მიაზმებს. სიტყემ დაუწია. დაწვა,
დაწყნარდა და მეორე დღიამდე უშფოთველ ძილს მისცა თავი. თვალი რომ
გაახილა, უკვე გათენებულიყო. მიმოიხედა და კიდევ უფრო ნათლად დაინახა
თავისი ბუნაგის სიდუხჭირე. იგრძნო საკუთარი გაჭირვება და სიმარტოვე;
მაგრამ თამამად გაუსწორა თვალი ყველაფერს. სასოწარკვეთილებამ გაუარა.
დარჩა მხოლოდ ვაჟკაცური სევდა და კვლავ გაიმეორა იობის სიტყვები:

უკეთუ მომკლას მე, მაინც დაეშთები მისდა მსასოებელ.

აღდა და მშვიდად შეუღდა ბრძოლას.

კრისტოფმა გადაწყვიტა, იმ დღითვე შესდგომოდა საქმეს; პარიზში
მხოლოდ ორი ნაცნობი ჰყავდა: ორი ახალგაზრდა, მისი კუთხიდან რომ იყ-
ვნენ გადმოხვეწილნი. ერთი მისი სიყრბის მეგობარი ოტო ღინერი იყო;

იგი კომპანიონად ჰყავდა ბიძას, რომელიც შალის ქსოვილებით ვაჭრობდა მისი კვარტალში. მეორე პატარა მინცელი ებრაელი, სილვენ კონი გახლდათ. მასზე ამბობდნენ, პარიზის ერთ დიდ გამომცემლობაში მუშაობსო, მაგრამ კრისტოფმა არ იცოდა ამ გამომცემლობის მისამართი.

ოდესღაც, თოთხმეტი თუ თხუთმეტი წლის ბიჭი, მეგობრობდა ოტო დინერთან. მათ ის ბავშვური მეგობრობა აკავშირებდათ, წინ რომ უსწრებს სიყვარულს და თავდაც უკვე სიყვარულია. დინერსაც გულით უყვარდა კრისტოფი. ეს დინჩი და მოკრძალებული ბიჭი მოხიბლული იყო კრისტოფის დამოუკიდებლობითა და სასაცილო ის იყო, რომ რაც შეეძლო, ცდილობდა მისთვის მიეზაძა. კრისტოფს ეს აღიზიანებდა და თან სიამოვნებდა კიდევ. მაშინ ათასი გეგმა და მიზანი ჰქონდათ, ქვეყნიერების გადატრიალებას აპირებდნენ. მერე დინერმა იმოგზაურა, დაამთავრა კომერციული სასწავლებელი და მეგობრები აღარ შეხვედრიან ერთმანეთს. მის ამბებს კრისტოფი ნაცნობებისაგან გებულობდა, მათგან, ვისთანაც დინერს მიმოწერა ჰქონდა გამართული.

სილვენ კონისა და კრისტოფის დამოკიდებულება კი სულ სხვა იყო. ისინი სკოლის მერხიდან იცნობდნენ ერთმანეთს. ეს ცუდლუტი, პატარა მაიმუნი ვინ იცის, რა ოინს არ უწყობდა კრისტოფს. კრისტოფიც, თუ მიხვდებოდა, რომ მახე დაუგეს, ცემით უხდიდა სამაგიეროს. კონი თავს არ იცავდა. მაშინაც კი არ გამოიღებდა ხელს, როცა კრისტოფი ქვეშ მოიგდებდა და თავს ახლევიებდა მიწაზე. სლუკუნებდა მხოლოდ, ეს იყო და ეს. მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა და მეორე წუთში ისევ ახელებდა კრისტოფს. მარტო მაშინ შეშინდა, როცა კრისტოფი სერიოზულად დაემუქრა, მოკლავო.

კრისტოფი ადრინად გავიდა შინიდან. გზად კაფეში შეიარა და ისაუზნა. თავს ძალას ატანდა და თავმოყვარეობასაც არად აგდებდა. ცდილობდა შემთხვევა არ გაეშვა ხელიდან და სულ ფრანგულად ელაპარაკა. რაკი პარიზში უნდა ეცხოვრა და იქნებ მრავალ წელსაც, რაც შეიძლება ჩქარა უნდა შეჰკუთვნოდა გარემოს და ყოველგვარი ზიზლი გულში ჩაეკლა. ახლაც გადაწყვიტა, ყურადღება არ მიექცია მიმტანი ბიჭისათვის, მისი დამტკრეული ფრანგულის გაგონებაზე დამცინავად რომ ჩაიჭირჭილა, და თუმც ამის გამო საშინლად იტანჯებოდა, ნირმუუცვლელად ალაგებდა დამტკრეულ ფრაზეებს და მანამ იმეორა, სანამ არ გააგებინა.

ნასაუზმევს დინერის ძებნას შეუდგა. საერთოდ, თუ რაიმე აზრს ჩაიკედდა თავში, ირგვლივ ველარაფერს ამჩნევდა. ამ პირველი გასეირნებისას პარიზი ძველ და უსუფთაო ქალაქად ეჩვენა. კრისტოფი შეჩვეული იყო ახალი გერმანული იმპერიის ქალაქებს, ერთსა და იმავე დროს ძალიან ძველებიც რომ არიან და სულ ახლებიც. იქ იგოძნობოდა ახალი ძალის გამოღვიძება და მით გამოწვეული სიამაყე. აქ კი მის უსიამო გოაცებას სახლგარი არ ჰქონდა, როცა დაინახა გადათხრილი ქუჩები, აყრილი ტროტუარი, ეკიპაჟთა უწყსრიგო სროლა და ზღვა ხალხი, გამალებით რომ აწყდებოდა ერთიმეორეს. რა ჯურისა და რა

სახის ტრანსპორტს არ ნახავდით აქ: ძველი, ცხენიანი ომნიბუსებით დაწყებული და ორთქლის, ან ელექტრონის ტრამვაით გათავებული. ზედ ტროტუარზე ბალაგანი გაემართათ; იქვე ხის ცხენებიანი კარუსელი მოეწყოთ (თუმცა მრავალ ცხენები ჯოჯოებს უფრო ჰგავდნენ). მოედნები სერთუქებიან კაცთა ქანდაკებებით იყო სავსე; და ვინ მოთვლის, კიდევ რა სიდუხჭირე არ ნახა შუა საუკუნეების ქალაქისა, რომელიც საყოველთაო სიარჩევნო უფლებით კი სარგისლობს, მაგრამ ძველი, მთხოვრული ბუნება ვერ დაუძლევია. ნისლი გადაიწმინდა და გაწვიმდა. ცრიდა. დუქნებში გაზის ნათურები ენთო, თუმცა უკვე ათ საათზე მეტი იქნებოდა.

გამარჯვების მოედანს გარს უამრავი ქუჩა აკრავს. მის ლაბირინთებში დიდხანს იხეტიალა კრისტოფმა, სანამ დანიშნულ ადგილს მიაგნებდა და დიდ ბალახის იპოვიდა ბანკის ქუჩაზე. შესვლისას მოეჩვენა, რომ გრძელ, ჩაბნელებულ დუქნის ბოლოს თვით ოტო დინერს მოჰქრა თვალი, — თანამშრომლებში ჩამდგარიყო და ფუთებს ალაგებდა. მაგრამ კრისტოფი ცოტა ახლომხედველი იყო და თავს აღარ ენღო, თუმცა ალღო იმეოთად ღალატობდა. ოთანში მყოფთ დიდი შერბენ-გამორბენა აუტყდათ, როცა მან პირველსავე შემხედვარ ნოქარს თავისი ვინაობა უთხრა და დინერი მოიკითხა. ცოტა ხნის თათბირის შემდეგ ჯგუფს ერთი ახალგაზრდა გამოეყო და მოსულს გერმანულად უთხრა:

— ბატონი დინერი გასულია.

— დიდი ხნით?

— უთუოდ. ეს წუთია წავიდა.

კრისტოფი წამით ჩაფიქრდა: მერე — კეთილი, დაველოდებო, ჩაილაპარაკა.

გაოცებულმა ნოქარმა საჩქაროდ მოაყოლა:

— იცით, შეიძლება ორ-სამ საათს მაინც არ დაბრუნდეს...

— არა უშავს, — მშვიდად წარმოთქვა კრისტოფმა, — პარიზში მაინც არაფერი მაქვს გასაკეთებელი. შემიძლია, მთელ დღესაც ველოდო, თუ საჭირო იქნა.

ჭაბუკმა გაკვირვებით შეხედა; ეგონა, ხუმრობსო, მაგრამ კრისტოფს უკვე აღარც ახსოვდა მისი არსებობა: მშვიდად მიმდაროიყო კუთხეში, ქუჩისკენ ზურგშექცეული და ეტყობა, მართლაც არ აპირებდა ფეხის მოცვლას.

ნოქარი უკანვე შებრუნდა და ჩურჩულით რაღაც უთხრა თავისიანებს. დაბნეულები სასაცილოდ იდგნენ და იმის ბეობაში იყვნენ, თავიდან როგორ მოვიცილოთ ეს აბეზარი სტუმარიო.

რამდენიმე წუთის ყოყმანის შემდეგ კაბინეტის კარი გაიღო და ბატონი დინერი გამობრძანდა. მას ფართო, წითელი სახე ჰქონდა, გვერდზე გაყოფილი გადასლექილი თმა და ქერა უღვაშები. ლოყაა და ნიკაბზე იისფერი ნაიარევი აჩნდა. ოტო ახლა ოქროს ლორწეტს ატარებდა, პერანგის გულისპირზეც ოქროს ღილები გაეკეთებინა. კოტიტა, მსუქანი თითები ბეჭდებით ჰქონდა დამჭიმე-

ბული. წასასვლელად გამზადებულს ხელში ქოლგა და ქუდი ეჭირა. მსუბუქი ნაბიჯებით მოდიოდა კრისტოფისაკენ. კრისტოფი ოცნებაში იყო წასული და როცა დინერი წამოადგა თავს, გაოცებისაგან შეხტა. მერე ხელი დასტაცა მის ხელსა და ხმამაღლა, გულმხურვალედ მიესალმა. ამაზე იქ მყოფთ სიცილი აუტყდათ და დინერიც წამოწითლდა. აღარ უნდოდა კრისტოფთან უწინდელი დამოკიდებულება აღედგინა. გადაწყვიტა, მისთვის ჩვეული ქედნალობით თავიდანვე შორს დაეჭირა თავი ძველი მეგობრისაგან, მაგრამ როგორც კი დაინახა, რა თვალთ უმზერდა კრისტოფი, თავი ისევ პატარა ბიჭად იგრძნო მის წინაშე და შერცხვა; ბრაზი შემოენთო და სწრაფად წაიბუტბუტა:

— კაბინეტში მობრძანდით... იქ უკეთ მოვილაპარაკებთ.

კრისტოფს ენიშნა მისი ჩვეული სიფრთხილე.

ოთახში შევიდნენ. დინერმა კარი საგულდაგულოდ მიხურა, მაგრამ სტუმრისათვის სკამი არ შეუთავაზებია. თვითონაც ფეხზე იდგა და საქციელ-წამხდარი უხერხულად უხსნიდა:

— ძალიან გამიხარდა... უკვე მივიღოდი... ჩვენებს წასულიც ვეგონე... მაგვიანდება... ერთ წუთზე მეტს ვერ დავრჩები... სასწრაფო საქმე მაქვს.

კრისტოფი მიხვდა, ნოქარმა წელან მომატყუა და ეს დინერმაც კარგად ცოცხლა. მისი კარში გაგდება სურდათ. სისხლი აუეარდა თავში. მაგრამ არაფერი შეიმჩნია და დინერს მშვიდად უთხრა:

— მოესწრები.

დინერი კინალამ გაგიჟდა. ასეთმა თავხედობამ ალაშფოთა:

— როგორ თუ მოვესწრები?! სასწრაფო საქმეა...

კრისტოფმა თვალი თვალში გაუყარა:

— არა.

მსუქანმა კაცმა თვალეები დახარა. მას სძულდა კრისტოფი, რადგან თავი ლაჩრად იგრძნო მის წინაშე. გულმოსულმა რაღაც ჩაილულლულა, მაგრამ კრისტოფმა გააწყვეტინა:

— იცი რა...

(ეს შენობით ლაპარაკი გულს უკლავდა დინერს. პირველი სიტყვებიდანვე ამოღო ცდილობდა კრისტოფსა და საკუთარ თავს შორის „თქვენ“-ობის ბარიერი აღემართა).

— იცი, რატომ ვარ აქ?

— დიახ, ვიცი, — მიუგო დინერმა.

(მას ამხანაგებმა მოსწერეს, რა შფოთივც ატეხა კრისტოფმა. ისიც იცოდა, დასაჭერად რომ დასდევდნენ).

— მაშ, ისიც გეცოდინება, — განაგრძობდა კრისტოფი, — რომ გასართობად არ ჩამოვსულვარ. მაიძულეს, გამოვქცეულიყავი და ახლა არაფერი გამაჩნია, რომ თავი გავიტანო.

დინერი თხოვნას ელოდა და მიიღო კიდევ. ცოტათი კმაყოფილიც იყო.

(ეს საშუალებას აძლევდა თავისი უპირატესობა დაემტკიცებინა კრისტოფისათვის) და უზერხულადაც გრძნობდა თავს (რადგან ვერ ბედავდა ეს უპირატესობა ისე ეჩვენებინა მისთვის, როგორც სურდა).

— ჰო, — თქვა მდიდურად, — საწყენია, ძალიან საწყენია... პარიზში ძალიან ჭირს ცხოვრება. ყველაფერი ძვირია. ჩვენც უამრავი ხარჯი გვაქვს. ყველა ეს თანამშრომელი...

კრისტოფმა ზიზლით შეაწყვეტინა:

— მე ფულის სათხოვნელად არ მოვსულვარ.

დინერს დაბნეულობა დაეტყო. კრისტოფი კი განაგრძობდა:

— შენი საქმეები კარგად მიდის? მყიდველი ბევრი გყავთ?

— ჰო. მადლობა ღმერთს, არა უშავს... — თქვა ფრთხილად დინერმა.

კრისტოფმა ბრაზით შეხედა და განაგრძო:

— გერმანულ კოლონიაში ბევრი ნაცნობი გყავს?

— დიახ.

— კარგი იქნება, სიტყვას თუ შემაწევ; ჩვენებურებში მუსიკოსებიც იქნებიან. ბავშვები ეყოლებათ და იქნებ მუსიკის მასწავლებელი უნდოდეთ. დინერი უზერხულად შეიშმუშნა.

— რაო, რა მოხდა? — ჩაეკითხა კრისტოფი, — იქნებ ფიქრობ, რომ ცოდნა მაკლია და ამ ხელობისათვის არ გამოვდგები?

იგი ისე თხოულობდა შემწობას, თითქოს თავად სწყალობდა ვინმეს. თუკი დინერს ოდესმე რამე გაუეკეთებია კრისტოფისათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ ეამებოდა, დავალებული ჰყოლოდა იგი. ახლა კი მტკიცედ გადაწყვიტა, მისთვის თითოც არ გაეძრია.

— ცოდნა რომ უნდა, იმაზე ათასჯერ მეტიც გაქვს, მაგრამ...

— მაშ, რაღა ამბავია?

— ისა, რომ ძალიან გაჭირდება. ძალიან... შენი მდგომარეობის გამო.

— ჩემი მდგომარეობის?

— ჰო... მთელი ეს ამბავი, პროცენსი... რომ გაიგონ... ჩემთვის ძნელია; შეიძლება, დიდი უსიამოვნებაც შეგხვდეს.

იგი შეჩერდა, რადგან დაინახა, რომ კრისტოფს სიბრაზისაგან სახე ემლეზოდა. ბერე საჩქაროდ დაუმატა:

— ჩემზე არაფერს ვამბობ, მე არ მეშინია. მართო რომ ვიყო... ნაგრამ ბიძაჩემი?!.. სახლი მას ეკუთვნის და უმისოდ არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

კრისტოფს სახეზე ეტყობოდა, საცა იყო, იფეთქებდა. ამან კიდევ უფრო დააფრთხო დინერი და საჩქაროდ უთხრა (ბუნებით ბოროტი არ იყო და ახლა სინარბე და პატივმოყვარეობა ერთმანეთს ებრძოდა მასში: უნდოდა, მოემადლიერებინა კრისტოფი და იაფადაც გამოსულიყო):

— გინდა ორმოცდაათი ფრანკი მოგცე?

კრისტოფს ჰარხლისფერი დაედო. ისე წაეიდა დინერისაკენ, რომ საცო-

დავი სასწრაფოდ უკუიქცა, კარს მივარდა, გამოაღო და კინალამ საშველადაც მოუხმო ვინმეს, მაგრამ კრისტოფი იმას დასჯერდა, რომ სახეზე თითქმის მიადო თავისი ბრაზით ანთებული სახე და ხმამალა ჩასძახა:

— ღორო!

მერე ჩამოაცილა. მოსამსახურეთა შორის გზა გაიკვლია და გასვლისას ჩიღრბლზე ზიზლით გადააფურთხა.

ფართო ნაბიჯით მიდიოდა ქუჩაში. ბრაზით მთვრალი იყო. წვიმამ გამოაფხიზლა. საით წასულიყო? არ იცოდა. არც არავის იცნობდა. წიგნის მალაზიასთან შეჩერდა, იქნებ რაიმე მოვიფიქროო და უაზროდ დააყვერდა ვიტრინაში გამოფენილ წიგნებს. ერთ ყდაზე დაბეჭდილმა გამომცემლის გვარმა მიიპყრო მისი ყურადღება. გაუკვირდა, საიდან მახსოვსო და მერე მოაგონდა, რომ ეს იმ განომცემლის გვარი იყო, ვისთანაც სილვენ კონი მსახურობდა. მისამართი ჩააწერა. ნეტა რად უნდოდა? მისვლით არ მივიდიოდა... რატომ უნდა მიხულოყო? თუკი ეს ღორი დინერი, მისი მეგობარი, ასე მოექცა, რას უნდა მოელოდეს იმ მასხარა ბიჭისაგან, თვითონაც რომ უდიერად ეპყრობოდა და ვისაც ალბათ სძულდა? ტყუილუბრალოდ დაეცირებინა თავი? თავმოყვარეობა უშლიდა ხელს. მაგრამ თანდაყოლილი პესიმიზმი, ქრისტიანულმა აღზრდამ რომ განეპტკიცა, აიძულებდა ბოლომდე გამოეცადა აღამიანთა სულმდაბლობა და სისაძაგლე.

— გაბრანჭვის უფლება არ მაქვს. ყველაფერი უნდა ვიღონო, სანამ შიმშილით მოვკვდებოდე.

— შენ არ მოკვდები. — ჩასძახოდა შინაგანი ხმა.

ხელახლა შეამოწმა მისამართი და კონის საძებნელად გაეშურა. გადაწყვეტილი ჰქონდა, უმაღვე ცხვირ-პირი დაემტვრია მისთვის, თუკი ცოტა კადნიერებას შეამჩნევდა.

გამომცემლობა მადლენის კვარტალში მდებარეობდა. კრისტოფი მეორე სართულზე მოთავსებულ სალონში შევიდა და სილვენ კონი მოიკითხა. ფრაკში გამოწყობილმა მსახურმა უთხრა, ასეთს არავის ვიცნობო. გაოცებულმა კრისტოფმა იფიქრა, ფრანგულს რომ ვამტვრევ, ალბათ იმიტომ ვერ გავაგებინებო და გაუმეორა შეკითხვა. მსახურმა გულდასმით მოუსმინა და გაუმეორა — ასეთი არავინააო ჩვენს დაწესებულებაში. მთლად დაბნეულმა კრისტოფმა ბოდიში მოიხადა და ნირწამხდარი ის იყო, გამობრუნებას აპირებდა, რომ დერეფნის ბოლოს კარი გაიღო და დაინახა სილვენ კონი, რომელიც ვიდაც ქალს მოაცილებდა. მას შემდეგ, რაც დინერთან გადახდა თავს, მყისვე იფიქრა, აქაც დამცინიანო: კონმა უთუოდ შემოსვლისთანავე დამინანა და მსახურს უბრძანა, უთხარით, აქ არ არისო. სულა შეუგუბდა. განრისხებული უკან წამოსვლას აპირებდა, როცა დაუძახეს. კონმა თავისი გამკრიახი თვალებით

წორიდანვე იცნო კრისტოფი და სახეგაბადრული გამოჩნდა მის შესაგებებლად.

სილვენ კონი პატარა ტანის, მორგვევით კაცი იყო. კუპრივით შავი თმა ჰქონდა; წითელი სახე ამერიკელივით პირწმინდად გაეპარსნა. ქონი მორეოდა სახეზე, ნაკვთებიც მსხვილი და უხეში ჰქონდა. წვრილი, მოჭუტული თვალები აქეთ-იქით გაუბრუნდა. მოღრეცილ ტუჩებზე ცბიერი, დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა. ტანთ მოხდენილად ეცვა; ტანსაცმელი ისე შეეკერა, რომ მახინჯი ტანი — ვიწრო, მოღუნული მხრები და განიერი თეძოები არ უჩანდა. ერთადერთი გარეგნობა იყო, რაც ულახავდა თავმოყვარეობას; სიამოვნებით ამოარტყმევინებდა პანდურს ყოველდღე, ოღონდ ორი-სამი გოჯით უფრო მაღალი ყოფილიყო და უკეთესი ტანი ჰქონოდა. სხვაფრივ ერთობ მადლიერი იყო საკუთარი თავისა. ფიქრობდა, ჩემს ეშხს ვერაფერს გაუძლებსო, და ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ მართლაც ბევრს ხიბლავდა. ეს პატარა გერმანელი ებრაელი, დონდლო კაცი, პარიზულ მოდათა მეისტორიედ და არბიტრად გამხდარიყო და რთულ-ნათიფი სტილით უგემურ ნარკვევებს წერდა მაღალი საზოგადოების ცხოვრებაზე. ტოლი არ ჰყავდა ფრანგულ სტილში, ფრანგულ ელევანტურობაში, ფრანგულ გალანტურობაში, ფრანგულ გონებაშახვილობაში. რეგენტობის ხანას, წითელქუსლიანებსა და ლოზენს ბაძავდა. დასცინოდნენ, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს მის წარმატებას. მას, ვინც ამტკიცებს, პარიზში დაცინვა კლავსო ადამიანს, პარიზი ვერ უცვნია. სიყვდილი კი არა და, ბევრს ამითაც კი უდგას სული; პარიზში დაცინვას ბევრი რამ შეუძლია. ის დიდებასა და სახელს ახვეჭინებს, ხშირად ქალების გულსაც უნადირებს ადამიანს. სილვენ კონსაც უკვე სათვალავი ჰქონდა არეული, ღღეში იმდენჯერ უხსნიდნენ სიყვარულს მისი ფრანკფურტული მანკვა-გრეხით ნოხიბლული ზანოვნები.

კონს საშინელი აქცენტი ჰქონდა და ქალივით წვრილი ხმით ლაპარაკობდა:

— ო, რა სიურპრიზია, — გაჰკიოდა გახარებული, მსხვილი, კოტიტა თითები, სიმსუქნისაგან კანი რომ ზედ ასკდებოდა, მაგრად ჩაფრენოდა კრისტოფის ხელს და რაც ქალი და ღონე ჰქონდა, ანჯღრევდა, ვერაფრით ვერ გადაეწყვიტა სელის გაშვება. იტყოდით, საუკეთესო მეგობარს შეხვდაო. განცვიფრებული კრისტოფი თავს ეკითხებოდა, ხომ არ დამცინისო, მაგრამ კონი არ დასცინოდა, და თუ დასცინოდა, ჩვეულებრივზე მეტად არა. გულღვარძლიანი კაცი არ გახლდათ, ერთობ ჭკვიანი იყო და ამას არ იკადრებდა. უკვე რახანია, დავიწყებული ჰქონდა კრისტოფის ცული მოპყრობა და რომც ხსომებოდა, არაფრად ჩააგდებდა. აღფრთოვანებული იყო, რომ შემთხვევა მიეცა თავის ახლანდელი მაღალი მღვდოპარეობითა და ნათიფი პარიზული მანერებით სიყრმის მეგობრობისათვის თავი მოეწონებინა. იგი არ ტყუოდა, როცა ამბობდა, რა სიურპრიზიაო, ქვეყნად ყველაზე ნაკლებად მართლაც კრისტოფის სტუმრობას მოელოდა; ერთობ საზრიანი იყო და არ შეიძლება, წინასწარვე არ სცოდნოდა, რომ კრის-

ტოფი სარგებელს გამოელოდა მისგან და მაინც მოხარული იყო მისი ნახვისა. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სტუმრობა მისი ძლევაშემოსილების აღიარებას უდრდა.

— პირდაპირ გერმანიიდან მოდიხარ? დედა როგორაა? — ეკითხებოდა ისეთი შინაურული ტონით, რომელიც სხვა დროს კიდევაც შეუარაცხყოფდა კრისტოფს, მაგრამ აქ, ამ უცხო ქალაქში, მის გულს მალამოსავით ეცხებოდა.

— კი მაგრამ, — ჰკითხა კრისტოფმა, რომელსაც საბოლოოდ ჭერ კიდევ არ გაფანტოდა ეჭვი, — რატომ მითხრეს, ბატონი კონი აქ არ არისო?

— ბატონი კონი მართლაც არ არის აქ, — უთხრა სიცილით კონმა, — მე კონი აღარ მქვია. მე ახლა ჰამილტონი ვარ.

უცებ შუაზე გაწყვიტა სიტყვა:

— მაპატიეთ, — ჩაილაპარაკა, გაიქცა და ხელი ჩამოართვა ქალს, გვერდით რომ ჩაუარა მათ. ღიმილით მიელაქუცა ბანოვანს, მერე გამობრუნდა და კრისტოფს აუხსნა: ეს მწერალი ქალია, მისი რომანები უცხო ვნებათღელვითააა ცნობილი.

თანამედროვე საფოს მკერდს იისფერი ორდენის ლენტის უმშვენებდა. ფაშფაში ქალი იყო; ღია ყვითელი ფერის თმა ჰქონდა. ნეტარი ღიმილი დასთამაშებდა უმარილგადასმულ სახეზე. მამაკაცური, როხროხა ხმით თავმომწონედ ჰყვებოდა რალაც ამბებს და ფრანშ-კონტეს კილოზე ლაპარაკობდა.

კონმა ყველა ნაცნობ-მეზობლები მოიკითხა: ესა და ეს როგორ არის, ან იმათ რა მოუვიდათო. თან თავს აწონებდა, აი ხომ ხედავ, არაფერ დაამეფწყებიაო. კრისტოფს ძველი მტრობა აღარ ახსოვდა და მადლიერებით აღსაცხე გულლიად პასუხობდა. უამბობდა უამრავ წვრილმანს, რაც კონს სულაც არ აინტერესებდა. ამიტომაც იყო, რომ გააწყვეტინა: მაპატიეთო, ისევ მოუბოდიშა და ახლა მეორე ბანოვანთან მიიჭრა გამარჯობის სათქმელად.

— ოჰო! — გაოცდა კრისტოფი, — განა საფრანგეთში ქალების მეტი არაგინა წერს?

კონს გაეცინა და ეშმაკური ღიმილით უთხრა:

— საფრანგეთი ქალია, ჩემო კარგო. თუ გსურს რაიმეს მიიღწიო, ისარგებლე ამით.

კრისტოფმა ყური აღარ ათხოვა შემდგომ ახსნა-განმარტებასა და ისევ თავისას მოჰყვა. კონს მობეზრდა მისი ლაპარაკი და რომ შეეჩერებინა, ჰკითხა:

— კი მაგრამ, აქ საიდან გაჩნდით?

„აჰა, — გაიფიქრა კრისტოფმა. — არაფერი არ სცოდნია; იმიტომაც მიიღო ასე გულლიად. სულ სხვანაირად ამღერდება, როცა შეიტყობს“...

და თავის წმიდათაწმიდა მოვალეობად ჩათვალა, ყველაფერი დაუფარავად ეამბნა, რასაც შეეძლო მისი სახელისათვის ჩირქი მოეცხო. მოუყვა, ასე და ასე, ჭარისკაცებთან შეტაკება მომიხდაო: ისიც უთხრა, დაპერას მიპირებდნენ და იმიტომ გამოვიქეციო გერმანიიდან.

კონი გულიანად ხიჩხივდა.

— ყოჩად, მოძილოცავს! — გაჰკიოდა იგი, — შესანიშნავი ამბავია, — და თან ხელს მხურვალედ ართმევდა.

ახარებდა ყველა გამოხდომა მთავრობის წინააღმდეგ; კრისტოფის ნაამბობი კი მით უფრო ამხიარულებდა, რომ იცნობდა ამ შემთხვევის გამირებს და ამიტომაც ნათლად გრძნობდა, რა კომიკური ამბავიც მონხდარიყო.

— იცით რა, — მიუბრუნდა კრისტოფს. — შუადღე გადასულია უკვე; ძალიან გამიხარდება, თუ პატივს დამდებთ და ჩემთან ერთად ისაუბრებთ.

კრისტოფი სიამოვნებით დასთანხმდა. გულში ფიქრობდა:

„არა, ნამდვილად კარგი ადამიანია. ვცდებოდი თურმე“.

გამომცემლობიდან ერთად გამოვიდნენ. გზაში კრისტოფმა თავისი სათხოვარი შეაპარა სილვენს:

— თქვენ უკვე იცით, რა დღეში ვარ. აქ სამუშაოს საძებნელად ჩამოვედი. მუსიკის გაკვეთილებით უნდა ვირჩინო თავი, სანამ გამიცნობდნენ. არ შეგიძლიათ, ვინმესთან რეკომენდაცია მომცეთ?

— როგორ არა! — შესძახა კონმა. — ვისთანაც გასურდეთ; მე აქ ყველას ვიცნობ, რამდენიც გინდათ, მიმსახურეთ.

ბედნიერა იყო, რომ შეეძლო კრისტოფისათვის თავისი ძლევა მოსილება ეჩვენებინა.

კრისტოფი მადლობად დაიღვარა; უზარმაზარი ტვირთი მოეშვა გულზე.

სუფრაზე ისე მადიანად ჭამდა, ორი დღის უსმელ-უჭმელი გეგონებოდათ. გულსაფარი გაეკეთებინა და დანით შეეჭყეოდა საჭმელს. კონი-ჰამილტონი თავზარდაცემული იყო მისი გაუმადლობითა და გლეხური მანერებით. გულს ისიც უკლავდა, რომ თანამეინახე ყურს არ უგდებდა და არც მოწიწებით ეკიდებოდა მის ნალაპარაკებს. კონს სურდა თავი მოეწონებინა ტრაბახით — ასეთი და ასეთი ნაცნობები მყავს, ქალებიც მეტრფიანო, მაგრამ ამაო იყო ყოველივე. კრისტოფი სულ არ უსმენდა. უბოდიშოდ ართმევდა სიტყვას. ლაპარაკის სადერღელი აშლოდა და მალე სულ გამიანაურდა. უსახლოვრდ მადლიერი იყო კონისა და ისე გულუბრყვილოდ ანდობდა მომავლის გეგმებს, თავიც კი შობებუზრა. კონს განსაკუთრებით ის აღიზიანებდა, რომ კრისტოფი წამდაუწუმ გულმხურვალედ ართმევდა ხელს მაგიდის ზემოთ და მაგრადაც უჭერდა. სულ გამოიყვანა მოთმინებიდან, როცა გერმანელების ჩვეულების თანახმად, მონდომა ჰიქის ჰიქაზე მიჯახუნება და შინ დარჩენილ თანამემამულეთა და Vater Rhein-ის¹ სადიდებლად სანტიმენტალური სადღეგრძელოს შესმა დააპირა. თავზარდაცემული კონი ხედავდა, რომ კრისტოფი საცა იყო, სიმღერას წამოიწყებდა. მეზობლები მათ დაცინვით უცქერდნენ. კონმა მოიმიზეზა, სასწრაფო საქმე მაქვსო და წამოდგა. კრისტოფი მკლავზე ჩამოეკიდა: როდის მივალბე რეკომენდაციას, როდის გავიცნობ ვინმეს, ან გაკვეთილებს როდის მივცემო.

¹ Vater Rhein — შამა რაინი (გერმ.).

— დღეიდან უკვე ვიზრუნებ ამაზე. ამ საღამოსვე, — აღუთქვა კონმა. —
ახლავე მოველაპარაკები ვინმეს. დარდი ნუ გექნებათ.

კრისტოფი არ ცხრებოდა:

— მე როდის გავივებ?

— ხვალ... ხვალ, ან ზეგ.

— კარგი, ხვალვე შემოვივლი თქვენთან.

— არა, არა, — უთხრა საჩქაროდ კონმა, — ნუ შეწუხდებით. მე თვითონ
გაცნობებთ.

— რის შეწუხება. პირიქით! ჯერ ხომ პარიზში მაინც არაფერი მაქვს
გასაკეთებელი.

„ჯანდაბას“, — გაიფიქრა კონმა. ხმამალა კი უთხრა:

— ისა სჯობს, მოგწერთ. ამ დღეებში აქ არ ვიქნები. თქვენი მისამართი
მომეცით.

კრისტოფმა ჩააწერინა.

— ძალიან კარგი. ხვალვე მოგწერთ.

— ხვალვე?

— ხვალვე, დამერწმუნეთ. — დაიამედა კონმა.

მერე მარჯვენა გაითავისუფლა კრისტოფის ხელიდან და თავს უშველა.

უპ, ამას რას გადავეკიდებო, ფიქრობდა.

გამომცემლობაში რომ დაბრუნდა, მდივანი გააფრთხილა, როცა ის „გერმან-
ელი“ შოვა ჩემს საკითხავად, უთხარით, რომ აქ არა ვარო და ათი წუთის შემ-
დეგ სულ გადაავიწყდა კრისტოფის არსებობა.

კრისტოფი თავის ბუნავში დაბრუნდა. გულაჩუყებული იყო:

„რა კეთილი ყოფილა, — ფიქრობდა იგი, — რა უსამართლოდ ვექცეოდი,
მაგრამ სულაც არ არის ჩემზე გამწყრალი“.

სინდისი ქენჯნიდა და ისე შეაწუხა, რომ ლამის წერილიც კი მისწერა კონს.
ფიქრობდა ეთქვა, ვნანობ, თქვენზე ცუდი წარმოდგენისა რომ ვიყავი და თუ
რამ უსამოვნება მომიყენებია, მაპატიეთო. ცრემლით ვესებოდა თვალები:
მაგრამ მისთვის პარტიტურის დაწერა გაცილებით უფრო ადვილი იყო, ვიდრე
უბრალო წერილისა და როცა ოთხი თუ ხუთი ფურცელი დაჯღაბნა, გააფუჭა და
ერთი ათჯერ მაინც შეუუკურთხა მართლაც გადასაყრელ სასტუმროს კალამსა და
ბელანს, მოთმინება გამოეღია და წერილის დაწერაზე ხელი აიღო.

იმ დღის დაღამებას არ დაადგა საშველი, მაგრამ წუხანდელ უძინარს
სკამზე ჩამოეძინა. მხოლოდ საღამო ხანს გამოერკვა ბურანიდან, ლოგინში
გადაწვა და თორმეტ საათს მკვდარვით ეძინა.

მეორე დღეს, დილის რვა საათიდან დანაპირებ ბარათს დაუწყყო ლოდინ-
ი. კონის კეთილსინდისიერებაში ექვი არ ეპარებოდა. შინიდან ფეხი არ მოუ-
ცვლა, ეგონა, კონი გამომივლის სამსახურში წასვლამდე. შორს წასვლა არ

უნდოდა და საუბრე ქვევით რომ იაფფასიანი ღუქანი იყო, იქიდან ამოატანინა. მერე ისევ ხელახლა დაიწყო ლოდინი, დაჩუმუნებული იყო, კონა ნასადილევს მაინც შენოივლიდა. კრისტოფი ადგილს ვერ პოულობდა და უთავბოლოდ დაწრიალებდა ოთახში. ჯდებოდა. ისევ ჯდებოდა და როგორც კი კიბეზე ფეხის ხმას გაიგონებდა, მაშინვე აღებდა კარს. არავითარი სურვილი არ ჰქონდა პარიზში გასეირნებისა. დროის მოსაკლავად ლოგინში ჩაწვა. მისი ფიქრები გამუდმებით ქაღარა ღედას დასტრიალებდა. ალბათ ღედაც მასზე ფიქრობდა; ის ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც ფიქრობდა მასზე. კრისტოფს უსაზღვროდ უყვარდა მშობელი და რომ მიატოვა, სინდისი ქნჯნოდა. მაგრამ წერილს მაინც არ სწერდა; უნდოდა, ცოტა მოწყობილიყო და თავისი ამბები მერე მიეწერა. მიუხედავად ასეთი დიდი სიყვარულისა, არც ერთ მათგანს არ მოუვიდოდა აზრად, წერილი მარტო იმეტომ დაეწერათ, რომ ერთტყბათ, თუ რა ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი, თითქოსდა ფოსტა მხოლოდ საქმიანი ბარათებისთვის ყოფილიყოს გაჩენილი.

ლოგინში მწოლარემ ხელემა ამოიწყო თავქვეშ და ოცნებას მიეცა. მისი ოთახი თუმცა შორს იყო ქუჩიდან, მაგრამ ქალაქის ხმაური შიგ მაინც აღწევდა. სახლი ზრიალებდა. ისევ დაღამდა: დაღამდა ისე, რომ კრისტოფს წერილი არ მიუღია.

გათენდა. მაგრამ არც ამ დღეს მოუტანია რაიმე ახალი.

მესამე დღეს კრისტოფს მობეზრდა ეს ნებითი პატიმრობა და გარეთ გამოვიდა. მაგრამ პარიზი ჩამოსვლის დღიდანვე ზიზღს ჰგვრიდა და არაფრის ნახვა არ უნდოდა. ისე აწუხებდა საკუთარი ბედი, რომ ძალა არ შესწევდა, სხვების ცხოვრებისათვის ეცქირა. არ იტაცებდა ქალაქის არც წარსული, არც ისტორიული ძეგლები და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა თუ არა, ისე მოსწყინდა, რომ, თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდა, კონთან ერთ კვირას მაინც არ მისულიყო, პირდაპირ გამომცემლობაში მივიდა.

ბიჰმა, როგორც ნაბრძანები ჰქონდა, უთხრა, ბატონი ჰამილტონი პარიზში არ გახლავთ, საქმეებზეაო წასული. კრისტოფისათვის ეს უდიდესი დარტყმა იყო. ძლივს ამოიღულღულა, ბატონი ჰამილტონი როდის დაბრუნდებაო და ბიჰმაც ალაღბედზე მიუგო:

— დაახლოებით ათი დღის შემდეგ.

კრისტოფი სასოწარკვეთილი წამოვიდა. თავის ბუნაგში შეიკეტა და რამდენიმე დღე ცხვირი არ გამოუყვია გარეთ. მუშაობას გულს ვერ უღებდა. თავზარდაცემულმა შენიშნა, რომ ის მცირეოდენი დანაზოგიც — დედის მიერ გამოტანებული ფული — ცხვირსახოცში საგულდაგულოდ გამოკრული და ჩემოდნის კუთხეში გადამალული რომ ჰქონდა, საოცარი სისწრაფით ადნებოდა ხელში. თავს მკაცრი რეჟიმი დაუწესა. მარტო საღამო ხანს ჩადიოდა ღუქანში სასადილოდ. კლიენტებმა მაშინვე შენიშნეს და „ბრუსიელად“ მონათლეს. ზოგი „მკავე კომბოსტოსაც“ კი ეძახდა.

რას ვაი-ვაგლახით ორი თუ სამი წერილი მისწერა ფრანგ მუსიკოსებს, რომელთა სახელებიც ყურმოკვრით იცოდა. ერთი მათგანი უკვე ათი წლის მკვდარი იყო. კრისტოფი მათ უმორჩილესად სთხოვდა აუღიენციას. ნაწერი ორთოგრაფიული შეცდომებით იყო სავსე, სტილი — აღკაზმული გრძელი ინვერსიებითა და ცერემონიული ფორმულებით, რომლებიც ასე ჩვეულებრივია გერმანულში. კრისტოფი თხოვნას უგზავნიდა „საფრანგეთის მეცნიერების სასახლეს“. ერთადერთმა ადრესატმა, ვინც ეს წერილი წაიკითხა, ბევრი იცინა თავის ამხანაგებთან ერთად.

ერთი კვირის შემდეგ კრისტოფი ისევ მივიდა გამომცემლობაში. ამჯერად ბედმა გაუღიმა. პირდაპირ ზღურბლზე შეეჩეხა სილვენ კონს, რომელიც საღლაც გარბოდა. კონი დაიმაწკა; არ ესიამოვნა, რომ დაიჭირეს. მაგრამ კრისტოფი ისეთა ბედნიერი იყო მისი ნახვით, რომ ვერაფერი შეამჩნია. ხელები დაუჭირა კონსა და სახეგაბრწყინებულმა ჰკითხა:

— წასული იყავით? ხომ კარგად მოიარეთ?

კონი თავს უქნევდა, მაგრამ შუბლი მაინც არ გახსნია.

— იცით... მე ვიყავი თქვენთან... არ გითხრეს განა?... ახალი არაფერია? ელაპარაკეთ ვინმეს ჩემს შესახებ? რა თქვეს?

კონს სულ უფრო და უფრო ეღრუბლებოდა სახე. კრისტოფი გაოცებული იყო მისი ქედმაღლობით; სულ სხვა ადამიანი იღვა მის წინაშე.

— მივიკითხ-მოვიკითხე, — უთხრა კონმა, — მაგრამ დანამდვილებით ჯერ ვერაფერს გეტყვით. ვერ მოვიცალე. მას შემდეგ, რაც თქვენ შეგხვდით, უამრავი საქმე მქონდა. აღარც კი ვიცე, როგორ გვაჯრთვა თავი. ძალიან მიჭირს. ბოლოს იქნება ლოგინადაც ჩავვარდე.

— განა თავს ცუდადა გრძნობთ? — თანაგრძნობით ჰკითხა კრისტოფმა.

კონმა დაცინვით შეხედა და უთხრა:

— ძალიან. არ ვიცე, რა დამემართა. ეს რამდენიმე დღეა, ძალიან ვწუხ-ღები.

— ო, ღმერთო ჩემო! — შესაძახა კრისტოფმა და ხელში აიღო მისი ხელი, — თავს მიხედეთ! უნდა დისვენოთ. ძალიან ვწუხვარ, ზედმეტი საზრუნავი რომ გაეჩინეთ. თავიდანვე უნდა გეთქვათ ჩემთვის... მაინც რას უჩივით?

მ-ნ ისე სერიოზულად მიიღო კონის ნახიმანკლევი, რომ კონი გუნებაში სიცხლით კვდებოდა, მაგრამ ბოლოს კრისტოფის სასაცილო გულუბრყვილობამ ფარ-ხმალი დააყრევინა. დაცინვა ებრაელთა უსაყვარლესი გასართობია (და ბევრი პარიზელი ქრისტიანიც ებრაელია ამ საქმეში), ამიტომ ყველა აბეზარადამიანსა და თვით მტერსაც კი, ვინც მათ თავიანთ ხარჯზე გართობის საშუალებას მისცემს, ბევრს უთმენენ ხოლმე. ესეც არ იყოს, კონი არ შეიძლება არ მოეღობო იმ დიდ ყურადღებას, კრისტოფი მის პიროვნებას რომ ეკიდებოდა, და უცებ სურვილი დაებადა, დახმარება გაეწია სიყრმის ამხანაგისათვის.

— ერთი აზრი მომივიდა თავში, — უთხრა კრისტოფს, — სანამ მუსიკის

გაკვეთილებს იშოვიდეთ, მუსიკალურ გამომცემლობაში ხომ არ წაიმუშავებთ? კრისტოფი მყისვე დათანხმდა.

— იცით, — განაგრძობდა კონი, — მე კარგად ვიცნობ მუსიკალური გამომცემლობის ერთ მესვეურს, დანიელ ჰეხტს. მიგიყვანთ მასთან და თავად ნახავთ, რა იქნება გასაკეთებელი. მოგეხსენებათ, მე ამ საქმისა არაფერი გამეგება. ის კი ნამდვილი მუსიკოსია. სულ ადვილად გამოიხატავთ საერთო ენას.

შეთანხმდნენ, რომ მეორე დღეს შეხვედროდნენ ერთმანეთს. კონი კმაყოფილი იყო, რომ თავიდან მოიშორა კრისტოფი და თან მოიმადლიერა კიდევც.

მეორე დღეს კრისტოფმა კონს სამსახურში მიაკითხა; თან მისი რჩევით რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოებიც წაიღო, ჰეხტისათვის რომ ეჩვენებინა. ჰეხტი ოპერის გვერდით, თავის მუსიკალურ მღალაში დაუხვდათ. კრისტოფისა და კონის შესვლაზე არც განძრეულა: ცივად შეაგება ორი თითი კონის გამოწვდილ ხელს, კრისტოფის ცერემონიალურ სალამზე კი არც უპასუხა. ბოლოს დაჰყვა კონის თხოვნას და სტუმრებთან ერთად მეზობელ ოთახში გავიდა. იქ მოსულთათვის სკამიც არ შეუთავაზებია; თავადაც არ დამჯდარა, ზურგით მიეყრდნო ჩამქრალ ბუხარს და თვალები მოპირდაპირე კედელს გაუშტერა.

დანიელ ჰეხტი ორმოციოდე წლის ბრგე მამაკაცი იყო, ფაქიზად ჩაცმული, ცივი, უკარება. მასში აშკარად იგრძნობოდა სემიტური რასა. კვიციანური, მაგრამ არასასიამოვნო გამომეტყველება ჰქონდა. მუდამ წარბშეკრული დადიოდა. შავთმიანს წვერიც ასირიელი მეფეებივით გრძლად და ოთხკუთხედად მოეშვა. მოსაუბრეს სახეში არ შეხედავდა ხოლმე. ლაპარაკიც ისეთი ცივი და უქმეზი იცოდა, ადამიანს შეურაცხყოფდა მაშინაც კი, როცა გამარჯობას ეუბნებოდა. ეს მედიდურობა უფრო მოჩვენებითი იყო, ვიდრე ჭეშმარიტი. ცხადია, ამპარტავანი და დამცინავი ჰეხტი ხშირად ქედმაღლობდა, მაგრამ ამას ანგარიშმიუცემლად სჩადიოდა. ასეთი ტიპის ებრაელები იშვიათნი როდი არიან და ხალხიც არ ზოგავს მათ. ამპარტავნობად უთვლის ამ შეურაცხყოფელ უქმეზობას, რაც ხშირად სულისა და სხეულის განუკურნავი მოუხეშაობის ბრალია.

კონმა თავისი პროტექე წარუდგინა დანიელ ჰეხტს. თან პრეტენციოზულა ხუმრობის ტონით უზომო ჭება-დიდება შეასხა მის ტალანტს. ასეთი მიღებით გაწბილებული კრისტოფი უხერხულად იდგა ქუდითა და ხელნაწერებით ხელში და არ იცოდა, რა ექნა. კონი რომ ლაპარაკს მორჩა, ჰეხტმა, რომელსაც აქამდე თითქოს არც კი შეუნიშნავს კრისტოფის იქ ყოფნა, თავი ზიზლით შეატრიალა მისკენ და ისე, რომ არც კი შეუხვდავს, ჩაილაპარაკა:

— კრაფტი... კრისტოფ კრაფტი... ჩემს დღეში არ მსმენია ეს სახელი.

კრისტოფმა ისე მიიღო ეს სიტყვები, თითქოს შიგ გულში ჩასცხესო მუშტი. სისხლი მოაწვა სახეში და ბრანზმორეულმა უპასუხა:

— აწი გაიგონებთ.

ჰეტს წარბიც არ შეუხრია და თითქოს ბუზიც არ აფრენოდეს, კვლავ ნირ-
შეუცვლელად განაგრძობდა:

— კრაფტი? არა, არ გამიგია.

იგი ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, ვინც კაცს, თავად თუ არ იცნობენ,
ამას უკვე უდიდეს ნაკლად უთვლიან.

— მაშასადამე, რაინიდანა ხართ, არა? — განაგრძო ჰეტმა გერმანულად, —
პირდაპირ საოცარია, რამდენი ხალხი ეტანება იქ მუსიკას. მე მგონი, ერთიც კი
არ დაიძებნება, თავი მუსიკოსად რომ არ მოჰქონდეს.

ხუმრობა უნდოდა და სულაც არ აპირებდა კრისტოფის წყენას, მაგრამ
კრისტოფმა სხვანაირად გაუგო და საცაა შეეპასუხებოდა კიდევ, კონს რომ არ
შეეჩერებინა:

— ო, მაპატიეთ, — უთხრა მან დანიელ ჰეტს, — სიმართლეს ნუ წამარ-
იმევე: მე მუსიკისა არაფერი გამეგება და არც არაფერს ვიჩემებ.

— მით უკეთესი თქვენთვის, — მიუგო ჰეტმა.

— თუკი თქვენ არ მოგეწონებათ ის, ვინც მუსიკოსია, — იფეთქა კრისტოფ-
მა, — მაშინ ძალიან ვწუხვარ, მაგრამ მე არ გამოვადგებით.

ჰეტს ახლაც არ შეუხედავს მისთვის და ისევ აუშლვრეველად განაგრძობდა:

— ნეტა თუ დაგიწერიათ რამე? რა დაწერეთ? ალბათ, Lieder-ები! არა?

— Lieder-ები, ორი სიმფონია, სიმფონიური პოემები, რამდენიმე კვარტე-
ტი, საფორტეპიანო სუიტები და სასცენო მუსიკა, — უთხრა განრისხებულმა
კრისტოფმა.

— გერმანიაში ბევრს წერენ, — ჩაუთოო ჰეტმა ზიზღნარევი თავაზია-
ნობით.

მას ბევრი არაფერი სწამდა ამ ახლად მოსულისა, მითუმეტეს, რომ მას
ოურბე ამდენი რამ დაუწერია და ის კი, დანიელ ჰეტტი, არც ერთ მის ნაწარ-
მოებს არ იცნობდა.

— კეთილი, — თქვა ბოლოს, — რაკი ჩემმა მეგობარმა ჰამილტონმა გი-
შუამღვინდა, შეიძლება კიდევაც გამოგინახოთ სამუშაო. ამჟამად ვადგენო
კოლექციას „ახალგაზრდობის ბიბლიოთეკა“, სადაც ადვილად შესასრულებელი
მუსიკალური ნაწარმოებები შეგვაქვს. შეგიძლიათ შემანის „კარნავალი“¹ გა-
მარტივოთ და ოთხ, ექვს და რვა ხელს შეუწყოთ?

კრისტოფი შეაძრწუნა ამ წინადადებათ:

— და ამას მე... მე მთავაზობთ?!

ამ გულუბრყვილო „მე“-მ ალტაცებაში მოიყვანა სილვენ კონი. ჰეტმა შეუ-
არაცხყოფილი სახე მიიღო:

— რა გიკვირთ? ეს არცთუ ისე იოლი საქმეა. თუ ასე გეადვილებათ, მით უკე-

¹ შემანის „კარნავალი“ — შემანის საფორტეპიანო მინიატურების ციკლი, რომელიც XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში დაიწერა.

თესი! მერე სხვა საქმეც გამოჩნდება. თქვენ მეუბნებით, რომ კარგი მუსიკოსი ხართ. უნდა დაგიჯეროთ, მაგრამ რომ არ გიცნობთ? — უთხრა კრისტოფს. გუნებაში კი ფიქრობდა:

„ამ ვაჟბატონებს რომ ყური უგდო, თვით იოჰან ბრამსსაც ჭიბეში ჩაისვავენ“.

კრისტოფმა ხმა არ გასცა. დაფიცული ჰქონდა, არამც და არამც არ აპყლოდა გრძნობებს. ქული ჩამოიფხატა თავზე და კარისაკენ გასწია. კონმა სიცილით შეაჩერა:

— მოიცათ, მოიცათ-მეთქი, — და ისევ ჰეხტს მიუბრუნდა: — მან რამდენიმე ნაწარმოებიც მოიტანა, წარმოდგენა რომ იქონიოთ მის ნიჭზე...

— აა! — მოწყენით თქვა ჰეხტმა, — კეთილი, ვნახოთ.

კრისტოფმა უსიტყვოდ გაუწოდა ხელნაწერები. ჰეხტმა დაუღევრად გადაავლო თვალი.

— რა არის ეს? სიუიტა ფორტეპიანოსათვის, — კითხულობდა იგი, — „ღღე“... ა! სულ საპროგრამო მუსიკაა.

მიუხედავად მოჩვენებითი გულგრილობისა, დიდი გულისყურით კითხულობდა. ჩინებული მუსიკოსი იყო, თავისი საქმის ნამდვილი ტრფიალი და კაცმა რომ თქვას, არც არაფერი არსებობდა მისთვის მუსიკის გარდა. პირველი ტაქტებიდანვე იგრძნო, ვისთანაც ჰქონდა საქმე; ხმა არ ამოუღია, უსიტყვოდ ფურცლავდა ნაწარმოებს, ვითომდა ზიზლით, მაგრამ გაოცებული იყო იმ დიდი ტალანტით, ამ სიუიტაში რომ გამოსჭვივოდა. თუმცა ბუნებით ამპარტავანს კრისტოფის საქციელით შელახული თავმოყვარეობა ამის გამჟღავნების ნებას არ აძლევდა. ბოლომდე უსიტყვოდ ჩაიკითხა ნაწარმოები, ისე, რომ არც ერთი ნოტი არ გამოჩინებია.

— დიახ, — თქვა მფარველური ტონით, — საკნაოდ კარგადაა დაწერალი.

კრისტოფი ასე შეურაცხყოფილი მაშინაც კი არ დარჩებოდა, მისი ნაწარმოები რომ სასტიკად გაეკრიტიკებინათ:

— მე ამის დადასტურება არ მჭირდება, — შესძახა მოთმინებიდან გამოსულმა.

— მე კი მგონია, — მიუგო ჰეხტმა, — რაკი თქვენს ნაწერებს მაჩვენებდით, გასურდათ ჩემი აზრი მოგესმინათ.

— სრულიადაც არა.

— მაშინ, — წყენა დაეტყო ჰეხტს, — აღარ მესმის, რას მოითხოვთ ჩემგან?

— მე თქვენგან მარტო სამუშაოს ვთხოვლობ.

— ამჟამად გარდა იმისა, რაც გითხარით, სხვას ვერაფერს შემოგთავაზებთ. თან დანამდვილებითაც ვერ შეგპირდებით. გითხარით, შეიძლება დაგვეპირდეს-მეთქი.

— ესე იგი, თქვენ სხვა საქმეს ვერ გამოუნახავთ ჩემისთანა მუსიკოსს?

— თქვენისთანა მუსიკოსს? — გაიმეორა ჰეხტმა და ხმაში გულსაკლავი

ირონია გაურია, — თქვენზე ნაკლები არაფრით ყოფილან ის მუსიკოსები, ვინც ამ სამუშაოს შესრულებას არ თაკილობდნენ. ზოგიერთები კი... თუ გსურთ, მათ გვარებსაც გეტყვით, მათ ახლა მთელი პარიზი იცნობს, მადლობელიც კი მრჩებოდნენ.

— მაშ, ტუტუტუები ყოფილან, — მოუჭრა კრისტოფმა, — ძალიან ცდებით, თუ გგონიათ, რომ მათნაირ ვიგინდარასთან გაქვთ საქმე. გგონიათ, შთაბეჭდილებას მოახდენთ იმით, რომ სახეში არ მიყურებთ და კბილებში სტრით სიტყუებს? თქვენ ჩემს სალამზე პასუხის გაცემაც კი არ იკადრეთ, როცა შემოვედი. მერეღა თვითონ რას წარმოადგენთ, ასე რომ მექცევით? მუსიკოსი თუ ხართ მაინც?! ოდესმე თუ დაგოწრიათ რამე? და თქვენ ბედავთ მასწავლოთ მე, ვისთვისაც წერა მთელი სიცოცხლეა?! მას შემდეგ კი, რაც ჩემი ნაწარმოებები წაიკითხებთ, უკეთესს ვერაფერს მთავაზობთ, და მირჩევთ, რომ დიდი კომპოზიტორები დავასახიჩრო და მათ შედეგებზე რაღაც უხამსობანი შევექმნა გოგო-ბიჭების სათამაშოდ? ისევ თქვენს პარიზელებს მიმართეთ, თუკი ისეთი ლაჩრები არიან, რომ თქვენი დარიგებები მოისმინონ. მე კი ასეთ რამეს სიკვდილი მირჩევნია. — შეუძლებელი იყო ამ ნიაღვრის შეჩერება.

— თავისუფალი ბრძანდებით, — უთხრა ცივად ჰეხტმა.

კრისტოფი გავიდა და კარი გაიჭახუნა. ჰეხტმა მხრები აიჩეჩა და მიუბრუნდა სილვენ კონს, რომელიც გულიანად იცინოდა:

— დაბრუნდება; ისევე, როგორც სხვები დაბრუნებულან.

გულის სიღრმეში კი კრისტოფისადმი პატივისცემით განიშსუვალა. საკმარისი იყო და მარტო ნაწარმოებთა კი არა, აღამიანთა ფასიც კარგად იცოდა. კრისტოფის უეცარმა აფეთქებამ მას ისეთი ძალა დაანახვა, რაც ასე ხშირად როდო გვხვდება, მითუმეტეს არტისტულ წრეში. მაგრამ თავმოყვარეობა ჰქონდა შელახული და არაფრის გულისათვის არ აღიარებდა საკუთარ შეცდომას. გულით კი სურდა, საკადრისი მიეზლო კრისტოფის ნიჭისათვის, მაგრამ ამას მანამდე ვერ იქმნა, სანამ კრისტოფი მის წინაშე თავს არ დაიმცირებდა. დარწმუნებული იყო, რომ კრისტოფი თვითონ მივიდოდა მასთან. მწარე სკეპტიციზმმა და ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ დაანახვა, რომ გაჭირვება თვით უმტკიცეს ნებისყოფასაც ტეხს.

კრისტოფი შინ დაბრუნდა. ახლა უკვე განრისხებული კი არა, სასოწარკვეთილი იყო. ერთადერთი სუსტი დასაყრდენი, რომლის იმედიც ჰქონდა, გამოეცალა. ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ მარტო ჰეხტის სახით კი არ გაიჩინა მოსისხლე მტერი, სამუდამოდ გადაიკიდა სილვენ კონსიც, რომელმაც იგი ჰეხტთან მიიყვანა. ახლა მთლად მარტო იყო მტრულად განწყობილ ქალაქში. დინერისა და კონის მეტს აქ არავის იცნობდა. მისი მეგობარი კორინა, ლანაზი მსახიობი ქალი, კრისტოფმა გერმანიაში რომ გაიცნო, იმხანად პარიზში აღარ ცხოვრობდა. საზღვარგარეთ, ამერიკაში წასულიყო საგანტროლოდ, ამჟერად თავისი ხარჯით, რად-

გან უკვე სახელი მოეხვეჭა. გაზეთები ქებადიდებას ასხამდნენ მის ტალანტს. იყო ახალგაზრდა მასწავლებელი ქალიც, ვისაც კრისტოფმა მისდაუნებურად ადვილი დააკარგვინა და ვის გახსენებაზედაც დიდხანს სინდისი ქენჭინდა. რამდენჯერ ეფიქრია, პარიზში რომ ჩავალ, უეჭველად მოვიანახულებო, მაგრამ ახლა, როცა პარიზში მოხვდა, აღმოაჩინა, თურმე ამ ქალის გვარი დაეიწყებოდა და ვერც ვერაფრით მოეგონა, მხოლოდ სახელი — ანტუანეტა ახსოვდა და გვარი კიდევაც რომ გაეხსენებინა, განა ასე ადვილი იყო საბრალო მასწავლებელი ქალის პოვნა ამ უზარმაზარ ქალაქში, სადაც ხალხი ჭიანჭველებივით ირეოდა?

უწინარეს ყოვლისა, საარსებო წყარო უნდა ემოვა. კრისტოფს ჯიბეში ხუთი ფრანკილა შერჩა და თუმცა ძალიან კი გაუჭირდა, გადაწყვიტა მისი მასპინძლის — სქელი მეღვინისათვის ეკითხა, უბანში ხომ არ გვევლებათ ვინმე, ვისაც მუსიკის სწავლა უნდაო. სასტუმროს პატრონი ისედაც ამრეზით უყურებდა მოზინადრეს, რომელიც დღეში ერთხელ ჭამდა და გერმანულად ლაპარაკობდა; ახლა კი, როცა შეიტყო, კრისტოფი ერთი საწყალი მუსიკოსი ყოფილაო, მისდამი ყოველგვარი პატივისცემა დაეკარგა. ის ძველი ყაიდის ფრანგი იყო, დარწმუნებული, რომ მუსიკა უსაქმურთა ხელობაა და დამცინავად ჩაილაპარაკა:

— მუსიკის სწავლაო? მაშ, თქვენც უტყაპუნებთ?! მომილოცავს!.. ვასაოცარია, რომ ხალხი თავისი ნებით ირჩევს ამ პროფესიას. მე კი ყველანაირი მუსიკა წვიმის ხმას მაგონებს. თქვენგან ხომ არ მესწავლა? ჰა, რას იტყვიან ამაზე? — მიუბრუნდა იგი მუშებს, რომლებიც იქვე, კუთხეში ისხდნენ და სევამდნენ.

მუშებმა ხმაძალა გადაიხარხარეს:

— კარგი ხელობაა, — თქვა ერთმა, — ხელის გასვრა არ გჭირდება. თან ქალებსაც მოსწონთ.

კრისტოფს ცუდად ესმოდა ფრანგული; დაცინვა კიდევ უფრო უარესად. სადასუხო სიტყვებიც ვერ იპოვა და ვერც კი გაიგო, გაბრაზება მართებდა თუ არა. ბოლოს მეღვინის ცოლს შეებრაღა იგი და ქმარს შეუტია:

— ფილიპ, გეყოფა; ნულა ხუმრობ, — უთხრა თავის მეუღლეს და ახლა კრისტოფს მიუბრუნდა: — შეიძლება მართლაც გამოვიანახოთ ვინმე.

— ვინ? — ჰკითხა ქმარმა.

— პატარა გრასე; მშობლებმა მას ხომ პიანინო უყიდეს.

— ის მეტიჩრები? შენ მართალი ხარ.

კრისტოფს აუხსნეს, რომ ლაპარაკი იყო ყასბის ქალზე. მშობლებს უნდოდათ, იგი ქალბატონივით აღეზარდათ და მასწავლებლსაც უჭირავებდნენ, თუნდაც მართო იმისათვის, რომ ხალხი აელაპარაკებინათ. მეპატრონის ცოლმა აღუთქვა კრისტოფს, ამ საქმეს მე მოგიგვარებთო.

მეორე დღესვე მოიბრინა და უთხრა, ყასბის ცოლს თქვენი ნახვა უნდაო. კრისტოფი მაშინვე ეახლა. დიასახლისი დანლთან იდგა, დაკლულ საქონელს შორის. ამ ტკბილად მომღიმარე, ლამაზმა ქალმა, სახე წითლად რომ უღვიოდა, წყისვე ქელმალური იერი მიიღო, როცა კრისტოფის მისვლის მიზეზი შეიტყო

და მაშინვე გასამრჩელოზე ჩამოუგდო სიტყვა. თან აგრძნობინა, ფულის ფანტ-ვას სულაც არ ვაპირებთო: „პიანინო საუცხოო რამაა, მაგრამ არა აუცილებელიო“, — და სათში ერთ ფრანკს დაჰპირდა. მერე ცოტა არ იყო, უნდობლად ჰკითხა, კარგად მაინც თუ გესმითო მუსიკა და როდესაც კრისტოფმა მიუგო, აბამც თუ მესმის, კიდევაც ვწერო, დამშვიდდა და როგორღაც უფრო დაუტყბა კრისტოფს. მისი თავმოყვარეობა დაკმაყოფილებული იყო: რა სიამოვნებით დააჩრევდა ხმას მეზობლებში, ჩემი შვილი დაკვრას ერთ კომპოზიტორთან სწავლობსო.

მეორე დღეს, როცა კრისტოფი გაკვეთილზე მივიდა და ნახა პიანინო, შემთხვევით ნაყიდი აშლილი ინსტრუმენტი, გიტარასავით რომ ჟღარუნებდა და გვერდით ყაბის პატარა ქალი მოისვა, რომელიც თავიდანვე ცხვირწინ უმთქნარებდა კრისტოფს, მოწყენილობისაგან ცმუკავდა, კოტიტა თითებს უაზროდ უტყაპუნებდა კლავიშებს და უნარი არ შესწევდა ერთი ნოტი მეორისაგან გაერჩია, როცა დედის მეთვალყურეობის ქვეშ მოხვდა და იძულებული შეიქნა მოესმინა მისი აზრები მუსიკასა და მუსიკალურ განათლებაზე, თავი ისე უბედურად, ისე უწყალოდ დამცირებულად იგრძნო, რომ აღშფოთების თავიც აღარ ჰქონდა. შინ გალახულივით ბრუნდებოდა. საღამოობით ჭამის თავიც აღარ ჰქონდა. რამდენიმე კვირაში თუ ასე დაეცა, მერე რაღას უნდა მოელოდეს? ან რად იუკადრისა ჰეხტის წინადადება? განა ის, რაზედაც დათანხმდა, გაცილებით უფრო დამამცირებელი არ იყო?

ერთ საღამოს თავის ოთახში ცრემლი ვეღარ შეიმაგრა და ტირილი მორთო. სასწრაფო კვეთილმა მუხლი ნოიყარა საწოლის წინ და ლოცვა დაიწყო. ვინ ჰყავდა სალოცავი? ვის ევედრებოდა? ღმერთი არ სწამდა; დაჩუმებული იყო, რომ არ არსებობდა... და მაინც ლოცვა სწყუროდა: თავსა ზედა ლოცვა. მხოლოდ უბადრუკი სულები არ ლოცულობენ არასოდეს. მათთვის უტყნო მოთხოვნილება, რომელიც სულით ძლიერთ აიძულებს, მიაშურონ თავიანთ საკურთხევებს, მთელი დღის დამცირებისა და ტანჯვის შემდეგ მისივე გულის აჩქამებულ სიჩუმეში კრისტოფმა იგრძნო მ ა რ ა დ უ კ ე დ ა ვ ი ს უ ლ ი ს გარდმოფენა. ცხოვრების მღვრიე ტალღები მიირხეოდნენ სადღაც მის ქვემოთ და დუხჭირ ცხოვრებას მ ა ს თ ა ნ არაფერი ჰქონდა საერთო. სამყაროს ყველა ტკივილი, ნგრევის წყურვილით ატანილი, ეხეთქებოდა და იფშვებოდა ამ პიტალოზე. კრისტოფს აშკარად ესმოდა საკუთარი ძარღვების ფეთქვა, როგორც შინაგანი ზღვის ხმაური და ხმა, რომელიც მიწყვივ ჩასძახოდა:

— ცხოველ!... მე ვარ ცხოველ... უკუნისი უკუნისამდე...

კრისტოფი კარგად იცნობდა ამ ხმას: რაც თავი ახსოვდა, იგი მუდამ სმენია. ზოგჯერ ავიწყდებოდა კიდევ და თვეების განმავლობაში მის ძლიერსა და მონოტონურ რიტმს ვეღარ გრძნობდა, მაგრამ იცოდა, რომ ხმა აქვე იყო და ირასოდეს არ დაშვრებოდა, არ დაშვრებოდა როგორც ოკეანე, ბნელში რომ ხმაურობს. ახლაც ისევე, როგორც ყოველთვის, როცა მის ჩქერებში გადაეშვებოდა, კრის-

ტოფს მღელვარება დაუცხრო, ძალ-ღონე შემატა ამ მუსიკამ. დამშვიდებულა წამოდგა ფეხზე. არა, მის ზომიერ ცხოვრებაში არაფერი იყო სანაარცხივინო. შექ-
ლო თამამად ექამა პური. სირცხვილი იმათ, ვინც მშიერს ლუქმას ამ ფასად მა-
უბყრობს. უნდა მოვითმინო, ჩემი დროც დადგება!

მაგრამ მეორე დღეს მოთმინება კვლავ ღალატობდა და თუმც გულით უნ-
დოდა თავი შეეკავებინა, როცა გაკვეთილზე პირისპირ აღმოჩნდა პატარა იდიოტ-
თან, რომელიც თავხედურად დასცინოდა მის გერმანულ აქცენტს და მაიმუნური
სიჯიუტით ჯიბრზე აკეთებდა იმის საწინააღმდეგოს, რასაც მასწავლებელი მოი-
თხოვდა, კრისტოფი მაინც აიტანა ბრახმა და გოგონას მაგრად შეუყვია. კრის-
ტოფის ყვირილზე გოგონამ ბლავილი მორთო, თავზარდაცემულმა და შეურაცხ-
ყოფილმა იმით, რომ კაცი, რომელსაც ფულს უხდიდნენ, სათანადო მოწიწებით
არ ეპყრობოდა, დაიძახა, მასწავლებელმა მცემო (კრისტოფმა მართლაც საკმაოდ
უხემად მოქაჩა მკლავზე). დედა მოვარდა აღქაჯივით, კოცნა და კოცნა თავისი
ქალიშვილი, კრისტოფს კი საყვედურები დააყარა. ყასაბამე მოიბრინა და განა-
ცხადა: მე ვერ მოვითმენ, რომ ვილაც მაწანწალა პრუსიელმა ხელი შეახოსო
ჩემს გოგონას. მრისხანებისაგან ფერდაკარგულ და დარცხვენილ კრისტოფს შეე-
შინდა, ვაითუ თავი ვედარ შევიკავო და მივადრჩო დედაც, მამაც, შვილიცო და
კოკისპირულ წვიმაში თავს უშველა. სახლის პატრონებმა რა ნახეს, კრისტოფი
ძალზე აღელვებული იყო, მაშინვე დააფქვევინეს ყველაფერი, მეზობლის სახლ-
ში მომხდარი აყალმაყალის გამო დიდად გაიხარეს, მაგრამ საღამოს უკვე მთელი
უბანი ლაპარაკობდა, გერმანელი ნამდვილი მხეცია და ბავშვებს სცემსო.

კრისტოფმა რამდენჯერმე კიდევ მიმართა მუსიკალურ გამოცემლებს, მაგ-
რამ უშედეგოდ; ფრანგები მაინცდამაინც სტუმართმოყვარენი ვერ გამოდგნენ
მათმა უთავბოლო ფუსფუსმა ხომ მთლად თავგზა აუბნია. ასე ეგონა, ანარქიულ
საზოგადოებაში მოვხვდი, რომელსაც ამპარტავანი და დესპოტი ბიუროკრატე-
ბი განაგებენო.

ერთ საღამოს, როცა უნაყოფო ძიებით გულგატეხილი ბულვარში დაეხე-
ტებოდა, მისკენ ნომავალ სილვენ კონს მოჰქრა თვალი. კრისტოფი დარწმუნე-
ბული იყო, ერთმანეთს ვემდურითო, თვალი აარიდა და შეეცადა შეუმჩნეველად
გაეელო, მაგრამ კონმა დაუძახა:

— იმ ღირსსახსოვარი დღის შემდეგ სად დაიკარგეთ? — ჰკითხა სიცი-
ლით, — მინდოდა თქვენთან მოსვლა, მაგრამ მისამართი დამეკარგა. ღმერთმანი,
არ ვიცი, თუ ასეთი იყავით; იმ დღეს გამოცეთ.

კრისტოფმა გაკვირვებითა და დარცხვენით შეხედა:

— მაშ, გაბრაზებული არ ხართ ჩემზე?

— გაბრაზებულიო?! აბა ეს რა გიფიქრიათ?

გაბრაზებული კი არა და, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც

კრისტოფმა ისეთნაირად შეუტია ჰეხტს. ღროც მშვენიერი გაატარა მაშინ. მისთვის აბსოლუტურად სულერთი იყო, ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი — ჰეხტი თუ კრისტოფი. ის ხალხი მოსწონდა, ვინც უფრო მეტად გააცინებდა. კრისტოფში დაუშრეტელი წყარო იპოვა ამ მხრივ და გადაწყვიტა, ხელიდან აღარ გაეშვა იგი.

— რად არ მოხვედით ჩემთან? — განაგრძობდა იგი, — გელოდით. ამდამ რას აკეთებთ? სადილად გვაპტიებებით. არსადაც არ გავიშვებთ. შინაურები იქნებიან: სულ ხელოვნების ხალხი. თვეში ორჯერ ვიკრიბებით ხოლმე. ხელოვნების ხალხს უნდა იცნობდეთ. წამოდით და ყველას გაგაცნობთ.

კრისტოფი ბოღიშობდა, ჩაუცმელი ვარო, მაგრამ არაფერი გაუვიდა; კონმა ძალით წაიყვანა იგი.

ბულვარის რომელიღაც რესტორანში შევიდნენ, მეორე სართულის კიბეს აჰყენენ და კრისტოფი ოცი-ოცდათხუთმეტი წლის ოცდაათამდე ახალგაზრდას შორის აღმოჩნდა, რომლებიც გაცხოველებით კამათობდნენ. კონმა მათ კრისტოფი გააცნო, როგორც გერმანიის ციხეებიდან გამოქცეული პატიმარი. მაგრამ დამხედურებს არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ კრისტოფისათვის და არც გაცხოველებული საუბარი შეუწყვიტიათ. კონი მოსვლისთანავე ჩაება მსალათში.

რაკი ამ რჩეულ საზოგადოებაში მოხვდა, კრისტოფმა დაიმორცხვა, ხმას არ იღებდა და მთლად ყურთასმენად იყო ქცეული. მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მიჰყვა ფრანგების ენაწყლიან მეტყველებას და ვერ გაარჩია, სახელობრ რა არტიკულურ ინტერესებზე კამათობდნენ. ტყუილად უსმენდა. მის ყურს სწვდებოდა მხოლოდ შემდეგი სიტყვები: „ტრესტი“, „შესყიდვა“, „ფასის დაცემა“, „შემოსავალი“ და შიგადაშიგ: „მწერლის უფლებები“ და „ხელოვნების ღირსება“. ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდა, რომ კომერციულ საქმეებზე მსჯელობდნენ. მთელ რიგ ავტორებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ერთ ფინანსურ საზოგადოებას ეკუთვნოდნენ, საშინლად აღშფოთებდათ ის გარემოება, რომ მიეთ-მოეთები ახალი, მეტოქე საზოგადოების დაარსებას ლამობდნენ. ეს დაწყებულება მათ განაოცემის მონოპოლიურ უფლებას წაართმევდა. ამიტომ განსაკუთრებით დიდ აღშფოთებას გამოთქვამდნენ იმ ავტორთა მიმართ, ვინც პირადი გამორჩენის მიზნით განუღდა თავისიანებს და საომარი აღჭურვილობით მტრის ბანაკში გადავიდა. ამ გამყიდველთათვის თავის მოკვეთაც ცოტააო, გაჰყვიროდნენ და წამდაუწუმ გაისმოდა სიტყვები: „დაცემა... დალატი... განდგომა“...

დანარჩენები არას ერჩოდნენ ცოცხლებს; სამაგიეროდ, მკედრებზე მიჰქონდათ იერიში. რადგან გარდაცვლილ მწერალთა ნაწარმოებებს, რომელთა გადაბეჭდვაც გამოცემლებს არაფერი უჯდებოდათ, მთელი ბაზარი ჰქონდა დაპყრობილი. მიუხედავად იმისა, რომ უკვე საზოგადოების კუთვნილება გამსდარაიყო და, როგორც ჩანს, შესანიშნავადაც საღებოდა. აქაური ლიტერატორები კი მოითხოვდნენ ხელისუფალთა ენერგიულ ჩარევას, რათა მაღალი ფასი დასდებოდა

წარსულის შედევრებს, აღვეთილიყო მათი იაფ ფასებში გავრცელება, რაც ყველას აზრით, თანამედროვეთა მიმართ უკანონო კონკურენცია იყო.

ბოლოს ყველანი გაჩუბდნენ, რათა გაეგოთ, თუ რა შემოსავალი ხვდა წილად ამა თუ იმ პიესას წუხელ. ყველა აღტაცებაში მოიყვანა სასცენო ხელოვნების ვეტერანის, ერთი საქვეყნოდ სახელგანთქმული დრამატურგის ბედმა, თუმცა დრამატურგი ეჯავრებოდათ, უფრო მეტად კი შურდათ მისი. საავტორო შემოსავლიდან კრიტიკოსთა შემოსავალზე გადავიდნენ. სიტყვა ჩამოაგდეს ერთ კრიტიკოსზე და დაასახელეს თანხაც. მათი თანამოკალმე რომ ლეხულობდა (ეს კი უთუოდ წმინდა წყლის ცილისწამება იყო) იმისათვის, რომ ბულვარების ერთ-ერთ თეატრში დადგმული ყველა ახალი პიესის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ ქება-დიდება დაეწერა. ეს პატროსანი კაცი იყო: ერთხელ გარიგებული აღარასოდეს გადასულა სიტყვას; მაგრამ მისი დიდი ხელოვნება, როგორც იქ მყოფნი ამტკიცებდნენ, სწორედ იმაში გამოიხატებოდა, რომ ისეთნაირ რეცენზიებს წერდა და პიესას ისე აქებდა, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოხსნილიყო რეპერტუარიდან და პრემიერებიც ზეღინელ ჰქონოდათ. მის მოხერხებულობაზე ბევრი იცინეს. მაგრამ არავის გაჰკვირვებია.

საუბარში აქა-იქ მალაღმარლოვან სიტყვებსაც ჩაურთავდნენ ხოლმე: ლაპარაკობდნენ „პოეზიაზე“, „ხელოვნებაზე ხელოვნებისათვის“, მაგრამ ამ ფულების ჩხრიალში ეს გაიწმოდა, როგორც „ხელოვნება ხელმოთხოებისათვის“. ფრანგულ ლიტერატურაში ახლად გამეფებული ვაქრული ხელი აღშფოთებდა კრისტოფს. რაკი ფულის საკითხში არაფერი გაეგებოდა, ის იყო, უნდა ეთქვა, ამ კამათის მოსმენის თავი არა მაქვს, რომ ლიტერატურაზე, უფრო სწორად, ლიტერატორებზე ჩამოაგდეს სიტყვა. კრისტოფმა ვიქტორ ჰიუგოს სახელს მოჰკრა ყური და ყურები ცქვიტა.

დაობდნენ იმაზე, ჰიუგოს ცოლი დალატობდა თუ არაო. დიდხანს მსჯელობდნენ სენტ-ბევისა და ქალბატონ ჰიუგოს რომანზე. შემდეგ ყოჩე სანდის საყვარლებზე ვაბებს საუბარი, სათითაოდ გაარჩიეს მათი ღირსება-ნაკლოვანებანი და გაარკვიეს, ვინ ვისზე უკეთესი იყო. ასეთი ამბები იმდროინდელი კრიტიკოსების უსაყვარლესი კვლევის საგანი იყო: როცა გადააქოთეს დიდი ადამიანების სახლები და მათი ბინის ყველა კუნჭული, დააღეს კარადები და უჯრები, საწოლ ოთახშიც შერგეს თავი. ყველაზე მეტად ეხარბებოდათ პოზა ბარონ დე ლოზენისა², მეფისა და მარკიზა დე ლა მონტესპანის³ საწოლქვეშ რომ იყო განაბული. იმხანად ყველა ჭეშმარიტების კულტს მონებდა და არც კრისტოფის

¹ შარლ ოგუსტენ სენტ-ბევი (1804—1869) — გამოჩენილი ფრანგი კრიტიკოსი და ლიტერატურული მოღვაწე.

² ბარონი დე ლოზენი (1633—1723) — ლუი XIV-ის დროინდელი ცნობილი ფრანტი და ლოკვლასი.

³ ფრანსუა აუნაის დე ლა მონტესპანი (1641—1707) — საფრანგეთის მეფის, ლუი XIV-ის ერთ-ერთი ფავორიტი.

თანამესღერენი იყვნენ გამონაკლისი. ისინი ჰეშმარიტებას გულმოდგინედ დაეძებდნენ როგორც წარსულის, ისე დღევანდელ ხელოვნებაში და სიმართლის დადგენის მიზნით ზოგი დიდი თანამედროვის პირად ცხოვრებაში გატაცებით იქექებოდნენ. საკვირველი ის იყო, რომ სულ უმოცირესი დეტალიც კი იცოდნენ იმ სცენებისა რომლებიც, ჩვეულებრივ, მოწმეთა გარეშე ხდება ხოლმე. თითქოსდა მოქმედი პირნი იმავ სიმართლისმოყვარეობის გულისათვის საზოგადოებას თვითონვე აწვდიდნენ ზუსტ ცნობებს.

კრასტოფი თანდათან სულ უფრო და უფრო ირცხვენდა. ცდილობდა მეზობლებთან სხვა რამეზე გაება საუბარი; მაგრამ ყურადღებას არ აქცევდნენ. ერთ-ორი ზერელე კითხვა კი დაუხვეს, მაგრამ ამ კითხვებმა მისდა გასაოცრად დაანახვა კრისტოფს, რომ ან რჩეულ პირებს, ვისაც თითქოს განათლება არ აკლდათ. წარმოუგენაც კი არ ჰქონდათ, თუ რა ხდებოდა პარიზს იქით მათსავე დარგში — ლიტერატურასა და ხელოვნებაში. დიდი-დიდი რამდენიმე ცნობილი სახელი თუ ჰქონდათ გაგონილი; იცოდნენ ჰაუტმანი¹, ზუდერმანი², ლიდერმანი³, შტრაუსი⁴ (დავილი, იოჰანი, თუ რიჰარდი?) და გზას დიდი სიფრთხილით მიიკვლევდნენ მათ შორისაც. რაიმე სამწუხარო შეცდომა არ მოგვივიდესო. თანაც თუ რამეს ეკითხებოდნენ კრისტოფს, უფრო თავაზიანობის გულისათვის და არა ცნობისმოყვარეობის გამო. ცნობისმოყვარეობა სულ არ აწუხებდათ და თითქმის არც უსმენდნენ კრისტოფის პასუხს. უნდოდათ, რაც შეიძლება ჩქარა მიბრუნებოდნენ პარიზულ ამბებს, რომლებითაც სუფრის დანარჩენი წევრები ტკებდოდნენ.

კრასტოფი შეეცადა, როგორმე მუსიკაზე ჩამოეგდო ლაპარაკი, მაგრამ ამ ლიტერატორთაგან არავინ იყო მუსიკოსი და მუსიკას, როგორც მდაბიურ ხელოვნებას, ისე უყურებდნენ. გულის სიღრმეში სწყინდათ კიდევ, ამ ბოლო წლებში მუსიკამ რომ დიდ წარმატებას მიაღწია, მაგრამ რადგან იგი მოდად იყო ქცეული, თავს იკატუნებდნენ, აქოლა ჩვენც გვაინტერესებსო. განსაკუთრებით ბევრს ლაყბობდნენ ახალ ოპერაზე, ცოტაც და, იმასაც იტყოდნენ, აქედან იწყება მუსიკის ისტორია, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ახალი ერა მინც მუსიკის ისტორიაშიო. მათი უქეცრება და სნობიზმი შესანიშნავად ეგუებოდა ამ აზრს, რამეთუ იგი მათ დანარჩენის ცოდნისაგან ანთავისუფლებდა. ამ ოპერის დამწერმა პარიზელმა კომპოზიტორმა, ვისი სახელიც კრისტოფს პირველად ესმოდა, ზოგიერთების თქმით, ხაზი გადაუსვა ყველაფერს, რაც მანამდე არსებულა მუსიკაში და ერთბაშად განაახლა, ხელახლა შექმნა მუსიკა. კრასტოფი დაიძა-

1 გერჰარტ ჰაუტმანი (1862—1946) — გერმანელი მწერალი და დრამატურგი.

2 ჰერმან ზუდერმანი (1857—1928) — გერმანელი მწერალი.

3 მაქს ლიდერმანი (1847—1935) — გერმანელი მხატვარი-იმპრესიონისტი.

4 დავიდ-ფრიდრიხ შტრაუსი (1808—1874) — გერმანელი იდეალისტი ფილოსოფოსი და

ბა: მზად იყო, ერწმუნა გენიოსის დაბადება. მაგრამ გენიოსი ასეთი რანგისა, ვინც ერთი ხელის მოსმით სპობს ყველაფერს?!.. დასწყველოს ღმერთმა, კაციც ის ყოფილა. თუმცა რამ შეაძლებინა?! და კრისტოფი, ამიხსენითო, თხოვლობდა. მაგრამ აქ შეკრებილ ლიტერატორებს არ შეეძლოთ მისი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება და რაკი კრისტოფი თავისას არ იშლიდა, ეს აბეზარი თავიანთ მუსიკათმცოდნეს, დიდ მუსიკალურ კრიტიკოსს თეოფილ გუჟარს გადაულოცეს. ის რაღაცას მიედ-მოედო. კრისტოფი გულმოდგინედ უსმენდა. გუჟარმა დაახლოებით ისევე იცოდა მუსიკა, როგორც სგანარელმა ლათინური...¹

„...ლათინური თუ იცით?

— არა.

— (გატაცებით) კაბრისიას, არსი ტულამ, კატალამუს, სინგულარიტერ... ბონუს, ბონა, ბონუმ...“

და როცა შეხვდა კაცს, რომელმაც „ლათინური იცოდა“, გუჟარმა მყისვე ესთეტიზმის უსიერ ტევრს შეაფარა თავი და ამ მიუვალი საფარიდან სროლა აუტუნა ბეთოვენს, ვაგნერს, კლასიკურ მუსიკას, თუმცა ეს უკანასკნელი აქ არაფერ შუაში იყო (მაგრამ საფრანგეთში არ შეუძლიათ ისე განადიდონ ხელოვანი, თუ ყველა, ვინც მისგან განსხვავდება, მსხვერპლად არ შესწირეს). გუჟარი ქადაგებდა ახალი ხელოვნების მობრძანებას და ფეხქვეშ თელავდა წარსული დროის ყველა პირობითობას. ლაპარაკობდა ახალ მუსიკალურ ენაზე, რომელიც ის-ის იყო აღმოეჩინა პარიზული მუსიკის ქრისტეფორე კოლუმბს და რომელსაც ძირფესვიანად უნდა აღმოეფხვრა კლასიკოსთა ენა და მკედარ ენად ექცია იგი.

კრისტოფი თავს იკავებდა აზრის გამოთქმისაგან, სანამ გენიოს ნოვატორის ნაწარმოებებს არ ნახავდა, მაგრამ უნდობლობას კი გრძნობდა ამ მუსიკალური ბაალის² მიმართ, რომელსაც მთელ მუსიკას სწირავდნენ მსხვერპლად. იგი აღშფოთებული იყო დიდი კომპოზიტორებისადმი ამგვარი მოპყრობით და აღარ ახსოვდა, რომ წინათ, გერმანიაში, თვითონაც ხშირად ჩაუდენია ასეთი წკრეხელობა. ჰაბუქმა, ვისაც თავი ხელოვნებაში რევოლუციონერად მიაჩნდა და თავისი თამამი მსჯელობითა და მკვახე გულახდილობით აღშფოთებაში მოჰყავდა კოლეგები, საფრანგეთში პირველ სიტყვებიდანვე თავი კონსერვატორად იგრძნო. კამათი უნდოდა და წამოიწყო კიდევ, მაგრამ არა როგორც ზრდილმა ადამიანმა, ვინც არგუმენტებს მხოლოდ წამოაყენებს და არკი ასაბუთებს, არა-

¹ ნაგულისხმევია მოლიერის კომედიის „ძალად ექიმის“ მეორე მოქმედების მეექვსე სცენა, სადაც სგანარელი თავს ექიმად ასალებს და უთავბოლოდ გაიძახის ლათინურ და თვით მის მიერვე გამოგონილ სიტყვებს.

² ბაალი — ძველ ებრაელთა მიმართ მტრულად განწყობილი პალესტინისა და სირიის მოახლოების ღმერთების სახელი. გადატ. მატერიალურ დოკლათთა მსახურების სიმბოლო.

მედ როგორც საქმის მცოდნე კაცმა, ფაქტებს რომ დაეძებს და მოწინააღმდეგის ისე უტევს. საუბარში ტექნიკური ტერმინების ჩართვასაც არ ერიდებოდა და ღროღაღრო კამათისას ზმას ისე უწევდა, რომ არ შეიძლებოდა ამ რჩეული საზოგადოების სმენა არ შეებღალა, საზოგადოებისა, რომლისთვისაც მისი არგუმენტებიცა და ის მგზნებარებაც, რომლითაც მათ იცავდა, ერთნაირად სასაცილო იყო. გუჯარი შეეცადა ერთი „ბრძნული“ სიტყვით ბოლო მოეღო ამ მოსაწყენი კამათისათვის, რომლის დროსაც კრისტოფმა თავისდა გასაოცრად დაინახა, რომ მის თანამოსაუბრეს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა იმ საგანზე, რაზედაც ლაპარაკობდა. მაგრამ კრისტოფს უკვე მიაკერეს სახელი „პედანტი გერმანელია“ და მისი მუსიკაც დაუსწრებლად უვარგისად ჩათვალეს. სამაგიეროდ, ამ ოცდაათიოდე ხუმარა, სეირის მოყვარული ყმაწვილი კაცის ყურადღება მიიქცია თვითონ პიროვნებამ — უცნაურმა გერმანელმა, უხერხულად რომ იქნევედა უზარმაზარ, სმელ ზელებს, თვალებს მრისხანედ აბრიალებდა და გამყინავი ხმით გაჰქიოდა. სილვენ კონმა გადაწყვიტა, მის ხარჯზე კომედია გაემართა მეგობრებისათვის.

საუბარი საბოლოოდ ასცდა ლიტერატურას და ქალებზე გადავიდა. სიმართლე რომ ითქვას, ეს ერთი და იგივე საკითხის ორი მხარე იყო, რადგან მათი ლიტერატურა მხოლოდ ქალების ირგვლივ ტრიალებდა და მათი ქალებიც ისე ახლოს იყვნენ ლიტერატურასთან და ლიტერატურებთან...

ლაპარაკობდნენ პარიზულ სამყაროში ცნობილ ერთ ღირსეულ ბანოვანზე, რომელსაც ქალიშვილი თავისი საყვარლისათვის მიეთხოვებინა, რათა შეენარჩუნებინა... საყვარელი. კრისტოფი სკამზე წრიანებდა და ზიზლით იბზუებდა ტუჩებს. კონმა შენიშნა ეს, მკლავი გაჰკრა მეზობელსა და ათქმევინა: ეტყობა, ამ ამბავმა ძალიან დააინტერესა პატივცემული გერმანელი და ალბათ ქალის გაცნობის სურვილით იწვისო. კრისტოფი გაწითლდა, რალაც წაიბურტყუნა და ბოლოს ბრაზმორეულმა განაცხადა: ასეთი ქალები კაცმა უნდა სცემოსო. ჰომერული სიცილით შეხედნენ მის წინადადებას; სილვენ კონმა კი უთხრა, ქალის შეხება ყვაილითაც კი არ შეიძლება და სხვა და სხვა და სხვა (პარიზში იგი სიყვარულის რაინდად ითვლებოდა). კრისტოფმა მიუგო, ასეთი ქალი და ძუენა ძაღლი ერთია, ხოლო მოხეტიალე ძაღლებს მხოლოდ როზგით უმასპინძლდებიანო. ყველა აღაშფოთა მისმა ნათქვამმა. კრისტოფმა დაიჟინა, თქვენი გალანტურობა პირფერობის მეტი არაფერია, ყველაზე ხშირად ქალების პატივისცემაზე ისინი ლაპარაკობენ, ვინც სინამდვილეში ყველაზე ნაკლებ პატივს სცემსო ქალს. თან უსაყვედურა იქ მყოფთ, რად გამოამზეურეთო ასეთი სკანდალური ამბები. პასუხად უთხრეს, ჩვენი მონაყოლი სულაც არ არის სკანდალური, პირიქით, ერთობ ბუნებრივი და ყველამ ერთხმად აღიარა: ამ ამბის გმირი ქალი მომხიბლავი არსებობდა და რაც მთავარია, ნ ა მ დ ვ ი ლ ი ქალიაო. გერმანელმა ხელები გაააავსა. სილვენ კონმა მზაკერულად ჰკითხა, მამ, თქვენის აზრით, როგორი უნდა იყოს ჰემშარიტი ქალიო. კრისტოფი მიხვდა, რომ მანებს უგებდნენ,

მაგრამ მანც ზედ წამოეგო. ისე იყო დარწმუნებული თავის სიმართლეში, რომ ამ დამცინაე პარიზელებს გატაცებით დაუწყო ახსნა, როგორი უნდა ყოფილიყო, მისი აზრით, ნამდვილი სიყვარული. სიტყვები არ ჰყოფნიდა და გამწარებით დაეძებდა, მესხიერებიდან ამოჰქონდა უცნაური გამოთქმები და რაღაც სისულელე გამოუდიოდა, რასაც აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელები. კრისტოფი არ იაჩნევდა, თორემ შეუძლებელია, ვერ მიმხვდარიყო, რომ უსიტყვილოდ დასცინოდნენ, მოთმინებით იტანდა ყოველივეს და შესაშური სერიოზულობით თავისას არ იშლიდა. ბოლოს რომელიღაც ფრანგში გაიჰყვდა, და რომ ველარაფრით გაართვა თავი, მუშტი დასცხო მაგიდას და გაჩურდა.

მოსაუბრენი შეეცადნენ ისეე ჩაეთრიათ კამათში, მაგრამ კრისტოფმა წარბი შეიკრა, იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას და კრინტიც არ დაუძრავს, იჯდა შეურაცხყოფილი და დარცხვენილი. მხოლოდ მაშინ თუ გახსნა ბაჯეს. როცა დინოს სვამდა, ან ლუქმას იდებდა. უზომოდ ბევრს სვამდა, ფრანგები კი პირს ოღნავ თუ აკარებდნენ ჰიქას. მისი მეზობელი ეშმაკურად აქეზებდა: ყოველ წუთს უესებდა სანმელს და კრისტოფიც დაუფიქრებლად ცლიდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ არ იყო ჩვეული მაძღრისად ჰამას, განსაკუთრებით მთელი კვირაობით შიმშილის შემდეგ, მშვენივრად გაუძლო და სულაც არ იყო სხვისი დასაცინი, თუმცა დიდი იმედი ჰქონდათ მისი გამასხრებისა. იჯდა გაბინდებული და უკვე აღარავის აქცევდა ყურადღებას; ეგონათ, სმაში ჩათვლიშაო. კრისტოფი დაიღალა ფრანგული ლაპარაკით, დაქანცული იყო იმითაც, რომ სულ ლიტერატურაზე, მსახიობებზე, გამომცემლებზე და ავტორებზე საუბრობდნენ. მთლად გადმოაბრუნეს ლიტერატურული ალკოვები, კულისებიც არ დარჩენიათ გაუქეჰავი. ამით იფარგლებოდა მთელი მათი სამყარო. ამ უცხო ხალხში მოხვედრილი კრისტოფი სიტყვების რახარუხს უგდებდა ყურს და ვერ ახერხებდა მესხიერებაში აღებჰქვდა თუნდ ერთი სახე, ერთი ასრიც კი. ბეცი, ამღვრული თვალები ბევრჯერ შემოაბარა სუფრას, ყველა თანამეინახეს სათითაოდ აკვირდებოდა, მაგრამ თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. მის მზერა არ ჰგავდა ამ პარიზელებისა და ებრაელების მზერას, რომლებიც მხოლოდ ჩაუნისკარტებენ საგანს, სულ პაწია, ერთ ბეწო ნაგლეჯს აართმევენ და მერე იმასაც ათაწილად გაგლეჯენ. კრისტოფი დიდხანს, წღუმარედ, ღრუბელივით იქვინებოდა ადამიანთა სახეებით და გულში იმარხავდა. ეგონა, არაფერი მინახავს, არაფერი დამხსომებიაო, მაგრამ გამოხდებოდა ხანი და — რამდენიმე საათის, ხშირად რამდენიმე დღის შემდეგაც — მარტობისას რომ ჩაფიქრდებოდა, აღმოაჩენდა, თურმე არაფერი დავიწყებია.

ახლა ნახევრადმთვლემარე კრისტოფი დონდლო გერმანელს ჰგავდა, ნუგბარი საქმელებით რომ ძღება და მხოლოდ იმაზე ზრუნავს, ძირამდე შესვას სასმელი. ლაპარაკს ყურადღებას არ აქცევდა, ოლონდ თანამეინახეთა სუფრაზე გადაძახილ-გადმოძახილი რომ ჩაესმოდა, თავს ლოთური დაქინებით ეკითხებო-

და: ეს ფრანგები ფლამანდური, გერმანული, ებრაული, აღმოსავლური, ინგლისური, ესპანურ-ამერიკული და სხვა უცხო გვიარისანი რად არიანო.

ვერც კი შეამჩნია როდის წამოიშალნენ მოქეიფენი. მარტო თვითონ უჯდა სუფრას და რაინისპირა ბორცვები, დიდი ტყეები, გადახნული მინდვრები, წყლისპირა ჭალაკები და მოხუცი დედა ეზმანებოდა. რამდენიმე მოქეიფე დარბაზის ბოლოში ფეხზე მდგომი საუბრობდა. უმეტესობა უკვე წასულიყო. ბოლოს მანაც წასვლა გადაწყვიტა. წამოდგა და ისე, რომ არავისთვის შეუხედავს, კარისაკენ პალტოსა და ქუდის ასაღებად გაეშურა. პალტო წამოისხა და ის იყო, გამოუმშვიდობებლად წასვლას აპირებდა, რომ მეზობელი ოთახის ღრვიდან დატოვებულ კარში თვალი მოჰკრა ნივთს, რამაც მოაჯადოვა: პიანინო იდგა. უკვე რამდენი კვირა იყო, საკრავს არ ვაჰკარებოდა. შევიდა, შეეყვარებულევით მიუალერსა კლავიშებს, პალტოიანად დაჯდა და ქუდმოუხსნელად დაიწყო დაკვრა. სულ აღარ ახსოვდა სად იყო და ვისთან... არც ის შეუნიშნავს, ოთახში ორი კაცი რომ შემოიპარა მის მოსასმენად. ერთი მათგანი სილვენ კონი იყო, მუსიკის დიდი მოტრფიალე. ღმერთმა უწყის, რამ შეაყვარა მუსიკა; მისი არაფერი გაეკებოდა და კარგი და ცუდიც ერთნაირად მოსწონდა. მეორე მუსიკალური კრიტიკოსი თეოფილ გუქარი გახლდათ. გუქარს უფრო კარგად ჰქონდა საქმე: მას არც ესმოდა და არც უყვარდა მუსიკა, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს, გამუდმებით მასზე ელაპარაკა. არ არსებობს უფრო ლალი გონება, ვიდრე იმათი, ვინც არ უწყიან რაზე ლაპარაკობენ, რადგან მათთვის სულ ერთია, ამას იტყვიან, თუ იმას.

თეოფილ გუქარი ბრგე მამაკაცი იყო, ჩასხმული და დაკუნთული. შავი წვერი და შავი გრუზა თმა ჰქონდა. შუბლი ღრმა, არაფრისმთქმელი ნაოკებით დაპლარვოდა. სახეზე საოცრად ულამაზო იყო, თითქოს ხისგან უხეშად გამოუჩორკნიათო. მოკლე ხელ-ფეხიანს გულზე ქონი მორეოდა. თავხედური მანერები ჰქონდა და მდაბიური მიხრა-მოხრით ხე-ტყით მოვაპრეს, ანდა ოვერნელ მებარგულს ჰგავდა. მუსიკაში პოლიტიკიდან შემოვიდა, რაც იმდროინდელ საფრანგეთში ერთადერთი გზა იყო წარმატების მისაღწევად. ახალგაზრდობაში თავისი ბედი ერთი პროვინციელი მინისტრის ბედს დაუკავშირა. ეს მინისტრი მისი მოგვარე იყო და შორეულ ნათესავადაც ერგებოდა, „ყვავი ჩხიკვის მამიდად“. მაგრამ მინისტრები მარადიულნი არ არიან ხოლმე და გუქარიც მიხვდა, ჩენს პატრონს დალუპვა ელისო, სასწრაფოდ მიატოვა ჩასაძირად განწირული გემი და თან წაიღო ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა. პირველ რიგში, ორდენები და ტიტულები იგდო ხელთ, რადგან დიდების მოყვარული კაცი გახლდათ. პოლიტიკისაგან დაქანცულს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თავის პატრონისა და საკუთარი ცოდვების გამო საკმაოდ მოხვდა, უნდოდა ისეთი ხელობა მოენახა, რომ შეძლებოდა, სხვებისათვის ეენო, თავად კი უგნებლად დარჩენილიყო; კრიტიკა ამ მხრივ პირდაპირ მისწრება იყო. მალე ერთ დიდ პარიზულ გაზეთში მუსიკალური კრიტიკოსის ადგილი გათავისუფლდა: გუქარის წი-

ნამორბედი, ახალგაზრდა ნიქიერი კომპოზიტორი დაეთხოვათ, რადგან ჭიუტობა და თავის რეცენზიებში ყოველთვის იმას ამბობდა, რასაც გულწრფელად ფიქრობდა ნაწარმოებებსა და ავტორებზე. გუჯარს საგანგებოდ არასოდეს უსწავლია მუსიკა და არც არაფერი გაეგებოდა მისი, ამიტომ უყოყმანოდ მიიღეს; მცოდნე ხალხისაგან უკვე თავი ჰქონდათ მობეზრებული. გუჯარისა კი, აბა, რად უნდა შინებოდათ: სხვა თუ არაფერი, სასაცილო თავგამოდებით მიანიც არ ებლაუჭებოდა თავის იდეებს; მუდამ თვალბეჭდვით შეჰყურებდა დირექციას და მზად იყო, მისი სურვილისამებრ გაეღანძლა ვინმე, ან განედიდებინა. მუსიკოსი რომ არ იყო, ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მუსიკა საფრანგეთში ყველამ საყმარისად იცის. გუჯარიც მალე აღიჭურვა საჭირო ცოდნით. ეს სულ ადვილი იყო: კონცერტის დროს ვინმე კარგ მუსიკოსს, ან უკეთეს შემთხვევაში, კომპოზიტორს მოისივამდა და გამოჰკითხავდა, თუ რას ფიქრობდა იგი იმ ნაწარმოებებზე, რომელთაც ასრულებდნენ. რამდენიმე თვე ასეთი შეგვიარღობისა და ხელობა უკვე შესწავლილი ჰქონდა. მართვის უტეძლო ფრენა. კაცმა რომ თქვას, მისგან არწივი არ დამდგარა და ვინ იცის, ავტორიტეტული ტონით რა სისულელებს არ რომავედა თავისი გაზეთის ფურცლებიდან. უსმენდა ყველას, ყველათერს კითხულობდა, ყველაფერს თავის ვიწრო გონებაში გადახარშავდა ხოლმე და სხვებს თავხედურად ჰკუთხას არიგებდა. პრეტენციოზული სტილით უყვარდა წერა. მისი ნაწერები მუდამ კალამბურებით იყო აჭრელებული და აგრესიული პედანტიზმით შეზავებული. კლასის დამრიგებელზე მეტი ჰქუა არც კი ჰქონდა. ზოგჯერ, თუმცა იშვიათად, მისი გამონდომები მკაცრ საპასუხო სტატიებს იწვევდა. ასეთ შემთხვევაში გაიტრუნებოდა და პასუხისაგან თავს იკავებდა, რადგან ერთსა და იმავე დროს საშინელი თავხედიც იყო და დიდი გაიძვერა. ქათინაურებს უძღვნიდა, ფეხებს ულოკავდა ძვირფას დიდოსტატებს (თუკი ამას საქმე მოითხოვდა, ან თუ ხელოვანს ისედაც საყოველთაო აღიარება ხვდებოდა წილად). წარმატება — აი, რა იყო მისთვის ერთადერთი სანდო საზომი კომპოზიტორთა ნიჭის შეფასებისას. სხვებს მუდამ ზიზღით იხსენიებდა და ექსპლოატაციას უწევდა სუსტებს. ერთი სიტყვით, სულელი არ გახლდათ.

მოპოვებული ავტორიტეტისა და რეპუტაციის მიუხედავად, გულში კარგად იცოდა, რომ მუსიკისა არაფერი გაეგებოდა; გრძნობდა, რომ კრისტოფი შესანიშნავი მუსიკოსი იყო და თუმცა გამხელით ამას არ გაამხელდა, მისდამი მოწიწება იგრძნო. ახლა კრისტოფის დაკვრას უგდებდა ყურს და რაც შეეძლო, ცდილობდა რამე გაეგო, მაგრამ ამოდ: ნოტების ამ ქაოსში ვერაფერს არხევდა, მაგრამ მიანიც დიდ მცოდნესავით იქნევდა თავს. მალიძალ გადახედავდა ხოლმე სილვენ კონს, სიამოვნებისაგან რომ აცმუტებულოყო და აღტაცებულ თვალის ჩაკვრაზე მოწონების ნიშნად თავს უქნევდა.

ბოლოს კრისტოფი, როგორც იყო, გონს მოეგო. თანდათან გამოუნელდა ღვინო და მუსიკა. ბუნდოვნად იგრძნო პანტომიმამ, მის ზურგს უკან რომ თამამდებოდა. მიტრიალდა და მუსიკის ორი მოყვარული დაინახა. ისინი მაშინვე

მისცვივდნენ კრისტოფს და მავრად ჩამოართვეს ხელი; სილვენ კონი გაჰკიოდა, ღმერთივით უკრავო. გუყარი კი დიდის აზბით უმტკიცებდა, მარცხენა ხელი რუბინშტეინისა გაქვს და მარჯვენა — პადერევსკისო¹ (ან იქნებ პირიქითაც, ანას არ ჰქონდა მნიშვნელობა). ერთში კი ეთანხმებოდნენ ერთმანეთს: ასეთი ტალანტი ფუჭად არ უნდა იყარგებოდესო და გადაწყვიტეს მისი სამზეროზე გამოტანა. ჯერჯერობით კი ორივეს სურდა კრისტოფისაგან მთელი სარგებელი გაიოქუტათ.

მეორე დღიდან სილვენ კონმა თავისთან მიიწვია კრისტოფი; თან თავისი მშვენიერი პიანინოც დაუთმო, რომელიც უქმად ედგა სახლში. კრისტოფი ისე იყო დანატრებული მუსიკას, ბევრი აღარ ახვეწინა და მოპატიჟება მაშინვე მიიღო.

პირველ დღეებში ყველაფერი კარგად მიდიოდა: კრისტოფი უკრავდა და ნეტარებდა; სილვენ კონიც ერიდებოდა და ამ ნეტარებაში ხელს არ უშლიდა. თვითონაც გულწრფელად ტკებოდა. უცნაური შემთხვევითობის წყალობით, რომლის მსგავსიც უთუოდ ყველას შეუნიშნავს, ეს ყველაფრის მიმართ გულგრილი კაცი, ვისაც არც სიკეთე გააჩნდა და არც პოეზიას ცნობდა, კაცი, ვინც არც მუსიკოსი იყო და არც ხელოვანი, უცნაურ ძალით გამოჩნდებოდა მუსიკას და გულით შეეყვარებინა იგი. საუბედუროდ, ჩუმად სმენა არ შეეძლო: კრისტოფი რომ უკრავდა, სულ ხმამაღლა უნდოდა ელაპარაკა და როგორც სწობები კონცერტზე, ალტაცებული იძახდა, რა მშვენიერი მუსიკააო, ანდა უთავბოლო მსჯელობას მოჰყვებოდა ხოლმე. მაშინ კრისტოფი ხელს მაგრად დაჰკრავდა კლავიშებს და იტყოდა, ასე ვეღარ დავუკრავო. კონიც ცდილობდა ხმა აღარ ამოეღო, მაგრამ არაფრით არ შეეძლო: ცოტა ხნის შემდეგ ისევე მოჰყვებოდა ხითხითს, კვნესას, სტვენას, კაკუნს, ღიღინს, საკრავების გამოჯავრებას და, როცა ნაწარმოები დასრულდებოდა, მოკვდებოდა, კრისტოფისათვის თავისი უსუსური შთაბეჭდილებები რომ არ გაეზიარებინა.

ამ კაცში საოცრად იყო შეხამებული გერმანული სანტიმენტალიზმი, პარიზული ენაწყლიანი მზიარულება და საკუთრივ მისი ფუქსავატობა. კრისტოფს ხან ხელოვნური, გაბრანქული მსჯელობა უნდა ესმინა, ხან — უცნაური შედარებები, ხან — წრეგადასული, ბილწი უხამსობა, უაზრობა და აბლაუბდა. ბეთჰოვენის შექება თუ სურდა, მასში გიემაცსა და ავზორცულ ვნებას ხედავდა. პირქუში აზრები მოხდენილ ცელქობად ესახებოდა. კვარტეტ „დო-დიეზ-მინორში“ მოწინებვლელ სითამამეს ნახულობდა. მეცხრე სიმფონიის² დიდებული ადავიო ქერუბინს აგონებდა. სამი დარტყმის შემდეგ, რომლითაც იწყება მეხუთე სიმფონია, ყვიროდა ხოლმე: ნუ შემოხვალთ, მარტო არა ვარო. აღფრთოვანებულ

1 ი. პადერევსკი (1860—1941) პოლონელი კომპოზიტორი და პიანისტი.

2 ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია (1824). რომლის ბოლო ნაწილიც შილერის „ოდა სიხარულიდანის“ თემს აერთავებს.

იყო „ქელდენლებენის ბრძოლით“¹ და ირწმუნებოდა, ავტომობილის გუგუნს მაგონებსო. მუსიკალურ ნაწარმოებებს რომ ისმენდა, თვალწინ სულ რაღაც სურათები ეხატებოდა — გულუბრყვილო, შეუსაბამო სურათები. გასაოცარი იყო, როგორ შეეძლო მუსიკა ჰყვარებოდა. სიყვარულით კი ნამდვილად უყვარდა; ზოგ პასაჟზე, რომელთაც, თქმა არ უნდა, უკულმართად გებულობდა, ცრემლი უნამავდა თვალებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც გული აუჩვილდებოდა ვაგნერის რომელიმე ნაწყევტის მოსმენისას, როიალზე ოფენბახის² ძელოდიას დააბრაზუნებდა; ანდა ყურს უგდებდა „ოდას სიხარულისადმი“ და კაფე-შანტანის უხამს სიმღერას ლიღინებდა. მაშინ კრისტოფი წამოვარდებოდა და ბრაზმორეული უყვიროდა. მაგრამ ყველაზე უარესი ის კი არ იყო, როცა სილვენ კონი სისულელეებს ამბობდა, არამედ როცა ღრმად მნიშვნელოვანი და დელიკატური რამ სურდა ეთქვა; ერთი სიტყვით, როცა ასპარეზზე სილვენ კონი კი არა, ჰამილტონი გამოდიოდა. მაშინ კრისტოფი ზიზლით სავსე მზერას მიჰაჰყვრობდა და შეურაცხყოფელ სიტყვებს სეტყვასავით მიჰყვებოდა. ეს ჰამილტონის თავმოყვარეობაზე მოქმედებდა და როიალზე დაკვრის სენსები ხშირად ჩხუბით მთავრდებოდა. მაგრამ მეორე დღეს კონს უკვე აღარაფერი ახსოვდა და კრისტოფიც, რომელსაც სინდისი ქენჯნიდა, ასე უზეშად რად მოვიქცეო, თავს ძალას ატანდა და კვლავ ურიგდებოდა.

ყველაფერ აშას კიდევ გაუძლებდა კაცი, კონს რომ როგორმე თავი შეეკავებინა და კრისტოფის მოსასმენად ნაცნობ-მეგობრები არ მოეწვია. მაგრამ რას იზამ, უნდოდა, ყველასათვის ეჩვენებინა „თავისი მუსიკოსი“. პირველად, როდესაც კრისტოფმა მასთან საპი თუ ოთხი ებრაელი და კონის საყვარელი, მაღალ-მაღალი შეპუღრული ქალი ნახა, რომელიც გამუდმებით იმეორებდა უბადრუკ კალამბურებს, ჰყვებოდა, რა ჰამა სადილად და თავი მუსიკოსად მოჰქონდა მხოლოდ იმის გამო, რომ ყოველ საღამოს ვარიეტეში თავის ბარძაყებს გამოაფენდა ხოლმე — კრისტოფი მოიღუშა. მეორედ კი პირდაპირ უთხრა სილვენ კონს, შენთან მეტს აღარ დავუკრავო. კონმა ხატზე შეჭვიცა, დღეიდან აღარავის მოვიწვევო, მაგრამ ჩუმად მაინც მოჰყავდა სტუმრები და მეზობელ ოთახში მალავდა. ბოლოს კრისტოფმა ესეც შეუტყო, გაბრაზებული წამოვიდა იქიდან და აღარ მიბრუნებულა.

თუშკაც კაცმა რომ თქვას, უფრო მეტად უნდა გაფრთხილებოდა სილვენ კონს, რომელმაც იგი ბევრ კონსერვატიურ ოჯახში შეიყვანა და გაკვეთილებიც მოუხერხა.

რამდენიმე დღის შემდეგ თეოფილ გუჟარმაიც მიჰიყვანა კრისტოფს მის ბუნაკში და სულაც არ გაჰკვირებია, ასეთ სილატაკეში რომ ნახა. პირაქით, დიდი ყურადღება გამოიჩინა.

¹ ნაგულსხმებია ბეთჰოვენის მესამე (გმირული) სიმფონია.

² ეაკ ოფენბახი (1819—1880) — ცნობილი ფრანგი კომპოზიტორი.

— ვიფიქრე, მუსიკის მოსმენა ეამება-მეთქი და რაკი ყველგან თავისუფლად შემიძლია შესვლა, გამოვიარეთ.

კრისტოფის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მხურვალე მადლობა გადაუხადა ჰეტუმარს. დღეს გუჟარი სულაც არ ჰგავდა იმ კაცს, პირველად რომ შეხვდა. მართო რომ იყო კრისტოფთან, უკვე აღარ მედიდურობდა, მორცხვობდა, თავი მეგობრულად ეჭირა და ცდილობდა, კრისტოფისაგან ესწავლა რაიმე. მაგრამ სხვები გამოჩნდებოდნენ თუ არა, მყისვე უბრუნდებოდა ამპარტავნული იერი და ქედმაღლურად იწყებდა საუბარს. ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველთვის, როცა რაიმეს შესწავლას ჰკიდებდა ხელს, რაღაც პრაქტიკული მიზანი ჰქონდა. არაოდეს აინტერესებდა ისეთი რამ, რაც ჯერ საჭირობოროტო საგნად არ ქცეულიყო. ამჯერადაც უნდოდა გაეგო, რას ფიქრობდა კრისტოფი პარტიტურაზე, რომელზედაც გუჟარს აზრი უნდა გამოეთქვა და თავად ვერაფერი გაუგო, რადგან ძლივს კითხულობდა ნოტებს.

გუჟარმა სიმფონიურ კონცერტზე წაიყვანა კრისტოფი. საკონცერტო დარბაზს მუზიკ-ჰოლთან საერთო შესასვლელი ჰქონდა. ვიწრო, დაკლაკინილი დერეფნით ერთ მეტად დახუთულ, უკარ-ფანჯრებო დარბაზში შევიდნენ. ვიწრო სკამები ერთიმეორეზე მიეტყუპებინათ. მსმენელთა ნაწილი ფეხზე იდგა და გასასვლელი აღარ იყო. კაცი, რომელსაც თითქოს უკურნებელი ნალველი ღრღინა, გამალეებით მირეკავდა ბეთჰოვენის სიმფონიას და ერთი სული ჰქონდა, ჩქარა ჩაეთაყვებინა. მეზობელ კაფე-შანტაწში „მუცლის ცეკვას“ ასრულებდნენ და დაფდაფების ხმა იჭრებოდა „გმირული სიმფონიის“ სამგლოვიარო მარშის ხმაში. ხალხი სულ მატულობდა. ახლად მოსულები ადგილებს ეძებდნენ და ლორხეტებით ათვალიერებდნენ ერთიმეორეს. მოსვლა, როგორც იქნა, დაამთავრეს და ახლა დაშლა იწყეს. კრისტოფს მთელი თავისი ნებისყოფის დაძაბვა მოუხდა, რომ ამ ორომტრიალში ნაწარმოებისათვის ეგდო ყური. მაგრამ ორკესტრი რიგიანი გამოდგა და კრისტოფიც ისე იყო დანატრებული სიმფონიურ მუსიკას, თუმცა ენერჯის დაძაბვა სჭირდებოდა, მაინც ტკბებოდა მუსიკით. შუა კონცერტში გუჟარმა ზეკლავზე მოავლო ხელი და უთხრა:

— წავიდეთ ახლა; მეორე კონცერტიც უნდა მოვისმინოთ.

კრისტოფმა წარბი შეიკრა, მაგრამ არაფერი უთქვამს და მორჩილად გაჰყვა თავის მეგზურს. ნახევარი პარიზი გადასერეს და სხვა საკონცერტო დარბაზში შევიდნენ. აქ თავლის სუნი იდგა, რადგან უქმე დღეებში დარბაზში ფეერიები და სახალხო წარმოდგენები იმართებოდა (მუსიკა პარიზში ღარიბ მუსიკას ჰგავს — ოთახს ამხანაგთან ზიარად რომ იჭერს; როგორც კი ერთი მათგანი გამოძვრება საწოლიდან, ჯერ ისევ თბილ ლოგინში მყისვე მეორე შეწევება ხოლმე). სუნთქვა აქ, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა: ლუი XIV-ის დროიდან ფრანგებს მიაჩნიათ, რომ სუფთა ჰაერი მავნებელია. ამიტომ პარიზის თეატრებში კაცს მუდამ სუნთქვა ეკვრის, როგორც ოდესღაც ვერსალის სასახლეში. კეთილშობილ მოხუცს, მომთენიერებელივით რომ იქნევა ხელებს, ჯაჭვიდან აეხსნა

ვაგნერის აქტი: საბრალო ცხოველი — აქტი — რამპების შუქით თავზარდაცემულ ცირკის ლომს ჰგავდა, ლომს, რომელიც მათრახით უნდა შეახურო, რათა გაახსენდეს, რომ რაც უნდა იყოს, მაინც ლომია. სქელ-სქელი ფარისეველები და კეკლუცი ქალები ტუჩებზე ღიმმორეულნი შეჰყურებდნენ ამ წარმოდგენას. მას შემდეგ, რაც ლომმა უკანა თათებზე გაიარა, მომთვინიერებელმა თავი დაუქრა დამსწრე საზოგადოებას და მყურებელმა ორთავე ტაშით დააჯილდოვა, გუჟარმა კრისტოფის მესამე კონცერტზე წაყვანა მოინდომა. მაგრამ ამჯერად კრისტოფი მაგრად ჩააფრინდა თავის საეარძელს და განაცხადა: აქედან ფეხს არ მოვიცვლი, მომბეზრდა ერთი კონცერტიდან მეორეზე სირბილი, აქ სიმფონიის ნამცეცების დაქვერა, იქ საფორტეპიანო კონცერტის ნამუსრავის ყურის გდენაო. გუჟარი ამაოდ ცდილობდა აეხსნა მისთვის, მუსიკალური კრიტიკა პარიზში ლელობაა და მისთვის მოსმენაზე უფრო მთავარი დანახვა არისო. კრისტოფმა ქვეაადღო და თავი შეუშვარა: მისი აზრით, მუსიკის მოსმენა ფიაკრებში არ შეიძლებოდა, ამისათვის ყურადღების შემოკრება იყო საჭირო. კონცერტმა ეს უთავბოლო აღრევა გულს მიჩრეხ, ჩემთვის ერთ ჯერზე ერთიც საკმარისიაო.

კრისტოფს ეს მუსიკალური ღორმუცელობა მეტად აოცებდა. როგორც გერმანელთა უმრავლესობას, მასაც ეგონა, რომ მუსიკას ძალიან ცოტა ადგილი ექვარა საფრანგეთში და ელოდა, პატარ-პატარა, მაგრამ საუცხოო ულუფებად მომართმევნო. აქ კი დასაწყისისათვის კვირაში თხუთმეტ კონცერტს სთავაზობდნენ. კონცერტები ყოველ საღამოს იმართებოდა, ხშირად ორი-სამი კონცერტიც ჰქონდათ ერთად, ერთსა და იმავე დროს, ქალაქის სხვადასხვა უბანში. კვირა ღღეებზე ოთხი კონცერტი მაინც მოდიოდა და ესეც ერთსა და იმავე დროს. კრისტოფი აღტაცებული იყო ამ მუსიკალური მადით; პროგრამათა სიუხვემ ნაკლებ რთვი გააოცა. დღემდე ეგონა, მის თანამემამულეებს ბადალი არ ჰყავდათ მუსიკალურ მსუნაგობაში, კრისტოფს ყოველთვის გულს რომ ურევდა და მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახა, რომ პარიზელები მისიანებს არამც თუ ჩამოუყარდებოდნენ, სჯობნიდნენ კიდევ. ამათ საგულდაგულოდ კვებავდნენ: ორი სიმფონია, საფორტეპიანო კონცერტი, ერთი ან ორი უვერტიჟურა, ერთი აქტი ლირიული დრამიდან და თანაც ყველაფერი ეს განსხვავებული, ათასნაირი წარმოშობისა გახლდათ; გერმანული, რუსული, სკანდინავიური, ფრანგული — ლუდი, არაყი, ღვინო, შამპანური ერთმანეთში აერიათ და სევამდნენ ისე, რომ თვალსაც არ ახამხამებდნენ. კრისტოფი აღტაცებამი მოჰყავდა პარიზელი მელომანების მადას, მათ უზარმაზარ მუცლებს, ყველაფერს იოლად რომ ინელებდნენ... და დანაიდების! კასრივით ძირში არაფერი რჩებოდათ.

1 დანაიდების კასრი — ბერძნული მითი მოგვითხრობს, რომ არგოსის მეფის დანაის ორმოცდაათ ქალიშვილს ღმერთებმა ქმრების დახოცვის გამო მოუვლინეს მარადიული სასყელი. მათ უძირო კასრის წყლით ავსება ჰქონდათ ნაბრძანები.

მაგრამ კრისტოფმა სულ მალე შენიშნა, რომ მუსიკის ეს მეტისმეტი სიუხვე სინამდვილეში მოჩვენებითი იყო. ყველა კონცერტზე ერთსა და იმავე სახეებსა და ერთსა და იმავე ნაწარმოებებს ზედებოდა. დიდრონი პროგრამები გარკვეულ წრეს არასოდეს არ სცილდებოდნენ: თითქმის არაფერი იყო ბეთჰოვენამდე და თითქმის არაფერი იყო ვაგნერის შემდეგ. და მათ შორისაც რამდენი რამ იყო აუთენსიკური. თითქოსდა მუსიკაში ხუთი-ექვსი სახელგანთქმული გერმანელა, ოთხი ფრანგისა და ხუთი-ექვსი მოსკოველი მელოდიის მეტი აღარაფერი იყო. ძველი დროის ფრანგებიდან არავის უკრავდნენ; დიდი იტალიელთაგანაც არავინ იყო, არც XVII—XVIII საუკუნეების გერმანელი ბუმბერაზები ჩანდნენ; არ ჩანდა არც თანამედროვე გერმანული მუსიკა; რიჰარდ შტრაუსის¹ იცნობდნენ მხოლოდ, ისიც იმიტომ, რომ სხვებზე მეტად საზრიანი გამოდგა და ყოველ წელიწადს თვითონ ჩამოდიოდა პარიზში, რათა აქაური საზოგადოებისათვის თავისი ახალი ნაწარმოებები გაეცნო. არ ჩანდა ბელგიური მუსიკა, არც ჩეხური მუსიკისა ისმოდა რამე; მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველი ის იყო, რომ თითქმის სულ ვერ გაიგონებდით თანამედროვე ფრანგულ მუსიკას, თუმცა ყველას მისი სახელი ეყრა პირზე და გაიძახოდნენ, მსოფლიო გადატრიალებას ქოახდენსო. კრისტოფი სულ იმის ცდაში იყო, როგორმე ეს ნაწარმოებები მოესმინა. ცნობისმოყვარეობა აწუხებდა და მიუღდომლად განსჯის უნარიც შესწევდა, უნდოდა დამტკბარაყო გენიოსთა ნაწარმოებებით, მაგრამ მიუხედავად დიდი ცდისა, ვერაფერი მოიხელთა. აბა, რა სათვალავში ჩასაგდები იყო სამი თუ ოთხი ნაწყვეტი, საკმაოდ კარგად დაწერილი, მაგრამ ცივი და მეტად დახლართული, რომლებსთვისაც კრისტოფს დიდი ყურადღება არც კი მიუქცევია.

სანამ ფრანგულ მუსიკაზე საკუთარ შეხედულებას შეიმუშავებდა, კრისტოფმა გადაწყვიტა, მუსიკალური კრიტიკისათვის მიეგდო ყური.

მაგრამ ეს იოლი საქმე როდი იყო. კრიტიკა მეფე პეტოს კარს ჰგავდა: აქ მარტო სხვადასხვა მუსიკალური ფურცლები კი არ ეწინააღმდეგებოდნენ ერთიმეორეს, ყოველი მათგანიც საკუთარ თავთან ვარდებოდა წინააღმდეგობაში და ღღეს რომ ერთს ამბობდა, ხვალ — მეორეს. ყველაფერი რომ ერთბაშად წაეკითხა, კაცს ტვინი აერეოდა. საბედნიეროდ, ყველა რედაქტორი მხოლოდ თავის განუთქს კითხულობდა, საზოგადოება კი — არც ერთს. მაგრამ კრისტოფი, რაკი სურდა, ზუსტი წარმოდგენა ჰქონოდა ფრანგ მუსიკოსებზე, ზარბაღ დაეწაფა საკითხავს და ცდილობდა, არაფერი გამორჩენოდა. იგი აღტაცებული იყო ფრანგების გულარხიანი სიმშვიდით, ამ წინააღმდეგობათა ზღვაში თავს ისე ლაღად რომ გრძნობდნენ, როგორც თევზი წყალში.

აზრთა ამ სხვადასხვაობაში ერთმა რამემ გააოცა: წერილების დამრიგებლურმა ტონმა. ვინ თქვა, ფრანგები კეთილი, მეოცნებე ხალხია, უნდობლად უქცევიან ყველაფერს და არაფრისა სჯერათო? ისინი, ვისაც კრისტოფი ზედ-

¹ რიჰარდ შტრაუსი (1864—1949) — გერმანელი კომპოზიტორი და დირიჟორი.

ბოდა, მუსიკალური დოკუმენტით უფრო მეტად იყვნენ აღკაზმულნი, ვიდრე რაინსგალმელი ყველა კრიტიკოსი.

იმხანად ფრანგმა მუსიკალურმა კრიტიკოსებმა მუსიკის შესწავლა განიზრახეს. ესენი დიდი ორიგინალები იყვნენ: თავს იწუხებდნენ თავიანთ ხელოვნებაზე ფიქრით და ცდილობდნენ, დამოუკიდებლად ეაზროვნათ. ფართო საზოგადოება მათ, ცხადია, არ იცნობდა: თავიანთ პაწაწინა ჟურნალებში იყვნენ ჩაჩენილნი და, თუ თითო-ოროლას არ ჩაეთვლით, გზა გახეთქისაყენ არ ჰქონდათ ხსნილი. კეთილი, ჰკვიანი, საინტერესო ხალხი იყო, მაგრამ კარჩაკეტილ ცხოვრებას ხშირად პარადოქსებამდე მიჰყავდა ისინი. მუდამ სიპარტოვეში მყოფთ თავის თავთან ხმამაღალი ლაპარაკი დასჩემდათ; აქედან კი ნაბიჯიდა ყბელობამდე და სხვათა აზრის შეუწყნარებლობამდე. დანარჩენებმა სახელდახელოდ გაიკვეთეს ანა-ბანა ჰარმონიისა და ალტაცებში მოდიოდნენ საკუთარი გენსწავლულობით. ბატონი ჟურდენი¹ მსგავსად, ერთი-ორი გრამატიკული წესი რომ დაისწავლეს, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და წამდაუწუმ გაიძახოდნენ:

— დ, ა, და, ფ, ა, ფა. რ, ა, რა.. გაუმარჯოს მეცნიერებას! ო, რა კარგია, რა კარგია რამის ცოდნა.

ისინი მხოლოდ სიუჟეტსა და კონტრასიუჟეტზე, ობერტონებსა და ტონებსზე, ნონათა რიგსა და მაჟორულ ტერციათა თანმიმდევრობაზე მსჯელობდნენ. ჩამოთვლიდნენ თუ არა, რა პარმონიები ხვდებოდათ მუსიკალური ნაწარმოების ერთ გვერდზე, ნაჯფ შუბლს ამაყად მოიწმენდნენ და ეგონათ, ავსენითო ნაწარმოები. ცოტაც და, ირწმუნებდნენ, ჩვენ თვითონ დაწერეთო იგი. სინამდვილეში კი ყველაფერი სასკოლო ტერმინებში გადაჰქონდათ, მსგავსად მოწაფისა, გრამატიკულ ანალიზს რომ უკეთებს ციკერონის რომელიმე გვერდს. მათში საუკეთესობსაც კი არ შეეძლოთ ისე აღეჭვათ მუსიკა, როგორც ბუნებრივი ენა სულისა და თუ მას პლასტიკური ხელოვნების დანამატად არ აქცევდნენ, მეცნიერების სფეროში ათავსებდნენ და პარმონიულ კონსტრუქციათა პრობლემამდე დაჰყავდათ. ბუნებრივია, რომ ასეთი განსწავლული ხალხი ზემოდან დაუწყებდა ცქერას წარსულის მუსიკოსებს. შეცდომებს პოულობდნენ ბეთხოვენთან, დასცინოდნენ ვაგნერს; ბერლიოზს² და გლუქს ხომ მთლად ამასხარავებდნენ. მათთვის აღარაფერი არ არსებობდა: მოდაში მხოლოდ იოჰანსებასტიან ბახი და კლოდ დებიუსი³ იყო. თანაც პირველი, ვისაც უკანასკნელ წლებში ზომანზე მეტად განადიდებდნენ, ამ ბოლო დროს უკვე დრომოჭმულ

¹ ბატონი ჟურდენი — მოლიერის კომედის „გაანაუჩებული მდაბიო“ (1670) მოქმედი პირი, უზომოდ გამდიდრებული უციცი ბურჟუა.

² ჰექტორ ბერლიოზი (1803—1869) — ცნობილი ფრანგი კომპოზიტორი და მუსიკალური კრიტიკოსი, მუსიკაში რომანტიული მიმართულების მამამთავარი.

³ კლოდ დებიუსი (1862—1918) — ფრანგი კომპოზიტორი.

პედანტად და გულწრფელად რომ ითქვას, ცოტა დარტყმულადაც ეჩვენებოდათ. უკეთესნი კაცნი საიდუმლო ტონით რამოსა¹ და კუპერენს² (კუპერენ დიდად სახელდებულს) განადიდებდნენ.

ამ დიდ მეცნიერებს შორის სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო გამართული. ყველანი მუსიკოსები იყვნენ, მაგრამ არა ერთნაირი ყაიღისა; თვითეულს მიაჩნდა, რომ მხოლოდ მისი თვალსაზრისი იყო სწორი და წყველა-კრულვას უთვლიდნენ თავიანთ განდგომილ თანამომძმეთ. ერთმანეთს გამუდმებით ცრუ ლიტერატორებსა და ცრუ მეცნიერებს ეძახდნენ და თავ-პირს აღწევდნენ სიტყვებით: იდეალიზმი და მატერიალიზმი, სიმბოლიზმი და ვერიზმი, სუბიექტივიზმი და ობიექტივიზმი. კრისტოფი თავის თავს ეკითხებოდა, რა აზრი ჰქონდა საფრანგეთში ჩამოსვლას, თუკი აქაც გერმანული კინკლაობა დამხვედბოდაო. იმის მაგივრად, რომ კარგი მუსიკის მადლიერი ყოფილიყვნენ, მუსიკი-სა, რომელიც ყველას სხვადასხვანაირად ატკობდა, ამტკიცებდნენ, ყველა ერთნაირად უნდა ტკებოდესო. ახალი „საწიგნე“³ ორ ბანაკად ჰყოფდა ფრანგ მუსიკოსებს. ჰარმონიის მომხრეებს იმხანად კონტრაპუნქტის მომხრეებთან ფიცხელი ომი ჰქონდათ გამართული: სვიფტის მსხვილი ბოლოსა და წვრილი ბოლოს მომხრეების⁴ არ იყოს, ერთნი თავგამოდებით ამტკიცებდნენ, მუსიკა ჰორიზონტალურად უნდა იკითხებოდესო, მეორენი არანაკლები ვაკაპასებით გაიძახოდნენ: ჰორიზონტალურად კი არა, ვერტიკალურადო. ერთნი მხოლოდ ნუგბარ აკორდებს, გემრიელ ჰანგებს, ტკბილ ჰარმონიებს სცნობდნენ და მუსიკაზე ისე მსჯელობდნენ, გეგონებოდათ, საკონდიტრო ნაწარმიანო. მეორენი არაფრად აგდებდნენ ისეთ დრომოქმულ რამეს, როგორც ყურია: მუსიკა მათთვის სპარალამენტო კრებაზე წარმოთქმული სიტყვა იყო, სადაც ყველა ერთბაშად ლაპარაკობს და სანამ სათქმელს არ იტყვის, მეზობელს ყურს არ ათხოვებს. მათაც არავინ უჯდებდა ყურს? მერე რა მოხდა! ხვალ მათ სიტყვებს „ოფიციალურ გაზეთში“ დაბეჭდავდნენ. მუსიკა მოსასმენად კი არა და, წასაკითხად იყო განჩენილი. როდესაც კრისტოფმა ჰორიზონტალისტებისა და ვერტიკალისტების დავას (პირველად) მოჰკრა ყური, გაიფიქრა, ყველანი ვაგიჟებულანო. მერე კი, როცა ჩააცივდნენ, მხარი ან თანამიმდევრობის ლაშქარს დაუჭირე, ან ერთდროულობის არმიასო, უბასუხა მისთვის ჩვეული დევიზით, რომელიც მთლად სოზისას⁵ არ ჰგავდა:

1 ეან-ფილმ რამო (1683—1764) — ფრანგი კომპოზიტორი და მუსიკის თეორეტიკოსი.

2 ფრანსუა კუპერენი (1668—1733) ფრანგი კომპოზიტორი.

3 „საწიგნე“ (1683) — ბუალის ჰეროიკულ-კომიკური პოემა, რომელშიაც მოთხრობილია ორი ბერის სულელური დავის ამბავი.

4 „გულივერის მოგზაურობაში“ ჟონთან სეიფტს (1667—1745) მოთხრობილი აქვს ლილი-ქუტაში მომხდარი სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის ამბავი. ბრძოლა იმის გამო ვაიმართა, რომ ვერ მორიდდნენ, რომელი ბოლოდან გაეტეხათ კვერცხი.

5 სოზი — მოლიერის კომედიის „ამფიტრიონის“ (1667) გმირი, გაქნილი და ურცხვი მსახური. მისი სიტყვებია: „ბატონებო, მე ყველა თქვენგანის მეგობარი ვარ“.

— ბატონებო, მე ყველა თქვენგანის მტერი ვარ!

რაკი მინც არ ეშვებოდნენ და ეკითხებოდნენ: მუსიკაში რა უფრო მთავარი, პარმონია თუ კონტრაპუნქტით, მიუგო:

— მუსიკა! აბა, მიჩვენეთ, სადა გაქვთ მუსიკა!

თავიანთ მუსიკაზე ერთნაირი აზრი ჰქონდათ; ეს ძალგულოვანი მეომრები, ფიცხელ ბრძოლებში რომ თავ-პირს ამტკვრევდნენ ერთმანეთს, — თუკი, რა თქმა უნდა, საერთო ძალით არ უტევდნენ ვინმე გარდაცვილილ გენიოსს, ვისმა სახელმაც ერთობ დიდხანს იბოგინა, — ერთში შესანიშნავად თანხმდებოდნენ: ფრანგული მუსიკა ყველას ერთნაირი გატაცებით უყვარდა და მისი უდიდესი პატრიოტები იყვნენ. საფრანგეთი, მათი აზრით, დიდად მუსიკალური ერი იყო და თუკი მოახერხებდნენ, ხმამალა გაიძახოდნენ, გერმანელები დაეცნენო. კრისტოფს ეს სულაც არ სწყინდა. თვითონაც ხშირად გამოუთქვამს ამდაგვარი აზრი და გულწრფელად ვეღარ უარყოფდა. მაგრამ უპირატესობას რომ ფრანგულ მუსიკას ანიჭებდნენ, ეს ცოტა არ იყოს, აოცებდა: თავად გულწრფელად სჯეროდა, რომ ფრანგულ მუსიკას წარსულში თვალსაჩინო კვალი არ გაუელია. ფრანგი მუსიკოსები კი ამტკიცებდნენ, ჩვენს ხელოვნებას უქველეს დროშიაც არ ჰყოლია ბადალიო და, უკეთ რომ განედიდებინათ მშობლიური მუსიკა, მიწასთან ასწორებდნენ გასული საუკუნის ყველა დიდ ხელოვანს, რომლებმაც საფრანგეთს სახელი გაუთქვეს. გამონაკლისი მხოლოდ ერთი მეტისმეტად კარგი, პეტისმეტად წმინდა ხელოვანი იყო და ისიც წარმოშობით ბელგიელი გახლდათ. სხვებს რომ ამგვარად გაუსწორდნენ, უფრო შეეძლოთ აღფრთოვანებულიყვნენ დიდი ხნის წინათ მივიწყებული, ან სულაც უცნობი ძველი კომპოზიტორებით. სამოქალაქო სკოლებისაგან განსხვავებით, წელთაღრიცხვას რომ საფრანგეთის რევოლუციით იწყებენ, მუსიკოსები რევოლუციას უზარმაზარ ქედად თვლიდნენ, რომელზედაც უნდა აცოცებულყავით, რათა კვლავ გეხილათ უკან დარჩენილი ოქროს ხანა ფრანგული მუსიკისა — ხელოვნების ელდორადო. გრძელი, უმთავრო ღამის შემდეგ ოქროს ხანა კვლავ უნდა დამდგარიყო: ირღვეოდა ტინის კედელი; ბგერათა ჯადოქარს კვლავ მოჰყავდა ტურფა გაზაფხული; დაღუპვის პირს მისული ხე მუსიკისა ხელახლა იმოსებოდა ნაზი სამოსელით: ჰარმონიათა წიაღში ათასობით ყვავილი ახელდა ღიმჩამდგარ თვალებს და ახალ გაზაფხულს სიხარულით ეგებებოდა; ისმოდა ვერცხლნაყარი წყაროების ლიკლიკი და ნაკადულების ლალი სიმღერა... ეს სრული იდილია იყო.

კრისტოფს აღაფრთოვანებდა ეს ამბავი. მაგრამ ვაი რომ, როცა პარიზული თეატრებზე აფიშებს შესცქეროდა, თვლებში სულ მეიერბერის, გუნოს, მასნეს, მასკანისა და ლეონკავალოს მეტისმეტად ნაცნობი სახელები ხედებოდა. გაციებით ეკითხებოდა ნაცნობებს: ნუთუ ეს ქალიშვილების გულს ასაჩუყებლად დაწერილი უტიფარი მუსიკა, ეს ხელოვნური ყვავილები და ნელსაცხებელთა

დუქანი არისო თქვენს მიერ აღთქმული არმიდას¹ ბაღები? ფრანგები აღშფოთებით იქნევედნენ თავს: მათი აზრით, უკანასკნელი ნიშატი იყო მომავლადი ეპოქისა; ასეთ რამეებს უკვე აღარავინ აქცევდა ყურადღებას და არც სათვალავში იყო ჩასაგდები. სინამდვილეში კი „სოფლის პატიოსნებას“² დაეპყრო კომიკური ოპერის სცენა, გრანდ-ოპერაში „ჯამბაზები“ ბატონობდნენ, მასწავლა და გუნოს ოპერებს ყველაზე მეტი შემოსავალი ჰქონდათ. მუსიკალურმა სამუბამი: „მინიონმა“³, „პუგენოტებმა“⁴ და „ფაუსტმა“ თავნომწონედ გადააბიჯა რვათასე წარმოდგენის ბარიერს, მაგრამ უთუოდ არც ამას ჰქონდა მნიშვნელობა. თვალი უნდა მოგვხუჭათ და არ შეგემჩნიათ, როცა ჯიუტი ფაქტები აყირავენ ჩვენს თეორიას, ყველაზე იოლი ამ ფაქტების უარყოფაა და ფრანგი კრიტიკოსებიც უარყოფდნენ ამ უხიავ ნაწარმოებებს, უარყოფდნენ საზოგადოებას, რომელიც მათ ტაშს უკრავდა, ცოტაც და, თვით მუსიკალურ თეატრებსაც უარყოფდნენ. ოპერა მათთვის ლიტერატურული ჟანრი იყო და მას არაწმინდა ხელოვნებათა რიგს მიაკუთვნებდნენ (ყველანი ლიტერატორები იყვნენ და არც ერთს აზ სურდა ამის გამოყვანება). ემოციური, აღწერილობითი და ექსპრესიული მუსიკა, ერთი სიტყვით, ყველანაირი მუსიკა, რომელიც რაიმეს გამოხატავდა, არაწმინდად მონათლეს. ყველა ფრანგში ზის რომესპიერი: უეჭველად თავი უნდა მოჰკვეთოს ვინმეს, ან რამეს, რათა განწმინდოს იგი. დიდი ფრანგი კრიტიკოსები მხოლოდ წმინდა მუსიკას ცნობდნენ და სხვა ყველაფერი მდაბიოთა სათრეველად გაგზავნიდათ.

კრისტოფს გული ეკუმშებოდა, რაკი ხედავდა, რომ თვითონაც უბირ ხალხში მოახვედრეს. ცოტა ის უკეთებდა გულს, რომ მთელი ეს მუსიკოსები, რომელთაც თეატრი სძულდათ, თეატრისათვის წერდნენ. მათ შორის ერთიც კი არ მოიძებნებოდა ისეთი, რომ ოპერაში არ ეცადა თავისი ნიჭი. მაგრამ ესეც უთუოდ უმნიშვნელო რამ იყო: ამ კომპოზიტორებზე მათივე სურვილისამებრ, მათი წმინდა მუსიკის მიხედვით უნდა გემსჯელათ და კრისტოფმაც ნათ წმინდა მუსიკას დაუწყო ძებნა.

თეოფილ გუჟარმა ერთი საზოგადოების კონცერტებზე წაიყვანა, რომლის წევრებსაც ნაციონალური ხელოვნების პროპაგანდისათვის შეეწირათ თავი. აქ დიდის გულმოდგინებით სქედდნენ ახალ ტალანტებს. ეს დიდი ძმობა იყო, პა-

¹ არნიდა — დიდი იტალიელი პოეტის ტორკვატო ტასოს (1544—1595) პოემის „განთავი-
! ლულებული იერუსალიმის“ მოქმედი პირი. მშენიერი ჯაღოქარი, შესანიშნავი დაკიდებული
ბაღების პატრონი.

² „სოფლის პატიოსნება“ — მასკანის (1863—1945) ოპერა.

³ „მინიონი“ — ფრანგი კომპოზიტორის ამბრუაზ ტომას (1811—1896) ოპერა.

⁴ „პუგენოტება“ — მეიერბერის ოპერა.

ტარა ეკლესია რამდენიმე სამლოცველოთი. თითოეულ მათგანს საკუთარი წმინდანი ჰყავდა; თითოეულ წმინდანს — საკუთარი მრევლი, რომელიც სიამოვნებით აგინებდა მეზობელი სენაკის წმინდანებს. ყველა ამ წმინდანთა შორის კრისტოფმა თავდაპირველად დიდი განსხვავება ვერც კი შეამჩნია. ის სულ სხვანაირ ხელოვნებას იყო შეჩვეული, ამიტომ, ბუნებრივია, ამ ახალ მუსიკას ვერაფერი გაუგო და მით უფრო ნაკლები ესმოდა, რაც უფრო მეტად იყო დარწმუნებული, მესმისო.

აქ მისთვის ყველაფერი ბინდით იყო მოცული — თითქოს ნისლი დასწოლიაო ყველაფერს; საგანთა მოხაზულობა გამჭრალიყო, ხაზები ირღვეოდა, ქრებოდა, მერე ერთხანს ჩნდებოდა და ისევ ინთქმებოდა. ზოგი მათგანი უხეში იყო, ხეშეში ან უცნაურად წმინაბული; ზოგი კი თარაზოთი გამოყვანილს ჰგავდა, მქვე ქალის იდაყვებივით კუთხოვანი და წაწვეტილი. ტალღისებური ხაზბაც იყო, თამბაქოს ბოლივით დახვეულ-დაკლავნილი. მაგრამ ყველაფერი ნისლში შიმშიძვროდა. ნუთუ მზე აღარ იყო საფრანგეთში? კრისტოფს, ვისაც საფრანგეთში ჩამოსვლის დღიდან წვიმისა და ნისლის მეტი არაფერი უნახავს, ლამის ერწმუნა ეს ამბავი. მაგრამ მტკიცედ სწამდა, რომ მაშინაც კი, როცა მზე აღარ მზეობს, ხელოვნის ვალია თვითონვე შექმნას იგი. პარიზელი კომპოზიტორები თავიანთ ლამპრებს კი ანთებდნენ, მაგრამ ეს ლამპრები ციციანთელებივით იყვნენ: არაფერს ათბობდნენ და ძლავს ბუქტავდნენ. ნაწარმოებთა სათაურები იცვლებოდა: ხან გაზაფხული იყო, ხანაც შუადღე, ხან სიცოცხლის სინარული, ხან სიყვარული, ხან მინდვრებში ხეტიალი, მაგრამ მუსიკა არ იცვლებოდა; ისევ ისეთი ნაზი, ფერმკრთალი, ზანტი და უსიცოცხლო იყო. იმხანად საფრანგეთის მოწინავე ადამიანებს მხოლოდ ჩურჩულით დაწერილი მუსიკა მოსწონდათ და არც ტყუოდნენ, რადგან ხმამალლა ლაპარაკი რომ მოენდომებინათ, უმაღლე აყვირდებოდნენ ხოლმე. მოზომვა არ შეეძლოთ. ან ნატიფი თვლემა უნდა აერჩიათ, ან მელოდეკლამაცია.

კრისტოფი გამოერკვა გარინდებიდან, რომელმაც ის-ის იყო დარია ხელი და თავის პროგრამას დაატკერდა. მის გაცემას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დანიხა, რომ ამ პაწაწინა ნისლის ნაფლეთებს, ნაცრისფერ ზეცას რომ სერავდნენ, კონკრეტული თემის გამოხატვა სურდათ. დიახ, თეორიების მიუხედავად, ეს წმინდა მუსიკა თითქმის ყოველთვის საპროგრამო, ან უკეთეს შემთხვევაში, სიუჟეტური მუსიკა იყო. ლიტერატურას ტყუილად ლანძღავდნენ: ლიტერატურული ყვაფარჩნების გარეშე ბიჭის წადგმაც კი არ შეეძლოთ. ეს უცნაური ყავარჩნები იყო! კრისტოფი ხედავდა იმ სიუჟეტთა საოცარ გულბრყვილობას, რომლის დახატვასაც პარიზელი ოსტატები ასე მონდომებით ცდილობდნენ. ირგვლივ სულ ხეხილის ბაღები, ბოსტნები, საქათმეები, მუსიკალური სამხეცეები და ბოტანიკური ბაღები იყო. ზოგიერთებს ორკესტრისა თუ ფორტეპიანოსათვის მუსიკაზე გადაჰქონდათ ლუვრის სურათები და ოპერის ფრესკები.

კეიპთა¹, ბოდრის², პოლ პოტერიის³ ნახატები და ახსნა-განმარტებებსაც ურთავდნენ, რათა მსმენელს ადვილად გამოეცნო პარისის ვაშლი, ჰოლანდიური დუქანი, ან თეთრი ცხენის გავა. კრისტოფს ეს მოხუცი ბავშვების თამაშს აგონებდა, რომლებსაც მარტო სურათები აინტერესებთ და რაჟი ხატვა არ იციან, თავიანთ რვეულეებში რაც თავში მოუვთ, ყველაფერს ჭლახინიან და ქვეშ დიდრონი ასოებით გულუბრყვილო წარწერებს უკეთებენ: აი, ეს სახლის სურათია, ეს კიდეც— ხისაო.

ამ უსინათლო მხატვრების გვერდით, რომლებიც მხოლოდ ყურით ხედავდნენ, ფალოსოფოსებიც მრავლად იყვნენ. ისინი მუსიკაში მეტაფიზიკურ პრობლემებს წყვეტდნენ. მათი სიმფონიები აბსტრაქტულ პრინციპთა ბრძოლა იყო, ან მსჯელობა რომელიმე სიმბოლოსა თუ რელიგიაზე. თავიანთ ოპერებში იმდროინდელ სოციალურ და იურიდიულ საკითხებსაც ეხებოდნენ: ვთქვათ ქალისა და მოქალაქის უფლებებითა დეკლარაციისა და იმედს არ კარგავდნენ, რომ ოდენ სენაზე გაყარის, მამობის დადგენისა და სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფის საკითხს გაიტანდნენ. ისინი ორ ბანაკად იყვნენ გაყოფილნი: სიმოქალაქო სიმბოლისტებად და კლერიკალურ სიმბოლისტებად. თავიანთ ოპერებში მექველმანე ფილოსოფოსებს, გრიზეტ სოციოლოგებს, წინასწარმეტყველ ზაბაზებს, ქადაგად დაეარდნოდ მეთევზეებს ამღერებდნენ. ჯერ კიდეც გოეთე ლაპარაკობდა მისი დროის ხელოვანთა შესახებ, რომლებიც „კანტის იდეებს თავიანთო ალეგორიული სურათებით გამოხატავდნენ“. კრისტოფის დროის კომპოზიტორები კი სოციოლოგიას დასეოდნენ. ზოლა, ნიცშე, მეტერლინიკი⁴, ბარესი⁵, ჟორესი, მენდესი⁶, სახარება და მულენ-რუჟი⁷ ასაზრდოებდნენ იმ წყალსატევს, საიდანაც სიმფონიებისა და ოპერების ავტორებს თავიანთი აზრები ამოქონდათ. ბევრი მათგანი, ვაგნერის მაგალითით⁸ გაბრუებული, გაიძახოდა: მეც პოეტი ვარო და უცნაური თავმოწონებით თავიანთი ნოტების ქვეშ აწერდნენ ნაუცბათევიად გართმულ, ან სულაც ურითმო სტრიქონებს, დაწყებითი სკოლის მასალას, ან დეკადენტურ ფელეტონებს რომ მოჰგავდნენ.

ეს პოეტები და მოაზროვნეები წმინდა მუსიკის მომხრეები იყვნენ, მაგრამ

1 კეიპები — ჰოლანდიელ მხატვართა ოჯახი. იაკობი (1594—1651), ბენიამინი (1612—1652) და ალბერტი (1620—1691).

2 პოლ ბოდრი (1828—1886) — ფრანგი მხატვარი, რომელმაც პარიზის ოპერის ფოიე, მოხატა.

3 პოლ პოტერი (1625—1654) — ჰოლანდიელი მხატვარი ანიმალისტი და პეიზაჟისტი.

4 მორის მეტერლინიკი (1862—1949) ბელგიელი პოეტი და დრამატურგი, დრამატურგიაში სიმბოლისმის ფუძემდებელი.

5 მორის ბარესი (1862—1923) — ფრანგი მწერალი, რეაქციული პოლიტიკური მოღვაწე, უკიდურესი ინდივიდუალისტი და შოვინისტი.

6 კატულ მენდესი (1841—1909) — ფრანგი მწერალი.

7 მულენ-რუჟი — პარიზის ცნობილი კაფეშანტანი.

8 რიჰარდ ვაგნერი თვითონ წერდა თავისი ოპერების ლიბრეტოებს.

წმინდა მუსიკის წერას მასზე ლაპარაკი ერჩიათ. ხანდახან ზელი წასცდებოდათ და წერდნენ კიდევ. წერდნენ მუსიკას, რომელიც ზრადს გამოხატავდა. უბედურება ის იყო, რომ ზმირად წარმატებასაც კი აღწევდნენ: მათი მუსიკა მსმენელის გულს — ყოველ შემთხვევაში, კრისტოფისას — სრულიად არაფერს ეუბნებოდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კრისტოფს მათი გასაღები არ გააჩნდა.

უცხოური მუსიკა რომ გაიგო, უნდა შეიწუხო თავი და მისი ენა ისწავლო. ნუ კი დაიუბნებ, წინასწარ ვიციო. კრისტოფი, როგორც კეშმარტი გერმანელი, ასე ფიქრობდა, მაგრამ ეპატიებოდა კიდევ. ბევრ ფრანგს ეს მუსიკა მასზე უკეთესად როდი ესმოდა. ლუი XIV-ის დროინდელი გერმანელებისა არ იყოს, გამუდმებით რომ ფრანგულად ლაპარაკობდნენ და ბოლოს იმდენი ქნეს, საკუთარი ენაც დაივიწყეს, XIX საუკუნის ფრანგი მუსიკოსები ისე დიდხანს უგულვებელყოფდნენ თავიანთ ენას, რომ მათი მუსიკა მსმენელთათვის უცხო დიალექტად ქცეულიყო. ამ ბოლო დროსდა გამოიღეს ხელი, საფრანგეთში ფრანგული შემოვიდოთო. ამას ყველა ვერ ახერხებდა: ჩვეულებას მაგრად გაეღვა ფესვი და მათი ფრანგული ბელგიურს წააგავდა, ანდა გერმანული ელფერი ელო. ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ გერმანელს შეეცდოდა მოსვლოდა და რაკი თვითონ ვერაფერი გაუგო, მისთვის ჩვეული თვითდაჯერებით განეცხადებინა: ეს ცული გერმანულია და არც არაფერს გამოხატავსო.

კრისტოფს ექვიც არ ეპარებოდა საკუთარ სიმართლეში. ფრანგული სიმფონიები აბსტრაქტულ დიალექტად ესახებოდა, სადაც მუსიკალური თემები ან ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, ან კიდევ ერთმეორეს მისდევდნენ ისევე, როგორც არითმეტიკულ მოქმედებაში. ამ კომბინაციათა ასახვა სულ ადვილად შეიძლებოდა ციფრებით, ან ასოებით. ერთი თავიანთ ნაწარმოებს სონორული ფორმულის თანდათანობით გაშლა-გაფართოებაზე აგებდნენ, ისე, რომ ფორმულა სრული სახით მხოლოდ უკანასკნელი თავის უკანასკნელ გვერდზე გამოჩნდებოდა, ნაწარმოების ცხრა მეათედის მანძილზე კი ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფებოდა. სხვები აგებდნენ ვარიაციებს ერთსა და იმავე თემაზე, რომელიც ასევე ბოლოს გამოჩნდებოდა, მაგრამ განსხვავება ის იყო, რომ აქ ურთულესით იწყებდნენ და უმარტივესამდე მიდიოდნენ. ეს მეტად რთული სათამაშო იყო. ერთსა და იმავე დროს ძალიან მოხუცებულად უნდა ყოფილიყავით და ძალიან ყმაწვილიც, რომ შეგძლებოდათ მით დატკობოთ. გამომგონებლებსაც დიდძალი ტანჯვის ფასად უჯდებოდათ მათი შექმნა. ერთი ფანტაზიის დაწერას წლობით უნდებოდნენ. თმები უთეთრდებოდათ ბგერათა ახალი კომბინაციების ძებნაში, რათა გადმოეცათ ახალი ბგერათმეხანმებანი. ამბობენ, ესა თუ ის ორგანო წარმოშობს მოთხოვნილებასო და ბგერათმეხანმებანიც საბოლოო ჯამში აზრს წარმოშობდა: ოღონდ ეს აზრი რადაც უნდა დაეკრძალა, უეჭველად ახალი უნდა ყოფილიყო! ავადმყოფურად ეშინოდათ „უკვე თქმულისა“. მათ შორის საუკეთესოებსაც კი ხელ-ფეხი ერთმეოდათ ამ შიშით. იგრძნობოდა, რომ მუდამ

ართოლოვით აღევნებდნენ თვალყურს თავიანთ ნაწარმოებს, შლიდნენ ერთხელ დაწერიალს. ეკითხებოდნენ თავის თავს: „ო, ღმერთო ჩემო, ასეთი რამ სად წამიკითხავს?“ არიან მუსიკოსები, — განსაკუთრებით გერმანიაში, — ვინც მთელ თავიანთ დროს სხვათა ფრაზების შეკოწიწებას ანდომებენ. ფრანგი მუსიკოსები კი იჩხორებოდნენ თავიანთ ფრაზებში და ეჭიბებდნენ, ასეთი რამ ვინმეს სხვაგან ხომ არ უთქვამსო და ფხეჯდნენ, თლიდნენ, ცვლიდნენ თავიანთი ცხვირის ფორმას მანამ, სანამ ისეთ ცხვირს არ მიიბამდნენ, არავის რომ არ ება და ისე არ მოაქცევდნენ, რომ ცხვირსაც აღარ ჰგვანებოდა.

მაგრამ კრისტოფის მოტყუება მაინც ვერ შეძლეს: ამაოდ იგონებდნენ ურთულეს ენას, ამაოდ ბაძავდნენ ზეკაცურ აღმაფრენას, ორკესტრის კონველსიებს, ამაოდ ნერგავდნენ არაორგანულ ჰარმონიებს, თავმომბაზრებულ წონოტონურობას, სარა ბერნარისეულ დეკლამაციას, ტაქტი რომ ეშლებოდა და ნახევრად მივლუპარე უფესკრულის პირას სახედარივით საათობით მიჩაქჩაქებდა... კრისტოფი ამ ნიღბის ქვეშაც ცნობდა მათ პაწაწინა, ცივ და უგერავილო სულელებს, უხამსად ასურნელბულო გუნოსა და მასნეს ყაიდაზე და იმეორებდა გლუჯის უმარტებულო ნათქვამს ფრანგებზე:

— მიუშვით ისინი ნებაზე და უეჭველად მიუბრუნდებიან ძველებურ რამეებს.

ოლონდ თანამედროვე ფრანგები ეცდებოდნენ, რაც შეიძლება ძნელად გასაგები გაეხადათ ეს ძველებური. სორბონის მეცნიერთა დარად ხალხურ სიმღერებს სადოქტორო სიმფონიების თენად ღებულობდნენ. ეს ამ ეპოქის უსაყვარლესი გასართობი იყო. ყველა ქვეყნისა და ხალხის სიმღერებისაგან რიგრიგობით ქმნიდნენ „მეცხრე სიმფონიებსა“ და ფრანკისებურ¹ კვარტეტებს, ოლონდ გაცილებით უფრო რთულსა და ძნელად გასაგებს. რომელიმე მათგანს თავში ნათელი მუსიკალური ფრაზა თუ მოუვიდოდა, რაც შეიძლება სწრაფად შექპონდა მასში მეორე, რომელიც არაფერს გამოხატავდა, მაგრამ საოცარი დისონანსი იყო პირველისა. და მაინც, ყველაფერში ნათლად გამოსჭვიოდა მათი ზომიერება და სიმშვიდე.

ამ ნაწარმოებთა შესრულებისას ერთი ახალგაზრდა, მძვინვარე ღირიჯორი წლებზე ფეხს იდგამდა აწავებულო, ღებულობდა მიქელანჯელოს პოზებს, თითქოსდა სამოქმედოდ მოუხმობდა ბეთჰოვენისა და ვაგნერის ჯარებს. მსმენელებად მაღალი წრის ხალხი ჰყავდა, მოწყენილობისაგან გული რომ ელვოდათ, მაგრამ ქვეყნად არაფრის გულისათვის არ დათმობდნენ პატივს, ემოქნარებინათ ძვირადღირებულ კონცერტებზე. აქვე იყვნენ შეგირდებიც, ბედნიერები იმით, რომ შეეძლოთ თავიანთი მოწაფური განსწავლულობა შემოწმებინათ; და გზალაგზა გამოწველივით გაერჩიათ ნაწარმოებები. ერთნიცა და მეორენიც

¹ ცეზარ ფრანკი (1822—1890) — ფრანგი კომპოზიტორი და ორღანისტი.

გადაქარბებულ ენთუზიაზმს ამქლავნებდნენ. ისეთსავე გადაქარბებულს, როგორც დირიჟორის მოძრაობა და ორკესტრის ზრიალი იყო.

— საუცხოოა! — იტყოდა ხოლმე კრისტოფი, როგორც ჭეშმარიტი პაჩინელი, მაგრამ გაცილებით ადვილია პაჩინული ქარგონი შესწავლო, ვიდრე მისი მუსიკა აითვისო. გერმანელებს, საერთოდ, არ შესწევთ უნარი ფრანგული ხელოვნება გაიგონ და კრისტოფიც ამ ხელოვნებას გერმანელთა ამ თანდაყოლილი თვისებითა და პირადად მისთვის ჩვეული გატაცებით აკრიტიკებდა ხოლმე. მაგრამ ის მართალი კაცი იყო და სიამოვნებით აღიარებდა საკუთარ შეცდომას. თუკი მიუთითებდნენ და დაუმტკიცებდნენ, რომ შეცდა. ამიტომ ერთხელ გამოთქმულ აზრს მონად არ უხდებოდა. და ფართოდ უღებდა კარს ახალ შთაბეჭდილებებს.

ფრანგულ მუსიკაში უკვე ბევრ ტალანტს, საინტერესო თემებს, რიტჰმისა და ჰარმონიის საუცხოო შეხამებას პოულობდა. მელოდიებს აქ ნაზი ქსოვილების სიღბო და ბრწყინვალეობა ახლდათ. მჭევრი ფერები ირეოდნენ; უხეად იხარჯებოდა გონება და ფანტაზია. კრისტოფი სიამოვნებდა ამით და სარგებლობდა კიდევ. ამ პაწაწინა ოსტატებს გაცილებით უფრო მეტი თავისუფლება ჰქონდათ, ვიდრე გერმანელ მუსიკოსებს. ისინი გაბედულად უვლიდნენ გვერდს გათელილ გზას და ტყეში შედიოდნენ. ცდილობდნენ გზა დაბნეოდათ, მაგრამ იმდენად ჭკვიანი ბალღები იყვნენ, რომ ვერ ახერხებდნენ და ოცოვდნენ ნაბიჯის შემდეგ ისევ დიდ გზაზე გამოდიოდნენ. სხვებს ძალა არ ჰყოფნიდათ, მალე იღლებოდნენ და საცა მოუხდებოდათ, იქ ჩერდებოდნენ. ზოგი თითქმის აღწევდა კიდევ ახალ ბილიკებს, მაგრამ იმის მავიერად, რომ გაპყლოდა, ტყის პირას მოიკალათებდა და ხის ქვეშ უქმად ეგდო. მათ ყველაზე მეტად ძალა და ნებისყოფა აკლდათ. ყველანაირი ნიჭი ჰქონდათ მიმადლებული, გარდა ერთისა — ცხოვრების ძალის. ამიტომ ბევრი ენერგია იხარჯებოდა უსაგნოდ. ამ ხელოვანთაგან იშვიათად თუ ვინმეს ჰქონდა შეგნებული თავისი ნიჭის ხასიათი და არც შეეძლოთ მისი წარმართვა ერთხელ დასახული მიზნისაკენ. ეს ფრანგული ანარქიზმის ჩვეულებრივი შედეგი იყო: იგი უამრავ ტალანტსა და ენერგიას ხარჯავდა, რათა უარეყო საკუთარი თავი თავისი ექვემითა და წინააღმდეგობებით. თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბერლიოზისა და სენ-სანსის ტოლა დიდ მუსიკოსებს — ახლანდლებზე რომ არაფერი ვთქვათ — გზა არ არეოდათ საკუთარ თავში და ენერგიის, რწმენისა და მეტადრე შინაგანი ორიენტირის უქონლობის გამო თავი არ წაეგოთ თავიანთი ნიჭის უარმყოფელებს.

კრისტოფიც, იმდროინდელ გერმანელთა მსგავსად, ამპარტავნული ზიზლით ფიქრობდა ხოლმე:

— ფრანგებს ბევრი არაფერი შეუძლიათ და ტყუილად იხარჯებიან გამოგონებებზე, რომლებსაც თავად ვერ იყენებენ. მათ მუდამ სჭირდებათ სხვა ეროვნების მბრძანებელი, გლუკი ან ნაპოლეონი, ვინც მათი რევოლუციებით ისარგებლებს.

და რომ გაიფიქრებდა, შეიძლება ახალი თვრამეტი ბრიუმერი¹ დადგესო, გუნებაში ელიმებოდა.

თუმცა ამ ანარქიის მიღმა მაინც იყო ერთი ჯგუფი, ხელოვანთა გონებაში წესრიგისა და დისციპლინის აღდგენას რომ ცდილობდა. დასაწყისისათვის მას ლათინური სახელი აერჩია, ერთი კლერიკალური დაწესებულების სახელის მსგავსი, რომელიც სულ რაღაც თოთხმეტიოდე საუკუნის წინათ, გოთებისა და ვანდალების² შემოსევის ხანაში ყვაოდა თურმე. კრისტოფს ცოტა არ იყოს, უკვირდა, ასე შორს რად მიდიანო: კარგია, თუ შევიძლია ზევდიან გადმოხედო შენა საუკუნეს, მაგრამ, ვაითუ, თოთხმეტი საუკუნის სიმაღლის კოშკი მოუხერხებელი სთვალთვალო პუნქტი გამოდგეს, საიდანაც მნათობთა მოძრაობისათვის თვალყურის დევნება უფრო ადვილი იქნება, ვიდრე თანამედროვე ადამიანთა მოძრაობისათვისო. მაგრამ ეს შიში ამაო გამოდგა და კრისტოფიც ხელად დამშვიდდა, რაკი დაინახა, რომ წმინდა გრეგუარის³ შვილები თავიანთ კოშკში იშვიათად იკრებებოდნენ. მართო ზარების დასარეკად თუ ავიდოდნენ მალა, დანარჩენ დროს კი ქვევით, ეკლესიაში აჯარებდნენ. კრისტოფი რამდენჯერმე დაესწრო ღვთისმსახურებას და ძლივს მიხვდა, რომ აქაც კათოლიკურ კულტს აღიარებდნენ. თავდაპირველად ეგონა, პატარა პროტესტანტულ სექტასთან მაქვსო საქმე. ნახა მიწაზე გართხმული მრევლი და ღვთისმოსავი, აგრესიული მსახურები, რომელთაც არ იცოდნენ რა იყო შეწყყნარება. თავში მათ წმინდა კაცი ედგათ, გულცივი, თავნება, ოდნავ ბავშვური. იგი თავგამოდებით იცავდა რელიგიური, არტისტული და მორალური დოგმების ერთიანობას, აბსტრაქტული ტერმინებით უხსნიდა რჩეულთა კრებულს მუსიკის სახარებას და მშვილად შეაჩვენებდა გულზევაობასა და ერესს. რენესანსს, რეფორმაციას⁴, თანამედროვე იუდაიზმს — ყველაფერს ერთ ტაფაზე დებდა და სწორედ გულზევაობას მიაწერდა კაცობრიობის ყველა ამ მანკიერებასა და ხელოვნებისეულ შეცდომებს. ებრაელ ჯუსიკოსებს სამარცხვინო სამოსით მოსავდნენ და მათ გამოსახულებას ცეცხლს უკიდებდნენ. ბუმბერაზ ჰენდელს წყებლებით ახურებდნენ. ღვთის წყალობით მხოლოდ იოჰან სებასტიან ბახი გადაურჩა განაჩენს, რადგან უფალი მას „შეცდომით პროტესტანტად“ მიიჩნევდა.

სენ-ჟაკის ქუჩაზე მდებარე ეკლესია მოციქულობას ჩემულობდა: აქ სულებისა და მუსიკის ხსნას ლამობდნენ და მეთოდურად ასწავლიდნენ გენიალუ-

¹ თვრამეტი ბრიუმერი — 18 ბრიუმერს (1799 წლის 9 ნოემბერს) ნაპოლონ ბონაპარტემ მოაღწია ანტირესპუბლიკური სახელმწიფო გადატრიალება.

² გოთები და ვანდალები — ძველი გერმანული ტომები, რომლებიც გალიას IV—V სს. ეპოქაში იყვნენ.

³ წმინდა გრეგუარი (დაახლ. 539—594) — შუა საუკუნეების საფრანგეთის საეკლესიო მოღვაწე და ისტორიკოსი.

⁴ რეფორმაცია — ავტორის მხედველობაში აქვს XVI საუკუნეში კათოლიკური ეკლესიის რეფორმისათვის გაშლილი მოძრაობა.

რობის კანონებს. შრომისმოყვარე შეგირდები დიდი ვაჭირეებითა და აბსოლუტური რწმენით იყენებდნენ მათ რეცეპტებს. თითქოსდა თავიანთი ღვთისმოსაობითა და ჭაფით სურდათ გამოეყიდათ მამა-პაპათა (ობერების¹, ადამების და სხვათა) სიმსუბუქე; განსაკუთრებით ასჯიის წყეული, ეშმაკის მოციქულ ბერლიოზისა, რომელსაც ხორცშესხმულ ეშმაკს, diabolus in musica-ს უწოდებდნენ. ტაძრის ქურუმები სანაქებო მგზნებარებითა დღეშეშაბიტი სასოებით ცნობილ ოსტატთა კულტს ავრცელებდნენ. ათ წელიწადში დიდძალი სამუშაო შესარულეს, ფრანგულ მუსიკას სახე უცვალეს და იგი მარტო კრიტიკოსებს კი არა, ფრანგ მუსიკოსებსაც შეასწავლეს. ახლა უკვე ხშირად ნახავდით კომპოზიტორებსა და ვირტუოზებს, რომლებიც ბახის შემოქმედებას ჩინებულად იცნობდნენ. განსაკუთრებით ბევრს ცდილობდნენ ფრანგული კარჩაკეტილობის დასაძლევად, რადგან შინ ჯდომას შეჩვეულ ფრანგებს კარში გამოსვლა უჭირდათ. ამიტომ მათ მუსიკას ჰაერი არ ჰყოფინდა: ეს საეარძლების, დახუთული ოთახებისა და სალონების მუსიკა იყო. ბეთჰოვენს კი არ ჰგავდნენ, მინდვრებში რომ თხზავდა ფართო ნაბიჯებით მავალი, დარში თუ ავდარში მაღალ მთის კალთებს გზნებით რომ ჩამოირბენდა და ჯოგებს აფრთხობდა ხელების ქნევითა და ხმამაღლა ძახილით. ფიჭრი ნუ გაქვთ, პარიზელი მუსიკოსები ბონელი დათვივით მეზობლებს მყუდროებას არ დაუფრთხობდნენ. თავიანთ ნაწერებში ყველაფერი გაენაზებინათ. ფანჯრებიც დაეგმანათ და ქუჩის ხმაურს შინ არ უშვებდნენ.

„სქოლას“ ჰაერის გაწმენდა სურდა და ფანჯარა გამოაღო, ოღონდ წარსულისაკენ; ქუჩის ნაცვლად ეზოს გადახედეს. ამას კი აბა, რა შედეგი უნდა გამოეღო. მით უმეტეს, თუ საბრალო შინაბერების მსგავსად გაციებისა ეშინოდათ და წამით გაღებულ ფანჯარას მყისვე რაზავდნენ. საკვლიდან შუა საუკუნეების ნიავე შემოიჭრა: ბახი, პალესტრინა² და რამდენიმე ხალხური სიმღერა. მაგრამ განა ეს კმაროდა? ოთახში ისევ დახუთული სუნი იდგა. და ეს მოსწონდათ კიდევ, რადგან თანამედროვე ძლიერი ქარის ქროლას თვითონაც უფრთხობდნენ და თუ სხვებზე მეტი იცოდნენ, სხვებზე მეტსაც უარყოფდნენ. მუსიკა მათ ხელში დოგმატურ ხასიათს ღებულობდა და სრულიად გამოირიცხავდა დასვენების მომენტს. კონცერტები ისტორიის გაკვეთილებად და გონების საწრთვენელ ვარჯიშობად იქცეოდა. მოწინავე აზრებს აკადემიურს ხდიდნენ. ბოლოქარო, დიდი ბახი მარჯვედ მოეთოკათ და ეკლესიის წიაღში ღებულობდნენ. მისმა მუსიკამ სქოლასტიკოსთა გონებაში ისეთივე ცვლილება განიცადა, როგორც შმაგმა და გრძნობადმა ბიბლიამ ინგლისელთა წარმოსახვაში. მათი დოქტრინები არისტოკრატიული ეკლექტიზმის კვალს ატარებდნენ. მუსიკოსები VI საუკუნიდან XX საუკუნემდე არსებული სამი-ოთხი დიდი მუსიკალური ეპოქის ნიშანტა შერი-

¹ დანიელ ოპერი (1782—1871) — ფრანგი კომპოზიტორი. წერდა უმთავრესად ოპერებს.

² პალესტრინა ჯოვანი პერლუჯი (1525—1594) — იტალიელი კომპოზიტორი, სასულფერო მუსიკის ავტორი.

გებას ცდილობდნენ. ეს რომ მოეხერხებინათ, იმ ჰიბრიდული შენობის მუსიკალურ ასლს მიიღებდნენ, ვესტინდოეთში ერთმა მეფის ნაცვალმა რომ ააგო სამყაროს ოთხივე კუთხიდან მოზიდული ძვირფასი მასალით. მაგრამ ფრანგული სალი გონება შეელოდა წმინდა გრეგუარის შეგირდებს და ასეთ უკიდურესობაში არ ვარდებოდნენ. არც თავიანთი თეორიების გამოყენებას ჩქარობდნენ. ისე უცქეროდნენ ამ თეორიებს, როგორც მოლიერი უცქეროდა თავის ექიმებს: რჩევას კი ჰკითხავდნენ, მაგრამ არ ასრულებდნენ. მათ შორის უძლიერესთა თვისი გზა ჰქონდათ; დანარჩენები კი კონტრაპუნქტში ვარჯიშით იტყევედნენ თავს და თავიანთ ნაცოდვილარ სონატებს, კვარტეტებსა და სიმფონიებს უწოდებდნენ.

„სონატა, სონატა, რა გინდა ჩემგან?“ საწყალს არაფერი უნდოდა, მარტონის იხევებოდა, სონატას დამამსგავსეთო, მაგრამ ეს კომპოზიტორები სონატაშიც კი რალაც უსიცოცხლო, ნაძალადევი აბსტრაქტულსა და ანონიმურ აზრს დებდნენ. გამოდიოდა ნოტარაქსის ხელოვნება. და კრისტოფი, ვინც ადრე მოხიბლული იყო იმით, რომ ფრანგებს ბრამსი არ უყვარდათ, რწმუნდებოდა, რომ საფრანგეთში უამრავი პატარა ბრამსი ცხოვრობდა. ეს კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე და შეგნებული მუშაკები სათნობით სავსენი იყვნენ. კრისტოფი მათი სამყოფელიდან ერთობ განსწავლული, მაგრამ მოწყენილი გამოვიდა. აქ ჩინებული იყო ყველაფერი...

და მაინც, რამდენად სჯობდა გარეთ!

თუკა პარიზში, ამ მუსიკოსთა შორის რამდენიმე დამოუკიდებელიც ერია. ისინი არ ეკუთვნოდნენ არც ერთ სკოლას და სწორედ მათ შეეძლოთ კრისტოფის დანტერესება, რადგან ხელოვნების სიცოცხლისუნარიანობის საზომად მხოლოდ ისინი თუ გამოდგებოდნენ. სკოლები და დაჯგუფებანი მარტო ზედაპირულ მოდასა და შეთითხნილ თეორიებს გამოხატავს. დამოუკიდებელ ხელოვნათ კი, თავიანთ თავში რომ იკეტებიან, შეუძლიათ თავიანთი დროისა და რასის ჭეშმარიტი აზრი აღმოაჩინონ. ოღონდ უნდა ითქვას, რომ თვით ამ გარემოების წყალობით ისინი უცხოელთათვის სხვებზე უფრო ძნელი გასაგები არიან.

სწორედ ასე მოხდა, როცა კრისტოფმა პირველად მოისმინა ის ასგზის ნადიდები ნაწარმოები, რომელზედაც ფრანგები ათას უცნაურ რამეს გაიძახოდნენ. ნოგაერთს ის უდიდეს მუსიკალურ რევოლუციადაც კი მიაჩნდა უკანასკნელი ათი საუკუნის მანძილზე (თავიანთი საუკუნის იქით ვერ იხედებოდნენ და რას დაგიდედნენ საუკუნებს).

თოფილ გუჟარმა და სილვენ კონმა კრისტოფი „პელეასისა და მელისანდეს“¹ მოსწავლად კომპოზიტორის ოპერაში წაიყვანეს. ამ ნაწარმოებს ისე უჩვენებდ-

¹ პელეასი და მელისანდე — კლოდ დებიუსის ოპერა, შექმნილი მეტროლინის ამავე სახელწოდების დრამის საფუძველზე.

ნენ, თითქოსდა მისი ავტორები თავად ყოფილიყვნენ. გავკრით ისიც უზახრეს, აქ დამასკოში მიმავალ გზას იპოვიეთო. წარზოდგენა უკვე დაწყებული იყო, მაგრამ სჯა-ბაასს მანინც არ წყვეტდნენ. კრისტოფმა ძალით გააჩუმა აინი და სმენად იქცა. პირველი აქტის შემდეგ გაიხედა სილვენ კონისაკენ, რომელიც თვალეზგაბრწყინებული ეუბნებოდა — აბა, რას იტყვი ამაზეო, — და ჰკითხა:

— სულ ასე იქნება?

— დიახ.

— კი მაგრამ, რომ არაფერია?

კონმა გაოცებით შეჰკივლა, უთხრა, ფილისტერი ხარო.

— არაფერიც არ არის, — განაგრძობდა კრისტოფი, — არც მუსიკა, არც განვითარება, არც თანმიმდევრობა, არც რაიმე აზრი. ერთობ დახვეწილი ჰარმონიება, მოხდენილი საორკესტრო ეფექტები... მაგრამ არაფერს გამოხატავს, სრულად არაფერი...

მერე ისევ მიუვლო ყური. თანდათან განათდა ფარანი. ბინდბუნდში რალაც საგნებზეც გაარჩია. გრძნობდა, რომ ეს წინასწარგამიზნული ზომიერება იყო ვაგნერისეული იდეალიზმის წინააღმდეგ, რომელიც დრამას მუსიკის ტალღებში აღრჩობს. მაგრამ თავს მანინც ეკითხებოდა ერთგვარი ირონიით, მსხვერპლის გაღების სურვილი იქედან ხომ არ მოდის, რომ წირავენ იმას, რაც არ გააჩნიათო. რადგან გრძნობდა, ავტორი შრომას გაურბოდა და წარმატებისათვის გაურჯელად სურდა მიეღწია. მისი სიზარმაცე ვერ ეგუებოდა სერიოზულ შრომას, რომელსაც მოითხოვენ ვაგნერისეული მძლე კონსტრუქციები. მაგრამ ეს სადა, უბრალო და ჩუმი დეკლამაცია მანინც მოეწონა კრისტოფს, ოღონდ ცოტა მონოტონური კი მოეჩვენა და როგორც ჰემშარიტმა გერმანელმა, სიმართლეს მოკლებულადაც მიიჩნია. რაც უფრო მეტს ცდილობენ ბუნებრივად ილაპარაკონ, მით უფრო ცხადი ხდება, რომ ფრანგული ენა მუსიკას ვერ იგუებს: იგი საამისოდ ერთობ მკაცრი, ლოგიკური, მტკიცე და თუმცე შინაგანად სრულყოფილი, მაგრამ ჰერმეტიულად ჩაკეტილიაო. და მანინც, ცდა საინტერესო იყო და კრისტოფიც მოხიბლული ჩანდა ამ რევოლუციური რეაქციით, რომელიც ვაგნერის მოუთოკავი, აღზევებული რომანტიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეტყობა, ფრანგი მუსიკოსი ირონიული თავშეკავებით ცდილა ყველა გრძნობა სმადებლა გამოეთქვა. სიყვარულიცა და სიკვდილიც ხმის აუწყევლად განოეხატა. ორკესტრის თრთოლვა ბაგეთა თრთოლვას გაგონებდათ და მხოლოდ მელიოდირი ხანის სუსტ რხევაზე თუ მიხედებოდით, რა ცეცხლი ტრიალებდა გულში. თითქოს ხელოვანი თავისი თავის გამქლავნებას ერიდებოდა. იგი უზადო გემოვნების პატრონი იყო და ალლო იშვიათად ღალატობდა. მხოლოდ მაშინ, როცა მასში ყველა ფრანგის გულში მთვლემარე მასნე იღვიძებდა და ლირიზმში ვარდებოდა, მაშინ ჩნდებოდა ქერა კულულები, ალისფერი ბაგე და მესამე რესპუბლიკის ბურჟუა ქალი თავდადებულ მიჯნურს განასახიერებდა. მაგრამ ეს გამოწაკლისი იყო; წამიერი შესვენება ავტორის ნების წინააღმდეგ. სჯავან სულ რა-

ფინირებული სისადავე ბატონობდა, მოჩვენებითი სისადავე, რომელიც მართლა სადა კი არ არის, არამედ ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვით მოიპოვება და ძველი საზოგადოების ნაზ ყვავილს წარმოადგენს. კრისტოფისთანა ახალგაზრდა ბარბაროსს მხოლოდ სანახევროდ შეეძლო მისით დატკობა. ყველაზე მეტად კი თვით პოემა, ოპერის ლიბრეტო აღიზიანებდა. ეგონა, ხანშიშესულ პარიზელ ბანოვანს შეხვდა, თავს ძალად რომ იბავშვებს და მოითხოვს, ფერიათა ზღაპრები მიაშვებო. ეს ვაგნერისეული ლონდრე აღარ იყო, რაინისპირა მსუქან გოგოსავით სანტიმენტალური და ღონღლი; მაგრამ არც ფრანკო-ბელგიელი ასული იყო უკეთესი თავის სალონური ცუტრუმელობითა და მანქვა-გრებით: („კულულები“, „მტრედები“, „მამიკო“)... პარიზელთა სულები ამ პიესაში იცქირებოდნენ და ისიც შელამაზებული პორტრეტებით ირეკლავდა მათსავე დათენილ ფატალიზმს, ბუღუარების ნირვანასა და ღუნე მელანქოლიას. ნებისყოფის კვალიც არ ჩანდა. არავინ იცოდა რა უნდოდა. არავინ იცოდა, რას აკეთებდა.

„ჩემი ბრალი არ არის! ჩემი ბრალი არ არის!“ — კენსოდნენ ეს დიდი ბალები. მთელი ხუთი აქტის მანძილზე — სულ მუდამ ბინდბუნდში — ტყეში, გამოქვაბულში, მიწისქვეშეთსა და მიცვალებულის ოთახში რომ მიმდინარეობდა, პაწაწინა სამოთხის ჩიტები ძლივს ფართქალებდნენ. საბრალო ჩიტები! ისეთი ნაზები იყვნენ, ისეთი თბილები და ისე ლამაზები... მაგრამ საოცრად ეშინოდათ დღის სინათლის, უხეში სიტყვებისა და ეესტების, ცხოვრებისეული გნებებისა. ცხოვრება დახვეწილი როდია. მას უხელთათმანო ხელი უნდა წაავლო.

კრისტოფს ესმოდა შორეული ზარბაზნების გრიალი, პირისაგან მიწისა რომ აღგვიდა ამ დაღლილ ცივილიზაციას, პატარა მომაკვდავ საბერძნეთს.

იქნებ ქედმაღლური სიბრაღული იყო, კრისტოფს ყველაფრისდამიუხედავად გულში ამ ნაწარმოებისადმი სიმპათია რომ ჩაუნერგა? ყოველ შემთხვევაში, დაანტერესა უფრო მეტად, ვიდრე თავს უტყდებოდა და თუმცა თეატრიდან გამოსვლისას ჭიუტად უპასუხა სილვენ კონს, ერთობ ნატიფია, ერთობ დახვეწილი, მაგრამ Schwing (გაქანება) აკლია და შიგ ჩემთვის საკმარისი მუსიკა ვერ გამოვეო. „პელეასს“ სხვა ფრანგულ მუსიკალურ ნაწარმოებებში არ რევდა. ნახლში მოკიფე ეს ფარანი ანდამატურის ძალით იზიდავდა კრისტოფს და ნახლში მოციმციმე სხვა ფანტასტიკურ სინათლებსაც უჩვენებდა, მის ირგვლივ რომ ტრიალებდნენ. ეს მოკიფე ჩირაღდნები ახლებდა: უნდოდა ახლოს მისულა და გაეგო, როგორ ანათებდნენ, მაგრამ არც ისე ადვილი იყო მათი დაქერა. თავისუფალი მუსიკოსები, ვის ნაწარმოებებსაც კრისტოფი არ იცნობდა, მაგრამ გაცნობა კი გულით სწადდა. ხალხს გაუბროდნენ. ეტყობათ, არ სჭირდებოდათ სხვების თანაგრძნობა და სიმპათია, როგორც კრისტოფს. თითო-ოროლას გამოკლებით ძალიან ცოტას კითხულობდნენ, ცოტას იცნობდნენ და მეტის გაცნობის სურვილიც არ ჰქონდათ. გარემოებათა თუ საკუთარი ნების წყალო-

ბით თითქმის სუყველა განდევნილი ცხოვრობდა, თავის ვიწრო ნაქუქში ჩაკეტილი, კოლეგებზე ხელჩაქნეული, ქვეყნის მოძულე და თუმცა ისედაც ცოტანი იყვნენ, უამრავ ურთიერთმოქიშვე ჯგუფებად დაყოფილი ერთმანეთს ვერ ეგუებოდნენ. უზომოდ გაამყებულნი იმდენად ეჭვიანები იყვნენ, რომ ვერ იტანდნენ ვერც თავიანთ მტრებს, ვერც მეტოქეებს, ველარც მეგობრებს, თუკი ისინი გაბედავდნენ და მათ ნაწარმოებს ერთობ ცივად, ან მეტისმეტი აღტაცებით, უცნაურად, ან მეტისმეტად ბანალურად შეაქებდნენ. შეუძლებელი იყო მათი გულის მოგება და ბოლოს ყველამ საკუთარი კრიტიკოსი გაიჩინა. ეს ნდობით აღჭურვილი კრიტიკოსები ბატონის ფერხთით ფრთხილად დარაჯობდნენ და უღრენდნენ ყველას, ვინც მათი კერპის ხელყოფას გაბედავდა. უზომო ქებით გათამამებულნი, დაბრმავებულნი იმ წარმოდგენით, მათ მომხრეებსა და თვიონ რომ ჰქონდათ საკუთარ თავზე, თავიანთ ნიქსა და ხელოვნებას საღი გონებით ვეღარ სჯიდნენ. გულბრყვილო ფანტაზიორებს რეფორმატორებად მოაქონდათ თავი. ალექსანდრიელი არტისტები ვაგნერობას ჩემულობდნენ. თითქმის სუყველა შეჯიბრების მსხვერპლი ხდებოდა: ყოველ ცისმარე ღღეს უფრო და უფრო მალა უნდა ამხტარიყვნენ, გაცილებით უფრო მალა, ვიდრე გუშინ და გაცილებით უფრო ზევით, ვიდრე მათი მეტოქეები. ამ ხტუნვა-თამაშში ზოგჯერ კისერსაც იმტრევენდნენ. შეჯიბრების შედეგები კი რამდენიმე პროფესიონალს თუ აინტერესებდა. მაყურებლის აზრს არაფრად ავლებდნენ. მაყურებელსაც გული არ შესტიოდა მათთვის. მუსიკა ხალხს იყო მოწყვეტილი და თავის თავში ჩაკეტილი, თავისივე თავით, მუსიკითვე იკეებებოდა. კრისტოფს კი მტიციედ სწამდა, — ყალბი იყო თუ ქეშმარიტი ეს წარმოდგენა, — რომ ქვეყნად არც ერთ მუსიკას ისე არ სჭირდებოდა გარეთ დასაყრდენის ძებნა, როგორც ფრანგულ მუსიკას. ამ სათუთსა და ტანსუსტ მცენარეს არ შეეძლო საყრდენების გააუშე არსებობა: ფრანგული მუსიკა ლიტერატურული ყვარჯნების გარეშე ფონს ვერ გადიოდა და მხოლოდ თავის თავში ცხოვრების მიზანს ვერ პოულობდა. სუსტი ფილტვები ჰქონდა, სისხლნაკლული იყო და უნებისყოფობა ღრღნიდა. ის იმ დათენთილ დიაცსა ჰგავდა, მოძალადე მამრს რომ ელოდება; მაგრამ ბრილიანტის ფარღულით მკერდდამშვენებული ეს ჩია, ფერმკრთალი ბიზანტიის დედოფალი მხოლოდ საჭურისებით: სნობებით, ესთეტებით, კრიტიკოსებით იყო გარშემორტყმული. თვითონ ერი არ იყო მუსიკოსი და ამ ოცი წლის წინათ ზარ-ზეიმით აღიარებული გატაცება ვაგნერთა და ბეთოვენით, ბახითა და დებიუსით ერთ კასტას არ სცილდებოდა. კონცერტთა სიუხვე, მუსიკალურ წარღვნად ქვეული, მაყურებელთა გემოვნებას, მის რეალურ მოთხოვნილებას არ პასუხობდა. ეს უცნაური მოდა იყო, რომელიც მხოლოდ რჩეულთ ეხებოდა და რყენიდა. მუსიკა სიყვარულით მხოლოდ ერთ მუქა ხალხს უყვარდა და ისიც უმთავრესად არა კრიტიკოსებსა და კომპოზიტორებს — ვინც მას ყველაზე მეტ დროს უთმობდა. საფრანგეთში ხომ ასე ცოტაა მუსიკოსი, ვისაც ჭუსიკა ქეშმარიტად უყვარს.

ასე ფიქრობდა კრისტოფი და ავიწყდებოდა, რომ ყველგან ასე იყო; ავიწყდებოდა, რომ გერმანიაშიც ძალიან ცოტა მოიძებნებოდა ნამდვილი მუსიკოსი, რომ ხელოვნებაში მხოლოდ თითო-ორი ზეგარდმო მადლით ცხებული შემოქმედია სათვალავში ჩასადგები და არა ათასები, რომელთაც მისი არაფერი ვაუგებათ. პატივსაცემია ერთეულები, მართლა რომ უყვართ მუსიკა და ემსახურებიან კდევ ზვიადურ მოკრძალებით. ასეთები თუ უნახავს საფრანკეთში? ბევრი ნიჭიერი კომპოზიტორი და კრიტიკოსი თავისთვის, ჩემად მუშაობდა ქვეყნის ყაყანს მოშორებული — როგორც წარსულში ფრანკი, როგორც თანამედროვე კომპოზიტორთაგან უპირველესნი. ვინ იცის, რამდენი ხელოვანი გაატარებს მთელ თავის სიცოცხლეს ჩრდილში იმისათვის, რომ ვინმე ყურნაღისტს, ვინც შემდეგ მის მეგობრობასაც დაიჩემებს, მიუბყრას დიდება და პატივი გენიოსის აღმოჩენისა. ეს დაუცხრომელი მუშაკები არ დაეძებდნენ არც სახელს, არც საკუთარ კეთილდღეობას, აგურ-აგურ აღადგენდნენ საფრანკეთის წარსულ დიდებს და ხალხში მუსიკალური განათლების შეტანით მის. მომავალ დიდებასაც უმზადებდნენ ნიადავს. აქ რამდენი კაცი იყო ისეთი, რომლის მრავალმხრივი ნაჭი, დამოუკიდებლობა და უსაზღვრო ცნობისწადილი მიიზიდავდა კრისტოფს, მათი გაცნობა რომ შეძლებოდა. მაგრამ ჯერ თითო-ორი სათვის თუ მოეკრა თვალი, ისიც შემთხვევით და მათი ნაზრების კარიკატურულ სახეს იცნობდა მხოლოდ. ხედავდა მხოლოდ ნაკლს, პრესის კომივოიადორებისა და ხელოვნების წამხედურა მიიმუნების მიერ გაზრდილსა და გაზვიადებულს.

ეს მუსიკალური პლებსი თავისი ფორმალისმით გულს ურევდა. ერთადერთი, რაზედაც კამათობდნენ, ეს ფორმა იყო. გრძნობებზე, ხასიათებსა და სიცოცხლეზე სიტყვაც კი არ იყო თქმული. არც ერთ მათგანს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ქეშმარიტი მუსიკოსი მიწყვიტებულ სამყაროში ცხოვრობს, სადაც დღეები ისე მატყუვება დღეებს, როგორც უწყვეტი მუსიკის ნაკადი. პაუზი, რომლითაც სუნთქავს და ცა, თავს რომ დანათის — ყოველივე მუსიკა არის; თვით სულიც მისი მუსიკაა; მუსიკაა ყველაფერი, რაც უყვარს, ეჯავრება, რისიც ეშინა. ჩინი იმედოც აქვს, რასაც განიცდის. თუ მუსიკალურ სულს მოსწონს ლაპაზი ტანი, მას ისე აღიქვამს, როგორც მუსიკას. სატრფოს თვალები. მას რომ ღიბლავენ, არ არიან ცისფერი, არც ჭროლა, არც თაფლისფერი: ისინი მუსიკაა, და მათი შემხედვარე სული მათ ისე შეიცნობს, როგორც ღვთიურ აკორუს ჯმშვენიერესს. ეს შინაგანი მუსიკა ათასჯერ უფრო მდიდარია, ვიდრე ის, რომელიც მას გადმოსცემს; კლავიატურა უფრო სუსტია, ვიდრე დამკვრელი. გენიოს ძალა განიზომება სიცოცხლის ძალით, რომლის გამოწვევასაც ცდილობს ხელოვნება — ეს არასრულყოფილი ინსტრუმენტი. მაგრამ განა ამას ბევრი გრძნობს საფრანკეთში? ქიმიკოსთა მოდგმას მუსიკა ბევრათა უბრალო კომბინაცია ჰგონია. სად წიგნი და სად ასოები! კრისტოფი მხრებს იჩივდა, როცა ესმოდა მათა ნათქვამი: ხელოვნება რომ გავიგოთ, ადამიანისაგან ანსტრაქცია უნდა მოვხდინოთ. ის კი არა და, კმაყოფილებიც იყვნენ თავიანთი პარადოქსებით:

ეგონათ, ამით თავიანთ მუსიკალობას ატყვიებდნენ. თვით გუჟაჩასაც კი, ამ სულელ გუჟაჩს, ვისაც ვერაფრით ვერ გაეგო, ზეპირად როგორ სწავლობდნენ მუსიკალური ნაწარმოების ერთ გვერდს, და სთხოვდა კრისტოფს, ამიხსენითო ეს სასწაული, თავის მოვალეობად მიაჩნდა განემარტა, რომ ბეთჰოვენის სულის სიმაღლესა და ვაგნერისეულ მგრძობელობას იმაზე მეტი ადგილი როდი ექრებათ მათ ხელოვნებაში, ვიდრე მოდელს — მხატვრის მიერ დახატულ პორტრეტში.

— მაშასადამე, — უთხრა ბილოს მოთმინებადაკარგულმა კრისტოფმა, — თქვენთვის ლამაზ სხეულს თავისთავად არავითარი არტისტიკული ღირებულება არ ჰქონია. არც ძლიერ ვენებას! უგუნურებო! განა არ იცით, რომ სრულქმნილ სახეს შეუძლია მის ამსახველ სურათს კიდევ უფრო მეტი მოჰხიზველეობა შემატოს? და რონ სულიერი სილამაზე მუსიკასაც ალამაზებს?.. საცოდავებო, თქვენ მხოლოდ ხელობა გაინტერესებთ? ოღონდ ნაწარმოები კარგად იყოს დაწერილი და სულ ერთია, რას გამოხატავს? უგუნურებო, თქვენ იმ ხალხს ჰგავხართ, რომელიც ყურს არ უგდებს ორატორის სიტყვას, მხოლოდ მისი ხმის ქლერა ესმის, მის ჟესტიკულაციას უმიზერა და ასკვნის, საუცხოოდ ლაპარაკობსო. უგუნურებო!.. იდიოტებო!..

მაგრამ კრისტოფს მარტო ერთი რომელიმე თეორია კი არ აღშფოთებდა, არამედ ყველა თეორია ერთბაშად. ამ ბიზანტიური დისპუტებით გული ჰქონდა გაწყალღებული; მობეზრდა გაუთავებელი საუბრები მუსიკასა და მხოლოდ მუსიკაზე, რაც საუკეთესო მუსიკასაც კი სამუდამოდ ხალისს გაუფუჭებდა. კრისტოფი მუსორგსკისავეთ ფიქრობდა, ურიგო არ იქნება, მუსიკოსებმა დროდადრო თავი ანებონ თავიანთ ჰარმონიებსა და კონტრაპუნქტს, საინტერესო წიგნება წაიკითხონ და შეიძინონ ცხოვრებისეული გამოცდილებაო. მარტო მუსიკა არ კმარა მუსიკოსისათვის: ამ გზით ვერ შეძლებს დაჭაბნოს საუკუნე და ვერც არარაობაზე ამაღლდება. ცხოვრება! მთელი ცხოვრება! ყველაფრის ნახვა და ყველაფრის შეცნობა. ქეშმარიტების სიყვარული. მართლის ჰიება. აი, რას უნდა ესწრაფოდეს იგი, რათა ხელთ იგდოს ქეშმარიტება — მშენიერი პანტეზილეა, ამორძალთა დედოფალი, ყველას რომ კბენს, ვინც კი კოცნას გაუბედავს.

კმარა მუსიკალური სალაყბოები! ჰარმონიათა სამზარეულოს მთელი ეს მიეთ-მოეთი ვერ ასწავლიდა კრისტოფს, როგორ ეპოვა ახალი ჰარმონია, რომელიც უჩინულს კი არა და, ცოცხალ არსებებს ემსგავსებოდა.

მან ზურგი შეაქცია დოქტორ ვაგნერებს¹, წამლის შუშაში რომ ცდილობენ ჰომუნუქულუსის გამოყვანას, გამოექცა ფრანგულ მუსიკას და შეეცადა პარიზის საზოგადოების ლიტერატურულ წრეებში შეერგო თავი.

¹ დოქტორი ვაგნერი გოეთეს „ფაუსტის“ მოქმედი პირია. ცდილობდა კოლბში გამოეყვანა ჰომუნუქულუსი — ხელოვნური ადამიანი.

სხვა მილიონობით ადამიანის მსგავსად, კრისტოფიც პირველად ყოველ-
დღიური გაზეთებით გაეცნო იმდროინდელ ფრანგულ ლიტერატურას. რაკი
სურდა, რაც შეიძლება ჩქარა შეეთვისებინა ყველაფერი და თან ენაშიც გაწა-
ფულაყო გადწყვობა, გულდასმით შეესწავლა ის გაზეთები, რომლებზედაც
უთხრეს, ყველაზე მეტად პარიზულიაო. პირველ დღეს სხვა შემადრწუნებელ
ამბებს შორის, რომელთა დაწვრილებითი აღწერითა და ფოტოებით მთელი
სვეტები იყო გავსებული, წაიკითხა ნოველა მამაზე, თავის თხუთმეტი წლის
ქალთან რომ წვებოდა. ეს ამბავი ისე იყო წარმოდგენილი, როგორც სრულიად
ბუნებრივი და გულის ამაჩუყებელი რამ. მეორე დღეს იმავე გაზეთში წაიკითხა
ნოველა მამასა და მის თორმეტი წლის ვაჟზე, რომლებიც ერთ ქალთან წვე-
ბოდნენ. მესამე დღეს წაიკითხა ნოველა და-ძმაზე, რომლებიც აგრეთვე ერთად
წვებოდნენ. მეოთხე დღეს ორ დაზე, რომლებიც ერთად წვებოდნენ. მეხუთე
აღდეს.. მეხუთე დღეს ზიზლით მოისროლა გაზეთი და სილვენ კონს ჰკითხა:

— ნეტა რა გკირთ? ავად ხომ არა ხართ?

სილვენ კონს გაეცინა და უთხრა:

— ეს ხელოვნებაა, ძმაო.

კრისტოფმა მხრები აიჩეჩა.

— დამცინით?!

— სრულიადაც არა. აბა, შეხედეთ!

და კრისტოფს უახლესი ანექტა უჩვენა ხელოვნებასა და მორალზე, სადაც
გადაკრით იყო ნათქვამი, რომ „სიყვარული აკეთილშობილებს ყველაფერს“,
რომ „მგრძნობელობა ფერმენტია ხელოვნებისა“, რომ „ხელოვნება არ შეიძლე-
ბა ამორალური იყოს“, რომ „მორალი იეზუიტური აღზრდით თავსმოხვეული
პირობითობაა“ და „მხოლოდ სურვილის დიადობააო სათვალავში ჩასაგდები“. პარიზული
გაზეთები ერთხმად ქადაგებდნენ სიწმინდეს რომანისას, სადაც სუ-
ტენიროთა ყოფა იყო ასახული. ანექტის მოპასუხეთა შორის მრავლად იყვნენ
ნიჰიერი მწერლებიცა და უმკაცრესი კრიტიკოსებიც. ერთი ვინმე პატარა პოე-
ტი, ბურჟუა-კათოლიკე, ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა წიგნს, სადაც საბერძნე-
თის ზნედაცემულობა დაწვრილებით იყო განხილული. ლირიკული რეკლამები
განადიდებდნენ რომანებს, სადაც საუკუნეთა გარყვნილება იშვიათი გულმოდგი-
ნებით იყო გადაშლილი. რომი, ალექსანდრია, ბიზანტია, იტალიური და ფრანგუ-
ლი რენესანსი, დიდი XVII საუკუნე... ეს სრული კურსი იყო. ეტიუდების მეო-
რე ციკლი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეს მოიცავდა: კეთილსინდისიერი მწერ-
ლები მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის მრუშობის ამბებს ბენედიქტიანელ
ბერთა მოთმინებით, გულმოდგინედ ამუშავებდნენ. ამ ისტორიკოსებისა და
ეთნოგრაფების დასში დიდი პოეტებიც ერივნენ და უნიჰიერესი პროზაიკოსე-
ბიც, მაგრამ ისინი სხვათაგან მხოლოდ ერუდიციით თუ გამოირჩეოდნენ და
ძველთაძველი მრუშობის ამბებს უზადო სტილით გადმოსცემდნენ.

სავალალო იყო ცქერა იმისა, რომ ეს პატიოსანი და ჰემმარიტად ხელოვანი

ხალხი, რომელსაც ფრანგულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში საპატიო ადგილი ღირსეულად დაეკავებინა, თავს არ იზოგავდა იმ საქმისათვის, რაც მისი მოწოდება არ იყო. ბევრი მათგანი, მეორეხარისხოვანი მწერლების დარად, ქანცს იწყვეტდა იმ სისაძაგლეთა წერაში, რომლებსაც დილის გაზეთები ულუფე-ულუფობით ასალებდნენ. ისინი კევრცხისმღებელი ქათმებივით დებდნენ კევრცხებს ზუსტად დანიშნულ დროს, კვირაში ორჯერ, თხზავდნენ და თხზავდნენ დაუსრულებლივ... ეს ამბავი წლობით გრძელდებოდა: მაშინაც კი, როცა აღარაფერი ჰქონდათ სათქმელი და ტვინს იჭყუტდნენ, რათა როგორმე გამოეღნოთ რაიმე ახალი, უხამსი, გაუგებარი რამ. მკითხველს კი მოყირკებული ჰქონდა ყველაფერი და მთლად წრეგადასული სითამამე, ყველაზე უფრო ცხარე კერძებიც კი უგემურად ეჩვენებოდა. მწერლებიც ტყავიდან ძვრებოდნენ, რომ ეთქვათ უფრო მეტი, ვიდრე გუშინ, უფრო მეტი, ვიდრე სხვები იტყოდნენ. გულ-გვაჰს იბრუნებდნენ, სისხლს ანთხევდნენ და იქმნებოდა რაღაც გროტესკული და საცოდავი სანახაობა.

კრისტოფი არ იცნობდა ამ უმადური ხელობის ყველა მხარეს, და რომც სცოდნოდა, მაინც არ შეუნდობდა მათ, რადგან, მისი აზრით, ქვეყნად ვერაფერი ვერ გაამართლებდა ხელოვანს, ვინც თავის ხელოვნება ოცდაათ ვერცხლად გაყიდა.

— მაშინაც კი, როცა საყვარელი არსების კეთილდღეობისათვის იღვეწის?

— მაშინაც!

— კაცთმოყვარეობა?

— კაცთმოყვარეობა რა შუაშია. კაცური კაცი უნდა იყო. ღმერთმა დაგვიფაროს თქვენი უნიათო ჰუმანიზმისაგან... ერთბაშად ოცი რამის სიყვარული არ იქნება: არც მრავალი ღმერთის თაყვანისცემა!..

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე, მას შემდეგ, რაც შრომის ჭაპანს ეწეოდა, კრისტოფი თავისი პატარა გერმანული ქალაქის ჰორიზონტს არ გასცილებია და ვერც კი წარმოედგინა, რომ ეს არტიტულ წრეთა გაბრწყინლება, რომელსაც მთელი პარიზი წოეცვა, თითქმის ყველა დიდ ქალაქს მოსდებოდა. ამიტომ მასში იღვიძებდა მემკვიდრეობითი ზიზლი „წმინდა გერმანიისა“ „ზნედაცემული ლათინური რასისადმი“. სილვენ კონს სულ ადვილად შეეძლო შეეხსენებინა მისთვის ის ამბები, რაც შპრეეს ნაპირებზე ხდებოდა და პარიზელთა აღვირახსნილობისათვის დაეპირისპირებინა. შეეძლო ეჩვენებინა ზნედაცემულობა გერმანული იმპერიის ელიტიან, რომლის უხეშობაც მის შერცხვენას კიდევ უფრო გულისამრევს ხდიდა. მაგრამ სილვენ კონი ნიშნის მოგებას არ აპირებდა. ის ვერც გერმანელთა და ვერც პარიზელთა ზნეობაში ვერ ხედავდა ვერაფერს სათაჯილოს. ყველა ერს თავისი ზნე-ჩვეულებანი აქვსო, — იტყოდა ირონიულად და ბუნებრივად მიაჩნდა ბიწიერება იმ სამყაროსი, რომელშიაც ცხოვრობდა. კრისტოფს ისღა დარჩენოდა ეფიქრა, ეს თვით ერის ბუნება არისო და თავის თანამემამულეთა დარად იმ წყლულში, რომელიც ყველა ქვეყნის

რეტელექტუალურ არისტოკრატიას ღრღნიდა, შეცდომით მასაც ლათინურ რა-
სათა დაცემა, ხელოვნებისეული მანკი დაენახა.

პირველი კონტაქტი პარიზულ ლიტერატურასთან მისთვის სამძიმო შეიქ-
ნა და დიდხანს ვერ მოახერხა ამის დავიწყება. თუმცა ცოტა როდი იყო ისეთი
ნაწარმოები, რომელშიაც მხოლოდ იმაზე კი არ იყო საუბარი, რასაც ერთ-ერთმა
მწერალმა მოკრძალებით „არსთა ძირეული შესაქცევარი“ უწოდა. მაგრამ მათ
შორის უკეთესსა და საუკეთესოს კრისტოფამდე ვინ მიუშვებდა. ეს ნაწარმოე-
ბები სილვენ კონის მოწონებას არ დაგიდევდნენ; მის აზრს არად ავღებდნენ და
არც სილვენ კონები იტყებდნენ თავს მათი კითხვით. უბრალოდ, არც კი იც-
ნობდნენ ერთმანეთს. სილვენ კონს კრისტოფთან თავის დღეში კრინტიც არ
დაუძრავს ამ ლიტერატურაზე. თვითონაც მთელის არსებით სწამდა, რომ ფრან-
გულ ხელოვნებას მართონ ისა და მისი მეგობრები განასახიერებდნენ; რომ იმათ
გარდა, ვისაც ისინი დაწინაურებდნენ გვირგვინით ამკობდნენ, არ იყო არავითარი ნიჭი,
არ იყო საფრანგეთი, არ არსებობდა ხელოვნება. კრისტოფმა არაფერი იცოდა
დიდ პოეტებზე, საფრანგეთის უგვირგვინო მეფეებზე, საფრანგეთის მშვენივალად
რომ ითვლებოდნენ. ის რომანისტებს იცნობდა მხოლოდ და საერთო უსახურო-
ბის ქაობიდან დროდადრო თუ ამოტივტივდებოდნენ ბარესისა და ანატოლ ფრან-
სის ნაწარმოებები. მაგრამ კრისტოფი ჯერ კიდევ არ იყო კარგად განსწავლული
ფრანგულ ენაში და არ შეეძლო დამტკბარიყო ერთის ერთდირებული ირონი-
თა და მეორის გრძობადი ინტელექტით. ერთხანს მანაც ცნობისმოყვარეობით
უშვებდა ანატოლ ფრანსის სათბურებში გამოყვანილ ფორთოხლის ნერგებსა
და მქრალ ნარცისებს, ბარესის სულის სასაფლაოს რომ ამკობდნენ. წუთით მე-
ტერლინკის ოდნავ გულუბრყვილო, ოდნავ ამაღლებული გენიის წინაც შედგა.
მონოტონური, სალონური მისტიციზმი გამოსჭვიოდა მასში. მეტერლინკს თავი
დააღწია და ზოლას მღვრიე რომანტიზმის ნაყადში მოხვდა, რომელსაც წინა-
ცაც იცნობდა. ერთი კი ამოიყურაყუმელავა, მაგრამ მალე ლიტერატურულმა
წარღვნამ მთლად წააღწია.

ამ წალეკილ მიზღვრებს ზემოთ odor di femina — ქალის სურნელი დაჰქ-
როდა. მამინდელი ლიტერატურა საესე იყო ქალებითა და ქალაჩუნა მამაკაცე-
ბით... კარგია, როცა ქალები წერენ, ოღონდ თუ გულწრფელად ხატავენ იმას,
რაც ვერც ერთმა მამაკაცმა ვერ შეიძინო ბოლომდე — ქალის სულის ბნელ
კუნჭულებს. მაგრამ ძალიან ცოტა ბედავდა ამას. უმეტესობა მხოლოდ იმიტომ
წერდა, რომ კაცები მიეზიდა და თავიანთ წიგნებშიც ისეთივე თვალთმაქცი
იყვნენ, როგორც სალონებში. თავს უგემურად ილამაზებდნენ და ექველურე-
ბოდნენ მკითხველ საზოგადოებას. მას შემდეგ, რაც სულიერი მოძღვარი და-
კარგეს, ვისაც ანდობდნენ ხოლმე თავიანთ წერილმან შეცოდებებს, მთელ საზო-
გადოებას ეუბნებოდნენ აღსარებას. რომანების წვიმა წვიმდა და ეს რომანები
თითქმის ყოველთვის მანერული და უხამსი იყო. მათი საუბარი ნაძალადეგ ტი-
ტრის მოჰგავდა, ენას ნელსაცხებელთა დუქნის მძიმე, თბილი და მოტკბო სუნი

უდიოდა. ამ სუნიტ მთელი ლიტერატურა იყო გაყდენთილი. კრისტოფი გოეთეს დარად ფიქრობდა: „დე, ქალებმა რაზღენიც უნდათ, იმდენი წერონ ლექსები და მოთხრობები; მაგრამ ვერ ვიტან, როცა მამაკაცები იწყებენ დიაცებივით წერას!“ კრისტოფს არ შეეძლო ზიზლით არ ეცქირა ამ სანტიმენტალური მანკვისა და საეჭვო კეკლუცობისათვის, რაც უმთავრესად უდირის მამაკაცთა საამებლად იყო გამიზნული. არ შეეძლო არ დაეგმო ეს გატყუარქული, უხეში სტილი უნიათო ფსიქოლოგებისა.

მაგრამ კრისტოფი თვითონ რომ კარგი მსაჯული ვერ იყო, ამასაც ხვდებოდა. სიტყვების რახარუხისაგან ყური ჰქონდა გასენილი და ამ საერთო ორომტრიალში ფლეიტის საამო ჰანგების დაქერას ვერ ახერხებდა. ვენბატეხილ ნაწარმოებთა შორის იყო ისეთებიც, რომლებშიაც კამკამა ცახე ატიკის მათა ნატიფი კონტურები ღიმილივით იხატებოდა. აქ იზოდენა ნიქი იყო. იმდენი გრაცია, სიცოცხლის ხალისი, ნატიფი სტილი და ფიქრები, რომლებიც პერიუჩინოსა და ჭაბუკ რაფაელის პირმშვენიერ ყრმათა დარად, თვალბმბმბენდინი უღიმოდენ თავიანთ სასიყვარულო ოცნებას. მაგრამ კრისტოფი ვერაფერს ამჩნევდა. გონების ამ ნაკადთა არღებობას მას არაფერი უშეღავნებდა. თვით ფრანგიც კი ვერ შეიცნობდა მათში თავის თავს. ერთადერთი, რაც უცილობლად შეეძლო ეთქვა, ის იყო, რომ მთელი საზოგადოება შეეპყრო სტიქიურ უბედურებად ქცეულ სამწერლობო ციებ-ცხელებას. ეილა არ წერდა: კაცები, ქალები, ბავშვები, ოფიცრები, არისტოკრატები, კომედიანტები და ყაჩაღები. ნამდვილი ეპიდემია იყო.

კრისტოფი ჭერ მოერიდა დასკვნების გამოტანას. გრძნობდა, რომ ისეთ მეგზურს, როგორც სლვენ კონი იყო, შეეძლო მისთვის გზა-კვალი სულ აერია. ერთ გერმანულ ლიტერატურულ წრესთან ნაცნობობის გამოცდილება უღვივებდა ამ უნდობლობას. ექვის თვლით უცქეროდა წიგნებსა და ჟურნალებს: ვინ იყო თავდები იმისა, რომ ეს წიგნები მხოლოდ ასიოდე უქნარას აზრს არ გამოხატავდნენ და მათ ავტორის გარდა სხვა ვინმეც კითხულობდა? თეატრი საზოგადოების უფრო სწორ სურათს იძლევა. პარიზის ყოველდღიურ ცხოვრებაში მას განუზომლად დიდი ადგილი ეკავა. ეს პანტატარუელის სამზარეულო იყო და მანც არ კმაროდა ორი მილიონი სულის გასამდებად. ოცდაათამდე დიდი თეატრი, — გარეუბნების თეატრებსა, კაფეშანტანებსა და სხვადასხვა სანახაობებზე რომ არაფერი ვთქვათ, — ყოველ საღამოს პირთამდე იყო სავსე. მსახიობთა და თანამშრომელთა ჯარი ჰყავდათ: მარტო ოთხი სუბსიდირებული თეატრი დაახლოებით სამი ათას კაცს ითვლიდა და ათ მილიონს ხარჯავდა წელიწადში. პარიზი თავყანს სცემდა თავის კომედიანტებს; ყოველ ნაბიჯზე უამრავი ფოტოსურათი, ნახატი და კარიკატურა იმეორებდა მათ გრიმანებს, გრამფონები — მათ ხმას, გაზეთები — გამონათქვამს ხელოვნებასა და პოლიტიკაზე. მათ საკუ-

1 პერუჯინო (1446—1524) — იტალიელი მხატვარი, რაფაელის მასწავლებელი.

თარი პრესაც ჰქონდათ, სადაც აქვეყნებდნენ თავიანთ გმირულსა და ინტიმურ მემუარებს. სხვა პარიზელთა, ამ უსაქმურ ბავშვთა შორის, რომლებიც მთელ თავიანთ დროს სხვის წამხედურობაში ატარებდნენ, სრულქმნილ მაიმუნებს პირველობა დაეჩემებინათ და დრამატურგები მათი პირისფარეშები გამხდარიყვნენ. კრისტოფმა სთხოვა სილვენ კონს, ჩრდილთა და ანარეკლთა საპეფოში შემეცნაო.

მაგრამ სილვენ კონი აქ უფრო საიმედო მეგზური როდი იყო, ვიდრე წიგნების სამყაროში და პირველი შთაბეჭდილება, რომელიც კრისტოფმა მიიღო მისი წყალობით პარიზული თეატრებიდან, პირველი წიგნებიდან მიღებულ შთაბეჭდილებაზე ნაკლებ გულის ამრევი არ ყოფილა. ეტყობოდა, გონებრივი პროსტიტუცია ყველგან თანაბრად იყო გაშეფებული.

სიამოვნებით მოვაქრენი ორ სკოლად გაყოფილიყვნენ: ერთი ძველ, მამა-პაპურ ყაიდაზე იყო მომართული და უყვარდა უხამსი, გულლიად მორთმეული ამბები, ფიზიკური სიმბინჯე, ნიფხავ-პერანგისამარა მამაკაცები, ჭარისკაცური ოხუნჯობა და სიშლედე; ცხარედ შეზავებული კერძები, კერძო კაბინეტები, — „მამაკაცური გულახდობა“ (როგორც თავად უწოდებდნენ), აღვირაბსნილობასა და მორალს რომ არიგებს, რადგან ოთხი აქტი უხამსობის შემდეგ კანონიერი ცოლი, რომელიც ქმრის დლაატს აპირებდა, ათასნაირი შემთხვევითობისა და გაუგებრობის წყალობით, კანონიერი ქმრის საწოლში აღმოჩნდებოდა ხოლმე (ოლონდ კანონი გადარჩეს და, სათნობაც გადარჩება). ეს გიჟმაჟი პატიოსნება, რომელიც იცავს ქორწინებას და მას გარყვხილების იერს აძლევს, გალურ ბუნებას ამელავნება.

მეორე modern style-ის¹ გამოხატულება იყო და ბევრად უფრო რაფინირებული და გულის ამრევი გახლდათ. გაპარიზებული ურიები (და გაებრაელბული ქრისტიანები), პარიზის თეატრებში რომ ფუსფუსებდნენ, მასში ნერგავდნენ გრძნობათა აზღაუბლას, რაიც განმასხვავებელი ნიშანია გადაგვარებული კოსმოპოლიტიზმისა. ამ ვაჟბატონებს საკუთარი მამებისა ერცხვინებოდათ, ცდილობდნენ ზარი ეთქვათ ეროვნულ თვითშეგნებაზე და შედეგსაც კარგს აღწევდნენ; მას შემდეგ, რაც საუკუნობრივი მეგვიდრეობა განიძარცვეს, აღარაფერი დარჩათ ვარდა კნინი ინდივიდუალობისა, რაც მარტო იმისათვის თუ გამოდგებოდა. რომ სხვა ხალხების ინტელექტუალური და მორალური ფასეულობანი ერთმანეთში აერიათ. გამოდიოდა რაღაც დომხალი — olla podrida² და ნით ეძლეოდნენ აღტაცებას. პარიზული თეატრების კორიფეები გრძნობასა და ტალახს ერთმანეთში ურეკდნენ, სათნობას ბიწიერების ელფერს აძლევ-

¹ modern style — თანამედროვე სტილი (ინგლ.).

² olla podrida — ცხარე ვინეგრეტი (ესპ.).

დნენ, ბიწიერებას — სათნოებისას, ასახიჩრებდნენ თაობათა, სქესთა, ოჯახის წევრების, მეგობრების ურთიერთობას, მათ ხელოვნებას sui generis¹ სუნი უდიოდა; ერთმანეთში არეულიყო ბალდამისა და ნელსაცხებლის სუნი და ამას „ამორალიზმს“ უწოდებდნენ.

მათი უსაყვარლესი გმირი იმხანად მოხუცი შეყვარებული იყო. თეატრები ხალხს ასეთი პორტრეტების მდიდარ გალერეას სთავაზობდნენ. ამ ტიპის ხატვისას საშუალება ეძლეოდათ ათასგვარი დელიკატური რამის გამოფენისა. საშოც წელს მიტანებულ გმირს ხან თავისი ქალი ჰყავდა მესაიდუმლედ და თავისი საყვარლის ამბებს მას მოუთხრობდა. ქალიც თავის საყვარლებზე ელაპარაკებოდა. ძმურად ეთათბირებოდნენ ერთმანეთს. კეთილი მამა შვილს ქმრის ლალატში ეხმარებოდა. გულაჩუყებული კეთილი შვილი კი მამას მოღალატე სატრფოს წინაშე მოციქულობდა, სთხოვდა, მამაჩემს დაუბრუნდიო და ოჯახის წიაღში აბრუნებდა. ხან ღირსი მოხუცი თავად იყო სატრფოს გულის მესაიდუმლე, თვითონ იწვევდა სასაუბროდ, სხვა საყვარლებზე ალაპარაკებდა და ამაში ერთგვარ სიამოვნებასაც კი ჰპოვებდა. საყვარლები აქ უზადო ჭინტლმენები იყვნენ, თავიანთ ყოფილ ხარჭათა საქმეებს მომგებიანად განაგებდნენ და თვალყურს ადევნებდნენ მათ გარიგებებსა და კომერციას. მძალი საზოგადოების ქალები ქურდები იყვნენ, მამაკაცები — სუტენიორები, ქალიშვილები — ლესბიელები. და ყველაფერი ეს უმდიდრეს საზოგადოებაში ხდებოდა, ერთადერთ საზოგადოებაში, რომელიც სათვალავში იყო ჩასაგდები, რადგან ფუფუნების მაცდური საფარველი თვალს უბამდა მუშტრებს და გაფუჭებული საქონლის გასაღებას აადვილებდა. ასე შენიღბულ საქონელს ადგილზევე იტაცებდნენ. და თუმცა ყველაფერს ლეშისა და პარამხანის პასტილის სუნი სდიოდა, ბერიკაცები და ყმაწვილი ქალები მაინც ტყებოდნენ.

მათი სტილი მათ გრძნობებზე ნაკლებ ჰრელი როდი იყო. მეტად რთული ჟარგონი შექმნეს, საზოგადოების ყველა ფენისა და ქვეყნის გამოთქმებით შეზავებული, კაფეშანტანური, პედანტური, კლასიკური, ღირიჟლი, პრეციოზულა, უთაბოლო, მიკიბულ-მოკიბული, ფარისევლური, გაპრანჰული, სხვადასხვაგვარი უხამსობითა და მახვილსიტყვაობით აღკაზმული, რომელთაც თითქოს უცხოური ელფერი ედო. ეს ტაკიმასხრული იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ირონისტები კეშმარტ მახვილგონიერებას იყვნენ მოკლებულნი, მაგრამ თავიანთი მოხერხების წყალობით მაინც თხზავდნენ სახუმარო ამბებს პარიზელთა გემოვნების მიხედვით. მერე რა, რომ ბუდეც ბაროკულ ყაიდაზე ჰქონდათ მოჩუქურთმებულ-მოლამაზებულ, სინათლეზე ხომ ბრწყინავდნენ მაინც. და ეს საკმარისი იყო. ყველანი კვიანები იყვნენ, დაკვირვების უნარიც შესწევდათ, მაგრამ შორს ვერ ხედავდნენ; თვალნი გაბეცებოდათ საუკუნეთა განმავლობაში დახლთან დგომით, ლუბით სინჯავდნენ გრძნობებს, აღიღებდნენ პატარ-პატარა

¹ sui generis — მეტად თავისებური (ლათ.).

საგნებს და დიდს კი ვერ ამჩნევდნენ. ზიზილ-პიპილებს აშკარა უპირატესობას ააღვლენდნენ და ძალა არ შესწევდათ სხვა რამ დაეხატათ, გარდა იმისა, რაც მათ სწობიჭმსა და მეტიჩრობას იდეალურ ელევანტურობად ეჩვენებოდა. წერდნენ ერთი მუჰა ავანტიურისტებისა და ცხოვრებამოყირქებულ რაინდთა შესახებ, მონარქული ფულითა და ზენდაცემული ქალებით ტკობაში ერთმანეთს რომ ეცილებოდნენ.

ხანდახან მათი არსების ბნელ კუნჭულებში ებრაელ მწერალთა ნამდვილი ბუნება ილვიძებდა და შემთხვევით ნასროლი სიტყვა გაისმოდა, როგორც საიდუმლო ექობით გამოწვეული იდუმალი გამოძახილი. მაშინ ეს უჩვეულო ხარვეი იყო რასებისა და საუკუნეების. ზღვების შორეული ნაპირებიდან მონაბერ უდაბნოს სუნთქვას პარიზულ ალკოვებში შეჰქონდა თურქული ბაზრის მყარალი სუნის ქვიშათა ელვარება, მთვრალი მგარძნობელობა, პალუცინაციები, წყევლა-კრულვა, გახელებული ნევროზი, რომელსაც კონეულსიებამდე ბევრი აღარაფერი უკლდა, და ნგრევის დაუოკებელი წყურვილი. სამსონი¹, საუკუნეების მანძილზე წყვილიადში რომ იჯდა, უეცრად მძვინვარე ლომივით დგებოდა და გაშნაგებით არყევდა ტაძრის სვეტებს, რომ თავადაც დანთქმულიყო და დაენტქა შიგ მყოფი მტრის ლაშქარიც.

კრისტოფმა ცხვირი დაიციო და სილვენ კონს უთხრა:

— ძლიერია, მაგრამ აყროლებული. მეყოფა; სხვა რამე ვნახოთ.

— სხვა რაღა გინდათ?

— საფრანგეთი.

— ეს საფრანგეთია! — მიუგო კონსა.

— შეუძლებელია საფრანგეთი ასეთი იყოს.

— საფრანგეთიც ასეთია და გერმანიაც.

— ვერ დავიჯერებ; ასეთი ვრი ოც წელსაც ვერ გაძლებს. უკვე მძორის სუნი უდის. სხვა რამეც უნდა იყოს.

— ამაზე უკეთესი აღარაფერია.

— სხვა რამეც იქნება, — დაიკინა კრისტოფმა.

— ჩვენში ამალღებული სულებიც არიან, — უთხრა კონსა, — და მათი შესაფერისი თეატრებიც. ეს გაინტერესებთ? ამასაც გაჩვენებთ.

და მან კრისტოფი „ფრანგულ თეატრში“ წაიყვანა.

იმ საღამოს თანამედროვე, პროზად დაწერილ კომედიას თამაშობდნენ, რომელიც იურიდიულ საკითხებისადმი იყო მიძღვნილი.

1 სამსონი — ბიპლიური თქმულების თანახმად ებრაელი დევგამირი, რომელიც ფილისტელებმა მოტყუებით იგდეს ხელთ, თვლები დასთარეს და მონად გაიხადეს. ერთხელ, როცა ტაძარში შეიყვანეს, სამსონმა ხელი ჰკრა ორ სვეტს და გადაჰქცია. ტაძარი დაინგრა და ქვეშ მოიყოლა სამსონიცა და მისი მტრებიც.

კრისტოფმა თავიდანვე ვერ გაიგო, რომელ ქვეყანაში ხდებოდა მოქმედება. მსახიობთა ხმა ზომავზე მეტად მაღალი, დინჯი და გამოზომილი იყო. გაბმით, დამარცვლით წარმოთქვამდნენ სიტყვებს, თითქოსდა ტრაგიკული სლოკინით კი-სხულობენ ალექსანდრიულ ტაეპებს, ანდა დიქციის გაკვეთილებს ატარებენო. მიხრა-მოხრაც ისეთი საზეიმო ჰქონდათ, თითქოს ღვთისმსახურებას ასრულებდნენ. გმირი ქალი ისე იყო გამოხვეული თავის პენტუარში, როგორც ბერძნულ ტოგაში. თავის ლამაზ კონტრალტოს ვნების მომგვრელად აორთოლებდა და ხელგაწვდილი, სხვის ცოდვათა მიმტვევებელი, მსხვერპლად შეწირული კრავის იერით მარადიულ ანტიგონეს განასახიერებდა. კეთილშობილი მამა ფარიაკაობის მასწავლებელივით დაალაჯებდა სცენაზე, ავბედილი ღირსებით აღკაზმულ-ში, შავით შემოსილი რომანტიზმის დარად. ყინულივით ცივი ახალგაზრდა პრემიერი თავს ძალას ატანდა, რომ ყელიდან ქეთიანის მსგავსი ხმა ამოსვლოდა. პიესა ტრაგედია-ფელეტონის სტილში იყო დაწერილი: აბსტრაქტული სიტყვებით, ბიუროკრატიული ეპითეტებით, აკადემიური პერიფრაზებით სავსე. არც ერთი მოულოდნელი მოძრაობა. არც ერთი მოულოდნელი ძახილი. თავიდან ბოლომდე ყველაფერი საათივით იყო აწყობილი. იყო დასმული საკითხი, დრამატული სქემა, პიესის ჩონჩხი და ზედ ხორცი არ ება, წიგნისმიერი რჩებოდა ყოველი. იმ აზრებში კი, თავი თამამად რომ სურდათ ეჩვენებინათ, პატარა, გაბღენძილი ბურჟუას მფრთხალი აზრები და გამაძლარი სული იმალებოდა.

ქალი ვასცილდა უღირს მეუღლეს, რომელთანაც ბავშვი ჰყავდა და გაჰყვა პატიოსან კაცს, ვინც გულთ უყვარდა. საჭირო იყო დამტკიცება, რომ ამ შემთხვევაშიც, გაყრა, რომელსაც საზოგადოებრივი აზრი გმობდა, თვით ბუნების მიერაც იყო დაგმობილი. ეს სულ ადვილად ხერხდებოდა: აეტორი ისე მოაწყობდა საქმეს, რომ პირველი ქმარი შემთხვევით კვლავ ეუფლებოდა ყოფილ მეუღლეს. შემდეგ კი... ნაცვლად იმისა რომ ქალს სინიდისის ქენჯნა ეგრძნო, სირცხვილს დაეტანჯა და უფრო მეტად შეეყვარებინა მეორე ქმარი, პატიოსანი ადამიანი, რაც სრულიად ბუნებრივი და მოსალოდნელი იყო, იწყებოდა გრძნობა-გრძნობის ზებუნებრივი, გმირული ქიდილი. იყო ზებუნებრივიად სათნო — ეს სულაც არ არის ძნელი. ფრანგი მწერლები მაინცადამაინც კარგად არ იცნობენ სათნობას და ნოტს აყალბებენ, როცა მასზე სურთ საუბარი. შეუძლებელი ხდება დაჯერება, თითქოს სულ კორნელისეულ გმირებთან — ტრაგედიის მეფეებთან გქონდეთ საქმე. ან კი რით არ არიან მეფეები ეს მილიონერები და გმირი ქალუბნი, ვისაც სულ ცოტა, ერთი ოტელი მაინცა აქვთ პარიზში და სოფლად კიდევ ორი თუ სამი კომუნი, ამ რანგის მწერლებისათვის სიმდიდრე ხომ სილამაზე და თითქმის სათნობაც არის.

მაგრამ კრისტოფს პიესაზე უფრო მაყურებელი აოცებდა. ამ ხალხს, როგორც ჩანს, არავითარი არაბუნებრიობა არ აკრთობდა. სადაც საჭირო იყო, ესე იგი, სადაც აეტორი წინასწარ ამცნობდათ სასაცილო რამ უნდა ეთქვა, მოემზადეთო და ჩაურთავდა ფრაზას, რომელსაც ხალხი უნდა გაეცინებინა, გულია-

ნად იცინოდნენ. მაშინ კი, როცა ტრაგიკული თოჯინები საყოველთაოდ მიღებული წესის თანახმად სლუკუნებდნენ, ბლადონენ, ან გული უწუხდათ, მაყურებლებიც აცემინებდნენ, ახველებდნენ და გრძნობამორეულნი ცრემლად იღვრებოდნენ.

— ვინ თქვა, ფრანგები ქარაფშუტა ხალხიაო, — შესძახა კრისტოფმა, როცა წარმოდგენა დასრულეს.

— ყველაფერს თავისი დრო აქვს, — მიუგო ღრეჭით სილვენ კონმა, — თქვენ სათნოება გასურდათ? ხომ ხედავთ, სათნოება კიდევ ყოფილა საფრანგეთში.

— ეს სათნოება კი არა, მჭევრმეტყველებაა! — თქვა კრისტოფმა.

— სათნოება ჩვენს თეატრებში მუდამ მჭევრმეტყველია.

— ეს სასამართლოს სათნოებაა, სადაც გამარჯვება ყველაზე უფრო ყბედს რჩება ხოლმე. მეჩაგრებიან ადვოკატები. განა პოეტები დაილია საფრანგეთში? სილვენ კონმა პოეტურ თეატრში წაიყვანა იგი.

საფრანგეთს ბევრი პოეტი ჰყავდა; ძალიან დიდი პოეტებიც, მაგრამ თეატრის კარი მათთვის დახშული იყო. იგი რითმოსნებს ეპყრათ. თეატრი იგივეა პოეზიისათვის, რაც ოპერა მუსიკისათვის; ანუ როგორც ბერლიოზი ამბობს: „Sicut amori li: panar“¹.

კრისტოფმა მრავალ ნახა კურტიზანი პრინცესები, რომლებიც სიწმინდის გულსაათვის მეძაობდნენ და კიდევაც ამაყოზდნენ ამით. მათ გოლგოთაზე აღმავალ ქრისტეს აღარებდნენ. ნახა მეგობრები, ვინც მეტისმეტი ერთგულებისაგან მეგობარს ღალატობდნენ, სამთა ცოლ-ქმრობა ნამუსიანი, მოტყუებული, ჭენტლმენი ქმრები (ამ ტიპს, უბიწო მეძავის მსგავსად, მთელს ევროპაში გაედგა ფესვი). მარკ მეფის² მაგალითმა ყველას თავბრუ დაახვია და მას, როგორც წინდა ჰუბერტის ირემს,³ თუ არ შარავანდელით მოსილს, სხვაგვარად ვერც კი წარმოიდგენდნენ. კრისტოფმა ნახა გალანტური, აშიკი ქალებიც, რომელთა გულში, ჭიშკლის მსგავსად, ვნება და მოვალეობა ებრძოდა ერთმანეთს. სიყვარული უკარნახებდათ გაპყოლოდნენ ახალ საყვარელს; მოვალეობა კი მოითხოვდა დაბრუნებოდნენ ძველ, მოხუც საყვარელს, ვინც მათ ფულებს აძლევდა და ვისაც, სწავთა შორის, კიდევაც ღალატობდნენ. ბოლოს, გმირულად მოვალეობას ირჩევდნენ ხოლმე. კრისტოფის აზრით, ეს მოვალეობა დიდად არ განსხვავდებოდა ბოლწ ანგარებისაგან. მაგრამ მაყურებელი კმაყოფილი ჩანდა. სიტყვა „მოვა-

1 რაიც საროსკაოა სიყვარულთან შედარებით“.

2 მარკ მეფე — სწელო საუკუნეების რომანის „ტრისტან და იზოლდას“ გმირი. ქმარი, რომელიც მოლატე მეუღლეს შეუნდობს ხოლმე.

3 წინდა ჰუბერტის ირემი — კათოლიკური ლეგენდა მოვითხრობს, რომ წმინდა ჰუბერტი, მონაღარეთა მფარველი, ქრისტიანად მოაქცია ირემმა, რომლის რქებშიაც შარავანდელით მოსილი ჭვარა ელავდა.

ლებოა“ მისთვის საკმარისი იყო. არსს აღარ დაგიდევდნენ: რეკლამა ფარავდა საქონელს.

უდიდეს ხელოვნებად მიაჩნდათ, თუ სექსუალურ აღვირახსნილობას მთლად პარადოქსული სახით კორნელისეულ ჰეროიკასთან შეაუღლებდნენ. ამით პარიზელი დაყურებელი თანაბრად იკმაყოფილებდა ორატორულ ზნეობისმოყვარეობასა და გონებრივ სიციულღუტეს. სიმართლეს ნუ დაუუკარგავთ: იგი ყბელი უფრო იყო, ვიდრე უზნეო და ნატიფ ლაუბობაში ჰპოვებდა ნეტარებას. კარგი ჰიტყვის გულისათვის თავს გასაოროზგადაც კი დაანებებდა. სათნოებასა თუ უდიდეს მანკს, წრეგადასულ ვაჟკაცობასა თუ ბილწ სიმდაბლეს, ვინ იცის, რა აბებს არ ყლაპავდა, ოღონდ ლამაზი რითმებითა და თვალისმომჭრელი, მყვიარალა ფრაზებით შეკაზმული მიერთმიათ. სალექსოდ გაეხადათ ყველაფერი. სიტყვებად და თამაშობად ქცეულიყო ყოველივე. როდესაც ჰიუგო ცას აქუზებდა, მებთატებსაში — როგორც მისი მოწაფე მენდესი ამბობს — მყისვე სინაზეს გაურევდა, რომ ჩვილი ბაღლიც კი არ დაეფრთხო. შეგირდს ეგონა, ქებას უძღვნიდა ბრძენ მასწავლებელს. მათ ხელოვნებაში არასდროს იგარძნობოდა ბუნების ძალი. ყველაფერს ალამაზებდნენ: სიყვარულს, ტანჯვას და თვით სიკვდილსაც. როგორც მუსიკაში (და უფრო მეტადაც, რადგან მუსიკა საფრანგეთში ახალგაზრდა ხელოვნებაა და, მაშასადამე, უფრო მიამიტიც), მათ განუზომლად ეშინოდათ „უკვე თქმულისა“ და სხვებზე უფრო ნიჭიერებიც სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ როგორმე შეეთხზათ რამე ახალი და უცნაური. ხერხი სულ უბრალო იყო: აიღებდნენ რამე ლეგენდას, ან საბავშვო ზღაპარს და მასში სრულიად საწინააღმდეგო აზრს დებდნენ. ასე გამოდიოდა „ლურჯწვერა კაცი“¹ ცოლებსაგან გალაზულს, კეთილი პოლიფემე კი თვითონ ითხრიდა თვალებს და თავისი ნებით მსხვერპლად ეწირებოდა ასისისა და გალათეას ბედნიერებას². და აქაც არაფერი იყო სერიოზული, გარდა ფორმისა. კრისტოფს ეჩვენებოდა (მაგრამ ის ცუდი მსაჯული იყო), რომ ფორმის ეს დიდოსტატები სინამდვილეში ვაიოსტატები და ეპიგონები უფრო იყვნენ, ვიდრე დიდი მწერლები, თავიანთი სტილის შემოქმედნი და ფართო ტილოების მხატვარნი.

პოეტური სიცრუე არსად ისე უტიფრად არ იჩენდა თავს, როგორც ჰეროიკულ დრამაში. გმირი აქ მეტიისმეტად უცნაურად ჰყავდათ წარმოდგენილი:

„მთავარი არის, გჭონდეს სული ამაღლებული,
არწივის მზერა, შუბლი ტაძარს დამსვაგახებული,
სახე ძლიერი, მედიდური და სხიმფინარი,
გული ღომგული და თვალეზი ოცნებით სავსე“.

1 ლურჯწვერა კაცი — შარლ პეროს (1628-1703) პოპულარული ზღაპრის გმირი. კაცი, რომელიც ცოლებს კლავდა ხოლმე.

2 პოლიფემე — ბერძ. თქმულებაში ცალთვალა გოლიათი, რომელსაც მწყემსი ქალი გალათეა შეუყვარდა. მაგრამ გალათეამ გოლიათს მწყემსი ასისი ამკობინა. პოლიფემემ ერთხელ მიუსწრო შეყვარებულებს და თავზე კლდე ჩამოანგრია.

და ასეთ ლექსებს სერიოზულადღებულობდნენ. გარეგნულ ბრწყინვალე-
ბაში, სიტყვების რახარუხში, თეატრალურ პარადებში, ალუმინის ხმლების ჭა-
ხუნსა და მუყაოს მუზარადებს შორის მოჩანდა სარდუს — ამ გულადი ვოდვეი-
ლისტის მარადიული ფუქსავატობა, ისტორიას ბალაგანად რომ აქცევს ხოლმე.
მართლაცდა, სირანოს აბსურდულ გმირობას სინამდვილესთან რა ჰქონდა საერ-
თო? ეს ვაჟბატონები ცასა და მიწას აბრუნებდნენ, საფლავიდან ამოჰყავდათ
იპვერატორი და მისი ლეგიონები, აღორძინების ხანის კონდოტიერები, კათო-
ლიკური ლიგა¹, კაცობრიობის ყველა ციკლონი — მსოფლიოში ნგრევის მომ-
ფენი — და ყველაფერი ეს იმიტომ, რომ ეჩვენებინათ ვინმე მასხარა, ვინც
გულგრილად უყურებს ამ ხოცვა-ჟლეტასა და მთელი არმია რაინდებითა და ჰა-
რამხანის ტურფა ქალებით გარშემორტყმული, იტანჯება სულელური, რომან-
ტიული სიყვარულით ქალწულისადმი, რომელსაც მხოლოდ ერთხელ მოჰკრა
თვალი ათი თუ თხუთმეტი წლის წინათ; ანდა ხატავდნენ ანრი მეოთხეს, რომე-
ლიც მორჩილად წამოეგო მკვლელის დანას, რადგან სატრფომ მასზე გული
იყარა!

ასე თამაშობდა ეს კეთილი ხალხი მეფეებსა და გმირებს. „დიდი სირუ-
სი“² ღრანდელ დოკლაპიათა ღირსეული ნაშეირნი, იდეალურის ენაწყლიანი
მსახურები — სკუდერი და ლა კალბრენედი — ყალბ, შეუქლებელ გმირობას
უმდეროდნენ, რომელიც ჭეშმარიტი გმირობის მტერია... კრისტოფმა გაცე-
ბით შენიშნა, რომ ფრანგები, რომელთაც თავი დახვეწილი გემოვნების პატრო-
ნებად მოჰქონდათ, ელემენტარულ იუმორის გრძნობას იყვენენ მოკლებულნი.

მაგრამ ყოველივე ეს ანგარიშში მოსატანი არ იყო იმასთან შედარებით,
რაც ზღებოდა მშინ, როცა მოდაში რელიგია შემოდოდა. დიდმარხვას გეტეს
თეატრის მსახიობები ორღანის თანხლებით ბოსუეს „ქადაგებებს“ კითხულობ-
დნენ. ებრაელი ავტორები ებრაელი მსახიობებისათვის წერდნენ ტრაგედიებს
წმიდა ტერეზიაზე. ბოღნიერში „ჯვრის გზას“ დგამდნენ, ამბიგუში — „ყრწა
იესოს“, ოღეონში — „იესოს“; სენ-მარტენის სცენაზე „ვენებანი უფლისანი“
იღმებოდა, ბოტანიკურ ბაღში უკრავდნენ საორკესტრო სუიტებს „მაცხოვ-
რის“ თემაზე. ერთი ცნობილი ორატორი, გრძნობადი სიყვარულის მომღერალი
პოეტრი, შატლუში კითხულობდა მოხსენებას — „სინანულისათვის“. როგორც
მოსალოდნელი იყო, მთელი სახარებიდან ამ სწოებმა ყველაზე უკეთ პილატეა³
„რად არს ჭეშმარიტება?“ და მარიამ მაგდალინელი დაიხსომეს. მათი ბულვა-

¹ კათოლიკური ლიგა — ეს ლიგა პერცოგმა გიზმა დააარსა 1576 წელს პროტესტანტებთან
საბრძოლველად.

² „დიდი სირუსი“ — „არტამენი ანუ დიდი სირუსი“ — ფრანგი მწერლის მადლენ დე
სკუდერის (1607-1701) გალანტური რომანი.

³ პონტოელი პილატე — სახარება გვიამბობს, რომ როცა მას შეჰყარობილი ქრისტე მიჰგვა-
რეს, რომელიც ატკიცებდა, ჭეშმარიტების საქადაგებლად მოვედიო, პილატემ ჰკითხა: „რად
არს ჭეშმარიტება?“ და პასუხს არც კი დალოდებია, ისე წავიდა.

რელი ქრისტეები უზომო ყბედები იყვნენ, საოცრად განსწავლულნი სალონურ კაზუსტიკაში.

— ეს, ეს ყველაზე უარესია, — თქვა კრისტოფმა, — ხორცშესხმული სიცრუეა. სული მეზუთება. წავიდეთ აქედან!

დიდი კლასიკური ხელოვნება მაინც არსებობდა თანამედროვე ინდუსტრიებში, სწორედ ისევე, როგორც ანტიკური ტაძრის ნანგრევები დგას ხოლმე დღევანდელი რომის პრეტენციოზულ ნაგებობათა შორის. მაგრამ კრისტოფის გულს მხოლოდ მოლიერი თუ სწვდებოდა, დანარჩენთა შეფასება ჯერ არ შეეძლო. საამისოდ აკლდა ენის ბუნებაში წვდომის უნარი, რაც ერთადერთ საშუალებათა ერის გენიასთან ზიარებისა. მისთვის არა იყო რა ისე გაუგებარი, როგორც XVII საუკუნის ტრაგედია — უცხოელთათვის ფრანგული ხელოვნების ეს ყველაზე ძნელად მისაწვდომი უბანი. ძნელად მისაწვდომი სწორედ იმიტომ, რომ შიგ საფრანგეთის გულში მდებარეობს. კრისტოფს ეჩვენებოდა, რომ ის საოცრად მოსაწყენი, მაღალფარდოვანი, ცივი, მშრალი და პედანტური იყო. უბადრუკი და ნაძალადევი მოქმედება, რიტორიკული არგუმენტებით აბსტრაქტული პერსონაჟები (ან უმნიშვნელო, როგორც მაღალი საზოგადოების ქალთა საუბარი) ნამდვილი კარიკატურა იყო ანტიკურ გმირებსა და სიუჟეტებზე. ერთბაშად გამოეფინათ ყველაფერი: გონება, ინტელექტი, ლოგიკური არგუმენტაცია, ფსიქოლოგია და ზოდიდან გამოსული არქეოლოგია. სიტყვები, სიტყვები, სიტყვები. გაუთავებელი ფრანგული ყბედობა. ლამაზი თუ იყო ყოველივე? კრისტოფი ირონიულად უარს ამბობდა ამის გადაწყვეტაზე: აქ მას არაფერი აინტერესებდა და რიგრიგობით რა თემაზედაც არ უნდა ემსჯელათ „ცინას“! ორატორებს, მისთვის აბსოლუტურად სულერთი იყო, რომელი მოლაპარაკე მანქანა გაიმარჯვებდა.

თუმცა იმასაც ხედავდა, რომ ფრანგი მაყურებელი სულ სხვა აზრისა იყო და ტაშსაც აღფრთოვანებით უკრავდა. მაგრამ კრისტოფს არ ესმოდა რად ხდებოდა ასე. იგი ამ თეატრს მაყურებლის მეშვეობით აღიქვამდა და თანამედროვე ფრანგებში ცნობდა კლასიკოსთა ზოგიერთ, უკვე დამახინჯებულ თვისებებს. სწორედ ისევე, როგორც უილმსონად გამჭირიანი მზერა პოულობს ხოლმე მოკვლეულთა დედაბრის დამკვიწარ სახეში მისი ასულის ნატიფ ნაკეთებს. ასეთი რამ ნაკლებად განგვაწყობს სატრფიალოდ... ფრანგები — ერთმანეთის ცქერას მიჩვეული ოჯახის წევრებით — ამ მსგავსებას ველარ ამჩნევდნენ. კრისტოფი კი გაოცებული იყო ამ მსგავსებითა და გადაჭარბებულადც წარმოედგინა იგი: მსგავსების გარდა ჭედარაფერს ხედავდა. ეჩვენებოდა, რომ თანამედროვე ხელოვნება მხოლოდ კარიკატურა იყო დიდ წინაპრებზე. და ამის გამო დიდი წი-

1 „სონა“ (1640) — პუტ კორნელის ტრაგედია.

ნაპრებიც კარიკატურებად ესახებოდნენ. ვერც კი ანსხვავებდა კორნელს მთელ რიგ უბადრუკ რიტორთაგან, რომლებიც, იყო თუ არა საჭირო, ყველგან სინდისის აბსურდულსა და ღრმა კატაკლიზმებს ათავსებდნენ. რასინი აღარ მოჩანდა მის შთამომავალ, პაწაწინა პარიზელ ფსიქოლოგებს შორის, რომლებიც თავიანთ გულუბნობაში პრეტენციოზულად იქექებოდნენ.

ეს ხანდაზმული მოწაფეები თავიანთ კლასიკას არ სცილდებოდნენ. კრიტიკოსები კვლავ დაუსრულებლად მსჯელობდნენ „ტარტიუფსა“ და „ფედრაზე“ და არკი იღლებოდნენ. უკვე მიხრწნილებაში შესულნი ნეტარებდნენ იმავე ხუმრობის გაგონებისას, რომელიც ატკობდა მათ სმენას ჯერ კიდევ მაშინ, როცა ყმაწვილები იყვნენ. ასე იქნებოდა ერის აღსასრულამდე. მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას ასე თავგამოდებით არ შემოუწინებავს ძვალსა და რბილში გამჭდარი წინაპართა კულტი. ქვეყნად სხვა არაფერი არ ანტერესებდათ: რამდენი იყო ისეთი, ვისაც არაფერი წაეკითხა და არც სურდა წაეკითხა, გარდა იმისა, რაც დაწერილია საფრანგეთში ლუი მზეთა მეფის დროს. მათ თეატრებში არ იდგმებოდა არც გოეთეს, არც შილერის, არც კლაისტის¹, არც გრილპარცერის², არც ჰებელის³, არც სტრინდბერგის, არც ლოპე დე ვეგას, არც კალდერონისა და არც სხვა კორიფეთა პიესები, არ ჩანდა არც ერთი ერი, გარდა ძველი საბერძნეთისა, რადგან ფრანგები (როგორც საერთოდ ევროპის ყველა ერი) თავს მის მემკვიდრეებად ასაღებდნენ. დროდადრო, თუმცა იშვიათად, შექსპირსაც ევიდებოდნენ. ეს მათი საცდელი ქვა იყო. ინტერპრეტატორების ორი სკოლა ჰქონდათ: ერთნი „მეფე ლირს“ ემილ ოეიეს⁴ კომედიის დარად, ბურჟუაზიული რეალიზმით ანსახიერებდნენ, მეორენი „ჰამლეტს“ ვიქტორ ჰიუგოს ყაიღის ბრავურული ჰანგებითა და ფიორეტურებით აღსავსე ოპერად აქცევდნენ. და აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ სინამდვილე შეიძლება თავისთავად ლოტური იყოს და რომ პოეზია ბუნებრივი ენაა სიცოცხლით საესე, მძლე სულებისა. შექსპირი ყალბად ეჩვენებოდათ და ისევ როსტანს უბრუნდებოდნენ.

თუმცა ეს ოცი წელია, ზოგიერთები თეატრის განახლებას ცდილობდნენ: პარიზული ლიტერატურის ვიწრო წრე გაფართოვდა და თითქოს თამამადაც ეხებოდა ყველაფერს; ორჯერ თუ სამჯერ მათმა შეხლა-შემოხლამ ერთბაშად ჩამოხია პირობითობის ფარდა, მაგრამ ნახვრეტები სასწრაფოდ ამოკერეს. ნასათუთებ მამებს საგნების ქემპარტი სახით დანახვა აშინებდათ. საზოგადოებრივი მორალი, კლასიკური ტრადიცია, თავის ნებაზე მიშვებული აზრი და

1 ჰენრიხ ფონ კლაისტი (1777-1811) — გერმანელი მწერალი — რომანტიკოსი.

2 ფრანც გრილპარცერი (1791-1872) — ავსტრიელი დრამატურგი და პოეტი. ახალი ავსტრიული ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

3 ფრიდრიხ ჰებელი (1813-1863) — გერმანელი დრამატურგი.

4 ემილ ოეიე (1820—1889) — ფრანგი დრამატურგი.

ფორმა, ნაკლები სერიოზულობა ამბოხის ბოლომდე მიყვანის ნებას არ აძლევდათ. თვით უმწვავესი პრობლემებიც კი უწყინარ თამაშობად იქცეოდა ხოლმე; და რაზედაც არ უნდა ელაპარაკათ, ბოლოს მაინც ქალებს უბრუნდებოდნენ. ღმერთო, რა საბრალო შესახედაენი იყვნენ მათ მიერ წარმოდგენილი დიდ ადამიანთა აჩრდილები: იბსენის გმარული ანარქიზმი, ტოლსტოის ევანგელიზმი, ნიცშეს ზეკაცი!..

პარიზელი მწერლები ბეგრს ცდილობდნენ, ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს ახლებურად აზროვნებდნენ, მაგრამ გულის სიღრმეში კონსერვატორი იყო ყველა მათგანი. ევროპაში არ არსებობდა ლიტერატურა, სადაც ამ ზომამდე ყოფილიყო გამეფებული „მარადიული გუშინდელი დღე“. დიდ ეურნალებში, დიდ გაზეთებში, სუბსიდირებულ თეატრებში, აკადემიაში მუდამ წარსულს განდიდებდნენ. პარიზი იმავე როლს ასრულებდა ევროპულ ლიტერატურაში, რასაც ლონდონი პოლიტიკაში და ერთბაშად ამოსდებდა ხოლმე ლაგამს თამამ აზრებს. საფარგულის აკადემია ლორდთა პალატა გამხდარიყო. ჰეგლი რეჟინის დაწესებულებანი ახალ საზოგადოებას კვლავ ახვევდნენ თავადრომოკმულ ნორმებს. რევოლუციური ელემენტები უკუეგდოთ, ან არადა, ისე შეეგუებინათ, რომ მათი ნიშანწყალიც გამჭრალიყო. მაშინაც კი, როცა მთავრობა პოლიტიკაში სოციალისტურ მანევრებს ახდენდა, ხელოვნებაში ბრძამდ მიჰყვებოდა აკადემიურ სკოლებს. აკადემიასთან ბრძოლას მხოლოდ ცალკეული ლიტერატურული წრეები ბედავდნენ და ძალიან ცუდადაც ებრძოდნენ, რადგან, როგორც კი რომელიმე მათგანი აკადემიაში შეაღწევდა, მყისვე სხვაზე მეტად აკადემიური ხდებოდა ხოლმე. მწერალი ლიტერატურის ავანგარდში ივლიდა, თუ ბადრაგში იჩანჩალებდა, მაინც თავისი ჯგუფისა და ჯგუფის იდეების ტყვე იყო. ერთნი თავიანთ აკადემიურ კრედოში ჩაკეტილიყვნენ, მეორენი — რევოლუციურ კრედოში; ასე რომ, საბოლოოდ ყველას დოლბანდი ეფინა თვალზე.

კრისტოფი რომ გამოეცოცხლებინა, სილვენ კონი მას სპეციალური ენჩრის თეატრებში წაყვანას შეჰპირდა. ეს რაფინირების უკანასკნელი სიტყვა იყო. აქ მრავლად უჩვენებდნენ მკვლელობას, ძალადობას, სიგყეს, წამებას, დათხრილ თვალებს, გაფატრულ მუცლებს, ყველაფერს, რასაც კი შეეძლო ნერვები დაეწყვიტა და ზედმეტად ცივილიზებული ელიტის ფართული ველუწრობა დაეკმაყოფილებინა. ეს სანახაობანი ანდამატური ძალით იზიდავდა ლამაზ ქალებსა და მალაღო წრის მამაკაცებს, იმათ, ვინც ნამუუაღდევს ვაჟაკურად ჩაიკებებოდნენ ხოლმე სასამართლოს დახუთულ დარბაზებში, რათა მხიარული სჯაბაასით, სიცილითა და კამფეტების კნატუნით სკანდალური პროცესებისათვის ეგდოთ ყური. კრისტოფმა აღშფოთებით უთხრა უარი. რაც უფრო ახ-

ლოს ეცნობოდა ამ ხელოვნებას, მით უფრო მკვეთრად გრძნობდა სიკვდილის მძაფრ, გულსამრევ სუნს, პირველი ნაბიჯებიდანვე რომ აედევნა.

სიკვდილს ყველგან დაებუდებინა. სიკვდილი მოჩანდა ამ სიმდიდრის ქვეშ. ამ ხმაურში. კრისტოფი ახლა იმასაც ხედებოდა, იმთავითვე ასეთი ზიზღი რად იგრძნო ზოგიერთი ნაწარმოების მიმართ. მას ამ ნაწარმოებთა ამორალობა კი არ აკრთობდა. მორალური, ამორალური, იმორალური მისთვის ცარიელ სიტყვები იყო. კრისტოფს მორალური თეორიები არასოდეს შეუდგენია. წარსულშიც ბევრი დიდი პოეტი და დიდი მუსიკოსი უყვარდა, რომლებიც „წმინდანები ვართო“, ვერ დაიჩემებდნენ. როცა ბედი დიდ ხელოვანთან შეახვედრებდა, კრისტოფი აღსარებას როდი ითხოვდა მისგან. ჭერ იმას ჰკითხავდა: ჯანსაღი თუ ხარო?

ჯანმრთელობა, აი, რა იყო მთავარი: „თუ პოეტი ავადაა, დაე, ჭერ თავის თავს უმკურნალოს და როცა განიკურნება, მერე შეუდგეს წერას“, — უთქვამს გოეთეს.

პარიზელი მწერლები ავად იყვნენ; და თუ რომელიმე მათგანი თავს კარგად გრძნობდა, რცხვენოდა თავისი სიმრთელის, გულმოდგინედ მალავდა და ცდილობდა, ერთი რიგიანი სენი მასაც შეჰყროდა. მათი სიძაბუნე მათი ხელოვნების რომელიც გნებავთ თვისებიდან — წრგავდასული ჰედონიზმის, გონების უკიდურესი თავისუფლებისა ან დამანგრეველი კრიტიციზმისაგან კი არ წარმოდგებოდა. ყველა ეს თვისება თავისთავად შეიძლება ყოფილიყო და გარემოებისა და მიხედვით იყო კიდევ საღი ან სნეული; მათში სიკვდილის თესლი არ ერია. და თუ სიკვდილი მაინც აქ იყო, ეს ამ ძალთაგან კი არ მოდიოდა, არამედ მათი გამოყენების თავისებურებიდან. თორემ სიამოვნება განა კრისტოფს კი არ უყვარდა? განა ის კი არ ეტრფოდა თავისუფლებას? აკი აიძხვდრა კიდევ თავისი პატარა გერმანული ქალაქის მკვიდრნი, როცა გულწრფელად იცავდა იდეებს, ახლა ეს პარიზელები რომ ქადაგებდნენ და თავადაც ზიზღს ჰკვირდა. იდეები იგივე იყო, მაგრამ იმგვარადვე აღარ უღერდა. როცა კრისტოფი მოუთმენლად არყევდა წარსული ხელოვნების უღელს, როცა აღაშქრებდა ფარისევლური ესთეტიკისა და მორალის წინააღმდეგ, მისთვის ეს, ამ პარიზელთაგან განსხვავებით, თამაში არ ყოფილა. კრისტოფი სერიოზული იყო, საშინლად სერიოზული და მისი ამბოხის მიზანი სიცოცხლის დამკვიდრება გახლდათ, ნაყოფიერი სიცოცხლისა, რომლის წიაღშიც მომავალი საუკუნეები იბადებიან. ამ ხალხისთვის კი ყველაფერი უნაყოფო გართობა იყო. სიბერწე იყო მათი გამოცანა. ბერწი ამბოხი გრძნობა-გონების. ბრწყინვალე ხელოვნება ჰქონდათ; ფორმით უხადო, ჰკუთთ აღსავსე, მოხდენილი. მისთვის უცხო არ იყო არც სილამაზის ტრადიცია, რომელსაც უცხოელთა მტკიცების მიუხედავად, დღესაც არ გასელოდა ყავლი. თეატრი თეატრს ჰვავდა, სტილი — სტილს, ავტორებმა იცოდნენ თავიანთი საქმე, მწერლებმა იცოდნენ წერა. საუცხოო ჩონჩხი და რჩათ ხელოვნებისა და აზრისა, ოდესღაც ძლიერი რომ ყოფილა.

მაგრამ ვაი, რომ — მარტოოდენ ჩონჩხი. სიტყვებს წყრილი გაჰქონდათ, ფრაზები რეკდნენ და იდეების მეტალისებურ ბზინვაში სიცარიელეს ეჯახებოდნენ. იყო გონების თამაში, გრძნობადი გონება და გონიერული გრძნობები. მაგრამ ყოველივე ეს ეგოისტური ტყობის გარდა არაფერს ემსახურებოდა და სიკვდილისაკენ მიიწევდა. ეს საფრანგეთის მოსახლეობის საშინელი შეთხელების მსგავსი მოვლენა იყო, რომელსაც მდუმარედ, ხელების ფშვინგტით აღვყენებდა თვალს მთელი ევროპა. ამდენი ნიჭი და უნარი, ნატიფი გონიერება სამარცხვინო ონანიზმს ხმარდებოდა და ვერც კი ამჩნევდნენ ამას. იცინოდნენ. ეს სიცილილა ანუგეშებდა კრისტოფს. ხალხი ჯერ კიდევ არ გადასჩვეოდა სიცილს. მაშ, ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული. კრისტოფს ისინი გაცილებით უფრო ნაკლებად უყვარდა, როცა თავი სერიოზულად მოჰქონდათ და არაფერი უკლავდა გულს იმაზე უფრო, ვიდრე ეჭვრა მწერლებისა, ვინც ხელოვნებაში მხოლოდ საკუთარ სიამოვნებას დაეძებდნენ, სიტყვით კი უანგარო რელიგიის ქურუმებად მოჰქონდათ თავი.

— ჩვენ ხელოვნების ხალხი ვართ, — თვითკმაყოფილი ღიმილით იტყოდა სილვენ კონი, — ჩვენ ვქმნით ხელოვნებას ხელოვნებისათვის. ხელოვნება მუდამ წმინდაა. მასში უბიწოა ყოველივე: ჩვენ კვალში ვუდგევართ ცხოვრებას, როგორც ცნობისმოყვარე ტურისტები, რომლებსაც ყველაფერი ართობთ. გვიტაცებს იშვიათი ვენებები. ჩვენ ვართ სილამაზეზე გამიჯნურებული მარადიული დონე ყუანები.

— თქვენ ფარისევლები ხართ, — შეაწყვეტინა ბოლოს კრისტოფმა, — მაპატიეთ, რომ პირში გეუბნებით; აქამდე მეგონა, მხოლოდ ჩემი ქვეყანა იყო ასეთი. გერმანიაში ამ სახის თავმოთნეობა გვჩვევია: სიტყვით მუდამ იდეალიზმი გვაკერია პირზე, საქმით კი სარგებელს ვეძებთ ყველაფერში. თან თავს ვირწმუნებთ, იდეალისტები ვართო. თქვენ კი გაცილებით უფრო უარესნი ყოფილხართ. თქვენ მშვენიერებისა და ხელოვნების სახელს არქმევთ თქვენს ნაციონალურ ავზორცობას, ანდა კეშმარიტების, მეცნიერებისა და ინტელექტუალური მოვალეობის სახელით მოსავთ მორალურ პილატიზმს, რომელიც ხელს იბანს, მე არ დაეძებ, ჩემს ზვიადურ ძიებათ რა შედეგი მოჰყვებაო. ხელოვნება ხელოვნებისათვის! კარგი რწმენაა! მაგრამ მხოლოდ ძლიერთათვის გამოსადეგი. ხელოვნება? თქვენ გსურთ მოაშოთ ცხოვრება, როგორც არწივი აშოთბს ზოლმე თავის მსხვერპლს და გაიტაცოთ ცის ლაქვარდებში. მაგრამ ამისთვის ბასრი ბრჭყალები, ძლიერი ფრთები და მაგარი გული უნდა გქონდეთ. თქვენ კი საბრალო ბედურები ხართ, რომლებიც ლეშის ნაქერს თუ იპოვიან, აღვილზევე წიწქიან მას და ერთმანეთს კუიბინით ეცილებიან... ხელოვნება ხელოვნებისათვის!.. უბადრუეებო!.. ხელოვნება ცუდი სალაფავი როდია, ვიგინდარათა ანაბარა მიგდებული. ის ნეტარებაა და თანაც ყველაზე დამატრობელი; მაგრამ მოიპოვება მხოლოდ განუზომელი ტანჯვისა და ბრძოლის საფასით და მით მხოლოდ ძლიერთა შუბლია დადაფნული. ხე-

ლოცნება დამორჩილებული ცხოვრებაა. ცხოვრების მბრძანებელი. თუ კეისრობა გწადია, სულიც კეისრისა უნდა გქონდეს. თქვენ კი მხოლოდ თეატრონის მეფეები ხართ. თამაშობთ როლს და თვითონაც არ გჯერათ მისი. იმ მსახიობთა დარად, თავიანთი უსახურობით რომ იხვეჭენ სახელს, თქვენ თქვენი სიმახინჯის გამომზეურებას ლიტერატურას ეძახით. თქვენი ერის წყლულს სიყვარულით ელოლიავებით, ეფერებით მის სიზარმაცეს, ავხოცობას, გრძნობად იდეოლოგიას, მოჩვენებით ჰუმანიზმს — ყველაფერს, რაც თენთავს და აძინებს ნებისყოფასა და მოქმედების აზრს ართმევს. პირდაპირ ოპიუმის წვეისაკენ მიგყავთ ხალხი. თქვენ ეს შესანიშნავად გესმით, მაგრამ არ ამხელთ: წინ სიკვდილია. მე კი ხმამალა ვაცხადებ — იქ, სადაც სიკვდილია, ხელოვნება ვერ იარსებებს. ხელოვნება არის ის, რაც სიცოცხლეს გვანიჭებს. მაგრამ თქვენს შორის უპატიოსნესანიც კი იმდენად მხალეები არიან, რომ მაშინაც კი, როცა თვალები ეხილებათ, თავს იკატუნებენ, ვერაფერს ვამჩნევთო. თითქოსდა თავხედურად გაიძახიან:

— საშიშია კია, ვაღიარებთ; მასში შხამია გარეული, მაგრამ ერთობ ნიჭიერადაა დაწერილი.

თითქოს სასამართლოში მსაჯულს შეუძლია თქვას ხულიგანზე:

— ვიცო, არამზადაა, მაგრამ დანაშაული მეტისმეტად ნიჭიერად აქვსო ჩადენილი.

კრიტიკა ეკითხებოდა თავის თავს, რისი მაქნისიოა ფრანგული კრიტიკა. ვანა კრიტიკოსები აკლდნენ? ისინი ბუზებივით ზედ დახვეოდნენ ხელოვნებას. ნაწარმოებები აღარც კი მოჩანდა მათის წყალობით.

კრიტიკა ისედაც არ უყვარდა. ვერ ხედებოდა, რა სარგებლობის მოტანა შეეძლო ხელოვანთა ამ ლეგიონს, მეოთხე თუ მეხუთე სახელმწიფოსმავარ დასს რომ ქმნიდა თანამედროვე საზოგადოების წიაღში. კრიტიკა მასში ხედავდა ნიშანს დაღლილი ეპოქისა, რომელსაც სურს სხვებს მიანდოს ცხოვრებაზე დაკვირვების საზრუნავი და გრძნობითაც მხოლოდ სხვისი კარნახით გრძნობს. მით უფრო სამარცხვინოდ მიაჩნდა, რომ ამ ხალხს არ შეეძლო საკუთარი თვალთ ეცქირა ცხოვრების ანარეკლისათვის და კიდევ შუამავალი, ანარეკლთა ანარეკლი, ერთი სიტყვით, კრიტიკოსები სჭირდებოდა. მერე ეს ანარეკლები ერთგული მაინც ყოფილიყვნენ! მაგრამ ვაი, რომ გარემომცველი ბრბოა ცვალებადობის გარდა არაფერს ირეკლავდნენ მუზეუმის სარკეების მსგავსად, სადაც მოხატულ ქერთან ერთად იმ ცნობისმოყვარეთა სახეებიც ირეკლება, რომლებიც შიგ იმზირებიან.

იყო ღრო, როდესაც კრიტიკოსები საფრანგეთში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. საზოგადოება ქედს იხრიდა მათი განაჩენის წინაშე. მათ, როგორც გონიერ ხელოვანთ (თუმცა ეს ორი სიტყვა მაინცდამაინც არ უხდება

ერთიმეორეს), ლამის ხელოვნების ხალხზედაც მაღლა აყენებდნენ. მერე კრიტიკოსი ავგურები ზომაზე მეტად მომრავლდნენ და ცუდად წაუვიდათ საქმე. როცა ამდენი კაცი ერთბაშად იწყებს მტკიცებას, ერთადერთი ჭეშმარიტების მპყრობელი მხოლოდ მე ვარო, ვეღარც ერთს ვეღარ დაუჭერებ. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ საკუთარი თავისა თვითონაც აღარ სჯეროდათ; გულგატეხილობამ დარიათ ხელი და ფრანგული ჩვეულებისამებრ, ერთი უკადღურესობიდან მეორეში გადაცივდნენ: ჭერ იმას ქადაგებდნენ, ყველაფერი ვიცითო, ახლა კი მოჰყვნენ დაღადისს, რომ არაფერი არ იცოდნენ. ეს სასახელოდაც მიანდათ და კიდევაც იპრანჭებოდნენ. რენანმა¹ ასწავლა ამ უნდილ თაობას, რომ ლამაზი ტონი მოითხოვდა, არაფერი არ დაემტკიცებინათ ისე, თუ მაშინვე არ უარყოფდნენ, ან ეჭვის ქვეშ მანაც არ დააყენებდნენ. ის ერთი იმათგანი იყო, ვისზედაც წმიდა მოციქული პავლე მოგვითხრობს: „რომელთაც აქუსთ მარად ჰო ჰო და მერმე არა არა“. მთელ ფრანგულ ელიტას შევისხსნობორცებინა ეს ამფიბიური კრედიო. გონებრივმა სიზანტემა და ხსნათის სისუსტემაც შეუწყო ამას ხელი. ნაწარმოებთა შესახებ უკვე აღარ ამბობდნენ კარგი იყო თუ ცუდი, ჭეშმარიტი თუ ნაყალბევი, ბრძნული თუ სულელური, არამედ:

— ადვილი შესაძლებელია... გამორიცხული არ არის, რომ... ვერაფერს ვიტყვი... ხელები დამიბანია.

თუ რამე ნაგავს დგამდნენ, იმას კი არ იტყოდნენ: ეს ნაგავიაო.

არამედ:

— ბატონო სჯანარელ, თუ შეიძლება, შეცვალეთ ლაპარაკის მანერა: ჩვენი ფილოსოფია გვიბრძანებს, ყველაფერზე დაეკვებით ვილაპარაკოთ. ამიტომ, ეს ნაგავიაო, კი არ უნდა თქვათ, არამედ: „თუ თვალი არ მატყუებს, თუ არ ვცდები, ეს ნაგავია, მაგრამ დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი; შეიძლება შედეგრიც იყოს და ვინ იცის, იქნებ კიდევაც არის შედეგრი“.

დღეს კრიტიკოსებს უკვე ველარავინ დასწამებდა, ხელოვნებას ტირანებივით ეპყრობითო. ოდესღაც პრესის ამ პაწია ტირანებს შიღერმა მოუწოდა იქითკენ, რასაც თვითონ უხეშად „მსახურთა მოვალეობას“ უწოდებდა.

„მთავარია, რომ სახლი, სადაც დედოფალი მობრძანდება, დაწკრილებული იყოს! მაშ, დაუჩქარეთ! დაგავეთ ოთახები! თქვენ აქ ამისთვის დაგიძახეს!

მაგრამ, როგორც კი დედოფალი გამოჩნდება, დაიკარგენით! თვალბში ნუ ეჩხირებით. მსახური ქალბატონის სავარძელში არ უნდა ნებივრობდეს!“

სიმართლეს ნუ წაფართმევთ: დღევანდელი მსახურები უკვე აღარ სხდებოდნენ ქალბატონის სავარძელში. მსახურები იყავითო? იყვნენ კიდევ, მაგრამ ძალიან ცუდი მსახურები. დაგვა და დასუფთავება არ უნდოდათ და ოთახი ბუნაგს ჰგავდა. დალაგების მაგივრად გულზელდაკრეფილები იღვნენ და მორიგი კერპის — საყოველთაო არჩევნებისათვის მიენდოთ ყოველივე.

¹ ერნსტ რენანი (1823-1892) — ფრანგი ისტორიკოსი და ლეთისმეტყველი.

თუმცა ეს ერთი ხანია, რაც ანარქიული უხერხემლობის წინააღმდეგ მიმართულმა მოპარობამ იჩინა თავი. მოწინავე კაცებმა, თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც ჰმა აღიმაღლეს საზოგადოებრივი კეთილდღეობის გადასარჩენად. მაგრამ იმ წრეში, რომელშიაც კრისტოფი ტრიალებდა, ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ხალხს არავინ უგდებდა ყურს, კიდევაც დასცინოდნენ. და თუ რომელიმე სისხლსავსე ხელოვანი დროდადრო აუჯანყდებოდა თანამედროვე, მოდური ხელოვნების ავადმყოფურ ფუქსავატობასა და სისულელეს, დანარჩენები მაშინვე მიახლიდნენ, ჩვენ მართალი ვართ, რადგან მაყურებელი კმაყოფილია და მოკამათეს ამით ჩააწყვეტინებდნენ ხმას. მაყურებლის აზრი ხელოვნების უმაღლესი კანონი გამხდარიყო. და არავის მოსდიოდა აზრად, რომ აზრი გაფუჭებული საზოგადოებისა, რომელიც თავის გამფუჭებლებს აქებდა, ჯურადსაღები არ იყო და რომ მაყურებელი კი არ უნდა კარნახობდეს ხელოვანს, არამედ ხელოვანი — მაყურებელს. ოდენობის რელიგიას (შემოსავლის ოდენობასა და მაყურებელთა რიცხვს) დაეთრგუნა მხატვრული აზრი ამ მერკანტილური დემოკრატიისა. ავტორთა კვალდაკვალ კრიტიკოსებიც მორჩილად აცხადებდნენ. მხატვრული ნაწარმოებისათვის მთავარია მაყურებლის მოწონება. წარმატება კანონია და როცა იგი დიდხანს გრძელდება, თაყვანი უნდა სცე. კრიტიკოსებიც ცდილობდნენ წინასწარ განეჭვრიტათ, როდის გაუვიდოდა ყავილი ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებას სიამოვნების ბირჟაზე და ესწრაფვოდნენ მაყურებლის თვალებში ამოეკითხათ, თუ რას ფიქრობდა იგი ამ ნაწარმოებებზე. სასაცილო ის იყო, რომ მაყურებელიც თავის მხრივ ცდილობდა კრიტიკოსთა თვალებში წაეკითხა, რა ეფიქრა ამ ნაწარმოებთა შესახებ. ასე უთვალთვალებდნენ ერთმანეთს და ერთმანეთის თვალებში საკუთარი დაბნეულობის გაზრდა ვერაფერს ხედავდნენ.

თუმცა მკაცრი კრიტიკა მაშინდელივით არასდროს ყოფილა საჭირო. ანარქიულ რესპუბლიკაში ყოვლისმძლე მოდა იშვიათად თუ შემობრუნდება უკან, როგორც ეს კონსერვატიულ ქვეყანაში ხდება. იგი გამუდმებით წინ მიიწევა და თანდათან იზრდება გონების ყალბი თავისუფლებაც, რომელსაც თითქმის ვერავინ ბედავს წინ აღუდგეს. ბრბოს არ შეუძლია გამოთქვას თავისი სათქმელი. გულის სიღრმეში შეძრულია, მაგრამ ხმამაღლა ვერ ბედავს თქვას ის, რასაც ყველანი ფარულად გრძნობენ. კრიტიკოსები რომ ძლიერი ყოფილიყვნენ, რომ გაებდათ, რა ძალას მოიხვეჭდნენ! მძლავრ კრიტიკოსს (ფიქრობდა კრისტოფი, ეს ახალგაზრდა დესპოტი) შეეძლო რამდენიმე წელიწადში საზოგადოებრივი გემოვნების ნაპოლეონი გამხდარიყო და საგაყეთში შეემწყვდია ხელოვნების სნეულებანი. „მაგრამ თქვენ ნაპოლეონი აღარა გყავთ... ყველა თქვენი კრიტიკოსი ამ მანკიერ გარემოში ცხოვრობს და ველარაფერს ამჩნევს. თან თქმასაც ვერ ბედავენ. ყველა ერთმანეთს იცნობს; ერთი ამქრის წევრები არიან და ერთმანეთი უნდა დაზოგონ. დამოუკიდებელი აღარავინ დარჩა. დამოუკიდებელი რომ იყო, უარი უნდა თქვა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მეგობრო-

ბაზე. მერედა ამ დაძაბუნებულ ეპოქაში ვინ გამოიჩინეს ასეთ სიმამაცეს? თეოთ საუკეთესონიც კი ეპვეს გამოთქვამენ: გულწრფელი კრიტიკის სიმართლე ღირს კი იმ უბედურებად, რომელიც მის ავტორს შეიძლება თავს დაატყდეს? ვის სურს მოვალეობის გამო ჯოჯოხეთად აქციოს საკუთარი სიცოცხლე? გაბედულად წინ აღუდგეს საზოგადოებრივ აზრს, შეებრძოლოს საყოველთაო სიბრძნევას. ფარდა ახადოს დღევანდელ მესვეურთა სულიერ სიღატაკეს, დაიცვას უსახელო ხელოვანი — მარტოღმარტო, მხეცების ანაბარად მიგდებული — და ძლიერი ნების აღამიანებისადმი მოწიწება ჩაუნერგოს მორჩალებსათვის გაჩენილ სულებს?“

კრისტოფს ბევრჯერ მოუსმენია, პრემიერაზე, თეატრის ფოიეში კრიტიკოსები რომ ეუბნებოდნენ ერთიმეორეს:

— რა მოსაწყენია! ბოლომდე რა გავაძლებინებს.

მეორე დღეს კი თავიანთ ქრონიკებში ლაპარაკობდნენ შედეგზე, ახლადმოვლენილ შექსპირზე, გენიოსის სუნთქვაზე...

— თქვენს ხელოვნებას ნიჭი კი არ აკლია, ხასიათი აკლია, — უთხრა კრისტოფმა სილვენ კონს, — თქვენ უთუოდ დიდი კრიტიკოსი გქირდებათ, ლენინგი... ან...

— ბუალო? — სიცილით ჩაეკითხა სილვენ კონსი.

— დიან, ბუალო და შეიძლება უფრო მეტადაც. ვიდრე ათი გენიალური ხელოვანი.

— ბუალო კიდევაც რომ გვყავდეს, ყურს არავინ დაუგდებს.

— თუ ყურს არ დაუგდებენ, მაშინ ბუალოც არ იქნება, — მოუჭრა კრისტოფმა, — დამიჯერეთ, თუ მომინდება სრული სიმართლე გთხზათ, რავინდ მოუხერხებელიც არ უნდა ვიყო, მაინც მომისმენთ და... გადაყლაპავთ კიდევ.

— მართლა? — ჩაიხიხითათა სილვენ კონსმა.

სილვენი ისე იყო თავის თავში დარწმუნებული და საერთო უნიათობაც ისეთ კმაყოფილებას ჰგვრიდა, კრისტოფმა ანაზღად გაიფიქრა, ეს კაცო ათჯერ უფრო მეტად უცხობა საფრანგეთისათვის, ვიდრე მეო.

— შეუძლებელია, — თქვა ჩიუტად, იმდღევანდელივით, ბულვარების აეატრიდან რომ გამოდიოდა, — შეუძლებელია, სხვა რამეც არ იყოს.

— სხვა რალა გინდათ? — ჰკითხა კონსმა.

— საფრანგეთი.

— საფრანგეთი ჩვენ ვართ, — მიუგო სიცილით კონსმა.

კრისტოფი ერთხანს დაკვირვებით დააცქერდა, მერე თავი გააქნია და იხევ თავისას მოჰყვა:

— სხვა რამეც უნდა არსებობდეს.

— კეთილი, მაშ ეძებთ! — უთხრა სილვენ კონსმა და უფრო მხიარულად გაიცინა.

ეს სხვა მათ ისე გადამალეს, რომ მის მოძებნას მართლაც კარგა ხანი დასჯირდებოდა.

რაც უფრო ახლო ეცნობოდა კრისტოფი იმ იდეებს, რომელიც საფუარს წარმოადგენდა პარიზული ხელოვნებისათვის, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ამ კოსმოპოლიტურ საზოგადოებაში ქალი გაბატონებულიყო. ქალს აქ აბსურდულად დიდი ადგილი ეკავა. მას უკვე აღარ აკმაყოფილებდა მამაკაცის თანამგზავრად ყოფნა. მასთან თანასწორობასაც როდი სჯერდებოდა: უნდოდა, ყოველი მისი სიტყვა მამაკაცისათვის კანონი გამხდარიყო და კაციც ურიგდებოდა ამას. როცა ერი ბერდება — უარს ამბობს ნებისყოფაზე, დიად მიზნებზე და ყველაფერს ხელთ უგდებს იმას, ვინც სიამოვნებას ანიჭებს. კაცები ქმნიან ნაწარმოებებს; მაგრამ ქალები ქმნიან მამაკაცებს (თუ კი, რა თქმა უნდა, ნაწარმოებთა შექმნაშიც არ ერევიან, როგორც ეს იმდროინდელ საფრანგეთში იყო). ქმნიანო, ვამბობთ, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, კი არ ქმნიან, ანგრევენო. მარადქალურ საწყისს მუდამ სასიკეთო გავლენა მოუხდენია რჩეულთა დასზე, მაგრამ დაღლილი ეპოქებისა და ჩვეულებრივ მოკვდავთათვის, ერთის თქმისა არ იყოს, არსებობს სხვა ქალური საწყისი — ისიც მარადი — უფსკრულისაყენ რომ გვეზიდება. დღეს საფრანგეთში სწორედ იგი იყო აზრთა მპყრობელი და რესპუბლიკის მბრძანებელი.

კრისტოფი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა პარიზელ ქალებს მათ სალონებში, სადაც მას ვირტუოზის ნიჭისა და სილვენ კონის რეკომენდაციების წყალობით ლებულობდნენ. უცხოელთა უმრავლესობის მსგავსად მან განაზოგადა თავისი უღმობელი შენიშვნები, რომელიც სინამდვილეში მის ნაცნობ ფრანგ ქალთა ორ თუ სამ ტიპს ეხებოდა. ესენი იყვნენ მოქნილსხეულიანი და შეღებილთმიანი ახალგაზრდა, ტანმორჩილი ქალები. სინორჩის კვალიც არ აჩნდა მათ მომხიბლავ, ფაქიზნაკეთებიან სახეებს. ლამაზი, მაგრამ უფორმო და ვულგარული ცხვირები ჰქონდათ. უზარმაზარი ქუდები მოხდენილად წამოეკოსათ, გაბატონებულ ტანთან შედარებით, მოზრდილ თავებზე. მკვირცხლი, არაფრისშთქმელი თვალები უნდოდათ დიდრონი და ბრიალა გამოსჩენოდათ. ნებისყოფის გამომხატველი ლამაზი ტუჩები ჰქონდათ. ჩასუქებული ნიკაპი და პირისახის მთელი ქვედა ნაწილი ამ კეკლუც ქმნილებათა მიწიერ ბუნებას ამ-

ელავენებდა. სასიყვარულო ინტრიგების მიუხედავად, არასოდეს ივიწყებდნენ ოჯახის საზრუნავს და საზოგადოებრივ რიტუალებს. ლამაზები და უჭიშოები იყვნენ. თითოეულ მათგანში იგრძნობოდა გახორწილი ბურჯუაზიის სუნთქვა. ეს იყო მათი იდეალი, ამ კლასისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით: სიფრთხილით, ყაირათიანობით. გულცივობით, პრაქტიკულობითა და ეგოიზმით. უბადრუკ ცხოვრებას ეწეოდნენ. სიამოვნებისაკენაც მხოლოდ იმიტომ მიიღტვოდნენ, რომ გულგრილი ცნობისმოყვარეობა ამოძრავებდათ და არა გრძნობათა მოთხოვნილება. მტყიცე და ჭიუტი ნებისყოფა ჰქონდათ. დიდი გემოვნებით იცვამდნენ, გამოუმუშავებულა ჰქონდათ კეკლუცი და ავტომატური ეესტეტი. ხელის ნაზი შეხებით ისწორებდნენ თმებსა და სავარცხლებს. ყოველთვის ისე სხდებოდნენ, რომ კარგად დაენახათ სარკეში საკუთარი თავიცა და სხვაც. ვახშამსა და საუზმზე ამ მიზანს კოვზები, დანები, ვერცხლის ყავადანები ემსახურებოდა; ცდილობდნენ, მათ გლუვ და ბრქყვიალა ზედაპირზე მოეკრათ თვალის თავიანთი სახის ანარეკლისათვის, ამქვეყნად ყველაფერზე მეტად რომ აინტერესებდათ. მაგიდასთან მკაცრ დიეტას იცავდნენ, მხოლოდ წყალს ყლურწავდნენ და უარს ამბობდნენ ყველა იმ კერაზე, რასაც შეეძლო ეწო მათი საოცრად თეთრი დაპულრული სახის კანისათვის.

იმ წრეებში, კრისტოფი რომ ტრიალებდა, ბევრი ებრაელი იყო. ებრაელთა ქალები მას იზიდავდნენ, თუმცა, ივლით მანაჰიმთან შეხვედრის შემდეგ, თავს ილუზიებით აღარ იტყუებდა. სილვენ კონმა იგი რამდენიმე ისრაელურ სალონში შეიყვანა. იქ მას შეხვდნენ ისე, როგორც ეს სჩვევიათ ჰკვიან ებრაელებს — ხალხს, ვინც იცის გონების დაფასება. ვახშამზე კრისტოფი ხვდებოდა ფინანსისტებს, ინჟინრებს, გახვთების მესვეურებს, მსოფლიო მასშტაბის შუამავლებს, თანამედროვე ყაიდის მონათვაჰრებს, — ერთი სიტყვით, რესპუბლიკის საქმოსნებს. ეს იყო ენერგიული, კეთილგონიერი, სხვებისადმი სრულიად გულგრილი, მომღიმა რე, ექსპანსიური და გულდახურული ხალხი. კრისტოფი ხვდებოდა, რომ ყვავილებითა და კერძებით დამშვენებულ დიდებულ მაგიდასთან მსხდომ მამაკაცთა ჭიუტ შუბლებს უკან ბევრი ჩადენილი ბოროტმოქმედება იმალებოდა და ვინ იცის, მომავალში კიდევ რამდენი მზადდებოდა. თითქმის ყველანი მახინჯები იყვნენ. სამაგიეროდ, ქალთა დასი შორიდან თვალისმომაჰრელი ჩანდა. მაგრამ მათი ახლოდან ცქერა არ ღირდა, ფერებისა და ფორმების დახვეწილობით ბევრი ვერ დაიკვებნინდა. თუმცა ბრწყინვალეა არ აკლდათ. ვნებიან გამოხედვას და ლამაზ მხრებს ამაყად აგებებდნენ მამაკაცთა მზერას. საოცარი ნიჭი ჰქონდათ: თავიანთ სილამაზეს და სიმახინჯესაც მარჯვედ იყენებდნენ, რათა კაცები ხაფანგში მოემწყვდიათ. მხატვრის თვალის მათ შორის ძველ რომაულ ტიპს, ნერონისა და აღრიანეს ეპოქის სილამაზეს იპოვიდა. ზოგ სახეთა ავხორცი გამომეტყველება, ღბაპში ჩამჯდარი ნიკაპი და რაღაც ცხოველურად სილამაზე პალმას ტილოებზე გამოხატულ სახეებს მოგაგონებდათ. შეხედებით აგრეთვე ხშირ, ხუჭუჭათმიან, თვალანთებულ, გაბედულად მომზირალ.

ქალებს; ეს გამჭრახი და გესლიანი ბანოვანნი, ეტყობოდა, მიზნის მისაღწევად ყველაფერს იკისრებდნენ. სხვა ქალებთან შედარებით ბევრი რამ ვაჟაკური ჰქონდათ და ამავე დროს უფრო ქალურებიც იყვნენ. აქა-იქ უფრო შთაგონებული პროფილიც გამოკრთებოდა ხოლმე. მისი წმინდა ნაკვთები რომის იქით, ლაბანას ქვეყანაში იღებდა საწყისს. ასეთი სახის დანახვისას კრისტოფს სიჩუმის პოეზიის, უდაბნოს პარმონიის შეგრძნება ებღებოდა. მაგრამ საკმარისი იყო ახლოს მისულყო და ყური მიეგდო რებეკას საუბრისათვის ფაუსტინა-რომაელთან, ან წმინდა ბარბარე-ვენეციელთან, რომ დააწმუნებულყო, მის წინ ჩვეულებრივი პარიზელი ებრაელი იყო, ყალბი და არაბუნებრივი, ოღონდ უფრო მეტად პარიზელი, ვიდრე პარიზის ხამდვილი მკვიდრი. მათი ღვთისმშობელსავეთ ნაზად მომზირალი თვალები მშვიდად და გესლიანად აშიშვლებდნენ ადამიანთა სულსა და სხეულს.

კრისტოფი გჯუფიდან გჯუფიში დაბორილობდა და ვერავის შეჰკედლებოდა. მამაკაცები უღმობლად ლაპარაკობდნენ ნადირობაზე, უხეშად — სიყვარულზე, ხოლო ფულზე თავიანთ სიმართლემში დააწმუნებულ ადამიანთა ცევი და დამცინავი ტონით მსჯელობდნენ. თამბაქოს მოსაწევ ოთახში საქმიან შენიშვნებს იწერდნენ. ჭორაობდნენ ვიღაც ლამაზ მამაკაცზე, სალილეზე მიბნეული როზეტით ქალთა სავარძლებს. შორის რომ დასეირნობდა და აქეთ-იქით ტლანქ ქათინაურებს აფრქვევდა. კრისტოფმა თავისი ყურით გაიგონა, როგორ ეკითხებოდნენ ერთმანეთს:

— რაო, გამოუშვიათ უკვე?

ღარბაზის ერთ-ერთ კუთხეში ორი მანდილოსანი ახალგაზრდა მსახიობი ქალისა და ერთი დიდგვაროვანი მანდილოსნის სიყვარულზე მსჯელობდა. ხან-ღახან კონცერტებიც იმართებოდა და კრისტოფს სთხოვდნენ რაიმე შეესრულებინა. ოფლში გაწურული, აქოშინებული პოეტი ქალები აპოკალიპსური ტონით წარმოთქვამდნენ საიული პრიუდომისა და ოგიუსტ დორშენის ლექსებს. განსქმული კომედიანტი, ციური ორგანოს თანხლებით, საზეიმო ხმით კითხულობდა „მისტიკურ ბალადას“. მუსიკაც და ლექსიც ისეთი სულელური იყო, რომ კრისტოფი კინაღამ ცუდად გაზდა, მაგრამ რომაელი მანდილოსნები აღფრთოვანებული იყვნენ, გულიანად იცინოდნენ და მშვენიერ თეთრ კბილებს აჩენდნენ. იბსენსაც დგამდნენ. გაითამაშეს საზოგადოების ბურჯების წინააღმდეგ დიდი ადამიანის ბრძოლის ეპილოგი. ამ სცენამ ისინი გაართო კიდევ!

დაბოლოს, რასაკვირველია, თავიანთ მოვალეობად თვლიდნენ ხელოვნებაზე ემსჯელათ. გულს აგირეყდნენ კაცს. განსაკუთრებით ქალები ირჯებოდნენ: ლაპარაკობდნენ იბსენზე, ვაგნერზე, ტოლსტოიზე; ლაპარაკობდნენ ისე, ზრდილობის გულისათვის, იმიტომ რომ მოწყენილები იყვნენ და სულელები; მხოლოდ იმიტომ, რომ კეკლუცობდნენ ამით. თუკი საუბარი ამ მიმართულებით წარიმართებოდა, ვერავითარი ძალა ვეღარ შეაჩერებდა. სენი გადამდელები იყო და კრისტოფიც აზმენდა ფინანსისტთა, გამრიგებელთა, ვაჭარ-

თა აზრებს ხელოვნებაზე. ამაოდ ცდილობდა პასუხისათვის თავი აერიდებინა და სიტყვა ბანზე აეგდო, თანამოსაუბრე დაყინებით ელაპარაკებოდა მუსიკაზე და მაღალ პოეზიაზე. „ეს ხალხი საოცარი გულგრილობით ხმარობს ამ სიტყვებს, გეგონება, ღვინოზე, ფლირტსა თუ სხვა ღირსებაზე ლაპარაკობდეს“, — ამბობდა ბერლიოზი. ერთი ფსიქიატრი ირწმუნებოდა, იბსენის გმირი ქალი ჩემი პაციენტს მაგონებს, ოღონდ უფრო სულელიაო. ვილაცა ინყინერი თავდაჯერებით ამტკიცებდა: პიესაში „თოჯინის სახლი“ ყველაზე სიმათიური მოქმედა პირი ქმარი არისო. გამოჩენილი მასხარა — განთქმული კომიკოსი ხმის კანკალით წარმოთქვამდა თავის ღრმა აზრებს ნიცშესა და კარლიელზე და კრისტოფს უყვებოდა: ისე ვერ შემიხედია ველასკესის სურათებისთვის (იმ ხანად სწორედ ველასკესი იყო აღიარებული ღეთაება), მსხვილ-მსხვილი კურცხლები რომ არ ჩამომცივიდეს ლაწვებზეო. ხელოვნებას ვალმერთებ, მაგრამ ყველაზე ძალა ცხოვრების ხელოვნებას — მოქმედებას ვაყენებო. არჩევანი რომ მომეცებ, ბისმარკის როლს ავირჩევდით, ანდობდა იგი კრისტოფს. ზოგჯერ სალონში ეგრეთ წოდებულს ენამოსწრებულს ხალხიც გამოჩნდებოდა, მაგრამ საუბარი ამით უფრო საინტერესო არ ხდებოდა. კრისტოფი იმ ბრძნულ აზრებს, მათ რომ მიაწერდნენ, ადარებდა იმას, რასაც სინამდვილეში ლაპარაკობდნენ. უფრო ხშირად დუმდნენ და იღუმალად იღიბებოდნენ. თავიანთი რეპუტაციით ცხოვრობდნენ და არც აპირებდნენ ამ რეპუტაციის საფრთხეში ჩაგდებას. შეფასების უნარი სრულებით არ ჰქონდათ. ყველა ერთ დონემდე დაქადაბდათ. ერთს შექსპირს ადარებდნენ, მეორეს — მოლიერს, მესამეს კი — იესო ქრისტეს. იბსენს დიუმა-შვილს უტოლებდნენ, ტოლსტოის — ჟორჟ სანდს. ცხადია, მთავარი იყო დაემტკიცებინათ, რომ პირველობა ყველაფერში საფრანგეთს ეკუთვნოდა. უცხო ენა, ჩვეულებრივ, არ იცოდნენ. თუმცა ეს გარემოება ხელს არაფერში არ უშლიდათ. რაში აინტერესებდათ მსმენელებს, მართალს ამბობდნენ ისინი თუ არა. ოღონდ ეროვნული თავმოყვარეობის მამებელ თავშესაქცევ ამბებზე ელაპარაკათ. უცხოელებს შავ დღეს აყრიდნენ. გამონაკლისს მხოლოდ სადღეისოდ აღმართული კერპები წარმოადგენდნენ. ერთი კერპი ხომ აუცილებელი იყო მოღისთვის: გრიგი, ვაგნერი, ნიცშე, გორკი თუ დაწუნციო. მაგრამ ეს გატაცება დიდხანს არ გრძელდებოდა და ერთ მშვენიერ დღეს კერპი ნაგვის ყუთში ამოყოფდა თავს.

იმხანად ასეთი კერპი ბეთჰოვენი იყო. ბეთჰოვენი, — ვინ წარმოიდგენდა ამას? — მოდამი გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, ლიტერატორებისა და დახვეწილი საზოგადოების წრეებში, რადგან მუსიკოსები მას მაშინვე ჩამოსცილდნენ. ისინი აპყვენ რხევათა სისტემის მოქმედებას, რომელიც საფრანგეთში ხელოვნათა გემოვნების კანონს წარმოადგენს. იმისათვის, რომ გაიგოს თავისი აზრი, ფრანგმა უნდა იცოდეს რა აზრისაა მისი მეზობელი, რათა იფიქროს იგივე, ან საწინააღმდეგო. რა ნახეს, ბეთჰოვენი პოპულარული ხდებოდა, მუსიკოსთა შორის ყველაზე ღირსეულნიც აღარ თვლიდნენ მას თავის ღირსად. მათ

თავი მოჰქონდათ იმით, რომ საზოგადოებრივ აზრს წინ მიუძღოდნენ და არასოდეს არ ჩამორჩებოდნენ. აბა, სხვებივით ხომ არ იფიქრებდნენ და მათ ამაყად შეაქციეს ზურგი საზოგადოებას. ბეთჰოვენს გამოყრუებულ, მკვიანა ბებერს უწოდებდნენ. ზოგიერთი ამტკიცებდა: „შესადლოა, პატივსაცემი მორალისტი კი იყო, მაგრამ, როგორც მუსიკოსი, ამდენ ქებას არ იმსახურებსო“. ეს უშნო ზემორობა კრისტოფს არაფრად ეპიტნავებოდა. არც დახვეწილი საზოგადოების აღფრთოვანება ახარებდა. იმხანად ბეთჰოვენი პარიზში რომ ჩასულიყო, ყველაზე სათაყვანებელი პიროვნება იქნებოდა. რა საწყენი იყო, რომ ერთი საუკუნით ადრე გარდაიცვალა. ამ გატაცებაში ყველაზე ნაკლები წილი მის მუსიკას ედო. უფრო ანტიტრესებდათ მისი ცნოვრების მეტად თუ ნაკლებად რომანტიკული ამბები, ფართოდ გავრცელებულ სანტიმენტალურ ბიოგრაფიებში რომ იყო აღწერილი. მისი ძლიერი, ლომისებური სახე სარომანო თემად გადაიქცა. ქალები მისი ცოდვით იწვოდნენ და იქ დამსწრეთ აგრძნობინებდნენ: მის გვერდით ჩვენ რომ ვყოფილიყავით, ანეთი უბედურია არ იქნებოდნოდაო. მზად იყვნენ თავიც კი გაეწირათ, რადგან არ ეშინოდათ, ბეთჰოვენი ტყუილზე დაგვიპერსო. საბრალო მოხუცს ამქვეყნად აღარაფერი სჭირდებოდა. ამიტომ იყო, რომ ვირტუოზები, ღირიერები, იმპრესარიოები ბეთჰოვენის პირველი თაყვანისმცემლები გახდნენ. და რასან კომპოზიტორის წარმომადგენლებად ითვლებოდნენ, მის კუთვნილ ქება-დიდებასაც ისაკუთრებდნენ. დიდებულ ფესტივალებზე ძვირფასი ჯილდოები ინიშნებოდა და რჩეული საზოგადოების წევრებს შენთხვევა ეძლეოდათ გულუხვობა გამოეჩინათ, ზოგჯერ კი ბეთჰოვენის სიმფონიებიც აღმოეჩინათ. დახვეწილი და ნახევრადდახვეწილი საზოგადოების წევრთა, მსახიობთა და პოლიტიკოსთა კომიტეტები, რომელთაც რესპუბლიკისაგან ეკისრებოდათ ხელოვნების ბედ-იღბლის გაძლოლა, ხალხს აუწყებდნენ: ბეთჰოვენს ძეგლი უნდა დავუდგათო. ხელმოწერის ფურცლებზე რამდენიმე პატიოსან ადამიანთა გვართან, რომელნიც გზას უხსნიდნენ სხვებს, ხელს აწერდა ვიგინდარების მთელი ის ხროვა, სიცოცხლეში ალბათ ფეხქვეშ რომ გათელავდა ბეთჰოვენს.

კრისტოფი აკვირდებოდა, ყურს უგდებდა. ენას მაგრად აწერდა კბილებს, უკმეზი სიტყვა რომ არ წამოსცდენოდა. მთელი საღამო დაჰიმული და გაღიზიანებული დადიოდა. ამ ხალხისათვის ლაპარაკი სიამოვნებას და აუცილებლობას როდი წარმოადგენდა; აქ ლაპარაკობდნენ მხოლოდ ზრდილობის გულისათვის, მხოლოდ იმისათვის, რომ საზოგადოებაში საჭიროა ლაპარაკი. კრისტოფს ეს დამამცირებლად მიიჩნდა, რაც გულში ედო, იმას ვერ იტყოდა. ისე, ტყუილებრადოდ ყბედობა კი არ შეეძლო. იმის ნიჭიც არ ჰქონდა, ჩუმად ყოფილიყო და თავაზიანად მოეჩვენებინა თავი. მეზობელს თუ გადახედავდა, ისეთი დაკვირვებით დააშტერდებოდა, რომ თავისდაუნებურად სწავლობდა თანამოსაუბრეს და ისიც თავს დამცირებულად გრძნობდა. თუ ლაპარაკობდა, მეტიანეტად სწამდა იმისა, რასაც ამბობდა. ეს არც თვითონ მოსწონდა და არც

მსმენელებს. იცოდა, მისი ადგილი აქ არ იყო. გუმანით ხედებოდა, რომ მისი აიროვნება ყალბ ბგერასავით არღვევდა ამ გარემოს ჰარმონიას და თავისი საქციელი ისევე ეჩითიერებოდა, როგორც მის მასპინძელს. ამიტომ თავის თავზეც ბრაზობდა და სხვებზეც.

ღამით ქუჩაში მარტო რომ რჩებოდა, მოწყენილობისაგან იმდენად ღონემიხდილი იყო, შინ ფეხით დაბრუნების თავიც აღარ ჰქონდა. მზად იყო შუა ქუჩაში, მიწაზე გაწოლილიყო. ბავშვობაშიც, როდესაც იგი — პატარა ვირტუოზი — დიდი ჰერცოგის სასახლიდან კონცერტის შემდეგ შინ ბრუნდებოდა, ბარე ოცჯერ, კინაღამ წასძლია იმავე სურვილმა. ზოგჯერ კვირის ბოლომდე მხოლოდ ხუთი-ექვსი ფრანკი ელო ჯიბეში, ის კი ორ ფრანკს ეტლში ხარჯავდა. სასწრაფოდ ეშვებოდა სავარძელში, რომ იქაურობას მალე გამოერებოდა. სანამ ეტლი შინისკენ მიაქროლებდა, გზაში ზიზღისა და დაღლილობისაგან კვნესოდა. შინ, ლოგინში, დაძინების წინაც კვნესოდა... და უცებ, რომელიმე სასაცილო სიტყვის გახსენებისას, სიცილი წაჰკლებოდა. თავის თავს ატყობდა, რომ იმეორებდა ამ სიტყვას და თან მოსაუბრეთა მოჭრაობებსაც ბაძავდა. მეორე დღეს და მერე კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში მარტო სეირნობისას უეტკრად მხეცივით იღრინებოდა. რა უნდა ამ ხალხთან? რისთვის დაღის მათ სანახავად? რა ძალა ადგას, სხვების მანქვა-გრეხა გაიმეოროს, თავი ისე მოაჩვენოს, თითქოს აინტერესებდეს ის, რაც სრულებითაც არ ეხატება გულზე. ნუთუ მართლაც არ აინტერესებს ყველაფერი ეს? აგერ ერთი წელია, ვერ იტანს ამ საზოგადოებას. ახლა იგი უკვე ართობს მას, მაგრამ აღიზანებს კიდევ. შეშფოთებით ეკითხებოდა თავს, ძალა ხომ არ გამოემლიათ? პირიქით, ასეთი ძლიერი, არასოდეს არ ყოფილა. უცხო გარემოში უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს. ნელ-ნელა აეხილა თვალი ცხოვრების დიდ კომედიანზე.

თუმცაღა, მოსწონდა თუ არ მოსწონდა, ასეთი ცხოვრება უნდა განეგრძო, თუკი ზურდა, რომ მისი მუსიკა პარიზულ საზოგადოებას გაეცნო: ამ საზოგადოებას მხოლოდ მაშინ აინტერესებს ნაწარმოები, როცა მის ავტორს იცნობს. საჭირო იყო, გაეცნოთ იგი. სხვაგვარად ვერ იმოვიდა გაკვეთილებს იმ ფილისტერთა შორის, ვინც მას თავის სარჩენად სჭირდებოდა.

ამასთანავე, ადამიანს გული აქვს. გულს კი სიყვარული სწყურია. რა პირობებშიც უნდა ჩავარდეს, მუდამ იპოვის ხოლმე მეორე ადამიანს, ვისაც შეეთვისება. ასე რომ არ იყოს, ვერც იცოცხლებდა.

კრისტოფის მოწაფეებს შორის გამოირჩეოდა საავტომობილო ქარხნის მდიდარი მეპატრონის ქალიშვილი კოლეტ სტივენსი. მამამისი, გაფრანგებული ბელგიელი, ანტვერპენში გადმოსახლებული ინგლისელ-ამერიკელისა და პოლანდიელი ქალის შვილი იყო. დედა—იტალიელი. ეს იყო ჭეშმარიტად ფრანგული ოჯახი. კოლეტ სტივენსი კი, კრისტოფიც ასე ფიქრობდა და სხვებიც, ახალგაზრდა ფრანგი ქალის განსახიერება გახლდათ.

თვრამეტი წლის კოლეტი ნაზად უნაბავდა ყმაწვილ კაცებს თავის ხავერდოვან თვალებს. წყლიანი, მოელვარე გუგებით ესპანელ ქალს მოგაგონებდათ. პატარა, ოღნავ მოგრძო ცხვირს ლაპარაკის დროს კეკლუცად ქმუნიდა. ფერმერთალ პირის კანზე პუდრი ესვია; ლამაზი, ფუნუნულა, მსხვილნაკვებიანი სახე, აბურდული თმა და გაბუსხული ფისოს გამომეტყველება ჰქონდა.

ტანმომცრო, მუდამ ძალიან კარგად ჩაცმული კოლეტი გამომწვევიც იყო და მიმზიდველიც. ნაზი და პრანკია, იგი მიამბი ბავშვებით იქცეოდა. თავის ზავარძელში ქანაობით იქცევდა თავს და უცებ წააოიძახებდა ხოლმე:

— ო, ნუთუ მართლა?!

მაგიდაზე თუ თავის საყვარელ კერძს მოჰკრავდა თვალს, ტაშს შემოჰკრავდა ხოლმე, სალონში სიგარეტს აბოლებდა და მამაკაცების დასანახად გადაჰარბებულ სიყვარულს იჩენდა ამხანაგების მიმართ: ხან ყელზე შემოეხვეოდა, ხან ხელზე მიუაღერებდა, ხან რაღაცას ეჩურჩულებოდა, თან ორიოდ გესლიან სიტყვასაც გადაჰკრავდა ნაზი ხმით. დროს თუ იხელთებდა, ზედმეტად თავისუფალ ლაპარაკსაც გააბამდა, მეტად ეხერხებოდა ასეთ თემაზე მოსაუბრის აყოლიება, თანაც ამ დროს დამკრევე ბავშვის გულუბრყვილო გამომეტყველება ეხატა სახეზე. რაიმე ჭორის გაგონებისას მძიმე ქუთუთოების ქვეშ მიმალული თვალები გაუბრწყინდებოდა თვალთმაქცური და ეშმაკური გამომეტყველებით აქეთ-იქით აღმაცერად იცქირებოდა, სიამოვნებით იქერდა ყოველ სიტყვას, თან არ ავიწყდებოდა ანკესზე წამოეგო რომელიმე მოტრფიალე.

კრისტოფს, რასაკვირველია, სრულებითაც არ მოსწონდა ეს ყალბი მიამიტობა და პრანკვა-გრეხა. აბა, სად ეცალა თამაშში აყოლოდა ამ გიჟმა გოგონას ან მისი ოინებისათვის ეცქირა. კრისტოფს თავი უნდა ერჩინა და სიკვდილსაგან ეხსნა საკუთარი სიცოცხლე და შემოქმედება. სალონის ამ თუთიყუშებისაგან მხოლოდ ერთს მოელოდა: მისთვის ცხოვრების სახსარი ეძლიათ. ფულის სანაზაუროდ თვათონაც კეთილსინდისიერად ამეცადინებდა მოწაფეებს. საქნეს მთელი გულსყურით ეციდებოდა. შუბლმეკრული, გონებადაძაბული ცდილობდა დაეძლია მოწყენილობა, ეს გაკვეთილები და კოლექტი სტივენსივით კეკლუცი ქალიშვილები რომ ჰგვრიდა.. კრისტოფი ისევე არ აქცევდა ყურადღებას კოლექტს, როგორც მის პატარა ბიძაშვილს, თორმეტი წლის ჩუმ, მოკრძალებულ გოგონას, რომელიც სტივენსებთან ცხოვრობდა და რომელიც ასევე კრისტოფის მოწაფე იყო.

კოლექტი საკმაოდ მიხვედრილი გოგონა იყო და კარგად გრძნობდა, რომ მის სიმშვენიერება არავითარი ფასი არ ჰქონდა კრისტოფის თვალში, არც მხერჩება აკლდა და ამიტომ ერთბაშად შეეგუა კრისტოფის ხასიათს. ამისათვის დიდი მონღომება არ დასჭირებია. ეს იყო მისი ბუნებრივი, ქალური ინსტინქტი. კოლექტი ჰგავდა უფორმო ტალღას. ყოველი ადამიანი, ვისაც კი ხვდებოდა, მისთვის იყო ჭურჭელი, რომლის ფორმასაც იგი ლებულობდა ზოგჯერ უცებ. თუ დასჭირდებოდა, ანდა, უბრალოდ, ცნობისმოყვარეობის გამო. ამქვეყნად

რომ გაეძლო, ყოველთვის სხვა უნდა ყოფილიყო. მთელი მისი ინდივიდუალობა ის იყო, რომ დიდხანს ერთზე შეჩერება არ შეეძლო და ჭურჭელს მალიმალ იცვლიდა.

კრისტოფი მას ბევრი რამით იზიდავდა და, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ თავად ვერ მიიზიდა; კიდევ იმიტაც. ხიბლავდა, რომ სხვა მის ნაცნობ ყმაწვილებს არ ჰგავდა. კოლეტს არასოდეს შეხვედრია ასეთი დაუხვეწელი ფორმის ჭურჭელი. გოგონა ისე იყო დახლოვებული, რომ პირველი დანახვისთანავე ზუსტ შეფასებას აძლევდა ჭურჭელსაც და აღამიანებსაც. მას მშვენიერაო ესმოდა, რომ, მიუხედავად თავისი მოუხეშობისა, კრისტოფს ჰქონდა ის სიძლიერე, რომელიც არ გააჩნდა არც ერთ მის ნაცნობ პარიზელ ქარაფშუტა ყმაწვილს.

კოლეტი, ისევე, როგორც უმრავლესობა უსაქმური ქალიშვილებისა, ხან ბევრს მეცადინეობდა და ხანაც ცოტას. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სულ მუსიკას სწავლობდა, ღაგრამ არაფერი კი არ გაეგებოდა მისი. მთელი დღეების განმავლობაში უცირკიტებდა პიანინოს, ხან სხეულის დასანახავად, ხან სიამოვნებით, ხან სრულიად უაზროდ. თითქოს ველოსიბელზე გადამჯდარიყო. ზოგჯერ კი კარგად, ძალიან კარგად, გემოვნებათ უკრავდა, სულსაც შიგ აქსოვდა (თითქოსა და, მართლაც ჰქონოდა სული. ამისათვის საკმარისი იყო, თავი წარმოედგინა იმის ადგილას, ვისაც მართლაც სული ჰქონდა). კრისტოფის გაცნობამდე მას უყვარდა მასნე, გრიგი, ტომე, მაგრამ გაიცნო თუ არა კრისტოფი, სულ ადვილად დაივიწყა ისინი და ახლა საკმაოდ კარგად უკრავდა ბახსა და ბეთჰოვენს, (რაც, მართალი რომ ითქვას, ბევრს არაფერს ნიშნავს), მთავარი ის იყო, რომ ახლა სწორედ ისინი შეიყვარა. სინამდვილეში მას ბეთჰოვენი, ტომე, ბახი და გრიგი კი არ უყვარდა, არამედ — ნოტები, ბგერები, საკუთარი თითები, კლავიშებზე რომ დარბოდნენ, სიმების რხევა — ასე სასიამოვნოდ რომ უღიტიწებდა ნერვებს.

ბაცი ხალიჩებით მორთული არისტოკრატიული სახლის სალონში, შუა ადგილას, იდგა მოლბერტი ქალბატონი სტივენსის პორტრეტით: ეს ახოვანი ქალი ძოდურ მხატვარს უწყლოდ დარჩენილი ყვაილივით მინახებულნი წარმოედგინა: მიზნედილი თვალები და სპირალივით დაკლავნილი ტანი, მისი აზრით, შესანიშნავად გადმოსცემდა მილიონერი ქალის სულის ინდივიდუალობას. ამ დიდ სალონში, რომლის ფანჯრები თოვლით დაფიქქულ ბებერ ხეებს გადაჰყურებდა, კრისტოფს პიანინოსთან მჯდომი კოლეტი ხედებოდა. გოგონა გაუთავებლად იმეორებდა ერთსა და იმავე მუსიკალურ ფრაზას, სასიამოვნოდ დისონანსებით იტკობდა სმენას.

— ა, — ამბობდა კრისტოფი შესვლისას, — ჩვენი ფისუნია ისევ კრუტუნებს.

— უსინდისო! — სიცილით პასუხობდა კოლეტი... (და ოდნავ გაოფლილ ხელს უწყვიდდა)... — მოუსმინეთ, განა ლამაზი არ არის?

— ძალიან ლამაზია, — გულგრილად ეუბნებოდა კრისტოფი.

- თქვენ ყურს არ უგდებთ, კარგად მომისმინეთ.
- მესმის... მუდამ ერთი და იგივეა.
- ანა, თქვენ არა ხართ მუსიკოსი, — წყენით ეუბნებოდა კოლეტი.
- ვითომც აქ მუსიკაზეა ლაპარაკი!
- როგორ, განა ეს მუსიკა არ არის?.. მაშ, რა არის, ერთი მითხარით?
- თვითონაც კარგად იცით, და მე არაფერს გეტყვით, რადგან არ მინდა, არათავაზიანობაში ჩამომართვით.
- მით უმეტეს, მითხარით.
- ძალიან გინდათ?... მით უარესი თქვენთვის... იცით, რას შერებთ? პიანინოს ეკეკლუტებით.
- ნუთუ?
- დიახ, დიახ, თქვენ მას ეუბნებით: „ჩემო კარგო პიანინო, მითხარი სასიამოვნო სიტყვები, კიდევ, მომეფერე, მაკოცე“.
- ახლავე გაჩუმდით! — ამბობდა თან სიცილით და თან გაჯავრებით კოლეტი, — თქვენ თავაზიანობის ნატამალიც არ გაგაჩნიათ.
- მართალია.
- ნამდვილი თავხედი ბრძანდებით... და მერე, ასეც რომ იყოს, განა ეს მუსიკის ნამდვილი სიყვარული არ არის?
- ო, ძალიან გთხოვთ, ნუ აურევთ მუსიკას ამაში.
- ეს ხომ თვით მუსიკაა! განა ლამაზი აკორდი კონცა არ არის?
- აი, წამოგცდათ კიდევც.
- განა ეს მართალი არ არის? რატომ იჩეჩავთ მხრებს, რად იჭმუხნებით?
- იმიტომ, რომ ასეთი ლაპარაკი მეზიზღება.
- მით უკეთესი!
- მეზიზღება, როდესაც მუსიკაში თავაშვებულებას ხედავენ... ო, ეს თქვენი ბრალი კი არ არის, ამაში დამნაშავეა ის საზოგადოება, თქვენ რომ გარს გარტყიათ. ეს თქვენი უგვანო საზოგადოება ხელოვნებას უცქერის, როგორც ნებადართულ გარყვნილებას... გვეყოფა ამაზე საუბარი, დაუკარით თქვენი სონატა!
- არა, კიდევ ვილაპარაკოთ ცოტა.
- მე სალაპარაკოდ არ მოვსულვარ, მე აქ იმისათვის ვარ, რომ მუსიკა გასწავლოთ... აბა, დაუკარით!
- მეტად თავაზიანი ბრძანდებით! — ეუბნებოდა განაწყენებული კოლეტი. გულის სიღრმეში კი უხაროდა, რომ ასე მკაცრად მოექცნენ.
- იგი რაც შეიძლება დიდი მონდომებით ასრულებდა ნაწყვეტს და რადგან საკმაოდ ნიჭიერი იყო, კარგად, ზოგჯერ ძალიან კარგად დაკვრასაც ასრულებდა. მაგრამ კრისტოფის ნოტყუება არც ისე ადვილი იყო, ჟღერებაში ეცინებოდა: „ეს სასაგელი ისე უკრავს, გეგონება, ნაწარმოებს მართლაც გრძნობდეს, სინამდვილეში კი არაფერი გაეგება“. ამის გამო მისდამი ირონიული სიმპათიის

გრძნობაც კი გაეღვიძა. კოლეტი თავის მხრივ, ყოველი საბაბით სარგებლობდა, რათა გაეახლებინა საუბარი, რომელიც მას ბევრად უფრო აინტერესებდა, ვიდრე მუსიკის გაკვეთილი. ამოდ ცდილობდა კრისტოფი თავის დაღწევას. შოიმიზენა კიღეც: „ყველაფერს ვერ გეტყვით, რასაც ვფიქრობ, ვიცი გეწყინებდათ“. მაგრამ კოლეტი მუდამ ახერხებდა მის გამოტეხას და რაც უფრო საწყენი იყო კრისტოფის აზრით, მით უფრო ნაკლებად სწყინდა. მისთვის ეს გართობა იყო. გრძნობდა ეშმაკი, რომ კრისტოფს არაფერი უყვარდა ისე, როგორც გულწრფელობა და მწვავე კამათში გაბედულ წინააღმდეგობას უწყევდა. გაკვეთილის ბოლოს კი ერთმანეთს კარგი მეგობრებივით შორდებოდნენ.

მიუხედავად ამისა, კრისტოფს არასოდეს ოდნავი ილუზიაც არ ჰქონია ამ სალონურ მეგობრობაზე, არასოდეს ოდნავადაც კი არ დაუახლოვდებოდნენ ერთმანეთს, კოლეტის გულახდილობა რომ არა. მაგრამ მართლა გულახდილობა კი იყო ეს? თუ მხოლოდ ქალის წაცდუნებელი ინსტინქტი ამოქმედებდა?

წინა დამით კოლეტის მშობლებმა დიდი წვეულება გამართეს. კოლეტი იცინოდა, ლაპარაკობდა, კეკლუცობდა, მაგრამ მეორე დილას, კრისტოფი რომ გაკვეთილის ჩასატარებლად მივიდა, გოგონა მთლად მოქანცული და გამოფიტული იყო, სახე დაგრძელებოდა, თავი ტყვიასავით მძიმე ჰქონდა, სახეზე ნაცრისფერი ეღო. რამდენიმე სიტყვა ძლივს ამოღერდა. მერე პიანინოს მიუჯდა და უხალისოდ დაიწყო დაკვრა. შეეშალა, შესწორება სცადა, ისევ შეეშალა, უცებ დაკვრა შეწყვიტა და თქვა:

— არ შეიძლია... გთხოვთ მპატიოთ. თუ შეიძლება ცოტა მაკალეთ.

კრისტოფი შეეკითხა, ავად ხომ არა ხართო. არაო, მიუგო ყმაწვილმა ქალმა. უბრალოდ, ხასიათზე ვერ იყო. „ვიცი ხოლმე ასე, სასაცილოა, მაგრამ ამისთვის ნუ დამეძღვრებით“.

კრისტოფმა შესთავაზა, სხვა დროს მოვალო, მაგრამ კოლეტმა დაუინებით სთხოვა, დარჩითო.

— მხოლოდ ერთი წუთი მადროვეთ, სულ მალე კარგად გავხდები... რა სულელი ვარ, არა?

კრისტოფი გრძნობდა, რომ კოლეტი უგუნებოდ იყო, მაგრამ არ უნდოდა ჩასციებოდა და საუბარი სხვა საგანზე ვადაიტანა:

— ეს სულ იმის ბრალია, გუშინ რომ ამდენი იმზიარულეთ. სრულებით არ იზოგავდით თავს.

კოლეტს ირონიულად გაეღიმა:

— თქვენზე კი ამას ვერ ვიტყვოდი, — უთხრა ქალმა. კრისტოფს გულიანად გაეცინა.

— მგონი, ერთი სიტყვაც არ გითქვამთ, — განაგრძობდა კოლეტი.

— არც ერთი.

— კი მაგრამ, ხომ იყო იქ საინტერესო ხალხი?

— დიახ, ცნობილი ყბედები და კჭუის კოლოფები. დამაბნეის პირდაპირ თქვენმა უხერხემლო ფრანგებმა, რომელთაც ყველაფერი ესმით, ყველაფერს ხსნიან, ყველაფერს ამართლებენ, გრძნობით კი ვერაფერს გრძნობენ. ადამიანი, რომელსაც შეუძლია საათობით ილაპარაკოს სიყვარულზე და ხელოვნებაზე! განა ეს გულის ამრევი არ არის?

— მე მგონი, სიყვარულს თუ არა, ხელოვნებას მაინც შეეძლო თქვენი დაინტერესება?

— ასეთ საგნებზე არ ლაპარაკობენ: მათ აკეთებენ.

— კი მაგრამ, თუკი არ შეუძლიათ? — თქვა კოლექტმა და გაიბუსა.

კრისტოფმა სიცილით უპასუხა:

— მაშინ სხვას დაანებეთ. ყველა არ არის ხელოვნებისათვის დაბადებული.

— არც სიყვარულისათვის?

— არც სიყვარულისათვის.

— შეგვიბრალებთ. მაშ, რაღა დაგვრჩენია?

— დიასახლისობა.

— გმადლობთ, — მიუგო განაწყენებულმა კოლექტმა.

იგი ხელახლა მიუბრუნდა ინსტრუმენტს, ისევ სცადა დაკვრა, ისევ შეეშალა. ნაგრად დაჰკრა კლავიშებს ხელი და ამოიკვნესა:

— არ შემიძლია... ნამდვილად არაფრის მაქნისი ვარ. მე მგონი, თქვენ მართლს ამბობთ. ქალები არაფრის მაქნისი არ არიან.

— ამის აღიარება უკვე ბევრს ნიშნავს, — გულთბილად დაამშვიდა კრისტოფმა.

კოლექტმა შეხედა პატარა, დარცხვენილ გოგონასავით, რომელსაც გაუჩავრდნენ, და უთხრა:

— ნუ იქნებით ასეთი მკაცრი.

— მე ცუდს არაფერს ვამბობ კარგ ქალებზე, — მხიარულად მიუგო კრისტოფმა, — კარგი ქალი სამოთხეა დედამიწაზე. ოღონდ სამოთხე დედამიწაზე...

— ვიცი, არავის უნახავს.

— მე პესიმისტი არ ვარ. ვამბობ: იგი მე არ მინახავს-მეთქი არასოდეს, ნაგრამ იქნებ არსებობს კიდევ; გადაწყვეტილიც მაქვს მოვნახო. ოღონდ ეს ადვილი როდია. კარგი ქალი ისევე იშვიათია, როგორც გენიალური ნამაკაცი.

— რა მათ გარდა დანარჩენი კაცები და ქალები სათვალავში არ ჩაივდება?

— ჰირიქით, საზოგადოებას სწორედ დანარჩენები ჰყავს სათვალავში.

— თქვენ?

— ჩემთვის ისინი არ არსებობენ.

— რა მკაცრი ხართ. — გაიმეორა კოლექტმა.

— დიახ, ცოტა არ იყოს, საჭიროა ვინმე მაინც იყოს მკაცრი, როდესაც

სიმკაცრე სხვების სასიკეთოდაა. ამქვეყნად აქა-იქ თუნდაც ცოტა ქვა რაჟ არ გერიოს, ყველაფერი დაიქცეოდა.

— დიას, მართალს ამბობთ, თქვენ ბედნიერი ხართ საკუთარი სიძლიერით, — ნაღვლიანად უთხრა კოლეტმა, — მაგრამ ნუ იქნებით ზედმეტად მკაცრი მათ მიმართ, ვინც არ არის ასეთი. თქვენ არც კი იცით, როგორ გვაძმიებებს ჩვენი სისუსტე. თქვენ გვხედავთ, როგორ ვიცინით, ვეკლუცობთ, ვმამიშუნჯობთ, გგონიათ, რომ ამის მეტი არაფერი გვაქვს თავში და არად გვაგაღებთ. ო! რომ იცოდეთ, რა ხდება იმ პატარა თხუთმეტ-თვრამეტი წლის ქალების თავში; მაღალ საზოგადოებაში რომ ტრიალებენ. მათ მოიპოვეს წარმატება, თავაშვებულ ცხოვრებას რომ მოაქვს. ნეტა ხედავდეთ მათ მას შემდეგ, როცა უკვე იცეკვს, თქვენს უამრავი სისულელე, პარადოქსი და ღვარაღიანი სიტყვა, იცინებს თვითონ და სხვებიც გაამხიარულეს. იმის შემდეგ, როცა მათ უკვე უწილადეს თავისი თავის ნაწილი ბრიყვებს და ყოველი მათგანის თვალეზში ცდილობდნენ ეპოვათ ის სინათლე, იქ რომ არასოდეს მოიქებნება, თქვენ რომ ხედავდეთ მათ მაშინ, როდესაც ისინი ღამით ბრუნდებიან შინ, იკეტებიან თავიანთ მყუდრო ოთახებში და მარტოობის აგონიაში მუხლებზე ეცემიან.

— ნუთუ ეს შესაძლებელია? — ჰკითხა გოცებულმა კრისტოფმა, — როგორ! თქვენ იტანჯებით? ნუთუ თქვენ ასე ეწამებით?

კოლეტმა არაფერი უთხრა, მაგრამ თვალები ცრემლით ავესო. გაღიძევა სცადა და ხელი გაუწოდა კრისტოფს. მანაც აღელვებით ჩასჭიდა ხელი.

— საბრალო გოგონა, — ამბობდა იგი, — თუკი ასე წვალობთ, რატომ არაფერს აკეთებთ იმისათვის, რომ თავი დააღწიოთ ასეთ ცხოვრებას?

— რა უნდა გავაკეთოთ? ჩვენ აქ ვერაფერს გავხდებით. თქვენ, მამაკაცებს, შეგიძლიათ გაითავისუფლოთ თავი, გააკეთოთ ის, რაც გსურთ. ჩვენ კი სამუდამოდ მომწყვდეული ვართ მაღალი საზოგადოების ვალდებულებათა და გართობათა წრეში და არ ძალგვიძს აქედან თავის დაღწევა.

— მერე ვინ გიშლით, რომ ჩვენსავით გაითავისუფლდეთ, ჩვენსავით მიჰყოთ ხელი საქნეს, რომელიც მოგწონთ და რომელიც თქვენს დაძოვრებულობას უზრუნველყოფს?

— თქვენსავით? საბრალო ბატონო კრავტ! თქვენი ხელობა არც თუ ისე კარგად უზრუნველყოფთ... თუმცა თქვენ ის მოგწონთ მაინც. ჩვენ კი, აბა რა საქმისათვის ვართ გაჩენილი? რა არის ისეთი, რომ დაგვანტერესოს? დიას, მე კარგად ვიცი, ახლა ქალები ყველაფერში ვერვით, თავს ვიკატუნებთ, თითქოს გვიანტერესებდეს უამრავი რამ, რაც ჩვენს გულს სულაც არ ეკარება. ჩვენ კი ისე გვინდა რამით ვიყოთ გატაცებულნი. მეც სხვებსავით ვიქცევი. მონაწილეობას ვიღებ მფარველობისა და საქველმოქმედო საზოგადოებებში, ვისმენ ლექციებს სობრონის უნივერსიტეტში, დავდივარ ბერგსონისა და ჟიულ ლემეტრის მოხსენებებზე, ისტორიულ კონცერტებზე, კლასიკურ დილებზე და სულ რაღაცას ვინიშნავ, ვინიშნავ... არც კი ვიცი, რას ვწერ ხოლმე. ვცდილობ, დავარწ-

მუნო ჩემი თავი, რომ ყველაფერი ეს მალეღვებს, ყოველ შემთხვევაში, სარგებლობას მაინც მაძლევს. ოჰ, რა დარწმუნებული ვარ ჩემი საქმიანობის ამოუბანში. რარიც სულერთია ჩემთვის ყველაფერი დაროგორ მომამბეზრა თავი ყოველივემ. ნუ შემძულვებთ იმისათვის, რომ გულახდილად გეუბნებით იმას, რასაც ყველა ფიქრობს. მე სხვებზე სულელი არა ვარ, მაგრამ რად მინდა ეს ფილოსოფია, ისტორია, მეცნიერება? ხელოვნება კი, — თქვენც კარგად ხედავთ, — ვლტუპაუნებ პიანინოს, ვითინი პატარა, საძაველ აკვარელვებს. განა ეს ავსებს ჩემს ცხოვრებას, რომლის ერთადერთი მიზანი გათხოვებაა? მაგრამ თუ გგონიათ ძალაჲ სასიხარულოა გაჰყვე ცოლად ერთ-ერთ იმათგანს, ვისაც მეც ისევე კარგად ვიცნობ, როგორც თქვენ? კარგად ვხედავ, რასაც წარმოადგენენ ისინი, მაგრამ არა მაქვს ბედნიერება თქვენი გერმანელი გრეტხენებივით მუდამ ის მოვახერსო. რომ ილუზიებით მოვიტყუო თავი... განა ეს საშინელება არ არის? ხედავდე შენს ირგვლივ მათ, ვინც უკვე გათხოვდა; ხედავდე, ვის გაჰყვენ ცოლად ისინი და იფიქრო, რომ შენც მათსავით უნდა მოიქცე. დაიმახინჯო სული და სხელი, გახდე მათსავით უგვანო. გარწმუნებთ, საკმაო სიმტკიცეა საჭირო, რომ დათანხმდე ასეთ ცხოვრებაზე და კისრად იდო მისი მოვალეობანი. ყველა ქალს როდი შესწევს ამის უნარი... დრო კი მიდის, წლები ილევა, ახალგაზრდობა ჭრება... მაგრამ ჩვენც ხომ გვექონდა ბევრი კარგი და კეთილი გრძობა, ალარაფერში გამოგვადგება, ყოველდღიურად რომ კვდება ჩვენში და, იძულებული ვართ, მიუძღვნათ ბრწყვებს, მათ, ვინც გვეძულს და ვინც შემდეგ შეგვიძულვებს. არავის ესმის შენი! ამბობენ, სხვებისათვის ჩვენ გამოცანა ვართ. დაეუშვათ, ეს ასეა კაცებისათვის, რომელთაც უგვანონი და უცნაურები ვგონივართ, ქალებს ხომ მაინც შეეძლოთ ჩვენი გაგება? ისინიც ხომ ჩვენისთანები იყვნენ? მათ მხოლოდ უნდა გაიხსენონ ეს... მაგრამ არა, არავითარი შველა მათი მხრიდან. საკუთარი დედებიც კი არ გვიცნობენ და არც ცდილობენ, რომ ნამდვილად გაგვიცნონ. ისინი მხოლოდ ჩვენს გათხოვებაზე ფიქრობენ. სხვა მხრივ კი იცხოვრე, მოკვდი, მოეწყვე, როგორც გინდა. საზოგადოებამ ბედის ანაბარად მიგვატოვა.

— გულს ნუ გაიტვებთ, — უთხრა კრისტოფმა, — ცხოვრების გამოცდილება ყველამ თავისით უნდა მიიღოს. თუ გულადი იქნებით, ყველაფერი კარგად წავა. ეძიეთ თქვენი საზოგადოების მიღმა, პატიოსანი ხალხიც ხომ უნდა არსებობდეს საფრანგეთში.

— რასაკვირველია, არის, მე მათ ვიცნობ, მაგრამ ისინი ისეთი მოსაწყვენები არიან!... გარდა ამისა, უნდა გამოგიტყუდეთ: მართალია, საზოგადოება, რომელსაც მე ვეკუთვნი, მეზიზღება, მაგრამ ისე შეგვიჩვიე, არა მგონია, ახლა შეგიძლო მის გარეშე ცხოვრება. მე მჭირდება გარკვეული კომფორტი, ფუფუნება და დახვეწილი საზოგადოება, რომელსაც, რასაკვირველია, მხოლოდ ფული ვერ რომცემს, მაგრამ, რომლისთვისაც ფული აუცილებელია. ვიცი, ყველაფერი, რაც ვითხარით, იქნებ პატივს არა მღებს, მაგრამ ვიცნობ ჩემს თავს: მე სუსტი

ვარ... ძალიან გთხოვთ, ნუ მიმატოვებთ, ჩემს ლაჩრობას რომ დაგანახებთ. გულისყურით მომისმინეთ, წე ისე მსიამოვნებს თქვენთან საუბარი. ვგრძნობ, რომ ძლიერი და საღი ხართ. მეტად მჯერა თქვენი, იყავით ჩემი მეგობარი, გინდათ?

— ძალიან მინდა, — უთხრა კრისტოფმა, — მაგრამ რა შემძლია გავაკეთო თქვენთვის?

— რჩევა მომეცით, გამამხნევეთ. ხშირად ისე დაბნეული ვარ, რომ არ ვიცი, რა ვიღონო. მაშინ თავს ვეუბნები: რისთვის ვიბრძვი? რისთვის ვიტანჯები? რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება და რა იქნება ეს საშინელი გრძნობა და არ მინდა ავყვე. მხარში ამომიდექით, გეთაყვა, მომეხმარეთ.

კოლეტს დადლილი, ათი წლით დაბერებული ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა. კრისტოფს კეთილი, მავედრებელი თვალებით უცქეროდა. კრისტოფი დაჰპირდა: ყველაფერს შეგისრულებთო და კოლეტიც გამოცოცხლდა, გაიღიმა, გამხიარულდა.

სალამოთი კი ისევ კეკლუცობდა და ისევ იცინოდა, როგორც ყოველთვის.

ამ დღიდან მოყოლებული ხშირად აბამდნენ ხოლმე გულითად საუბარს. მარტონი იყვნენ და კოლეტი უზიარებდა თავის გულისნადებს. კრისტოფიც თავს იმტვრევდა, რომ გაეგო მისი და ერჩია რამე. ქალი ყურს უგდებდა რჩევას, ხშირად საყვედურებსაც ისმენდა. უსმენდა ყურადღებით, სერიოზულად, როგორც დამჯერე გოგონა. ეს მას ართობდა, აინტერესებდა, შველოდა კიდევ, მადლიერი და გულაჩუყებული, მადლობის ნიშნად კეკლუცად უნაბავდა თვალებს კრისტოფს, მაგრამ მის ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა: ერთი გასართობი შეემატა მხოლოდ.

მისი დღე მეტამორფოზების მთელი მწკრივი გახლდათ. ძალიან გვიან, თითქმის შუადღისას, დგებოდა. უძილობა სჭირდა; მხოლოდ გათენებისას თუ ჩაეძინებოდა ხოლმე. მთელი დღე არაფერს აკეთებდა. უცნაურად აეკვიტებოდა წინა დღით მოწონებული რაიმე ლექსი, იღვა, იღვის ნაგლეჯი, გაგონილი საუბარი, მუსიკალური ჰანგი ან სახე და მხოლოდ საღამოს ოთხი ან ხუთი საათისათვის თუ გამოფხიზლდებოდა საბოლოოდ. მანადღე, კი დამძიმებული ქუთუთაოები, შეშუპებული სახე და ნამძინარევი, გაბუხებული გამომეტყველება ჰქონდა. მხოლოდ მაშინდა გამოცოცხლდებოდა, როდესაც მასავით მოლაქაქე და მასავით პარიზული ჭორებით დაინტერესებული რამდენიმე დობილი ეწვეოდა. ისინი თავდავიწყებით კამათობდნენ სიყვარულზე. სიყვარულის ფსიქოლოგია, ისევე, როგორც ჩაცმულობა, სხვის საიდუმლოებაში კირკიტი და აესიტყვაობა, მათი საუბრების მუდმივ თემას წარმოადგენდა. მას ჰყავდა აგრეთვე თავისი წრე ახალგაზრდა, უსაქმო ყმაწვილებისა, ვისთვისაც აუცილებელი იყო დღეში ორი ან სამი საათი ქალის კალთის სიახლოვეს გაეტარებინა. კამბის ტარებაც არ

გაუქირდებოდათ, რადგან სულთაჲ ნამდვილი ქალები იყვნენ და ქალებივითაჲ ლაპარაკობდნენ. კრისტოფს თავისი დრო და საათი ჰქონდა მიჩნეულა. საათი, რომელსაც მოძღვრისთვის მოიტოვებენ ხოლმე. კოლეტი ერთბაშად დინჯ და დაფიქრებულ ქალად იქცეოდა ხოლმე. იგი ემსგავსებოდა ბოდლის მიერ აღწერილ ახალგაზრდა ფრანგ ქალს, სენაკში, „მშვიდად მომზადებულ თემას რომ ანვითარებს. ეს არის დალაგებული და ნათელი თხრობის მაგალითი, მასში ყველაფერი, რაც უნდა ითქვას, გარკვეულ კატეგორიებადაა დანაწილებული“. ამის შემდეგ იგი ახალი ძალით ეძლეოდა გართობას. დღე რომ მიიწურებოდა, კოლეტი სულ უფრო და უფრო ახალგაზრდავდებოდა. საღამოთი თეატრში მიდიოდა. იქ ნაცნობ სახეთა დანახვაში პოვებდა ნაცნობ სიამოვნებას. პრესას ვინა აქცევდა ყურადღებას; სიამოვნებდა მხოლოდ ნაცნობი მსახიობების ცქერა, საქვეყნოდ ცნობილ მათ მანკიერებათა კიდევ და კიდევ გახსენება, მის სანახავად ლოქაში მოსულ ხალხთან ერთად სხვა ლოქებში მსხდომ ხალხსა და მსახიობ ქალებზე აესიტყვაობა. „ინჟინიუს გუშინწინდელი მაიონეზივით ამჯავებული ხნა აქვსო“ — ამბობდა იგი, — პიესის გმირი ქალი ჩაცმულობით აბაჟურს მომაგონებსო“. ხან სტუმრად წასვლა მოუწევდა, აქ კი სიამოვნება იმაში პოულობდა, რომ საზოგადოებაში თავი გამოეჩინა და თუ იმ დღეს ლამაზადაც გამოიყურებოდა — სხვები დაეჩრდილა (ეს კი მუდამ შემთხვევაზე იყო დამოკიდებული, რადგან პარიზულ სილამაზეზე ცვალებადი არაფერია), გებულობდა ახალახალ კორებს ადამიანებზე, მათს ჩაცმულობაზე, მათს ფიზიკურ ნაკლზე. მათი საუბრის საგანი სულ ეს იყო. შინ გვიან ბრუნდებოდა, დაძინება უჭირდა (ეს ის დრო იყო, როდესაც ყველაზე უფრო ფხიზლად გრძნობდა თავს), მაგიდის ირგვლივ დაბორილობდა, წიგნს ფურცლავდა, რაიმე სიტყვისა, ან ჟესტის გახსენებაზე იცინოდა და თავს ძალიან უბედურად გრძნობდა. ღამით კი, უეცრად, სასოწარკვეთა ეუფლებოდა.

კრისტოფი, რომელიც კოლეტს დრო და დრო, რამდენიმე საათით ხვდებოდა, მხოლოდ მის ზოგიერთ სახეცვლილებას ხედავდა და მათში გარკვევაც მეტად უჭირდა. იგი თავს ეკითხებოდა: ნეტა როდის არის გულწრფელი, იქნებ შუღამ. ან იქნებ — არც არასოდეს. კოლეტი თვითონაც ვერ გასცემდა ამასუ პასუხს. იგი ჰკავდა ახალგაზრდა ქალიშვილების უმარაღესობას, უსაგნო და იდუმალი სურვილებით შეპყრობილნი, ბნელში ალაღბელზე რომ დაფათურობენ. კოლეტი არ იცნობდა თავის თავს, რადგან არ იცოდა, რა სურდა და არც შეეძლო სტოდნოდა, სანამ არ გამოცდიდა თავის ძალას. ჰოდა, ცდიდა კიდევ თავისებურად, რაც შეეძლო მეტი თავისუფლებითა და ნაკლები რისკით. ცდილობდა მიეხამა მათთვის, ვინც მის გარშემო იმყოფებოდა, გადაეღო მათი მორალური საზომი. არჩევანს არ ჩქარობდა. მან მოისურვა გამოეზოგა ყველაფერი, რათა ყველაფერი გამოეცადა.

მაგრამ ისეთ მეგობართან, როგორც კრისტოფი იყო, ეს არც თუ ისეთი მოსახერხებელი აღმოჩნდა. კრისტოფი ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა უპირა-

ტესობა მიენიჭებინათ სხვისთვის, ადამიანისათვის, ვისაც თვითონ პატივს არ სცემდა, ან სძულდა კიდევ, მაგრამ ასეთებთან რომ ათანაბრებდნენ, ეს დაუშვებლად მიაჩნდა.

იგი სრულებით არ აპირებდა მოთმინება გამოეჩინა, მით უმეტეს, რომ კოლეტს, ეტყობა, სიამოვნებდა ირგვლივ შემოეკრიბა სწორედ ის ვაჟბატონები, ყველაზე მეტად რომ აღიზიანებდნენ კრისტოფს. ესენი იყვნენ გულისამრევი სნობები, უმეტესად მდიდრები; ყოველ შემთხვევაში, უსაქმურები ან თბილად გილას, რომელიმე სამინისტროში მოკალათებული ხალხი. ყველა მწერლობა — ყოველ შემთხვევაში ჰქონდა ამის პრეტენზია. მესამე რესპუბლიკაში მწერლობა ნამდვილ ნევროზად გადაიქცა. ეს თავისებური გამოვლენა იყო პატივმოყვარე სიზარმაცისა, რადგან გონებრივი შრომის შემოწმება მეტად ძნელია და თვალის აბმის ყველაზე იოლი საშუალებაა. ისინი გადაკერით, მაგრამ დიდი პატივისცემით ლაპარაკობდნენ, ძალიან ბევრს ვემუშაობთო. ჩანდა გამსწვალული იყვნენ თავიანთი დიდი მოვალეობის შეგნებით და მისი სიმძიმით წელში მოხრილიყვნენ. პირველ ხანებში კრისტოფი უხერხულობას გრანობდა იმის გამო, რომ სრულიად არ იცნობდა მათს ნაწარმოებებსა და მათს სახელებს. მორცხვად დაიწყო გამოკითხვა, განსაკუთრებით უნდოდა გაეგო, რა დაწერა ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც მას თეატრის მესვეურად გააცნეს. ძალიან გაუკვირდა, როდესაც შეიტყო, რომ თურმე ამ დიდ დრამატურგს ერთი აქტის მეტი არაფერი დაუწერია. ეს ერთი აქტიც გადმოკეთებული ჰქონია რომანიდან, რომელიც თავად რიგი ნოველებისაგან შედგებოდა, უფრო სწორად, ჩანახატებისაგან, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში რომ ერთ-ერთ ყურნალში აქვეყნებდა. მეტი სიმდიდრით სხვებიც ვერ დაიკვებინდნენ: რამდენიმე აქტი, რამდენიმე ნოველა, რამდენიმე ლექსი, ზოგიერთმა სახელი ერთი სტატიით მოიხვეჭა, სხვებმა—წიგნით, „რომლის დაწერასაც აპირებდნენ“. ქედმაღლურად უყურებდნენ დიდი მოცულობის ნაწარმოებებს და ეტყობა, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ სიტყვების განლაგების საკითხს წინადადებაში. თუმცა სიტყვა „აზრი“ მათს საუბარში ხშირად იხმარებოდა, მაგრამ მას ეტყობოდა, არ ჰქონდა იგივე მნიშვნელობა, რაც ჩვეულებრივ აქვს ხოლმე. ისინი მას სტილის პრობლემებთან აკავშირებდნენ. მიუხედავად ამისა, მათ შორის იყვნენ დიდი მოაზროვნეები და დიდი სატირიკოსებიც, წერისას კურსივით რომ გამოპყოფდნენ თავიანთ ბრძნულ და დახვეწილ აზრებს, რათა ვინმეს შემთხვევით არ გამოარჩენოდა ისინი.

ყოველი მათგანი მხოლოდ საკუთარ „მე“-ს სცემდა თავყანს. ეს ერთადერთი კულტი იყო, რომელსაც აღიარებდნენ თვითონ და ცდილობდნენ, ამ კულტისათვის სხვებიც ეზიარებინათ. უბედურება ის იყო, რომ სხვებს არ ეცალათ. ამ ყმაწვილების მუდმივ საზრუნავს შეადგენდა, ეპოვათ მაყურებელი ჩემისა, თუ როგორ ლაპარაკობენ, დადიან, აბოლებენ, კითხულობენ გაზეთს, უქირავთ თავი, იყურებიან, ესალმებიან ერთმანეთს. უმოთავრესად ქალის გუ-

ლისთვის ირჯებიან ასე: ქალები წარმოადგენენ მათს საწაფელს, მაგრამ კიდევ უფრო მეტად სურთ, რომ თავად გახდნენ მათთვის სანატრელნი. თუმცა არც პირველი შემხვედრისთვის დაიზარებენ ყირაზე დადგომას, შემხვედრისთვის, ვისგანაც გაოცებული მზერის მეტს ვერაფერს ზიიღებენ. კრისტოფს ხშირად შეჰვედრია ასეთი პატარა ფარშევანგები: უნიჰო მხატვრები, ვირტუოზები, მსახიობები, ცნობილ ადამიანებს, — ვან დეიკს, რემბრანდტს, ველასკესს, ბეთ-ჰოვენს რომ ბაძავდნენ, ან თამაშობდნენ რაიმე როლს: კარგი მხატვრისა, კარგი მუსიკოსისა, კარგი მუშისა, ღრმად მოაზროვნისა, ჭკუამზიარული კაცისა, დუნაელი გლეხისა, ბუნების შვილისა... ქუჩაში თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ, ვინმე გვიყურებს თუ არაო. კრისტოფი მათ დანახვაზე ვერაგულად იბრუნებდა ხოლმე პირს. მაგრამ ისინი ღიღებდნენ კი არ რჩებოდნენ საქციელწამხდარნი, ორი ნაბიჯის იქით უკვე სხვა შემხვედრს აწონებდნენ თავს. კოლეტის სალონში მოსიარულენი უფრო რაფინირებული ხალხი იყო. უმთავრესად თავიანთ გონებას ნიღბავდნენ, ბაძავდნენ ორ თუ სამ მოდელს, რომლებიც თავად ორიგინალები არ იყვნენ; ან რაიმე იღვას აირჩევდნენ, ვთქვათ, ძალას, სიხარულს, სიბრალულს, სოლიდარობას, სოციალიზმს, ანარქიზმს, რწმენას, თავისუფლებას და მას ანსახიერებდნენ. მათთვის ეს მხოლოდ როლები იყო. საკვირველი ნიჭი ჰქონდათ: ყველაზე სანუკვარ აზრებს ლიტერატურის საგნად აქცევდნენ, ხოლო ადამიანის სულის ყველაზე გმირულ მისწრაფებებსა და მოღუი ყელსაბმის შექმნას მათთვის ერთი და იგივე მნიშვნელობა ჰქონდა.

მათ სტიქიას წარმოადგენდა სიყვარული: იგი მათი საკუთრება იყო. სიამოვნების კახუსტიკაში მათთვის არაფერი დარჩენილა დაფარული. ისეთი ვირტუოზები იყვნენ, რომ ახალ-ახალ კახუსებსაც კი იგონებდნენ, რათა ჰქონოდათ პატავი მათი ამოხსნისა. ასე სჩვევიათ უსაქმურ ადამიანებს: რაკი არავინ უყვართ, სიყვარული შესწავლის საგნად გაუხდიათ და, რაც მთავარია, მის ახსნას ცდილობენ. კომენტარებს უფრო მეტი ადგილი ეჭირა, ვიდრე ტექსტს, რომელიც მათთან მეტად მცირე მოცულობისა იყო. სოციოლოგია ყველაზე უხამს აზრებსაც კი მიმზიდველს ხდიდა. ამიტომ, ყველაფერს სოციოლოგიის დროშით ფარავდნენ. რა სასიამოვნოც უნდა ყოფილიყო საკუთარი მანკიერი სურვილების დაკმაყოფილება, ამ სიამოვნებას მაინც აკლდა რაღაც, თუკი დარწმუნებული არ იყვნენ, რომ ამავე დროს მომავლისათვისაც იღვწოდნენ; ეს იყო უაღრესად პარიზული სოციალიზმი, ერთიკიული სოციალიზმი.

იმ პრობლემათა შორის, რომლებიც მაშინ სიყვარულის ამ კარისკაცებს იღვავებდა, იყო ჭორწინებასა და სიყვარულში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხი. იყვნენ ცოტათი სასაცილო, პატიოსანი, პროტესტანტი ყმაწვილები — სკანდინავიელები თუ შვეიცარიელები, რომლებიც ქალისა და მამაკაცისაგან თანაბრად მოითხოვდნენ სიწმინდის დაცვას. მამაკაცები ჭორწინებამდე ისეთივე უმანკო უნდა ყოფილიყვნენ, როგორც ქალები. პარიზელი კაზუისტები კი სულ სხვა სახის თანასწორობას მოითხოვდნენ: თანასწორობას

აღვირახსნილობაში; გათხოვებისას ქალებიც ისეთივე შებღალული უნდა ყოფილიყვნენ, როგორც მამაკაცები, ჰქონოდათ საყვარლის ყოლის უფლება. ადიულტერი იმდენად გავრცელებული იყო პარიზელთა წარმოდგენაა და სინამდვილეშიც, რომ კარგავდა თავის სიმძაფრეს. ლიტერატურულ წრეებში ცდილობდნენ შეეცვალათ იგი უფრო ორიგინალური გამოგონებით: ყმაწვილი ქალების პროსტიტუციით — მხედველობაში მაქვს რეგულარული, საყოველთაო, სათნოებიათი, წესიერი, ოჯახური და უფრო მეტიც, სოციალური პროსტიტუცია. ნიჭით აღსავსე წიგნი, რომელიც ის-ის იყო გამოვიდა, აკანონებდა ამ საკითხს. სასაცილო პედანტიზმითა და „ბეკონის ინტუქციური მეთოდის ყველა წესის დაცვით“, ამ ოთხასგვერდიან წიგნში შესწავლილი იყო საშუალებანი, „თუ როგორ უნდა ვისიამოვნოთ უკეთ“. თავისუფალი სიყვარულის ეს სრული კურსი, სადაც გაუთავებლად მსჯელობდნენ ელემენტურობასა, კარგ გემოვნებასა, კეთილშობილებასა, სილამაზესა, მოკრძალებასა და მორალზე. — ნამდვილი ბერკენი იყო მაღალი წრის ქალიშვილებისათვის, რომელთაც სურდათ ცუდ გზას დასდგომოდნენ. იმ ხანად ეს წიგნი სახარებად გადაექცათ კოლეტსა და მის მეგობრებს; ალტაცებულნი გამუდმებით მასზე მსჯელობდნენ. მოწაფეების მსგავსად ისინი, ცხადია, გვერდს უვლიდნენ ყველაფერს, რაც ამ პარადოქსებში ნამდვილი, კარგად შემჩნეული და საცნაოდ ჰუმანურიც იყო და მხოლოდ უარესს იმახსოვრებდნენ. ამ პატარა, დაშქარულ წალკოტში მუდამ ახერხებდნენ დაეკრიფათ ყველაზე უხამიანი ყვავილები; მაგალითად, აფორიზმები ამ სახისა: „ავხორციობის სურვილი მხოლოდ აძლიერებს მუშაობის სურვილს“. — „შემზარავია, რომ ქალწული მანამ იქცევა დედად, სანამ სიამოვნებას მოასწრებდეს“, რომ: „უმანკო მამაკაცთან ცხოვრება ბუნებრივად მიიყვანს ქალს დედის როლის შეგნებამდე“, რომ: სწორედ დედებს მართებდათ „ისევე ფრთხილად და გონივრულად დაეცვათ ქალიშვილების თავისუფლება, როგორც ვაჟიშვილების თავისუფლებას უფრთხილდებიან ხოლმე“, და რომ მოვიდოდა დრო, როდესაც „ქალიშვილები საყვარლებთან შეხვედრის შემდეგ ისევე დაბრუნდებიან შინ, როგორც ახლა ლექციებიდან, ან ამხანაგთან საუბრის შემდეგ ბრუნდებიან ხოლმე“.

კოლეტი სიცილით ამბობდა, — ძალიან გონივრული დარიცხვები იაო.

კრისტოფს ასეთი ლაპარაკი ზიზღს ჰგვრიდა. მას გაზვიადებულად ჰქონდა წარმოდგენილი მისი მნიშვნელობა და ის ზიანი, რომელიც მას შეეძლო მოეტანა. ფრანგებს ჰქუა ჰყოფნით იმისათვის, რომ თავიანთი ლიტერატურა ცხოვრებაში არ გაატარონ. ეს წვრილფეხა დიდროები, დიდი დენის დაქინებული ასლები, ისევე, როგორც ენციკლოპედიის გენიალური პანურგი, ყოველდღიურ ცხოვრებაში ისეთივე პატიოსანი და, ასე გასინჯეთ, მშობარა ბურკუები არიან, როგორც სხვები. სწორედ ამ გაუბედობის ბრალია, რომ მათ წარმოდგენაში ყველაფერი უკიდურესობამდე მიჰყავთ და კიდევაც ერთობიან ამით. ამ თამაშში არავინ არაფერს კარგავს.

მაგრამ კრისტოფი ფრანგი დილეტანტი როდი განლდათ.

იმ ახალგაზრდებს შორის, კოლეტს რომ გარს ეხვივნენ, გამოირჩეოდა ერთი, ვისაც კოლეტი სხვებს ამჯობინებდა. ბუნებრივია, რომ ამ ყმაწვილებიდან იგი ყველაზე ძნელად ასატანი იყო კრისტოფისათვის.

ეს იყო გამდადრებული ბურჯუას ვაჟი, არისტოკრატიული ლიტერატურის სარბიელზე გამოსული, თავს მესამე რესპუბლიკის პატრიციელად რომ ასაღებდა. სახელად ლიუსიენ ლევი-კერი ერქვა. შორა-შორა მკვირცხლი თვალები, კეხიანი ცხვირი და წინ წამოწეული ტუჩები ჰქონდა. ქერა წვერი ვან დეიკივით ვიწროდ შეეკრიბა. ნადრევი სიმელოტე სრულებითაც არ ამახინჯებდა. ალერსიანი ლაპარაკი და ნატიფი მანერები ჰქონდა. მისი ვიწრო და რბილი ხელი თითქოს დნებოდა სხვის ხელში. ჩუდამ უკიდურეს თავაზიანობასა და დახვეწილ გალანტურობას იჩენდა მათ მიმართაც კი, ვინც სრულიად არ მოსწონდა და გზიდან ვის მოშორებასაც ცდილობდა.

კრისტოფს იგი ადრეც უნახავს, სწორედ იმ ვახშამზე, სილვენ კონმა რომ პირველად შეახვედრა პარიზელ ლიტერატორებს. თუმცა მაშინ ერთმანეთისათვის ერთი სიტყვაც არ უთქვამთ, კრისტოფმა, გაიგონა თუ არა მისი ხმა, ამ ადამიანს მიძარტ იგრძნო სიძულვილი, რომელსაც თვითონაც ვერ ხსნიდა და რომლის ღრმა მიზეზს მხოლოდ უფრო გვიან მიხვდა. სიყვარული ზოგჯერ ელვასავით სწრაფად ჩნდება ხოლმე, ასევეა სიძულვილიც, ანდა (რომ არ შეუტაცხვოთ ნაზი სულები, რომელთაც შიშს ჰკვრის ეს სიტყვა, ისევე როგორც ყველა ძლიერი გრძნობა), დავარქვათ ამას საღი არსების ინსტინქტი, უმაღვე რომ იცნობს მტერს და თავს იცავს მისგან.

კრისტოფისგან განსხვავებით იგი წარმოადგენდა გახრწნილი, ირონიული სულის განსახიერებას, რომელიც წყნარად, თავაზიანად, უჩუმრად უტევდა ყველაფერს, რაც კი შერჩა დიადი ძველ, მომაკვდავ საზოგადოებას: ოჯახს, ქორწინებას, რელიგიას, სამშობლოს; ებრძოდა ყველაფერს, რაც კი ვაჟკაცური, წმინდა, ჯანსაღი და ხალხური იყო ხელოვნებაში. არ სწამდა არც იდეების, არც გრძნობების, არც დიდი ადამიანების, არც საერთოდ ადამიანის. ასეთ შეხედულებებს საფუძვლად ედო სიამოვნება, რომელსაც იგი ღებულობდა მექანიკურად, გადაჯარბებული ანალიზის შედეგად, ეს იყო მატლის ინსტინქტი, აზრების განოღრღნის ცხოველური მოთხოვნილება. ინტელექტუალური მღრღნელის ან იდეალთან ერთად ჰქონდა მეძავი, და თანაც ცუდმეცნიერი მეძავი ქალის მგრძნობელობა. მისთვის ყველაფერი იყო ან იქცეოდა ლიტერატურის საგნად, ყველაფერი ლიტერატურულ თემას წარმოადგენდა: საკუთარი წარმატება ქალებთან, თავისი თუ სხვისი მანკიერებანი. რომანებსა და პიესებში დიდი ხელოვნებით აღწერდა თავისი მშობლებისა და მეგობრების პირად ცხოვრებას, მათ ინტინქტურ ურთიერთობას, აღწერდა თავის სამიჯნურო თავგადასავალს, სასიყვარულო ამბებს ქალებთან, მათ შორის თავისი საუკეთესო მეგობრის ცოლთანაც. პორტრეტები დიდი ოსტატობით იყო შესრულებული. ყველა აქებდა მათ სი-

ზუსტეს. მკითხველიც, მეგობარიც და მეგობრის ცოლიც. ისე არ მოუბოვებია ქალის კეთილგანწყობა, ან არ გამხდარა მისი მესაიდუმლე, რომ მეგრე ეს ამბავი წიგნში არ აეწერა. ასეთ უტაქტობას, რასაკვირველია, ამ ამბების მონაწილეთა უმეაყოფილება უნდა გამოეწვია, მაგრამ არა. ქალები ოდნავ უხერხულობას თუ გრძნობდნენ მხოლოდ და პროტესტს ნოსაჩვენებლად აცხადებდნენ. გულის სიღრმეში კი აღტაცებულები იყვნენ. რომ ასე საქვეყნოდ გააშიშვლეს. ნიღაბს თუ არ ახდიდნენ, მათ მორცხვობას მშვიდად ეძინა. თავის მხრივ, ლევიკერის ქორიკანობაში არ იყო სკანდალის ან შურისძიების განზრახვა. იგი სხვაზე უარესი შვილი, ან სხვაზე უარესი საყვარელი როდი იყო. იმავე თავებში, ასე უტიფრად რომ ამხელდა დედას, მამას და საყვარელს, ჰქონდა ადგილები, სადაც დიდი სინაზითა და მომხიბლავი პოეტურობით ლაპარაკობდა მათზე. სინანდელიც, თავისი ოჯახის მეტად მოყვარული ადამიანი იყო, მაგრამ იმ კატეგორიის ხალხს ეკუთვნოდა, ვისაც არ აქვს მოთხოვნილება პატივი სცეს იმას, რაც უყვარს, პირიქით, უფრო მეტად უყვარს ის, რაც შეიძლება აბუჩად აიგდოს. სიყვარულის საგანი მათ ამით უფრო ახლობელი და ადამიანური ეჩვენებოდათ. ყველაზე ნაკლებად შესწევთ უნარი იწამონ გმირობა და განსაკუთრებით კი — სიწმინდე. არაფრად უღიროს ისინი მონაგონად და აზროვნების სისუსტედ მიიჩნიონ. თუმცა, რასაკვირველია, დარწმუნებულნი არიან, რომ სხვებზე უკეთ შეუძლიათ გაუგონ ხელოვნების გმირებს და მფარველობითი მოურიდებლობით განსაჯონ ისინი.

ლევიკერმა ადვილად გამოახა საერთო ენა ამ ვითომდა უმანკო და ბიწიერ ქალიშვილებთან. მდიდარ მუქთახორა ბურჟუაზიას რომ ეკუთვნოდნენ. ჯომპანიონი ქალის მაგივრობას უწყევდა მათ. გამოცდილ და გარყვნილ მოახლესავით ჰქუას არიგებდა, ხშირად შურსაც იწვევდა, რადგან მათზე მეტი თავის-უფლებითა სარგებლობდა. ისინი არ გრძნობდნენ უხერხულობას მასთან ყოფნისას. ფსიქეის ნათურით ხელში. ცნობისმოყვარეობით სწავლობდნენ შიშველ ანდროგენეს, ვინც სიამოვნებით აძლევდა ანის უფლებას.

კრისტოფი ვერ მიმხვდარიყო. რა სიამოვნებას ნახულობდა მის საზოგადოებაში კოლეტის მსგავსი ქალიშვილი, რომელსაც თითქოს ნაზი ბუნება და ასეთი ამაღლევბელი სურვილი ჰქონდა თავი დაედწია ცხოვრების დამამიკრებელი მევეაშეობისათვის... კრისტოფი ფსიქოლოგი არ იყო. ლიუსიენ ლევიკერი ამ მხრივ ასჯერ სჯობდა მას. კრისტოფი კოლეტის მესაიდუმლე იყო, ხოლო კოლეტი კი—ლიუსიენ ლევიკერისა, რაც ამ უკანასკნელის დიდ უპირატესობას წარმოადგენდა. ქალისათვის სასიამოვნოა ფიქრი, რომ საქმე აქვს მამაკაცთან, რომელიც მასზე უფრო სუსტია. იგი საშუალებას პოულობს ერთდროულად დაიკმაყოფილოს თავისი ყველაზე უარესი მიდრეკილებაც და ისიც, რაც საუკეთესოა მასში — დედის ინსტინქტი. ლიუსიენ ლევიკერმა კარგად იცოდა, რომ ამ ჯადოსნური სიმის აღერება ყველაზე უტყუარი ხერხია ქალის გულის მოსაგებად. თანაც, კოლეტი გრძნობდა, რომ სუსტი და საკმაოდ

მხდალი იყო, და თუმც საკუთარი ინსტინქტებით მაინც და მაინც არ ამაყობდა, ღერც ადვილად შეეღვოდა მათ. სიამოვნებით ისმენდა თავისი მეგობრის უტიფრად გაანგარიშებულ აღსარებას, თავს ირწმუნებდა, რომ სხვებიც მისი მსგავსნი იყვნენ, რომ საჭირო იყო შეპკუებოდა ადამიანის ბუნებას, და თავიც კი მოპკონდა იმით, რომ არ ცდილა დაეძლია ის მიდრეკილებანი, სიამოვნებას რომ პკვირდნენ. არ იკლებდა აგრეთვე ერთ სიამოვნებასაც — ამტკიცებდა, რომ სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო, რომ კეთილგონიერება მოითხოვდა არ აჯანყებულიყო და გამოეჩინა მოთმინება იმის მიმართ, რასაც, სამწუხაროდ, წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. ასეთი კეთილგონიერების ცხოვრებაში გატარება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

ადამიანი, ვისაც უნარი შესწევს აუღელვებლად დააკვირდეს ცხოვრებას, ნძაფრ სიამოვნებას პოულობს იმ მუღმივე წინააღმდეგობაში, გარეგნული ცივილიზაციის უკიდურეს დახვეწილობასა და ღრმა ცხოველურ ინსტინქტებს შორის საზოგადოების წიაღში რომ არსებობს. ყველა სალონი, თუკი იქ გამყინვარებული, ან გაქვავებული სულები არ სახლობენ, წარმოგვიდგენს ერთმანეთზე დაშრევებულ ორ ფენას, საუბრის ორ ნაკადს: ერთი — ყველასთვის გასაგები საუბარია გონებათა შორის, მეორე კი, — რომელსაც ცოტა ვინმე თუ ხედება და როკელიც უფრო ხმამაღალია — არის საუბარი ინსტინქტებს შორის, ცხოველთა შორის. ეს ორი დიალოგი ხშირად წინააღმდეგობას შეიცავს. მაშინ, როდესაც გონებათა შორის პირობითი ნიშნების გაცვლა-გამოცვლა ხდება, ინსტინქტები ამობენ: სურვილი, ზიზღი, — ანდა, უფრო ხშირად: ცნობისმოყვარეობა, მოწყენილობა, სიძულვილი. საუკუნეობრივი ცივილიზაციით მოთვინიერებული და გალიაში ჩამწყვდეული საცოდავი ლომებივით დაჩლუნგებულ პირუტყვი მაინც ყოველთვის თავისუფლებაზე ოცნებობს.

მაგრამ კრისტოფმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწია გონების იმ უანგარობას, რომელიც მხოლოდ ასაკს ან გრძნობათა კვდომას მოაქვს ხოლმე. იგი მეტად სერიოზულად მოეკიდა თავის მოვალეობას — რჩევა-დარიგება მიეცა კოლუტისათვის. გოგონამ მას შეელა სთხოვა, კრისტოფი კი ხედავდა, თუ რა ადვილად იგდებდა საფრთხეში თავს მისი მეგობარი. იგი აღარ ფარავდა თავის მტრულ დამოკიდებულებას ლიუსიენ ლევი-კერისადმი. ეს უკანასკნელი მას ჯერჯერობით უზნადო და ირონიული თავაზიანობით ექცეოდა. ისიც გრძნობდა მტერს, მაგრამ საშეშად არ მიაჩნდა და ფარულად დასცინოდა კიდევ. კრისტოფის აღტაცება რომ გამოეწვია, მასთან საშუღამოდ კარგ დამოკიდებულებაში დარჩებოდა. მაგრამ სწორედ ეს იყო მიუღწეველი. ამას თვითონაც მშვენინებდა. გრძნობდა, რადგან კრისტოფმა თავის მოკატუნება არ იცოდა. მაშინ იგი აზრთა წმინდა აბსტრაქტული ოპოზიციიდან შეუძმნევლად გადავიდა ფარულ, პერსონალურ, პატარა ომზე, რომლის ჯიღლო კოლეტი უნდა ყოფილიყო.

უპირატესობა ჯერ არც ერთის მხარეს არ იყო. კოლეტი ტკბებოდა კრისტოფის ნიკითა და მორალური უპირატესობით, მაგრამ ლიუსიენ ლევი-კერის გო-

ნებაზე ხელი და თავშესაქცევი უზნებობაც ართობდა და, კაცმა რომ თქვას, აქ სიამოვნებასაც მეტს პოუვებდა. კრისტოფი საყვედურებით ავსებდა მეგობარს. კოლეტი გულის ამაჩუყებელი მორჩილებით უსმენდა და კრისტოფიც ფარ-ხმალს ყრიდა. კოლეტი საკმაოდ კეთილი იყო, მაგრამ საკუთარი სისუსტილი და სწორედ ამ სიკეთის გამო, გულწრფელობა აკლდა. სანახევროდ კომედიას თამაშობდა, თავს იკატუნებდა, თითქოს კრისტოფის თანამოაზრე ყოფილიყო. მან კარგად იცოდა ასეთი მეგობრის ფასი, მაგრამ რამის, ან ვინმეს გულისათვის მსხვერპლის გაღება არ სურდა. უნდოდა მხოლოდ ის, რაც მისთვის მოსახერხებელი და ყველაზე სასიამოვნო იქნებოდა. ამიტომაც უმაღლესად კრისტოფს, რომ ლიუსიენ ლევი-კერი წინანდებურად დადიოდა მასთან. სტუჟოდა მომხიბლავი ბუნებრიობით, სტუჟოდა, როგორც ეს სჩვევიათ მაღალი წრის ახალგაზრდა ქალებს, რომლებიც ბავშვობიდანვე გაწაფული არიან ამ მეტად სასარგებლო ვარჯიშში და სწორედ ამას უნდა უმაღლოდნენ ყველა მეგობრის შენარჩუნებისა და დაქმანულობის ხელოვნებას. კოლეტი თავს იმართლებდა: ასე იმიტომ ვიქცევი, არ მინდა კრისტოფს ვაწყენინო. თუმცე სინამდვილეში გრძნობდა, რომ მისი მეგობარი მართალი იყო, მაინც იმას აკეთებდა, რაც თვითონ სიამოვნებდა; თანაც, ისე, რომ კრისტოფს არ წაჩხუბებოდა. ხანდახან კრისტოფი ეშმაკობას მიუხედებოდა ხოლმე, მაშინ კი ბრაზდებოდა და უჯავრდებოდა. კოლეტი ისევე პატარა, გულნატკენ, მოსიყვარულე და ნაღვლიან გოგონასავით იკატუნებდა თავს. იწყებდა მასთან კეკლუცობას — *feminae ultima ratio* — მას მართლაც ძალიან აღონებდა ის აზრი, რომ შეეძლო დაეკარგა კრისტოფის მეგობრობა. წამსვე მიმზიდველი, სერიოზული ხდებოდა და რამდენინე ხნით ახერხებდა კიდევ კრისტოფის განიარაღებას. მაგრამ, ადრე თუ გვიან. ეს აფეთქებით დამთავრდებოდა. კრისტოფის გაჯავრებაში, შეუცნობლად, ცოტა ექვიანობაც ერია, ხოლო კოლეტის მაცდუნებელ ხრიკებში კი ცოტა, სულ ცოტა სიყვარული. ამისგან განხეთქილება უფრო მწვავე იქნებოდა.

ერთ დღეს კრისტოფმა იგი აშკარა ტყუილში დაიჭირა და მოსთხოვა, ან მე და ან ლიუსიენ ლევი-კერი. კოლეტმა სცადა გვერდი აეგლო ამ საკითხისათვის, ბოლოს კი განაცხადა, უფლება მაქვს ვიყოლიო ის მეგობრები, ვინც მომწონსო. ქალი საცხებით მართალი იყო და კრისტოფიც გრძნობდა: ცოტა არ იყოს, სასაცილოდ ვიქცევიო. მაგრამ ისიც იცოდა, რომ მის სიმკაცრეს არავითარი ეგოისტური მოსაზრება არ ამოძრავებდა. იგი გულწრფელი გრძნობით განიხსენებდა კოლეტის მიმართ და უნდოდა, თუნდაც მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, გადაერჩინა იგი. მოუხერხებლად და დაყინებით სთხოვა, პასუხი გამეო, კოლეტმა უარი განუცხადა. მაშინ კრისტოფმა უთხრა:

— კოლეტ, თქვენ როგორც ჩანს, აღარ გსურთ, რომ მეგობრებად დაერჩეთ.

კოლეტმა უპასუხა:

— არა, გემუდარებით. მე ძალიან მიმჩივს თქვენი მეგობრობის დაკარგვა.

— გიმიმთ და უმნიშვნელო მსხვერპლიც არ გინდათ გაიღოთ?

— მსხვერპლი! რა უაზრო სიტყვაა! რატომაა ყოველთვის საჭირო ერთი რამ მსხვერპლად შესწირო მეორეს? ეს სულელური ქრისტიანული აზრია. სინამდვილეში თქვენ ბებერი კლერიკალი ბრძანდებით და არც კი იცით ეს.

— შეიძლება ასეც იყოს. მე მწამს ერთი, ან მეორე. სიკეთესა და ბოროტებას შორის ერთი ბეწვის ოდენა აღვილსაც არ ვპოულობ.

— ვიცი, — მიუგო კოლეტმა, — და სწორედ ამიტომ მიყვარხართ... მე თქვენ ძალიან მიყვარხართ, მერწმუნეთ, მაგრამ...

— მაგრამ ასევე ძალიან სხვაც გიყვართ, ხომ?

კოლეტმა მას ალერსიანად შეხედა, გაუცინა და რაც შეიძლება ნაზი ხმით უთხრა:

— დარჩით!

კრისტოფი ამჯერადაც აპირებდა დაეთმო, მაგრამ ამ დროს ლიუსიენ ლევიკერი შემოვიდა. კოლეტმა მას იგივე ალერსიანი თვალები და იგივე ნაზი ხმა შეაგება. კრისტოფი უჩუმრად უტყუარდა კოლეტის კომედიანტობას. მერე ადგა და გვიდა. მტკიცედ გადაწყვიტა, კოლეტს ჩამოშორებოდა. გულს სევდა მოაწვა. რა სულელურად იცის ხოლმე ადამიანებთან შეთვისება. მუდამ მახეში იგდებს თავს.

შინ რომ დაბრუნდა, უგულოდ შეუღდა წიგნების დალაგებას. უსაქმურობისაგან ბიბლია გადაშალა და წაიკითხა:

„... ამათ იტყვის უფალი მათ წილ რომელ ამადლდეს ასულნი სიონისანი და ვიდოდეს ქედითა მადლითა და წამის ყოფითა თვალთათა და სლვასა ფერქთასა თანა მთრეველნი სამოსელთანი და ფერქებითა თანად მომღერალნი და დაამდაბლებს უფალი მმთავრობათა ასულთა სიონისათა და უფალი გამოაცხადებს სიბილწესა მათსა...“.

კოლეტის ოინები რომ გაიხსენა, სიცილი წასკდა. ლოგინში კარგ გუნებაზე დაწვა. მერე გაიფიქრა: ეტყობა, პარიზის გახრწნილება მეც გამიჯდა ძვალსა და რბილში, ბიბლია კომიკური ჟანრის საკითხავად რომ გავიხადეო. მიუხედავად ამისა, მაინც განუწყვეტლივ იმეორებდა დიდი მსაჯულისა და მქირდავის განაჩენს; ცდილობდა წარმოედგინა, როგორი იქნებოდა ამ განაჩენის მოქმედება მისი ახალგაზრდა მეგობრის თავზე. ბავშვით მცინარეს ჩაეძინა. აღარ ფიქრობდა თავის ახალ დარღზე. ერთით მეტი, ერთით ნაკლები... უკვე შეეჩვია.

მას არ შეუწყვეტია მუსიკის გაკვეთილები კოლეტთან. მაგრამ ამიერიდან თავს არიდებდა იმ შემთხვევებს, რასაც კოლეტი მათი მეგობრობის აღსადგენად სთავაზობდა. ამაო იყო გოგონას წყენა, დაღონება, პატარა ეშმაკობის გამოგო-

ნება: კრისტოფი გაჯიუტდა, ისინი გაიბუტნენ. ბოლოს, კოლეტმა თვითონ გამოახა საბაბი, რომ გაკვეთილები უფრო იშვიათად ჩაეტარებინათ. კრისტოფმაც რაღაც მოიმიზნა, რათა სტივენსების საღამოებზე მიპატივებანი თავიდან აეცილებინა.

პარიზულმა საზოგადოებამ თავი მოაბეზრა და აღარ შეეძლო აეტანა ეს სიცარიელე, უსაქმურობა, მორალური უძლეულება, ნევრასთენია, ეს ვადაჭარბებული, უსაფუძვლო და უმიზნო კრიტიციზმი, რომელიც საკუთარ თავს ანადგურებს. კრისტოფი თავის თავს ეკითხებოდა, როგორ შეუძლია ხალხს იარსებოს ამ დამყაყებულ ატმოსფეროში, ხელოვნებამ ხელოვნებისათვის და სიამოვნებამ სიამოვნებისათვის რომ წარმოქმნესო. მაგრამ ეს ხალხი მინც ცხოვრობდა, ოდესღაც დიადიც იყო. ახლაც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მსოფლიოში და შეიძლება შეცდომაში შეეყვანა ის, ვინც მას შორიდან უცქერდა. სად პოულობდა იგი თავისი არსებობის აზრს? მას ხომ არაფერი სწამდა, არაფერი, გარდა სიამოვნებისა.

ამ ფიქრებში იყო კრისტოფი, რომ ქუჩაში შეეჯახა ყმაწვილებისა და ქალების ჯგუფს, ისინი ღრიანცელით მოაგორებდნენ ეტლს. ეტლში მჯდომი მოხუცი მღვდელი ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა არაკლივი მყოფთ. ცოტა მოშორებით ფრანგი ჯარისკაცები ცულის დარტყმით ამტვრევდნენ ეკლესიის კარებს, ხოლო ორდენებით შემკული მამაკაცები სკამების ქნევით იგვრიებდნენ მათ. კრისტოფი მიხვდა: ფრანგებს კიდევ რაღაც სწამთო, თუმცა ვერ გაეგო, სახელდობრ, რა. მას აუხსნეს, რომ ერთი საუკუნის ერთად ცხოვრების შემდეგ სახელმწიფომ გადაწყვიტა გამოჰყოფოდა ეკლესიას და რადგან ეკლესიას ნებაყოფლობით წასვლა არ სურდა, სახელმწიფო, ძლიერი უფლებითა და ძალით, კინწისკვრით აგდებდა მას. კრისტოფის აზრით, ეს არც თუ ისე თავაზიანი მოპყრობა იყო, მაგრამ იმდენად მობეზრებული ჰქონდა პარიზელ ხელოვანთა ანარქიული დილეტანტიზმი, რომ ესიაშოვნა კიდევ ისეთი ხალხის ნახვა, რომლებიც მზად იყვნენ ერთმანეთისთვის თავი გაეტეხათ საქმის გულისათვის, რა უაზროც უნდა ყოფილიყო იგი.

ამავე დროს გაიგო, რომ ასეთი ხალხი საფრანგეთში ბევრი იყო. პოლიტიკურ გაზეთებს, ჰომეროსის გმირების მსგავსად, ბრძოლა გაემართათ; ყოველდღიურად ბეჭდადნენ მოწოდებებს სამოქალაქო ომისაკენ. მართალია, ყველაფერი ეს მხოლოდ სიტყვები იყო და საქმე საქმეზე იშვიათად თუ მიდგებოდა ხოლმე, მაგრამ ცოტა როდია ისეთი გულუბრყვილო აღამიანი, ვინც სხვის მიერ მოწოდებულ მორალს ცხოვრებაში იყენებს და იქმნებოდა საინტერესო სანახაობა: დეპარტამენტები საფრანგეთისგან გამოყოფას მოითხოვდნენ, ლეგიონები იშლებოდა, პრეფექტურებს ცეცხლი ეკიდა, ცხენზე ამხედრებული გადასახადის ამკრეფნი წინ მიუძღოდნენ ჟანდარმების ჯგუფს. ფიწლებით შეიარაღებული გლეხები წყლით სავსე ქვაბებს აღულებდნენ ეკლესიების დასაცავად, რომლებსაც თავისუფალმოაზროვნეები თავისუფლების სახელით ანგრევდნენ. ხე-

ებზე მოკალათებული მოციქულები სიტყვით მიმართავდნენ ღვინის პროვინცი-ებს, რომლებიც სპირტის დამამზადებელი პროვინციების წინააღმდეგ აჯანყებულნიყვნენ. ხან იქ, ხან აქ, ყვირილისგან მთლად დაწითლებული მილიონობით ფრანგი, ერთმანეთს მუშტებით რომ ემუქრებოდა, ბოლოს და ბოლოს ნამდვილ ცემა-ტყემაზე გადადიოდა. რესპუბლიკა ჯერ ელაქუცებოდა ხალხს, შემდეგ კი ხმლითა და მახვილით უმასპინძლებოდა. ხალხიც საპასუხო რისხვას ატეხდა თავზე ხალხისავე შვილებს—რამდენიმე ოფიცერსა და ჯარისკაცს. ასე უმტკიცებდა ორივე მხარე ერთმანეთს თავისი რწმენისა და მუშტების უპირატესობას. ადამიანს, ვინც ამ ამბებს შორიდან, გაზეთების მიხედვით, ადევნებდა თვალს, ეგონებოდა, საფრანგეთმა რამდენიმე საუკუნით უკან დაიხიაო. კრისტოფმა აღმოაჩინა, რომ საფრანგეთი, ეს სკეპტიკური ქვეყანა, სავსე იყო ფანტიკოსებით. მაგრამ ვერ გარკვეულიყო, რა ჯურის ფანტიკოსები იყვნენ ისინი, რელიგიის ფანტიკოსები, თუ გონების? სამშობლოს დასაცავად აღმდგარნი, თუ მის წინააღმდეგ მებრძოლნი? როგორსაც ინებებდით. ეტყობა, მოსწონდათ ფანტიკოსობა და მხოლოდ ამიტომ ფანტიკოსობდნენ კიდევ.

ერთ საღამოს ამ საგანზე ჩამოუგდო ლაპარაკი ერთ სოციალისტ დეპუტატს, რომელსაც იგი დროდადრო სტივენსების სალონში ხვდებოდა. თუმცა კრისტოფს ადრეც ხშირად ულაპარაკია მასთან, თანამოსაუბრის ვინაობა არ იცოდა, რადგან აქამდე ერთთავად მუსიკაზე მსჯელობდნენ ხოლმე, ძალიან გაუგებარა, როდესაც შეიტყო, რომ ასეთი მაღალი წრის კაცი უკიდურეს პემატრებზე პარტიას ედგა სათავეში.

ამოღ რუსენი, ლამაზი, ჯღაღწვერა, ღაღაჯა მამაკაცი, ლაპარაკისას ენას იჩლექდა, მეტად გულითადი ქცევები ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ მოხდენილი კაცი იყო, მის მიხრა-მოხრაში მაინც შეამჩნევდით, მდაბიო წარმოშობისა რომ იყო: საზოგადოებაში იწმენდდა ფრჩხილებს, ლაპარაკის დროს ტანსაცმელში სწვდებოდა ხოლმე მოსაუბრეს, მკლავში ჩააფლებდა ხელს და აღარ უშვებდა. ჰამა-სმის მოყვარული, მოქეიფე და მხიარული კაცი გახლდათ. მდაბალძრული გლეხიკაცის სიხარბით მიილტვოდა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ნოხერხება არ აკლდა, ზნეს იმისდა მიხედვით იცვლიდა ხოლმე, თუ ვის ესაუბრებოდა. აღელებაც ზომაზე იცოდა. სხვისი მოსმენაც უყვარდა, და თუ რამეს გაიგებდა, იმწამსვე ითვისებდა ყველაფერს. თანაც მიმზიდველი და ჰკვიანნი ადამიანი იყო, ბუნებრივი და შექნილი ცნობისმოყვარეობისა თუ პატივმოყვარეობის გამო ყველაფერი აინტერესებდა. პარტიოსანი გახლდათ ყველაფერში, თუკი ეს არ ეწინააღმდეგებოდა მის ინტერესებს და მაშინაც, როცა უპატიოსნოდ მოქცევა სახიფათო იყო.

ლამაზი ცოლი ჰყავდა: მაღალი, წარმოსადეგი ქალი; ელევანტური ტანი მდიდრულ კაბებში ისე გამოეკვართა, მისი სხეულის სიმრგვალე უფრო მეტად

რომ გამოჩენილიყო. ფართო სახეს შავი, ხვეული თმა უმშვენებდა. წინ წამოწეული ნიკაბი, მუქი, დიდრონი, ოდნავ წამოკუსული თვალები ჰქონდა. სანდომიან გარეგნობას უფუჭებდა პატარა, მრგვალი ტუჩები და ბეცი თვალები, ხშირ-ხშირად რომ ჭუტავდა და ახამხამებდა. სიარულის დროს არაბუნებრივ ნაბიჯებს ადგამდა, თითქოს მიხტუნავდა, ზოგიერთმა ჩიტმა რომ იცის, ისე. ცოტა არ იყოს გაპრანჭულად ლაპარაკობდა, მაგრამ მეტად თავზაიანი და სასიამოვნო ქალი გახლდათ. მდიდარი კომერსანტის ოჯახიდან იყო. პატიოსანი და თავისუფლად მოაზროვნე ქალი ისე ეკიდებოდა თავის უთვალავ მოვალეობას, თითქოს ეს რელიგიური ცერემონიალი ყოფილიყო. ვარდა ამისა, საზოგადოებისა და ხელოვნების წინაშეც კისრულობდა ვალდებულებას: ჰქონოდა სალონი, გავერცელებინა ხელოვნება სახალხო უნივერსიტეტებში, გაეწია ქველმოქმედება, მონაწილეობა მიეღო ბავშვთა აღზრდის საკითხებში. მაგრამ ყველაფერს აკეთებდა უგულოდ, ჭეშმარიტი ინტერესის გარეშე, ბუნებრივი სიკეთითა და ახალგაზრდა, განათლებული ქალისათვის დამახასიათებელი გულუბრყვილო პედანტიზმის კარნახით. თითქოს გამუდმებით გაკვეთილს პასუხობდა და შეურაცხყოფილიც დარჩებოდა, კარგად რომ არ სცოდნოდა. უნდოდა გაეკეთებინა რამე, მაგრამ საქმით რომ დაინტერესებულყო, ამის მოთხოვნილება არ ჰქონდა. ჰგავდა იმ ქალებს, ვისაც მუდამ საქსოვი აქეთ ხელში და ისე სულმოუთქმელად ამოჭრავებენ ჩხირებს, თითქოს მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი მათს ხელსაქმეზე იყოს დამოკიდებული, თუმცა კი ნაქსოვს ვერაფერში იყენებენ. ამ მქსოველებივით მასაც ჰქონდა წვრილმანი თავმომწონეობა პატიოსანი ქალისა, თავისი მაგალითით რომ მორალს უკითხავს სხვებს.

დეპუტატი მას ოდნავ დამცინავი სინაზით ეპყრობოდა. ამაზე უკეთესს ვერავის აირჩევდა. ქალი ლამაზი იყო. ქმარი ტკბებოდა ამით და მეტს არც არაფერს სთხოვდა. ცოლსაც სხვა არაფერი უნდოდა მისგან. რუსენს უყვარდა მეუღლე და დალატობდა. ქალიც შეეგუა ამას, მხოლოდ თავის წილს მოითხოვდა და იქნებ ამაში რაღაც სიამოვნებასაც პოულობდა. პარამხანაში გაზრდილი წყნარი და მგრძნობიარე ქალის ბუნება ჰქონდა.

ორი ლამაზი ბავშვი ჰყავდათ, ოთხი და ხუთი წლისა. ქალბატონი რუსენი ნათ უვლიდა, როგორც კარგი მეოჯახე დედა, ისეთივე ცივი გულმოდგინებით, ქმრის პოლიტიკასა, ხელოვნებისა და მოდის სიახლეებს რომ აღევნებდა თვალყურს. ამ წრეში ყველაფერი უცნაურად არეულიყო: მოწინავე თეორიები და ულტრადეკადენტური ხელოვნება, მაღალი წრის მღელვარე ცხოვრება და მემჩანური მგრძნობელობა.

კრისტოფი შინ მიიწვიეს. ქალბატონი რუსენი კარგი მუსიკოსი იყო და მშვენივრად უყრავდა პიანინოზე. კლავიშებს ნაზად და მტკიცედ ეხებოდა. დაკვირვას კლავიატურას მზერას არ აცილებდა, ხელებს ხშირ-ხშირად მაღლა იქნევდა და ძალიან ჰგავდა მარცვლის კენკვით გართულ ქათამს. ნიჭიერი და მუსიკაში სხვებზე მეტად განსწავლული ქალბატონი რუსენი თევზივით უგრძ-

ნობი იყო მუსიკის ღრმა აზრისადმი. მუსიკა მისთვის წარმოადგენდა ბგერების, რიტმებისა და ნიუანსების რიგს, რომელსაც იგი ისმენდა და ზუსტად გადმოსცემდა. სულს კი მუსიკაში არ დაეძებდა, რადგანაც მშვენიერად გრძნობდა თავს სულის გარეშე. ეს თავაზიანი, ჰკვიანი, უბრალო ქალი, ყოველთვის მზად რომ იყო სხვისდა სამსახურად, ისეთივე გულთბილი თავაზიანობით შეხვდა კრისტოფს, როგორც სხვას ხვდებოდა ხოლმე. მაგრამ კრისტოფი მასპინძელს დიდად მადლიერი არ დაურჩა, რადგან არ მოსწონდა ეს ქალი და ფიქრობდა: ქ-ნ რუსენს სიცოცხლე აკლიაო. იქნებ შეუცნობლად ვერ ეპატიებინა, თავისი ნებით რომ თანხმდებოდა, საყვარლებისთვის გაეყო ქმარი, თუმცა მისი სასიყვარულო ამბები უცნობი არ უნდა ყოფილიყო ქ-ნ რუსენისთვის. ყველა მანკიერებათა შორის კრისტოფს ყველაზე უფრო სწორედ უმოქმედობა სძულდა.

აშილ რუსენს უკეთ შეეწყო. ამ კაცს მუსიკაც ისევე უყვარდა, როგორც სხვა ხელოვნება, ცოტა უხეშად, მაგრამ გულწრფელად. რომელიმე სიმფონიას ისე შეიყვარებდა, როგორც საყვარელი უყვართ ხოლმე. ზერელე განათლება ჰქონდა და მარჯვედ იცოდა მისი გამოყენება. ამაში ცოლიც კარგ სამსახურს უწყევდა. კრისტოფმა დააინტერესა იგი, რადგან მასში ხელავდა ისეთსავე ძლიერ მდაბიოს, როგორიც თვითონ იყო. ამასთან, უნდოდა ახლოს დაჰკვირვებოდა ამ უცნაურ პიროვნებას (იგი დაუშრეტელი ცნობისმოყვარეობით სწავლობდა ადამიანთა ტიპებს) — და შეეტყო, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა კრისტოფზე პარიზმა. მისი მკაცრი და გულწრფელი შენიშვნები ართობდა რუსენს. საკმაო სკეპტიციზმიც გააჩნდა, რომ მათი სისწორე ელიარებინა. ის, რომ კრისტოფი გერმანელი იყო, სრულიადაც არ უშლიდა ხელს. პირიქით! თავი მოჰქონდა, ეროვნულ ცრურწმენებზე მალლა ვდგავარო. საერთოდ კი, გულწრფელად „პუმანური“ იყო (ეს მისი საუკეთესო თვისება გახლდათ). ყველაფერი ადამიანური უყვარდა. თუმცა ეს არ უშლიდა ხელს, ფრანგების, ამ ძველი რასის, ძველი ცივილიზაციის უპირატესობაში ყოფილიყო დარწმუნებული და კრისტოფის თანამემამულენი მასხარად აეგდო.

აშილ რუსენთან კრისტოფი ხელავდა სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებსაც, ყოფილ ან მომავალ მინისტრებს. საიმოვნებით ისაუბრებდა თითოეულთან ცალცალკე, ამ გამოჩენილ პირებს ღირსად რომ ჩაეთვალათ. წინააღმდეგ ფართოდ გავრცელებული აზრისა, კრისტოფი ფიქრობდა, რომ მათი საზოგადოება უფრო საინტერესო იყო, ვიდრე საზოგადოება მისი ნაცნობი ლიტერატორებისა. მათ უფრო ცოცხალი გონება ჰქონდათ: კაცობრიობის ვნებათღელვა და მაღალი ინტერესები უფრო დიდ გამოძახილს პოულობდა მათ გულში. ამ ბრწყინვალე ორატორებს, უმეტესად სამხრეთიდან რომ იყვნენ ჩამოსული, გასაოცრად ზერელე ცოდნა ჰქონდათ და თავისი დილექტანტიზმით ლიტერატორებს არ ჩამოუვარდებოდნენ. რასაკვირველია, ხელოვნებაშიც საკმაოდ უმეტრები იყვნენ და,

მით უმეტეს, უცხოურ ხელოვნებაში მოიკოკლებდნენ. მიუხედავად ამისა, ყოველი მათგანი პრეტენზიას აცხადებდა მის ცოდნაზე და ხშირად გულითაც უყვარდა იგი. ზოგი სამინისტრო თავისი შემადგენლობით პატარა ეურნალის ირგვლივ გაერთიანებულ მოყვარულთა წრეს მოგავგონებდათ. ერთი პიესებს წერდა თეატრისათვის, მეორე ვიოლინოს აწრიპინებდა და ვაგნერის თავგამოდებული მოტრფიალე გახლდათ, მესამე მხატვრობას ჩემულობდა, სხვები აგროვებდნენ იმპრესიონისტების სურათებს, კითხულობდნენ დეკადენტურ ლიტერატურას და თავი მოჰქონდათ იმით, რომ სიამოვნებას პოულობდნენ ულტრა-არისტოკრატიულ ხელოვნებაში, რომელიც მათი პოლიტიკური იდეების მოსისხლე მტერი იყო. მათი შემხედვარე კრისტოფი უხერხულობასაც კი გრძნობდა, ეს სოციალისტი თუ რადიკალ-სოციალისტი მინისტრები, — ექსპლოატირებული კლასის მოციქულები — თავს სიამოვნების დიდ მცოდნეებად რომ ასალებდნენ. რასაკვირველია, ეს მათი ნება იყო, მაგრამ კრისტოფი ფიქრობდა, ეგ ვერაფერი პატიოსნებააო.

ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ეს ადამიანები, ვინც კერძო ცხოვრებაში სკეპტიკოსები, სენსუალისტები, ნიჰილისტები, ანარქისტები იყვნენ, გადადარდნენ თუ არა მოქმედებაზე, უმაღლეს ფანატიკოსები ღებოდნენ. მათ შორის ყველაზე არასერიოზულნიც კი ჩაიგდებდნენ თუ არა ხელში ძალაუფლებას, აღმოსავლელ პატარა დესპოტებს ემსგავსებოდნენ. მმართველობის მანიით შეპყრობილნი ყველაფრის ხელმძღვანელობას ლამობდნენ და არაფერს ტოვებდნენ ისე. გონებით სკეპტიკოსებს ტირანის ხასიათი ჰქონდათ. მეტად დიდი იყო ცთუნება, თავის განკარგულებაში ჰყოლოდათ და ბოროტად გამოეყენებინათ მსოფლიოს უდიდესი დესპოტის მიერ შექმნილი ადმინისტრაციული ცენტრალიზაციის ეს ვეება აპარატი. წარმოიშვა რესპუბლიკური იმპერიალიზმი, რომელსაც ბოლო წლებში ზედ დაემყნო ათეისტური კათოლიციზმი.

გარკვეული დროს განმავლობაში პოლიტიკოსები მხოლოდ ხორცზე (ე. ი. ქონებაზე) აცხადებდნენ ბატონობას. სულს ჭერჭერობით ხელს არ ახლებდნენ, რადგან სულების ფულად ქცევა არ შეიძლება. სულებიც, თავის მხრივ, პოლიტიკაში არ ერეოდნენ, პოლიტიკა მათ ინტერესებზე მძლავრ ან დაბლა იდგა. საფრანგეთში პოლიტიკა ინდუსტრიისა და ვაჭრობის მომგებიან, მაგრამ მეტად საკუვეო დარგად ითვლებოდა. ინტელიგენტებს სძულდათ პოლიტიკოსები, პოლიტიკოსებს სძულდათ ინტელიგენტები. თუმცა ბოლო დროს დაახლოვდნენ ღა მალე პოლიტიკოსებსა და ინტელიგენტების ყველაზე უარეს წარმომადგენლებს შორის კავშირიც დამყარდა. სარბიელზე გამოვიდა ახალი ძალა, რომელმაც მიითვისა აზრთა წარმართვის აბსოლუტური უფლება: ესენი იყვნენ თავისუფალმოაზროვნეები. ისინი მჭიდროდ შეეკვრნენ ხელისუფლებას, რომელიც მათში პოლიტიკური დესპოტიზმის უფრო სრულყოფილ მამოძრავებელ ძალას ხედავდა. თავისუფალმოაზროვნეები ეკლესიის ადგილის დაკავებას უფრო ცდილობდნენ, ვიდრე მის განადგურებას. მათ შექმნეს თავისუფალი აზრის ეკ-

ლესია, რომელსაც ჰქონდა თავისი კათეჯიზმი, თავისი ღვთისმსახურება: ნათლობა, პირველი ზიარება, ქორწინება, ჰქონდა რაიონული, ნაციონალური და, ასე გასინჯეთ, მსოფლიო საეკლესიო კრებებიც კი რომში. ენით აუწერელ სასაცილო სანახაობას წარმოადგენდა ეს ათასობით საცოდავი რეგენი, რომელთაც სჭირდებოდათ ჯოგად შექუჩებულები იმისთვის, რომ „თავისუფლად ეაზროვნათ“! ოღონდ მათი აზროვნების თავისუფლება იმაში გამოიხატებოდა, რომ გონების სახელით სხვებს თავისუფლად აზროვნებას უკრძალავდნენ. გონებისა კი სწამდათ ისევე, როგორც კათოლიკებს სწამთ ღვთისმშობლის და არც ერთმა არ უწყოდა, რომ გონება, ისევე, როგორც ღვთისმშობელი, თავისთავად არარაა და რომ წყაროსთვალი სხვაგანაა საძიებელი. ისევე, როგორც კათოლიკურ ეკლესიას ჰყავდა თავისი კონგრეგაციები და ბერთა ჯარები, რომელნიც უჩუმრად შინაგონდნენ ერის სისხლძარღვებს და სპობდნენ ეკლესიის საწინააღმდეგო ძალებს, ანტიკათოლიკურ ეკლესიასაც ჰყავდა თავისი ფრანკ-მასონები, რომელთა მშობელი, დიდი აღმოსავლეთი, ზუსტად აღნუსხავდა ყველა იმ საიდუმლო მოხსენებას, რომელსაც ყოველ დღე უგზავნიდნენ მისი მოკრძალებული ჯამუშებია საფრანგეთის ყოველი კუთხიდან. რესპუბლიკური სახელმწიფო ფარულად აქეზებდა ამ მათხოვარ ბერების წმინდა შპიონაჟს, გონების ამ იეზუიტებს, რომელნიც შიშის ზარს სცემდნენ არმიას, უნივერსიტეტს, მთელ სახელმწიფოს... იგი ვერ ხვდებოდა, რომ სამსახურის საბაბით თავისუფალმოაზროვნეთა ძმობა მისი ადგილის დაკავებას ცდილობდა და სახელმწიფო ნელ-ნელა იხრებოდა ათეისტური თეოკრატიისკენ, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა პარაგვაის იეზუიტების თეოკრატისა.

კრისტოფს უნახავს რუსენთან ზოგიერთი ასეთი კლერიკალი. ისინი ერთმანეთზე უარესი ფეტიშისტები იყვნენ. სწორედ იმ ხანად ახალ გამარჯვებას ზეიმობდნენ: სასამართლოებში ჯვრის გამოსახულება ჩამოვანსნევიანთო. ეგონათ, ხის რამდენიმე ნაჭრის მოსპობით რწმენასაც გაანადგურებდნენ. კათოლიკებს წაართვეს ჟანა დარკი და წმინდა ბაიარლითურთ მიითვისეს. ახალი ეკლესიის ერთ-ერთმა ქურუმმა — მხედართმთავარმა, რომელიც მოწინააღმდეგე რელიგიის აღმსარებელ ყველა ფრანგს ებრძოდა, წარმოთქვა ანტიკლერიკალური სიტყვა ვერსენეტორიქსის პატივსაცემად და ქება შეასხა გალების სარდალ ბრენს, სახალხო გმირსა და საფრანგეთის პირველ ფალავანს რომის (ე. ი. კათოლიკური ეკლესიის) წინააღმდეგ, რომელსაც თავისუფალმა გონებამ ძეგლი დაუდგა. საზღვაო მინისტრმა ფლოტის განწმენდისა და კათოლიკების გახელების მიზნით ერთ-ერთ ჯავშნოსან გემს „ერნესტ რენანი“ დაარქვა. სხვებმა ხელოვნების განწმენდასაც მიჰყვეს ხელი: აშალაშინებდნენ მეჩვიდმეტე საუკუნის კლასიკურ ნაწარმოებებს და დაუშვებლად მიაჩნდათ ღმერთის სახელს ლათენტენის არაქები ან ძველი მუსიკა რომ შეებლალა. კრისტოფმა მოისმინა კიდევ, რა აღშფოთებას გამოთქვამდა ერთი მსოფლიო რადიკალი (რადიკალობა სიბერეში, ამბობს გოეთე, სისულელის უმაღლესი მწვერვალია) იმის გამო, რომ

სახალხო კონცერტზე ბეთჰოვენის რელიგიური Lieder-ის შესრულება გაბედეს. იგი მოითხოვდა: სიტყვები შეცვალებო.

სხვა, კიდევ უფრო რადიკალური შეხედულებების მქონე თავისუფალმოაზროვნეებს სურდათ ერთხელ და სამუდამოდ გაეუქმებინათ ყოველგვარი მუსიკა და სკოლები; სადაც მას ასწავლდნენ. ამოდ უსწინადა მათ ხელოვნებათა აკადემიის დირექტორი, რომელიც ამ ბეთთაში ათენელად იყო აღიარებული, მუსიკოსებს ხომ მუსიკა უნდა შეესწავლოთო, რადგან, — ამბობდა იგი, — ყაზარმაში ჭარისკაცებს ჯერ იარაღის ხმარებას ასწავლიან, შემდეგ კი სროლასო. ასევეა ახალგაზრდა კომპოზიტორი, თავში ათასი იდეა უღვივის, მათი დალაგება კი ვერ მოუხერხებია. საკუთარი გამბედაობით შეშინებული, ყოველი სიტყვის შემდეგ ირწმუნებოდა: „მე ძველი თავისუფალმოაზროვნე... მე ძველი რესპუბლიკელი ვარო...“ და თავგამოდებით ამტყიცებდა, რა მნიშვნელობა აქვს პერგოლეს ნაწარმოებები ოპერებია თუ მესები. მთავარია, ვიცოდეთ: დამიანის ხელოვნებამ თუ შექმნაო ისინი. მაგრამ მოწინააღმდეგე უღმობელი ლოგიკით პასუხობდა „ძველ თავისუფალმოაზროვნეს“ და „ძველ რესპუბლიკელს“, რომ არსებობს ორი სახის მუსიკა: ერთი, რომელსაც მღერიან ეკლესიებში და მეორე. რომელსაც მღერავენ სხვაგან“. პირველი მათგანი გონებასა და სახელმწიფოს მტერი იყო და გონებასა და სახელმწიფოს უნდა აღეკვეთა იგი.

ეს უგუნურები, შესაძლოა, იმდენად საშიში არ ყოფილიყვნენ, რამდენადაც სასაცილონი. მათ ზურგს უკან რომ არ მდგარიყვნენ ჭეშმარიტი წონის მქონე ადამიანები, რომელთაც ისინი ეყრდნობოდნენ და რომელნიც მათსავით და შესაძლოა კიდევ უფრო მეტადაც იყვნენ შეპყრობილი გონების ფანტოზებით. ტოლსტოი ლაპარაკობს „ეპიდემიურ ზეგავლენაზე“, რომელიც ბატონობს რელიგიაში, ფილოსოფიაში, პოლიტიკაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში, „იმ უაზრო ზემოქმედებაზე, რომლის ზიანსაც ადამიანები ხედავენ მხოლოდ მაშინ, როდესაც მისგან გათავისუფლდებიან ხოლმე. მანამდე კი, სანამ ამ სისულელის ტყვეობაში არიან, ეჭვიც კი არ ეპარებათ მის ჭეშმარიტებაში“. ისევე, როგორც თავდავიწყებული გატაცება ტიტებით, მკითხაობის რწმენა, სწრაფმავალი ლიტერატურული მოდა, გონების რელიგიაც ერთ-ერთ ასეთ ფსიქოზს წარმოადგენდა. ყველაზე უგუნურებიც ამ რელიგიით იყვნენ დაბრმავებულნი პალატის წვრილი მოხელიდან მოყოლებული უნივერსიტეტის უბრწყინვალეს მოაზროვნეებამდე; ამ უკანასკნელებთან იგი უფრო საშიშ ფორმებსაც ღებულობდა, რადგან უგუნურთ, ამ რელიგიასთან ერთად, ჰქონდათ, სულელური და ნეტარი ოპტიმიზმი, მათს ძალას რომ ასუსტებდა. მაშინ, როცა განათლებულებთან ფანტიკურ პესიმიზმს ბასრად აელესა აღმართული მახვილი. ამ ხალხს ეჭვი არ ეპარებოდა ბუნებისა და გონების ღრმა წინააღმდეგობაში და კიდევ მეტი გაშმაგებით უჭერდა მხარს აბსტრაქტული თავისუფლების, აბსტრაქტული სიმართლის ბრძოლას მანკიერი ბუნების წინააღმდეგ. ყველაფერ ამას საფუძვლად ედო კალვინისტური, იანსენისტური, იაკობინური იდეალიზმი. ძველი რწმენა ადამი-

ანის განუკურნავ ცოდვილებაში, რომელიც შეუძლია სძლიოს და კიდევ უნდა სძლიოს მხოლოდ რჩეულთა უღმობელმა სიამაყემ, მათმა სიამაყემ, ვისშიც ღვივის გონების ღვთაებრივი სული. ეს იყო ჭკვიანი, ინტელიგენტი ფრანგის ტიპიური წარმომადგენელი, ვისთვისაც უცხოა ადამიანურობა. ეს იყო ფოლადივით მტკიცე, მაგარი ქვა, რომელიც ამსხვრევს ყველაფერს, რასაც კი შეეხება.

კრისტოფს თავზარი დასცა იმან, რასაც იგი აშილ რუსენთან ისმენდა ამ გადარეული ყბედებისაგან. მისი შეხედულება საფრანგეთზე მთლად შეიცვალა. აღრე ისიც სხვებისავით ფიქრობდა, რომ ფრანგები ზომიერი, გულზიარი, შემწყნარებელი, თავსუფლებისმოყვარე ხალხი იყო. აქ კი ხელდავდა აბსტრაქტული იდეების მანიაკებს, ლოგიკის ტყვეებს, ვინც ყოველთვის მზად იყვნენ თავიანთი ერთი სილოგიზმისთვის გაეწიართ სხვები. სულ თავისუფლება ეკერათ პირზე, მაგრამ ყველაზე ნაკლებად შეეძლოთ თავისუფლების შეგნება და ატანა. ვერსად ნახავდით სხვაგან ასეთ სასტიკ, გულგრილ, დესპოტურ ხასიათებს, რომელთაც ამოძრავებდათ ინტელექტუალური ვნება და სურვილი იმისა, რომ ყოველთვის მართლები ყოფილიყვნენ.

ეს არ იყო დამახასიათებელი მხოლოდ ერთი პარტიისათვის, ყველა პარტია ასეთი იყო. ისინი ვერ იხედებოდნენ თავიანთი პოლიტიკური თუ რელიგიური პროგრამის, თავიანთი სამშობლოს, პროვინციის, დაჯგუფების, თავიანთი ვიწრო გონების იქით. აქ იყვნენ ანტისემიტები, რომლებიც მთელ ძალასა და ენერგიას ანდომებდნენ გაშმაგებულ სიძულვილს ბედისგან დაჯილდოებულ დამაიმანების მიმართ. რადგან სძულდათ ყველა ებრაელი, ხოლო ებრაელებს ეძახდნენ ყველას, ვინც სძულდათ. აქ იყვნენ ნაციონალისტები, რომელთაც სძულდათ (კეთილია სულები კმაყოფილდებოდნენ დაცივნით) ყველა სხვა ერი და უწოდებდნენ უცხოელს. ან რენეგატს, ან გამყიდველს ყველა იმ თანამემამულეს, ვინც კი მათსავით არ ფიქრობდა. აქ იყვნენ ანტიბროტესტანტები, რომელნიც ირწმუნებოდნენ: ყველა პროტესტანტი გერმანელი ან ინგლისელიაო და საფრანგეთიდან მათ გასახლებას მოითხოვდნენ. დასაველნი არ სცნობდნენ არაფერს რაინის აღმოსავლეთით და ჩრდილოელნი არ სცნობდნენ არაფერს ლუარის სამხრეთით. სამხრეთელნი ბარბაროსებს ეძახდნენ ყველას, ვინც ლუარის ჩრდილოეთით ცხოვრობდა. იყვნენ ისეთები, ვინც სასახლოდ თვლიდა თავის გერმანულ ჩამომავლობას, იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ამაყობდნენ: გალური წარმოშობისა ვართო და იყვნენ ყველაზე შეშლილებიც — რომაელები, რომელთაც თავიანთი წინაპრებს დამარცხება სიამაყის გრძნობით ავსებდათ. იყვნენ ბრეტონელები და ლორენელები, ფელიბრის მკვიდრნი და ალბიგოელები, კარპანტრის მცხოვრებნი, პონტუაზელები და კემპერ-კორანტელები. თვითთავი მხოლოდ საკუთარ „მე“-ს, საკუთარ ღირსებებს ცნობდა და ვერ აიტანდა სხვაგვარად რომ ყოფილიყო. ვერას გახდებოდი ამ მოდგმის წინააღმდეგ. არაფრის მოსმენა არ სურდათ. მოსულები იყვნენ იმისათვის, რომ მთელი მსოფლიო გადაეწვათ ან თვითონ დამწყვარიყვნენ.

კრისტოფი ფიქრობდა: კიდევ კარგი, საფრანგეთში რესპუბლიკაა და ყველა დესპოტი ერთმანეთს ანადგურებსო. ერთ-ერთი მათგანი მეფე რომ გამხდარიყო, სხვებს სუნთქვის საშუალებასაც არ მისცემდა.

კრისტოფმა არ იცოდა, რომ ლაქლაქა ხალხს აქვს ერთი ღირსება, რომელიც მას მეტად შეეღობა — არათანმიმდევრულობა.

ფრანგი პოლიტიკოსებიც გამოხატის არ წარმოადგენდნენ. მათი დესპოტიზმი ანარქიზმით იყო შენელებული. მუდამ რყევაში იყვნენ. მარცხნივ თუ აზრის ფანატეოსებს ეყრდნობოდნენ, მარჯვნივ აზრის ანარქისტებს ემყარებოდნენ. გარს ეხვიათ სოციალისტ დილეტანტებისა და კარიერისტების მთელი ბზრობა, რომელიც თავს იკავებდა მონაწილეობა მიეღო ბრძოლაში, სანამ ის მოგებული არ იქნებოდა. იგი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა თავისუფალი აზრის არმიას და ყოველი გამარჯვების შემდეგ დამარცხებულთა ნაშთებს აცხრებოდა. მაგრამ გონებისთვის არ მუშაობდნენ გონების ფალანგები... *Sic vos non vobis...* ისინი ირჩებოდნენ იმ კოსმოპოლიტ წამგლეჯებისთვის, რომელიც უღარდელად ფეხქვეშ ქელავდნენ ეროვნულ ტრადიციებს და ანგრევდნენ რწმენას არა იმისთვის, რომ სხვა რწმენა დაენერგათ, არამედ იმისთვის, რომ თვითონ დაეკავებინათ მისი ადგილი.

კრისტოფმა აქ ლიუსიენ ლევი-კერიც ნახა და არ გააკვირვებია, როდესაც შეიტყო, რომ ლევი-კერი სოციალისტი გამხდარიყო. უბრალოდ გაიფიქრა: ეტყობა სოციალიზმი ნამდვილად დარწმუნებულია გამარჯვებაში, რახან ეს ვაჟბატონი მის რიგებში აღმოჩნდაო. რა იცოდა, რომ ლევი-კერმა საშუალება გამოიხატა მოწინააღმდეგე ბანაკშიც გაეჩინა მეგობრები. იგი დაუახლოვდა ყველაზე ანტილიბერალ მოღვაწეებს პოლიტიკისა და ხელოვნების დარგში და ასე გასინჯეთ, ანტისემიტებსაც კი. კრისტოფმა რუსენს ჰკითხა:

— როგორ აჩერებთ თქვენთან ასეთ ხალხს?

რუსენს გაუკვირდა:

— ძალიან ნიჭიერია, თანაც ჩვენთვის მუშაობს, ძველ სამყაროს ანგრევს.

— რომ ანგრევს, ამას მეც კარგად ვხედავ, — მიუგო კრისტოფმა, — და ისე გულმოდგინედ, რომ არც კი ვიცი, როგორ აშენდებით ხელახლა. დარწმუნებული კი ხართ, რომ გეყოფათ მასალა ახალი სახლის ამოსაყვანად? თქვენს შენობას უკვე ქია გასჩენია...

ლიუსიენ ლევი-კერი არ იყო ერთადერთი, ვინც ღრწნდა სოციალიზმს: სოციალისტური გაზეთები საესე იყო ასეთი ჭურის ლატერატორებით. ნატიფი ანარქიზმის მიმდევრებით, ხელოვნებას ხელოვნებისათვის რომ აცხადებდნენ. მათ დაიკავეს წარმატებისაკენ ყველა მისადგომი, ისინი სხვებს უღობავდნენ გზას, თავიანთი დეკადენტური დილეტანტიზმითა და არსებობისათვის ბრძოლით უხვად ამარაგებდნენ გაზეთებს, თავის თავს ხალხის ხმად რომ აცხადებდნენ.

ისინი აღარ სჯერდებოდნენ შემოსავლიან ადგილს, მათ დიდება სჭირდებოდათ. არასდროს ყოფილა ამდენი საჩქაროდ აღმართული ქანდაკება, არასდროს წარმოუთქვამთ ამდენი სიტყვა თაბაშირის გენიოსების წინაშე. დიდების ლაქიები დროდადრო ბანკეტებს უმართავდნენ ძმობის დიდ ადამიანებს, მაგრამ არა იმისათვის, რომ მათი წარმატებანი აღენიშნათ, არამედ იმისათვის, რომ დაეჯილდობინათ ისინი. რადგან ყველაფერზე მეტად სწორედ ჯილდო უჩუყებდათ გულს. ესთეტები, ზეადამიანები, კოსმოპოლიტები, სოციალისტი მინისტრები — ყველა ერთხმად თანახმა იყო ეზეიმა ყოველი დაჯილდოება საპატიო ლეგიონის ორდენით, კორსიკელმა ოფიცერმა რომ დააარსა.

რუსენს ამხიარულებდა კრისტოფის გაოცება მის თანამომეებზე. გერმანელის შეზღუდულება უსაფუძვლო რადი ეჩვენებოდა. მარტოდ რომ რჩებოდნენ, თავისიანებს თვითონაც მოურიდებლად კიცხავდა, რადგან სხვაზე უკეთ იცოდა, რა სულელები და გაიძვერები იყვნენ, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა მხარი დაეჭირა მათთვის, რათა შემდეგში თვითონაც მიეღო მათი მხარდაჭერა. და თუ შინაურობაში ხალხზე აგდებულად ლაპარაკობდა, ტრიბუნაზე სულ სხვა კაცი იყო. მაღალი, მკვეთრი ტონით იწყებდა საუბარს, მის ხმაში საზეიმო, მტკიცე ბგერები აჟღერდებოდნენ ხოლმე, ზოგჯერ ხმას აუწევდა, აკანკალებდა, გამალებით შლიდა და იქნევიდა ხელებს, თითქოს უზარმაზარმა ფრინველმა ფრთები ააფარაფატაო. მუნე-სიულის ბაძავდა.

კრისტოფს ძალიან უნდოდა გაეგო, რამდენად სწამდა რუსენს თავისი სოციალიზმის. გუნებაში, ეტობა, სრულებითაც არ სწამდა: საამისოდ ზედმეტად სპეკტიკოსი იყო. თუმცა გონების რალაც ნაწილით სჯეროდა მისი და რადგან მშვენივრად იცოდა, რომ ეს მხოლოდ გონების ნაწილია — (და თანაც არა ყველაზე მნიშვნელოვანი), — ამის მიხედვით მოაწყო თავისი ცხოვრება და თავისი ქცევაც ამას შეუფარდა. ასე უფრო მოსახერხებელი იყო. საქმე ეხებოდა არა მარტო ეკონომიურ გამორჩენას, არამედ მის სასიცოცხლო ინტერესებს, მისი არსებობის, მისი მოქმედების აზრს. სოციალიზმის რწმენა მისთვის ერთგვარ სახელწოდებრივ რელიგიას წარმოადგენდა. ადამიანთა უმრავლესობაც ზომ ასე ცხოვრობს. მთელი მათი სიცოცხლე ეყრდნობა რელიგიურ, მორალურ, სოციალურ ან წმინდა პრაქტიკულ რწმენას (საკუთარი პროფესიის, სამუშაოს, ცხოვრებაში თავიანთი მნიშვნელობის რწმენას), რომლისაც მათ სინამდვილეში არ სჯერათ, თუმცა ამის აღიარება არ სურთ, რადგან იმისთვის, რომ იცოცხლონ, ესაჭიროებათ ეს მოჩვენებითი რწმენა, ეს ოფიციალური კულტი, ვისი ქურუმებიც თავად არიან.

რუსენი სხვებზე უარესი არ იყო. მათ პარტიაში სხვაც ბევრი გახლდათ ისეთი, ვინც ვერც კი იტყოდით, რომ პატივმოყვარეობის გამო, მიჰყვა სოციალიზმს ან რადიკალიზმს, იმდენად ბრმა იყო მათი პატივმოყვარეობა და მყისიერ

ძარცვა-გლეჯასა და მომავალ არჩევნებს იქით არ მიდიოდა. გეგონებოდათ, ამ ხალხს ახალი საზოგადოების მართლაც სჭერათ. ეგებ სჭეროდით კიდევ ოდეს-ღაც, მაგრამ ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, რომ მომავლადეი საზოგადოების ხარჯზე ეცხოვრათ. ბრმა ოპორტუნისში სიამოვნების მოყვარული ნიპილიზმის სამსახურში იდგა. მომავლის დიადი ინტერესები დღევანდელი დღის ეგოიზმისათვის შეეწირათ. სობდნენ არმიას, სამშობლოსაც არ დაინდობდნენ, ოღონდ ამომრჩეველებისთვის თავი მოეწონებინათ. ყველაფერი ეს უგუნურებით როდი მოხდებოდა. კარგად იცოდნენ, რის გაკეთებაც იყო საჭირო, მაგრამ არაფერს არ აკეთებდნენ, ეს ზედმეტ გარჯას მოითხოვდა. მათ კი სურდათ საკუთარი და ერის ცხოვრებაც რაც შეიძლება ნაკლები შრომით მოეწყოთ. თავიდან ბოლომდე ყველა საფეხურზე ბატონობდა ერთი მორალი: რაც შეიძლება მეტი სიამოვნება, რაც შეიძლება ნაკლები ძალის დახარჯვით. ეს ამორალური მორალი ერთადერთი წარმმართველი ხაზი იყო იმ პოლიტიკური არეულ-დარეულობის სამყაროში, სადაც მეთაურები ანარქიის მაგალითს უჩვენებენ სხვებს, სადაც უთავბოლო პოლიტიკა ათი კურდღლის დაქერას ლამობდა ერთდროულად და ერთიმეორის მიყოლებით ყველას ხელიდან უშვებდა. ომის გამჩაღებელი დიპლომატია მშვიდობისმოყვარე სამხედრო სამინისტროსთან თანაარსებობდა. სამხედრო მინისტრები ანგრევდნენ არმიას მისი განწმენდის მიზნით, საზღვაო მინისტრები აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ სამხედრო ნავსადგურებს, სამხედრო ინსტრუქტორები ომის საშინელებასზე ჭადაგებდნენ; დილეტანტი ოფიცრები, დილეტანტი მსაჯულები, დილეტანტი რევოლუციონერები, დილეტანტი პატრიოტები — ეს იყო საერთო პოლიტიკური გაბრწყნა. სახელმწიფოსგან ყველა მოელოდა რაიმე გამორჩენას: თანამდებობებს, პენსიებს, ჯილდოებს. სახელმწიფო მართლაც არაფერს არ იშურებდა, რათა დაესაჩუქრებინა თავისი ქვეშევრდომები. საპატიო ნიშნები და თანამდებობები ურიგდებოდათ ამა ქვეყნის ძლიერთა შვილებს, ამის შვილებს, ძალაუფლების მსახურებს. დეპუტატები ხმას აძლევდნენ საკუთარი ჯამაგირების მომატებას. ფინანსებს, წოდებებს, სახელმწიფოს ყველა საარსებო წყაროს თავაწყვეტით ძარცვავდნენ. ქვევით გამეფებული მკენებლობა ზევიდან მიცემული მაგალითის საზარელ გამოძახილს წარმოადგენდა. მსწავლებლები სამშობლოს წინააღმდეგ აჯანყებას ასწავლიდნენ, ფოსტის მოსამსახურეები წერილებსა და დეპეშებს წვავდნენ, ქარხნის მუშები მანქანების კბილანებში სილას და ზუმფარას ყრიდნენ, სამხედრო ნავსადგურის მუშები ანგრევდნენ ნავსადგურებს, ცეცხლს უკიდებდნენ გემებს. ასე შემზარავად ანადგურებდნენ მშრომელები საკუთარი შრომის ნაყოფს და სობდნენ არა მდიდრებს, არამედ მსოფლიო სიმდიდრეს.

და ბოლოს რჩეული ინტელიგენცია ერთობოდა იმით, რომ კანონითა და გონებით ამართლებდა ხალხის ამ თვითმკვლევლობას, ბედნიერების წმიდათა წმიდა უფლების სახელით რომ ხდებოდა. დამახინჯებული ჰუმანიზმი სობდა განსხვავებას კეთილსა და ბოროტს შორის, ბოროტმოქმედის „უპასუხისმგებ-

ლო და წმინდა“ პიროვნების მიმართ სიბრალულს გრძნობდა, ბოროტმოქმედების წინაშე იარაღს ყრიდა და საზოგადოებას მის ანაბარად ტოვებდა.

კრისტოფი ფიქრობდა:

— საფრანგეთი თავისუფლებისაგან დამთვრალა. ამდენი შფოთის შემდეგ გაღვიწილი დაეცემა და როდესაც გაიღვიძებს, თავი საპატიმროში ექნება ამოყოფილი.

ამ დემაგოგიაში კრისტოფს ყველაზე მეტად ის აღიზიანებდა, რომ უსასტიკესი პოლიტიკური ძალმომრეობა გულგრილად სრულდებოდა ადამიანთა მიერ, რომელთა სუსტ ბუნებას იგი კარგად იცნობდა. მეტად აღმაშფოთებელი იყო შეუსაბამობა ამ უნებისყოფო ადამიანებსა და იმ ულმობელ მოქმედებათა შორის, თავად რომ სჩადიოდნენ ან სხვას ანებებდნენ. მათში თითქოს არსებობდა ორი საპირისპირო საწყისი: ყოველგვარ რწმენას მოკლებული, მერყევი ხასიათი და თავდაჯერებული, ყველაფრისადმი ყრუ გონება, რომელიც სიცოცხლეს ღუპავდა. რას უყურებენ ეს მშვიდობიანი ბურჟუები, კათოლიკეები, რატომ არ გადაუძახებენ მტერს ფანჯრიდან? უკვირდა კრისტოფს და რადგან სახეზე მუდამ ეხატებოდა რაზეც ფიქრობდა, რუსენი მიუხვდა აზრს, გადაიხარხარა და უთხრა:

— ცხადია, მე და თქვენ ასეც მოვიქცეოდით, არა? ამ ვაჰბატონებისა კი ნუ გელაზღბათ. ერთმანეთში კინკლაობის მეტს ვერაფერს აკეთებენ; უნაროც არ შესწევთ, გადამწყვეტი ნაბიჯი რომ გადადგან. კლუბებში გამოსულულებული, განებივრებული არისტოკრატია, ამერიკელებსა და ებრაელებს რომ გაუხდიათ გასართობად, თავისი პროგრესულობის დასამტკიცებლად იწონებს იმ შეურაცხყოფელ როლს, რომელსაც მას მოდურ რომანებსა და პიესებში მიაწერენ და თავის შეურაცხყოფელებს ალტაცებით ეგებება. ბუზღუნა ბურჟუაზია, რომელიც არაფერს კითხულობს, არაფერი ესმის და არც სურს რამე გაიგოს, ყველაფერს დასცინის, დასცინის უაზროდ, მწარედ, უმიზნოდ. მას მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებს: ფულით გატენილ ტომრებზე იძინოს. ამიტომაც სძულს ყველა, ვინც არღვევს მის სიმშვიდეს და ვინც მუშაობს, რადგან ეს ხმაური ძილს უფრთხობს. ამ ხალხს რომ იცნობდეთ, ჩვენ სიმპათიურებად მოგეჩვენებოდით.

მაგრამ კრისტოფს ისინიც სძულდა და ესენიც, რადგან სულაც არ ფიქრობდა, რომ ჩაგრულთა სიმდაბლე მჩაგვრელთა სიმდაბლეს ამართლებს. ხშირად უნახავს სტივენსების სალონში ის მდიდარი და უსიამოვნო ბურჟუები, რომელთაც რუსენი აღუწერდა.

მოკვლავთა შორის უბადრუკნი ვინც იყვნენ; ვინაც ვერ გახდა ღირსი იქ ვერც ჭების, ვერც ძაგებისა.

იგი ნათლად ხედავდა, თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ რუსენი და მისი მეგობრები ასე დარწმუნებულნი იყვნენ არა მარტო თავის ძალაუფლებაში, არამედ იმაშიც, რომ უფლება ჰქონდათ ბოროტად გამოეყენებინათ ეს ძალა. მარ-

თვის საშუალებები არ აკლდათ: ნებისყოფას მოკლებული ათასობით მოსამსახურე, რომელიც მათ ბრმად უჭერებდა, მლიქვნელური ზნე-ჩვეულებანი, ურეს-პუბლიკელებოდ დარჩენილი რესპუბლიკა, სოციალისტური პრესა, ჩამოსულ გვირგვინოსნებს თიანდაზად რომ ეფინებოდა. მონური სულის ბატონები მუხლებზე ხობავდნენ წოდებებისა და ორდენების წინაშე. ასეთი ხალხი მორჩილებაში რომ გყოლოდათ, საკმარისი იყო გადაგვედოთ მისთვის სახრავი ძვალი ან საპატიო ლეგიონის ორდენი. რომელიმე მეფე თავადიშვილობას რომ შეჰპირებოდა საფრანგეთის ყველა მოქალაქეს, საფრანგეთის ყველა მოქალაქე როიალისტი გახდებოდა.

პოლიტიკოსებს დაბრკოლება არსად შეხვედრიათ, 89 წლის სამი წოდებიდან პირველი ალგვილ იქნა პირისაგან მიწისა, მეორე — განდევნილი ან შერისხული, მესამე კი, თავისი გამარჯვებით გამაძლარი, ძილს მისცემოდა. რაც შეეხება მეოთხე წოდებას, ექვითა და მუქარით აღსავსეს, ახლა რომ იღვიძებდა, მისი დამორჩილება ჯერ კიდევ არ იყო ძნელი. დეკადენტური რესპუბლიკა მას ისევე ექცეოდა, როგორც დეკადენტური რომი ბარბაროსთა ურდოებს, თავისი საზღვრებიდან რომ ვეღარ ერეკებოდა. იგი მათ თავის მხარეზე იბირებდა და ისინიც მალე მისი საუკეთესო დარაჯი ძალები ხდებოდნენ. ბურჟუა მინისტრები, სოციალისტებად რომ მოჰქონდათ თავი, მალულად თავისკენ იზღავდნენ მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებს. ისინი პროლეტარიატს ბელადებს ართმევდნენ, წოდენენ მის ნორჩ სისხლს და, სამაგიეროდ, ბურჟუაზიული იდეოლოგიით ბერავდნენ.

ბურჟუაზიის მიერ ხალხის მიმხრობის საინტერესო მაგალითს ამ ეპოქაში სახალხო უნივერსიტეტები წარმოადგენდა. ეს იყო პატარა მაღაზიები, სადაც ვაჭრობდნენ არეულ-დარეული ცოდნით *de omni re scibili*. პროგრამის თანახმად, აქ ასწავლიდნენ ფიზიკურ, ბიოლოგიურ, სოციოლოგიურ მეცნიერებათა ყველა დარგს: ასტრონომიას, კოსმოლოგიას, გეოგრაფიას, ენათმეცნიერებას, ესთეტიკას, ლოგიკას და მრავალ სხვას, რისგანაც თვით პიკო დელა შირანდოლასაც გაუსკდებოდა თავი.

რასაკვირველია, დასაწყისში არსებობდა და ზოგიერთ უნივერსიტეტში ახლაც ცოცხლობდა გულწრფელი იდეალიზმი, სურვილი — გავერცვლებინათ მასებში ჭეშმარიტება, სილამაზე, მაღალი ზნეობრივი პრინციპები. მძიმე სამუშაო დღის შემდეგ მოსული მუშები, რომლებიც ვიწრო, დახუთულ დარბაზებს ავსებდნენ და რომელთა ცოდნის სურვილი დაღლილობაზე უფრო ძლიერი იყო, ამდღელებელ სანახაობას წარმოადგენენ. მაგრამ, როგორ ატყუებდნენ ამ გულუბრყვილო ხალხს! თითო-ორილა ჭეშმარიტად ჭკვიანი და კაცთმოყვარე მოციქულის, რამდენიმე კეთილმოსურნე, მაგრამ მოუქნელი მოძღვრის გარდა რამდენი სულელი, მოლაქალაქე, ინტრიგანი ირეოდა ამ უნივერსიტეტებში.

მკითხველსა და მსმენელს მონატრებული მწერლები, ორატორები, მასწავლებლები, პატრიოტები, ყბედები, პიანისტები, კრიტიკოსები თავიანთი ნაწარმით ხალხს წაღეკვას უქადდნენ. თითოეული საკუთარი საქონლის გასაღებას ცდილობდა. ყველაზე უკეთ, რასაკვირველია, თვალთმაქცი მკურნალები, მოფილოსოფოსო-ორატორები მოწყობილიყვნენ, აბრუნებდნენ გაცვეთილ ჭეშმარიტებებს, ბოლოში აუცილებელი სოციალური სამოთხე რომ მოსდევდა.

სახალხო უნივერსიტეტები ასაღებდნენ ულტრა-არისტოკრატულ ხელოვნებასაც: დეკადენტურ პოეზიას, მუსიკას, მხატვრობას. ხალხის მოსვლით ფიქრობდნენ აზრის განახლებას და ერის აღორძინებას. და პირველ რიგში ბურჟუაზიის რაფინირებულ გემოვნებას უნერგავდნენ მას. ხალხიც ხარბად დაეწაფა ამ ხელოვნებას, მაგრამ არა იმიტომ, რომ მოსწონდა, არამედ იმიტომ, რომ ის ბურჟუაზიული იყო. ქალბატონმა რუსენმა წაიყვანა კრისტოფი ერთ-ერთ ასეთ სახალხო უნივერსიტეტში და მოასმენინა, როგორ უკრავდა ხალხისთვის დებიუსის. ამავე კონცერტზე გაბრიელ ფორეს „მშვენიერი სიმღერა“ და ბეთჰოვენის ერთ-ერთი უკანასკნელი კვარტეტი იქნა შესრულებული. თვით კრისტოფი, რომელიც ბეთჰოვენის უკანასკნელი ქმნილებების სიბრძნეს მთელი წლების მანძილზე გემოვნებისა და აზრის თანდათანობითი დახვეწის შედეგად ჩასწვდა, სიბრალულით შეეკითხა თავის მეზობელს:

— კი მაგრამ, ნუთუ თქვენ გესმით ეს?

მეზობელიც გაბრაზებულ მამლახინწასავით გაიფხორა:

— რასაკვირველია, თუ თქვენ გესმით, მე რატომ ვერ უნდა გავიგო!

და დასამტკიცებლად იმისა, რომ მართლაც ყველაფერი გაიგო, მოითხოვა ფუგის გამეორება, თან გამომწვევად გადახედა კრისტოფს.

დაბნეულმა კრისტოფმა თავს უშველა. იგი ფიქრობდა: ამ მხეცებმა ერის ნაცოცხლებელი წყაროც მოწამლეს, აქ აღარ არის ხალხიო.

— თქვენ თვითონ ხართ ხალხი! — უთხრა ერთხელ მუშამ ერთ-ერთ ასეთ მოამაგეს, რომელიც ცდილობდა სახალხო თეატრის დაარსებას.

— მე ისეთივე ბურჟუა ვარ, როგორიც თქვენ.

ერთ მშვენიერ საღამოს, როდესაც დაბინდულ ქალაქს აღმოსავლურ ხალიჩასავით ხავერდოვანი, ოდნავ გამოხუნებული, მკრთალი ცა გადაჰფარებოდა, კრისტოფი სანაპიროს მიჰყვებოდა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრიდან ინვალიდების სასახლემდე. ჩამოწოლილ ბინდში ტაძრის კოშკები ბრძოლის დროს მოსეს ცად აპყრობილი მკლავების მსგავსად აღმართულიყვნენ. სენ-შაპელის ოქროდ ნაქედი ისარი აყვავებული ისარივით მიიწევედა ზევით სახლების ხშირ ბარდებს შუა. მღინარის მეორე ნაპირას ლუვრი აჩენდა თავის მეფურ სახეს, მის მოწყენილ თვლებში სიცოცხლის უკანასკნელი ნაპერწკალი აენთო ჩამავალ მხეს. ინვალიდების მოედნის სიღრმეში, მის დიდებულ უდაბნოში, ორმოებისა

და ზეიადი კედლების მიღმა, შორეული გამარჯვების სიმფონიასავით, ლივლი-
ვებდა ღიღებულად განმარტოვებული მუქი ოქროსფერი თაღი; გორაკზე მღე-
ზარე ტრიუმფალური თაღი კი, თითქოს ჰეროიკული მარშითაო, საიმპერატორო
ლეგიონების ზეადამიანურ სვლას ხსნიდა.

და უეცრად კრისტოფს თვალწინ წარმოუდგა მკვდარი გოლიათი, რომლის
ვეება კიდურები ფარავდა ველს. იგი შეჩერდა, გული საზარელმა გრძნობამ
შეუკუმშა. უცქეროდა აწ გადაშენებული, საარაკო მოდგმის, გოლიათურ, ქვად-
ქცეულ ნეშტს, რომლის ფეხქვეშ დედამიწა ზანზარებდა. ეს იყო ინვალიდების
გუმბათით თავდახურული და ლუერით ქამარშემორტყმული მოდგმა, ცისთვის
ოომ შემოვქდო თავისი ტაძრების ათასი ხელი და დედამიწას დაჰბჭენოდა ნაპო-
ლენისეული თაღის ორი გამარჯვებული ფეხით, რომლის ძირში ახლა ქონდ-
რისკაცები მიმოდრიოდნენ.

თავის მხრივ კრისტოფმა ყოველგვარი ცდის გარეშე საკმაოდ გაითქვა სა-
ხელი პარიზულ წრეებში, სადაც იგი სილვენ კონმა და გუქარმა შეიყვანეს. მისი
ულამაზო, მაგრამ ძალის გამომხატველი, თავისებური სახე, თეატრის პრემიერ-
რებსა და კონცერტებზე ხან ერთ, ხან მეორე მეგობართან ერთად რომ ამჩნევდ-
ნენ, მისი სასაცილო გარეგნობა, უხეში, მოუქნელი მანერები, უცნაური გამოხ-
დომები, უნებურად რომ წასცდებოდა ხოლმე, დაუხვეწელი, მაგრამ ძლიერი
და ფართო ინტელექტი და, რაც მთავარია, კონის მიერ გავრცელებული რომან-
ტიკული ამბები გერმანიაში კრისტოფის ოინების შესახებ, გახდა მიზეზი იმისა,
რომ გერმანელი მუსიკოსი გადაიქცა ფუსფუსა და უსაქმო ცნობისმოყვარეობის
საგნად იმ კოსმოპოლიტური სასტუმროს უზარმაზარი სალონისათვის, რომელ-
საც იმ ხანად „მთელი პარიზი“ წარმოადგენდა. კრისტოფი ფრთხილად იქცეო-
და, აკვირდებოდა, უსმენდა, ცდილობდა, სანამ თავის სიტყვას იტყუადა, ჯერ
ყველაფერში გარკვეულიყო და, რაკი არავინ იცნობდა მის ნაწარმოებებსა და
იღუმალ აზრებს, საკმაოდ კარგად ექცეოდნენ. ფრანგებს მოსწონდათ ის, რომ
მან ვერ გაძლო გერმანიაში. განსაკუთრებით ფრანგ მუსიკოსებს ახარებდათ
კრისტოფის უსამართლო გამონათქვამები გერმანული მუსიკის შესახებ, თით-
ქოს ეს ფრანგებისადმი პატივისცემის ნიშანი ყოფილიყოს. (სინამდვილეში, საქ-
მე ეხებოდა ძველ შეხედულებებს, რომელთა უმრავლესობას იგი ახლა ხელს
არც მოაწერდა. ეს იყო ერთ-ერთ გერმანულ ჟურნალში ოდესღაც გამოქვეყნე-
ბული რამდენიმე წერილი, საიდანაც სილვენ კონმა ამოკრიფა და გაავრცელა
კრისტოფის პარადოქსები საკუთარი დამატებებით). გერმანელი ინტერესს იწ-
ვევდა, თანაც არავის უშლიდა ხელს, არავის ადგობს არ იკავებდა. რომ სდომო-
და, რომელიმე ჯგუფის მამამთავარიც გახდებოდა. ამისთვის კმაროდა არაფერი,
ან თითქმის არაფერი, არ დაეწერა და, რაც მთავარია, არ უამოეჩინა თავისი ნა-

წარმოებები; იდეები მიეწოდებინა გუჟარისა და მისთანებისათვის, ვისაც დევიზად გაეხადა ოდნავ შეცვლილი გამონათქვამი:

„ეს ჩემი თასი არ არის დიდი, მაგრამ მე...
სხვების თასით ვსვამ ღვინოს“.

ძლიერი პიროვნება განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს ისეთ ახალგაზრდებზე, ვინც უფრო გრძნობებით არის გატაცებული, ვიდრე მოქმედების სურვილით. კრისტოფის ირგვლივ ბევრი ასეთი ახალგაზრდა შეიკრება. ამ უსაქმო, უნებისყოფო ყმაწვილებს უაზროდ და უმიზნოდ გაჰყავდათ ცხოვრება. ამინებლათ სამუშაო მაგიდის დანახვა, ამინებლათ საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენა. საათობით ისხდნენ სავარჯელში, დაეხეტებოდნენ კაფედან თეატრში. სარგებლობდნენ ყოველგვარი მიზეზით, ოღონდ შინ არ დაბრუნებულებოდნენ და თავის თავში არ ჩაეხედნათ. მოვიდოდნენ, მოხერხებულად მოეწყობოდნენ და გაჰყავდათ დრო უმიზნო საუბარში, რომლის შემდეგ გამოდიოდნენ ამოცნობული კუჭით, გულგაჭერებულნი, გამაძლარნი და მინც დამშეულნი. ეზიზღებოდათ და მაინც უნდოდათ გაეგრძელებინათ ეს საუბარი. გოეთეს შავი ფინიას მსგავსად გარს ეხვეოდნენ კრისტოფს ეს ხარბი ლემურები, მოსატაცად რომ დარაჯობენ ყოველ სულს, რათა თვითონ ჩაებლაჟკონ სიცოცხლეს.

ვინმე პატივმოყვარე სულელი ნასიამოვნები დარჩებოდა ამ პარაზიტთა ამალით. მაგრამ კრისტოფს არაფრად ებიტნაევბოდა კერპის როლი. თაყვანისმცემელთა პრეტენციოზულმა სისულელემ ხომ მთლად შეაძრწუნა. ყოველ მის ნამოქმედარში ხედავდნენ რაღაც უაზრო განზრახვას: ხან რენანულს, ხან ნიცშენურს, ხან როზენკრეიციერულს, ხანაც პერმაფროდიტულს. ბოლოს, კრისტოფმა ყველანი გაყარა. უქმად ყოფნას მიუჩვეველს ყველაფერი სამოქმედოდ გაემიზნა. აკვირდებოდა იმისთვის, რომ გაეგო. სურდა გაეგო იმისთვის, რომ ემოქმედა და რადგან ცრურწმენის ბორკილები არ ბოჭავდა, ყველაფერს დაეწაფა, სწავლობდა მუსიკალური აზრის გამოხატვის სხვადასხვა ხერხს. სხვა ქვეყნებისა და სხვა ეპოქების თავისებურებას. ხარბად ეტანებოდა ყველაფერს, რასაც კი ქეშმარიტად მიიჩნევდა. მისთვის ცნობილი ფრანგი მუსიკოსებისაგან განსხვავებით, რომელნიც ოსტატურად იგონებდნენ ახალ ფორმებს, იფიტებოდნენ ამ გაუთავებელი გამოგონებებისაგან და შუა გზაზე თავს ანებებდნენ, კრისტოფი ნაკლებად ცდილობდა სიახლე შეეტანა მუსიკალურ ენაში, სამაგიეროდ, უნდოდა მეტი ძალით ელაპარაკა. ეს მგზნებარე ენერჯია ფრანგების ზომიერებისა და სინატიფის გრძნობას უპირისპირდებოდა. იგი უგულვებელყოფდა სტილს სტილისათვის. ფრანგული ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები ფუფუნების საგნების მკეთებელ ხელოსნებს ავონებდნენ კრისტოფს. ერთ-ერთ ნიჭიერ პარიზელ პოეტს თავის გასართობად შეედგინა კიდევ „სია თანამედროვე ფრანგული პოეზიისა“, სადაც აღწუნსხა თითოეული პოეტი თავისი ავლადიდებით. აქ ჩამოთვლილი იყო „ბროლის ჰალები, აღმოსავლური ქსო-

ვილები, ბრინჯაოს და ოქროს მედლები, ქვრივებისთვის დამზადებული მაქმანი, ფერადი სკულპტურები, მოხატული ქაშანურის ჭურჭელი“, ერთი სიტყვით, მთელი საქონელი, რაც კი გამოდიოდა ამა თუ იმ თანამოქმის ფაბრიკიდან. თავისი თავი პოეტს წარმოედგინა ფართო ლიტერატურული სახელოსნოს კუთხეში, სადაც იგი „კემსავდა დაძველებულ ხალიჩებს ან ჟანგს აცლიდა ხმარებიდან გამოსულ შუბებს“. ასეთი შეხედულება, რომელსაც ერთ დონეზე დაჰყავდა ზელოვანიც და კარგი ზელოსანიც, ვინც მხოლოდ თავისი ოსტატობის სრულყოფაზე ფიქრობს, არ იყო მოკლებული თავისებურ სილამაზეს. მაგრამ ეს სულაც არ აკმაყოფილებდა კრისტოფს და, თუმცა დიდად აფასებდა ფრანგების პროფესიონალიზმს, სძულდა უბადრუკი არსი, რასაც იგი ფარავდა. კრისტოფს ვერც კი წარმოედგინა, რომ შეიძლება წერა მხოლოდ იმისათვის, რომ წერო. მას არ მოსწონდა ცარიელი სიტყვების რახარუხი, სიტყვებით ნივთთა არსის გამოხატვა სურდა.

Ei pice cose, e voi dite parole...!

კრისტოფმა კარგა ხანს შეისვენა, ახალი სამყაროს შთაბეჭდილებებით ივლინებოდა და ახლა შეიპყრო სურვილმა, შეექმნა რაიმე. პარიზთან კონფლიქტი უფრო და უფრო ღრმავდებოდა, აასკეცებდა მის ძალას და საკუთარი „მე“-ს გამოსაკვეთად უბიძგებდა. მჩქეფარე გრძნობათა ნაკადი მბრძანებლურად ეძებდა გამოსავალს. გრძნობები ყველანაირი იყო და ყველა ერთნაირი მხურვალეობით მოუწოდებდა, არა მე გამომთქვი და არა მეო. კრისტოფს ქმნილებები უნდა გამოეძედა, გადმოედარა სიყვარული, გულს რომ უესებდა, გადმოენთხია სიძულვილი, ნებისყოფა, თავგანწირვა, გაეთავისუფლებინა ყველა დემონი. მის არსებაში ერთმანეთს რომ ებრძოდა და არსებობის ერთნაირი უფლება რომ ჰქონდა. მოიშორებდა თუ არა ერთ გრძნობას (ზოგჯერ არც კი ჰყოფნიდა მოთმინება, დაესრულებინა ნაწარმოები), იმწამსვე საწინააღმდეგოს მიეცემოდა, მაგრამ ეს წინააღმდეგობა მხოლოდ მოჩვენებითი იყო. კრისტოფი მარად იცვლებოდა და მარად იგივე რჩებოდა. ყველა მისი ნაწარმოები ერთი მიზნისაკენ მიმავალი სხვადასხვა გზა იყო, მისი სული კი ამ ბილიკებით დასერილი მთა. ერთნი ნელა, ზანტად მიიკლაკნებოდნენ ჩეროში. მეორენი — ციკაბო ბილიკებით ჯიქურ მიიწევდნენ მალლა, მზის გულზე. ყველა ისწრაფვოდა ღმერთისკენ, მწვერვალზე რომ სუფევდა. სიყვარული, სიძულვილი, ნებისყოფა, თავგანწირვა — ყველა ადამიანური ძალა უმადლეს ხარისხამდე აყვანილი, მარადისობას უახლოვდება და მისი თანაზიარი ხდება. ყოველი სულიერი თავის თავში დაატარებს მარადისობას: ღვთის მორწმუნე და ათეისტი, ის, ვინც ყველგან სიცოცხლეს ხედავს, ის, ვინც სიცოცხლეს ყველგან უარყოფს და ისიც, ვისაც ყველაფერში, — სიცოცხლეშიც და მის უარყოფაშიც — ეპვი შეაქვს. ყველაზე

1 მე გუბუნებით საქმეო, თქვენ კი სიტყვებს მელაპარაკებით...

მეტად კი ეს ითქმოდა კრისტოფზე. მისი სული მოიცავდა ყველა წინააღმდეგობას ერთდროულად. ყველა წინააღმდეგობა გადაიდნობა მარადიულ ძალად. მთავარი იყო გამოვლენებიანა ეს ძალა თავის თავში და სხვებში, კვლავ აებრიალებინა ნაღვერდალი, დაეგზნო მარადიული ცეცხლი. უზარმაზარი კოცონი აგიზგიზდა მის გულში პარიზის ვნებით აღსავსე ბნელეთში. კრისტოფს თავისუფალი ეგონა თავი ყოველგვარი რწმენისაგან, სინამდვილეში კი თავად იყო რწმენის ჩირაღდანი.

ამაზე მეტად არაფერს შეეძლო პარიზელთა ირონიის გამოწვევა. რწმენა ის გრძნობაა, რასაც ყველაზე ნაკლებად აპატიებს ვინმეს დახვეწილი საზოგადოება, რადგან თვითონ ეს რწმენა დაუქარგავს. იმ დამცინავ და ყრუ მტრობაში, რასაც ადამიანთა უმრავლესობა ახალგაზრდული ოცნებებისადმი განიცდის, დიდი ადგილი უჭირავს მწარე აზრს, რომ ისინი თვითონაც ასეთები იყვნენ, მათი ისეთივე მისწრაფებანი ჰქონდათ და ვერ შეძლეს მათი განხორციელება. ისინი, ვინც უარყო საკუთარი სული, ისინი, ვინც ქმნიდა ნაწარმოებს და ვერ დაასრულა, ფიქრობენ:

— თუკი მე ვერ გვაკეთე ის, რაზეც ვოცნებობდი, სხვამ რატომ უნდა მიაღწიოს.

რამდენი ჰედა გაბლერია ადამიანთა შორის! რაოდენ ძლიერი და ფარულია ავმოსურნეობა, ახალი, თავისუფალი ძალების განადგურებას რომ ცდილობს! რა ხრიკებს არ მიმართავენ მათ ჩასაკლავად: ზოგჯერ სიჩუმით, ზოგჯერ დაცინვით, ზოგჯერ ფლიდობით, ან მარჯვე დროს რაიმე ვერაგი ცდუნებით.

ასეთი ტიპი ყველგან არსებობს. კრისტოფი მას ჯერ კიდევ გერმანიიდან იცნობდა. ამ ხალხის წინააღმდეგ შეიარაღებული იყო. თავდაცვის სულ უბრალო სისტემა ჰქონდა: პირველი ქათინაურებისთანავე მაქებარს თავს ესხმოდა, პირველი უცხადებდა ომს და აიძულებდა ამ საშიშ მეგობრებს, მისი მტრები გამხდარიყვნენ. მაგრამ თუ ეს პირდაპირი პოლიტიკა ყველაზე ქმედითი იარაღი იყო თავისი მეობის დასაცავად, იგი ნაკლებად უწყობდა ხელს მის მუსიკალურ კარიერას. კრისტოფი გერმანიაში ჩაღენილ შეცდომებს იმეორებდა. ამ თვისებას ვერ მორეოდა. შეიცვალა მხოლოდ ერთი რამ: მისი ხასიათი. იგი მეტად მხიარული გახდა.

ყველა მსურველს წინდაუხედავად უზიარებდა თავის შენიშვნებს ფრანგ მუსიკოსებზე და ბევრი მტერიც გაიჩინა. იმასაც კი არ ცდილა, მცირერიცხოვან მომხრეთა მხარდაჭერა შემოენახა, როგორც ამას წინდახედული ხალხი აკეთებს ხოლმე. მერე რა ადვილად იპოვიდა ისეთ მუსიკოსებს, ვინც სიხარულით განადიდებდნენ მის ტრანტს იმ პირობით, თუკი თვითონაც სამაგიეროს მიუზღავდა. იყვნენ ისეთებიც, ვინც წინასწარ, ავანსად გამოხატავდნენ თავიანთ აღტაცებას იმ იმედით, რომ როდესმე კრისტოფიც ასეთივე სამსახურს გაუწევდა. ის, ვინაც ისინი აქებდნენ, წარმოდგენილი ჰყავდათ მოვალედ, ვისგანაც განსაზღვრულ ვადაში შეეძლოთ ვალის განაღდება მოეთხოვათ. ეს სარფიანი საქმე იყო.

მაგრამ კრისტოფთან არა გამოვიდა რა. ის ცუდი მოვალე იყო და ვალებს არასოდეს არ იხდიდა. გადახდას ვინ ჩივის, იმდენად უტიფარიც აღმოჩნდა, რომ აუგად იხსენიებდა იმ ნაწარმოებებს, რომელთა ავტორებს მისი ქმნილებები მოსწონდათ. ისინიც უსიტყვოდ იკლავდნენ გულში ბოღმას და პირობას დებდნენ, პირველ შემთხვევისთანავე სამაგიერო გადაეხადათ კალნიერი გერმანელი სთვის.

ყველა ამ შეცდომას ისიც დაერთო, რომ კრისტოფმა გაილაშქრა ლიუსიენ ლევი-კერის წინააღმდეგ. ეს კაცი ყველგან ზედბოლა გზაზე და კრისტოფიც ველარ მალავდა გადაჭარბებულ ანტიპათიას ამ თავაზიან ადამიანისადმი, ვინც თითქოს აშკარა სიივეს არ სჩადიოდა, პირიქით, უფრო კეთილიც ჩანდა და, ყოველ შემთხვევაში, მასზე უფრო კეთილგონიერიც იყო. კრისტოფი კამათში იწვევდა ლიუსიენ ლევი-კერს და რაოდენ უმნიშვნელოც უნდა ყოფილიყო კამათის საგანი, კრისტოფის წყალობით, იგი მოულოდნელად მძაფრდებოდა, რაც მსმენელთ მეტად აკვირვებდა. გეგონებოდათ, კრისტოფი საბაბს ეძებდა — გააფთრებით უტევდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ მიზანს ვერასოდეს ვერ აღწევდა. ლევი-კერი საოცარი მოხერხებულობით ისაკუთრებდა საუკეთესო როლს მაშინაც კი, როცა მისი მცდარობა ექვემოქმედებული იყო. თავს უაღრესი თავაზიანობით იცავდა. ეს კი უფრო მეტად უსეამდა ხაზს კრისტოფის თავშეუკავებლობას. ამასთანავე, ეს უკანასკნელი ფრანგულად ცუდად ლაპარაკობდა, იყენებდა ჟარგონს, უხეშ სიტყვებს, რომელიც მალე შეისწავლა და, უცხოელთა უმრავლესობის მსგავსად, სრულიად უადგილოდ ხმარობდა. იგი უძლური იყო ლევი-კერის ტაქტიკის წინაშე და გამშაგებით აწყდებოდა ირონიული სიმშვიდის კედელს. ყველა ლევი-კერის მხარეზე იყო. დანარჩენები ვერ ხედავდნენ იმას, რასაც თვით კრისტოფი ბუნდოვნად გრძნობდა: ეს ფარისევლური სიწყნარე წააწყდა რა ძალას, რომელსაც ვერას დააკლებდა, ჩუმად და უხმაუროდ ცდილობდა მის მოგუღვას. ლევი-კერი არ ჩქარობდა. ისევე, როგორც კრისტოფი, იგი ერთი იმათთაგანი იყო, ვისაც დროის იმედი აქვს. მაგრამ მისთვის დრო ნგრევა იყო. კრისტოფისთვის კი — შენება. ლევი-კერმა ადვილად ჩამოაცილა გერმანელს სილვენ კონი და გუჟარი, ნელ-ნელა განდევნა იგი სტივენსების სალონიდან და მის ირგვლივ სიცარიელე შექმნა.

ამაში თვით კრისტოფსაც მიუძღვოდა ბრალი. იგი არავის მოსწონდა, რადგან არც ერთ პარტიას არ ეკუთვნოდა. უფრო სწორად, ყველა პარტიის წინააღმდეგი იყო. ებრაელები არ უყვარდა, მაგრამ არც ანტისემიტებს სწყალობდა. მას ზიზღს ჰკვირიდა სიმხდალე ბრბოსი, რომელიც აუჯანყდა ძლიერ უმციირესობას არა იმიტომ, რომ ის ცუდი იყო, არამედ იმიტომ, რომ ძლიერი იყო; კრისტოფს კი ზიზღს ჰკვირიდა სიძულვილისა და შურის მძაბიო ინსტინქტები. ებრაელები ანტისემიტად სთვლიდნენ, ანტისემიტები — ებრაელად. ხელოვნების მოღვაწენი კი მასში მტერს გრძნობდნენ. ინსტინქტურად, კრისტოფი ხელოვნებაში უფრო მეტად აჩენდა თავს გერმანელად, ვიდრე სინამდვილეში იყო. გარ-

კვეული ჟანრის პარიზული მუსიკისათვის დამახასიათებელი პასიურობის საპირისპიროდ, მძვინვარე ძალას, ვაუკაცურ და საღ პესიმოზმს განადიდებდა. მის ნაწარმოებში სიხარული თუ იჩენდა თავს, კრისტოფი მას გამოხატავდა უხეშად, პლებეური მგზნებარებით, რაც ხალხური ხელოვნების არისტოკრატ-მეცენატებსაც კი გადამეტებულად მიაჩნდათ. მის ქმნილებათა ფორმა რთული და დახელოვნებული იყო. პროტესტის ნიშნად ცდილობდა აშკარა დაუდევრობა გამოეჩინა სტილისადმი, გარეგნული ორიგინალობისადმი, რაც ფრანგ მუსიკოსთა ყურს ნეტად ეხამეშებოდა. ამიტომ, გაიცნეს თუ არა კრისტოფის ნაწარმოებები, ულაპარაკოდ ჩათვალეს იგი მათ მიერ ათვალისწინებული ვაგნერის გვიანდელ მიმდევართა წარმომადგენლად. კრისტოფს ეს სულაც არ ანაღვლებდა. ჩუმად იცნოდა და თავისთვის იმეორებდა ფრანგულ რენესანსის დროინდელი ერთი მშვენიერი მუსიკოსის ლექსს, ოლონდ თავისებურად შეცვილილ-შელამაზებულად:

ყურს ნუ დაუგდებ იმას, ვინც ამბობს:

„— ის კონტრაპუნქტში დაჯანის კრისტოფს,
ეს მუსიკოსი — ჰარმონიაში მას უღაოდ სჯობს“.
მეც მაქვს ბევრი რამ, რასაც სხვა არ ფლობს.

მაგრამ, როდესაც კონცერტზე თავისი ნაწარმოებების შესრულება მოისურვა, კარი ვეღვან დაკეტილი დახვდა. ახალგაზრდა ფრანგებისგანაც გული ჰქონდათ გაწყალებული. ზოგიერთს უსმენდნენ, ზოგიერთს — არა და აბა, უცნობი გერმანელისათვის ვის ეცალა.

კრისტოფმაც თავი დიდად არ შეიწუხა, არც ცდილა თავისი გაეტანა. შინ ჩაიკეტა და ისევ წერას შეუდგა. სულაც არ ენაღვლებოდა, მოისმენდნენ პარიზელები მის მუსიკას თუ არა. იგი საკუთარი სიამოვნებისათვის წერდა და არა წარმატების მისაღწევად. ნამდვილ ხელოვანს არ აწუხებს მის ნაწარმოებთა ბედი. რენესანსის ეპოქის მხატვართა დარად, მხიარულად რომ ხატავდნენ სახლების ფასადებს, თუმც იცოდნენ, რომ ათი წლის შემდეგ მათი ნაშრომიდან აღარაფერი დარჩებოდა — კრისტოფიც მშვიდად მუშაობდა უკეთესი დროის მოლოდინში, და სწორედ ამ დროს გამოუწოდეს დანმარების ხელი.

ამ პერიოდში დრამატულმა ფორმამ გაიტაცა. მაგრამ ვერ ბედავდა თავისუფლად მინდობოდა შინაგანი ლირიზმის ტალღას. საჭირო იყო მისი მოქცევა ზუსტი სიუჟეტების კალაპოტში. ახალგაზრდა შემოქმედისათვის, ვინც ჭერ არ დაუფლებია საკუთარ თავს და არც კი იცის, რას წარმოადგენს სინამდვილეში, ნეტად სასარგებლოა შემოიფარგლოს შეგნებული ჩარჩოებით, სადაც უნდა მოამწყვდიოს ის უჩინარი სული, სულ რომ უსხლტება ხელიდან. ეს აუცილებელი სადავე საშუალებას აძლევს გაუძღვეს აზრთა დინებას. საუბედუროდ, კრის-

ტოფს არ ჰყავდა პოეტი და იძულებული იყო სიუჟეტები მითებიდან და ისტორიიდან ამოეკრიფა.

იმ სახეებს შორის, უკანასკნელი თვეების მანძილზე გულით რომ ატარებდა, ბიბლიის სურათებიც იყო. ბიბლია დედამისმა გამოატანა ვადასახლებაში. ახლა იგი ოცნების წყაროდ ექცა კრისტოფს და თუმცა რელიგიური გრძნობა არასოდეს ჩაუქსოვია მის კითხვაში, ამ ებრაული ილიადის ზნეობრივი, უფრო სწორად სასაიტოცხლო ძალა ის შადრევანი იყო, რომელშიც კრისტოფის სული საღამოობით განიბანებოდა ხოლმე პარიზის ტალახისა და ქუჩუყისაგან. თუმცა ამ წიგნის საღვთო აზრი ნაკლებად აინტერესებდა, მაინც იგი წმიდა იყო კრისტოფისთვის, რადგან მოჰქონდა ველური ბუნებისა და პირველყოფილი ხასიათების სუნთქვა. იგი დაეწაფა რწმენის ალით მოცულ მიწის, მთრთოლვარე მთების, მრისხანე ზეცისა და ლომგული ხალხის მაღიდებელ ჰიმნებს.

ბიბლიის ერთი სახე განსაკუთრებულ სინაზეს იწვევდა მასში. ეს იყო ყრმა დავითი. მას არ ჰქონდა არც ფლორენციელი ბიჭუნას ირონიული ღიმილი, არც ის ტრაგიკული დაქაბულობა, გეროქიომ და მიქელანჯელომ რომ შესძინეს თავიანთ დიდებულ ქანდაკებებში — კრისტოფს თვალთაც არ უნახავს ისინი. დავითი მას სულ სხვაგვარად ჰყავდა წარმოდგენილი: მისი აზრით, ეს იყო პოეტური მწყემსი, გულით უმანკო, გამირულ სულს ჯერ არ გაღვიძებოდა მასში; ეს იყო სამხრეთელი ზიგფრიდი, ოლონდ უფრო დახვეწილი, უფრო ლამაზი, სხეულითა და სულით უფრო ჰარმონიული. კრისტოფი ამაოდ ცდილობდა აჯანყებულიყო ლათინური გავლენის წინააღმდეგ. ლათინური სული ნელ-ნელა იჭრებოდა მის არსებაშიც. მხოლოდ ხელოვნება და აზრი როდი ახდენს გავლენას ხელოვნებაზე, მასზე გავლენას ახდენს ყველაფერი, რაც გარს გვახვევია: ადამიანები, საგნები, მოძრაობანი, ქესტები, ხაზები და სინათლე. პარიზის ატმოსფერო მეტად ძლიერია, იგი ყველაზე მეამბონე სულებსაც იმორჩილებს. და ყველაზე ნაკლებად სწორედ გერმანელს ძალუძს წინ აღუდგეს მას. ამაოდ იშველიებს ნაციონალურ სიამაყეს. ევროპის სხვა ხალხებთან შედარებით გერმანელი ყველაზე სწრაფად კარავს თავის ეროვნულ თვისებებს. კრისტოფის სულიც მისდა უნებურად ითვისებდა ზომიერებას, სიცხადეს, ზოგ შემთხვევაში პლასტიკურ სილამაზესაც, რომელიც მას ლათინური ხელოვნების გარეშე არ ექნებოდა. მისი „დავითი“-ც ამას მოწმობდა.

კრისტოფს სურდა წარმოედგინა დავითის შეხვედრა საულთან. ეს უნდა ყოფილიყო სიმფონიური სურათი ორი მოქმედი პირით.

მევიარდნილ, ყრუ მინდორში, აყვავებულ ერიკას შორის, მზის გულზე წევს ოცნებაში წასული მწყემსი ბიჭი. ნაზი შუქი, მწერების ბზუილი, ბალახის საამური შრიალი, გაფანტული ფარის ეყენების წკრიალი და დედამიწის ძალა ნანას უმღერის ოცნებაში წასულ ყრმას, ვისაც ჯერ არ შეუცენია თავისი ღვთაებრივი ბედისწერა. უღარდელად უერთებს მწყემსი სალამურის ჰანგებს ბუნების ჰარმონიულ სიჩუმეს და ეს სიმღერა ისეთი მშვიდი, მხიარული და ნათელია, რომ

მისი მოსმენა არც სიხარულს იწვევს, არც წუხილს, მხოლოდ იბადება გრძნობა, რომ ყველაფერი ასე იყო და სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო... უეცრად უზარმაზარი ჩრდილი გადააწვა მინდორს, ყველაფერი დადუმდა, სიცოცხლე თითქოს მიწის ძარღვებში მიიმაღლა. მხოლოდ სალამურის წყნარი სიმღერა გაისმის. შემოდის პალუსტინაციებით შეპყრობილი საული. სევდით ქენჩნილი, შეშლილი მეფე აწყდება აქეთ-იქით, იკლავება, როგორც ქარიშხლის სუნთქვით დაგრეხილი თვითმწველი ალი. წყევლა და მუდარა ამაოა მის ბრძოლაში სიცარიელესთან, გარს რომ აკრავს და მის სულსაც რომ დაუფლებია. ქანცვამოცლილი ვარდება მინდორზე და სიჩუმეში ისევ გაისმის მწყემსის ნათელი სიმღერა, თუმცა იგი არც გამწყვდარა. მაშინ საული ცდილობს დაიმორჩილოს აფორი-აქებული გულისცემა. მიდის წამოწოლილ ყრმასთან, მშვიდად უმზერს, გვერდით მიუჯდება და დასიცხულ ხელს შუბლზე ადებს. დავითი მშვიდად მოტრიალდება და შესცქერის მეფეს. შემდეგ თავით ეყრდნობა მეფის მუხლებს და სიმღერას განაგრძობს. ბინდი ეფარება იქაურობას. დავითს სიმღერაში ჩაეძინება, საული კი ტირის და ვარსკვლავებით მოჭედილი ცისკენ კვლავ მიიწევს გაცოცხლებული ბუნების პივნები და გაჯანსაღებული სულის სამადლობელო ჰანგები.

ამ სცენის წერისას კრისტოფი მხოლოდ შექმნის სიხარულით იყო გამსჭვალული და ნაწარმოების შესრულებაზე არც კი უფიქრია. მით უმეტეს, აზრადაც არ მოსვლია, რომ მისი „დავითი“ შეიძლებოდა სცენაზე გათამაშებულყო. „დავითი“ მან საკონცერტო შესრულებისთვის გაითვალისწინა, რა თქმა უნდა, თუკი იკადრებდნენ მის შესრულებას.

ერთ საღამოს, როდესაც თავისი ჩანაფიქრი აშილ რუსენს ვააცნო და მისი თხოვნით პიანინოზე რამდენიმე ნაწყვეტიც შეასრულა, რუსენი მოულოდნელად ისე აღაფრთოვანა კრისტოფის მუსიკამ, რომ იქვე განაცხადა: ეს ნაწარმოები პარიზის სცენაზე უნდა დაიდგასო და კრისტოფს აღუთქვა, ამ საქმეს მე თვითონ მოვუვლიო. კრისტოფს ძალიან გაუკვირდა, როდესაც ნახა, რომ რუსენი მთელი სერიოზულობით მოეკიდა თავის დანაპირებს, განცვიფრებაში მოიყვანა იმ ამბავმაც, რომ სილვენ კონი, გუჟარი და ლიუსიენ ლევი-კერიც კი დაინტერესდნენ ამ ნაწარმოებით. სხვა გზა არ ჰქონდა, იძულებული გახდა ელიარებინა, ხელოვნებისადმი სიყვარულმა პირად მტრობას დაძლიაო. თუმცა ყოველივე ეს მეტად აკვირვებდა. თავის ნაწარმოების შესრულებაზე ყველაზე ნაკლებად თავად ზრუნავდა. „დავითი“ თეატრისთვის არ იყო დაწერილი და მისი დადგმა სრული უაზრობა იქნებოდა, მაგრამ რუსენი ისე დაჟინებით სთხოვდა, სილვენ კონი ისე არწმუნებდა, და გუჟარი ისე უმტკიცებდა ყველაფერი ჩინებულად ჩაიელისო, რომ კრისტოფმა ცდუნებას ვერ გაუძლო, სულმოკლეობა გამოიჩინა. ხუმრობა ხომ არ იყო, საკუთარ მუსიკას პარიზის სცენიდან მოისმენდა.

რუსენისათვის ყველაფერი ადვილი იყო. თეატრის დირექტორები და მსა-

ხობები ტყავიდან ძვრებოდნენ, ოღონდ მისთვის ესია მოვნებინათ. სწორედ ამ დროს ერთ-ერთი ყურნალი საქველმოქმედო მიზნით საზეიმო დილას აწყობდა. ამ დილაზე გადაწყვიტეს „დავითის“ შესრულება. კარგი ორკესტრი შეიკრიბა. მომღერლებისა კი რა მოგახსენოთ; ყოველ შემთხვევაში, რუსენი ამტკიცებდა, დავითის როლისთვის იდეალური შემსრულებელი გამოვნახეთ.

რეპერტიციები დაიწყო. ორკესტრმა, თუმცა ფრანგული ჩვეულებისამებრ დისციპლინაში მოიკოჭლებდა, მაინც საკმაოდ კარგად გაართვა თავი პირველ წაქითხვას. საულის შემსრულებელს გადალილი, მაგრამ კარგად დაყენებული ხმა ჰქონდა, თანაც კარგად იცოდა თავისი საქმე. დავითის პარტიას ასრულებდა მაღალი, ლამაზი, მოხდენილი აღნაგობის ჩასუქებული ქალი. მას კაფე-შანტანის მომღერლის მანერები ჰქონდა. ვულგარულ და სანტიმენტალურ ხმას აკანკალებდა და მელოდიას დრამატული ტრემოლოებით ამძიმებდა. კრისტოფი მოიღუშა. პირველი ტაქტებისთანავე მისთვის სრულიად ნათელი გახდა, რომ წომღერალი როლს ვერ დაჰლედა. შესვენებისას მოქებნა იმპრესარიო, რომელსაც კონცერტის მოწყობა ევალებოდა და სილვენ კონთან ერთად რეპერტიციას ესწრებოდა. იმპრესარიომ მისკენ მიმავალ მუსიკოსს გაბადრული სახე შეაგება და უთხრა:

— აბა, რას იტყვი, კმაყოფილი ხართ?

— დიახ, — უპასუხა კრისტოფმა, — მგონი კარგი პირი უჩანს. მხოლოდ ერთი რამ არ მოეწონს, მომღერალი ქალი უნდა შეეცვალოს. თავაზიანად უთხარით, თქვენ ასეთ რამეებს მიჩვეული ხართ... და არც შემცვლელის ნახვა გაგიჭირდებათ.

განცვიფრებული იმპრესარიო ისე მიაშტერდა კრისტოფს, თითქოს ვერ გადენწყვიტა, ხუმრობს თუ მართლა ლაპარაკობსო.

— ეს ხომ შეუძლებელია! — აღმოხდა ბოლოს.

— ვითომ რად არის შეუძლებელი? — იკითხა კრისტოფმა.

იმპრესარიომ ეშმაკურად გადახედა სილვენ კონს და განაგრძო:

— ძალიან ნიჭიერი მსახიობია, გარწმუნებთ.

— რალაც არ ეტყობა, — მიუგო გერმანელმა.

— როგორ, ლამაზი ხმა აქვს და თვითონაც ლამაზია.

— მისი სილამაზე სულაც არ მაინტერესებს.

— რატომ? სილამაზე რას უშლის?! — გადაიხარხარა სილვენ კონმა.

— მე მჭირდება დავითი და თანაც ისეთი დავითი, რომელმაც იცის სიმღერა. მშვენიერი ელენე მე არ მჭირდება. — მოუჭრა კრისტოფმა.

იმპრესარიომ დაბნეულად მოისვა ხელი სახეზე.

— ძალიან საწყენია, ძალიან საწყენი... — თქვა მან, — დიდებული მსახიობია... მე თქვენ გარწმუნებთ. იქვებ დღეს მთლად თავის სიმადლეზე ვერ არის. გამოსცადეთ კიდევ ერთხელ.

— ნება თქვენია, — მიუგო კრისტოფმა. — მაგრამ ეს ამოდ ღროს კარგვა იქნება.

რეპეტიცია ისევ დაიწყო. ამჯერად უფრო უარესად გამოვიდა. კრისტოფმა ბოლომდე ძლივს გაუძლო, ნერვიულობა დაეტყო. ჯერ ცივ, მაგრამ თვაზიან შენიშვნებს იძლეოდა, მერე კი ტონი თანდათან მკვახე და მშრალი გაუხდა. ქალი ამჟამად ცდილობდა კრისტოფის გულის მოგებას, დროდადრო თვალებსაც უნაბავდა, რათა მისი კეთილგანწყობა დაემსახურებინა. წინდახედული იმპრესარიო დროზე ჩაერია და რეპეტიცია შეწყვიტა, რადგან საქმეს კარგი პირი არ უჩანდა. მერე მომღერალ ქალს მიეახლა და ნოუქნელი გალანტურობით ქება შეასხა მის ტალანტს, რომ კრისტოფის შენიშვნებით გამოწვეული უსიამოვნო შთაბეჭდილება გაეფანტა. გერმანელი ამჟამად მოუთმენლობით აღეგნებდა თვალს ამ სცენას, ბოლოს მბრძანებლურად ანიშნა იმპრესარიოს, მასთან მისულიყო და უთხრა:

— აქ საკამათო აღარაფერია. ეგ ქალი არ გამოგვადგება. ვიცი, ძალიან სავწყუარია, მაგრამ მე ზომ არ შემირჩევია. მოუროდით, როგორც გენებოთ.

იმპრესარიომ წყენით დაუკრა თავი და გულგრილად მიუგო:

— მე ვერაფერში დაგეხმარებით, სჯობს ბატონ რუსენს მიმართოთ.

— რაში აინტერესებს ეს ბატონ რუსენს? — იკითხა კრისტოფმა. — სულაც არ მინდა ჩემი საქმეებით თავი მოვაბუზრო.

— ამით თავს არ მოაბუზრებთ, — დამცინავად უთხრა სილვენ კონმა და დარბაზში შემომავალ რუსენზე მიუთითა.

კრისტოფმა მას მიაშურა; რუსენი შესანიშნავ გუნებაზე იყო:

— როგორ, უკვე გაათავეთ? მე კი იმედი მქონდა, რომ მოვისწრებდით და ნაწილს მაინც მოვისმენდი. აბა, ძვირფასო მანესტრო, რას იტყვით, კნაყოფილი ხარო?

— ყველაფერი ჩინებულად მიდის, — უპასუხა კრისტოფმა. — არც კი ვიცი მადლობა როგორ გადაგიხადოთ.

— რას ბრძანებთ, რის მადლობა.

— მხოლოდ ერთი რამ არ მომწონს:

— თქვით. თქვით, ყველაფერს მოვაგვარებთ, მე მინდა ყველაფრით კმაყოფილი იყოთ.

— მომღერალი ქალის ამბავი მაწუხებს. ჩვენში დარჩეს და, ძალიან ცუდია. რუსენს გაბადრული სახე უეტრად მოეღუშა:

— თქვენ მე მაკვირვებთ, ჩემო კარგო.

— არაფრად არ ვარგა, სულ არაფრად, — განაგრძობდა კრისტოფი, — არც ხმა აქვს, არც გემოვნება, არც პროფესიონალიზმი, ნიჭის ნასახიც არ გააჩნია. ბედი უქონიათ, რომ მის წრიბინს ვერ მოუხწარით.

რუსენს უფრო და უფრო დაეტყო უკმაყოფილება. ბოლოს კრისტოფს სიტყვა გააწყვეტინა და მკვახედ მიუგო:

— მე ვიცნობ ქალბატონ დე სენტ-იგრენს, მეტად ნიჭიერი მსახიობია და მეც მისი მგზნებარე თაყვანისმცემელი ვარ. ყველა პარიზელი, ვისაც კი გემოვნება აქვს, ჩემსავით ფიქრობს.

თქვა ეს, კრისტოფს ზურგი შეაქცია, მსახიობ ქალს მკლავი შესთავაზა და მასთან ერთად გავიდა დარბაზიდან. სახტად დარჩენილ კრისტოფთან სილვენ კონი მივიდა. იგი სიამოვნებით აღევნებდა თვალყურს ამ სცენას. გერმანელს მკლავი გაუყარა და, თეატრის კიბეებზე ჩასვლისას, სიცილით უთხრა:

— ნუთუ არ იცოდით, რომ ეგ ქალი მისი საყვარელია?

კრისტოფი ყველაფერს მიხვდა. ესე იგი, მისთვის კი არა, ამ ქალის გულსათვის ღვამდნენ პიესას. ახლა გასაგები გახდა რუსენის ენთუზიაზმი, ხელგამწილობა და მისი დამქაშების ასეთი მონდომება. სილვენ კონი კი სენტ-იგრენის ამბავს უყვებოდა. მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა ქალი წარმატებით გამოვიდა ნიუზი-პოლში და ამავე ურის პატარა თეატრებში, სხვა მისი მსგავსი მომღერლების დარად პატივმოყვარეობამ შეიპყრო და მოისურვა თავის ნიჭის საკადრის სცენაზე გამოფენა. იწედი ჰქონდა, რომ რუსენის შემწეობით ოპერა ან ოპერა-კომიკში მიიწვევდნენ. რუსენს მეტი არც უნდოდა და, როდესაც კრისტოფის „დავითი“ მოისმინა, უმაღლვე იაზრა, რომ მისი დადგმა შესანიშნავი საშუალება იქნებოდა პარიზელი მაყურებლისათვის ახალი ტრაგიკული მსახიობი ეჩვენებინა და თანაც რისკის გაუწევლად, რადგან ეს როლი მსახიობისაგან დიდ დრამატულ ნიჭს არ მოითხოვდა, სამაგიეროდ, კარგად აჩენდა მისი ლეთაებრივი სხეულის სინატიფეს.

კრისტოფმა ბოლომდე მოუსმინა კონს, შემდეგ მისი ხელი მოიშორა და გადაიხარხარა. იგი დიდხანს, დიდხანს იცინოდა, ბოლოს თქვა:

— ო, როგორ მეზიზღებით, როგორ მეზიზღებით ყველანი. რა ხელი გაქვთ ბელოვნებასთან, თქვენ ხომ მხოლოდ ქალები გაინტერესებთ. ოპერას დავით რომელიმე მოცეკვავისა ან მომღერლისათვის, ამა თუ იმ კაცის ან ქალის საყვარლის გულისათვის. მარტო თქვენს ღირსებაზე ფიქრობთ. მე თქვენ არ გადანაშაულებთ. რას იზამ? ღმერთს ასეთებად გაუჩენიხართ და, თუ ეს მოგწონთ, ნურც შეიცვლებით. იფართხალეთ თქვენს წუმბეში. პაჯრამ მე უნდა გაგმორდეთ. ჩვენი გზები იყრება. ღამე მშვიდობისა.

კრისტოფი გამოეთხოვა სილვენ კონს და შინ დაბრუნებისთანავე მისწერა რუსენს, რომ უკან იბრუნებდა თავის პიესას, თან არც ამის მიზეზი დაუმალავს.

ამით სამუდამოდ მოიმდურა რუსენი და მისი მეჯობრები. კრისტოფმა სულ მალე იგრძნო ამის შედეგები. გახეთქეს უკვე ზოგი რამ დაებეჭდათ მომავალი წარმოდგენის შესახებ. ამიტომ მომღერლისა და კონპოზიტორის უთანხმოებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ერთი დირექტორი დაინტერესდა კრისტოფის ნაწარმოებით და გადაწყვიტა „დავითის“ შესრულება დილის კონცერტზე. ეს კი კრისტოფისთვის საბედისწერო შეიქნა. „დავითს“ სტვენით შეხვდნენ. სენტ-აგრენის მეგობრებმა ფიცი დადეს, კარგი გაკვეთილი მიეცათ თავხედი კომპო-

ზიტორისათვის. დანარჩენ მსმენელებს კი სიმფონიური პიესა მოსაწყენი ეჩვენათ და სიამოვნებით შეუერთეს ხმა კომპეტენტური პირების განაჩენს, ამას ზედ იცი დაერთო, რომ კრისტოფმა თავისი ვირტუოზული ნიჭის გამოსაჩენად წინდაუხედავად გადაწყვიტა იმავე კონცერტზე გამოსულიყო და დაეკრა ფანტაზია როიალისა და ორკესტრისათვის. „დავითის“ შესრულების დროს დარბაზი ნაკლებად აჩენდა თავის მტრულ განწყობას, რადგან უნდოდა შემსრულებლები დაეზოგა. ავტორის გამოჩენისას კი ხალხმა თავი აიწყვიტა. მით უმეტეს, რომ კრისტოფის შესრულება უნაკლო არ იყო. ხმაურით გაღიზიანებულმა კრისტოფმა მოულოდნელად შუა ადგილზე გაწყვიტა დაკვრა, დამკინავად გადახედა უცბად მიწყნარებულ დარბაზს, როიალზე „მაღბრუკი მიდის ომში“ დაუკრა და ბრბოს კადნიერად მიუგლო:

— აი, რა გვირდებათ თქვენ!

მერე ადგა და გავიდა.

ატყდა საშინელი ღრინაცელი. ყველა გაიძახოდა: კრისტოფმა შეურაცხყოფა მოგვაყენა მსმენელებს და მთელი დარბაზის წინაშე საჯაროდ ბოდიში უნდა მოიხადოსო. მერე დღეს გაზეთები შეერთებული ძალებით თავს დაატყდნენ კრისტოფს და ჯავრი ამოიყარეს „სასაცილო გერმანელზე, რომელიც დახვეწილმა პარიზულმა გემოვნებამ საკადრისად დასაჯა“.

კრისტოფი ისევ მარტოდ დარჩა, მარტოდ, უსასოოდ. ასეთი სიმარტოვე არასოდეს უგრძენია მტრულად განწყობილ, უცხო ქალაქში. მაგრამ ამას აღარ ნაღვლობდა. უკვე დარწმუნდა, რომ ასეთი იყო მისი ხვედრი და მთელი სიცოცხლე ეწულად დარჩებოდა.

მან არ იცოდა, რომ დიდი სულის ადამიანი არასოდეს მარტო არ არის. რა გინდ უმტყუნოს ბედმა და მეგობრები ჩამოაცილოს, იგი მინც ახერხებს მრავალთა გულის მონადირებას, რადგან ირგვლივ ასხივებს სიყვარულს, მთელ მის არსებას რომ ავსებს. სწორედ იმ დროს, როდესაც კრისტოფს თავი ყველასაგან მოწყვეტილი ეგონა, იგი უფრო მდიდარი იყო სიყვარულით, ვიდრე ყველაზე ზედნიერი ადამიანი დედამიწაზე.

სტივენსებთან ცხოვრობდა კოლეტის ბიძაშვილი, ცამეტ-თოთხმეტი წლის პატარა გოგონა, რომელსაც კრისტოფი მუსიკას ასწავლიდა კოლეტთან ერთად. სახელად გრაცია ერქვა, გვარად ბუნონტამპი იყო. ხორბლისფერი პირისახე, ნაზად შევარდისფერებული ღაწვები და სავსე ლოყები სოფელში გაზრდილი ბავშვის სიჯანსაღეს მოწმობდნენ. პატარა, აწეული ცხვირით, ოდნავ გაპობილი, დიდი და ლამაზად მოხაზული ტუჩებით, მომრგვალებული, თეთრი ნიკაბით, წყნარი, ალერსიანად მომღიმარე თვალებით, ლამაზი შუბლის ირგვლივ გაფანტული გრძელი და აბრეშუმისებრი სრიალა თმით, მსუბუქად რომ ჩამოშლოდა

ლოყებზე, იგი მოგაგონებდათ ანდრეა დელ სარტოს ფართოსახიან პატარა მონასს, ასე მომხიბლავი და მშვიდი გამონედვა რომ აქვს.

გრაჯია იტალიელი იყო. მისი მშობლები თითქმის მთელი წელიწადი სოფელში ცხოვრობდნენ, ჩრდილოეთ იტალიის დიდ მამულში, პატარა არხებს, გადაჭიმულ ველებსა და მინდვრებს შორის. ტერასიდან მოსჩანდა ზღვა ოქროს ვენახებისა და მათ შორის აქა-იქ კიპარისების შავი სილუეტები ამოჩრილიყო. იმის იქით კი სულ მინდვრებს, მინდვრებს თუ დაინახავდი. სიწყნარე იყო. ისმორდა ჩხოლოდ ბლავილი ხარებისა, რომლებიც ბელტებს აბრუნებდნენ და გუთნის უკან მიმავალი გლეხის მკახე შექაჩილი:

— Ihi!.. Fat innanz!..

ხეებზე კრიჭინებდა კრიჭინებდნენ, წყლის პირას ბაყაყების ყოყინი იდგა. ღამით კი, მთვარის სინათლის მოვერცხლილ ტალღებქვეშ უსაზღვრო სიჩუმე სუფევდა. შორს, ტოტებით გადახურულ ქოხებში მთვლემარე მინდვრის დარაჯები დრო და დრო ისროდნენ თოფს, რომ ქურდები დაეფრთხოთ, აქაოდა, ფხიზლად ვართო. ეს ხმა, მცხოვრებლებს შუა ძილში, შორეული საათის რეკვასავით ჩაესმობდათ და მშვიდად აუწყებდა დროის სელას. შემდეგ სიჩუმე მოიცავდა სულს, მსუბუქი განიერი საბურველივით.

პატარა გრაჯიას გარშემო სიციცხლეს თითქოს ჩასძინებოდა. ყურადღებას არავინ აქცევდა. მშვიდად იზრდებოდა ან საამო სიწყნარეში, მის ირგვლივ რომ სუფევდა. არც აღლეგება, არც აჩქარება. ზარმაცი იყო, უსაქმოდ ხეტიალი და დიდხანს ძილი უყვარდა. ხშირად მთელი საათობით ბაღში იწვა. თავს ანდობდა სიჩუმის დინებას, ისევე, როგორც ნაკადულში ჩავარდნილი მწერი მიჰყვება წყალს ცხელ დღეში. ზოგჯერ უეცრად უმიზეზოდ იწყებდა ხოლმე სირბილს. პატარა ნადირივით მოქნილად და თავისუფლად დარბოდა. გეგონებოდათ, ნამდვილი თიქანიო, და ქვებზე მხოლოდ იმიტომ დახტუნაობს და დაძვრება, რომ ხტუნვა სიამოვნებსო. ხშირად ძაღლებს, ბაყაყებს, ბალახებს, ხეებს. გლეხებს და შინაურ ცხოველებს ესაუბრებოდა. გაგიჟებით უყვარდა ყოველი პატარა არსება, ვინც კი მის გარშემო იმყოფებოდა, უყვარდა დიდებიც, მაგრამ მათთან უფრო თავშეკავებული იყო. ხალხს თითქმის არ ხედავდა. მამული განცალკევებით მღებარეობდა და მოშორებული იყო ქალაქს. ძალიან იშვიათად მტკრიან გზაზე ზოზინა ნაბიჯით თუ გაივლიდა დინჯი გლეხი ან ლამაზი სოფლელი დედაკაცი, მზემოკიდებულ პირისახეზე თვალები ვარსკვლავებივით რომ უელავდა. გაივლიდა მკერდგამოწეული, ტანის რხვეითა და მალღა თავაწეული. მთელი დღეები გრაჯია მარტო ცხოვრობდა წყნარ პარკში. არავის ხედავდა, არავისი ეშინოდა და არასოდეს არ სწყინდებოდა.

ერთხელ ცარიელ ფერმაში ქურდი შეიპარა ქათმის მოსაპარად და, საგონებელში ჩავარდნილი შეჩერდა ბალახში წამოწოლილი გოგონას წინაშე, ღიღინით რომ შეექცეოდა კარაქიან პურს. გოგონამ მშვიდად შეხედა და ჰკითხა, რა გნებავთო.

— რამე წომეცი, თორემ გავჯავრდები, — უთხრა მაწანწალამ.

მანაც გაუწოდა პური, შეხედა თავისი მომღიმარე თვალებით და მიუგო:

— ნუ გაჯავრდებით.

მაწანწალა წავიდა.

გრაციას დედა გარდაეცვალა. მამა, ძალიან გულკეთილი, მაგრამ სუსტი ნებისყოფის ბერიკაცი, ნამდვილი იტალიელი იყო. ამ ბრგე, მხიარულმა, მოსიყვარულე, ბავშვურმა კაცმა ვერ მოახერხა, გრაციასათვის რაიმე განათლება მიეცა. დაკრძალვაზე ჩამოსული მოხუცი ბუონტამპის და, ქალბატონი სტივენსი, გაოცებული დარჩა, რა განმარტოვებით ცხოვრობს ბავშვიო. მან გადაწყვიტა რამდენიმე ხნით გოგონა პარიზში წაეყვანა, რათა ცოტათი გაერთო დედის გარდაცვალების შემდეგ. ბევრი იტირა გრაციამ, მისმა მოხუცმა მამამაც, მაგრამ ქალბატონი სტივენსი რამეს რომ გადაწყვიტდა, გათავებული იყო საქმე: წინააღრდეგობას ვერაზინ გაუწევდა. ოჯახის თავი ის იყო და პარიზში, საკუთარ სახლში, ყველაფერს თვითონ უძღვებოდა: ქმარ-შვილსაც და საყვარლებსაც, რადგან მშვენიერად უთავსებდა მოვალეობას სიამოვნებას. ძალიან მოხერხებული ქალი იყო, თანაც საზოგადოებაში გამოსული, მეტად ენებიანი და დაუღვარო.

პარიზულ გარემოში მოხვედრილი წყნარი გრაცია აღტაცებაში მოიყვანა კოლეტმა. კოლეტს ეს ძალიან ართობდა, დაიწყეს პატარა, ალერსიანი მოუთვინიერებელი გოგონას საზოგადოებაში, თეატრებში გაყვანა. ისე ექტეოდნენ, როგორც ბავშვს და თვითონაც ბავშვად მიიჩნდა თავი. თუმცა უკვე პატარა აღარ იყო. ზოგჯერ ისეთი გრძნობა ეუფლებოდა ხოლმე, შეშინებული მალავდა და არავის უმხეღდა. ეს იყო სინაზის უზარმაზარი ტალღა რომელიმე საგნის ან არსების მიმართ. მალულად ეტრფოდა კიდეც კოლეტს, ჰპარავდა ცხვირსახოცს ან ზონარს სამახსოვროდ. ხშირად მასთან ყოფნისას ენა ჩაუვარდებოდა, ხმის ამოღებაც კი უჭირდა. თუ მოელოდა მას, ან იცოდა, რომ ნახავდა კოლეტს, კახკალებდა ბედნიერებისა და მოუთმენლობისაგან. დეკოლტიან კაბაში გამოწყობილი ლამაზი მამიდაშვილის გამოჩენისას თეატრის ლოჯიში, სადაც კოლეტა საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა, გრაცია მას კეთილ, მოკრძალებულ, საყვარულთ სავსე ღიმილს მიაგებებდა ხოლმე. სიყვარულისგან დნებოდა. როდესაც კოლეტი გამოელაპარაკებოდა. გრაციას თეთრი კაბა ეცვა, შავკვრემან მხრებზე მშვენიერი შავი თმა ეყარა. იგი გრძელი ხელთათმანის ბოლოებს კვნიტდა და უაზროდ ყოფდა თითებს მის ხერულში. წთელი სპექტაკლის განმავლობაში კოლეტს შესცქეროდა, ელოდა, იქნებ ერთი მეგობრულად გადმომხედოს, რათა ერთად გავიზიაროთ ეს სიამოვნებაო. თაფლისფერი ნათელი თვალებით თითქოს ასე ეუბნებოდა:

— მე თქვენ ძალიან მიყვარხართ.

ქალაქგარეთ, ტყეში სეირნობისას, კოლეტის ჩრდილად იყო ქცეული, ჯდებოდა მის ფერხთით, მორბოდა მის წინ, რომ მოეტეხა ტოტი, რომელიც შეი-

ქლებოდა კოლეტს გადაღობებოდა, აწყობდა ქვებს, რომ კოლეტს სუფთად გაე-
არა. საღამოს, ბაღში, როდესაც მცივანა კოლეტმა მოსასხამი სთხოვა, სიამოვნე-
ბისაგან შეჰკივლა კიდეც (თუმცა შემდეგ ძალიან დამორცხვა) — ბედნიერი
იყო, რომ სათაყვანო კოლეტი თითქოსდა მის ნაწილს მოიხაზამდა და მერე თავი-
სი სხეულის სურნელით გაჟღერებულ სამოსს დაუბრუნებდა.

ზოგი წიგნი, ზოგი პოეტის მალულად წაკითხული გვერდები (წასაკითხად
ჯერ ისევ საბავშვო წიგნებს აძლევდნენ ხოლმე) ტკბილად აღეღებოდა. ყველაზე
მეტად კი ზოგი მელოდია მოჰქმედებდა მასზე, თუმცა ყველა არწმუნებდა, რე-
სიკაში არაფერი გესმისო, მაგრამ ამ ჰანგების გაგონების დროს ფერს კარგავდა,
ღელვისგან ოფლი ასხამდა. არავინ იცოდა, რა ემართებოდა.

სხვა მხრივ კი ერთი დამკვირი, ქართვშუტა და ზარმაცი გოგონა იყო,
უყვარდა ტკბილეული და უმიზეზოდ წითლდებოდა. ხან მთელი საათების გან-
მელობაში ღუძდა, ხან გაუთავებლად ტიკტიკებდა. სულ პატარა საბაბით ტი-
როდა და იცინოდა. აქვითინებულ უცებ ბავშვურად აკისკისდებოდა ხოლმე,
სიცილი უყვარდა და სულ უმნიშვნელო რამ აციხებდა. არასოდეს ცდილა თავი
ქალად გამოეჩინა. ბავშვურად იქცეოდა და, რაც მთავარია, მეტად კეთილი იყო:
ვერაყის აწყენინებდა და თვითონაც ძალიან განიცდიდა, თუ ვინმე ოდნავ უქმე-
ხად მიმართავდა. მორიდებული გოგონა მულამ ჩრდილში რჩებოდა, მულამ
მზად იყო ჰყვარებოდა და სათაყვანოდ გაეხადა ის, რაც კარგად და მშვენიე-
რად მიაჩნდა. სხვებს იმ ღირსებებს მიაწერდა ხოლმე, რაც მათ სრულებითაც
არ გააჩნდათ.

ბავშვი ძალიან ჩამორჩენილი იყო და ოჯახში ხელი მიჰყვეს მის განათლე-
ბას. ასე დააწყებინეს მას კრისტოფთან მუსიკაში მეცადინეობა.

პირველად კრისტოფი მან თავისი მამიდის ერთ-ერთ საღამოზე ნახა, სადაც
მრავალრიცხოვანი საზოგადოება შეკრებილიყო. კრისტოფი საჭიროდ არ თელი-
და მსმენელთა გემოვნებას შეჰგუებოდა და გაუთავებლად უკრავდა ადაყიოს,
რითაც მთქნარება აუტეხა ხალხს. გეგონებოდათ, ეს-ეს არის გათავდათ, მელო-
დია კი ისევ თავიდან იწყებოდა და ბოლო აღარ უჩანდა. ქალბატონი სტივენსაი
უკვე ცახცახებდა მოუთმენლობისაგან. კოლეტი კი მშვენივრად ერთობოდა. იგი
ტკბებოდა ამ სასაცილო სიტუაციით და სულაც არ ემღეროდა კრისტოფს მსმე-
ნელებისადმი ასეთი გულგრილობისთვის. კოლეტი გრძნობდა კრისტოფის ძალას
და მოსწონდა ეს. ამავე დროს მართლაც სასაცილო მდგომარეობა შეიქმნა და
ამიტომაც თავს იკავებდა, მის დასაცავად გამოსულიყო. ამ მუსიკით მხოლოდ
ჰატარა გრაცია ჩანდა გულის სიღრმემდე აღეღებულა. იგი დაბრახია ერთ-
ერთ კუთხეში მიყუჟულიყო. ბოლოს, რომ მისი დაბნეულობა არ შეემჩნიათ,
გაიქცა. ესეც არ იყოს ვერ იტანდა, როდესაც კრისტოფს დასცინოდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ, ვახშაშზე, ქალბატონმა სტივენსმა გოგონას თან-
დასწრებით თქვა: გრაცია მუსიკაში კრისტოფს უნდა მივებაროთო. გოგონა ისე
აღელდა, კოვზი პირდაპირ წვენით სავსე მათლაფაში ჩაუვარდა. მთლად მოი-

თხვარა თვითონაც და კოლექტიც გაწუწა. კოლექტმა ჩაიბუზღუნა: ისა სჯობს, ჯერ მაგიდასთან ჯდომის წესები ვასწავლოთო. ამ შემთხვევაში კრისტოფი ვერაფერს უშეგლისო, მიუგო ქალბატონმა სტივენსმა. გრაცია კი ბედნიერი იყო, კრისტოფთან ერთად რომ გაუქავრდნენ.

შეუღღნენ გაკვეთილებს. გრაცია იქდა მთლად გაშეშებული, გრძნობაწარამეული, მკლავები ტანზე ჰქონდა მიკრული, განძრევასაც ვერ ბედავდა. ხოლო როდესაც კრისტოფმა ხელი დაადო მის პატარა ხელს. რათა კლავიშებზე თითების წყობა შეესწორებინა, კინაღამ გული წაუვიდა. სულ იმის შიშით კანკალებდა, კრისტოფთან ცუდად არ დაუქარაო. მთელი დღე იძენს მეცადინეობდა, რომ თავი ასტივდებოდა ხოლმე, ხოლო მოთმინებიდან გამოსული კოლექტი უყვიროდა. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო: კრისტოფის თანდასწრებით მაინც ცუდად უქრავდა. სუნთქვა ეკვროდა, თითები ხან უშემდებოდა, ხან ბამბასავით ურბილდებოდა. ხან სხვა კლავიშს წამოსდებდა ხელს, ხან უადგილო მახვილს გააკეთებდა. კრისტოფი უწყრებოდა, გაჯავრებული მიდიოდა. გრაცია კი სიკვდილს ნატრობდა.

კრისტოფი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მას, იგი მხოლოდ კოლექტით იყო გართული. გრაციას შურდა კოლექტისა და კრისტოფის მეგობრობა, და თუმცა ძალიან იტანჯებოდა, მისი პატარა, კეთილი გული მაინც შეპხაროდა მათ. გოგონა დარწმუნებული იყო, კოლექტი მჯობიაო და სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა თაყვანისცემა მიზნად. მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე იქამდე მივიდა, რომ ან კრისტოფი უნდა აერჩია, ან მამიდაშვილი, იგონო, რომ კრისტოფი ერჩია კოლექტს. ქალურმა ინტუციამ თვალი აუხილა: კრისტოფს კოლექტის კეკლუცობა და ლევი-კერის გულმოდგინე არმიყობა სტანჯავდა. ინსტიქტურად არ უყვარდა ლევი-კერი და მაშინვე შეიძულა, როგორც კი გაიგო, რომ კრისტოფსაც სძულდა იგი. გოგონა ვერ მიმხვდარიყო: რა სიამოვნებას პოულობდა კოლექტი, ერამანეთს რომ აქიშებდა მათ. გუნებაში კოლექტს მკაცრად ადანაშაულებდა. რამდენჯერმე წვრილმან ტყუილშიც დაიკირა და ამის გამო ერთბაშად შეიცვალა მისდამი. კოლექტმა ეს შეამჩნია, მაგრამ მიზეზს ვერ მოუხვდა და მის ბავშვურ კაპრიზს ნიაწერა. ერთი რამ კი ნათელი გახდა: კოლექტმა სრულიად დაკარგა გავლენა თავის პატარა ბიძაშვილზე. ერთმა სულ უმნიშვნელო შემთხვევამ ცხადად დაანახვა ეს. ერთ საღამოს, ბაღში რომ სეირნობდნენ, ოდნავ წამოიჩინელა. კოლექტმა კეკლუცი სინახით მოინდომა გრაცია მოსასხამის ქვეშ შეეფარებინა. რამდენიმე კვირის წინათ გოგონასთვის აუწყრელი ბედნაერება იქნებოდა გულში ჩაჰკვროდა საყვარელ ნამიდაშვილს, ახლა კი არ მიეკარა. ანდა კოლექტი პიესას რომ დაუწუნებდა ხოლმე, გრაცია თავს აღარ ანებებდა მის დაკვრას.

გოგონას მთელი ყურადღება კრისტოფისაკენ იყო. სიყვარულისთვის დაცხანსიათებელი გამკრიანობით გრძნობდა მის განცდებს და გამახვილებული ბავშვური ყურადღებით თავის წარმოდგენაში კიდევ უფრო აზვიადებდა მათ.

დარწმუნებული იყო, კრისტოფს კოლეტი უყვარსო, მაშინ როცა კრისტოფი მხოლოდ მომთხონენ ნეგობრად თვლიდა თავს. გრაცია ფიქრობდა: კრისტოფი უბედურიაო და თვითონაც თავს უბედურად გრძნობდა. საბრალო გოგონა, აბა ვინ იყო მისი მზრუნველობის დამფასებელი! პირიქით. კოლეტს გაცოფებამდე მიჰყავდა კრისტოფი, ეს კი გრაციას ჭეირად უჯღებოდა: ცუდ გუნებაზე დამდგარს მასწავლებელი ჭავრს თავის პატარა მოწაფეზე იყრიდა. დაკვირს დროს მოუთმენლად უთითებდა შეცდომებზე. ერთ დღეს კოლეტმა ჩვეულებრივზე მეტად გააღიზიანა კრისტოფი და ისიც ისეთი გამეტებით მიუჯდა პიანინოს, რომ გრაციას დაკვირის თავიც აღარ ჰქონდა, კრისტოფმა გაჭავრებით შეუსწორა რაღაც, მაშინ გრაცია მთლად დაიბნა, მასწავლებელი საშინლად განჩისხდა, შეანჯღრია მისი ხელი და უყვირა, შენგან არაფერი გამოვა, ისა სჯობს სადილეში აკეთოს, ან კერვას ნიჰყო ხელი, ბოლოს და ბოლოს ყველაფერი გააკეთე, რაც შეუძრს, როლანდ, ღვთის გულსათვის, მუსიკას დაანებეო თავი, რა საჭიროა, ხალხი შენი დაკვირით სტანჯო. უთხრა ეს კრისტოფმა, ადგა და შუა გაკვეთილზე მიატრევა გრაცია. საბრალო გოგონა ცრემლად დაიღვარა. ეს დამამცირებელი სიტყვები კი არ სწყყენია, იმიტომ ტიროდა, რომ მიუხედავად მთელი მონღოლებისა, ვერ ასიამოვნა მასწავლებელს და საკუთარი სისულელით გული დასწყვიტა საყვარელ კრისტოფს.

კიდევ უფრო მეტად იტანჯებოდა გრაცია მას შემდეგ, რაც კრისტოფმა სტივენსებთან სიარულს თავი გაანება. შინ დაბრუნება მოუხდა. სულით ჭანსადი გოგონა თავის სანუკვარ ოცნებებშიც ისეთი სადა და უშფოთველი იყო, რომ თავს უცხოვდ გრძნობდა ამ ქალაქში, ნევრასთენულ და მოუსვენარ ფრანგებს შორის. თანდათანობით ისწავლა მის ირგვლივ მყოფ ადამიანთა სწორი შეფასება, მაგრამ თავისი აზრების გამოთქმას ვერ ბედავდა, რადგან მორიდებული, კეთილი, თავმდაბალი და მამასავით რბილი ხასიათისა იყო. ყველაფერში ემორჩილებოდა გავლენიან მამიდას და მბრძანებლობას შეჩვეულ კოლეტს. ვერ ბედავდა მოხუცი მამისთვის თავის გრძელ მოსიყვარულე წერილებში მიეწერა: „ძალიან გთხოვ აქედან წამიყვანეო!“

მოხუცი მამასაც უნდოდა შვილის უკან წამოყვანა, მაგრამ ვერ ბედავდა, რადგან ქალბატონმა სტივენსმა მის მოკრძალებულ თხოვნაზე უპასუხა: გრაცია მშვენიერად გრძნობს თავს პარიზში, უკეთესად, ვიდრე შენთან და კარგი განათლება რომ მიიღოს, კიდევ აქ უნდა დარჩესო.

მაგრამ დადგა დრო, როდესაც პატარა სამხრეთელი გადასახლებას მეტად ველარ აიტანდა, იგი სინათლეს უნდა დაჰბრუნებოდა. ეს მოხდა კრისტოფის კონცერტის შედეგად. გრაცია იქ სტივენსებს მიჰყვა და ძალიან ატყინა გული ამ საზიზღარმა სანახაობამ, სადაც ბრბო მუსიკოსის შეურაცხყოფით იტყვევდა თავს. და ვანა მხოლოდ მუსიკოსის? კრისტოფი ხომ მის თვალში წარმოადგენდა ხელოვნების ხატს, განსახიერებას ყოველივე ღვთაებრივისას ამქვეყნად. გრაციას უნდოდა ეტირა, გაქცეულიყო, მაგრამ იძულებული გახდა დარჩენილიყო

და ბოლომდე მოესმინა ხმაური, სტვენა, კიჟინა, მამიდასთან დაბრუნებისას კი საწყყენი შენიშვნები და კოლეტის ლამაზი კისკისი. კოლეტმა გულშემატივრული საუბარი გაუბა კრისტოფზე ლიუსიენ ლევი-კერს. თავის ოთახში შეხიზნული გრაცია საწოლზე დაემხო და ის ღამე ტირილთ გაათენა. იგი ელაპარაკებოდა კრისტოფს, ამშვიდებდა, უნდოდა სიცოცხლე შეეწირა მისი ბედნიერებისთვის და საკუთარი უძლურებისგან სასოწარკვეთაში ვარდებოდა. ამის შემდეგ გრაციას პარიზში დარჩენა შეუძლებლად მიაჩნდა და მამას შეევედრა, შინ წამოყვანეო. იგი სწვრდა:

— აღარ შემიძლია აქ ყოფნა, კიდევ ცოტახანს რომ დამტოვო, მოკვდები. მამამისი სასწრაფოდ ჩამოვიდა და თუმცა ორივეს ძალიან გაუჭირდა მრისხანე მამიდის მოგერიება, მაინც თავისი გაიტანეს.

გრაცია დაუბრუნდა თავის მიძინებულ ბაღს. სიხარულით შეხვდა მშვენიერ ბუნებასა და საყვარელ პატარა არსებებს. პარიზიდან წამოჰყვა და კარგად დიდხანს გაჰყვა მის ნატკენ გულს ჩრდილოეთის სევდა. ნაიარვეი ნელ-ნელა უზორცდებოდა და მისი სევდაც ნისლივით დნებოდა მცუქნვარე მზეზე. მდელიოზე წამოწოლილი ბაყაყებისა და კრიკინების ჩვეულ ხმებს უსმენდა და ფიქრობდა თავის უბედურ კრისტოფზე. პიანინოსთან ახლა უფრო მეტ დროს ატარებდა, ვიდრე წინათ, და ოცნებობდა მეგობარზე, რომელიც თვითონვე აირჩია. ჩუმად ელაპარაკებოდა მას მთელი საათების განმავლობაში და ასე ეგონა, ერთ დღეს კარს შემოაღებს და შემოვაო. წერილიც ეისწერა კრისტოფს და ბევრი ყოყმანის შემდეგ ხელმოუწერლად გაუგზავნა. დილას ჩუმად ადგა და გულისფანქვალთ ჩააგდო ბართი სოფლის საფოსტო ყუთში, რომელიც მის სახლს სამი კილომეტრით იყო მოშორებული და დიდი მოხული ყანის მეორე მხარეს მდებარეობდა. ამ მშვენიერ, გულისამაჩუყებელ წერილში გრაცია კრისტოფს არწმუნებდა, მარტო არა ხარ, განხევდიო. შენზე ფიქრობენ, უყვარხარო და დენტოს შენს კარგად ყოფნას ევედრებიანო. ეს ბედუქულმართი წერილი საღდაც გააში დაიკარგა და კრისტოფს არასოდეს წაუკითხავს.

მერე კრისტოფის შორეული მეგობრის ცხოვრებაში ერთმანეთს მიჰყვა ერთნაირი და ნათელი დღეები. იტალიური სიმშვიდე, მყუდროება, წყნარი ბედნიერება და უხმო, კვრეტითი განწყობა დაუბრუნდა ჩუმ და უმანკო გულს, რომლის სიღრმეში ჩაუქრობელი ალივით კიაფობდა კრისტოფის ხსოვნა.

მაგრამ კრისტოფმა არა იცოდა რა ამ გულუბრყვილო სიყვარულისა, შორიდან რომ სდარაჯობდა მას და რომელმაც შენდევში დიდი ადგილი დაიკავა მის ცხოვრებაში. არც ის იცოდა, რომ სწორედ იმ კონცერტს, რომელზეც ასე შეურაცხყვეს, ჩისი მომავალი მეგობარი, გულითადი ამხანაგი ესწრებოდა, რომელიც მომავალში მხარდამხარ ივლიდა მასთან ერთად ხელჩაკიდებული.

კრისტოფი მარტო იყო. ეგონა, მარტო ვარო. თუმცა ეს ამბავი სულაც არ

ადარდებდა. აღარ გრძობდა იმ მწარე სევდას, გერმანიაში ყოფნისას რომ აწუხებდა. ახლა უფრო ძლიერი გახდა, უფრო დევაჟაცდა. იცოდა, ეს ასეც უნდა ყოფილიყო. გაიფანტა მისი ილუზიები პარიზზე: ადამიანები ყველგან ერთნაირები იყვნენ; უნდა შერაგებოდა ამ აზრს. ამოა იყო მისი ბავშვური ბრძოლა მთელი ქვეყნის წინააღმდეგ. აუღელვებლად უნდა შეენარჩუნებინა თავისი მეოჯა, სიმშვიდე, თორემ ბეთჰოვენის სიტყვებისა არ იყოს, „თუ სიცოცხლის მთელ ძალას ცხოვრებასთან ბრძოლას შევალევთ, რაღა დაგვრჩება იმისათვის, რაც ყველაზე კეთილშობილი და საუკეთესოა?“ საოცარი სიმძაფრით შეიცნო საკუთარი თავისა და თავისი ერის ბუნება, რომელსაც ადრე ასეთი მკაცრი მსჯავრი გამოუტანა. რაც უფრო იხუთებოდა პარიზის ატნოსფეროში, მით უფრო დიდი სურვილი ებადებოდა თავი შეეფარებინა სამშობლოსათვის, მისი პოეტებისა და მუსიკოსებისათვის. მათ ქმნილებებში მოეყარა თავი ყველაფერს, რაც კი რამ საუკეთესო იყო გერმანიაში. გადაფურცლავდა თუ არა მათ წიგნებს, ოთახი მზიური რაინის ხმაურითა და მიტოვებული მეგობრების მოსიყვარულე ღიმილით იკსებოდა.

რა უმადური იყო მათ მიმართ! რატომ უფრო ადრე არ დააფასა მათი წმინდა და კეთილი გულების საგანაჟური? სირცხვილით იგონებდა იმ უსამართლო და შეურაცხმყოფელ სიტყვებს, გერმანიაში ყოფნისას რომ მიმართავდა მათ. მაშინ იგი მხოლოდ მათ ნაკლს, უცნუ და ცერემონიულ მანერებს, ცრემლიან იდეალიზმს, სიყალბესა და სულმდაბლობას ზედავდა. ო, რა უმნიშვნელო იყო ყოველივე ეს მათი შესანიშნავი თვისებების გვერდით! როგორ შეეძლო ასეთი უღმობელი ყოფილიყო მათი სისუსტეებისადმი, ახლა მის თვალში უფრო მძალევებელს და ადამიანურს რომ ხდიდა მათ! წინანდელ შეხედულებათა საწინააღმდეგოდ, კრისტოფს ანჯერად სწორედ ისინი იზიდავდნენ, ვის მიმართაც იგი განსაკუთრებით უსამართლო იყო. რა არ თქვა შუბერტზე, ბახზე! ახლა კი რა სიახლოვეს გრძობდა მათთან. და აი, ეს ორი დიდი სული, რომელთა სასაცილო მხარეები ასე უმოწყალოდ ამხილა, გადმოხრილიყვნენ თავისიანებს მოწყვეტილი კრისტოფისაკენ და კეთილი ღიმილით ეუბნებოდნენ:

— გამხნევი, ძმაო, ჩვენ აჟ ვართ, უბედურების მიძიმე ტვირთი ბედმა ჩვენც გვარგუნა. არა უშავს რა, ყველაფრის დაძლევა შეიძლება...

მას ესმოდა იოჰან-სებასტიან ბახის ოკეანესავით უსაზღვრო სულას გრგვინვა: ქარიშხალი, გრივალი, ღრუბელივით წარმავალი სიცოცხლე, სინარულითა და ტკივილით მთვრალი ხალხები და მათ მაღლა, მშვიდობის უფლისაწული — ლმობიერი ქრისტე. ღამის დარაჯთა ყვირილით გაღვიძებული ქალაქები საზეიმო შეძახილებით ეგებებიან ღვთაებრივ საქმროს, რომლის ფეხის წინა ქვეყნიერებას აზანზარებს; აზრების, გრძნობების, მუსიკალური ფორმების, გამორქული ცხოვრების, შექსპირისეული პალუცინაციების, სავონაროლასეული წინასწარმეტყველების, პასტორალური, ეპიკური, აპოკალიპსური ხილვებიანი ეს საოცარი წყარო უბრალო, ტანმორჩილ, ტუჩრინგიელ მეგალობელში იყო მო-

ძწყვდეული, მსუქანი დაბაბი, აწეული წარბები და დანაოკებულ ქუთუთოებს ქვეშ მბრწყინავი პატარა თვალები რომ ჰქონდა... რა ნათლად ხედავდა მას კრისტოფი! მოღუშულს, სიცოცხლით სავსეს, ცოტათი სასაცილოს, თავი მუდამ ალგორიებით, სიმბოლოებით, გოთიკითა და როკოკოთი რომ ჰქონდა გატენილი: ხან განრისხებულს, ჯიუტს, ხანაც მშვიდს, ცხოვრების მოყვარულს, სიკვდილს მონატრებულს... იგი მას ხედავდა თავის სკოლაში — გენიალურ პე-ჯანტს კუქუციან, ხეპრე, ჩახრინწულხმებიან, მათხოვარა და ტილიან მოწაფეებს შორის. ამ არამზადებთან კამათობდა, ჩხუბობდა მათთან, როგორც უბრალო გუშა, ერთ-ერთმა კიდევაც ვალახა თავისი მასწავლებელი... აი, იგი ოჯახშია, შვილებით გარშემორტყმული. სულ ოცდაერთი ჰყავდა, აქედან ცამეტი გარდაიცვალა, ერთი ილიოტი იყო. დანარჩენები კი კარგი მუსიკოსები დადგნენ და შამას პატარა კონცერტებს უმართავდნენ... აქ ავადმყოფობა, სიკვდილი, ცხარე მებლა-მემოხლა, გაჭირვება, შეუცნობელი გენია, — მაღლა კი მისი მუსიკა, მისი რწმენა, შვება და სინათლე. ეს დიდი სიხარული განჰკვირტა, წინასწარ შეიცნო, ინატრა და დაეუფლა... ღვთაება, ღვთაებრივი სუნთქვა ცეცხლაღვიძრებოდა მის ძვლებს, ყალყზე უყენებდა თმას, ამ ღვთაებრივ სუნთქვას ანთხევდა პირიდან. ო, ძალა, ძალა! რა ნეტარია მისი ქუხილი!

კრისტოფი დაეწაფა და დიდი ყლუპებით სვამდა ამ ძალას, იგი გრძნობდა მაღლს ამ ძველამოსილი მუსიკისა, რომლის სათავე გერმანულ სულეებში იყო. რა უშავს, ზოგჯერ თუ არც ისე დახვეწილი და ამალღებულია. მთავარია, რომ იგი არსებობს და წყალსავსე მდინარეებად მოედინება. საფრანგეთში მუსიკას პასტერის ფილტრებში ატარებენ, გულმოდგინედ დაცობილ კურკულში წვეთ-წვეთად აგროვებენ. ჰოდა, ამ უგემურ წყალს შეჩვეული ფრანგები პირს იბრუნებენ გერმანული ზღვა მუსიკის წინაშე. გერმანელ გენიოსთა შეცდომებს ჩაიჩნია!

— რა უბადრუკები არიან, საბრალოები! — ფიქრობდა კრისტოფი და აღარც ახსოვდა, რომ ოდესღაც თავადაც ასეთი სასაცილო იყო.

— შეცდომებს პოულობენ ბეთჰოვენთან და ვაგნერთან! უნაკლო გენიოსება მოინდომეს. თითქოს მძვინვარე ქარიშხალი იმაზე ზრუნავდეს, რომ არ დაარღვიოს დაკანონებული წესრიგი!

კრისტოფი მიაბიჯებდა პარიზის ქუჩებში და საკუთარი ძალა ბედნიერების გრძნობით ავსებდა. მით უკეთესი, თუ ვერაინ გაუგო! ასე უფრო თავისუფლად იქნება. იმისათვის, რომ შექმნას სამყარო, როგორც ეს გენიოსს შეჰფერის, სამყარო, სადაც ყველაფერი შინაგანი კანონების მიხედვით ბუნებრივად შეარწყმული ერთმანეთთან, საჭიროა მთლიანად მოიქცეს ამ სამყაროში. ნამდვილი ზელოვანი არასოდეს არ არის მარტოკა. ყველაზე უფრო სამიშია დაინახო შენი აზრი საჩქეში, რომელიც მას ამახინჯებს და აკნინებს. სანამ არ დაამთავრებ, სხვას არ უნდა გაანდო ის, რასაც აკეთებ, თორემ ვერ გაბედავ საქმის ბოლომდე

მიყვანას, ყველაფერი გაქრება და ხელში სხვისი უსუსური იღუა შევრჩება მხოლოდ.

ახლა, როდესაც კრისტოფს არაფერი უშლიდა მთლიანად მისცემოდა თავის ოცნებებს. ისინი შადრევანებით ჩქეფდნენ განჯლილი გზის ყოველი ქვიდან. ისინი სულის ყოველი კუნჭულიდან. იგი ეწეოდა მეოცნებე აღამიანის ცხოვრებას. ყველაფერ, რასაც კი ისმენდა და ხედავდა, მასში იწვევდა ნახულისა და გაგონილისაგან სრულიად განსხვავებულ არსებებსა და საგნებს. საკმარისი იყო ეტოცხლა და მის ირგვლივ მისი გმირებიც ეტოცხლებოდნენ. მათი გრძნობები თავისით ეუფლებოდნენ მას. გამვლელთა თვალები, ქარის მიერ მოტანილი ხმები, მდელოზე მოფენილი სინათლე, ლუქსემბურგის ბაღში მოჭიკჭიკე ჩიტები, ნონასტრის ზარები, შორს რომ რეკდნენ, ბაცი ცა, ცის პატარა ნაწილი მისი ოთახიდან რომ მოჩანდა, დღის სხვადასხვა საათისთვის დამახასიათებელი ხმაური, — ყოველივე ამას კრისტოფი თავისი ოცნებით წარმოშობილ გმირთა შეგრძნებებით სწვდებოდა. იგი ბედნიერი იყო.

მისი მდგომარეობა კი ჩვეულებრივზე უფრო მძიმე იყო; მან დაკარგა ის რამდენიმე გაკვეთილი, რომელიც ერთადერთ მის საარსებო წყაროს წარმოადგენდა. სექტემბერი იდგა. პარიზელები ქალაქგარეთ გაკრფილიყვნენ. მოწაფეებიც შემოეცალა. კრისტოფს ერთი მოწაფელა შერჩა. ეს იყო ორმოცი წლის ეკვიანი და ქარაფშუტა ინჟინერი. როდესაც ამოეჩემებინა: გინდა თუ არა, ვიოლინოზე დაკვრა უნდა ვისწავლო და მუსიკოსი გავხდეთ. კრისტოფი ვიოლინოზე კარგად ვერ უკრავდა, თუმცა თავის მოწაფეზე მეტი კი იცოდა. რამდენიმე ხნის განმავლობაში სამ-სამ გაკვეთილს უტარებდა. საათში ორ ფრანკს ღებულობდა. მაგრამ თვენახევარში ინჟინერი დაიღალა და უეცრად აღმოაჩინა, რომ მისი მთავარი მოწოდება ფერწერა იყო. იმ დღეს, როდესაც მან კრისტოფს თავისი აღმოჩენის ამბავი შეატყობინა, კრისტოფმა ბევრი იცინა, სიცილით რომ გული იჭრა, დათვალა თავისი შემოსავალი. ჯიბეში უკანასკნელ გაკვეთილებში მიღებული თორმეტი ფრანკი ედო. ამ ამბავმა იგი სულაც არ ააღელვა. თავისთვის გადაწყვიტა: ახლა კი მართლაც საჭიროა არსებობისათვის სხვა საშუალება გააოვნახო, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ისევ გამომცემლობებში უნდა დაეწყო სირბილი. სახალისო აქ არაფერი იყო. იფიქრა: წინასწარ გუნების გაფუჭება არ ღირსო. მშვენიერი დარი იდგა და კრისტოფი მეღონისკენ გაემართა.

სიარულის მაღა გავლვიდა. სიარული მას მუსიკის ბარაქით ავსებდა, როგორც თავლი სკას. იგი შევხაროდა თავისი ფუტკრების ოქროს ბზუილს. ჩვეულებრივ ეს იყო მოდულაციებით სავსე მუსიკა, მხტუნავი რიტმები მოჩვენებებით რომ სულ თან სდევდნენ კრისტოფს... აბა სცადეთ და შექმენით რამე, როდესაც გაუნძრევლად ხართ გამოკეტილი ოთხ კედელს შუა. ამ პარიზელებით უსიცოცხლო და დახვეწილი ჰარმონიების შეწებებას თუ შეძლებთ მხოლოდ.

სიარულით რომ დაიღალა, ტყეში წამოწვა. ხეებს ფოთოლი ნახევრად გასცივდა. მუქ ცას იასამნის ფერი დაჰკრავდა. კრისტოფი გაირინდა, ოცნებამ

წაიღო მალე მისი ოცნებები შეაფერადა, სხივი მოჰფინა იმ ნაზბა შუქმა, ოქ-
ცომბრის ღრუბლიანი ციდან რომ გამოკრთის ხოლმე. სისხლი უჩქროლავდა.
აზრების გაშმაგებულმა დინებამ გაიტაცა. ისინი მოედინებოდნენ მისკენ ყოვე-
ლი მხრიდან: ძველი და ახალი სამყაროები, ერთმანეთს რომ დასჭიდებოდნენ,
წაჩსულ სულთა აჩრდილები — შემოჩვეული სტუმრები — ბებერა პარაზიტე-
ნივით რომ სახლობდნენ მასში, ისევე, როგორც ადამიანები ქალაქში. ახსენდე-
ბოდა გოტფრიდის სიტყვა, წარჩოთქმული მეღვინის საფლავთან. კრისტოფი
ჰგავდა მიცვალებულებით სავსე გაცოცხლებულ აკლდამას, რომელშიც მისი
უცნობი წინაპრები მოძრაობდნენ. მას ესმოდა მათი ხმები. ეს ახმიანებული
ორღანო ასწლიანი ტყისა, დანტეს ტყის მსგავსად, სავსე იყო საშინელი მხეცე-
ბით. მას აღარ ეშინოდა მათი, როგორც ყრმობის დროს. ახლა თავის თავში
ბატონს — თავის ნებისყოფას გრძნობდა. ბავშვური აღტაცებით ატკაცუნებდა
შოლტს. რათა აელრიალებინა მხეცეები და უკეთ დამტკბარიყო საკუთარი სამხე-
ცის სიმდიდრით. არა, კრისტოფი არ იყო მარტო და არც არასოდეს იქნებოდა
მარტო, იგი წარმოადგენდა მთელ ჯაზს მხიარული და ჯანსაღი კრაფტების მო-
დგმისა. მტრული პარიზის, ფრანგი ერის წინააღმდეგ გამოჰყავდა მთელი ერი;
ბრძოლა თანაბარი იყო.

მან მიატოვა თავისი ღარიბული ოთახი, რომელიც ახლა მეტად ძვირი უჭ-
დებოდა და მონმარტრის უბანში პატარა მანსარდა დაიქირავა. ამ მანსარდას
ერთადერთი ღირსება ჰქონდა: ჰყვარებდა იყო სავსე, მუდამ გამჟღავნი ქარი უბერ-
რავდა და კრისტოფიც თავისუფლად სუნთქავდა. ფანჯრიდან მოჩანდა საკვამუ-
რებით დასერილი პარიზის სახურავები. გადაბარგებას დიდი დრო არ დასჭირ-
ვებია. ერთი ორთვალა მშვენივრად იყო. კრისტოფი მას თვითონ მიაგორებდა.
მთელ მის ავლადიდებას წარმოადგენდა ერთი ძველი ჩემოდანი და კრისტოფი-
სთვის ყველაზე ძვირფასი ნივთი — ბეთჰოვენის სახის ტიფთარი, შემდეგში
რომ ასე განრავლდა და გაიფლდა. კრისტოფმა იგი უდიდესი სიფრთხილით შე-
ფუთა, ვით ხელოვნების უფირფრასესი ნიმუში. ეს ქანდაკება — კრისტოფის
განუყრელი მეგობარი, მისი მორალური ბარომეტრი. — ერთადერთ კუნძულს
წარმოადგენდა მისთვის მთელ პარიზში. იგი თვით კრისტოფზე უკეთ ასახავდა
მისი სულის სულ უმნიშვნელო მოძრაობას. მის დაფარულ აზრებს: ხან ღრუბ-
ლიან ცას, ხან გრძნობათა ქარიშხალს, ხანაც ურყევ სიმშვიდეს.

კრისტოფი იძულებული გახდა მოეკლო ჰამისთვის. ჰამდა ერთხელ, დღის
პირველ საათზე. იყიდა ერთი მომსხო ძეხვი და ფანჯარაზე ჩამოკიდა. ძეხვი,
პურის კარგა მოზრდილი ნაჭერი და თავისი ხელით მომზადებული ყავა ღმერ-
ოების საუზმეს არ ჩამოუვარდებოდა, თუმცა კრისტოფი ორ ამდენსაც სიამოვნ-
ებით გეახლებოდათ. თავის თავზე ჯავრობდა, რა კარგი მადა მაქვსო. მკაცრად
კიცხავდა თავს, ღორმუცელა ვარ, მხოლოდ მუცლის ამოყორვავზე ვფიქრობო.
მეგრამ მუცელი სადღა ჰქონდა, მეძებარი ძალღივით გამხდარი იყო. გონება
მუდამ ნათელი ჰქონდა და კაჟივით მაგარი აგებულებისა იყო.

მომავალი სულაც არ ანალღებდა. ხვალისთვის თუ ჰქონდა ფული, თავს აღარ იწუხებდა. ბოლოს, ყველაფერი. რომ გამოელია, გადაწყვიტა გამომცემლობების შემოვლა დაეწყო. მაგრამ სამუშაო ვერსად იშოვა. ხელეცარიელი შინ ბრუნდებოდა, როდესაც იმ წესიკალურ მაღაზიას ჩაუბარა, სადაც ერთხელ სილგენ კონმა დანიელ ჰეხტი გააცნო. კრისტოფი მაღაზიაში შევიდა; არც კი გახსენებია, რომ მაღაზიის პატრონთან უსიამოვნო ლაპარაკი მოუვიდა. პირველი, ვინც თვალში მოხვდა, სწორედ ჰეხტი იყო. უკან გამობრუნება გადაწყვიტა, მაგრამ გვიანდა იყო: ჰეხტმა უკვე დაინახა. კრისტოფმა არ ისურვა უკან დახევა და პირდაპირ მისკენ გაემართა. წინასწარ არც იცოდა რას ეტყოდა, მაგრამ მზად იყო, თუ საჭირო იქნებოდა, თავი მედიდურად დაეჭირა. დარწმუნებული იყო, რომ ჰეხტი არ დაზოგავდა და მის დამცირებას შეეცდებოდა, მაგრამ მოტყუვდა. ჰეხტმა ცივად გაუწოდა ხელი, ზრდილობის გულისთვის მოიკითხა მისი ჯანმრთელობა და, არც კი დაელოდა მის თხოვნას, ისე ანიშნა კაბინეტის კარზე. თვითონ კი გვერდზე გადაგა, რომ კრისტოფისთვის გზა დაეთმო. გულის სიღრმეში ჰეხტი გაახარა გერმანელის მოსვლამ. მართალია, წინასწარ იცოდა, კრისტოფი დაბრუნდებოდა, მაგრამ უკვე აღარ ელოდა მას. გამომცემელი დიდი უურადლებით აღეცნებდა თვალყურს კრისტოფს და არ ტოვებდა შემთხვევას, მის მუსიკას გასცნობოდა. დაეწყო იმ საბედისწერო კონცერტსაც, „დავითი“ რომ შესარულეს. ჰეხტი იმდენად მიჩვეული იყო, არაფრად ჩაეგლო მსმენელთა რეაქცია, რომ დარბაზის მტრულმა შეხვედრამ სრულებით არ გააკვირვა, იმ უმეტეს, რომ ნათლად იგრძნო ნაწარმოების მთელი სიმშვენიერე. მთელ პარიზში მასზე უკეთ ვერაინ შეაფასებდა კრისტოფის მხატვრულ თვითმყოფადობას. მაგრამ ამაზე კრინტიც არ დაძრა; და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ნაწყენი იყო, კრისტოფი უზრდელად მომეპყრო, უბრალოდ ვერ ახერხებდა, სხვებისთვის ესიამოვნებინა. ასეთი ხასიათი ჰქონდა. გულით უნდოდა კრისტოფს დახმარებოდა, მაგრამ ამისთვის თითქაც არ გაანძრევდა. ელოდა, კრისტოფი თვითონ მოვიდეს და მთხოვოსო. აქლა კ: როდესაც გერმანელი მასთან იყო, არ ისარგებლა შემთხვევით. რათა დიდსულოვნად წაეშალა წარსულში მათი უთანხმოებების კვალი და მუსიკოსისთვის დამამცირებელი ნაბიჯი თავიდან აეცილებინა. ამის მაგივრად უარი ვერ თქვა სიამოვნებაზე, ბოლომდე მოესმინა თხოვნა. თანაც გადაწყვიტა, ერთხელ მაინც გაეკეთებინებინა ის სამუშაო, რომელზეც კრისტოფს ადრე უარი ჰქონდა ნათქვამი. მეორე დღისთვის დაავალა მანდოლინისა და გიტარისთვის ორმოცდაათი ფურცლის ტრანსპონირება. ამის შემდეგ კი, კმაყოფილი იმით, რომ კრისტოფი ნოვარჯულეო, უფრო სასიამოვნო სამუშაოსაც პოულობდა მისთვის. თუმცა ყოველთვის ისე უგუნებოდ აკეთებდა ამას, შეუძლებელი იყო, ადამიანი მისი მადლიერი დარჩენილიყო. უცდურები გაქროვება რომ არა, კრისტოფი არც მივიდოდა ჰეხტთან. და მაინც გამომცემლისაგან წყალობის მიღებას, ამჯობინებდა ასეთი სამუშაოთი ერჩინა თავი, რა გამაღიზიანებელიც არ უნდა ყოფილიყო იგი. ჰეხტმა ენა ერთხელ ფულიც შესთავა-

ზა. რასაკვირველია. განზრახვა კეთილი ჰქონდა, მაგრამ კრისტოფმა იგრძნო, რომ მოხუცს მისი დამცირება სურდა. კრისტოფი იძულებული გახდა დასთანხმებოდა მის პირობებს და გულს იმით იმშვიდებდა, რომ მოწყალეებაზე უარს ამბობდა. მუშაობა არ აშინებდა. იგი ვალში არ რჩებოდა ჰესტს. ამით არ ჰგავდა ეაგნერს, მათხოვრობას რომ თავისი ხელოვნებით ამართლებდა. კრისტოფი თავის სულს ხელოვნებაზე მალა აყენებდა. ლუკმა, რომელიც ოფლით არ ჰქონდა ნაპოვებელი, ყელში არ გადაუვიდოდა. ერთ დღეს მალაზიაში დავალება მიიტანა. ამ დავალების შესასრულებლად ღამე თეთრად გაათენა. ჰესტი ამ დროს საუზმობდა. მან შეამჩნია, რომ კრისტოფს სახეზე ფერი არ ედო და უნებლიეთ კერძისკენ ეპარებოდა თვალი, დარწმუნდა: ალბათ არაფერი უჭამიაო და მაგიდასთან მიიპატიჟა. ჩანდა, კეთილი გრძნობით ეპატივებოდა, მაგრამ ისე ნათლად დანახვა სტუმარს, შენი გაკვირება არ გამოიპარებიაო, მისი მიპატივება მოწყალეებას უფრო ჰგავდა. კრისტოფი, შინშილითაც რომ მომკვდარიყო, მაინც უარს ეტყოდა. მაგიდას მიუჯდა, რადგან ჰესტს მასთან სალაპარაკო ჰქონდა, მაგრამ პირი არაფერს არ დააკარა. მასპინძელს განუცხადა: უკვე ვისაუზმეო, თუმცა კუჭი რომელით ეწოდა.

დიდი სიამოვნებით მიანებებდა თავს ჰესტს, მაგრამ სხვა გამომცემლები მასზე უარესნი გამოდგნენ. იყვნენ კიდევ მდიდარი დილეტანტები, რომელნიც ძლივს შეაქოწივებდნენ ხოლმე მუსიკალური ფრაზის ნაფლეთს, მის ჩაწერას კი ვეღარ ახერხებდნენ. იბარებდნენ კრისტოფს, წაუძღვებდნენ ამ ნაცოდვილარ მელოდის და თან ეკითხებოდნენ:

— რას იტყვით, ხომ დიდებულია?

შერე თემას გასავრცობად (ე. ი. მილიანად დასაწერად) აძლევდნენ და ნაწარმოები მათი სახელით გამოდიოდა რომელიმე მსხვილ გამომცემელთან. სავსებით დარწმუნებული იყვნენ, რომ ყველაფერი მართლაც თავად შექმნეს. კრისტოფმა ერთი ასეთი „კომპოზიტორი“ — წარჩინებული წარმოშობის, მაღალ-მადალი, მკვირცხლი კაცი გაიგნო. იგი კრისტოფს სულ „ჩემო კარგოს“ ეძახდა. ხან მკლავში ჩააფრინებოდა, ხან თავისი დაუოკებელი ენთუზიაზმით აბრუებდა, ხან რაღაცას ჩაახიბობებდა, ბოლოს უწმაწურ და სულელურ ლაპარაკს მოჰყვა: „ო, ბეთჰოვენი, ვერდენი, ოფენბახი, ივებტ გილბერი“. იგი ამუშავებდა კრისტოფს, ფულის გადახდა კი ავიწყლებოდა. ამის ნაცვლად მაგრად ართმევდა ხელს და საუზმეზე ეპატივებოდა. ბოლოს ოცი ფრანკი გაუგზავნა. კრისტოფს სისულელე მოუვიდა, სიამოვნება ვერ მოიკლო, რომ ფული უკანვე დაუბრუნებდა. იმ დღეს ოცი სუც არ ეგდო ჯიბეში, თან ოცდახუთ სანტიმად მარკა უნდა ეკიდა: დედასთან წერილი ჰქონდა მისაწერი. ლუიზას დღეობა იყო და რაღაც უნდა დაეჯდომოდა, ეს დღე უნდა აღენიშნა. დედა, ალბათ, მოუთმენლად ელოდა შვილის წერილს და კრისტოფსაც არ უნდოდა მისი გაწბილება. ამ ბოლო დროს ლუიზა უფრო ხშირად უგზავნიდა ბრძალებს, თუმცა წერა ქალიან უპირდა. ეტყობოდა, მარტობა სტანჯავდა, მაგრამ კრისტოფთან პა-

ოიხში ჩასვლა ვერ გადაეწყვიტა, რადგან ამას ვერ ბედავდა. თავის სახლს, თავის ეკლესიას, თავის პატარა ქალაქს მიჩვეულს, მოგზაურობა შიშს ჰგვირბოდა... რომ წასულიყო კიდეც, კრისტოფი მას ვერ შეინახავდა, რადგან ზოგჯერ თავისთვისაც არ ჰქონდა საკმელი.

დიდად ასიამოვნა ლორხენის გამოგზავნილმა ამანათმა. ამ ახალგაზრდა გლეხი ქალის გულისთვის ზომიერად ერთხებოდა ჩნებები მოუვიდა პრუსიელ ჯარისკაცებთან, ლორხენი სწერდა, ვაფხვავდა, ატყობინებდა, დედამედი კარგად არისო და უგზავნიდა ვაშლითა და ორცხობილით სახვად კალათს, პატივი დამდე და მიიღებოდა. ამანათმა სწორედ სულზე მოუსწრო. კრისტოფს იმ დღეს დიდი მარტვა ჰქონდა გამოცხადებული. ფანჯარასთან ჩამოკიდებული ძეხვისგან ბაწარილა დარჩენილიყო. კრისტოფი თავის თავს იმ წმინდა განდევილს აღარებდა, ვისთვისაც ყვავს კლდეზე საკვები მიჰქონდა. მაგრამ ყვავს, ეტყობა, უჭირდა ყველა განდევილის გამოკვება, რადგან მეტად არ დაბრუნებულა.

ყველა ამ უსიამოვნების მიუხედავად, კრისტოფი მხნობას არ კარგავდა. საცვალს პირაპირად ჯამში რეცხავდა, ფეხსაცმელებს იზრავდა და თან შამპრით უსტვენდა. თავს ბერლიონის სიტყვებით იწვევებდა: „მალა დავდგეთ ცხოვრების გაქირვებაზე და ხალისიანად წამოვიწყოთ ცნობილი მხიარული რეჟიმი „Dies irae“. ხანდახან თვითონაც ღიღინებდა ამ მოტივს. მაგრამ შუა სიმღერაში სიცილი წასკვებოდა ზოგჯერ და მისი ხარხარი შეურაცხყოფილ მეზობლების ყურსაც სწვდებოდა.

მეცად, უბიწო ცხოვრებას ეწეოდა. სწორად უთქვამთ: „არსიყოფა მდიდარი და უსაქმური კაცის საქმეა“. გაქირვება, ლუქმპატრისათვის ყოველდღიური პროლა, მეტისმეტი თავდაპყრა და შემოქმედებითი ციებ-ცხელება არ უტოვებდა. კრისტოფს არც ღროს და არც სურვილს, სიამოვნებაზე რომ ეფიქრა. სიამოვნებისადმი არა მარტო გულგრილი იყო, პარიზის საწინააღმდეგოდ, ერთგვარ ასკეტისმსავე მიეცა. იგი ღრმად გრანობდა ასეთი უწიკვლო ცხოვრების აუცილებლობას. ყველაფერი მდებარეობდა და უსუფთაო ზიზღს ჰგვირბოდა. ვნებათაღელვა მისთვის უცხო როდი იყო, სულაც არა: მაგრამ მისი ვნებაში უმანკო იყო მშინაც, როდესაც მათ ნებდებოდა. ამ ღროს სიამოვნებას კი არ ეძიებდა მას უნდოდა შეეგებნო ყოფიერების სიმართლე და სრული თავდავიწყების სიტუაცია. ხოლო როცა ხედავდა, რომ ტყუულებოდა, გაშმაგებით იბრუნებდა პირს. ავბორცობა მის თვალში განიჩიოდა ყველა დანარჩენი ცოდვისაგან. ეს იყო ჰეშმარტად დიდი ცოდვა, ცხოვრების საწყისებს რომ ბილწავს. ამის გაგება არ გაუჭირდებოდა მათ, ვისშიც ძველი ქრისტიანული ფუძე ჯერ კიდევ არ არის მთლიანად დამარხული უცხოური ნაყარის ქვეშ, მათ, ვინც ჯერ კიდევ გრანობდა თავს იმ ძლევამოსილი თაობის ჩამომავლებად. გმირული დანაკარგის ფასად რომ შექმნეს დასავლეთის ცივილიზაცია. კრისტოფი ზიზღით შეჰყურებდა კოსმოპოლიტურ საზოგადოებას, რომლის ერთადერთი მიზანი და credo სიამოვნება იყო. რა სჯობია ეძიო ბედნიერება, მინიჭო იგი ადამიანებს.

ეპროლო დამამცირებელ, პესიმისტურ ცრურწმენებს, ბარბაროსულმა ქრისტიანობამ თავისი ბატონობის ოცი საუკუნის მანძილზე რომ მოახვია თავს კაცობრიობას. მაგრამ უნდა იბრძოლო დიდულოვანი რწმენისათვის, რომელიც სხვის სიკეთეზე ზრუნავს. ამის მაგივრად კი რა არის? ბეჩაიე ეგოიზმი, ერთი მუქა დროისპტარებლები ცდილობენ „მიანიჭონ“ თავის გრძნობებს სიამოვნების უდიდესი ზომა. რაც შეიძლება ნაკლები რისკით. თანაც სულ ადვილად ეგუებიან იმ აზრს, რომ დანარჩენები ამით იტანჯებიან. მათი სალონური სოციალიზმი ზომ ყველასთვის ცნობილია!... მაგრამ პირველ რიგში თვითონვე იციან, რომ მათი ავხორცული მოძღვრება მხოლოდ „მსუქნებისათვის“, მაძღარ „რჩეულთათვის“ არის შექმნილი, ღარიბთათვის კი იგი უხამია.

„სიაბოუნება — მდიდართა საქმეა“.

კრისტოფი არ იყო მდიდარი და არც შეეძლო, მდიდარი გამხდარიყო. რამდენიმე გროსს თუ იშოვიდა, ჩქარობდა, მაშინვე მუსიკაში დაეხარჯა: სასმელსა-საქმელს იკლებდა და კონცერტზე მიდიოდა. ბილეთს ყიდულობდა სულ ზემოთ, შატლეს თეატრის უკანასკნელ რიგებში და მუსიკით ტყებოდა. მუსიკა ვახშმისა და საყვარლის მაგივრობას უწევდა. იმდენად მოწყურებული იყო ბედნიერებას, დამტკბარიყო მუსიკით, რომ ორკესტრის ნაკლოვანება ხელს არ უშლიდა. ორი-სამი საათის განმავლობაში გაუნრევლად იჯდა და ნეტარებდა. ყალბი ბეგრა ან უეგმოვნო შესრულება მასში მხოლოდ მოწყალე ღმირს იწვევდა. კრიტიკულ შენიშვნებს გარეთ ტოვებდა. აქ იმისათვის მოდიოდა, რომ ჰყვარებოდა და არა განესაჯა. ირგვლივ მასავით უძრავი თვალმილულული აღამიანები ოცნების ამ უზარმაზარ ნიღვარს მინდობოდნენ. ეჩვენებოდა, რომ სიბნელეში მიყუყული ხალხი წააგავდა უზარმაზარ, მოკუნტულ კატას, თავს განცხრომიითა და სისხლიანი პალუცინაციებით რომ ირთობს. ოქროს ფერით გაყენთილ ბინდში იხატებოდა იღუმალეებით მოცული სახეები, რომელთა უცხო მშვენება და უჩინარი აგზნება კრისტოფის გულსა და თვალს ატყვევებდა. იგი მიილტვოდა მათკენ, აღიქვამდა მუსიკას მათი გრძნობებით და ბოლოს, მთელი არსებითა და სულით მათ უერთდებოდა. ხდებოდა ისეც, რომ ერთ-ერთი მათგანი ამჩნევდა მას და მაშინ კონცერტის განმავლობაში მათ შორის ჩნდებოდა ის ბუნდოვანი სიმპათია, გულის სიღრმემდე რომ აღწევს და მაშინვე რომ ქრება, როგორც კი წყდება ჰანგები, რადგან ირღვევა სულების შემაერთებელი ქსოვილი. ეს კარგადაა ცნობილი მათთვის, ვისაც მუსიკა უყვარს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის, რადგან მათ უფრო მეტად შესწევთ თავდავიწყების უნარი. მუსიკის არსი თვით სიყვარულია, მისი სრული აღქმა არ შეიძლება, თუ არა სხვა არსებთან ერთად. ამიტომ კონცერტზე თვალებით ინსტიტუტურად ეძებ დარბაზში მეგობარს, რომ გაუზიარო სიხარული, რომელსაც ერთის გული ვერ იტევს.

ამ ხანმოკლე მეგობრებს შორის, რომელთაც კრისტოფი ირჩევდა, რომ

უკეთ დამტკბარიყო მუსიკით, განსაკუთრებით ერთი სახე იზიდავდა. იგი მას ყოველ კონცერტზე ხედავდა. ახალგაზრდა ქალს ეტყობოდა, კარგად ვერ ერკვეოდა მუსიკაში, მაგრამ თავდავიწყებით უყვარდა ის. გვერდიდან პატარა, ლამაზ ცხიველს ჰკავდა. მოკლე და სწორი ცხვირი არ სცილდებოდა ოდნავ წამოწეული ტუჩებისა და ნახად მომრგვალებული ნიკაპის ხახს. უდარდელ სახე ჰქონდა, მოშვილდული, წვრილი წარბები და ბაცი ფერის თვალები. მისი გარეგნული სამშვიდის ნიღაბს იქით სიხარული და სიცილი იმალებოდა. ამ ზნედაცემულ, პარიზელ მუშა გოგონებს ყველაზე მეტად შემორჩენიათ ის აწ გამჭრალი დიდებული სიმშვიდე, ანტაქურ სკულპტურებსა და რაფაელის სახეებს რომ ახასიათებს. მაგრამ მათ ცხოვრებაში ყველაფერი წამიერია. სიამოვნება პირველად იღვიძებს მათ სულში, ჰქნობა კი სულ ახლოა. სამაგიეროდ, ერთი ბედნიერი საათი ხომ მაინც ექნებათ მოსაგონარი.

კრისტოფი ტებებოდა მისი ცქერით — ლამაზი სახე გულს უხარებდა, სიამოვნებას ანიჭებდა, მაგრამ არავითარ სურვილს კი არ უღვიძებდა. ამ დროს სიხარულს, ძალას, სიმშვიდესა და თვით სათნოებას ჰოვებდა. ქალმა, რასაკვირველია, იმწამსვე შეამჩნია კრისტოფის მზერა და მათ შორის შეუცნობელი მიზიდულობის ძალა გაჩნდა. მალე ერთმანეთის გემოვნებაც გაიცნეს. რადგან ყოველ კონცერტზე თითქმის ერთსა და იმავე ადგილებზე ისხდნენ. ხოლმე, რომელიმე ნაწარმოების შესრულებისას ერთმანეთს გადახედავდნენ. თუ ქალიშვილს რომელიმე ადგილი განსაკუთრებით მოეწონებოდა, ენის წვერს ყოფდა, თითქოს ტუჩებს უნდა მოუტეასო. ხოლო თუ უნდოდა ეჩვენებინა: ეს კი სულ არაფრად ვარგაო — ავლებულად აბზეკდა თავის ლამაზ ცხვირს. მისი სახის თამაშში ჩანდა გულუბრყვილო კეკლუცობა ადამიანისა, ვინც გრძნობს, რომ ყურადღების საგანს წარმოადგენს. სერიოზული მუსიკის მომგონისას უნდოდა თვითონაც მკაცრი და ჩაფიქრებული გამომეტყველება მიეცა სახისათვის და პროფილით მიტრიალდებოდა, მაგრამ მაინც ჩანდა, რომ ნახევარი სახე უცინოდა და შეუშინებლად კრისტოფისაკენ ეპარებოდა თვალი. „მიყურობს თუ არაო“.. სულ მალე კარგი წეგობრები შეიქმნენ, თუმცა ერთმანეთს თავის ერთი სიტყვაც არ უთქვამთ და არც ცდილან (ყოველ შემთხვევაში კრისტოფი), რომ კონცერტის შემდეგ გასასვლელში შეხვედრილიყვნენ.

ბოლოს, ერთ კონცერტზე ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ. გაუღიმეს ერთმანეთს და მცირე ყოყმანის შემდეგ მეგობრული ბაასიც გააბეა. კეკლუც პარიზელს მომხიბლავი ხმა ჰქონდა და მუსიკაზე ბევრი სისულელე ილაპარაკა. მუსიკაში სრულებით არ ერკვეოდა, მაგრამ უნდოდა ეჩვენებინა, „ყველაფერი მშვენივრად მესმისო“. მართლაც გატაცებული იყო მუსიკით. უყვარდა კარგიც და ცუდიც, მასნეც და ვაგნერიც. მხოლოდ მდარე მუსიკა აბეზრებდა თავს. მუსიკა მისთვის ხორცშესხმული სიამოვნება იყო, იგი მას სხეულის ყოველი ნაწილით შეიწოვდა, როგორც დანაე ოქროს წვიმას... ტრისტანის“ პრელუდია გულს უკლავდა, ხოლო „პერიოდიული სიმფონიის“ მოსმე-

ნასან თავს ბრძოლის ველიდან გატაცებულ მსხვერპლად წარმოიდგენდა. მან კრისტოფს შეატყობინა: ბეთჰოვენი ყრუ-მუნჯი ყოფილა, მაგრამ რომ ვიცნობ-
დე, ნამდვილად შეეიყვარებდი, მიუხედავად იმისა, რომ გონჯიაო. კრისტოფმა
ძიუგო, ბეთჰოვენი არც ისე უშნო იყო. გამართეს კამათი სილამაზისა და
სიუშნოვის შესახებ. ბოლოს ქალმა დაასკვნა, რომ ყველაფერი გემოვნებაზეა
დამოკიდებული: ის, რაც ერთს ლამაზად ეჩვენება, მეორესთვის შეიძლება
სულაც არ იყოს ლამაზი. „ოქროს ლეიდორები ხომ არა ვართ, ყველას ერთნა-
ირად რომ მოეწონდეთო“ კრისტოფს ერჩინა საერთოდ არ მოესმინა მისი
ლაპარაკი, ისე უკეთ ესმოდა ამ ქალის. ორკესტრი „იზოლდას სიკედილს“ ას-
რულებდა. ქალმა ხელი გაუწოდა კრისტოფს. ხელი მთლად გაოფლალი ჰქონდა.
კრისტოფმაც ჩაჰქვიდა და ბოლომდე ასე ეკავა თავის ხელში. ორივე გრანობდა,
როგორ მიედინებოდა მათ გადაჭლობილ თითებს შუა სიმფონიის ნაკადი.

ღარბაზიდან ერთად გამოვიდნენ. თითქმის შუალამე იყო. საუბარში გარ-
თუნდნენ. ქეჩენა ლათინურ უბნამდე აჰყვენენ. ქალმა მკლავში გაუყარა ხელი და
კრისტოფმა იგი სახლამდე მიაცილა. კართან მან აუხსნა გერმანელს, რა გზით
უნდა დაბრუნებულიყო შინ. და კრისტოფიც, ქალის მრავლისმეტყველი მზე-
რის მიუხედავად. წასასვლელად გამობრუნდა. პირველ წუთს პარიზელი
სახტად დარჩა, შემდეგ გაცეცხლდა, მერე კი სიცილი წასკდა: ეს რა
სულელი ყოფილაო. თავის ოთახში ტანსაცმლის გახდისას ისევ გაბრაზდა,
ბოლოს კი ჩუმად ცრემლიც მოერია. კონცერტზე ისევ ნახეს ერთმანეთი. ქალ-
მა გადაწყვიტა გულგრილად და ცივად შეხედროდა, ეგრძნობინებინა, რომ
ნაწყენი იყო. მაგრამ კრისტოფი ისე გულუბრყვილოდ იქცეოდა, რომ მიღე-
ბული გადაწყვეტილება სულ გადავიწყდა, ბაასი გააბეს, ახლა ქალი მორიდ-
ბულად ექცეოდა. კრისტოფიც ძალიან თავაზიანად და მეგობრულად ეპურო-
ბოდა. ელაპარაკებოდა სერიოზულ, ამაღლებებელ საგნებზე: მუსიკაზე, ერთად
რომ უამენდნენ. იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის მუსიკას. ქალიც
ყურადღებით უსმენდა. ცდილობდა თვითონაც ეფიქრა ისე, როგორც კრისტო-
ფი ფიქრობდა, თუმცა მისი სიტყვების აზრი ხშირად არ ესმოდა, ყველაფერი
სჭეროდა. გარეგნულად არ იმჩნევდა, მაგრამ კრისტოფმა მასში პატივისცემისა-
და მაღღიერების გრძნობა გამოიწვია. უსიტყვოდ შეთანხმდნენ და მხოლოდ
მუსიკაზე საუბრობდნენ. ერთხელ კრისტოფი ახალგაზრდა ქალს სტუდენტთა სა-
ზოგადოებაში შეხვდა. ერთმანეთს დიწჯად დაუკრეს თავი და გაშორდნენ. ქალი
არავის ელაპარაკებოდა კრისტოფზე. მისი გულის სიღრმეში გაჩნდა პატარა
წმინდა კუნძული, ზედ დაიბუდა რაღაც ლამაზმა, უბიწო და მშვიდმა გრძნობებმა.

ამგვარად, კრისტოფის არსებობა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ იგი ცოცხლობ-
და. სხვებზე საოცრად დამამშვიდებელ გავლენას ახდენდა. ყველგან, სადაც
უნდა ყოფილიყო, რჩებოდა მისი ნათელი სულის კვალი. თვითონ ამას ვერც კი
ხეუბნოდა. მასთან ერთად სახლში ცხოვრობდნენ ადამიანები, რომელნიც მას
ერთხელაც არ უნახავს და ისინი მაინც თავისდა უნებურად გრძნობდნენ ამ
მაღლიანი სულის სიბთბოს.

უკვე რამდენიმე კვირა გავიდა, გულმოდგინე მარხულობის მიუხედავად, კრისტოფს კონცერტზე წასასვლელი ფულიც არ ჰქონდა. ზამთარი ახლოვდებოდა. კრისტოფი მთლად გაითოშა მალა, სახურავქვეშ მიყუყუელ მანსარაღაშ. მაგიდასთან უძრავად ყოფნა აღარ შეეძლო, გარეთ გამოვიდა და პარიზის ქუჩებში დააბიჯებდა, რომ ცოტათი მაინც გამთბარიყო. დროდადრო ივიწყებდა მის ირგვლივ მოფუსფუსე ქალაქს და თავს დროის უსასრულობას ანდობდა. საკმარისი იყო აეხედა მშფოთვარე ქუჩის ზემოთ, დაენახა ზესაქნელზე გადმოკიდებული, გაყინული, მკვდარი მთვარე, ან თეთრ ბურუსში აგორებული მზის დისკო, რომ ხმაურიანი ქალაქი უსაზღვრო სივრცეში დაკარგულიყო. მთელი ცხოვრება ეჩვენებოდა იმ ყოფიერების აჩრდილად, ადრე, დიდი, დიდი ხნის წინათ, საუკუნეების სიღრმეში რომ ათავებოდა. სხვები ათუჯ უსილავე, სულ უმნაშენებლო ნიშანი ველური ბუნების სიცოცხლისა კმაროდა, რომ მთლიანობაში აღედგინა ეს დიდი ბუნება, აქ რომ ცივილიზაციის სამოსით იყო დაფარული. ქვაფენილზე ამოხული ზალაპი, თუჯის არტახებში მოწწყვედულ ეგზე გაფუჩქვანილი ყლორტები, უპაეზოდ და უნიდაგოდ რომ იტანჯება მწირ ბულვარზე, მოხეტიალე ძაღვი, გაფრენილი ჩიტი, უკანასკნელი ნაშთები ადამიანის მიერ გაჩანაგებული ფაუნისა, ოდესღაც ასე უხვად რომ ფარავდა პირველყოფილ სამყაროს. მწერების გუნდი — უსილავე ებიდეშია მთელ უბნებს რომ შეესევა ზოლმე — ადამიანთა ამ საბურში ყველაფერი აგრძნობინებდა დედამიწის სუნთქვას. ეს სუნთქვა სახეზე ელამუნებოდა და ენერჯიას უღვიძებდა.

მთელი დღის განმავლობაში ხმის გამცემი არავინ ჰყავდა. საათობით დაბორილობდა პარიზის ქუჩებში მშაერი და გაუთავებლად ოცნებობდა. სიჩუმე და ვაკუირვება კიდევ უფრო ამწვავებდა ამ ავადმყოფურ მიდრეკილებას. ღამით მძიმე კოშმარები და დამქანცველი სიზმრები ეუფლებოდა. ისევ და ისევ ხედავდა თავის ძველ სახლს, ოთახს, საღაც ბავშვობა გაატარა. აკვირებული მუსიკალური ჰანგები მოსვენებას არ აძლევდა. დღისით ესაუბრებოდა თავის თავში გაცოცხლებულ არსებებს და მისგან დაშორებულ ან აწ განსვენებულ, საყვარელ ადამიანებს.

ეს დეკემბრის ერთ ნესტიან საღამოს მოხდა; ქირხლი დასდებოდა სიცივისაგან დამზრალ გაზონებს, სახლების სახურავები და ნაცრისფერი თაღები ოდნავ იხატებოდა ბურუსში, ხის შიშველი, სუსტი, გამრუდებული ტოტები ოკეანის ფსკერზე მოქანავე წყალმცენარეების მსგავსად ნისლში ჩამართულიყვნენ. კრისტოფი, რომელსაც გუმინდლიდან ატრეოლებდა და ვერ გამოზბარიყო, ლუკაში შევიდა. აქაურობა ნაცნობი არ იყო მისთვის.

მანამდე ფერწერა მაინც და მაინც არ იზიდავდა. მუსიკა იმდენად დაუფლებოდა მთელ მის არსებას. რომ ფერებსა და ფორმებს ნათლად ვერ აღიქვამდა. ფერი და ფორმა მოქმედებდნენ მასზე, როგორც მუსიკის გამოძახილი და კრისტოფამდე მათი დამახინჯებული ანარეკლი აღწევდა მხოლოდ. მისთვის

დამახასიათებელი გუმანით, რასაკვირველია, ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ხილვად და მუსიკალურ ფორმათა ჰარმონია ერთსა და იმავე კანონებს ემორჩილებოდა, რომ სულის დაფარული სიღრმიდან იღებს სათავეს ბგერებისა და ფერების ეს ორი მჩქეფარე მდინარე, ცხოვრების ორ მოპირდაპირე ნაპირთან რომ მოედინება: მაგრამ კრისტოფი მხოლოდ ერთ ნაპირს იცნობდა და ხილვად ფორმათა სამეფოში დაიბნა. ასე გამოეპარა საიდუმლო იმ უღარესად დახვეწილი და ყველაზე მეტად ბუნებრივი მომხიბვლელობისა, სინათლის დედოფალს — თვალგაბრწყინებულ საფრანგეთს რომ ჰქონდა.

კიდევ რომ დაინტერესებულიყო მხატვრობით, ასე ადვილად ვერ შეეგუებოდა მისთვის უცხო მსოფლხედვას, იმდენად გამჭდარი ჰქონდა გერმანული სული. კრისტოფი არ ჰგავდა მოდას აყოლილ გერმანელებს, რომელნიც მათი ერისთვის ჩვეული აღქმის მანერას უარყოფენ და თავს ირწმუნებენ, თითქოს ნოსწონთ იმპრესიონიზმი და მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი მხატვრები. ზოგჯერ ნამდვილად სწამთ კიდევ, რომ ფრანგებზე უკეთ შეუძლიათ შეაფასონ ეს ხელოვნება. კრისტოფი კი შეიძლება ბარბაროსიც იყო, მაგრამ მათსავეთ არ თვალთმაქცობდა. ბუშეს სურათებზე გამოხატული ვარდისფერი ღუნღულები, ვატოს ფუნჩულა ლოყები, მოწყენილი მწყემსი ყმაწვილები, კორსეტში გამოკრული მწყემსი ქალები, ათქვეფილი ნალებივით მსუყე გრძნობები, გრეზის ტილოებიდან კეკლუცად მომზირალი სათნო ქალიშვილები, ფრაგონარის წამოხდილი პერანგები, გაზდა-გამოჩენის წთელი ეს პოეტისა მას ისევე აინტერესებდა, როგორც რომელიმე ლამაზი, ფუქსავატური ყურნალი. მან ვერ შეიგრძინო ამ სურათების მდიდარი და ბრწყინვალე ჰარმონია; ევროპაში ყველაზე დახვეწილი და ძველი ცივილიზაციის განცხრობითი და სევდიანი ოცნებები მისთვის უცხო იყო. არ მოსწონდა არც მეჩვიდმეტე საუკუნის ფერწერა, მისი ცერემონიალური ღვთისმომშიშობა და საპარადო პორტრეტები; ამ ეპოქის დიდი ოსტატებისთვის დამახასიათებელი ცივი თავშეკავებულობა, ის უფერული სული, ნიკოლა პუსენის ქედმაღლურ პორტრეტებსა და ფილიპ დე შამპენის ფერმკრთალ სახეებში რომ გამოსჰქვივის, კრისტოფს ძველი ფრანგულა ხელოვნებისაგან ამორებდა. ახალ ხელოვნათაგან კი არავის იცნობდა და რომ სცოდნოდა კიდევ, ვერ დააფასებდა. ერთადერთი მხატვარი, ვინც ჯერ კიდევ გერმანიაში მოაჯდოვია, ბექლენ ბაზელელი იყო. მაგრამ მანაც ვერ შეამზადა კრისტოფი ლათინური ხელოვნების აღქმისათვის. კრისტოფს დღემდე ახსოვდა ის მძლავრი შთაბეჭდილება, ამ მოუხეშავი გენიოსის სურათების ნახვისას რომ დაეუფლა. ეს ტილოები გაუღენთილი იყო მიწისა და ფანტასტიკური სამხეცვიდან გამოშვებული ნადირის მკვახე სუნით. კრისტოფს თვალში მოსკრა მკვეთრმა სინათლემ, ამ მთვრალი ველურის ხელოვნების თავბრულდამხვევმა სიჭრელემ და იგი ვეღარ აღიქვამდა ნახევარტონებს, ფრანგული მხატვრობის დანაწევრებულ და ნახ ჰარმონიას.

უცხო ქვეყანაში ცხოვრება ამარდ არ ჩაივლის, თავის დაღს ასევემს აღა-

მიანს — როგორც უნდა ჩაიკეტოთ თქვენს თავში, ერთ დღეს მაინც შეამჩნევთ, რომ რაღაც შეიცვალა.

რაღაც შეიცვალა კრისტოფში იმ საღამოს, როდესაც იგი მარტო, დაღლილი, მშვიტ-მწყურვალ ლუერის დარბაზებში დაებეტებოდა. ირგვლივ, დაცარიელებულ დარბაზებში, ბინდი წვებოდა და მიძინებული ფორმები ცოცხლდებოდნენ. გაყინული და მღუშარე კრისტოფი დადიოდა ეგვიპტური სფინქსების, ასურული ურჩხულების, პერსეპოლისის ხარებსა და პალისის სრიალა გველებს შორის და თავი ფერებისა და ზღაპრების ქვეყანაში ეგონა. იღუშალი მღელვარება დაეფულა მის გულს. კაცობრიობის ოცნებამ — სულის ამ საოცარმა ყვავილებმა მოიცვა მთელი მისი არსება.

აქ, ოქროსფერი მტვრით გაყენილი გალერეაში, ამ მღელვარე და ნათელი ფერების ბაღარში, ნახატებით სავსე მდელიში, სადაც სუნთქვა ჭირს, ტიებ-ცხელებით შეპყრობილ, ავადმყოფობის პირამდე მისულ კრისტოფს თითქოს მეხი დაეცა. მიდიოდა, მაგრამ წინ ვერაფერს ხედავდა. შიმშილისაგან, ზიზხისა და გაცოცხლებული სახეების ზედმოსევისგან დარტიანებულს თავი უბრუნოდა. როგორც იქნა, მიაღწია დარბაზის ბოლოს, მდინარეს რომ გადასცქეროდა. შეჩერდა რემბრანდტის „კეთილი სამართანელი“ წინ და რომ ან წაქცეულიყო, დაეყრდნო რკინის მოაჯირს, სურათს გარს რომ ჰქონდა შემოვლებული. წუთით თვალი დახუჭა და როდესაც გაახილა და დაინახა მის ცხვირწინ ჩამოკიდებული სურათი, მოხიბლული უძრავად გაშეშდა.

დღე იწურებოდა. შორეული სინათლე უკვე მიმქრალიყო. უხილავი მზე ღამემ შთანთქმა. დადგა ის ჯადოსნური წუთი, როდესაც მთელი დღის შრომით დამამვრალ, მოღუწებულ და გაშეშებულ სულს პალეტინაციები ეუფლება. სიჩუმეა. ისმის, როგორ ჩქეფს სისხლი ძარღვებში, განჩრევა ჭირს, სუნთქვა გვეკრის. სევდა მოაწვა კრისტოფს. რა უმწეოდ გრძნობს თავს... როგორ უნდა, მიენდოს მეგობრის მკლავებს. ნეტაც სასწაული ღაინკ მოხდებოდეს. ნამძვილად მოხდებ... აი ისიც! მწუხრში აელვარდა ოქროს ზვირთი, შეხფებად მოესხა კედელს, იმ კაცის მხარს, მომაცქდავი რომ მოუყვანია, გადაეცლო იმ ჩეულებრივ საგნებსა და არსებებს, ყველაფერი ღეთაებრივმა სინაზემ და ნათელმა მოიცვა. თვით ღმერთმა მოჰხვია თავისი საშინელი, ალერსიანი ხელები ამ უბედურებს, სუსტებს, მახინჯებს, ღარიბებს, ჭუჭყიანებს, ამ წინაღამოჩაჩულ ტილიან მოსამსახურეს, ან ტლანქ მათხოვრებს, ფანჯარასთან რომ მოუყრიათ თავი. შიშისაგან დამუნჯებულ, ხალისდაკარგულ არსებებს, რემბრანდტის მთელ ამ საცოდავ სამყაროს, ბნელი, და შებოჭილი სულების ფარას, რომელსაც მხოლოდ ლოდინი, კანკალი, ტირილი და ლოცვა შეუძლია. მაგრამ მოძღვარი აქ არის. თავად უხილავია, ჩანს მხოლოდ მისი შარავანდედი და ჩრდილი იმ შექისა, რომელსაც აღამიანებს მოჰფენს.

კრისტოფი გამოვიდა ლუერიდან. ფეხები ეკეცებოდა, თავი სტიკოდა, ველარაფერს ხედავდა. გარეთ თავსხმა იყო, მაგრამ იგი ვერც გუბეებს ამჩნევ-

და, ვერც იმას, რომ ფეხსაცმელში წყალი შესდიოდა. დღე იწურებოდა, სენის ზემოთ მოსჩანდა მოყვითალო ცა, სიღრმისეული, ლამპარის მსგავსი ალით ანთებული. კრისტოფს ვილაციის მომაჯადოვებელი მზერა გაჰყვა. ეგონა, ყველაფერი გაქრა ამ ქვეყნადო. ეტლები აღარ აზანზარებდნენ ქვაფენილს უმოწყალო ხმაურით. განკვლევები აღარ ეჯახებოდნენ სველი ქოლგებით. თავად კი სად იყო? ქუჩაში? ეგებ შინ იჯდა და ოცნებობდა, ან იქნებ, სულაც არ არსებობდა ქვეყანაზე. საშინელი სისუსტე მოერია, უეტრად თავბრუ დაესვა, იგრძნო, საცა იყო, მოცელილივით დაეცემოდა მიწაზე... მაგრამ ეს იყო წამით. კრისტოფმა მუშტები შეკრა, ფეხები მაგრად დაჰკირა მიწას და წელში გასწორდა.

სწორედ იმ დროს, იმ წუთს, როდესაც მისი გონება კვლავ ამოტივტივდა შავი მორევადან, შეამჩნია, რომ ქუჩის მეორე მხრიდან ვილაც უმზერდა. ამ თვალები იგი კარგად იცნობდა, ისინი თითქოს მას უხმობდნენ. საგონებელში ჩავარდნილი შეჩერდა და ცდილობდა გაეხსენებინა, სად შეეძლო ენახა ეს ნაღვლიანი და ნაზი გამომხედვა. ბოლოს იცნო: ეს იყო ახალგაზრდა ფრანგი მასწავლებელი, რომელსაც უნებლიეთ აღგილი დააკარგვინა გერმანიაში და შემდეგ ბევრი ეძება, რომ ბოდიში მოეხადა. ქალიც შედგა. გამკვლელ-გამომკვლელთა ამ აურზაურში მას მისჩერებოდა. უეტრად კრისტოფმა დაინახა, რომ ქალი ცდილობდა ბრბო გაერღვია მასთან მისასვლელად. კრისტოფიც შესახვედრად გაეშურა. მაგრამ ეტლები ნიაღვარმა გზა შეკრა. კრისტოფი ერთხანს ხედავდა, როგორ ფართხალებდა ქალი ამ ცოცხალი კედლის მიღმა. კიდევ ერთხელ სცადა გადაეჭრა ქუჩა, მაგრამ უეტრად ცხენი დაეჯახა. ფეხი დაუხსლტა და მოლაპულ ანფალტზე დაეცა, ბეწვზე გადარჩა — კინაღამ ფლოქვებმა გათელეს. როდესაც წამოდგა და ტალახში მთლად ამოსვრილმა ქუჩის მეორე მხარეს მიადწია, ქალი არსად ჩანდა. უნდოდა უკან გამოჰკიდებოდა, მაგრამ თავი ისე უბრუნოდა, რომ ხელი აღო ამ განზრახვაზე. გრძნობდა, ავადმყოფობა ერეოდა. მაგრამ არ სურდა შერჩევბოდა ამ აზრს. ჯიუტად გადაწყვიტა შინ ჯერ არ დაეგრუნდებო და ყველაზე გრძელი გზა აირჩია. მაგრამ ამოდ გაიწვალა თავი. ავადმყოფობა მაინც მოერია; მუხლთ მოეკვეთა, ფეხს ძლივს ითრევდა, ნაწამდე რის ვაი-ვაგლანით ნიაღწია. კიბეზე სული შეეხუთა და საფეხურზე ჩამოვდა. თავის გაყინულ ოთახში რომ დაბრუნდა, დაიჟინა არ დაეწვებო. ასე იჯდა სკამზე, მთლად გალუმპული; ძლივს სუნთქავდა. ყურში მასავეთ დამტვრეული რიტმები ჩაქსმოდა. აი, ფრაზები შუბერტის „დაუშთავრებელი სიმფონიადან“. საცოდავი შუბერტი! ისიც ხომ სულ მარტო იყო, როცა ამაჰ წერდა — მოთენთილი და სიცხიანი, ნახევრად გონდაკარგული, სიკვდილის პირას მისული, ცეცხლის პირს მიყუყუელი ოცნებობდა; მის ორგელივ ლივლივებდნენ დამღვარი წყალივით ნელი მელილივები. ეპოტინებოდა მათ ნახევრად მინარე ბავშვივით, მოყალილი ზღაპრით რომ ტებება და ერთსა და იმავე ადგილს მეოცეკერ იმეორებს: მერე ძილი ეპარება... არა, ეს სიკვდილი მო-

დის... კრისტოფს ესმოდა ეს სხვა მუსიკაც: დასიცხული ხელები, მიღწეული თვალები, დაღლილი ღიმილი, ოხვრით სავსე მკერდი, ნანატრ სიკვდილზე რომ ოცნებობს — პირველი ქორო ე. ს. ბახის კანტატიდან „უფალო, როდის განვისვენებ“... რა კარგია, ჩაეფლო ამ ნაზ ჰანგებში, წელი ტალღებივით რომ მოედინებინა, მ-ჰყვე შორეული ზარების მოგუდულ გუგუნს. მოკვდე. შეუერთდე დედამიწის სიმშვიდეს!.. „Und dann selber Erde werden“ და შემდეგ თვითონაც მტლად იქცე.

კრისტოფმა გაფანტა ეს ავადმყოფური აზრები. მოიშორა სიჩინოზის მომაკვდინებელი სიმღერა; დაუსტებულ სულებს რომ სდარაჯობს. ადგა და ოთახში სიარული სცადა. ფეხზე დადგომაც ვერ შესწლო. შეამცივნა, მთლად კანკალედა. ლოგინში უნდა ჩაწოლილიყო. გრძნობდა, რომ ამჭერად საქმე სახუმროდ არ ჰქონდა; ფარ-ხმალს მაინც არ ჰყრიდა. როდეს ჰვადა იმათ, ვინც სენს ნებდებდა, არ უნდოდა ავად გამხდარიყო, რაც მთავარია, მტკიცედ გადაწყვიტა: არამც და არამც არ მოკვდებოდა. მას ხომ საბრალო დედა ელოდებოდა და რამდენი რამ ჰქონდა გასაკეთებელი. არა, თავს ასე ადვილად ვერ გაიმეტებს. ცახცახი რომ შეეჩერებინა, კბილები ერთმანეთს მაგრად დააჭირა, მაგრამ ვერა და ვერ დაიმორჩილა თავი. კარგი მოცურავეც ასეა, მაინც განაგრძობს ბრძოლას უზარმაზარ ტალღებს ქვეშ. ყოველ წუთს უფრო და უფრო იძირებოდა; აბოდებდა. რაღაც უთავბოლო სურათები, სამშობლოს მოგონებანი და პაჩუხული სალონები ერთმანეთში აირ-დაირია. რიტმები და მუსიკალური ფრაზები გულს უწყალედბდნენ; გაუთავებლად ტრიალებდნენ და ტრიალებდნენ, როგორც ცხენები ცირკში. უეცრად თვალი მოსჭრა რემბრანდტის „კეთილი სამარიტანელიდან“ ვადმოსულმა ოქროსფერმა სინათლემ, გაახსენდა შიშნული სახეები; მერე ისევ უფსკრულში, ისევ ბნელეთში ჩაიძირა. ხელახლა ამოიყვინთა. ძლივსდა არღვევდა სქელ ნისლს, რომელიც საზარლად დამანჭული სახეების ფორმას ღებულობდა. კრიკაშეკრული და დაძაბული უხმობდა ყველას, ვინც კი წაჩსულსა თუ აწმყოში უყვარდა, ქუჩაში ნანახი ნეგობრის სახე, საყვარელ დედას, თავის მარადიულ სულს, კლდესავით ურყევად რომ აღმართულიყო: „სიკვდილი ვერას დააკლებს“ — მაგრამ კლდე ისევ ზღვამ დაფარა. ტალღები საშინელი ძალით დაენარცხნენ კრისტოფს და მისი სული ზღვიან ქაფმა შორს წარიტაცა. ციებ-ციხლების ალით მოცული ავადმყოფი ფართხალებდა, აბოდებდა, ეჩვენებოდა, რომ ორკესტრს დირიჟორობდა და სხვადასხვა საკრავების: ტრომბონების, საყვირების, ლითონის თეფშების, დაფდაფების, ფაგოტების და კონტრაბასების ხმებს ბაძავდა. ფრუტუნებდა, ქშენდა, გაფთრებით იქნევდა ხელებს. საბრალო კრისტოფი, მისი სული ვეღარ იტვინდა მოსღვავებულ მუსიკის ნიაღვარს. ეს რამდენიმე კვირაა. მუსიკას ვერ იამენდა, თავდაც ველარ უკრავდა და ორთქლით სავსე ქვაბივით ასათეფებლად გამზადებულიყო. ზოგი ავიატებულნი ჰანგი ტვინს უბურღავდა, ყურის აპკა უხვრეტდა და ტკივილისაგან აყმუჯვლებდა. ასეთი შეტევების შემდეგ ღონემიზ-

დილი ეცემოდა ბალიშზე. ქანცგაწვეტილი, ოფლში გახვითქული ქშენღა და სულს ძლავს იბრუნებდა. საწოლთან ახლოს წყალი დაიდგა. მეზობელი ოთახებთან გამოსული ხმაური, კარის ყოველი გაჯახუნება აკრთობდა. ირგვლივ ვილატეები დაფუხფუხებდნენ და ეს შეგრძნება მასში ავადმყოფურ ზიზღს იწვევდა. კრისტოფის ნებისყოფა კი ბრძოლას განაგრძობდა. დაფითა და ნალართ ჭოჯოხეთის წინააღმდეგ ილაშქრებდა... „Und wenn die Welt voll Teufel wär, und wollen uns verschlingen, so fürchten wir uns nicht so sehr...“ („თუნდაც სამყარო სავსე იყოს ბოროტ სულებით და მათ ისურვონ ჩვენი ჩანთქმა, ეს არც ისე შეგვაშინებდა...“)

და წყვიდადის გავარვარებული ოკეანე, რომელსაც მისი სული მიაპობდა, უეცრად მიწყნარდებოდა, ლეიოდნენ სინათლის ნაპერწკლები, ისმოდა ვიოლინობისა და ვიოლების მშვიდი დუდუნე, საყვირებისა და ბუკების საზეიმო ხმა, სწული სულიდან კი ზევითკენ მიემართებოდა დიდი კედელივით ნტიციე საგალობელი, ურყევი, როგორც ი. ს. ბახის ქორალი.

იმ დროს, როდესაც კრისტოფი ციებ-ცხელების აჩრდილებსა და საშინელ სულის ხუთვას ებრძოდა, ბუნდოვნად იგრძნო, რომ კარი გაიღო და ოთახში ვილაც ქალი შემოვიდა. ქალს ხელში სანთელი ეკირა. კრისტოფს ეგონა, ისევ მელანდებო. უნდოდა უცნობს გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ძალა არ ეყო და ლოგინზე დაეცა. დროდადრო ცნობიერების ტალღას. სიღრმიდან ზედაპირზე ამოჰყავდა და გრძნობდა, რომ ვილაცას მისთვის ბალიში გაესწორებინა, ფეხზე საბანი გადაეფარებინა და ზურგზე რაღაც ცხელი დაედო. ზოგჯერ ხედავდა მის ფერხთით მჯდომ ქალს, რომლის სახე კრისტოფისთვის მთლად უცნობი არ იყო. მერე გაჩნდა მეორე სახე. ეტყობა, ექიმისთვის დაეძახებინათ. ექიმმა გასინჯა ავადმყოფი. კრისტოფს მისი ლაპარაკი არ ესმოდა, მაგრამ მიხვდა, რომ საავადმყოფოში წაყვანას უპირებდნენ. უნდოდა შევედრებოდა, ეყვირა: არა, მირჩვენია აქ, სულ მარტოკა მოკვდეთო, მაგრამ ყელიდან რაღაც გაუგებარი ბგერები ამოსდიოდა. ქალი, ეტყობა, წადილს მიუხვდა, მისი მხარე დაიპირა და დააშშვიდა. საგონებელში ჩავარდნილი კრისტოფი ცდილობდა გაეხსენებინა ქალის ვინაობა. როგორც კი დალაგებული წინადადების წარმოთქმა შეძლო, ჰკითხა: ვინ ბრძანდებითო. ქალმაც უპასუხა, თქვენს მეზობლად მანსარდაში ვცხოვრობ და თქვენი კენესა რომ შემომესმა, თავს ნება მივეცი მენახულეთო. ვიფიქრე, ალბათ, დახმარება სჭირდებო. მერე ქალმა მოწიწებით სთხოვა. ბევრი ლაპარაკით თავს ნუ დაიღლითო; კრისტოფმაც დაუჭერა. გარდა ამისა. ამ ძალთახმევემ მთლად დაქანცა. უძრავად იწვა და დუმდა, მაგრამ ფიქრს განაგრძობდა. ძლივს ახერხებდა გაფანტული მოგონებების შეკოწიწებას. სად შეგხედრია ამ ქალს?.. ბოლოს გაიხსენა: რასაკვირველია, მანსარდის დერეფანში უნახავს. შინამოსამსახურედ მუშაობდა, სახელად სიღონი ერქვა.

კრისტოფმა თვალები მილულა და ძალვით შეათვალიერა ქალი, ისე, რომ მას არ შეემჩნია. დაბალი ტანისა იყო, მრგვალი შუბლიდან მაღლა ავარცხნილი ამა აჩენდა მის მკრთალ, გამოკვეთილ ლოყებსა და საფეთქლებს. მოკლე ცხვირი ჰქონდა, ღიაციხფერი ალერსიანი თვალები. სქელი ტუჩები მაგრად მოეკუმბა. უფერულ სახეზე მორჩილი და გულჩათხრობილი გამომეტყველება შერჩენოდა. ეტობოდა, თავს შებოქილად გრძნობდა. კრისტოფს მარჯვედ, წყნარად და თავდადებით უვლიდა. თავდაპირილი და მოკრძალებული არასოდეს ივიწყებდა, რომ მოსამსახურე იყო და კლასთა იერარქიაში თავისი ადგილი ღირსეულად ექირა.

მაგრამ, როდესაც ავადმყოფი თანდათან მომჯობინდა და საუბარაც გაუბა, კრისტოფის თბილმა და გულკეთილმა მოპყრობამ შეაგულოანა და უფრო თავისუფლად ელაპარაკებოდა, თუმცა თავს ბევრის უფლებას არ აძლევდა. კრისტოფს ყველაფერს როდი უამბობდა. მოკრძალება და სიამაყე ხელს უშლიდა თანამოსაუბრეს მინდობოდა. სიღონი ბრეტონელი იყო. მამაპისი იქ ცხოვრობდა. სიღონი ცოტას ლაპარაკობდა მამაზე, მაგრამ კრისტოფს არ გაუჭირდა იმის მიხვედრა, რომ მოხუცი სმისა და დროსტარების მეტს არაფერს აკეთებდა და შვილს ფულებს ცინცლავდა. სიღონიც უსიტყვოდ და ამაყად შეუთრიგდა ამას. ყოველი თვის ჯამაგირიდან ნაწილს მამას უგზავნიდა, თუმცა კარგად იცოდა, სად წავიდოდა ეს ფული. მასზე უმცროსი დაც ჰყავდა. გოგონა მასწავლებლობას აპირებდა და სიღონი მით მეტად ამაყობდა. თითქმის მთელი სწავლის ფულს ის იხდიდა. თავს არ იზოგავდა, გამეტებით მუშაობდა.

— კმაყოფილი ხართ ადგილით? — ეკითხებოდა კრისტოფი.

— დიახ, მაგრამ ვფიქრობ, რომ აქაურობა უნდა დავტოვო.

— რატომ, განა პატრონები ცუდად გეპყრობიან?

— ო, არა, ძალიან კეთილი ბატონები მყავს.

— მაშ საკმარის ფულს არ გაძლევენ?

— არა, ფულიც მყოფნის.

კრისტოფმა ვერაფერი გაიგო. ცდილობდა მიმხედარიყო, როგორ იყო საქმე. დაუყვავა კიდევ ქალს, რომ უფრო თამამად ელაპარაკა. მაგრამ სიღონის, თავისი უფერული ცხოვრების გარდა, არაფერი ჰქონდა მოსაყლო. სარჩენი ფულს შოვნა ჰქონდა, თუმცა არ წუწუნებდა. მუშაობა სულაც არ აშიენებდა. პირიქით. ნისთვის ის საჭიროებას, თითქმის სიამოვნებას წარმოადგენდა. კრინტიც არ დაუძრავს იმაზე, რაც ყველაზე მეტად აწუხებდა — მოწყვნილობაზე. მაგრამ კრისტოფი ისედაც მიუხვდა. ავადმყოფობამ ყველა გრძნობა გაუმახვილა. საყვარელი დედის ასეთივე დუხჭირი ცხოვრების მოგონებამ მისი აიანაგრძნობა გააორკეცა. და ქალის გულსტიკივლს სულ ადვილად ჩასწვდა. თითქოს თვითონ ჰქონდა გადატანილი, ისე ნათლად ხედავდა ამ მქრალ. არაჯანსაღ, არაბუნებრივ არსებობას, ბურკუაზიულმა საზოგადოებამ მოსამსახურეს ხვედრად რომ არგუნა. ავიო, ბატონებზე ვერ იტყოდა, მაგრამ გულგრი-

ლები კი იყვნენ. დღეები ისე გადიოდა, მათგან ბრძანებებს მეტი არაფერა ეწმობდა. გაუთავებელ საათებს ატარებდა ამოხუთულ სამზარეულოში, რომლის ეთაღერათი პატარა, სურსათის ყუთებს შორის ჩაშლული სარკმელი ოდესღაც იეთრ, ახლა კი მთლად ქუჩყიან კედელს გადაჰყურებდა. მისი ერთადერთი სიხარული იყო, ვინმე თუ ეტყოდა, საწებელი გემრიელი გამოგვიდაო, ან ხორცი კარგად შეგვიწავაო. ოთხ კედელს შუა დახუთულ გარემოში მოქცეული, იმედგაწყვეტილი სიღონი მომავლისაგან აღარაფერს მოელოდა, ყოველგვარი სურვილი და ინტერესი ჩაკლული ჰქონდა. ყველაზე ცუდი ის იყო, როდესაც ბატონები დასასვენებლად მიდიოდნენ სოფელში. მოახლე ქალის თან წაყვანა ზედმეტ ხარჯს მოითხოვდა და სიღონი შინ რჩებოდა. იმ თვის ჯამაგირს უხდიდნენ, მაგრამ სამშობლოში წასასვლელ ფულს არ აძლევდნენ. თუ უნდა თავისი ხარჯით წავადესო. სიღონის არ უნდოდა, უბრალოდ არ შეეძლო თავისთვის ამჯინის უფლებას მიეცა. მარტომდმარტო, ყველასგან მიტოვებული იჯდა შინ. საღმე წასვლის სურვილი არ ჰქონდა. სხვა მოახლეებთან საუბარიც არ უყვარდა, ფიქრობდა, ტლანქები და უზნეონი არიანო. სხვადასხვა გართობაც არ ხიბლავდა. ბუნებით სერიოზული და მომჭირნე ქალი იყო, თანაც საეკვო ხალხის გაცნობისა ეწმობდა. ასე იჯდა სამზარეულოში ან თავის ოთახში, მისჩერებოდა ერთადერთი ხის კენწეროს, საკვამურების იქით, საავადმყოფოს ბაღში რომ შოჩანდა. წიგნს არ კითხულობდა. ცდილობდა თავი სამუშაოთი გაერთო. ხშირად გაშეშებულივით გაუნძრევლად იჯდა და მოწყენისაგან ტირიდა. საოცარი უნარი ჰქონდა: გაუთავებლად შეეძლო ეტირა. ეს დიდ შვებას ჰგვრიდა. მაგრამ ძალიან რომ მოიწყენდა, ტირილსაც ვეღარ ახერხებდა. რამდენიმე ხნის განჯავლობაში ანე გულმოკლული, გაყინული რჩებოდა, მერე ამ გარინდებიდან გამოვიდოდა და სიცოცხლე უბრუნდებოდა. თავის დაზე ფიქრობდა, უსმენდა შორეული არღნის ხმას, ოცნებობდა. დიდხანს ითვლიდა; რანდენი დღე დასჭირდებოდა ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად, ან ამა თუ იმ თანხის დასაგროვებლად. თვლა ეშლებოდა, თავიდან იწყებდა და ბოლოს ჩაიძინებდა. ასე მიდიოდა დღეები.

ასეთ მძიმე განწყობილებას გამოცოცხლება მოჰყვებოდა ხოლმე. სიღონი ბავშვით მზიარული და დამცინავი ხდებოდა. სხვებსაც და თავის თავსაც სასაცილოდ იგდებდა, ხედავდა, რასაც წარმოადგენდნენ მისი ბატონები: სიღონიმ კარგად იცოდა ფასი ქალბატონის ახირებული ისტერიკებისა და სევდისა, უსაქმობით გაჩენილი განცდებისა და საზრუნავისა, ამ ვითომც რჩეულთა ეგრეთ წოდებული საქმიანობისა, მათი უცვარი აღფრთოვანებისა რომელიმე სურათით. მუსიკალური ნაწარმოებით ან ლექსთა კრებულთ. ეს ოდნავ მოუქნელი, მაგრამ საღი გონების ქალი შორს იდგა როგორც პარიზელ მოახლეთა სნობიზმისგან, ასევე პროვინციულ მოწინააღმურეთა უბირი სისულელისგან, რომელთაც ხიბლავთ მწლოდ ის, რაც თვითონ არ გაეგებათ. სიღონი ოდნავ დამცინავი პატარავისცემით უყურებდა ბატონთა გართობას: პიანინოზე ტყაპუნს, ყბედობას.

ყველა იმ უსარგებლო და თანაც მოსაწყენ ინტელექტუალურ თავშესაქცევას. ამხელა ადგილი რომ ეკავა მათ ყალბ ცხოვრებაში. გუნებაში არ შეეძლო ეს ორი ცხოვრება ერთმანეთისათვის არ შეედარებინა. ერთი — ნამდვილი, ზრდო-ლით აღსავსე, მეორე კი — განცხრომითი, სიამოვნებითა და მოჩვენებითი სიჭნე-ლეებით სავსე, სადაც ყველაფერი მოწყენილობის შედეგს წარმოადგენდა. ნა-გრამ ეს ამბავი მაინცდამაინც არ ამფოთებდა: ასეა და რას იზამო. ყველას — შეეგუა — ბოროტებსაც და ბრიყვებსაც. სმირად უთქვამს:

— ამ ქვეყნად ყველაფერია საჭირო.

კრისტოფს ეგონა, ქალს რელიგია ასულდგმულეებსო. მაგრამ ერთ დღეს სილონიმ სხვა, უფრო ბედნიერი და მდიდარი ხალხის შესახებ შენიშნა:

— ბოლოს და ბოლოს ხომ ყველა გასწორდება.

— როდისღა? — ჰკითხა კრისტოფმა, — სოკიალური რევოლუციის შემდეგ?

— რევოლუციო? — გაუკვირდა სილონის, —, ნანამდე ბეჭედი წყალი ჩაი-ვლის. ასეთი სისულელებებისა არა მჭერა. ყოველთვის ერთა და იგივე იქნება.

— მამ როდის გასწორდება ყველა?

— სიკვდილის შემდეგ, ცხადია. სიკვდილი არავის დაინდობს.

კრისტოფი გააკვირვა ამ მშვიდმა მატერიალიზმმა; ვერ შებედა ეთქვა:

— წუთისოფელი ხომ ასე მოკლეა, განა საშინლემა არ არის ადამიანი თქვე-ნისთანა ცხოვრებას ეწეოდეს მაშინ, როდესაც სხვა უფრო ბედნიერი ხალხიც არსებობსო?

მაგრამ სილონი თითქოს აზრს მიუხვდაო, მორჩილე, ოდნავ ირონიული გულგრილობით განაგრძო:

— რა გაეწყობა, ბედს უნდა დამორჩილდე კაცი, ბედნიერი ბილეთი ხომ ყველას არ შეხვდება; ვერ მოიგე? მით უარესი.

ქალს არც კი უფიქრია, საფრანგეთს გარეთ მოექებნა ადგილი მეტი ფულის საშოვნელად (თუმცა შესთავაზეს კიდევ ამერიკაში მუშაობა). სამშობლოს მი-ტოვება აზრადაც არ მოსვლია. სმირად ამბობდა:

— ქვა ყველგან ქვაა.

მის სულში სეკუბტიკური და დამცინავი ფატალიზმი ბუდობდა. იმ ადამი-ანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც რწმენა თითქმის სულ არა აქვთ; არც რაიმე გონივრული მიზეზი აკავებთ, რომ სიცოცხლეს გაუფრთხილდნენ, მაგრამ მაინც საოცარი სიცოცხლისუნარიანობა გააჩნიათ. ესაა ფრანგი გლეხობა — მშრომელი და უხალისო, მუდამ უქმაყოფილო და მორჩილი, რომელსაც არც იმდენად უყვარს სიცოცხლე, თუმცა კი ეჭიდება ნას და მხნეობის შესანარჩუ-ნებლად არ სჭირია ხელოვნური წახალისება.

კრისტოფი არ შეხვედრია ასეთ ხალხს და ამ უბრალო ქალის გულგრილო-ბა ყოველგვარი რწმენისადმი მეტად აკვირვებდა. ხიბლავდა სილონის ერთგუ-ლება ამ უღიმღამო, უმიზნო ცხოვრებისადმი. განსაკუთრებით კი აკვირვებდა მისი ძლიერი, ქანსადი მორალი, რომელიც ქალს თავის თავშივე პოულობდა.

აქამდე ფრანგ ხალხს ნატურალისტური რომანებიდან ან თანამედროვე ლიტერატორ-კაცუნების თეორიებიდან იცნობდა. პასტორალებისა და რევოლუციის ეპოქების ლიტერატორთაგან განსხვავებით ისინი ცდილობდნენ, ბუნებრივად დანიანი მანკიერ ცხოველად წარმოედგინათ. ამით ფიქრობდნენ საკუთარ მანკიერებათა გამართლებას... კრისტოფს აოცებდა სიღონის უზადო პატიოსნება. მორალი აქ არაფერ შუაში იყო. საქმე ჭანსად ინსტიტუტებსა და სიამაყეს ეხებოდა. სიღონის თავისი არისტოკრატიული სიამაყე ჰქონდა. სისულელეა იმის ფიქრი, რომ სიტყვა „ხალხი“ აუცილებლად მდაბიოს ნიშნავს. არისტოკრატია ხალხსაც ჰყავს, ისევე, როგორც მაღალ საზოგადოებაში ბევრი მდაბიო სული მოიძებნება. არისტოკრატები არიან ადამიანები, ვისაც უფრო წმინდა ინსტიტუტები, იქნებ უფრო წმინდა სისხლი აქვთ. მათ საკუთარი თავის ფასი იციან და ჰყოფნიან კიდევ სიამაყე თავი მუდამ მაღლა ეჭიროო. თავის გამოჩენა არ უყვართ. მაგრამ ყველამ იცის, რომ პირველობა მათ ეკუთვნის. მათი არსებობა სხვებისათვის მაკალითის მიმცემია. დანარჩენები იძულებული არიან მათ მიბაძონ, ან თავი მოიკატუნონ, თითქოს მათსავე იქცეოდნენ. ყოველი მხარე, ყოველი სოფელი, ადამიანთა ყოველი ჯგუფი ისეთივეა, როგორიც მისი არისტოკრატია. ან ისდა მიხედვით, საზოგადოებრივი აზრი ზოგან მკაცრია, ზოგან კი უფრო ლმობიერი. უმრავლესობის ანარქიული აღვირაზნისლობა ამ უტყვე უმცირესობაზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს. ხიფათი მათ ელით მაშინ, როდესაც მშობლიურ მიწას მოსწყდებიან და შორეულ ქალაქებში დაიფანტებიან ხოლმე. მაგრამ მაშინაც კი უცხო მხარეში დაჯარგულნი, ერთნაგეთს დაშორებულნი, კეთილშობილი რასის შვილები მდგრად არიან და გარემოში არ ითქვიფებიან. პარიზის სანახაობებიდან სიღონის თითქმის არაფერი უნახავს და არც ცდილა რამეს გასცნობოდა. პოლიტიკა და საგაზეთო სანტიმენტალური და ბინძური ლიტერატურა სულაც არ აინტერესებდა. არაფერი იცოდა სახალხო უნივერსიტეტების არსებობის შესახებ. რომ სცოდნოდა კიდევ, იქ წასასვლელად თავს ნამდვილად არ შეიწყუხებდა. ეკლესიისადმი ხომ მთლად გულგრილი იყო. მას თავისი სამუშაო ჰქონდა გასაკეთებელი. თავისი ფიქრი საფიქრალი და რა ენაღვლებოდა, თუ სხვებსაც არ ფიქრობდა. კრისტოფმა ამისთვის ძალიან შეაქო.

— რა გიკვირთ, — უპასუხა ქალმა, — მეც სხვებივითა ვარ, განა ფრანგები არ გინახავთ?

— უკვე ერთი წელია ნათთან ვცხოვრობ, — თქვა კრისტოფმა, — და ერთი კაციც არ შემხვედრია ისეთი, რომ მხოლოდ სიამოვნებაზე არ ფიქრობდეს, ან მათმუნივით არ ცდილობდეს, გართობაში სხვას არ ჩამორჩეს.

— გასაგებია, — წარმოთქვა სიღონიმ; — თქვენ მხოლოდ მდიდრები გინახავთ. მდიდრები კი ყველგან ერთნაირები არიან. მთავარი გამოგრჩენიათ.

— მართალი ბრძანებაა, — დაეთანხმა კრისტოფი, — მაგრამ ახლა მგონი თველა ამეხილა.

პირველად ხვდებოდა კრისტოფი სისხლითა და ხორციით თავის მიწასთან

შეზრდილ ფრანგ ხალხს, რომელიც, გეგონება, დასაბამიდან არსებობდაო. დამპყრობელთა რამდენი თაობა, ერთი დღით აღზევებული რამდენი ბატონი უნახავს, თვითონ კი მარად და მარად იგივე დარჩა.

კრისტოფი ახლა თავს უკეთ გრძნობდა და წამოდგომაც სცადა.

პირველი მისი საზრუნავი იყო სიდონისთვის თავისი ავადმყოფობის დროს გაწეული ხარჯები აენაზლაურებინა. პარიზში სამუშაოს საძებნელად სირბილი ჯერ კიდევ არ შეეძლო. სხვა გზა არ ჰქონდა, გადაწყვიტა ჰებტისთვის ნიფწერა და ეთხოვა: თუ შეიძლება, აენასად ცოტა ფული გამომიგზავნეთო. ჰებტის ხასიათში სიკეთე და გულგრილობა ერთმანეთში საოცრად იყო არეული. ორი კვირა პასუხი არ აღირსა. მთელი ეს ორი კვირა კრისტოფი იტანჯებოდა, უარს ამბობდა პირი დაეკარებინა იმ საკმელისათვის, სიდონის რომ მოჰქონდა. ქალი ძალით უტოვებდა ცოტაოდენ პურსა და რძეს. მაგრამ კრისტოფს ესეც ზედმეტად მიაჩნდა. სინდისი ქენჯნიდა: სხვის პურს ვჭამო. ბოლოს ჰებტმა აღერსა ფული, მაგრამ ერთი სიტყვაც არ ნოჴწერია და მთელი ამ თვეების განმავლობაში, რაც კრისტოფი ავად იყო, ერთხელაც არ უკითხავს მისი ამბავი. საოცარი უნარა ჰქონდა: რა სიკეთეც არ უნდა დაეთესა, თავს არავის შეაყვარებდა. ალბათ, იმიტომ, რომ მის ქველმოქმედებას თან არ ახლდა სიყვარული.

სიდონი ყოველ დღე მოდიოდა; ერთხელ ნაშუადღევს, ერთხელაც საღამომ. კრისტოფს სადილს უმზადებდა. უჩუმრად, მოკრძალებით აკეთებდა თავის საქმეს. კრისტოფის დაქნძილი თეთრეული რომ ნანა უსიტყვოდ წაიღო თავისთან და ერთიანად ანოკემსა. შეუშინველად მათი ურთიერთობა უფრო გულთბილი გახდა. კრისტოფი ბევრს უყვებოდა თავის მოხუც დედაზე. სიდონის გულისსიღრმემდე სწვდებოდა მისი ნაამბობი, თავს მარტოდ დარჩენილი ლუიზას ადვალზე წარმოდგენდა ხოლმე. კრისტოფისადმი მშობლიური გრძნობა აღეძრა. თვითონ კრისტოფი მასთან ლაპარაკისას ცდილობდა მოეკლა წყურვილი ოჯახური სიმყუდროვისა და სიტბოსი, ასე რომ აკლია ხოლმე ადამიანს, როდესაც სუსტი და ავადმყოფია. სიდონისთან ყველაზე ნეტად გრძნობდა თავს დედის საიხლოვეს. ზოგჯერ ქალს თავის შემოქმედებით განცდებდაც ანდობდა. გულკეთილ სიდონის იგი ებრალებოდა, თუმცა მუსიკოსის ინტელექტუალური მწუხარებანი ცოტა სასაცილოდაც მიაჩნდა. ესეც დედას აგონებდა კრისტოფს და გულს სიამით უვსებდა.

კრისტოფი ცდილობდა სიდონი სალაპარაკოდ გამოეწვია, მაგრამ ქალი მასზე მეტად გულჩათხრობილი აღმოჩნდა. გერმანელა ხუმრობით ეკითხებოდა, რატომ არ თხოვდებიო. ისიც ნისთვის ჩვეული დამცინავი მორჩილების ტონით პასუხობდა: „მოახლე ქალისათვის გათხოვებაზე ფიქრიც ზედმეტია. ყველაფერა ერთ-დაერთევა. რა იცი, ვის გადაეყრება? მამაკაცები ხომ განთქმული არაზნალები არიან, — სანამ ფული გაქვს, გაგეარშიყებიან, ყველაფერს რომ დააციენტავენ,

იქვე მიგაგდებენ. ამის მაგალითები ბევრი მინახავს ცხოვრებაში და რა ძალა მდგას, აუტკივარი თავი ავიტყო?“ სიდონის არ გაუმხელია, რომ ერთხელ თვითონაც მოტყუვდა. მისმა საქმრომ რომ გაიგო, ყველაფერს თავისიანებს უგზავნიანო, მაშინვე მოატოვა. კრისტოფს ხშირად უნახავს, როგორ ეთამაშებოდა სიდონი მათ სახლში მცხოვრებ ბავშვებს. პატარას მართო თუ მოხელთებდა. აღერსიანად იკრავდა შყერდში. ამის შემყურე კრისტოფი ქალს მიაი ნაცნობა პაპაზელი ქალბატონების ადგილას წარმოიღგენდა ხოლმე. სიდონი მათ არც კუკით ჩამოუფარდებოდა და არც გარეგნობით. მათ ადგილას რომ დასვა, ნაწილიად უეეთესიც იქნება — ფიქრობდა გერმანელი. რამდენი სასიცოცხლო ძალა იღუპება ისე, რომ ძე ხორციელი არ შეიტყობს. სამაგიეროდ, რამდენა ცოცხალი ლეში ტყეპნის მიწას და მზის ქვეშ სხვის ბედნიერებასა და სხვის ადგილს ისაკუთრებს.

კრისტოფი სულ არ ფრთხილობდა. სიდონისადნი დიდ, მეტად დიდ სითბოსა და სიყვარულს გრძნობდა და ქალსაც ნებას აძლევდა დიდი ბავშვივით გაენებივრებინა იგი.

ზოგჯერ სიდონის რაღაც სევდა მოაწევებოდა. კრისტოფი ამას დალილიობას აწერდა. ერთხელ შუა ლაპარაკში ქალი უეცრად ადგა, რაღაც მოიმიზებდა და ოთახიდან გავიდა. ხოლო როდესაც გერმანელმა ჩვეულებრივზე მეტად გადუჟნალა გული, რამდენიმე ხანს აღარ შენოსულა მასთან. როცა ისევე გამოჩნდა, ნაძალადევად ელაპარაკებოდა. კრისტოფი თავს იმტრევედა, ნეტავ რამე ხომ არ ვაწყენინეო. ჩაეკითხა კიდევ. სიდონიმ მკვირცხლად უპასუხა: არა, არაფერი მწყენიაო, მაგრამ კრისტოფი გრძნობდა, რომ ქალი თანდათან შორდებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ სიდონიმ ისიც უთხრა, მივდივარო, ჩემს ბატონებს დავეთხოვე და ამ სახლიდანაც უნდა გადავბარგდეო. მისდამი გამოჩენილი სიკეთისათვის ცივად და ნაძალადევად მადლობა გადაუხადა. მას და დედამისს ჯანმრთელობა უსურვა და გამოეთხოვა. ამ უეცარმა წასვლამ კრისტოფი იმდენად გააკვირვა, რომ ხმის ამოდებაც ვერ მოახერხა. შეეცადა გაეგო, რან აიძულა სიდონი ასეთი გადაწყვეტილება მიეღო. ქალმა რაღაც მიკიბულ-მოკიბული უთხრა. მაშინ კრისტოფმა ჰკითხა: გაჩერებას სად აპირებთო. მაგრამ პასუხი ანჭერადაც ვერ მიიღო. ბოლოს, შემდგომი კითხვები რომ თავიდან აეცილებინა, სიდონი წასასვლელად გატრიალდა. ზღურბლზე კრისტოფმა ხელი გაუწოდა, ქალმაც აღელვებით ჩასკიდა ხელი, მაგრამ სახე არ შესცვლია, ისევე ის გაყინული და დამაბნელებელი გამომეტყველება შერჩა. წავიდა უსიტყვოდ და კრისტოფმაც ვერასოდეს გაიგო ამის მიზეზი.

ზანთარს ბოლო აღარ უჩანდა. ნესტიანი, ტალახიანი, ნისლიანი ზამთარი იქცა. კვირეები ისე გადიოდა, რომ მზე არც კი გამოჩნდებოდა. კრისტოფი მოგპობინდა, მაგრამ საესებით ჯერ ვერ გამოკეთებულყო. მარჯვენა ფილტვენი

ისევე ტკივილს გრძნობდა. ეს მტკივნეული იარა ძალიან ნელა უხორცდებოდა. ნერვიული ხველებიან შეტევები ღამე ძილს უფრთხობდა. ექიმმა უჩიია, შინიდან ნუ გახვალაო. ბარემ ეთქვა, კანარის კუნძულზე, ანდა ლაჟვარდოვან სანაპიროზე წადიო. კრისტოფი იძულებული იყო გარეთ გასულიყო. აბა თვითონ რომ არ ეფიქრა საქმელზე, თავისით ხომ არ მოვიდოდა. ექიმმა წამლებიც გამოუწერა მაგრამ წამლის ფული სადა ჰქონდა. ამიტომაც გადაწყვიტა მისი რჩევებისათვის ეური არ ევლო, ფული უქნად არ გაეფლანგა. თანაც ექიმებთან თავს ცუდად გრძნობდა. საერთო ენა ვერ გამონახეს. ისინი ოდნავ ზიზღიანკარავი, ირონიული თანაგრძნობით უყურებდნენ ღარიბ მუსიკოსს—საკუთარი სამყარო მაქვსო, რომ ამტკიცებდა.—და ცხოვრების ტალღა კი ნაფოტივით აბურთავებდა. ხოლო კრისტოფი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, როდესაც ეს ადამიანები სინჯავდნენ, უყურებდნენ, ეხებოდნენ მის სხეულს. რკნენიოდა თავისი ავადმყოფი სხეულისა და ხშირად ნატრობდა:

— რა ბედნიერი ვიქნები, ეს რომ მოკვდებოა.

მარტოობის, ავადმყოფობისა და სიღარიბის მიუხედავად, თავს უბედურად არ გრძნობდა და ბედის უკუღმართობას მოთმინებით იტანდა. თვითონაც უკვირდა—ასეთი მომთმენი არასოდეს ყოფილა. სენი ხშირად კეთილმოქმედი: სხეულს ძღვეს, სულს კი თავისუფლებას ანიჭებს და განწმენდს. იძულებითი უმოქმედობის ყამს იბადება აზრებზე, რომელთაც უღმობელი შუქისა ემზინათ. სიჭანსალის ცხოველი მზე სწვავს მათ. იმას, ვინც ავად არ ყოფილა, თავი ბოლომდე ვერ შეუცვნია.

სნეულელებამ საოცარი სიმშვიდე მოჰფინა კრისტოფის სულს. ზოაც ილა, თუ რამ გააჩნდა უხეში. ახლა კრისტოფი გამაზვილებული გრძნობებით აღიქვამდა იმ იღუპალ ძალთა სამყაროს, ყოველ ჩვენგანში რომ ბუღობს, ცხოვრების აურზაურის ხელს გვიშლის, ყური მიუვლოთ ხოლმე მას. მას შემდეგ, რაც სიცხიანი ლუქის ესტუმრა და იქ გატარებული საათების მოგონება სამუდამოდ აღებუქდა მხსნიერებაში, კრისტოფი რემბრანდტის ტილოდან გამოსხივებულ ატმოსფეროა მსგავს თბილ, ნახსა და ღრმა ატმოსფეროში ცხოვრობდა. ახლა თვითონაც გრძნობდა გულში უხილავი მზის ჯადოსნურ სხეულებს. და თუმცა მორწმუნე არ იყო, იცოდა, ეუღლად არ დარჩებოდა. უფალს ჩაექიდა მისთვის ხელი და მიუძღოდა იქით, საითაც კრისტოფს უნდა ევლო. მუხიკოსიც პატარა ბალღივით მიენდო მას.

პირველად, წლების მანძილზე, კრისტოფი იძულებული იყო დაესვენა. მოკეთებისას ადვილად იღლებოდა, მაგრამ მისთვის ეს დაღლილობაც შეება იყო იმ არაადამიანური გონებრივი დაძაბულობის შემდეგ, რომელსაც ავადმყოფობა მოჰყვა და ახლაც არ ასვენებდა. ამ ბოლო თვეების მანძილზე კრისტოფი სადარაჯოზე მდგომი გუშაგივით მუდამ მზადყოფნაში იყო და მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ მზერა ისე დაძაბული აღარ ჰქონდა, როგორც წინათ. მაგრამ ამისგან ძალა კი არ აკლებოდა, ადამიანობა ემატებოდა. გენიოსის მძლავრობა და, ცოტა არ

იყოს, შემზარავმა პიროვნებამ მეორე ადგილი დაიკავა. იგი მიხვდა, რომ პირველ რიგში ადამიანი იყო, თავისუფალი გონების ფანტიზმისაგან და ყველაფრისაგან, რაც კი შემოქმედს მკაცრი და უღმობელი აქვს. აღარაფერი სძულდა, აღარ ფიქრობდა ცუდ რამეზე. ანდა თუ გაიფიქრებდა, მხრებს აიჩეჩავდა, ეს იყო და ეს. თავის გასაჭირს ნაკლებად წაღვლობდა. ახლა სხვების უბედურება აფიქრებდა უფრო. მას შეჰდებ, რაც სიღონიმ გაახსენა უხმო ტანჯვა თავდადრეკილა სულებია, დედაიწის ყველა კუთხეში რომ ებრძვიან წუთისოფელს, საკუთარ თავს იეიწყებდა. ჩვეულებრივ გულჩვილი არ იყო, ახლა კი ფიზიკური სისუსტით გამოწვეული მისტიკური სინაზის გრძნობა მოუვლიდა ხოლმე. საღამოს ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი უსმენდა ღამის იღუმალ ხმებს... მეზობელ საბლში ვილაც მღეროდა. და ეს სიშორე ჰანგებს ამაღლეებელს ხდიდა... პატარა გოგონას გულუბრყვილოდ გამოჰყავდა ნოცარტის მელოდია... კრისტოფი ფიქრობდა:

— თქვენ, ყველა, ვინც მიყვარხართ და ვისაც არ გიცნობთ, ვისთვისაც ცხოვრებას ქაბუჯური სული ჯერ არ წაუერთმევიდა, თქვენ, ვინც ოცნებობთ დიდ, შეუძლებელ საქმეზე და ებრძვით მტრულ სამყაროს, — მე მინდა ბედნიერნი იყოთ. რა კარგია ბედნიერება... ჩემო მეგობრებო, ვიცო აქა ხართ, მეც თქვენსკენ ვიწვდი ხელებს... ჩვენს შორის კედელია. ნელ-ნელა ვანგრევ ამ კედელს, მაგრამ თანდათან თავადაც ვილევი. შევხვდებით კი ოდესმე ერთმანეთს? ნოვალწევ თქვენამდე მანამ, სანამ ჩვენ შორის მეორე კედელი — სიკვდილის კედელი აღმართება? თუნდაც ასე იყოს. დე, მარტო ვიყო მთელი სიცოცხლე, ოღონდ კი თქვენთვის ვიმუშაო და ბედნიერება მოგანიჭოთ. ეგებ შერე მანაც შეგიყვარდეთ, უფრო გვიან, როცა ცოცხალი აღარ ვიქნები.

ასე კვებავდა ნოკეთებულს ორი კეთილი ძიძა: „Liebe und Not“ — სიყვარული და სიღარიბე.

ავადმყოფობამ გული მოუღობო და სხვა ადამიანებთან დაახლოების სურვილი გაუღვიძა. თუმცა თავს სუსტად გრძნობდა და თან იცოდა, რომ წინდაუხედავად იქცეოდა, მაინც გადიოდა გარეთ. გადიოდა ადრიანად, იმ დროს, როდესაც ადამიანთა ნაკადი მიედინებოდა ხალხმრავალ ქუჩებში, შორეული გარეუბნებისაკენ; ანდა საღამოთი, როდესაც იგივე ნაკადი სამსახურიდან ბრუნდებოდა. სურდა ჩაძირულიყო ადამიანთა სიმპათიის მაცოცხლებელ ტალღებში. ლაპარაკით არავის ელაპარაკებოდა, ანის სურვილი არც დაბადებია. უყურებდა ამღვლელ-ჩამვლულს, ცდილობდა ამოეცნო თითოეული მათგანის სული, ჰყვარებოდა ისინი. მისთვის ესეც კმაროდა. გულთბილი სიბრალულით აკვირდებოდა ჩქარი ნაბიჯით მიმავალ მშრომელ ხალხს. მთელი დღის დაღვას მათთვის თავისი დაღვილიდანვე დაესვა. აკვირდებოდა ყმაწვილ ქალებსა და კაცებს, გამხდარ, ცოცხალ სახეებზე უცნაური ღიმილი რომ დასთამაშებდათ. ხედავდა, როგორ გაა-

ელვებდნენ ხოლმე ამ მეტყველ, მოძრავ სახეებზე ათასი სურვილის, საზრუნავის, ირონიის სწრაფი ჩრდილები. უყურებდა დიდი ქალაქების კვიკიან, ზედმეტაკ კვიკიან, ოდნავ ავადმყოფურ ხალხს. ყველა მიიჩქაროდა. კაცებს ცხვირები გაზე-
რებში ჩაერგოთ. ქალები გზადაგზა ნამცხვარს ილუქებდნენ. სიამოვნებით და-
თმობდა კრისტოფი ერთი თვის სიცოცხლეს, ოღონდ კი იმ ქერა, თმააბურძნულ
ძილისაგან სახედსაიებულ გოგონას, წინ რომ თიყანოვით პატარა, მკვირცხლ,
წერვიული ნაბიჯით გაუარა, ერთი ან ორი საათი კიდევ სპინებოდა. ამაზე უარს
ვინ იტყოდა! როგორ სურდა გამოეთრია ამ დილის საათებში ჩარახული ბინე-
ზიდან მდიდარი. უსაქმური ქალბატონები, მოწყენილად რომ ნებავრობდნენ თ-
ვიანთი ფუფუნებით, ხოლო მათ ადგილას, მათ საწოლებში, მათ მოსვენებულ
ცხოვრებაში მოეთავსებინა ეს პატარა, დაღლილი, მსურვალე სხეულები, სიცო-
ცხლეს მოწყურებული, ცოცხალი სულები, რომელთაც ღრსნესანინმავე არაფე-
რი გააჩნდათ, გარდა სიცოცხლის სიყვარულისა. კრისტოფის გული მათდამი ნო-
წყალებით იყო სავსე. უღიმოდა ამ ლამაზ, საზრიან, დაქანცულ სააეებს. ზედ
ემშაყობაც, გულუბრყვილობაც, სიამოვნებისადმი დაუოკებელი და ბავშვური
ლტოლვაც რომ ეხატებოდათ, უფრო ღრმად — ეაყატური, მშრომელი და პა-
ტიოსანი სული იმალებოდა. სულ არ ჯავრობდა, ზოგი მათგანი რომ სიცილს
დააყრიდა, ან მეზობელს მუჯლუგუნს წაპკრავდა, ერთი ამ თვალანთებულ
აყლაყულას დამიხედო.

ღრო სანაპიროზე ოცნებებში გაჰყავდა. სანაპირო მისი საყვარელი სასეი-
რნო ადგილი იყო. ოდნავ უნელდებადა სევდა იმ დიდი მდინარისადმი, კრის-
ტოფს ბავშვობაში რომ არწევდა. ცხადია, სენა სულ არ ჰგავდა მისი ყრობის
ნეგობარ Valter Rhein-ს, სად იყო მისი ყოვლისმძლე ძალა, ფართო პორტონ-
ტები, გადაჭიმული სივრცეები, იქ იმ მდინარის პირას გონება თითქოს თავისუ-
ფლდება და ზევით, ცის უსასრულობაში იკარგებაო. სულ სხვა იყო ეს ნაცრის-
ფერთვალეობა, ბაცმწვანე სამოსში გამოწყობილი მდინარე. კობტა და დახვეწილი
ნაკვეთებით, ხიდის სამაჭურებითა და ქანდაკებათა მძივებით მორთულ-მოკაზნუ-
ლი: გრაციით სავსე და დიდებული, მოხდენილი მიწრა-ნობრით უღარდელაჟ
რომ მიიკლანებოდა და სასეირნოდ გამოსული ლამაზმანივით თავის სიტურფეს
შეჰხაროდა... პარიზის მშვენიერი სინათლე—ყველაზე უწინ კრისტოფმა ეს შეი-
ყვარა ამ ქალაქში. იგი სულ წყნარად, წყნარად დაუფლდა მუსიკოსს და შეუ-
მნეველად გადაახალისა მისი გული. კრისტოფისთვის ის იყო ყველაზე მომხი-
ლაევი, ერთადერთი პარიზული მუსიკა. მთელი საღამო გაჰყავდა სანაპიროზე, ან
ძველი საფრანგეთის ბაღებში. ტყებოდა სინათლის პარმონიებით, გარს რომ
ევლებოდა იისფერ ბურღუში ჩაფლულ ხეებს, ქანდაკებებს, ნაცრისფერ ღარნა-
კებს, მუქი ქვით ნაგებ მეფურ სასახლეებს, რომელთაც თითქოს გასული საუ-
კუნეების სინათლე შეეწოვათ. ხიბლავდა მზის სხივებისაგან და რაისფერი ნი-
სლისაგან შემდგარი ეს ნაზი ატმოსფერო, სადაც მოვერცხლილ მტვერში მხია-
რული ფრანგი ერის სული დაფარფატებს.

ერთ საღამოს სენ-მიშელის ხიდთან მოაჩირზე დაყრდნობილი კრისტოფი უგულისყუროდ ფურცლავდა იქვე გამოფენილ წიგნებს, თან წყლის დინებას ადევნებდა თვალს. ალაღბედზე გადახსნა მიშლეს ერთი დაფლეთილი ტომი. ამ ისტორიკოსს უკვე ცნობდა და მაინცდამაინც არ მოსწონდა მისი გაუთავებელი ტრაბახი, ფრანგული მრავალტიყვობა და უნარი, თვითონვე დამტკბარიყო საკუთარი ენაწყლიანობით. მაგრამ იმ საღამოს წიგნის პირველივე სტრუქტურებმა გაიტაცა. აღწერლი იყო ენა დ'არკის პროცესის დასასრული. კრისტოფს წა-კითხული ჰქონდა შილერის „ორღეანელი ქალწული“, მაგრამ ენა დ'არკი აქამდე მისთვის მხოლოდ წიგნის გმირი იყო, ვისაც სული შთაბერა დიდმა პოეტმა. ახლა კი მის თვალწინ უეცრად სინამდვილე გაჩნდა. და ამ სინამდვილემ თავზარი დასცა. კითხულობდა და კითხულობდა. გული მოუკლა ამ დიდებულ ამბის ტრაგიკულმა საშინელებამ. იმ ადგილამდე რომ მივიდა, სადაც ენა თავის გავაჩენს შეიტყობს და შიშისგან გული მისდის, ხელები აუკანკალდა, ცხელი მოერია და იძულებული გახდა კითხვა შეეწყვიტა. ავადმყოფობამ დაასუსტა, სასაცილო გულწვილობა დასჩემდა, თავდაც ბრახობდა თავის თავზე. კითხვის გაგრძელება რომ მოუნდა, გვიანი იყო და ბუკინისტი უკვე უჩრებს კეტავდა. კრისტოფმა გადაწყვიტა, ეს წიგნი ეყიდა. ჯიბეები მოიქექა. ექვსი სულა დარჩენოდა. ასე ქესატად ხშირად იყო ხოლმე. მაგრამ ეს ამბავი სრულებით არ აქუხებდა. ვაზში იწვიოდა ჰქონდა. მეორე დღეს კი ჰეხტისაგან ცოტაოდენი ფული ერგებოდა. მაგრამ ხვალაღვე რა გააძლებინებდა. რაღა ახლა მოუნდა ვაზშიმდე ფულის დახარჯვა? ექვს, ნეტავ შეიძლებოდა ბუკინისტისთვის იმ პურისა და ძხვის შეთავაზება, ჯიბეში რომ ედო!

მეორე დღეს დილაადრიანად ჰეხტესკენ გაემართა ფულის მისაღებად. მაგრამ იმ ხიდთან გავლისას, ომის მთავარანგელოზის — ენა დ'არკის „თანამოძმის“ სახელს რომ ატარებს, ნებისყოფამ უღალატა. შეჩერდა, ბუკინისტის უჩრებში წიგნი მოძებნა და ბოლომდე ჩაიკითხა. ამას ორი საათი მოუნდა და ჰეხტთან მიხვდა დააგვიანდა. მეტი მთელი დღე მის ძებნაში დაკარგა. ბოლოს, როგორც იქნა, ახალი დავალებაც მიიღო და ფულიც, წამსვე გაიქცა წიგნის საყიდლად. ეშინოდა, სხვამ არ დამასწროსო. ასეც რომ ყოფილიყო, დიდი არაფერი მოხდებოდა: სხვა ცალს ავიღოდა იშოვნიდა. მაგრამ კრისტოფი დარწმუნებული არ იყო, იფქრა, ეგებ იშვიათი გამოკემაო. გარდა ამისა, სწორედ ის წიგნი უნდოდა და არა სხვა. წიგნის მოყვარული ადამიანები ფეტრისებრად ავიღოდა იქვეიან. ის ფურცლებში, საიდანაც ოცნებთა წყარომ გადმოიჩქეფა, რაგინდ ქუქყიანი და დაღაქვეებული იყოს, მათთვის წმიდათაწმიდაა.

შინ, დამის სიჩუმეში, ხელახლა გადაიკითხა ორღეანელი ქალწულის სახარება. აქ უკვე არაფერ იძულებდა მოზღვავებული გრძნობების შეკვებას. სინაზე, მოწყალება უსაზღვრო თანაგრძნობა ავებდა ამ საცოდავი მწყემსი გოგონსადმი. მაღალი, მოკრძალებული, ფართო გლუხურ ტანსაცმელში გამოწყობილი ენა ოცნებობდა ხარების სამღერის გაგონებისას (მასაც კრისტოფივით

ჰყვარებია ზარების რეკვა). მშვენიერი, კეთილი და ნაზი ღიმილი დასთამაშებდა ტუჩებზე. რა ადვილად წამოსცივდებოდა ხოლმე ცრემლები — სიყვარულის, მოწყალების, სისუსტის ცრემლები; რა ვაჟაკური იყო და ამავე დროს რა ქალურიც; უმანკო და მამაკცი ვოგონა ყაჩაღთა მთელი ჯარის ველურ ნებისყოფას ათვინიერებდა; სულ მარტო, ყველაგან მიტოვებული, გრძელი თვეების განმავლობაში ქალური გამჭრაახობით, მშვიდად, მაგრამ შეუპოვრად, წყნარად და უდრეკად ეწინააღმდეგებოდა კანონისა და ეკლესიის მოციქულთა მუქარას და მუხანათურ ხრიკებს; თვალებჩასისხლიანებული მგლებისა და მელიების ხროვა მის ირგვლივ სულ უფრო და უფრო იკრებოდა.

ყველაზე მეტად კრისტოფს მისი სიკეთე და გულის სინაზე ხიბლავდა. ჟანა გამარჯვების შემდეგ მტრებსაც დასტიროდა. დასტიროდა თავის შეურაცხყოფლებს, ანუგეშებდა დაჭრილებს, უადვილებდა მომაკვდავთ უკანასკნელ წუთებს და არ უჩიოდა ნათ, ვინც იგი გააწირა. კოცონზე კი, როდესაც ალი მალა ავარდა, თავის თავზე როდი ფიქრობდა, წუხდა იმ მღვდელზე, რომელიც მას უკანასკნელ დარიგებას აძლევდა და აიძულებდა ცეცხლს მოშორებოდა: „ცხარე ბრძოლისას იყო ლმობიერი, ბოროტია შორის კეთილი, და მშვიდობისმოყვარე ომის დროს; ომი კი — ეშმაკის ეს გამარჯვება ღვთაებრივი სულოთ გაანათა“.

და კრისტოფიც თავის თავს რომ გაიხსენებდა, ფიქრობდა:

— მე კი ჩემს ბრძოლაში ეს სული არ შემქონდა.

ისევ და ისევ კითხულობდა ჟანას მახარობლის დიდებულ სიტყვებს:

„კეთილი დარჩე ადამიანთა უსამართლობისა და ბედის უკუღმართობის მიუხედავად, შეინარჩუნო სიმშვიდე და კეთილგანწყობა მწვავე შეხლა-შემოხლაში, მიიღო ცხოვრების გამოცდილება ისე, რომ არ შეიბღალას შინაგანი სიმდიდრე, მცირეთა ხედრია...“

და კრისტოფიც ისევ იმეორებდა:

— ვცოდე. არ ვიყავ კეთილი, მაკლდა კეთილგანწყობა, ზედმეტი სიმკაცრე გამოვიჩინე. — მომიტევეთ, მტრად ნუ მიგულებთ თქვენ, ვისაც გებრძვით, მე ყველასთვის სიკეთე მინდა, თქვენთვისაც, სხვისთვისაც... მაგრამ უნდა შეგიშალოთ ხელი, რომ ბოროტება არ ჩაიღინოთ...

და რადგან კრისტოფი წმინდანი არ იყო, გაიხსენებდა თუ არა თავის მტრებს, წამსვე სიძულვილით ივსებოდა. ყველაზე მეტად უშიშმა იმის პატიება, რომ მათი წყალობით საფრანგეთის ნამღვილი სახე მახინჯდებოდა. მათი შემხედვარე აბა ვინ წარმოიდგენდა, ამ ნიადაგიდან სიწმინდის, გმირობისა და პოეტურობის ყვავილს თუ შეეძლო აღმოცენება. მაგრამ ეს ხომ მართლაც მოხდა. ვის შეეძლო იმის მტკიცება, რომ ეს ყვავილი მეორედაც არ გაიფურჩქნებოდა. დღევანდელი საფრანგეთი ალბათ შარლ VII დროზე უარესი ვერ იქნებოდა. ამ გაჩაჩნილმა ერმა წარმოშვა ორღეანელი ქალწული. ახლა ეკლესია

შენობა ცარიელი, შებღალული და ნახევრადდანგრეული იყო. მერე რა! იქაც ხომ გაისმოდა ღვთის სიტყვა.

კრისტოფი ეძებდა ფრანგს, რომ ჰყვარებოდა იგი, ჰყვარებოდა საფრანგეთის გულსათვის.

მარტივ მიიწერა. უკვე რამდენიმე თვე იყო კრისტოფი არაეის დალაპარაკებია. წერილებსაც არავის სწერდა... მოხუცი დედა იშვიათად უგზავნიდა ბარათებს. მან არ იცოდა, რომ კრისტოფი შეუძლოდ იყო და თვითონაც უმალავდა შვილს თავის ავადმყოფობას. გარესამყაროსთან მხოლოდ მუსიკალური მალახია აკავშირებდა. იქ მიდიოდა დავალების მისატანად ან წამოსაღებად. კრისტოფი ცდილობდა ისეთ დროს მისულიყო, როდესაც ჰებტი არ დახვდებოდა. არ უნდოდა მასთან საუბრის წამოწყება. მაგრამ ტყუილად ფრთხილობდა. ერთადერთი შეხვედრის დროს ჰებტმა ერთი კი ჩაიბურტყუნა როგორა ხარო და გაეცალა.

ასეთი სიჩუმის საპყრობილეში იყო, როდესაც ქალბატონი რუსენის მიწევა წილოდ მუსიკალურ საღამოზე. განთქმული კვარტეტის მოსასმენად ეპატიუებდნენ. ბარათი მეტად თავაზიანი იყო და ბატონ რუსენსაც ბოლოში რამდენიმე გულთბილი სიტყვა მიეწერა. კრისტოფთან უთანხმოების ამბავი დიდად არ ეამაყებოდა, მით უმეტეს, რომ იმ მომდერალ ქალს წასჩხუბებოდა და ახლა მის ნიჟს ყოველგვარი მიკერძოების გარეშე აფასებდა. გულით კეთილი იყო: ვინმეს უსამართლოდ რომ მოექცეოდა, წყენას გულში არასოდეს ჩაიხვევდა. სასაცილოდაც მოეჩვენებოდა, მის მსხვერპლს საწყენი რომ დარჩენოდა რამე. ამიტომ, მის ნახვას თუ მოისურვებდა, ყოველთვის უყოყმანოდ პირველი უწვდილა ხელს.

წერილის წაკითხვისას კრისტოფმა ჯერ მხრები აიჩეჩა და პირობა დადო, არსად არ წავალო. მაგრამ კონცერტის დღე რომ მოახლოვდა, ყოყმანი დაეტყო. სული ეხუთებოდა ამ სიჩუმეში. ადამიანის ხმა, მუსიკა მონატრებოდა. თავისას მაინც არ იშლოდა: ფეხს არ დავდგამ იმ ხალხთანო. დანიშნულ დღეს კი რუსენებთან მაინც მივიდა. საკუთარი ლაჩრობა სირცხვილით სწავდა.

იქ რომ მივიდა იმედები მთლად გაუტრუვდა. მოხვდა თუ არა პოლიტიკოსებისა და სწოების საზოგადოებაში, ადრინდელზე უარესმა ზიზღმა აიტანა. მარტოობაში გადაეჩვია მათ თვალთმაქცობას. შეუძლებელი იყო აქ მუსიკის მოსმენა: ეს მისი ხელოვნების წაბილწვას ნიშნავდა. კრისტოფმა გადაწყვიტა პირველი ნაწარმოების დასრულებისთანავე წასულიყო.

მიმოიხედა, ირგვლივ მხოლოდ უსიამოვნო სახეები ხვდებოდა. უეტრად, დარბაზის მოპირდაპირე ბოლოში, ვილაციის მზერა შეამჩნია. უცნობი მას უყურებდა და მაშინვე შეტრიალდა. ამ თვალთა სიღრმეში გამოსჭვიოდა რაღაც განმაცვიფრებელი გულუბრყვილობა, საოცრად რომ განსხვავდებოდა დანარჩენთა

დაჩლუნგებული მზერისაგან. ეს მოკრძალებული, მაგრამ ნათელი და მკაფიო ავალები, ნამდვილი ფრანგული თვალები, რაკი ერთხელ შეგხედდნენ, ალაღად გიცქეროდნენ, არაფერს მალავდნენ თავის თავში და არც თქვენი რჩებოდნენ დაფარული. კრისტოფი იცნობდა ამ თვალებს, მათი შუქით გასხვივსნებული სახე კი ვერ იცნო. ეს სახე ეკუთვნოდა ოცი-ოცდახუთი წლის ტანმორჩილ, ბეჭებში ოდნავ მოხრილ, ავადმყოფური შესახედაობის უწვერულ ყმაწვილს. მას წაბლისფერი თმა ჰქონდა, არასწორი, მაგრამ ნატიფი ნაკვთები და სახის ოდნავი ასიმეტრიულობა რაღაც დაბნეულ გამომეტყველებას აძლევდა; ეს დაბნეულობა თითქოს ეწინააღმდეგებოდა თვალების მშვიდ გამოხედვას და მთელ სახეს უფრო მიმზიდველს ხდიდა. უცნობი კარებში იდგა. ყურადღებას არავინ აქცევდა. კრისტოფმა ისევ შეხედა. ყოველ გამოხედვაზე ხედებოდა ამ თვალებს, ისინი დაბნეულად, მომხიბლავი უხერხულობით სხვა მხარეს ტრიალებდნენ და კრისტოფი ყოველთვის „ცნობდა“ მათ. თან არ ტოვებდა შეგარძნება, თითქოს უკვე ენახა ეს თვალები, ოღონდ სხვა სახეზე.

როგორც ყოველთვის, კრისტოფმა ახლაც ვერ დაფარა თავისი გრძნობები და ყმაწვილსკენ გაემართა. მაგრამ მიახლოებისას გაიფიქრა, რა ვუთხარაო და შეეყოყმანდა. ვერ გადაწყვიტა, მისუღიყო თუ არა. აქეთ-იქეთ გაიხედა, ვითომდა შემთხვევით გამოეწვიე აქეთენო. მაგრამ ახალგაზრდა სულელი როდი იყო და მიხვდა, რომ კრისტოფს მისკენ აეღო გეზი. მუსიკოსთან დალაპარაკების შესაძლებლობამ იმდენად დააბნია, რომ მოინდომა თავი მეზობელ ოთახში შეეფარებინა. ესეც ვერ მოახერხა და ადგილზე გაქვავდა. ახლა ორივე ერთმანეთის პირისპირ იდგა. რამდენიმე წუთს ჩუმად იყვნენ, სალაპარაკო თემა ვერ გამოიჩინეს. დრო კი გადიოდა და თითოეული სხვის თვალში თავს სასაცილოდ გრძნობდა. ბოლოს კრისტოფმა თვალი გაუსწორა ყმაწვილს და ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე ღიმილით წაიდუღუნა:

— თქვენ უთუოდ პარიზელი არა ხართ?

ამ მოულოდნელ შეკითხვაზე, მთელი თავისი მოკრძალების მიუხედავად, ყმაწვილს ღიმილი მოერია და უპასუხა, არაო. მისი სუსტი, ყრუ ხმა სათუთი ინსტრუმენტივით ეღვრდა.

— მეც ასე ვიფიქრე, — ჩაილაპარაკა კრისტოფმა.

და რადგან მიხვდა, რომ მისმა უცნაურმა შენიშვნამ ცოტა არ იყოს, დააბნია ყმაწვილი, დასძინა:

— ეს საყვედური არ გეგონოთ.

მაგრამ ფრანგი კიდევ უფრო დაიბნა.

ისევე უხერხული სიჩუმე ჩამოეარდა. ახალგაზრდა ცდილობდა რაღაც ეთქვა. ბაგებზე უთაროდა, იგრძნობოდა, რომ სათქმელი მზად ჰქონდა, მაგრამ ზმის ანოღებდა ვერ გაებედა. კრისტოფი ცნობისმოყვარეობით სწავლობდა ამ მოძრავ სახეს: გამჭვირვალე კანის ქვეშ ყოველი კუნთის სულ მცირე მოძრაობაც იგრძნობოდა. ჩანდა, რომ იგი სულ სხვა მასალისაგან იყო შექმნილი, ვიდრე იმ სა-

ღანში შეკრებილი ხალხი, რომელთა ჯმუხი, უხეში სახეები მხოლოდ კისრის გაგრძელებას, სხეულის დანამატს წარმოადგენდა. ყმაწვილის სული კი თითქოს სახის ზედაპირზე ტივტივებდა, მისი სხეულის ყოველი ნაწილი შინაგანი სიცოცხლიდან იყო სავსე.

ყმაწვილს ჯერ ვერ მოეხერხებინა ხმის ამოღება და კრისტოფმა გულთბილად უთხრა:

— ამ ხალხში რას აკეთებთ?

ლაპარაკობდა ხმაშავი, იმ საოცარი თავისუფლებით, რომელმაც ბევრი მტერი გაუჩინა. თანამოსაუბრემ დარცხვენით მიმოიხედა, ხომ არაფერი იყო (ეს მოძრაობა კრისტოფს არ მოეწონა.) მერე პასუხის მაგიერ მიმოიხედა და უხერხული ღიმილით შეეკითხა:

— თქვენ თვითონ რას აკეთებთ?

კრისტოფმა ხმაშავი გადაიხარხარა.

— დიახ, მე თვითონ კი აქ რას ვაკეთებ? — თქვა მან გულკეთილად.

ყმაწვილმა უცებ გაბედა და ჩუმად ჩაულაპარაკა:

— ო, როგორ მიყვარს თქვენი მუსიკა!

მერე შეჩერდა და ისევ შეეცადა გამბედაობა მოეკრიბა. მაგრამ ამაოდ. გაწითლდა, თვითონვე იგრძნო ეს და სწრაფად სახესა და ყურებზე მოერიდა. კრისტოფი ღიმილით შესქეროდა, მზად იყო, გადახვეოდა უცნობს. ყმაწვილმა ისევ მიაპყრო დაბნეული მზერა:

— არა, არ შემიძლია, არ შემიძლია ამაზე ლაპარაკი. ყოველ შემთხვევაში აქ არა...

კრისტოფმა უსიტყვოდ გაუღიმა თავისი ფართო პირით და ხელი მოჰკიდა. უცნობის ვიწრო თითები ოდნავ ათრთოლდნენ მის ხელში და უნებლიე სინაზით მოუჭირეს მას. ახალგაზრდამ იგრძნო, როგორი სიყვარულით ჩაეჭიდა მისთვის კრისტოფს თავისი ძლიერი ხელი. დარბაზის ხმაური აღარ არსებობდა მათთვის. სულ მარტონი დარჩნენ. მიხვდნენ, რომ უკვე მეგობრები იყვნენ.

ეს სულ ერთ წამს გაგრძელდა. შემდეგ მათ ქალბატონი რუსენი მიუახლოვდა, კრისტოფს მხარზე მარაო დაჰკრა და უთხრა:

— ვხედავ, თქვენ უკვე გაგიცნიათ ერთმანეთი, ჩემი დახმარება აღარ გჭირიათ. ეს დიდი ბავშვი აქ თქვენი გულისათვის მოვიდა.

კრისტოფი და უცნობი ყმაწვილი შეკრთნენ და ერთმანეთს გასცილდნენ. ნუსიკოსმა ქალბატონი რუსენს ჰკითხა:

— ვინ არის ეს ახალგაზრდა?

— როგორ, არ იცნობთ? დამწყები პოეტია, მშვენივრად წერს. თქვენ გაღმერთებთ. თვითონაც კარგი მუსიკოსია და ჩინებულად უკრავს. ვაი მას, ვინც თქვენზე ცუდს იტყვის! ნამდვილად შეყვარებულია თქვენზე. ერთ დღეს ამის გულისათვის კნალამ ლიუსიენ ლევიკერს წაეჩხუბა.

— ყოჩაღი ბიჭია! — აღმოხდა კრისტოფს.

— ო, მე ვიცი, თქვენ უსამართლო ხართ საბრალო ლიუსიენისადმი. მაგრამ მას მაინც უყვარხართ.

— მაგას ნუ მეტყვი, თორემ თავი შემჯავრდება.

— გარწმუნებთ, რომ ეს ასეა.

— არა, არა, როგორ ბედავს!

— სწორედ ეს უთხრა თქვენმა თაყვანისმცემელმა. თქვენ ორივე გაგიყენებულხართ. ლიუსიენი თქვენს ნაწარმოებს გვიხსნიდა. ეს მოკრძალებული ბიჭუნა კი ადგა და ბრაზით აკანკალებულმა თქვენზე ლაპარაკი აუკრძალა. დიდი თავდაჯერებული ვინმე კი ყოფილა!... საბედნიეროდ მეც იქ ვიყავი და შევეცადე ეს ამბავი ზუმრობაში გადამეტანა, ლიუსიენიც აწყუვა. ჩვენი გმირი კი გაჩუმდა და მთლად დარცხვენილმა ბოლოს ბოდიში მოიხადა.

— საბრალო ბიჭი — შესძახა კრისტოფმა.

იგი აღელვებული იყო.

— სად წავიდა? — იკითხა მან. ქალბატონი რუსენი კიდევ რაღაცას ელაპარაკებოდა, მაგრამ კრისტოფი აღარ უსმენდა. უცნობის საძებნელად გაემართა. მაგრამ ის გამქრალიყო. კრისტოფი კვლავ ქალბატონ რუსენს დაუბრუნდა.

— მითხარით, რა ჰქვია.

— ვის? — გაუკვირდა ქალს.

— ვისზეც მელაპარაკებოდით.

— ა, იმ პოეტს? ოლივიე ჟანენი ჰქვია.

ეს სახელი კრისტოფს ნაცნობ მუსიკასავით ჩაესმა ყურში. თვალწინ წუთით ქალიშვილის სილუეტი ამოუტივტივდა. მაგრამ ახალმა სახემ, მეგობრის სახემ იმწამსვე წაშალა ეს მოგონება.

კრისტოფი შინ ბრუნდებოდა. მიაბიჯებდა პარიზის გაქვდილ ქუჩებში. მაგრამ ვერაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა. გრძნობა დახშობოდა და ველარ ალიქვამდა იმას, რაც მის ირგვლივ ხდებოდა. მთების რკალით გარე სამყაროსაგან გამოყოფილ ტბას ჰგავდა. აქ არც ნიავე აღწევდა, არც ღელვა და არც ხმაურობა. სრული სიმშვიდე სუფევდა. კრისტოფი თავისთვის იმეორებდა:

— მეგობარი მყავს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წიგნი მეოთხე. ჯანყი — თარგმნა ნოდარ ჯანაშვიამ	5
პირველი გამოცემის წინასიტყვაობა	7
ნაწილი პირველი — მერყევი ქვიშა	9
ნაწილი მეორე — ქვიშანი ითრევენ	75
ნაწილი მესამე — განთავისუფლება	140
წიგნი მესამე. ბაზრობა მოედანზე .	217
პირველი გამოცემის წინასიტყვაობა.	
საუბარი ავტორისა მის აჩრდილთან — თარგმნა ნეს-	
ტან იორდანიშვილმა	219
ნაწილი პირველი — თარგმნა ნესტან იორდანი-	
შვილმა	223
ნაწილი მეორე — თარგმნა მარინა ჩერქეზი-	
შვილმა	296

რედაქტორი გ. ბუაჩიძე
გამომც. რედაქტორი ნ. ლორთქიფანიძე
მხატვარი ჯ. ყავლაშვილი
მხატვრ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რედაქტორი ლ. ქვარცხავა
კონტროლიორ-კორექტორი დ. კალანდარიშვილი
კორექტორი თ. ენდელაძე
გამომწვები ი. ხაჩიძე

გადაეცა ასაწყობად 14/II-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/V-75 წ.
ანაწყობის ზომა 7×10. ქალაქის ზომა 70×90^{1/16}.
ნაბეჭდი თაბახი 28,08. საარბიტევო-საგამომცემლო თაბახი 24,15
ტირაჟი 20.000. შეკვ. № 83.
ფასი 1 მან. 42 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“,
თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა № 5.
Издательство «Накадули», Тбилиси,
ул. Марджанишвили № 5

აიწყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამსახკომის სტამბა № 4.
თბილისი 380060, მედქალაქის II კორპ. დაიბეჭდა და აიკინმა
წიგნის ფაბრიკაში, მეგობრობის გამზირი № 7.
Набрано в Тбилисской типографии № 4. Госкомиздата Совета
Министров Грузинской ССР. Тбилиси 380060, Медгородок, II корп.
Отпечатано и переплетено в книжной фабрике,
проспект Дружбы № 7.